მარიამ ცაცანაშვილი

ინფორმაციული სამართალი

რეკომენდირებულია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის

თბილისი
2004

რედაქტორი

გიორგი (გივი) ინწკირველი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

სანდრო ჯორბენაძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მთავარი სპეციალისტი, თსუ სამოქალაქო სამართლის კათედრის მასწავლებელი, საქართველოს პატენტრწმუნებული

დავით გაბუნია — „საქპატენტის" გენერალური დირექტორი

ნაშრომში განხილულია ინფორმაციის ცნებისა და ინფორმაციული სივრცის ფილოსოფიური ასპექტები; ინფორმაციული სამართლის საგანი, მეთოდი, სისტემა. ინფორმაციულ ურთიერთობათა შინაარსი, ობიექტი და სუბიექტი დახასიათებულია სამართლის თეორიის და სამოქალაქო სამართლის პრინციპების გათვალისწინებით. შესწავლილია ინფორმაციის მიღების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების სამართლებრივი საკითხები მასობრივი ინფორმაციის, პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, კომერციული, საბანკო, პროფესიული, სამსახურებრივი ინფორმაციის სახეების მიხედვით; განსაზღვრულია ინფორმაციული კულტურისა და ინფორმაციული უსაფრთხოების მნიშვნელობა ინფორმაციული პოლიტიკის შემუშავების სფეროში.

განკუთვნილია იურიდიული, საერთაშორისო, ჟურნალისტიკის, ინფორმატიკის სპეციალობებისა და ფაკულტეტების სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, აგრეთვე, კანონშემოქმედებითი სფეროს, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების თუ საბანკო და ინფორმაციული ურთიერთობის მონანილე სხვა კერძო სტრუქტურების თანამშრომელთათვის, ასევე, ინფორმაციული სამართლით დაინტერესებული პირებისათვის.

ყველა უფლება დაცულია

ISBN 99928-0-978-7

© მარიამ ცაცანაშვილი, 2004

შინაარსი

შესავალი 5

თავი I. ინფორმაციული სამართლის თეორიული წანამძღვრები 10

1.1. ინფორმაციის ცნება 10

1.2. ინფორმაციული საზოგადოება. ადამიანი, ინფორმაცია და საზოგადოება 20

1.3. ერთიანი ინფორმაციული სივრცე. ინფორმაცია და სახელმწიფო 26

თავი II. ინფორმაციული სამართლის საგანი, მეთოდი, სისტემა 32

2.1. ინფორმაციული სამართლის საგანი 32

2.2. ინფორმაციული სამართლის მეთოდი 35

2.3. ინფორმაციული სამართლის სისტემა და კავშირი სხვა დარგებთან 39

თავი III. ინფორმაციული სამართლის ობიექტი 44

3.1. ინფორმაცია სამართლებრივ ურთიერთობებში 44

3.2. ინფორმაციული სისტემები, როგორც სამართლის ობიექტი 50

3.3. ინფორმაციული ტექნოლოგიები, როგორც ინფორმაციული სამართლის ობიექტი 58

თავი IV. ინფორმაციული სამართლის სუბიექტები 61

4.1. სუბიექტები ინფორმაციულ ურთიერთობებში 61

4.2. სახელმწიფო ორგანოები, როგორც ინფორმაციული ურთიერთობის სუბიექტი 65

4.3. ფიზიკური პირები, როგორც ინფორმაციული სამართლის სუბიექტები 69

თავი V. ინფორმაციული ურთიერთობის შინაარსი 73

5.1. ძირითადი ინფორმაციული უფლებები და თავისუფლებები 73

5.2. უფლება ინფორმაციაზე 76

5.3. სასაქონლო ინფორმაციული ურთიერთობები 82

5.4. არასასაქონლო ინფორმაციული ურთიერთობები 86

თავი VI. ინფორმაციის სახეები 93
6.1. მასობრივი ინფორმაცია და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სამართლებრივი რეგულირება 93
6.2. პერსონალური მონაცემის სამართლებრივი რეგულირება 100
6.3. საიდუმლო და კონფიდენციური ინფორმაცია და მათი სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი 111

თავი VII. ინფორმაციული კულტურა და ინფორმაციული უსაფრთხოება 121
7.1. ინფორმაციული კულტურა და ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფციის ძირითადი ტენდენციები საქართველოში 121
7.2. ინფორმაციული ომი. ინფორმაციული ტერორი და სხვა სახის ინფორმაციული დანაშაულები 131
7.3. ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოება 144
7.4. ინტერნეტი, როგორც საერთაშორისო ინფორმაციული სისტემა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ღონისძიებები 152

ნორმატიული აქტების დანართი 158

SUMMARY 515

ZUSAMMENFASSUNG 518

РЕЗЮМЕ 522

სარეკომენდაციო ლიტერატურა 525

ავტორის შესახებ 529

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ინფორმაციის სამართლებრივი პრობლემატიკით დაინტერესება მხოლოდ დროის მოთხოვნა არ არის. საქართველოში მესამე ათასწლეული რეფორმების კურსის განახლებით დაიწყო. ეს მეტად მძიმე და სირთულეებით აღსავსე პროცესი მთელი ძალისხმევით მოითხოვს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ახალი ასპექტების მეცნიერულ გააზრებას, მათ პროგნოზირებას და გადაწყვეტის შესაბამისი გზების შეთავაზებას საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის. თუ დღეს დემოკრატიისა და ეფექტური მმართველობითი სისტემის გვერდით, აქტიურად საუბრობენ სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკაზე, განათლებასა და კულტურის შემდგომ ამაღლებაზე, უპირველესი მნიშვნელობა ამ იდეათა სწრაფ რეალიზაციაში მაღალ ტექნოლოგიებსა და მისი გამოყენების სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებს უკავშირდება. საკუთარი ინფორმაციული პოტენციალის გარეშე შეუძლებელია არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობის განვითარება, არამედ შენარჩუნებაც კი. მსოფლიოს „მონსტრი" სახელმწიფოების გვერდით გლობალურ პოლიტიკურ სივრცეში საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებით თანაარსებობა სწორედ ინფორმაციისა და ინფორმატიზაციის მიღწევებზეა დამოკიდებული. ინფორმაციული საქმიანობის სფეროს უსწრაფესი განვითარება ადამიანისა და საზოგადოების დაცვის ახალი ხერხებისა და მეთოდების შემუშავებას საჭიროებს.

პირველი მონოგრაფიული ნაშრომი ამ სფეროში „ინფორმაციული საზოგადოებისა და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება", რომელიც 1999 წელს გამოვეცი, ინფორმაციული უსაფრთხოების სამართლებრივი რეგულირების პრობლემებს ეხებოდა და ინფორმაციის მკვლევარ მეცნიერთა და სპეციალისტთა ყურადღება ინფორმაციული სამართლის, როგორც სამართლის კომპლექსური დარგის ფორმირებაზე იყო გამახვილებული. მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, რომ ეს არის სფერო, რომელიც ზუსტად ასახავს ჩვენი დინამიური ჟამთასვლის გამოძახილს და აქტიურად მოითხოვს მეცნიერთა და პრაქტიკოს მუშაკთაგან შესაბამის რეაგირებას.

მიმდინარე წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისსამართლის თეორიის დაკონსტიტუციური სამართლისა კათედრის წარდგინებით იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ ინფორმაციული სამართალი სასწავლო დისციპლინათა სისტემაში ჩართო, რადგან პირველ რიგში სწორედ სტუდენტთა და ასპირანტთა კვალიფიკაცია განაპირობებს, როგორც დარგის განვითარებას, ასევე ქვეყნის წინაშე მდგარი ინფორმაციული უსაფრთხოების საიდუმლოთა ახსნასა და შემდგომში მათ სწორ

რეგულირებას.

ინფორმაციული სამართლის განვითარება საქართველოში არ შეიძლება საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტებისაგან მოწყვეტით განვითარდეს, ამიტომ ის გამოცდილება, რომელიც 80-იანი წლებიდან მოყოლებული მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში დაგროვდა კარგი საფუძველია, რათა ინტელექტუალური კადრების გადინება ქვეყნის გარეთ სწორედ ამ, ჯერ კიდევ აუთვისებელ სფეროში კომპეტენტური კადრების მომზადებითა და დასაქმებით შეჩერდეს. ეს არის ფართო სპექტრი ურთიერთობებისა, რომელიც მრავალი დარგის სპეციალისტთა თანამშრომლობაზეა დაფუძნებული.

წინამდებარე ნაშრომი ნამდვილად არ არის სახელმძღვანელო, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, რადგან ავტორთა მხრიდან სახელმძღვანელო თავისი შინაარსითა და სტრუქტურებით ზოგჯერ მრავალ მონოგრაფიაზე მეტ ძალისხმევას ითხოვს და უკვე აპრობირებული პროგრამის მიხედვით მეცნიერებაში და პრაქტიკაში დადგენილი კონსტრუქციების მეთოდური გადმოცემის ვალდებულებით ხასიათდება. თუმცა, ამ ნაშრომს იმის პრეტენზია ნამდვილად გააჩნია, რომ სისტემურად წარმოაჩინოს ინფორმაციული ურთიერთობების პრობლემები – ინფორმაციის ფილოსოფიური განმარტებით დაწყებული, სამოქალაქო ბრუნვაში მისი როლისა და ადგილის გარკვევის, ინფორმაციის სახეებისა და თავისებურებების სამართლებრივი ასპექტების კონსტანტირებით გაგრძელებული და ინფორმაციული პოლიტიკისა და ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემებით დამთავრებული. მეთოდური თვალსაზრისით და კონსტრუირებით იგი სასწავლო, სამეცნირო-ანალიტიკური მასალაა, რომელიც ასახავს საინფორმაციო სამართლის სფეროში მეცნიერთა მიღწევებს. თითოეული საკითხის გახსნის შემდეგ წარმოაჩენს პრობლემათა წრეს, რაც ამ ახალბედა დარგის განვითარებისა და სისტემურობის უზრუნველყოფის საფუძველია. ნაშრომში წარმოჩენილ პრობლემათა გადაჭრის შესაძლო ვერსიები დაინტერესებულ პირებს შემდგომი კვლევის იდეასაც სთავაზობს, რაც მრავალი ახალი მიმართულებების ცოდნათა შეჯერებით იქნება შესაძლებელი.

სამართალი, თავისი კონსერვატიული ბუნებით და ინფორმაცია, თავისი სემანტიკით, რომელიც საზღვრებისა და სივრცის ზემოქმედებას არ ექვემდებარება, რთულად ეგუებიან ერთმანეთს. ნივთი, უფლება, საკუთრება და სხვა სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტები ინფორმაციასთან მიმართებაში სრულყოფის პრეტენზიას აცხადებენ, მაგრამ საბოლოოდ, ეს უკანასკნელი, თვისობრივად ვერც ერთს ვერ ეგუება. ინფორმაციას საკუთარი პრეტენზია გააჩნია

სამართლებრივ ურთიერთობებში.

უფრო მეტიც, ის, რაც სამართლით ვერ რეგულირდება, პოლიტიკის საგანი ხდება. ჩვეულებრივ სიტუაციაში ინფორმაცია პოლიტიკოსთათვის სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალებაა, თუმცა ინფორმაციას არც ამ სფეროში შეუძლია ერთგულება და ინფორმაციული ომისა თუ ინფორმაციული ტერორის სასარგებლოდ შეიძლება გააკეთოს არჩევანი. მას მესაკუთრე არ ჰყავს, თუმცა საკუთრების ობიექტი შეიძლება გახდეს. იგი ხშირად სისტემურია, თუმცა ადრესატამდე შეიძლება ნაკლული, დამახინჯებული ან გავრცობილი მივიდეს. იგი ატომი არ არის, მსოფლიოს ნგრევის შიშით რომ მიიპყროს საზოგადოების ყურადღება, მაგრამ მსოფლიო ბატონობაზე პრეტენზია ნამდვილად გააჩნია. მას იყენებენ, მისით მანიპულირებენ, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, ინფორმაციაა ყველას და ყველაფრის მმართველი. ის არ არის ზებუნებრივი, ღვთიური, მაგრამ მასთან კავშირი აქვს. ის არ არის „გონი", მაგრამ მის გარეშე აღქმადი არ არის, ის არც ხელში პყრობისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ ძალას და მიმართებას სწორედ ამ მდგომარეობაში იძენს.

ყველაზე მთავარი, იგი ადამიანის ბუნებრივი უფლების მატარებელია. დღეს ვერავინ წარმოადგენს რომელიმე დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუციას საკუთრების უფლების ან სიცოცხლის უფლების აღიარების გარეშე. გინახავთ ადამიანი სხეულის გარეშე? ასევე, სრულყოფილი ადამიანი წარმოუდგენელია ინფორმაციის გარეშე. ინფორმაცია, როგორც კოდი, დროსა და სივრცეში ადამიანის ბუნებრივ ქცევებს განსაზღვრავს, ხოლო ინფორმაცია, როგორც აღქმის საგანი, მისი არსებობის აუცილებელი პირობაა. ინფორმაციასთან დაშვება, ინფორმაციის ღიაობა და საჯაროობა არ არის ის, რაც კონსტიტუციური უფლების საგანი უნდა იყოს. ის მხოლოდ გარანტიაა, რაც კანონით რეგულირების საფუძველი შეიძლება გახდეს. ადამიანის ინფორმაციული უფლებები ისევე დიდია, როგორც სიცოცხლის ხელშეუვალობის უფლება, და თუ ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია, მაშინ მსოფლიოს დემოკრატიულ სახელმწიფოებს აუცილებლად მოუწევთ, საერთაშორისო აქტებისა და ქვეყნის კონსტიტუციებში, ადამიანის ინფორმაციულ უფლებათა და თავისუფლებათა ბლოკის სრულფასოვანი კონსტრუირება, შესაბამისი გარანტიებით. არადა, მსოფლიო მწარედ იგემებს ინფორმაციული ომებისა და ინფორმაციული კატასტროფების უმძიმეს შედეგებს (ეს პროცესი მცირე მასშტაბით უკვე დაწყებულია და იგი, სამწუხაროდ, მთის წვერიდან მოწყვეტილი ზვავის პრინციპით მოქმედებს).

ინფორმაციის ასეთი უკიდეგანო საზღვრები და მნიშვნელობა ქმნის ინფორმაციული პოლიტიკის აუცილებლობას. სახელმწიფოთა

მშვიდობიანი თანაარსებობა და სახელმწიფოს შიგნით მართვითი სისტემების ეფექტურობა ინფორმაციული პოლიტიკის სწორად წარმართვაზეა დამოკიდებული. ინფორმაციული უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიების გვერდით, საერთაშორისო ნორმებისა და ქვეყნის კანონმდებლობის პირამიდა ინფორმაციული უსაფრთხოების წონასწორობის მექანიზმებით უნდა იყოს გაჯერებული, ისევე როგორც უფლება – მოვალეობით. ეს სამართლის სფეროა, იგი ზოგჯერ პოლიტიკის მიღმაა, მაგრამ მისი განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია.

უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების ფონზე რამდენჯერ გიგრძვნიათ საბანკო სფეროში ფინანსური ზარალი (თუ თქვენ არა, მეგობრებსა და ახლობლებს მაინც), რამდენჯერ გასულა მფლობელის ხელიდან თქვენი პირადი ინფორმაცია, რომელმაც ზიანი მოგიტანათ, რამდენჯერ იზარალა სახელმწიფომ სამხედრო ინფორმაციის გაჟონვით. მეცნიერები ასეთ სტატისტიკას სრულფასოვნად ვერ ფლობენ, რადგან უმეტეს შემთხვევაში მათი აღმოჩენა ან მათ შორის მიზეზობრივი კავშირის მტკიცება შეუძლებელია. თუმცა არის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც საგანგაშოა და ამ სფეროში ურთიერთობის რეგულირების აუცილებლობას კიდევ ერთხელ ამტკიცებს. დღესდღეობით საბანკო სფეროში ინფორმაციული ხასიათის დარღვევათა მხოლოდ 10% აღმოჩენილი და მათგან მხოლოდ 1% გამოძიებული. ინფორმაციული უფლებები და თავისუფლებები, ინფორმაციის მიღების, დამუშავების და გავრცელების წესები (უფლება-მოვალეობათა გამიჯვნით და პასუხისმგებლობის რეგლამენტირებით), ინფორმაციის ქონებრივი და სასაქონლო თვისებები, საჯაროობისა და კონფიდენციურობის უზრუნველყოფა, ინფორმაციული დანაშაულობების გახსნის მეთოდიკა, გამოძიება, სასამართლო თუ საარბიტრაჟო განხილვის წესები – ესაა ის მცირე ჩამონათვალი, რომელიც იურისტთა კვალიფიკაციას მოითხოვს ინფორმაციული ურთიერთობების რეგულირების პროცესში.

მაგრამ საინფორმაციო პოლიტიკა? ესაა ტექნიკურ-პროგრამული, ორგანიზაციული ღონისძიებები, სასწავლო ანალიტიკური ცენტრებისა და ინფორმაციული უფლებების განხორციელებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პროექტების მხარდაჭერა ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს დონეებზე წონასწორობის მექანიზმების გათვალისწინებით.

სწორედ, იურისტის თვალით დანახულ ამ პრობლემებს გთავაზობთ ნაშრომში. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა საბოლოო სიტყვა. ჯერ კიდევ მრავალ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი. მეცნიერებს, სტუდენტებს, გამომძიებლებს, მოსამართლეებს, ინფორმაციული ტექნოლო-

გიების წარმოებითა და მოხმარებით დაკავებულ მუშაკებს (ბანკები, ტელეკომუნიკაციის საშუალებათა მფლობელნი და სხვა) საშუალება ექნებათ შეაფასონ ნაშრომი, რათა შემდგომში ურთიერთანამშრომლობით შეიქმნას ცოდნის ახალი წყაროები. სამართლებრივი რეფორმა მხოლოდ ორგანიზაციულ და ტექნოლოგიურ მხარეს კი არ შეეხოს, არამედ მან მოქმედი კანონმდებლობის მონესრიგებისა და სამართლებრივი ცოდნის გაღრმავების ფრონტიც უნდა გაშალოს. განათლებული იურისტი ვალდებულია წარმოდგენა ჰქონდეს სამართლებრივი მეცნიერების მიღწევებზე. უნდა შეეძლოს დაინახოს და შეაფასოს ფაქტები, სოციალურ სისტემაში მათი ადგილის გათვალისწინებით. მიუსადაგოს ისინი მოქმედ კანონმდებლობას და გაითვალისწინოს საზოგადოების რეაქცია ასეთ გადაწყვეტილებებზე. ეს ყველა იურისტს ეხება, მუშაობს ის კანონშემოქმედებით სფეროში, აღმასრულებელ ხელისუფლებასა თუ სასამართლო სისტემაში. აგრეთვე ნებისმიერ სხვას, ვინც დაინტერესებულია ინფორმაციული ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების საკითხებით.

ინფორმაციული საუკუნე ეს-ესაა დაიწყო, მაგრამ იგი გეომეტრიული პროგრესიით იკრებს სიჩქარეს. ეს დინამიური, წინააღმდეგობრივი, მომთხოვნი, დაპირებების საუკუნეა. ინფორმაციული სამართალი კი – ეს არის ინფორმაციული ტექნოლოგიების სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტებთან „შეხვედრის" შემეცნების გზა. ეს არის აგრეთვე პლანეტის ყველაზე ცხელი სფეროს – ინფოსფეროსა და თანამედროვე სოციუმზე მისი ზემოქმედების მოწესრიგების გზა.

მარიამ ცაცანაშვილი

თავი I

ინფორმაციული სამართლის თეორიული წანამძღვრები

1.1. ინფორმაციის ცნება

ინფორმაცია საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა, ისტორიული თვალსაზრისით ინფორმაციისადმი ადამიანის სოციალურ ინტერესს ღრმა პრაქტიკული და ფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს. ქვებზე ამოტვიფრული წარწერები, პაპირუსის სიგელები და ა. შ. დოკუმენტურ ინფორმაციას წარმოადგენენ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ბიბლიური მცნება „არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა“ (მეორე სჯულის წიგნი 5, 17) ინფორმაციის გამოყენების წესსა და მის სიცრუეზე რეაქციას მიუთითებს, დოკუმენტური ინფორმაცია საზოგადოებაში თავიდანვე ფიგურირებს, როგორც გარიგებათა გაფორმების პირობა, მტკიცებულებათა აქტი პროცესში და ა. შ.

ეტიმოლოგიური მნიშვნელობით, ინფორმაცია ლათინური სიტყვაა და „გაცნობას", „გადაცემას" ნიშნავს. მეცნიერული ინტერესი ამ ცნების გარშემო მე-20 საუკუნის შუანლებიდან იწყება. მისი შინაარსის გახსნაზე მუშაობენ ბიოლოგები, ფიზიკოსები, კიბერნეტიკოსები და იურისტებიც კი. ინფორმაციის ფენომენის გარშემო აურაცხელი სამეცნიერო ლიტერატურა გაჩნდა, სრული უარყოფიდან მის რეალურ არსებობამდე, განსხვავებული და ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებებით, რაც თვით ამ ფენომენის შინაარსითაა გამოწვეული.

ინფორმაციის პირველი ფილოსოფიური განმარტება ნ. ვინერს ეკუთვნის: ინფორმაცია ეს არის ინფორმაცია და არა მატერია და არა ენერგია.[1] თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის თეორიის კვლევის პირველ ოცწლეულს საფუძველი ჩაუყარა კ. შენონის მიერ 1948 წ. დაბეჭდილმა სტატიამ - „კავშირების მატერიალური თეორია“. ამ თეორიის მიხედვით მეცნიერებმა გაშიფრეს გენეტიკური კოდი და ცილების სინთეზის რეგულაციის პრინციპები, რაოდენობრივ საფუძველზე სხვადასხვა ბიოლოგიური სტრუქტურების მოწესრიგებულობა, უჯრედებისა და ორგანიზმებისათვის დამახასიათებელი ინფორმაცია და ა. შ. მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბიოლოგიური ორგანიზაციის შესწავლა ინფორმაციის თეორიის საფუძველზე, კაცობრიობის ისეთ ფუნდამენტურ პრობლემათა გადაჭრას შეუწყობს ხელს,

[1] Виннер Н. Кивернетика или управление и связь в животном и машинах; М. 1968. с. 52.

როგორიცაა მისი არსი, წარმოშობა, ევოლუციის კანონზომიერებანი. ამ თეორიას თანდათან მოწინააღმდეგენი გამოუჩნდნენ, რომლებიც უარყოფდნენ ბიოლოგიაში ინფორმაციის თეორიის გამოყენებას. ი. შმალჰაუზენი, რომელმაც მსოფლიოში პირველმა განიხილა ორგანული სამყარო ინფორმაციის კლასიკური თეორიიდან, აღნიშნავს, რომ ეს თეორია ვერ ფლობს ინფორმაციის ოდენობის შეფასების მეთოდებს, ბიოლოგიაში კი მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამ თეორიით აფასებენ ბიოსისტემებისა და მათი ელემენტების მოწესრიგებულობას, ხოლო ამ სისტემათა სპეციფიკა დაფუძნებულია მათ ფუნქციონალურ ორგანიზაციაზე.[1] ბიოლოგიური ორგანიზაციის მხოლოდ რაოდენობრივი თვალსაზრისით შეფასებამ ინფორმაციის თეორიის საფუძველზე, სრულყოფილი განვითარება ვერ ჰპოვა. ამ თეორიის ერთ-ერთი დამფუძნებელი კ. შენონი მოგვიანებით წერდა, რომ აუცილებელია ინფორმაციის სტრუქტურული დახასიათებაც.[2] ინფორმაციის ხარისხთან დაკავშირებული სამეცნიერო გამოკვლევები დ. მაკკეის, ა. ხარკევიჩის და სხვათა შრომებში 1950-ანი წლებიდან გამოჩნდა, ხოლო მოგვიანებით, მეცნიერთა დიდი ნაწილი შეუერთდა მოსაზრებას, რომ ბიოლოგიური სისტემებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ინფორმაციის რაოდენობას, არამედ მის ხარისხს (ა. ურსული, მ. ალტერი, მ. მესაროვიჩი ი. გორსკი, ლ. ბლომენდელდი, ა. პრესმანი და სხვები).[3]

1963 წლიდან ი. შრეიდერმა სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა ტერმინი „თეზაურუსი" (ცოდნის საგანძური)[4] და სცადა დაენერგა მეთოდი, რომლის მიხედვითაც ინფორმაციის გამოყენებისათვის ობიექტში დაგროვილი მონაცემთა სტრუქტურა და შემადგენლობის სიმდიდრე, ზეგავლენას ახდენს მის მიღებასა და ეფექტურ დამუშავებაზე.

კ. შენონის თეორია, ინფორმაციის ცნებასთან დაკავშირებით, წინ წამოსწევს კოდისა და ინფორმაციის გადაცემის საშუალებას, ხოლო ინფორმაციის რაოდენობა, რომელიც მოცემულ შემადგენლობას ახასიათებს, განისაზღვრება აზრობრივი შინაარსისაგან დამოუკიდებლობის შესაძლებლობის მქონე სხვადასხვა შეტყობინებებით. მისგან განსხვავებით, ი. შრეიდერის თეორიაში აქცენტი გადატანილია ინფორმაციის მიმღების თვისებებზე და მის სემანტიკურ (აზრობრივ) შეფა-

[1] Шмальгаузен И.И. Кибеонетические вопросы биологии; Новосибирск; 1968. с. 67.

[2] Шенон К.Е. Работы по теории информации и кибернетике; М. 1963.

[3] Бачило И.Л. Лопатин В.Н; Федотов М.А. Информационное право; Санкт-Петербург; 2001, с. 25.

[4] Шрейдер Ю.А. Об одной модели семантической теории информации. Проблемы кибернетики. Вып. 13. М. 1965.

სებაზე, ხოლო ინფორმაციის გადაცემის საშუალება, მეორე პლანზეა გადატანილი.

ზოგადად ინფორმაციის თეორიაში ინფორმაციის ცნებასთან დაკავშირებული შეხედულებები რამდენიმე მიმართულებად შეიძლება დაჯგუფდეს: უპირველეს ყოვლისა, ესაა ატრიბუტული და ფუნქციური კონცეფციები.[1]

ატრიბუტული კონცეფციის მომხრეები თვლიან, რომ ინფორმაცია მატერიალური ობიექტის განუყოფელი შინაგანი თვისებაა. იგი არსებობს მატერიალური სამყაროს ყველა სისტემასა და ელემენტში (გამონაკლისის გარეშე), იქცევს ადამიანისა და საზოგადოების ყურადღებას, არსებობდა და მუდამ იარსებებს. უფრო მეტიც, რაც ჩვენ გარს გვაკრავს – ინფორმაციაა, რამდენადაც ნაწილების ყოველგვარი კომბინაცია, ნივთიერი თუ გონებრივი კონსტრუქციები, არის კოდი რაღაცის შესახებ.[2] აქედან გამომდინარე, შემეცნებითი პროცესი წარმოადგენს რეალურ საგნებში არსებული ინფორმაციის დეკოდირებას. ფუნქციური კონცეფციის მომხრეები გამოდიან ინფორმაციისა და მართვის განუყოფელი კავშირიდან. ანუ თვითგანვითარებადი, თვითმმართველი სისტემებიდან (ტექნიკური, ბიოლოგიური, სოციალურ-კიბერნეტიკული), ისინი არ ცნობენ ინფორმაციის არსებობას არაცოცხალ ბუნებაში. თვით ინფორმაციას განმარტავენ, როგორც სიგნალის შინაარს, ან გარე სამყაროდან კიბერნეტიკული სისტემით მიღებულ შეტყობინებას, რომელიც თავისდაუნებურად ხელს უწყობს „ქაოსიდან მოწესრიგებულობაზე" გადასვლას (ამ პროცესს შეისწავლის სინერგეტიკა).

ორივე კონცეფციას ერთი რამ აქვს საერთო. კერძოდ ის, რომ ინფორმაცია რეალური ფაქტორია. ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო რადიკალური მოსაზრებებიც არსებობს, რომლებიც ინფორმაციას საკმაოდ სკეპტიკურად განიხილავენ. „ჯერ არავის დაუნახავს ეს ამოუცნობი ინფორმაცია, არც როგორც სუბსტანცია, არც როგორც თვისება. ჩვენ ყველგან ვხვდებით ენერგიით აღჭურვილი მატერიალური საგნების ურთიერთზემოქმედებას: კერძოდ, ვერ აღმოაჩენთ იმას, რასაც ინფორმაციას ვუწოდებთ. რატომ? იმიტომ, რომ იგი ისევე არ არსებობს ბუნებაში, როგორც ეთერი, ფლუიდი, ფლოგისტონი ან სხვა რამ".[3] ამ მოსაზრებასთან ახლოს დგას ა. სოკოლოვის პოზიცია

[1] იხ: Наумов В.Б. Право и интернет: очерки теории и практики.М. 2002; Алтухов В. Смена парадигм и формирование новой методологии‖Обществ. науки и современность №1, 1993. Хакен Г. Информация и самоорганизация, М. 1993.

[2] Сетров М.И. Информационные процессы в биологических системах: Методол очерк, Л. 1975, с. 123

[3] Сетров М.И. Информационные процессы в биологических системах. Методол. очерк. Л. 1975, с 124.

ინფორმაციის, როგორც ობიექტური რეალობის უარყოფის დასაბუთების შესახებ: „ინფორმაციის გასაგნობრივება წარუმატებელია, რადგან რეალურად არსებული ცოდნის, შეტყობინების, კომუნიკაციის შემეცნებისაგან განსხვავებით, ინფორმაცია მეცნიერთა მიერ გამოშუშავებული აბსტრაქციაა, რომელიც გარკვეულ რეალობებს ასახავს, თვითონ კი რჩება ისეთ ცნებად, როგორიცაა „დედამიწის ღერძი", „ატომის წონა" და ა. შ.[1] თუმცა ამ შეხედულების მომხრეები თვლიან, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ინფორმაციის კატეგორიას ერთგვაროვანი დეფინიცია არ გააჩნია, იგი შინაარსობრივ დატვირთვას იღებს იმ ობიექტებიდან გამომდინარე, რომელთა შესწავლა ინფორმაციული მიდგომით ხდება. ამიტომ, ბიოლოგიურ ინფორმაციას, მანქანურ ინფორმაციას, სოციალურ ინფორმაციას, არაფერი აქვთ საერთო, გარდა კომუნიკაციისა და ასახვის შესახებ ბუნდოვანი ასოციაციისა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ლოგიკიდან გამომდინარე, ინფორმაციას „სამუდამო განუსაზღვრელობად", თავისებური „გონების ყავარჯნად" მიიჩნევენ, რომლის მეშვეობით ხორციელდება ფარდობითი ჭეშმარიტებიდან აბსოლუტურ ჭეშმარიტებამდე მისვლა.

არსებობენ ავტორები, რომლებიც ინფორმაციის უარყოფასა და არსებობას შორის გარკვეული კომპრომისის მოძებნის მიზნით, არ უარყოფენ ინფორმაციის არსებობას, მაგრამ თვლიან, რომ ეს არის საწყისი და ამიტომ არ უნდა ვეცადოთ მის განმარტებას (გ. გოლდცმანი, ო. კორუენოვი და სხვა). არის ცნებები, რომელთა ახსნა არ ხერხდება უფრო მარტივი ცნებებით (მაგ: წერტილი, ასო)[2] ნ. მოისეევს მიაჩნია, რომ: 1). ინფორმაციის უნივერსალური განმარტება არამც თუ არ არსებობს, არამედ შეუძლებელიცაა. 2) ეს ცნება ერთგვარად „ისტორიულია."[3] მისი განმარტების აუცილებლობა მატერიალური სამყაროს განვითარების გვიან ეტაპზე წარმოიშვა. ინფორმაციის მნიშვნელობაზე საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ვ. კოპნინსა და ა. ბერგს. „ვერც კი მოასწრო ცოდნის ახალმა დარგმა – კიბერნეტიკამ – განვითარება, რომ მისი მეთოდისა და ენის, კერძოდ, ინფორმაციის ცნების გამოყენება დაიწყო ყველგან, ზოგჯერ აუცილებლობის გარეშეც",[4] ხოლო ა. ბერგმა კი ივარაუდა, რომ მე-20 საუკუნის ბოლოს, სამეცნიერო და პრაქტიკულ სინამდვილეში ენერგია კი არა, ინფორმაციის ცნება დაიკავებს პირველ ადგილს.[5]

[1] Соколов А.В. Информация: феномен? функция? фикция?/ Философ. науки. 1990, №9.

[2] იხ: Гольдман М. и др. Информация вокруг нас./Информація и образование. 1990, №1, с. 26-38.

[3] Моисеев Н.Н. Человек и ноосферо. М. 1990, с. 15.

[4] Копнин В.П. Гносеологические и логические основы науки. М. 1974, с. 37.

[5] Берг А.И. и др. Управление, информация, интелект. М. 1976, с. 76.

ცნობილი მეცნიერი ა. აინშტაინი ინფორმაციას ენერგიასთან, სუპერველთან აიგივებს და მას (ინფორმაციას) ყველა ფიზიკური ველის ინტეგრალურ ნაწილად მიიჩნევს. ამ თეორიის შექმნას (ერთიანი ველი) მეცნიერმა მთელი დარჩენილი სიცოცხლე მიუძღვნა, თუმცა, ეს ამოცანა მაინც ვერ გადაჭრა.

აღმოსავლურ ეზოთერულ სწავლებაში ინფორმაციულ ველს, სუპერველს, ეზოთერიკის თანამედროვე ექსპერტთა მიხედვით გლობალურ საინფორმაციო ველს შეესაბამება „ჩი“ ან „ცი“ ენერგია. გარე სამყაროს ყველა საგანი შედგება „ცის“ ტრანსფორმაციისაგან. ცოცხალთა, მათ შორის ადამიანთა სხეულშიც, „ცის“ გარკვეული ტრანსფორმაცია „ერთგვარი ცხოვრებისეული ენერგიის“, ბიოენერგიის (ბიოლოგიური ინფორმაციის მატარებლის) როლს ასრულებს.[1]

მე-20 საუკუნის ბოლოს კიდევ ერთხელ დაისვა შეკითხვა არის თუ არა ინფორმაცია „ზოგადი აბსტრაქცია“, „გონების ყავარჯენი“, „სამუდამო განუსაზღვრელობა“ ან თუნდაც საწყისი წერტილი? მეცნიერების სხვადასხვა დარგების განვითარებამ თითქოს თავისუფლად გასცა ამ კითხვებს პასუხი:

სიცოცხლე, დაწყებული დნმ-ს მოლეკულებიდან, მაღალგანვითარებულ ინდივიდამდე, ნივთიერებისა და ენერგიის მოხმარების უწყვეტ პროცესს წარმოადგენს (ასიმილაცია, დისიმილაცია). ეს პროცესი მართვადი და რეგულირებადია (მეტაბოლისტური გზა), რაც უჯრედში შენახული „რაღაცით“ და ჰოლოგრაფიული კოდით (პროგრამით) ხორციელდება. ეს ეხება იმ უჯრედებს, რომელთაც რეპროდუქციის ფუნქცია აქვთ, უჯრედთა მეორე ნაწილს (ნეირონები), რომლებიც მართვის ფუნქციაზე არიან ორიენტირებულნი, სხვადასხვა სიხშირის იმპულსების და ამპლიტუდების სახით, შიდა და გარე ზემოქმედების მიღების თვისება გააჩნიათ. ამ თვისების გამო ისინი იმახსოვრებენ ზემოქმედების კვალს ნიშნის (ტექსტი) სახით, „შეაფასებენ“, ან ახდენენ ამ ნიშნების ზემოქმედების ინტეპრეტაციას საკუთარი მოთხოვნებიდან გამომდინარე და რეაგირებენ მმართველი სიგნალის სახით. ტერმინებში: კოდი, პროგრამა, იმპულსი, სიგნალი, ნიშანი და ა. შ. იგულისხმება „რაღაც“, რაც მათ უკან დგას. თვითონ ეს ტერმინები ამ „რაღაცის“ მატარებლები არიან. ასე, რომ „რაღაც“ – ეს ცოცხალი სისტემის თვისებაა, აღიქვას ფიზიკური ზემოქმედება ნიშნების სახით, შეუთავსოს კოდს და გამოიმუშავოს პასუხი (იმპულსი), რომელიც სხვადასხვა რეაქციას იწვევს. მსგავსი პროცესები, ანუ „რაღაცის“ გადაცემა ამ სისტემათა ორგანიზაციის ყველა დონეზე ხდება და უმნიშვნელო „ჩავარდნაც“ კი მათი სიცოცხლისუნარიანობის

[1] Сэоїі Ци. Хуэй. Тайцзи и методы продолжения жизни. Л. 1991, с. 32.

სერიოზულ დარღვევას, მუტაციას, განვითარების შეჩერებას, ზოგჯერ განადგურებასაც იწვევს. ამასთან, ამ „რაღაცის" არსში ჩადებულია შინაარსობრივი მომენტი. სწორედ ამის საფუძველზე მეცნიერებმა „რაღაცის" აღმნიშვნელად დაამკვიდრეს სახელწოდება „ინფორმაცია" და იგი იმდენად მრავალმხრივი ობიექტი გახდა, რომ მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოზიციებიდან განხილვის საგნად იქცა.

ასე რომ, ინფორმაცია არ არის „ზოგადი აბსტრაქცია", „განუსაზღვრელობის საზომი" ან, თუნდაც, „გონების ყავარჯენი", ის ნამდვილად არის „რაღაც". მაგრამ რა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კიდევ რამდენიმე დეტალზე უნდა შევჩერდეთ. კერძოდ, ინფორმაციის თვისება, თავისებურება და მონაცემთა ურთიერთზემოქმედება.

ი. ბაჩილოს, ვ. ლოპატინის, მ. ფედოტოვის მიერ გამოცემულ ინფორმაციული სამართლის სახელმძღვანელოში მოცემულია ინფორმაციის შინაგანი და გარეგანი დახასიათება.

შინაგანი ინფორმაცია – როგორც სისტემის ორგანიზებულობის მახასიათებელი, არის ის, რასაც არისტოტელე „ენტელეხიას" უწოდებს, ხოლო თანამედროვე მეცნიერებაში განმარტებულია, როგორც სისტემის ორგანიზაციის ღონისძიება (სტრუქტურული ინფორმაცია). სტრუქტურული ინფორმაცია ცოცხალი და არაცოცხალი, ხელოვნური და ბუნებრივი წარმოშობის ყველა ობიექტისთვის არის დამახასიათებელი და წარმოიშობა გარე სამყაროსთან ზემოქმედებისას გარკვეული სტრუქტურული ცვლილებების ფორმით, სისტემაში შერჩევისა და ფიქსაციის გზით.

გარე ინფორმაცია – როგორც სისტემის ორგანიზაციის საშუალება, არის ის, რასაც არისტოტელე „კინესისს" უწოდებს, ხოლო თანამედროვე მეცნიერებაში განმარტებულია, როგორც „შეფარდებითი ინფორმაცია", ან სამუშაო ინფორმაცია და იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ასახვასთან. მაგალითად: თუ ობიექტ „ა"-ში ხდება ცვლილება ობიექტ „ბ"-ს ზემოქმედების ასახვით, მაშინ პირველი ობიექტი არის მეორე ობიექტის ინფორმაციის მატარებელი.[1]

ბოლო დროს ფილოსოფიური კატეგორიებიდან ინფორმაციის გამოყენება საკმაოდ პოპულარული გახდა, რადგან ინფორმაციული მიდგომით ხშირად ცდილობენ, ახსნან და გაანალიზონ სხვადასხვა მოვლენები. ბოლოს და ბოლოს ინფორმაცია, როგორც განუსაზღვრელობის საზომი, გახდა სივრცეში მატერიისა და ენერგიის არაერთგვაროვანი განაწილების, მოწესრიგებულობის, სისტემათა სხვადასხვაობის, სირთულისა და ორგანიზებულობის საზომი. ინფორმაცია

[1] Бачило И.Л, Лопатин В.Н, Федотов М.А. Информационное право; Санкт-Петербург, 2001, с. 30-31.

ობიექტურ რეალობად იქცა და იგი განიხილება არამარტო, როგორც თვითრეგულირებადი სისტემების ფუნქცია (ფუნქციონალურ-კიბერნეტიკული კონცეფცია), არამედ, როგორც ერთ-ერთი ძირითადი თვისება მატერიისა (ატრიბუტული კონცეფცია).

ფუნქციური და ატრიბუტული კონცეფციის წარმომადგენლები ინფორმაციის ფენომენს განიხილავენ, როგორც ობიექტურად არსებულს, როგორც დამოუკიდებელ სუბსტანციას, რომელიც შესაძლებელია უშუალოდ იქნეს აღქმული, დამუშავებული, გადაცემული და ა. შ. როგორი სხვადასხვა შინაარსიც არ უნდა აღინიშნოს ამ ტერმინით, ყველა შემთხვევაში ესაა შინაარსი, უეჭველი ობიექტურობა, რეალობა.

მართალია, ინფორმაცია ჯერ არავის დაუნახავს, როგორც სუბსტანცია, მაგრამ ეს იმიტომ, რომ იგი იდეალურია. ეს არის შემეცნების აქტი, რომელიც რეალური სამყაროს განცდას ბადებს. დ. დუბროვსკის აზრით, ეს არის სუბიექტური რეალობა.[1] მაგრამ ამ რეალობის ყველანაირი განსაზღვრება კონკრეტულ შემთხვევაში ბურუსითაა მოცული, რაც იმ ავტორთა სუბიექტური აზროვნების შედეგი კი არ არის, რომლებიც ასეთი განსაზღვრების მოძებნას შეეცადნენ, არამედ საუკუნეების განმავლობაში იდეალურის არსის, ფსიქოლოგიური ცნობიერების არასრულყოფილი ახსნის შედეგია. ამ შემთხვევაშიც აზრთა ფართო დიაპაზონთან გვაქვს საქმე – აბსოლუტური იდეის პირველადობისა და ნივთიერის მეორადობის მტკიცებიდან იდეალური სამყაროს სრულ უარყოფამდე (ცნობიერება, აზრი, ასევე მატერიალურია, აზრი მოდის ტვინიდან, აზრი – ეს ველია და ა. შ.)

ინფორმაციის რეალობასთან კავშირის დადგენა ინფორმაციის ფორმის განსაზღვრებას უკავშირდება (ამ შემთხვევაში ინფორმაციის გამოხატვის ფორმა არ იგულისხმება), რომელიც თავისთავად ამ ფენომენის (ინფორმაციის) ტრანსცედენტულობის ბაზისს ემყარება. ე. ი. ხდება ლოგიკური ან ენობრივი სტრუქტურების პროვოცირება. ასე, რომ ინფორმაცია ობიექტურ რეალობასთან კი არ არის კავშირში, არამედ ფაქტებთან (მოვლენებთან), ხოლო ყველა ფაქტი ლოგიკური ან ენობრივი სტრუქტურის პროვოცირების შედეგია. ობიექტურ რეალობას შეფასება არ გააჩნია. მასზე არავინ იტყვის, რომ დადებითია ან უარყოფითი. ამიტომ, დასმულ კითხვაზე, რა არის ის „რაღაც", რასაც ინფორმაციას ვუწოდებთ, პასუხი ერთია: ინფორმაცია არის ის, რასაც ფაქტებისა და მოვლენების შეფასებისათვის ვიყენებთ. სწორედ შეფასების ელემენტებია ცნობა და მონაცემი. ცნობა, რომელიც გარე სტრუქტურას ახასიათებს, ხოლო მონაცემი – შიდა სტრუქტურას. აქედან გამომდინარე, ერთობლიობაში ეს არის ხდომილებათა სისტემა,

---

1 Дубровский А.И. Проблемы идеального. М. 1993, с. 228.

რომელიც წარმოადგენს ობიექტურ სამყაროზე ლოგიკური ან ენობრივი სტრუქტურების პროეცირების შედეგს და განპირობებულია აზროვნების ან ენის ტრანსცენდენტულობის ბუნებით. ე. ი. ინფორმაციის განმარტებაში პირველ ადგილს დაიკავებს ისეთი შინაარსობრივი მახასიათებლები, როგორებიცაა „ცნობა", „მონაცემი".

ცნების სრულყოფილებისათვის აუცილებელია ის კრიტერიუმებიც, რომლებიც ინფორმაციის ფიქსაციის შესაძლებლობას იძლევა. ასეთ კრიტერიუმებად მიჩნეულია:

1. ინფორმაცია – ადამიანთა ყოფის კომპონენტთა ისეთი რეალობაა, რომელიც იდეალურის სფეროს განეკუთვნება და ორგანული სამყაროს ყველა სუბიექტის განვითარებასა და ფუნქციონირებას განსაზღვრავს. იგი არაა „სამუდამო განუსაზღვრელობა".

2. ინფორმაცია მატერიალური არაა, მაგრამ შეიძლება მატერიალურ მატარებელზე იყოს დაფიქსირებული.

3. ინფორმაცია უშუალოდაა დაკავშირებული სივრცობრივ-დროითი კოორდინაციის მატარებელ ორგანულ სტრუქტურებთან, მაგრამ თვითონ სივრცისა და დროის გარეშეა.

4. ინფორმაცია წარმოიშობა შემეცნებითი სუბიექტის (რეციპიენტი) მიერ, კოდის (ნიშნის) მიღების და ინტერპრეტაციის პროცესში.

5. ინფორმაციასთან ყველაზე ახლოს მდგომ ტერმინს, სამეცნიერო და ყოფით ენაზე „ცოდნა" წარმოადგენს, რომელიც დაფუძნებულია ორგანული სტრუქტურების თვისებაზე – დაიმახსოვრონ გარე სამყაროს ზემოქმედება საკუთარი ინტერესებისათვის შემდგომი ზემოქმედების მიზნით.

6. ინფორმაცია თავისი მრავალმხრივობის მიუხედავად, მაინც არ არის სუფთა აბსტრაქცია. უფრო კონკრეტულად – ინფორმაციაში იგულისხმება არა ყველა ცნობა, არამედ ის, რომელიც ახალია და გადაწყვეტილების მისაღებად სასარგებლოა.

7. ინფორმაციას ახასიათებს ღირებულება. ღირებულება დაკავშირებულია მის საჭიროებასთან ე. ი. ცნობა და მონაცემი ინფორმაციის შინაარსში რომ მოიაზრებოდეს, ხაზი უნდა გაესვას მის სარგებლიანობას, მიზანს, საჭიროებას.

ინფორმაციის ცნების დასაზუსტებლად აუცილებელია ცნობებისა და მონაცემების განხილვა არა სტატიკურ, არამედ დინამიკურ მდგომარეობაში, რაც **შეტყობინების** მოდელითაა ცნობილი. ცნობათა შეტყობინება ზოგიერთი ავტორის მიერ „ასახვასთან" არის გაიგივებული. ასახვა – აზრის გარკვეულ ინტელექტუალური პროდუქტია, მაგრამ არ არის გამოხატული სიტყვის, ჟესტიკულაციის, ბგერის და ა. შ. სახით. ამ თვისების მატარებელია სუბიექტი, რომელსაც იგი წარმოექმნა. ასახვა ინფორმაციული პროდუქტია, რომელსაც აჩვენებს თავის

თავს („ლომი ზოოპარკში"), საკუთარი თავისგან განსხვავებულს – ნიშანს (სიტყვა „ლომი"), ნიშნის ნიშანს – სიმბოლოს (ნიშანი, რომელიც ცნობილი არ არის რას გამოხატავს). ამ ცნებათა გადაკვეთით შემდეგ დებულებას ვღებულობთ: გამოსახულება ასახავს რაღაც სხვას, მაგრამ არა თავისი თავის მსგავსს (ლომის სურათი);

სამართლის სისტემაში ასახვის მოდელი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ: მოქალაქე, რომელსაც არანაირი შემხებლობა არ ჰქონია საკონსტიტუციო სასამართლოსთან, ამ ორგანოს შესახებ კანონის წაკითხვის შემდეგ, იღებს მნიშვნელოვანი ოდენობის მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში მოცემულ ცნობათა ოდენობა შეიძლება კიდეც განისაზღვროს, მაგრამ თუ ამ კანონს გამოქვეყნების შემდეგ მისი ავტორები წაიკითხავენ, ისინი მხოლოდ უმნიშვნელოდ შეავსებენ თავიანთი ცოდნის მარაგს (რადგან შინაარსი მათთვის უკვე ცნობილია).

ამგვარად, ინფორმაცია დაკავშირებულია ასახვასთან, მაგრამ ისინი განსხვავებული ცნებებია. ასახვისათვის მნიშვნელობა არ აქვს გამოიყენება თუ არა ცნობა რაიმე ამოცანის გადასაწყვეტად. ინფორმაციისათვის კი პირიქით. ასახვა მოიცავს ინფორმაციას, მაგრამ არ ემთხვევა მას. თუ ასახვა შეიძლება დამოუკიდებლად არსებობდეს, ინფორმაცია ასახვის გარეშე არ არის. ამასთან ინფორმაცია დაკავშირებულია აქტიურ ასახვასთან, აქტიური ასახვა კი შეუძლია მხოლოდ დასრულებულ ინფორმაციულ წარმონაქმნს. ასახვა ინფორმაციის რეცეფციის ელემენტია.

ინფორმაციის ცნებასთან დაკავშირებულია **ინფორმაციული შეცდომები.** ობიექტი ინფორმაციულ ელემენტთა განუსაზღვრელი ოდენობის სისტემას წარმოადგენს, სუბიექტი კი შეიძლება აკვირდებოდეს ელემენტთა განუსაზღვრელ ოდენობას. ამიტომ დაკვირვების შედეგი ყოველთვის ერთნაირი არ არის. დაკვირვებისა და აღქმის დროს ინფორმაციული შეცდომებია:

1.დაკვირვების შედეგის სიზუსტე მხოლოდ გარკვეული ხარისხით **(სისტემური შეცდომა)**

2. სუბიექტი შეიძლება რაღაცას ვერ ხედავდეს **(ბურუსი)**;

3. სუბიექტი შეიძლება აკვირდებოდეს იმას, რაც სინამდვილეში არ არის **(მირაჟი)**;

ინფორმაციის მოხმარებისა და გამოყენების პროცესში ინფორმაციული ხასიათის შეცდომები იწოდება: ფსევდოინფორმაციად და დეზინფორმაციად.

დეზინფორმაცია (ანუ ცრუ ინფორმაცია) შეიძლება იყოს გამოგონილი, ბურუსით მოცული ან დამახინჯებული. **ფსევდოინფორმაცია** – ნაკლული ან განზრახ დამახინჯებული.

ფსევდოინფორმაციასა და ობიექტური სინამდვილის ამსახავი ცნობების სწორად შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მტკიცებულებათა გამოკვლევისას. ამიტომ, ინფორმაცია, როგორც შინაარსი, ასახვის მომენტში სამ დონეზე უნდა იქნეს განხილული – სემანტიკურ, სინტაქსურ (ზედაპირულ) და პარადიგმატულ (შედარებით სიღრმისეულ) დონეზე. აზრის სწორად ჩამოყალიბებაში მონაწილეობს სამივე დონე, ხოლო თუ პარადიგმა არ არსებობს, ანუ ასახვა მიმდინარეობს სემანტიკურ და სინტაქსურ დონეზე, მაშინ ასახვა არასრულფასოვანია. მართალია, ინფორმაცია პარადიგმის გარეშე მაინც აისახება და ამა თუ იმ ზომით გამოიყენება, მაგრამ ეს უკვე სუბიექტის მიზანს უკავშირდება. ფსევდოინფორმაციისა და დეზინფორმაციის გავრცელება იმ პირის მიერ, რომელმაც არ იცოდა ამის შესახებ, დანაშაულის შემადგენლობის განხილვას უკავშირდება და მიზანის, მიზეზის და შედეგის გათვალისწინებით, ასეთი ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილების პროფილაქტიკურ ღონისძიებებსაც გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში კარგად ჩანს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების სუბიექტთა ინფორმაციის დაცვის მოვალეობა და შესაბამისი პასყხისმგებლობის დანესების აუცილებლობა.

ინფორმაციის ფილოსოფიური და დარგობრივი განმარტებების გვერდით ამ ფენომენის სამართლებრივი ცნება იმ „რაღაცას“ უკავშირდება, რომელიც შესაძლებელია სამართლებრივი ურთიერთობის საგნობრივ სფეროში მოექცეს. იურიდიულმა ლექსიკამ „რაღაცის“ უკან დაამკვიდრა შინაარსი. ყველა ქვეყნის იურიდიული პრაქტიკა (ნორმატიულ აქტებში) ინფორმაციის მსგავს ტერმინად გამოიყენებს ცნობას, მონაცემს. რაც შეეხება შეტყობინებას, ესაა პროცესი, რომლის დროს ინფორმაციის ცირკულაცია ხდება და ეს პროცესი სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტში მოიაზრება.

სამართლებრივი თვალსაზრისით: ინფორმაცია არის ცნობა, მონაცემი, რომელიც შეტყობინების პროცესში (მიღება, დამუშავება, შენახვა, გადაცემა და სხვა) სამართლებრივი ურთიერთობის საგანს წარმოადგენს და შეიძლება გახდეს რაიმე ვალდებულების წარმოშობის ან შეწყვეტის საფუძველი. განხილვის ობიექტი პირველ რიგში ის ცნობა ან მონაცემი უნდა იყოს, რომელიც კერძო ან საჯარო სამართლებრივი ინტერესებიდან გამომდინარე საზოგადოებრივ ბრუნვაშია და რეალურ გარემოებათა აღქმისათვის საჭირო ინფორმაციას იძლევა.

1.2. ინფორმაციული საზოგადოება. ადამიანი, ინფორმაცია და საზოგადოება.

ინფორმაციულ საზოგადოებას ინფორმაციის მასობრივი გავრცელებისა და მოხმარების პროცესში ჩაეყარა საფუძველი. ინფორმატიკის ერთ-ერთი „მამა" – ჰაროლდ ა. ინნი დასავლური საზოგადოების განვითარების საფუძვლად ინფორმაციის მასობრივ საშუალებებს მიიჩნევს, რადგან ინფორმაციული რესურსების ეფექტური გამოყენება ნედლეულის, ენერგიის, სოციალური დროის, ადამიანთა შრომის და სხვა რესურსების ეკონომიას ივეევს. შემთხვევითი არც ისაა, რომ „ინფორმაციული საზოგადოების" ცნებაში ხშირად მასობრივი ინფორმაციის სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკას მოიაზრებენ. თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ ინფორმაციული საზოგადოება უფრო ფართო ცნებაა.

ინფორმაციული საზოგადოება, განვითარების მიხედვით, სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს:

1.მასმედიური ინფორმაციული საზოგადოება;

2.კომპიუტერული ინფორმაციული საზოგადოება;

3.ქსელური ინფორმაციული საზოგადოება.

ამ მოდელის დასავლურ კონცეფციათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ესაა „პოსტინდუსტრიული საზოგადოება", რომელსაც დამახასიათებელი ფორმალური კრიტერიუმები გააჩნია: 1). ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებაში მთელი შრომითი რესურსების 50%-ის დაკავება; 2). გლობალური ტელესაკომუნიკაციო სისტემების შექმნა; 3). „ცოდნის კულტურის" აღიარება, რომელიც დაუპირისპირდება „ფულის კულტურას" (ინდუსტრიული საზოგადოების მთავარი პოსტულატი).

თუ ამ კრიტერიუმებით ვიმსჯელებთ, პოსტინდუსტრიულ ინფორმაციული საზოგადოებისათვის ჯერ აშშ-სა და იაპონიასაც არ მიუღწევია. ეს სახელმწიფოები კი ევროპის ქვეყნებთან ერთად „ინფორმაციული საზოგადოების" ქვეყნებად ითვლებიან. ამიტომ, „ინფორმაციული საზოგადოება" უნდა განვიხილოთ დინამიკაში და არა როგორც საბოლოო, დასრულებული სისტემა.

1995-იანი წლებიდან დაიწყო ინფორმაციულ-ტექნიკური რევოლუცია, გამოიკვეთა საერთაშორისო ინფორმაციული სივრცის შემდგომი განვითარების ახალი მიმართულებები. ევროკავშირი ახორციელებს ევროპის ინტეგრირებული ინფრასტრუქტურის შექმნას (ამერიკული კონცეფციის „ინფორმაციული მაგისტრალის" საფუძველზე). აშშ-ს დოკუმენტებში ოფიციალურად დგას საკითხი ერთიანი გლობალური ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შესახებ („ობობას"

კომპიუტერული ქსელების მეშვეობით ყველა სახელმწიფოს, ადამიანთან დაკავშირების პროგრამა).[1]

ერთ დროს არსებული საბჭოთა კავშირის საინფორმაციო სივრცის დარღვევამ დსთ-ს ქვეყნები „საინფორმაციო ბაზრისაკენ" ახალი გზების ძიების პრობლემის წინაშე დააყენა. 1996 წლის 17 ოქტომბერს დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა საბჭომ მიიღო თანამეგობრობის ქვეყნების ინფორმაციული სივრცის კონცეფცია.

კონცეფციის ძირითადი პრინციპებია:

1. ინფორმაციის გაცვლის თანასწორობა.

2. თანამეგობრობის ქვეყნების ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარებაში სახელმწიფოთა მონაწილეობის მიზანშეწონილობა.

3. ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შენახვა, განვითარება და ეფექტური გამოყენება.

4. საერთაშორისო ნორმებისა და ეროვნული ინტერესების დაცვა ამ სფეროში თანამშრომლობის დროს და სხვა.

დღესდღეობით, ინფორმაციული საზოგადოების მშენებლობის პრიორიტეტების მიხედვით, მსოფლიო გეოგრაფიული რუქა შემდეგნაირად გამოიყურება: აშშ, კანადა – ტექნიკური იდეოლოგიის დამუშავების ლიდერი ქვეყნებია; ევროსაბჭო – საერთაშორისო ინფორმაციული სივრცის რეგულირების პრინციპებისა და სამართლებრივი ნორმების შემუშავების, ხოლო იაპონია – ქმნის მსოფლიო ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაში პერსონალური შეღწევის საშუალებებს (ტელევიზორი, კომპიუტერი, ქსელური მოდემი, ტელეფონი, ფაქსი და ა. შ) და უნივერსალურ კომუნიკაციებს.

როგორც ინფორმაციული საზოგადოების ინსტიტუტის პრეზიდენტს ი. მასუდას მიაჩნია, კაცობრიობის მიერ დაგროვილი ინფორმაციის ერთად გამოყენება მიგვიყვანს ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობამდე, სადაც მთავარ როლს საკუთრების უფლება კი არ ითამაშებს, არამედ სარგებლობის უფლება.[2]

ინფორმაციით სარგებლობის უფლების პროგნოზირებული პრიორიტეტი, საკმაოდ მზარდი ტემპით განვითარდა და იგი ინფორმაციასთან თავისუფალი დაშვების ტოლფასია.

ანალიტიკოსთა უმრავლესობა გლობალიზაციის პროცესს ინფორმაციული რევოლუციის განვითარებას უკავშირებს. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ დაკავშირებულია მსოფლიო ტექნოლოგიურ რევოლუციებთან:

---

[1] ხელმისაწვდომია ინტერნეტში. აშშ-ს სამთავრობო WEB გვერდზე http@-WWW. Inf she gov (სათაურით documents)

[2] Masuda J. The informacion society as past indestrial society; W 1981.

• 1456 წ. – საბეჭდი დაზგის გამოგონება იოჰან გუტენბერგის მიერ.

• 1876 წ. – სატელეფონო აპარატის გამოგონება ალექსანდრ ბელის მიერ.

• 1895 წ. – რადიოს შექმნა (ა. პოპრუი; ჰ. ჰერცი; ჰ. მარკონი).

• 1900–1930 წწ. ტელევიზიის შექმნა: გამოსახულების თანმიმდევრული გადაცემით (პ. ბახმეტევი და ა. დი პაივა), კინოსკოპის გამოგონებით (ვ. ზვორიკინი, ფ. ფარნსუორტი, ა. სუინტონი, ა. ადამიევი, ვ. გრაბოვსკი, ს. კატაევი და სხვა), რეგულარული ტელევიზიით (1936 წ. – დან დიდი ბრიტანეთი, გერმანია, 1939 წ. – რუსეთი, 1941 წ. – აშშ).

• 1945 წ. – ელექტრულ გამომთვლელი მანქანის შექმნა პელსივანიელი მეცნიერების ჯ. მოკლისა და დ. ეკერტის მიერ.

ამ ტექნოლოგიურმა რევოლუციებმა ხელი შეუწყო ინფორმაციული რევოლუციის განვითარებას, რომელიც ასევე რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს:

პირველი ეტაპი, XX საუკუნის 1950-იანი წლებიდან იღებს სათავეს, როცა პირველი გამოთვლითი მანქანები შეიქმნა რთული ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

მეორე ეტაპი, უკავშირდება პერსონალური კომპიუტერების მასიურ გამოყენებას. 1974 წ. ამერიკულ ფირმა „ MITS“-ის მიერ გამოშვებული იქნა Altair 8800, რომელიც პირველ პერსონალურ კომპიუტერად არის მიჩნეული. 1980-იანი წლებიდან მასობრივ გაყიდვაში გავიდა Apple და ABM ფირმათა კომპიუტერები.

მესამე ეტაპი, 1990 წლებიდან ინტერნეტის ქსელის აღმოჩენას უკავშირდება და საინფორმაციო კომუნიკაციებისა და ქსელების ეტაპად იწოდება.

საწყისს ეტაპზე, ინფორმაციული საზოგადოება ივარაუდებოდა, როგორც ისეთი საზოგადოება, რომლის თითოეულ წევრს შესაძლებლობა ექნებოდა მიეღო მოთხოვნილი ინფორმაცია სადაც უნდოდა და რა დროსაც უნდოდა. 1980-იანი წლებიდან დღემდე ინფორმაციულ საზოგადოებაზე ობიექტური შეხედულებები სერიოზულად შეიცვალა. დღევანდელ ინტერპრეტაციებში ვხვდებით საზოგადოებაზე ინფორმაციული რევოლუციის ზემოქმედების კომპლექსურ შეფასებას.

ამ შეხედულებების გათვალისწინებით ინფორმაციული საზოგადოების შემდეგი ძირითადი ნიშნები შეიძლება გამოვყოთ:

1. საინფორმაციო და ტექნოლოგიური ბაზრის ფორმირება ტრადიციულ ბაზართან ერთად (შრომისა და ნედლეულის ბაზარი).

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარი ერთ-ერთ დინამიურად განვითარებადი ბაზარია. ტელეკომუნიკაციების მსოფლიო ბაზარს შემოსავლის სახით 510 მლრდ.

დოლარი მოაქვს წელიწადში. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ყოველწლიურად პლანეტის ყველაზე მდიდართა სიაში ხშირად წარმოდგენილია მასმედიისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნესით დაკავებული ადამიანები.

ახალი ინფორმაციული საზოგადოების განსხვავება ტრადიციულისაგან ისიცაა, რომ მას განსაკუთრებული სექტორი გააჩნია. ესაა ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, შენახვა, გავრცელება.

2. საზოგადოებრივი და პირადი მოხმარებისათვის საჭირო საინფორმაციო რესურსებისა და მომსახურების ზრდა.

ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები შესაძლებლობას იძლევა გაიზარდოს მოქალაქეთა უფლებები სხვადასხვა ინფორმაციასთან მომენტალური დაშვების შესაძლებლობით; თითოეულმა ისარგებლოს საკომუნიკაციო საშუალებებით, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის შედარებით სწრაფ და კონფიდენციურ გაცვლას; ყველამ გამოიყენოს ოპერატიული კომუნიკაცია, როგორც საზოგადოების თითოეულ წევრთან ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებთან მიმართებაში, მათი ადგილსამყოფელის მიუხედავად; არა მარტო მოიხმაროს, არამედ აქტიურად აწარმოოს ინფორმაცია.

3. მაღალი სამართლებრივი კულტურის არსებობა საზოგადოებაში და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დაცვა;

4. ერთიანი მსოფლიო ინფორმაციული სივრცის ფორმირება და ურთიერთკავშირების გაღრმავება, რომელიც ობიექტურ-ისტორიული კანონზომიერებაა მსოფლიო მოძრაობისა გლობალური საინფორმაციო სივრცისაკენ;

5. ქვეყნის ერთიანი ინფორმაციული სივრცის შენახვა;

6. ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მოთხოვნილების ზრდა. ეფექტური სამართლებრივი ბაზის შექმნა საინფორმაციო სფეროში პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დასაცავად მათი ბალანსირების უზრუნველყოფით.

ინფორმაციული საზოგადოებისაკენ მოძრაობა გარდაუვალია, რაც თანმიმდევრულ და ხანგრძლივ პროცესს გულისხმობს. არათანაბარი ეკონომიკური განვითარებიდან გამომდინარე, ამ მოძრაობის გზები და მარშრუტები სხვადასხვა ქვეყნისათვის სხვადასხვაა. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ სახელმწიფოთა ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ზოგადი პრინციპები ერთმანეთს ემთხვევა, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაც არსებობს. ამ განსხვავების გათვალისწინებით და საერთო პრინციპების საფუძველზე ინფორმაციული საზოგადოების აგების რამდენიმე მოდელი შეიძლება გამოვყოთ:

1. კონტინენტური ევროპის მოდელი. ეს მოდელი სახელმწიფოსა და ბაზრის მხრიდან კონტროლის ბალანსირებას, სახელმწიფოსა

და საბაზრო ძალების დინამიურ შერწყმას ეფუძნება, რომელთაგან თითოეული მათგანი შეიძლება იცვლებოდეს დროში. ევროპულ მოდელს თავისებურებები გააჩნია: მომსახურების პირველ რიგში განვითარება, უნივერსალური მომსახურების უზრუნველყოფა, პირადი ინიციატივის მარეგლამენტირებელი მკაცრი კანონმდებლობა, ყოველდღიურ ურთიერთობებში მოსახლეობის პრაქტიკულ ინფორმირებაზე და არა გართობაზე ორიენტირებულობა. ამ მოდელის შიგნით ორი უკიდურესობა არსებობს. ესენია:

ა). შვედური მოდელი, რომლის მიხედვით მთავარი აქცენტი მომსხურეობაზეა გადატანილი, ხოლო ტელეკომუნიკაციათა ლიბერალიზაცია განვლილ ეტაპს წარმოადგენს.

ბ). ფრანგული მოდელი, რომლის მიხედვით შენარჩუნებულია სახელმწიფოს ძლიერი როლი ტექნიკურ უზრუნველყოფაზე აქცენტირებით.

2. ამერიკულ-ინგლისური მოდელი. ეს მოდელი ეფუძნება ინფორმაციული ტექნოლოგიების სრულ ლიბერალიზაციას. სახელმწიფოს როლი მინიმუმამდეა დაყვანილი, ხოლო კერძო პირთა საქმიანობა – მაქსიმუმამდე. სახელმწიფოს როლი კონკურენტული გარემოს დაცვაა. იდეოლოგიის საფუძველი – ტექნიკურ უზრუნველყოფაზე აქცენტირება: ქსელებისა და ინფორმაციული სუპერმაგისტრალების შექმნა. ამ ქვეყნების კანონმდებლობა მოქნილობით ხასიათდება.

3. აზიური მოდელი. ეს მოდელი გარკვეულ წილად გარდამავალია, რადგან მას საფუძვლად უდევს სახელმწიფოსა და მეწარმის თანამშრომლობა ამ სფეროში. სახელმწიფო მონაწილეობს კერძო სექტორის მხრიდან დაბანდებების გადაწყვეტილებათა მიღებაში. ამასთან, სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს მატერიალური და სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნაში. ეს მოდელი მართვის განსაკუთრებულ სტილს, სხვაგვარ კორპორაციულ კულტურას, სუბკონტრაქტორთა მრავალფეროვან სისტემას, ორგანიზებულ და იერარქიულ პირამიდას გულისხმობს. განსაკუთრებული ყურადღება ინფორმატიზების პროცესში ექცევა მოსახლეობის ყოველდღიურ საჭიროებას, ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვას.

რუსეთი, ზემოდასახელებულ არც ერთ მოდელს არ განეკუთვნება და თითქმის მათგან განცალკევებით არსებობს. მას გარდამავალი ადგილი უკავია ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებსა (თურქეთი, მექსიკა, არგენტინა) და განვითარებულ ქვეყნებს შორის.

საქართველო ამ თვალსაზრისით საკმაოდ ქაოსურ სიტუაციაშია. მას მოუწევს არჩევანის გაკეთება გეოპოლიტიკური და ისტორიულ-ეროვნული ტრადიციების შენარჩუნების გათვალისწინებით. თუმცა დასკვნა ერთია, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტენსიური

განვითარება დროის მნიშვნელოვანი გამოძახილია. ქვეყნები, რომლებიც ამ ფაქტორს მხედველობაში არ მიიღებენ, შეაფერხებენ არა მარტო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, არამედ დარტყმის ქვეშ დააყენებენ საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესსაც.

მსოფლიო გამოცდილების შესწავლა და გამოყენება აუცილებელია საქართველოსთვის. ამისათვის საჭიროა ეფექტური ეროვნული ინფორმაციული სტრატეგიის შემუშავება (რომლისათვის საინტერესო დოკუმენტი იქნება საოკიანო ქარტია). საინფორმაციო საზოგადოებისაკენ საქართველოს წარმატებულ სვლას რამდენიმე პირობის დაცვა სჭირდება:

1. საქართველო მაღალი ტექნოლოგიების მწარმოებელი ქვეყანა არ არის, მაგრამ დიდი შესაძლებლობა აქვს ამ სფეროში სამეცნიერო და ინტელექტუალური პროდუქტის იმპორტისათვის კონკურენტული გარემოს შესაქმნელად, უზრუნველყოს სახელმწიფო სტრუქტურების საინფორმაციო გამჭვირვალობა; გაზარდოს ინფორმაციის მომხმარებელთა (თითოეული მოქალაქის) ცოდნა, რადგან ინფორმაციული რესურსების ფორმირების ტემპებზე უარყოფით გავლენას მოახდენს მომხმარებელთა არასაკმარისი აქტიურობა. ინფორმაციულმა საზოგადოებამ არა მარტო ინფორმაციული მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა შეძლოს, არამედ ინფორმაციის მომხმარებელთა საქმიანობის სტიმულირებაც.

2. შესამუშავებელია ღონისძიებათა სისტემა საინფორმაციო და კომპიუტერული ცოდნის გაღრმავებაზე; სასწავლო დაწესებულებებში სპეციალური საპროგრამო კურსების ჩართვასა და მის ფართო პროპაგანდაზე და ა. შ. ეს ყველაფერი სახელმწიფო პოლიტიკის პრეროგატივაა.

ასე, რომ ინფორმაციული საზოგადოება, როგორც მეტნაკლებად ორგანიზებული სოციალური სისტემა, გულისხმობს არა მარტო ინფორმაციის ბრუნვის მაღალ დონეს, არამედ ამ ურთიერთობათა რეგულირების მაღალ ხარისხსაც, მათ შორის ამ სფეროში სავალდებულო შეზღუდვებსაც, რაც პირველ რიგში სამართლებრივ საფუძველზეა შესაძლებელი.

1.3. ერთიანი ინფორმაციული სივრცე. ინფორმაცია და სახელმწიფო.

მეცნიერთა პროგნოზით, 21-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესები მსოფლიო პოლიტიკურ სურათის რადიკალურ ტრანსფორმაციას გამოიწვევს და სახელმწიფოს როლს ურთიერთკავშირების სისტემაში მეტნაკლებად შეცვლის. ჯერ კიდევ 1910 წელს ნორმან ანჯელი აცხადებდა, რომ ომი შეუძლებელი იქნება ეკონომიკური ურთიერთკავშირების გამო. პირველმა მსოფლიო ომმა ეს იდეა უკუაგდო. 60-70-იანი წლებში მოდერნისტები თვლიდნენ, რომ ტელეკომუნიკაცია და რეაქტიული ძრავები სამყაროს „გლობალურ სოფლად" აქცევენ და სწამდათ, რომ კლასიკური სახელმწიფო ადგილს უთმობს ტრანსნაციონალურ კორპორაციას, სოციალურ მოძრაობებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს. პიტერ დრაკერი, ტოფლერი, ესტერ დაისონი – ინფორმაციული რევოლუციის ეს აპოლეგეტები ამტკიცებენ, რომ იგი ბიუროკრატიული იერარქიის კრახს ან „მთავრობის ინფორმაციულ" იზოლაციას გამოიწვევს და დაამკვიდრებს ახალ ელექტრონულ ფეოდალიზმს. სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი როლი საზოგადოების და საერთაშორისო ცხოვრებაში და, რაც მთავარია, ამ საუკუნეში ეს როლი კიდევ უფრო გაიზრდება.

ინფორმაციის ეპოქაში, ერთიანი ინფორმაციული გარემო (სივრცე) სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამახასიათებელ ნიშნად და სავალდებულო პირობად იქცევა.

რა არის ერთიანი ინფორმაციული სივრცე, რა ნიშნები და რა სტრუქტურა ახასიათებს მას?

ერთიანი საინფორმაციო სივრცე, ერთის მხრივ, წარმოადგენს ინფორმაციული საზოგადოების წარმატებული ფორმირების წანამძღვარს და სავალდებულო ნიშანს, მსოფლიო ინფორმაციულ თანამეგობრობაში გაერთიანების აუცილებელ პირობას, მეორეს მხრივ – მთავარი პირობაა ქვეყნის ინფორმაციული სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა.

დღესდღეობით, „ერთიანი ინფორმაციული სივრცის" სამართლებრივი განმარტება არ არსებობს, თუმცა რუსეთში, ი.ბაჩილოსა და ვ. ლოპატინის, მ. ფედოტოვის „ინფორმაციული სამართლის" სახელმძღვანელოში ამის მცდელობა მაინც ჩანს. ავტორებს მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ერთიანი ინფორმაციული სივრცის ცნებაში გაგებული უნდა იყოს ინფორმაციული რესურსებისა და ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ერთობლიობა, რომელიც ერთიანი პრინციპებისა და საერთო

წესების საფუძველზე უზრუნველყოფს სახელმწიფოს, ორგანიზაციის და მოქალაქის უსაფრთხო ინფორმაციულ ურთიერთზემოქმედებას, მათ თანაბარ დაშვებადობას ღია ინფორმაციულ რესურსებთან, აგრეთვე მათი ინფორმაციული მოთხოვნილების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მსოფლიო ინფორმაციულ სივრცესთან შერწყმის ინტერესებთან ბალანსირებითა და ეროვნული ინფორმაციული სუვერენიტეტის უზრუნველყოფით.

ქვეყნის ერთიანი ინფორმაციული სივრცის დამახასიათებელ ნიშნებს განეკუთვნება:

1. ერთიანი პრინციპებისა და საერთო წესების არსებობა ყველა ინფორმაციული სუბიექტისათვის სახელმწიფო რეგულირებისა და თვითრეგულირების საწყისების გააზრებული შერწყმით.

2. სახელმწიფოს, ორგანიზაციისა და მოქალაქის უსაფრთხო ინფორმაციული ურთიერთქმედების უზრუნველყოფით.

3. მათი ინფორმაციული მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

4. ღია ინფორმაციულ რესურსებთან სუბიექტთა თანაბარი დაშვება და მათი თანასწორობა კანონის წინაშე.

5. მსოფლიო ინფორმაციულ სივრცეში გაერთიანებისა და ეროვნული ინფორმაციული სუვერენიტეტის დაცვის ბალანსირება.

ერთიანი ინფორმაციული სივრცე ობიექტთა ერთობლიობას გულისხმობს, რომელთა შორის ძირითადია:

1. ინფორმაციული რესურსები – დოკუმენტთა მასივები, მონაცემთა ბანკები და ბაზები, ყველა სახის არქივები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები და ა.შ, რომლებიც შეიცავენ შესაბამის მატარებელზე დაფიქსირებულ ინფორმაციას.

2. ინფორმაციული ინფრასტრუქტურა – საინფორმაციო სისტემების ერთობლიობა, რომელიც თავის მხრივ შემდეგ ელემენტებს მოიცავს:

ა). ინფორმაციულ-სატელეკომუნიკაციო სტრუქტურა – სახელმწიფო და კორპორაციული კომპიუტერული ქსელები, სატელეკომუნიკაციო ქსელები და სპეციალური დანიშნულების სისტემები, მონაცემთა გადაცემის არხები და ქსელები, კომუნიკაციის საშუალებები და ინფორმაციული ნაკადის მართვა.

ბ). ინფორმაციულ-კომპიუტერული და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

გ). მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემები.

დ). ორგანიზაციული სტრუქტურები, რომელებიც უზრუნველყოფენ ერთიანი ინფორმაციული სივრცის ფუნქციონირებას. კერძოდ, ინფორმაციის შეკრება, დამუშავება, შენახვა, გავრცელება, გადაცემა.

საქართველოში ერთიანი ინფორმაციული სივრცის ფორმირება დასრულებული არ არის, ამიტომ, მისი შემდგომი განვითარება ქაოტურ ხასიათს ატარებს.

რა წარმოადგენს საქართველოში ერთიანი ინფორმაციული სივრცის ფორმირებისა და განვითარების მიზნებს?

ინფორმაციაზე კონსტიტუციით აღიარებული მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფა;

არსებულ ინფორმაციულ რესურსებთან ოპერატიული დაშვების უზრუნველყოფა და მათი ერთიან ინფორმაციულ სივრცეში ჩართვა;

დახურული ინფორმაციის პრეზუმფციიდან ღია ინფორმაციის პრეზუმფციაზე გადასვლა, რადგან ინფორმაციული მონოპოლია წარმოადგენს ბიუროკრატიზმის, ვოლუნტარიზმისა და კორუფციის მკვებავ საშუალებას.

სამართლებრივი შეგნების ამაღლება, მოქალაქეთა საქმიანი და საზოგადოებრივი აქტიურობის ზრდა, მათთვის იმ ნორმატიულ დოკუმენტებთან თავისუფალი დაშვების გზით, რომელიც მათ უფლებებს, მოვალეობებს და შესაძლებლობებს განსაზღვრავს.

საქართველოს ერთიანი ინფორმაციული სივრცის აგების საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების ინფორმაციული სივრცე. ამ უკანასკნელის საფუძველი კი ინფორმაციულ-სატელეკომუნიკაციო სისტემებია, რომელთაც შეუძლიათ საინფორმაციო მხარდაჭერა, როგორც ეკონომიკის მართვის სფეროში, ასევე პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოების სფეროში. მათი ინტეგრირების შედეგია ინფორმაციული რესურსები.

პრიორიტეტულ სახელმწიფო რესურსებს მიეკუთვნება:

სამართლებრივი ინფორმაცია;

სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის საბიუჯეტო ანგარიშები, რაც უზრუნველყოფს მათი საქმიანობის დემოკრატიული კონტროლის საშუალებას;

საგანგებო სიტუაციებზე, სახიფათო ბუნებრივ მოვლენებსა და პროცესებზე, ეკოლოგიურ, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე ინფორმაცია, რაც აუცილებელია მოქალაქეთა და საწარმოო ობიექტების უსაფრთხო არსებობისათვის.

სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაცია (საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ტექნიკური, ლიტერატურულ-მხატვრული, სამუზეუმო, საარქივო და სხვა).

სახელმწიფო საინფორმაციო რეგისტრი, რომელიც შეიცავს მონაცემებს სახელმწიფო, არასახელმწიფო და შერეული ინფორმაციული რესურსების მფლობელთა თაობაზე.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ინფორმაციული

რესურსები მმართველობის დროის მიხედვით იყოფა:

ა) მშვიდობიანი პერიოდისათვის ოპერატიული მართვის ინფორმაციული რესურსი (მონაცემთა ეკონომიკურ-სტატისტიკური ბანკები, მონაცემთა სპეციალიზირებული ბაზები საგანგებო სიტუაციისათვის, სამინისტროებისა და უწყებების მონაცემთა ბაზები);

ბ) პრობლემურ-საორიენტაციო ინფორმაციის რესურსი (ეს რესურსი ფორმირებული არ არის);

გ) განსაკუთრებული პერიოდის ინფორმაციული რესურსი.

სახელმწიფო ინფორმაციული რესურსის ფორმირების საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ინფორმაციულ მმართველობითი სისტემები, რომელთაც შესაბამისი ტერიტორიული ინფრასტრუქტურა გააჩნია და ორიენტირებულია სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებაზე.

ასეთი რესურსების ფორმირება **ქვეყნის ერთიანი საინფორმაციო სივრცის სამართლებრივი დაცვის პრობლემებს** წარმოშობს.

აღსანიშნავია, რომ დღეს არ არსებობს საქართველოს ინფორმაციული სივრცის ფორმირების მკაფიო სახელმწიფო პოლიტიკა, რომელშიც აისახება მასობრივი ინფორმაციის სისტემათა განვითარების, საერთაშორისო ინფორმაციული გაცვლის ორგანიზაციის და საქართველოს ინფორმაციული სივრცის მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში ინტეგრაციის ამსახველი საკითხები. არასაკმარისია საინფორმაციო სააგენტოებისადმი მხარდაჭერა მათი პროდუქციის საერთაშორისო საინფორმაციო ბაზარზე გასატანად. სერიოზული დარტყმა მიადგა ამ სფეროს სამეცნიერო და მწარმოებელ პოტენციალს, მათი მასიური გადინებით საქართველოდან. საკმაოდ ჩამორჩა ადგილობრივი საინფორმაციო ტექნოლოგიები, რაც ტექნიკის იმპორტის გზით ივსება და ეს დაუცველობის გამო დამუშავებულ ინფორმაციაზე არასანქცირებული დაშვების შესაძლებლობებს საკმაოდ ზრდის. უცხოური საინფორმაციო ტექნოლოგიების მასიურმა დანერგვამ, ღია ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური სისტემების ფართო გამოყენებამ, სამამულო ინფორმაციული სისტემის ინტეგრაციამ საერთაშორისო ინფორმაციულ სისტემებში, დაცვითი მექანიზმების გარეშე, საქართველოს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მიმართ „ინფორმაციული იარაღის" გამოყენების შესაძლებლობა გაზარდა.

ცალკეული უწყებებისა და ტერიტორიული ერთეულების მიერ გამოიყენება ადგილობრივი კონცეფციები და პროგრამები, თავიანთი ფუნქციებისა და ტერიტორიული ერთეულის მიხედვით, ინფორმაციული სივრცის შესაქმნელად. ხშირად ამ პროექტებისა და კონცეფციის ავტორები სხვადასხვა პოზიციაზე დგანან, არასისტემურად ყალიბდებიან, რასაც უარყოფითი შედეგი უფრო მოაქვს ვიდრე დადებითი.

ერთიანი ინფორმაციული სივრცის სამართლებრივი დაცვა პირველ რიგში უკავშირდება ინფორმაციულ უსაფრთხოებას: ინფორმაციის დაცვა, ინფორმაციისაგან დაცვა, საინფორმაციო სისტემების დაცვა. ასეთი დაცვის წესი და შინაარსი ცალკე განხილვის სფეროა. აქ შეიძლება მხოლოდ ის ზოგადი პრობლემები დავასახელოთ რომელიც ერთიანი ინფორმაციული სივრცის დაცვის განხორციელებასა და ორგანიზაციას ეხება:

1. ნორმატიული აქტების არასრულყოფილება და ზოგჯერ ურთიერთწინააღმდეგობა. ამ თვალსაზრისით აუცილებელია ერთიანი განმარტებითი ლექსიკონი, ერთიანი კონცეპტუალური მიდგომა ერთიანი ინფორმაციული სივრცის სტრუქტურისა და ობიექტური შემადგენლობის განსაზღვრისას.

2. აუცილებელია განისაზღვროს ერთიან ინფორმაციულ სივრცეში (ე.ი.ს.) სხვადასხვა დონეების ინტეგრაციის პრიორიტეტები. თუ ამ შემთხვევაში ინფორმაციული სისტემების წყობას ვიგულისხმებთ (ვიწრო გაგებით), შეიძლება ასეთი სურათი მივიღოთ: მსოფლიო ე.ი.ს. (ინტერნეტი); დ.ს.თ ე.ი.ს (დსთ-ს ქვეყნების ინფორმაციული გაცვლის სისტემა); საქართველოს ე.ი.ს; რეგიონალური ე.ი.-ს; მუნიციპალური ე.ი.ს (ქალაქის, რაიონის). ამ შემთხვევაში აუცილებელია ერთიანი სამართლებრივი პრინციპები და ფუნქციონირების წესები. ასევე აუცილებელია განისაზღვროს სახელმწიფო ინფორმაციული რესურსების პრიორიტეტები.

3. აუცილებელია ყველა დონის ე.ი.ს. ფორმირებისათვის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის სამართლებრივი უზრუნველყოფა.

4. ამ საქმიანობის კოორდინაციისათვის აუცილებელია ავტორიტეტული (უფლებამოსილებათა და შემადგენლობით) ეროვნული ცენტრის ფორმირება, დარგთაშორისი, რეგიონთაშორისი საბჭოების შექმნა.

5. სრულფასოვანი მონიტორინგის ორგანიზაცია ინფორმაციული სივრცის მდგომარეობის შესასწავლად ყველა დონეზე და ყველა ობიექტური შემადგენლობის მიმართ.

6. სტანდარტების კომპლექსთა შემუშავება (მათ შორის ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში), სერტიფიცირების სისტემის განვითარება ინფორმაციული პროდუქტების, ინფორმაციული სისტემებისა და მომსახურების სფეროში; ლიცენზირება ე.ი.ს ცალკეული მიმართულებების მიხედვით ფორმირებისათვის; სახელმწიფო ინფორმაციული სისტემებისა და რესურსების პროექტების ექსპერტიზა.

7. აუცილებელია მსხვილი საერთაშორისო ფირმების ინფორმაციული ექსპანსიის, ეროვნულ ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური

სისტემების ფუნქციონირებაზე მათი საკუთარი პირობების თავსმოხვევის პროფილაქტიკა და ამგვარი მცდელობის შეზღუდვა.

გასათვალისწინებელია ის დებულებაც, რომ ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლა საზოგადოების პოლარიზაციის კიდევ ერთ საფრთხეს აჩენს, ესაა ინფორმაციული უთანასწორობა.

ერთიანი ინფორმაციული სივრცის შექმნის პრობლემა მწვავედ შეეხო დსთ-ს ქვეყნებსაც, რადგან ერთ დროს არსებული საბჭოთა კავშირის საინფორმაციო სივრცის დარღვევამ, „საინფორმაციო ბაზრისაკენ“ ახალი გზების ძიების პრობლემა წარმოიშვა. 1993 წლის სექტემბერში დსთ-ს ქვეყნების მიერ ხელმოწერილია შეთანხმება „მრავალმხრივი ხელშეკრულებების შესრულებისათვის ინფორმაციული უზრუნველყოფის შესახებ“, ხოლო 1994 წლის თებერვალში - „დსთ-ს ქვეყნების ავტომატიზირებული ინფორმაციული სისტემების შექმნის და გაცვლის კონცეფცია“, ამ აქტებმა საფუძველი ჩაუყარა დსთ-ს ქვეყნების ერთიანი საინფორმაციო სივრცის ფორმირებას, და შეიქმნა ერთიანი კონცეფცია, რომელიც მომზადდა დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა 1995 წლის 3 ნოემბერს გადაწყვეტილების შესასრულებლად. ეს კონცეფცია დამტკიცდა 1996 წლის 18 ოქტომბერს თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა მიერ და შემდეგ ძირითად პრინციპებზეა აგებული: ინფორმაციის გაცვლის თანასწორობა, თანამეგობრობის ქვეყნების ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარებაში სახელმწიფოთა მონაწილეობის მიზანშეწონილობა, ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შენახვა, განვითარება და ეფექტური გამოყენება, საერთაშორისო ნორმებისა და ეროვნული ინტერესების დაცვა ამ სფეროში თანამშრომლობის დროს და ა. შ.

მაშასადამე, საყოველთაო ინფორმატიზაციის ეპოქაში და ინფორმაციული საზოგადოების მშენებლობის ეტაპზე ერთიანი საინფორმაციო სივრცე იქცევა სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშნად და აუცილებლათ ითხოვს, როგორც თეორიულ გააზრებას, ისე ამ ფენომენის ნორმატიულ დამაგრებას, რაც, თავის მხრივ, სამართლის დამოუკიდებელ დარგს, ინფორმაციულ სამართალს ამკვიდრებს.

თავი II

ინფორმაციული სამართლის საგანი, მეთოდი, სისტემა

2.1. ინფორმაციული სამართლის საგანი

ყველა სახის სოციალური რეგულირების წარმოშობის მიზეზი და საფუძველი იმ ობიექტთა რეალური არსებობაა, რომლის გამოც გარკვეული ურთიერთობები აღმოცენდება. ყველაზე ეფექტურ რეგულატორებს მორალი და სამართალი წარმოადგენენ. საზოგადოებრივი ურთიერთობათა იმ სფეროში, სადაც იძულებისა და გარანტიების გარკვეული რიგითობით განხორციელებაა აუცილებელი, სახელმწიფოს სახელით მოქმედებს სამართლებრივი ნორმები. სამართალი, ასევე როგორც საზოგადოება, ცოცხალი, განვითარებადი ორგანიზმია და ერთიან სისტემას წარმოადგენს. ცივილიზაცია საზოგადოების სოციალურ ორგანიზმში საქმიანობის სხვადასხვა ფორმებს წარმოშობს, ხელს უწყობს მათ მონაცვლეობას და განვითარებას. სამართალი ამ პროცესების პარალელურად ვითარდება და თავისი ყურადღების საგნად აქცევს ამა თუ იმ ისტორიული დროისათვის დამახასიათებელ საზოგადოებრივ ურთიერთობას.

განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ აქტუალურია საკითხი ინფორმაციული სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგის, ფორმირების თაობაზე. ტრადიციულად, სამართლის დარგი ნორმატიული სფეროს ის ნაწილია, რომელიც ასახვას განსაზღვრულ საკანონმდებლო აქტში – კოდექსში პოულობს.

პრინციპი, რომ კოდექსი სამართლის დამოუკიდებელი დარგის მარეგულირებელი ნორმაა აქსიომა არ არის. იურიდიულმა პრაქტიკამ ისეთი კოდიფიცირებული აქტებიც იცის, რომელიც ამა თუ იმ მნიშვნელოვან ობიექტთან არის დაკავშირებული და მის მიმართ დამოუკიდებელი სამართლებრივი რეჟიმის შექმნის აუცილებლობა არსებობს. მაგალითად, როგორიცაა ტყის კოდექსი, საჰაერო კოდექსი, საზღვაო კოდექსი და ა. შ. ან პირიქით, კოდექსი მთლიანად ვერ ამოწევს სამართლის ამა თუ იმ დარგის შინაარს. მაგალითად: სამოქალაქო სამართლის კოდექსი სრულად ვერ მოიცავს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს. იგი მხოლოდ ნაწილია სამოქალაქო კანონმდებლობის, მაგრამ ის ნაწილი, რომელიც ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს (შინაარსი, პრინციპები, ძირითადი ინსტიტუტები).

თანამედროვე მრავალდარგოვან სამართალს მეცნიერები რამდენიმე ჯგუფად ყოფენ:

1. დარგები, რომლებიც საგნისა და მეთოდის ერთობლიობით ხასიათდებიან.

2. დარგები, რომელთაც საგანი გააჩნიათ, მაგრამ რეგულირების მეთოდი გამომუშავების პროცესშია, ან შერეული მეთოდით სარგებლობენ (კოსმოსური სამართალი, ეკოლოგიური სამართალი).

3. კომპლექსური დარგები (აგრარული სამართალი), რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების რამოდენიმე მხარეს მოიცავენ, ანუ გააჩნიათ ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე საგანი.

თუ ინფორმაციულ ურთიერთობებს ამ კლასიფიკაციის მიხედვით განვიხილავთ, მათი მარეგულირებელი ნორმები სხვადასხვა აქტებშია განთავსებული. როგორიცაა, საქართველოს კონსტიტუცია (კონსტიტუციის მე-20, 24-ე, 41-ე მუხლები მოქალაქის ინფორმაციულ უფლებებსა და თავისუფლებებზე), ინფორმატიზების სახელმწიფოებრივი მხარდამჭერი აქტები (საბიუჯეტო-საფინანსო კანონმდებლობა); ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კანონმდებლობა; მონაცემთა დაცვის შესახებ კანონები (არქივებისა და ბიბლიოთეკების შესახებ კანონები) და ა. შ.

ინფორმაციის არსიდან გამომდინარე, ამ სფეროში კანონმდებლობა დიალექტიკურად დაკავშირებული ორი მიმართულებით ვითარდება. ერთის მხრივ, საერთაშორისო აქტები, რომელიც მიმართულია შეზღუდვების მოხსნის, კონკურენციისა და ინფორმაციული ინდუსტრიის ზრდის ხელისშეწყობისაკენ. მეორეს მხრივ, ეს თავისუფლება აუცილებელია შეუთავსდეს საზოგადოებრივ ინტერესებს, რასაც ეროვნული კანონმდებლობები ინფორმაციის გადაცემის შეზღუდვაში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვაში აღწევენ.

ინფორმაციული ურთიერთობების მნიშვნელობა ამ ურთიერთობის მარეგლამენტირებელ ნორმათა ერთიანი სისტემის შექმნას განაპირობებს, რაც ინფორმაციული სამართლის, როგორც კომპლექსური დარგის ფორმირების საფუძველი ხდება. დარგის სახელწოდებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა საგნობრივი რეგულირების სფერო. ამ თვალსაზრისით ყურადღებამისაქცევია, რომ ბოლო დრომდე გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორიცაა „კომპიუტერული სამართალი", „ინფორმატიკის სამართალი", „მასმედიის სამართალი" და სხვა. ამ ცნებათა მრავალფეროვნებას ხელი არ შეუშლია იმის ინტუიტიური გაგებისათვის თუ რაზეა საუბარი. მაგრამ დღესდღეობით ამ ტერმინების თანაბარი მნიშვნელობით აღქმა უკვე შეუძლებელია. თუ კომპიუტერული რევოლუციის

პირველ ეტაპზე ეს მისაღები იყო, როგორც კატალიზატორი ინფორმაციული ურთიერთობების განვითარებისა, დღეს ინფორმაციული ურთიერთობები კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, მხოლოდ ნაწილია საერთო ინფორმაციულ სფეროში წარმოშობილი ურთიერთობებისა.

კომპიუტერულ სამართალს, საფუძვლად უდევს ურთიერთობები, რომელიც კომპიუტერით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, შენახვის, გავრცელების და გამოყენების პროცესში წარმოიშობა. **ინფორმატიკის სამართალს** კი – კომპიუტერული პროგრამების შექმნის, წარმოების, გავრცელების და მოხმარების სფეროში წარმოშობილი ურთიერთობები. ხოლო **მასმედიის სამართალი** – ინფორმაციის მასობრივი გამოყენების სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებს არეგულირებს. პირველ ორ შემთხვევაში წინაა წამონეული ტექნიკური საშუალებანი, რომელთა მეშვეობითაც ინფორმაციის მიმოქცევა ხდება, ხოლო თვით საგნობრივი სფერო – ინფორმაცია, ჩრდილში რჩება. მესამე შემთხვევაში კი – ინფორმაციის ერთ-ერთი სახე, მასობრივი ინფორმაცია (მათალია, მნიშვნელოვანი, მაგრამ არასრული) ხდება რეგულირების ობიექტი, ინფორმაციისა და ინფორმაციული ურთიერთობების სისტემური გააზრების გარეშე. არადა ურთიერთობის შინაარს სწორედ საგნობრივი სფერო განსაზღვრავს და რადგან ასეთ საგანს ინფორმაცია წარმოადგენს (სრული მოცულობით), ამიტომ დარგის განმსაზღვრელ ტერმინად სწორედ „ინფორმაციული სამართალი“ უნდა იქნეს მიჩნეული. ამ დარგის პრაქტიკული მნიშვნელობა ინფორმაციული ურთიერთობების ახლებური გააზრებაა, რაც სახელმწიფოს ინფორმაციული სივრცისა და სუვერენიტეტის დაცვის და საზოგადოების ინფორმაციული უსაფრთხოების კომპლექსური შესწავლის გარანტიაა.

ასე, რომ დღეს სადაო აღარ არის, ინფორმაციული სამართლის, როგორც კომპლექსური დარგის დამოუკიდებლად არსებობა, რომელსაც გააჩნია საერთო საგანი, სამართლებრივი რეგულირების კონსტიტუციური დებულებები, საბაზისო კანონები და სხვადასხვა კოდექსებში არსებული ნორმები, რომლებიც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე იქმნება. ინფორმაციული ურთიერთობები აქტუალურია მოქალაქეთა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფისა და ქვეყნის სხვა ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით.

ინფორმაციული სამართლის საგნობრივ სფეროს განეკუთვნება საზოგადოებრივი ურთიერთობების ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის ბრუნვის სამართლებრივ რეგულირებასთან; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით ინფორ-

მაციული რესურსების შექმნა, ფორმირება, შენახვა, დამუშავება და გავრცელებასთან; ინფორმატიზაციის პროცესის უზრუნველმყოფი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან და მოცემულ სფეროში ურთიერთობის მონაწილე სუბიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან.

მოცემულ განმარტებაში ყურადღება გამახვილებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა რამდენიმე კომპლექსზე, რომელთა გამაერთიანებელია ინფორმაცია:

ა) ინფორმაციულ რესურსებთან დაკავშირებული ყველა სახის საქმიანობა (ინტელექტუალური, საწარმოო და სხვა სოციალური საქმიანობის პროდუქტი).

ბ) სოციალურ რესურსებთან და ინფორმაციული საქმიანობის ცალკეულ სახეებთან წარმოშობილი ურთიერთობების მართვა.

გ) ინფორმაციის ახალი ტექნოლოგიების გამოყენება.

დ) ინფორმატიზებისა და ინფორმაციის სფეროში უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ე) ინფორმატიზებისა და ინფორმაციის სფეროში იურიდიული პასუხისმგებლობის რეალიზაცია.

საგანი და საგნობრივი სფერო სამართლებრივი ურთიერთობის ერთი მხარეა, რომელიც სამართლის დარგის შემადგენელი ნაწილია. მეორე შემადგენელ ნაწილს მოცემულ საგნობრივ სფეროში სამართლებრივი რეგულირების მეთოდი წარმოადგენს.

2.2. ინფორმაციული სამართლის მეთოდი.

სამართლებრივ ურთიერთობათა სისტემაში მეთოდი ნიშნავს სუბიექტთა ინტერესების რეალიზაციის პროცესში წარმოშობილ განსაზღვრულ ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგებულობის საშუალებასა და ხერხს.

სამართლებრივი ზემოქმედების ხერხები და მეთოდები უშუალოდ გამოხატავენ კანონმდებლის ნებას დადგენილი ნორმის შინაარსთან დაკავშირებით, რაც იურიდიულ პრაქტიკაში გარკვეული მიზნის მიღწევის საშუალებაა. ნორმატიულობას, ანუ სამართლის ნორმათა სავალდებულობას, გარკვეული პირობების დაცვა სჭირდება, ეს პირობებია:

1. საგნობრივი სფეროს სიზუსტის ხარისხი,
2. სამართლის სუბიექტთა კონკრეტულობა (ნორმის ადრესატი),
3. ქცევის შინაარსი, ანუ სუბიექტთა უფლებამოვალეობანი,
4. კანონმდებლის ნების შესრულების მექანიზმები.

თუ პირველი ორი პირობა უზრუნველყოფილია სამართლებრივი რეგულირების საგნის განსაზღვრის პროცესში, ნორმის შინაარსობრივი ნაწილი და ნორმის რეალიზაციის უზრუნველყოფის რესურსები უშუალო კავშირშია სამართლებრივი რეგულირების მეთოდთან.

საინფორმაციო სამართლის მეთოდის განსაზღვრისას აუცილებელია ხაზგასმა იმისა, თუ რა მიზნები მიიღწევა სამართლის ამ თუ იმ დარგის მიერ. საინფორმაციო სამართლის მიზნებს განეკუთვნება:

1. კონკრეტულ სიტუაციაში (იურიდიული ფაქტი), კონკრეტულ საგნობრივ ურთიერთობაში (ქცევის წესის დადგენა, სამართლის სუბიექტთა ურთიერთქმედება) განსაზღვრული სახით მოქმედების წესების ნორმირება.

2. ამ წესების დაცვის უზრუნველსაყოფად ორგანიზაციული ღონისძიებებისა და სტრუქტურების დადგენა.

3. ნორმირებული წესების დარღვევის შემთხვევაში მათი უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის დადგენა.

ინფორმაციული სამართლის მეთოდის სპეციფიკა ეს არის ინფორმაციული საქმიანობის თავისებურებათა კონსტიტუციური რეგულირების შერწყმა ამ საქმიანობის უზრუნველყოფის ადმინისტრაციულ ხერხებთან და მეთოდებთან. სწორედ ეს სპეციფიკა განსაზღვრავს ინფორმაციულ სამართლის ადგილის პრობლემას სამართლის სისტემაში.

ისევე, როგორც სხვა დარგებში, ინფორმაციულ სამართლის სფეროში გამოიყენება ზოგადი, ანუ დარგთაშორისი მეთოდები და კონკრეტული, ანუ ინფორმაციულ სამართლის ცალკეული მხარეებისა და ასპექტების შემსწავლელი მეთოდები.

ზოგად მეთოდებს შორის აღსანიშნავია: ისტორიული, სისტემური, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

ისტორიული მეთოდი – ხასიათდება ინფორმაციული სამართლის მრავალასპექტიანი პრობლემების გადმოცემის კონკრეტულ-ისტორიული და ისტორიულ-ემპირიული ფორმებით. სამართლებრივი რეგულირების საგნის ისტორიული კვლევა, ინფორმაციული რესურსებით სარგებლობის, ამ სფეროში პასუხისმგებლობათა წარმოშობისა თუ განვითარების ეტაპები და სამომავლო პერსპექტივები, სწორედ კვლევის ისტორიული მეთოდითაა შესაძლებელი. ამ შემთხვევაში ისტორიული მეთოდი ინფორმაციულ სამართლის ჩამოყალიბებისა და განვითარების ლოგიკურ ანალიზს ეფუძნება. ასეთი ლოგიკური ანალიზი იგივე ისტორიული მეთოდია, თუმცა მისი ფორმებისა და შემთხვევითობების გარეშე.

სისტემური მეთოდი – გულისხმობს თეორიული პრინციპებისა და დებულებების ერთობლიობას, რომელიც საშუალებას იძლევა ინფო-

რმაციული სამართლის ყველა ნორმა განხილულ იქნეს ერთ სისტემაში, როგორც ერთი მთლიანობა მჭიდრო კავშირში სხვა სამართლებრივ ნორმებთან და ინსტიტუტებთან. ამ მეთოდის საშუალებით შესაძლებელი ხდება მოცემული სახის სამართლებრივი ზემოქმედების მიზნების განსაზღვრა; ინფორმაციულ-ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების პროცესის სტრუქტურული ანალიზი. ამ პროცესზე გარესამყაროს ზეგავლენის ხარისხისა და ხასიათის განსაზღვრა; ინფორმაციული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების გადაწყვეტილებათა მიღებისა და რეალიზაციის პროცესთა გამოკვლევა.

ინფორმაციულ სამართალში ისტორიული და სისტემური მეთოდები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და შეიძლება ერთობლიობაშიც იქნეს განხილული, როგორც სისტემურ-ისტორიული მეთოდი.

სისტემური ანალიზი წარმოადგენს საგნობრივი სფეროს სრულყოფილი რეალიზაციის საშუალებას, რომელიც გულისხმობს სპეციალური პროცედურების, ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობას (მთელის სტრუქტურული ანალიზი, მთელის ფუნქციონალური შესწავლა, ოპერაციის გამოკვლევა და ა. შ.). იგი შესაძლებლობას იძლევა ინფორმაციის სფეროში არსებული საკანონმდებლო აქტების ერთობლიობა დაანაწილოს ცალკეული სახეების მიხედვით, დაახასიათოს მათი დებულებები, აირჩიოს შედარებით ეფექტური და ა. შ. სისტემური ანალიზის ფორმები დაკავშირებულია ინფორმაციული ხასიათის მოვლენების და საგნების, ინფორმაციული სამართლის სუბიექტებისა და ობიექტების, მმართველობითი ორგანოების ინფორმაციული ფუნქციების, იურიდიული ფაქტების და ა. შ. კლასიფიკაციასთან.

სინთეზი საინფორმაციო სამართალში ესაა პროცესი, რომელიც მთლიანობაში წარმოაჩენს სისტემური ანალიზის პროცესში გამოკვეთილ გარკვეულ კომპონენტებს, თვისებებსა და ურთიერთობებს. მაგალითად, საავტორო და მომიჯნავე უფლებების კანონმდებლობა, სამრეწველო საკუთრების, საპატენტო სამართლის და „ნოუ-ჰაუს“ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა გვაძლევს ინტელექტუალური საკუთრების საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს და იგი ინფორმაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ნაწილიცაა. სინთეზი ავსებს სისტემურ ანალიზს და ინფორმაციულ-სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების კვლევის მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ინფორმაციული სამართლის **კონკრეტული** მეთოდებია: ნებადამრთავი, დელეგირების, რეკომენდირების, სანქცირების, შეზღუდვა-აკრძალვითი, კონკრეტულ-სოციოლოგიური და შედარებითი კვლევის მეთოდები – **ნებადამრთავი** მეთოდის მიხედვით ინფორმაციული ურთიერთობის მონაწილეებს თავიანთი უფლებების, მიზნებისა და ამოცანების თავისუფლად რეალიზაციის საშუალება ეძლევათ.

დელეგირების მეთოდი კვლევის ისეთი ხერხია, რომლის მეშვეობით კანონმდებელი შესაბამის სახელმწიფო ორგანოს ან პირს კონკრეტულ უფლებებს გადასცემს კონკრეტულ ფარგლებში.

რეკომენდირების მეთოდის გამოყენებით კანონმდებელი ინფორმაციული ურთიერთობის მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს თვითონ აირჩიონ ქმედების ესა თუ ის ვარიანტი და მის შესაბამისად იმოქმედონ.

სანქცირების მეთოდი ისეთი ხერხია, რომლის გამოყენებით კანონმდებელი ინფორმაციული ურთიერთობის მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს მათთვის საინტერესო საკითხებზე მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც სანქცირებული იქნება კანონმდებლობით დადგენილი წესით. მაგალითად, პირთა დაშვება საიდუმლო ინფორმაციასთან შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილი პროცედურების გავლის შემდეგ.

შეზღუდვა-აკრძალვითი მეთოდი გულისხმობს ინფორმაციული სამართალურთიერთობის სუბიექტთა ქცევების რეგლამენტაციასა და დადგენას, აგრეთვე, გარკვეულ ამკრძალავ ღონისძიებებს პრაქტიკაში მათი სავალდებულო შესასრულების პირობით. არსიდან გამომდინარე საქმე ეხება ურთიერთობის სუბიექტთა ვალდებულებების რეგლამენტაციას. მაგალითად, სახელმწიფოს ვალდებულებაა დაიცვას მონაცემთა ბაზებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვისას საავტორო უფლებები. დარღვევის შემთხვევაში დგება სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც თავისთავად უნდა გამორიცხავდეს მსგავს სამართალდარღვევებს, თუმცა სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ ხდება.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდვა–აკრძალვითი ღონისძიებები ინფორმაციულ სამართალში უსაზღვრო არ არის, ისინი თავისთავად გულისხმობენ შესაძლებლობისა და დასაშვებობის ფარგლებს.

ამ მეთოდების გვერდით გამოიყენება ინფორმაციულ ურთიერთობებში მხარეთა თანასწორობის, ხელისუფლებისა, დაქვემდებარებისა და კოორდინაციის მეთოდი.

შედარებითი მეთოდი ერთი ქვეყნის ან სამართლებრივი სისტემის ინფორმაციული სამართლის ცალკეული ნორმებისა და ინსტიტუტების შეპირისპირებას გულისხმობს სხვა ქვეყნის ან სხვა სამართლებრივი სისტემის ნორმებთან და ინსტიტუტებთან. აგრეთვე, ქვეყნის შიგნით სამართლის სისტემის სხვა ელემენტებთან შედარებას.

კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდი განსახილველი ინსტიტუტების, ინფორმაციული ურთიერთობის სუბიექტების შესახებ აუცილებელი ინფორმაციის შერჩევასა და გადამუშავების ანალიზს გულის-

ხმობს, კონკრეტული განზოგადებისა და გარკვეული იურიდიული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

მეთოდის გამოყენება საინფორმაციო სამართალში გარკვეულ პრინციპებს უკავშირდება.

ინფორმაციულ სამართლის პრინციპი ინფორმაციული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებში დაფიქსირებული დებულებები და იდეებია, რომელიც მოცემული დარგის არსსა და შინაარსს განსაზღვრავს. პრინციპები ამ სფეროს ნორმებსა და ინსტიტუტებს სისტემურ ხასიათს ძენს და სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ერთიანობის შესაძლებლობას იძლევა.

ასეთი პრინციპებია:

1. ქვეყნის ინფორმატიზაციისა და ინფორმაციული რესურსების ფორმირების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისას სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტულობა,
2. ინფორმაციის ღიაობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა,
3. ინფორმაციულ ურთიერთობებში კანონიერების მკაცრი დაცვა,
4. მოქალაქეთა კანონის წინაშე თანასწორობა,
5. ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან,
6. ინფორმატიზაციისადმი პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომის აუცილებლობა.

2.3. ინფორმაციული სამართლის სისტემა და კავშირი სხვა დარგებთან.

ინფორმაციული სამართლის სისტემა წარმოადგენს ინფორმაციულ-სამართლებრივი ნორმების შედარებით მოწესრიგებულ (სისტემატიზირებულ) ერთობლიობას. ეს განმარტება ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს იგი ინფორმაციული კანონმდებლობის სისტემას ემთხვევა. ინფორმაციული სამართლის ნორმა, ეს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის წესია, ხოლო ინფორმაციული სამართლის წყარო – ესაა ამ წესის გამოხატვის ფორმა, ზოგადსავალდებულო ძალის მინიჭების ხერხი, კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მიღების გზით. ინფორმაციული კანონმდებლობის სისტემა სხვადასხვა დროს გამოცემული სხვადასხვა ინფორმაციული ურთიერთობების მარეგლამენტირებელი ნორმებია. ერთ კანონში შესაძლებელია სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციულ-სამართლებრივი ნორმები იყოს თავმოყრილი, რომლებიც სხვადასხვა ინფორმაციულ მოვლენებსა და პროცესებს შეეხება. ამავე დროს ურთიერთდაკავშირებული ნორმები შეიძლება სხვადასხვა კანონებში აღმოჩნდეს.

ასეთი განხეთქილება ინფორმაციულ სამართალსა და ინფორმაციულ კანონმდებლობას შორის მინიმუმამდე შემცირდება ამ სფეროში კანონმდებლობის კოდიფიკაციის გზით. მართალია, მსოფლიო საკანონმდებლო პრაქტიკა ასეთ კოდიფიცირებულ აქტს ინფორმაციული ურთიერთობების სფეროში არ იცნობს, მაგრამ მისი არსებობა მეცნიერებს რეალურად მიაჩნიათ. შეიძლება დავახასიათოთ ამგვარი კოდიფიცირებული აქტის ტიპიური მოდელი, რომელიც თავისი შინაარსით ინფორმაციულ სამართლის სისტემას დაემთხვევა (მეტნაკლები სიზუსტით):

1. კოდექსის ზოგად ნაწილში განისაზღვრება რეგულირების მიზანი და საგნობრივ სფეროსთან დაკავშირებული ურთიერთობები:

ა) მიზანი შეიძლება იყოს ინფორმაციის მიღების, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების სამართლებრივი საფუძვლების დადგენა. ამ შემთხვევაში, ინფრმაციის მიღებისა და გავრცელების მოთხოვნა, ინფორმაციის სახეების რეგულირების თავისებურებებიდან გამომდინარე, ინფორმაციის დინამიკაში ანუ შეტყობინებაშია მოაზრებული. ამიტომ, ეს ჩამონათვალი არ შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ცნებების ერთობლიობა იყოს. იგი ურთიერთობის ობიექტიდან გამომდინარე, კანონმდებლის ნების შესაბამისად იცვლება; მოქალაქეთა უფლებების დაცვა ამ პროცესში, ინფორმაციული ურთიერთობის სუბიექტთა სტატუსისა და ინფორმაციის წყაროს განსაზღვრა, აუცილებელია ინფორმაციასთან დაშვების მექანიზმის უზრუნველყოფისათვის და სხვა.

ცალკე შეიძლება განისაზღვროს ინფორმაციის სახეები დაშვების, დამუშავებისა და გავრცელების რეჟიმების გათვალისწინებით, აგრეთვე ინფორმაციული ურთიერთობის სუბიექტთა სპეციალური უფლებები: ინფორმაციის წყაროს, ინფორმაციის მფლობელის, მომხმარებლის, შუამავლის, მიმღებისა და ადრესატის უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობის საფუძვლები.

ინფორმაციის მფლობელობისა და სარგებლობის დისპოზიციების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ინფორმაციის ასლირების შესაძლებლობა, რომელიც დაეყრდნობა მსოფლიოში უკვე აპრირებულ „კოპირაითის“ მექანიზმს, „კოპირაითის“ მფლობელისათვის საფასურის გადახდის პრეზუმფციით.

რაც შეეხება ინფორმაციის მატარებლების შესახებ ნორმებს, აუცილებელია განისაზღვროს ინფორმაციის გადაცემის ფიზიკური სისტემები (ტელეკომუნიკაცია), დოკუმენტების (მატერიალური მატარებელზე ფიქსირებული ინფორმაცია), მონაცემთა ბაზების შინაარსი, როგორც ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების

საშუალება, რომლის არსებობა ინფორმაციის სანდოობის თვალსაზრისით გარკვეულ სამართლებრივ რეჟიმს მოითხოვს.

ინფორმაციის დაცვის მექანიზმი შეეხება ორგანიზაციულ–ტექნიკურ და სამართლებრივ საშუალებებს. სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოს კონსტიტუცია და სხვადასხვა კანონებში არსებული ინფორმაციის მარეგულირებელი ნორმების სისტემა. ორგანიზაციული ღონისძიებები განისაზღვრება ინფორმაციის მფლობელი სუბიექტის წესდებით, დებულებით ან ხელშეკრულებით. ტექნიკურ საშუალებათა დაცვის თვალსაზრისით, აღსანიშნავია კრიპტოგრაფიული დაცვა, რომელიც სტანდარტების დადგენის პრინციპებს უკავშირდება.

ინფორმაციული სამართლის ნორმები ასეთ შემთხვევაში ინფორმაციული კანონმდებლობის პირველადი კომპონენტია. სხვადასხვა დარგებში გაბნეული ინფორმაციული ხასიათის ნორმები არეგულირებენ ინფორმაციული ურთიერთობების მხოლოდ გარკვეულ სახეებს. უდიდესი ნაწილი ამ ურთიერთობებისა რეგულირების გარეშეა დარჩენილი.

ინფორმაციული სამართლის სისტემის დახასიათებისას ცალკე უნდა შევეხოთ იმ ინსტიტუტებს, რომლებიც ინფორმაციულ-სამართლებრივი ნორმების შედარებით მყარი და აღიარებულია და ინფორმაციული ურთიერთობის გარკვეულ სფეროს (ინფორმაციული საქმიანობის ცალკეული ასპექტები, მიმართულებები) არეგულირებენ. ესენია: ინტელექტუალური საკუთრება ინფორმაციულ სფეროში, გამოთვლითი ტექნიკის და მონაცემთა ბაზების საავტორო უფლება, პროგრამული პროდუქტების მემკვიდრეობა, მასობრივი ინფორმაციის უზრუნველყოფა, ინფორმაციული უსაფრთხოება, სახელმწიფო საიდუმლოება, კომერციული საიდუმლოება, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ინფორმაციის ყიდვა-გაყიდვა (ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლა), ინფორმატიზაცია, ინფორმაციული საქმიანობა, ინფორმაციისა და ინფორმატიზების სფეროში მმართველობა და ა. შ.

ინსტიტუტები არსებობენ დამოუკიდებლად, მაგრამ გამოიყენებიან ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში და ინფორმაციულ სამართლის დარგს ქმნიან (როგორც სისტემას), რომელიც დასაბუთებული ინსტიტუტებისა და მოდელების მიხედვით ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილად შეიძლება გაერთიანდეს.

ინფორმაციული სამართლის ზოგად ნაწილს შეიძლება მივაკუთვნოთ ის ნორმები, რომლებიც ზოგად დებულებებსა და პრინციპებს, იურიდიულ ფორმებსა და სახელმწიფოს ინფორმაციული საქმიანობის მეთოდებსა და პრინციპებს ადგენენ. განსაკუთრებულ ნაწილს – კი კონკრეტული ინსტიტუტები, რომლებიც განსაზღვრული წესითა და

ლოგიკური თანმიმდევრობით არიან დალაგებული და მათ შორის კავშირი ობიექტური ხასიათისაა.

რაც შეეხება ინფორმაციულ კანონმდებლობას ერთიან სისტემაში, შემდეგი სახით შეიძლება დაჯგუფდეს:

1. კონსტიტუციური ნორმები;

2. ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ნორმები;

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ კანონმდებლობა;

4. მონაცემთა ბაზების ფორმირების, ინფორმაციული პროდუქტების მომზადების, ინფორმაციული მომსახურების გაწევის შესახებ ნორმები;

5. ინფორმაციის მოძიების, მიღების, გადაცემის უფლებათა რეალიზაციის შესახებ ნორმები;

6. ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მათი უზრუნველყოფის საშუალებათა შექმნისა და გამოყენების შესახებ ნორმები;

7. ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ნორმები;

8. საქართველოს კოდექსებში არსებული ინფორმაციული სამართლებრივი ნორმები;

9. ინფორმაციული ურთიერთობების საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები.

ინფორმაციული სამართლის კავშირი სხვა დარგებთან, უპირველეს ყოვლისა, ეს სამართლის თეორიის ინსტიტუტებთან მიმართებაში ვლინდება, რაც ინფორმაციის, როგორც რეგულირების დამოუკიდებელი ობიექტის დახასიათებას, მის სამართლებრივ სისტემაში ადგილის მოძებნის ზოგად-სამართლებრივ ასპექტებს ეხება. (შედარებითი სამართალმცოდნეობის პრინციპების გამოყენებით).

ინფორმაციული სამართალი მჭიდრო კავშირშია კონსტიტუციურ სამართალთან. კონსტიტუციური სამართალი ადამიანისა და მოქალაქის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს განამტკიცებს, მათ შორის ინფრმაციული ხასიათის უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელთა შესრულების გარანტიები სწორედ ინფორმაციულ სამართლით უნდა იყოს შესაძლებელი. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი აყალიბებს ახალ პრინციპებსა და ურთიერთობებს, რამაც შესაძლოა ასახვა ჰპოვოს ახალი კონსტიტუციური ნორმების რეგლამენტირებაში.

ინფორმაციული სამართლის მჭიდრო კავშირი აქვს სამოქალაქო სამართალთან. ეს კავშირი კარგად ჩანს ინფორმაციული ხასიათის ქონებრივი და არაქონებრივი ურთიერთობების დახასიათებასა და რეგულირების პროცესში.

ინფორმაციული სამართალი ასევე იყენებს ადმინისტრაციული სამართლის მეთოდებს. კერძოდ, სახელმწიფო ორგანოებიდან ინფორ-

მაციის მიღების უფლება, ანუ ინფორმაციის არასასაქონლო ურთიერთობები სწორედ სახელმწიფო ორგანოების ადმინისტრაციული ფუნქციაა, რაც ასახვას პოულობს შესაბამის კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში.

საერთოდ, დარგთა სისტემაში, არ მოიძებნება სფერო რომელთანაც ინფორმაციულ სამართალს კავშირი არ ჰქონდეს. ეს იქნება საფინანსო სამართალი, შრომის სამართალი, სისხლის სამართალი, სამართალწარმოება, საერთაშორისო კერძო თუ საჯარო სამართალი და ა. შ. ასეთი ურთიერთკავშირების აუცილებლობა თვით ინფორმაციის ცნებისაა და შინაარსის მრავალმხრივობითაა გამოწვეული და ეს კავშირები კარგად გამოჩნდება თითოეულ მომდევნო პარაგრაფში ინფორმაციულ ურთიერთობათა განხილვის დროს.

თავი III

ინფორმაციული სამართლის ობიექტი

3.1. ინფორმაცია სამართლებრივ ურთიერთობებში

ინფორმაციის, როგორც სამართლებრივი რეგულირების ობიექტის არსის გასარკვევად უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ურთიერთობათა სტრუქტურაში მისი ადგილის განსაზღვრას.

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად, ინფორმაციის სამართლებრივ ურთიერთობებში ჩართვა საკმაოდ რთული პროცესია, რადგან იგი ისეთივე ყოვლისმომცველი ცნებაა, როგორც „ნივთიერება", „მატერია". ამ მოსაზრების ავტორთა შეხედულებით სამართალმა უნდა განსაზღვროს საერთო ნიშნის მქონე ობიექტები. მაგალითად, მოძრავი და უძრავი ქონება, ინტელექტუალური საკუთრება და ა. შ.

სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკური თვისებების გამო, რომელიც თითქმის ყველა მკვლევარის მიერაა აღიარებული, ძნელი არ არის მოუძებნოთ ინფორმაციას ადგილი სამართლებრივ ურთიერთობათა სისტემაში. ამასთან, დავაკვირდეთ, ინფორმაციის შესახებ ზოგადსამართლებრივი ნორმები თუ როგორ გარდაიქმნებიან სუბიექტურ უფლება-მოვალეობებად და როგორ ჩაერთვებიან ისინი კანონიერებისა და მართლწესრიგის სისტემაში.

ინფორმაცია სუბიექტთა ურთიერთობის საგნობრივ სფეროს განეკუთვნება, რომელიც მათ შესაძლებელ მიზნებს განსაზღვრავს და ურთიერთობის წარმოშობას უწყობს ხელს. ურთიერთობა კი მხოლოდ მაშინ განვითარდება, როცა სუბიექტთა სამართლებრივი სტატუსი გავლენას მოახდენს ურთიერთობის საგნის სამართლებრივად გაფორმებულ მიზანზე.

მაგალითად: „ა" სუბიექტის მიზანია რომელიმე ფონდისათვის შესანახად გადაცემული მონაცემთა ბაზის არაკანონიერი გამოყენების რისკის დაზღვევა. ასეთ შემთხვევაში, მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებით, წარმოიშობა რიგი საკითხები: როგორია მისი შემადგენლობა (სამსახურებრივი, პერსონალური თუ ა. შ.); რა კატეგორიის დოკუმენტებია (საავტორო; სამსახურებრივი და ა. შ.); პირველადია თუ მეორადი ინფორმაცია; შეიძლება თუ არა საკუთრების ნიშნით მისი დახასიათება და ა. შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა საგნის სრული სამართლებრივი დახასიათება, მისი სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრა.

საგნის პარამეტრებიდან გამომდინარე განისაზღვრება „ა“ სუბიექტის მიზანი „ბ“ სუბიექტის მიმართ, რომელმაც მონაცემთა ბაზები შესანახად გადასცა. ამ სამართლებრივი ურთიერთობის მიზანი დამატებით, დადგენილი წესით მონაცემთა ბაზების რეგისტრაციას მოითხოვს, რომლის დარღვევა დაზღვევის ბარიერი იქნება.

თანამედროვე პირობებში ინფორმაცია სტრატეგიული რესურსია, რომლის ეფექტურ გამოყენებაზეა დამოკიდებული ეკონომიკის განვითარება, საინფორმაციო საზოგადოების ფორმირება, სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ინფორმაცია, როგორც სოციალური გარემოს ფენომენი, ბუნებითი სამართლის სფეროს განეკუთვნება. ინფორმაციით სარგებლობა თავდაპირველად თვითდინებით ყალიბდებოდა და თანდათანობით იქცა ჩვეულებად, ჩვეულებითი სამართლის საგნად, საზოგადოებრივი ურთიერთობების ტრადიციად. სამართლებრივ ურთიერთობებში იგი საგნობრივ სფეროს განეკუთვნება, ხოლო მის საფუძველზე აღმოცენებული ინფორმაციული სფერო – სამართლის ობიექტს.

ინფორმაციული სფერო – ესაა ინფორმაციის მიმოქცევა (წარმოება-გავრცელება-მოხმარება), რომლის მეშვეობით სუბიექტები ინფორმაციასთან მიმართებაში თავიანთი მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების რეალიზებას ახდენენ.

ინფორმაციული სფეროს ძირითად ობიექტებს განეკუთვნება:

1. ინფორმაციული რესურსები – დოკუმენტთა მასივები, მონაცემთა ბაზები და ბანკები, ყველა სახის არქივები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, ფონდები და ა. შ.

2. ინფორმაციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს ინფორმაციული სფეროს განვითარებას; კერძოდ, ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებას, შენახვას, გავრცელებას.

3. ინფორმაციულ-სატელეკომუნიკაციო სტრუქტურები – კომპიუტერული ქსელები, სატელეკომუნიკაციო ქსელები და ა. შ.

4. საინფორმაციო, კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო ქსელები.

5. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემები.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება მარტივი ფორმულით წარმოვიდგინოთ.

წარმოება → გავრცელება → მოხმარება → წარმოება

რომელსაც ემატება ინფორმაციულ სფეროში საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სუბიექტთა ძირითადი უფლებები (24-ე

მუხლი ინფორმაციის თავისუფლად მიღების, გავრცელების, აზრის გამოთქმის შესახებ, მე-20 მუხლი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ, 41-ე მუხლი სახელმწიფო, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების დაცვის შესახებ და სხვა).

საზოგადოებრივ-ინფორმაციული ურთიერთობა სამართლებრივ-ინფორმაციულ ურთიერთობაში რომ გადაიზარდოს სამი ძირითადი პირობაა გასათვალისწინებელი:

1. სუბიექტის ნება;

2. სუბიექტის ნების არარსებობა;

3. მორალითა და ეთიკური ნორმებით რეგულირება, სადაც სამართალი მხოლოდ ქცევის თავისუფლების გარანტიას იძლევა. საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი ნორმებით ეფექტური რეგულირებისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს ინფორმაციულ სფეროში მოქმედი ობიექტური კანონები, რომლებიც ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების ზოგადი კანონებიდან მომდინარეობს.

ინფორმაციული სფეროს ზოგად კანონებს შეიძლება მივაკუთვნოთ სოციალურ სისტემებში ინფორმაციის ორგანიზაციისა და შეზღუდვის ობიექტური კანონი: რაც უფრო მაღალია სისტემის ორგანიზებულობის დონე (სადაც ინფორმაცია იმავდროულად სისტემის ორგანიზაციის საშუალებად და მისი ორგანიზებულობის ხარისხის მახასიათებლად გვევლინება), მით უფრო მაღალი უნდა იყოს რეგულაციისა და შეზღუდვების დონე. ინფორმაციის მზარდი გაცვლის პირობებში, სამოქალაქო საზოგადოების გარეშე, ამ პროცესების სოციალური რეგულირება, პირველ რიგში, სახელმწიფოს ვალდებულებაა. ამ დოქტრინამ ასახვა უნდა ჰპოვოს საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფციაში, შემდეგი ფორმულირებით: საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების სამართლებრივი მექანიზმების სრულყოფა სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში. ამ დებულების რეალიზაცია გულისხმობს მოქმედი ნორმატიული აქტების გამოყენების ეფექტურობას, მდგომარეობის შეფასებას და მათი სრულყოფის პროგრამების შემუშავებას.

ინფორმაციული სფეროს მეორე ობიექტურ კანონს წარმოადგენს ინფორმაციის წინსწრების კანონი. ინფორმაციული ურთიერთ-ზემოქმედების პრობლემის გადაწყვეტა წინ უნდა უსწრებდეს სოციალური საქმიანობის სფეროში ყველა მომდევნო ნაბიჯს; რაც რეფორმების კოორდინირების შესაძლებლობას იძლევა. ერთიანი ინფორმაციული სივრცე წინ უნდა უსწრებდეს ერთიან ეკონომიკურ

და სამართლებრივ სივრცეს. თუ ამ დებულებას საპირისპირო კუთხით შევხედავთ – მოუგვარებელი ინფორმაციული ურთიერთზემოქმედების პრობლემა სხვა სფეროებში სერიოზული ჩამორჩენის საფუძველი ხდება, რაც დღესდღეობით აშკარაა. ამით იყო განპირობებული გლობალური ინფორმაციული საზოგადოების საოკეანო ქარტიის (2000 წ.) ხელმომწერ პირთა მონოდება ლიკვიდირებულ იქნეს საერთაშორისო უფსკრული ინფორმაციისა და ცოდნის სფეროში.

ინფორმაციის წარმოების, გავრცელებისა და გამოყენების სფეროში ზოგადი კანონები მოქმედებენ,რომლებიც კანონმდებელს ავალდებულებენ რეგულირების ფარგლები და საზღვრები მათი გათვალისწინებით იქნეს დადგენილი.

ინფორმაციის წარმოების სფეროში მოქმედებს ინფორმაციის არასრულყოფილი გამოყენების კანონი, რაც გამოწვეულია, როგორც ინფორმაციის ფრაგმენტულობით, ასევე სუბიექტთა მხრიდან მისი სრულად გამოყენების შეუძლებლობით. ემპირიული ასახვითი სიტუაციები მწარმოებელს აიძულებს დააფიქსიროს მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მისთვისაა ხელმისაწვდომი, რაც მისი შემდგომი გამოყენების პროცესში უარყოფითი შდეგის გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს. სამართლებრივი რეგულირება ამ შემთხვევაში გულისხმობს ინფორმაციული წარმოების სრულყოფისა და განვითარების წანამძღვრებს შემოქმედების, ქცევის, განათლებისა და ა. შ. სფეროში თავისუფლების გარანტიებს; აგრეთვე, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლებათა დაცვისა და ე. წ. „მავნე ინფორმაციის“ წარმოების აკრძალვას.

ინფორმაციის გავრცელების სფეროში მოქმედებს ინფორმაციის მოძრაობის პროცესში დამახინჯების კანონი, რაც სუბიექტთა მიერ ინფორმაციის აღქმის სხვადასხვა შესაძლებლობასთან არის დაკავშირებული. კანონმდებლები ერთსულოვანნი არიან გამოყონ მხოლოდ ინფორმაციის „გავრცელება“. გავრცელების ხერხების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ უშუალო და შუალობითი გავრცელება.

უშუალო გავრცელების დროს ინფორმაციული პროდუქტის შემქმნელი მომხმარებელზე უშუალოდ ახდენს გავლენას (ლექცია, კონფერენცია, სემინარი, მიტინგი და სხვა). სამართლებრივი რეგულირება ამ სფეროში კონფიდენციური და „მავნე“ ინფორმაციის გავრცელების აკრძალვას და შესაბამის პასუხისმგებლობას, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვას ეხება.

შუალობითი გავრცელების დროს, ინფორმაციის შემქმნელსა და მომხმარებელს შორის შუამავალი ჩნდება, ესაა ინფორმაციის ფიქსაციისა და გადაცემის საშუალება. სამართლებრივი თვალსაზრისით ინფორმაციის გავრცელების კონფიდენციურობისა და სრულყოფილე-

ბის უფლების დაცვა აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების და ინფორმაციული სისტემების დაცვას ეხება.

ინფორმაციის მოხმარების სფეროში ინფორმაციის განსაზოგადოებრიობისა და გასხვისების იძულების ობიექტური კანონი მომედებს. ეს კანონი დაკავშირებულია სუბიექტის სურვილის არქონასთან ნებაყოფლობით გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია; აგრეთვე მოქალაქეთა ინფორმაციული უფლებების რეალიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, ინფორმაციის განსაზოგადოებრიობის აუცილებლობასთან. ამ სფეროში სამართლებრივი თვალსაზრისით შემდეგი ტერმინები გამოიყენება: „მოხმარება", „ძიება", „შეკრება", „მიღება"; რაც ინფორმაციასთან დაშვების უფლების დაცვას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, „მავნე", ინფორმაციის ზემოქმედებისაგან დაცვას გულისხმობს და ა. შ.

უნდა ვაღიაროთ, რომ სამართლებრივ ურთიეთობებში ინფორმაციის ადგილის განსაზღვრისას არ არსებობს ძირითადი სამართლებრივი ინფორმაციის კატეგორიების სისტემურობა, ისინი ზოგჯერ შეუთავსებელნი არიან ერთმანეთთან, ან ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, არ ასახავენ ობიექტთა ძირითად ნიშნებსა და კავშირებს.

ამიტომ სისტემურობის მიღწევის მიზნით აუცილებელია მთელი სისრულით დახასიათდეს ინფორმაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც საწყისი და წარმოებული (ღია და შეზღუდული დაშვება) ინფორმაციის შექმნასა და გავრცელებასთანაა დაკავშირებული. ამ ურთიერთობებს ეკუთვნის აგრეთვე ინფორმაციული რესურსების ფორმირების, ინფორმაციული პროდუქტების მომზადების, ინფორმაციული მომსახურების გაწევის (შეკრება შენახვა, გავრცელება) პროცესები და ინფორმაციის მოძიების, მიღების, გადაცემის უფლება.

ინფორმაციული სამართალურთიერთობები შეიძლება დავაჯგუფოთ აქტიურ და პასიურ ინფორმაციულ ქმედებებად, საშუამავლო ინფორმაციულ-სამართლებრივ და დამხმარე ინფორმაციულ საქმიანობად, ქონებრივ და არაქონებრივ ურთიერთობებად.

იურისტ მეცნიერებმა ცალკე გამოჰყვეს უფლება ინფორმაციაზე (როგორც ინფორმაციასთან დაშვების და გაცნობის უფლებამოსილება, ინფორმაციის გაშიფრვა, დოკუმენტთა ასლირება და სხვა). სადაო არაა არც სანივთო და არც ინტელექტუალური საკუთრების ნორმების გამოყენება ინფორმაციული ურთიერთობის სფეროში (ინფორმაციასა და მასზე უფლების „ორმაგი დაცვის" კონცეფცია[1]). ამასთან აუცილებელია ვაღიაროთ, რომ ინფორმაციული სამართალურთიერთობების

[1] Бачило И.Л. Лопатин В.Н; Федотов М.А. Информационное право; Санкт-Петербург; 2001, с. 150.

სტრუქტურის განსაზღვრაში ერთიანი მიდგომა არ არსებობს და ინფორმაციული ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმები უსისტემოდაა გაბნეული მოქმედი სამართლის ნორმებში. ამის უარყოფითი შედეგი კარგად ჩანს „უქაღალდო" ურთიერთობების სფეროში წარმოშობილი კონფლიქტების სასამართლო განხილვების დროს. ერთის მხრივ, რთულ სიტუაციებში სასამართლოები ექსპერტიზის ინიცირებას ახდენენ და მათ დასკვნებს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, მეორეს მხრივ, ინფორმაციის ფიქსაციის ხერხები ამცირებენ მხარეთა რისკს. ამიტომ, გასათვალისწინებელია, რომ ინფორმაციულ სამყაროში მოქმედებას იწყებენ არა რეალური, არამედ „ვირტუალური" პიროვნებები, რომლებიც სამართლის სუბიექტისათვის დამახასიათებელი მხოლოდ ზოგიერთი ატრიბუტის მატარებელნი არიან. მაგალითად, ქსელური ფსევდონიმი, პერსონალური სერტიფიკატი, საბანკო ანგარიშის ნომერი ან სარეგისტრაციო ნომერი რომელიმე სხვა ქვეყანაში. სამოქალაქო და საფინანსო კრიპტოგრაფია ისეთ წარმონაქმნებთან ერთად, როგორიცაა ოფშორები, ყოფაცხოვრების ყველა სფეროში ვირტუალურ პიროვნებათა ეფექტური ფუნქციონირების პირობებს ქმნიან. ვირტუალური მოხმარების მაგალითები კარგად ჩანს სახლების ოფშორული ფირმების მიერ ყიდვაში, მანქანის მინდობილობით მართვაში, კორპორაციული საკრედიტო ბარათით გადახდაში და ა. შ. ვირტუალიზების ჩანასახები გაჩნდა არაქსელურ პრაქტიკაშიც (ვირტუალური სქემები, იურიდიული პირები, რომლებიც სამი თვიდან ერთ წლამდე არსებობენ და დაკარგული პასპორტებით, ან გარდაცვლილთა დოკუმენტებით საეჭვო ოპერაციების განხორციელებას ახერხებენ). ასე, რომ მომავალი სამყარო, ურთიერთობათა რეგულირების თვალსაზრისით, ორ ნაწილად იყოფა: რეალურ პირთა სამყარო და ვირტუალურ პირთა სამყარო, რომელთა გაიგივება რეალურ პირებთან თითქმის შეუძლებელი იქნება. ვირტუალურ პირს ვერ გამოიძახებ სასამართლოში, ვერ დააკისრებულებ ზიანის ანაზღაურებას და ვერ შეუფარდებ თავისუფლების აღკვეთას. ამიტომ სახელმწიფო ყველანაირად უნდა ეცადოს ვირტუალური პირის რეალურთან მიბმას, რომ ის სასამართლო ქვემდებარე და ანგარიშვალდებული იყოს. ეს პრობლემას მთლიანად მაინც არ ხსნის. ვირტუალურ სამყაროში არ უნდა ველოდოთ სახელმწიფოსაგან ეფექტურ სამართლებრივ დაცვას. რამდენადაც ახალი ტექნოლოგიები უფრო და უფრო იჭრებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სამართლის როლი ფიქსირებულ და პროგრამულ უზრუნველყოფაზე პარალელურად იზრდება.

რა შეიძლება იყოს გამოსავალი? ტრადიციული სამართლებრივი ნორმების სრულყოფა, ელექტრონული ვირტუალური თვითრეგუ-

ლირების ახალი მექანიზმების გამოყენებასთან ერთად. როგორიცაა: გარიგებათა უსაფრთხო ოქმები, კოდიფიცირებული პროგრამული უზრუნველყოფები, დაზღვევა, როგორც რისკით მუშაობის საშუალება, ექსპერტული თანასაზოგადოებები, რომლებიც რთულ სიტუაციებს იხილავენ ვირტუალურ პირთა ნდობის რეიტინგები და სხვა.

3.2. ინფორმაციული სისტემები: როგორც სამართლის ობიექტი

ინფორმაციული სისტემა – ეს ტექნოლოგიური სისტემაა და იგი ტექნიკური, პროგრამული და სხვა საშუალებების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც სტრუქტურულად და ფუნქციონალურადაა გაერთიანებული ერთი ან რამდენიმე სახის ინფორმაციული პროცესისა და ინფორმაციული მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად.

ინფორმაციული სისტემის საფუძველია დოკუმენტური ინფორმაცია, მონაცემთა ბაზები, ინფორმაციული მასივები, რომელთა იურიდიული ბუნების გარკვევას ამ პარაგრაფში შევეცდებით.

ინფორმაციის ერთ-ერთი თვისება – ფიქსირების შესაძლებლობა, ამ ობიექტის სამართლებრივი რეგულირების სისტემაში ჩართვის მიზნით გამოიყენება, ამიტომ სამართლებრივ აქტებსა და იურიდიულ ლექსიკაში ხშირად ვხვდებით ცნებას **„დოკუმენტური ინფორმაცია"**, რომელიც ცნობებისა და მატერიალური მატარებლის ერთობლიობას აღნიშნავს. ცნობა მატერიალურ მატარებელზე სიმბოლოების, ნიშნების, ასოების, ტალღების ან სხვა საშუალებით აისახება. დოკუმენტირების გზით, თითქოს ინფორმაციის მატერიალიზება ხდება. საბოლოოდ ინფორმაციის დოკუმენტირებით ჩვენ ვღებულობთ ფონდებს, მონაცემთა ბაზებსა და ბანკებს და სხვა ინფორმაციულ მასივებს. მათი შექმნის, მფლობელობისა და გამოყენების პროცესში გარკვეული უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა, რომელთა სწორად განხორციელება ინფორმაციის მიღების და გავრცელების კონსტიტუციური უფლების გარანტიას წარმოადგენს.

ინფორმაციისა და მისი მატარებლის ერთიანობა სამართალმცოდნეებს ხშირად ორი ინსტიტუტის – სანივთო და ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისაკენ უბიძგებს. ინფორმაციის დოკუმენტირება, იურიდიული თვალსაზრისით წყაროს შექმნას ანუ ინფორმაციის სანდოობის ხარისხის გაზრდას გულისხმობს, რაც თავისთავად გარკვეული სამართლებრივი მექანიზმის დაცვით უნდა განხორციელდეს. პრაქტიკული თვალსაზრისით ინფორმაცია დასაბუთებული

ცნობა ან მონაცემი უნდა იყოს სწორი გადაწყვეტილების საფუძვლად რომ გამოდგეს. ამიტომ, ინფორმაციულ ბაზარზე, ინფორმაციის სანდოობის მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის დოკუმენტირებას (დოკუმენტურ ინფორმაციას).

დოკუმენტური ინფორმაცია თავისთავად ინფორმაციაა, მაგრამ სარგებლიანობისა და ღირებულების თვალსაზრისით მასში ორი ნაწილი გამოიყოფა:

საიდენტიფიკაციო (ანუ მეტაინფორმაცია – ინფორმაცია ინფორმაციის შესახებ) და ინფორმაციის შინაარსი.

მეტაინფორმაციას ეკუთვნის დოკუმენტის აღწერილობა (სათაური, წყაროს დასახელება, მფლობელი და ა. შ.). მეტაინფორმაციულ ნაწილს ქმნის სუბიექტი და ამიტომ ღირებულებათა თვისებების გაზრდის მიზნით, შეიძლება შეიცავდეს პირველ პარაგრაფში დასახელებულ სამივე შეცდომას, ამასთან ფსევდოინფორმაციას ან დეზინფორმაციას. მეტაინფორმაციის საფუძველზე ადგენენ საგნობრივ ან სისტემურ კატალოგებს, რის შედეგადაც დამახინჯებული ინფორმაცია შეიძლება ინფორმაციულ ნაკადში მოხვდეს. ინფორმაციის დამახინჯება სხვა საფეხურზეცაა შესაძლებელი. კერძოდ, მისი არასწორი გაგებით ან გამოყენებით. ე. ი. დოკუმენტური ინფორმაციაა შეიძლება ყველა საფეხურზე დამახინჯდეს, მისი შექმნიდან გამოყენებამდე. ამიტომ, დოკუმენტური ინფორმაციის შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გადაცემის უზრუნველყოფის მიზნით გარკვეული წესებისა და პირობების დაცვაა საჭირო, რაც ინფორმაციასა და მისი დოკუმენტირების პროცესს სამართლებრივი რეგულირების სისტემაში აქცევს.

მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურასა და საკანონმდებლო აქტებში დოკუმენტური ინფორმაციის ერთნაირი ცნება არ არსებობს. დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობა დოკუმენტურ ინფორმაციაში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიებით შექმნილ ინფორმაციას გულისხმობს.[1]

ზოგიერთი პოსტკომუნისტური ქვეყნის საკანონმდებლო აქტის მიხედვით კი დოკუმენტური ინფორმაცია ისეთი ინფორმაციაა, რომელიც მატერიალურ მატარებელზეა დაფიქსირებული, შესაბამისი რეკვიზიტები გააჩნია, რაც მისი იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა.[2]

დოკუმენტის ტრადიციულ ფორმას ქაღალდი წარმოადგენს. ასეთ მატარებელზე შექმნილი დოკუმენტი, რომელიც შესაბამისი რეკვიზიტებით და ხელმოწერითაა დამოწმებული, ფართოდ გამოიყენება

[1] Computer Law. Thierd Edition by Cris Reed. University of London 1996

[2] იხ: Закон РФ «Об информации; информатизации и защите информации». 1996; Закон Украйны «Об информации». 1997.

სამოქალაქო, ეკონომიურ თუ სხვა ურთიერთობებში, მათ შორის მტკიცებულებებად სასამართლო განხილვის პროცესში. დოკუმენტირებული ინფორმაციის მტკიცებულებითი ძალა გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით. საპროცესო კოდექსებით წერილობით მტკიცებულებებს წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ.

როგორც მეცნიერებაში, ასევე პრაქტიკაში აღიარებულია, რომ ინფორმაციის მატარებელი არის არა მარტო ქაღალდი, არამედ ნივთები, რომლებიც თავიანთი ხარისხით, თვისებით საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას წარმოადგენენ. მაგალითად: ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვია შემთხვევის ადგილზე ან დაზარალებულის სხეულში, სამართალდამცავ ორგანოებს საშუალებას აძლევს დაადგინონ არა მარტო ცეცხლსასროლი იარაღის სახე, არამედ მანძილი დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის გასროლის მომენტში, რასაც მნიშვნელობა აქვს დანაშაულის გახსნის საქმეში.

ამ საკითხზე მრავალი მოსაზრების არსებობის მიუხედავად მაინც რჩება საკითხთა წრე, რომელსაც დოკუმენტური ინფორმაციის დღევანდელი გაგება არ მოიცავს და ამის გამო გარკვეულ ხარვეზებს აჩენს კანონმდებლობაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დოკუმენტური ინფორმაციის თვისება ის არის, რომ მატერიალურ მატარებელზე ცნობები ნიშნებით ფიქსირდება, რაც ადამიანის ცნობიერებაში მათი ასახვის საფუძველი უნდა გახდეს. ზოგჯერ ეს ასახვა სხვა კავშირების დახმარებითაა შესაძლებელი. მაგალითად, უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტი მკითხველს არაფერს აცნობებს თარგმნის გარეშე, ე. ი. საჭიროა კავშირის საშუალება (დოკუმენტის მთლიანობა სხვა კავშირების საშუალებითაა შესაძლებელი), რაც ლიტერატურაში ტრანსინფორმაციითაა ცნობილი.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ცნობები რაღაცის შესახებ ვიზუალური გამოსახულების (პირდაპირი სატელევიზიო გადაცემა, მორბენალი სტრიქონი), აუდიოსიგნალი (პირდაპირი რადიოგადაცემა) ან ველის მეშვეობით (ჰოლოგრაფიული ან კრისტალოგრაფიული გამოსახულებები) შეიძლება იყოს გადაცემული. ე. ი. ინფორმაციის მატარებელი არა მარტო ობიექტია, არამედ პროცესი ან სივრცითი გამოსახულება. სწორედ ამიტომ ხდებიან ინფორმაციული სისტემები სამართალურთიერთობის ობიექტები.

ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვამ საკმაოდ შეავიწროვა ტრადიციული მატარებლის – ქაღალდის – როლი. ქაღალდზე დაფიქსირებული ინფორმაციისაგან განსხვავებით, მანქანურ

მატარებელზე (მაგნიტური და ოპტიკური დისკები, კომპიუტერის მეხსიერება, ელექტრომაგნიტური ტალღები და ა. შ.) არსებული ინფორმაცია უფრო ადვილად შეიძლება შეიცვალოს, რადგან ასეთი ჩარევის კვალის დადგენა ძნელი ხდება. იოლია მისი გაყალბება და ექსპერტიზა ამ სფეროში ცნობათა და მონაცემთა სანდოობის გარანტი ვეღარ ხდება. ბუნებრივია, რომ ასეთი დოკუმენტი ტრადიციული მტკიცებულების უნარს კარგავს და მართლმსაჯულებისათვის გამოუსადეგარია.

სწორედ ამან განაპირობა ინფორმაციის დოკუმენტირების სისტემაში **ელექტრონული დოკუმენტის** შემოტანა. მსოფლიო ინფორმაციულ გაცვლით სისტემებში ეს ისეთი დოკუმენტია, რომელიც უშუალოდ გამოთვლითი ტექნიკის საშუალებით იქმნება. მსოფლიოში ელექტრონული დოკუმენტების რიცხვი გეომეტრიული პროგრესით იზრდება. 2000 წლის მონაცემებით აშშ-ში მათი რიცხვი მთელი დოკუმენტური ინფორმაციის 55% შეადგენს, შვეიცარიაში – 40%.

ტრადიციული დოკუმენტებისაგან განსხვავებით ელექტრონული დოკუმენტი იმპულსებისა და სიგნალების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლის დეკოდირება კომპიუტერის მეშვეობით ხდება. თუ ტრადიციულ დოკუმენტს ფიზიკური სახე გააჩნია, ციფრული დოკუმენტის ელექტრონული სიგნალები, რომელიც ინფორმაციის შინაარს შეიცავს, ციფრული დისკის თავისუფალ მეხსიერებაშია განთავსებული, ე. ი. ინფორმაციის ელემენტები შეიძლება სხვადასხვა, ერთმანეთისაგან მოცილებულ ადგილებში იყოს განთავსებული.

როგორია საერთაშორისო პრაქტიკა ამ სფეროში?

მანქანური დოკუმენტების მტკიცებულებითი ძალის დადგენის მიზნით, აუცილებელი გახდა ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც პირს შესაძლებლობას აძლევს მანქანურ დოკუმენტზე გააკეთოს ქაღალდზე ხელმოწერის მსგავსი აღნიშვნა. ამ აღნიშვნის დანიშნულებაა ექსპერტიზისათვის იდენტიფიცირების შესაძლებლობა, სწორედ აქედან მომდინარეობს ცნება **„ელექტრონული ციფრული ხელმოწერა“** .

ევროპის კონტინენტურ ქვეყნებში და აშშ-ში არსებობს კანონები „ელექტრონული ციფრული ხელმოწერის შესახებ“. ამ აქტებში ტექსტის ორიგინალობასა და იდენტიფიკაციის საშუალებებზეა გამახვილებული ყურადღება, რაც ელექტრონული დოკუმენტის სანდოობის იურიდიული აღიარების საშუალებას იძლევა.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოშიც მწვავედ დგას საკითხი ელექტრონული დოკუმენტის არა მარტო იურიდიულ აღიარებაზე (მტკიცებულებად სასამართლოში), არამედ კომერციულ სტრუქტურებსა და ოფიციალურ ინსტანციებში მათ ცნობაზე. ამ სფეროში პირ-

ველადი რეგულირების კარგი საშუალებაა ნორმატივები და სტანდარტები. მსგავსი სტანდარტი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში შეიქმნა 1984 წელს, რომელიც იურიდიულ ძალას ანიჭებდა გამოთვლითი ტექნიკით მიღებულ დოკუმენტებს (GOCT 6. 10. 4 -84). საქართველოს სტანდარტიზაცის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის საუწყებათაშორისო კომისიის გადაწყვეტილებით, საქართველოში დღეს მოქმედებს 1997 წლის 2 მარტის სახელმწიფო სტანდარტი სსტს 7.3-97, რომელიც ადგენს გამოთვლითი ტექნიკის საშუალებით აღჭურვილ ობიექტზე სხვადასხვა კატეგორიის საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ძირითად დებულებებსა და განმარტებებს.

აშშ-ის 1991 წელს საკანონმდებლო ბაზის ფორმირების სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა (Association for informaton and Image Management – ALLM) სამი წლის მუშაობის შედეგად მომზადდა „დირექტიული მაჩვენებელი", რომელიც კანონმდებლობაში ორი ძირითადი მიმართულებით აისახა: 1) ახალი ტექნოლოგიებით შექმნილი დოკუმენტების ცნობა სასამართლო მტკიცებულებად და 2) ამ დოკუმენტთა აღიარება სახელმწიფო ორგანოთა მიერ.

ეს საკითხი ნაწილობრივ გადაწყვეტილია საქართველოს კანონმდებლობით. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის მე-2 ნაწილით ხელშეკრულების ფორმის უზრუნველსაყოფად საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება ან ტელეასლი, ანუ სამოქალაქო კოდექსმა მტკიცებულებითი ძალა მისცა ელექტრონული საშუალებით დადებულ გარიგებას და მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში გარიგების ფორმა დაცულია. ანალოგიურად წყდება საკითხი საბანკო კანონმდებლობითაც, საბანკო მომსახურების სფეროში დადებული გარიგების შემთხვევაში.

ასე, რომ ელექტრონული დოკუმენტაცია საკანონმდებლო წესით მკვიდრდება, როგორც იურიდიული ფაქტი, რომელიც გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს.

ეს არის უმცირესი ნაწილი ელექტრონული ინფორმაციის იურიდიულ ჩარჩოებში მოქცევისათვის, რაც თავისთავად თვითმიზანი არ არის, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობებში მისი დამკვიდრება ფაქტია და სიზუსტის, სანდოობის დადგენის შეუძლებლობა ამ დოკუმენტის აღიარების დაბრკოლების საფუძველი ვერ გახდება.

კავშირგაბმულობისა და ტელესაკომუნიკაციო ქსელებით ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერით გავრცელებული ინფორმაცია დოკუმენტის ორიგინალის (ქაღალდზე ტრადიციული ხერხებით დაფიქსირებული ინფორმაციის) გავრცელების ანალოგიურია, ასე, რომ ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერა უზრუნველყოფს კავშირგაბმულობისა და ტელესაკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით გადაცემული

დოკუმენტის სისტემიდან ამოღების შემთხვევაში მისი (მანქანური დოკუმენტის) გამოყენებას კონკრეტული დავის გადაწყვეტისათვის.

მონაცემთა ბაზები – იქმნება ავტომატიზებული სისტემის შიგნით, დოკუმენტის ავტომატური ფორმირებით. ალგორითმების მეშვეობით ინფორმაციული სივრცის სხვადასხვა წერტილიდან და სხვადასხვა დროს შეიძლება მიღებულ იქნეს მონაცემები. ასეთი მონაცემების სისტემიდან ამოღების შემთხვევაში იქმნება დოკუმენტი. აქვე ჩნდება კითხვა საჭიროა კი კომპიუტერის მიერ მომზადებულ დოკუმენტზე ხელმოწერის გაკეთება?

ერთის მხრივ ეს ნონსენსია, იქმნება შთაბეჭდილება, რომ არავინ აგებს პასუხს დოკუმენტის შინაარსზე (კომპიუტერს პასუხი არ მოეთხოვება), მეორეს მხრივ ასეთი ხელმოწერის ვალდებულების დაკისრება თანამდებობის პირზე, რომელსაც არ შეუძლია შეამოწმოს შინაარსი და იკისროს პასუხისმგებლობა კომპიუტერით შედგენილი ცნობების არასანდოობისათვის, ასევე არასწორი იქნება.

იურიდიული თვალსაზრისით, ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემების მიერ შექმნილ დოკუმენტებზე წარმოიშობა იმ პირთა ვალებულებებისა და პასუხისმგებლობის რეგულირების აუცილებლობა, რომლებიც ინფორმაციის დამუშავებას ან გადაცემას ახორციელებენ, აგრეთვე ადგენენ კომპიუტერულ პროგრამებსა და მათი უზრუნველყოფის საშუალებებს. მონაცემთა ბაზები არ არის ნაშრომთა, არამედ მასალათა სიმრავლე (Collection), რომელიც სისტემურადაა განლაგებული და ცალკეული პირებისათვის (ინდივიდუალური მომხმარებელი) ელექტრონული გადაცემის (ინფორმაციული სისტემის) საშუალებით ხდება ხელმისაწვდომი. ხშირ შემთხვევაში მონაცემთა ბაზას განიხილავენ როგორც ტექსტუალურ მასალას, რაც არასწორია, რადგან ისეთი არატექსტური მასალა, როგორიცაა ციფრული გამოსახულება, ასევე შეიძლება მონაცემთა ბაზებს წარმოადგენდეს.

არსებობს მონაცემთა ბაზების სახესხვაობები, რომლებიც რამდენიმე ჯგუფად შეიძლება გაერთიანდეს:

1. ელემენტთა სიმრავლე (Compilation), რომლის თითოეული ნაწილი საავტორო სამართლით დაცული ობიექტია და მისი შედგენა კვალიფიკაციასა და შემოქმედებით მიდგომას ითხოვს (მაგ: გაზეთიდან მასალის ამოღება);

2. ელემენტთა სიმრავლე, რომელთა შეგროვება შემოქმედებით მიდგომას არ საჭიროებს (მაგ: რომელიმე კომპანიის წლიური ანგარიში);

3. ელემენტთა სიმრავლე, რომელიც შემოქმედებით მიდგომას არ მოითხოვს და ამასთან მისი ელემენტები საავტორო სამართლით რეგულირებას არ ექვემდებარება (მაგ: სატელეფონო ცნობარი);

4. ელემენტთა სიმრავლე, რომელიც საავტორო სამართლით რეგულირების ობიექტს არ ნარმოადგენს, მაგრამ მათი კომპილაცია პროფესიულ ძალისხმევას საჭიროებს (ცნობების ერთობლიობა).

ასე, რომ მონაცემთა ბაზები ელემენტთა კრებადობაა, რომელიც საავტორო სამართლით რეგულირების საგანი შეიძლება გახდეს ან საერთოდ არ იყოს მასთან კავშირში. უმეტეს შემთხვევაში მონაცემთა ბაზები შინაარსიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, სასაქონლო ურთიერთობის ობიექტი ხდება და სამართლებრივ ურთიერთობათა სისტემაში იმკვიდრებს ადგილს.

მონაცემთა ბაზებსა და ბანკებთან ერთად ხშირად გამოიყენებენ ტერმინს ინფორმაციული რესურსები.

ინფორმაციული რესურსები სახელმწიფოსათვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ბუნებრივი რესურსები (წიაღი, წყალი, ტყე და ა. შ.), ენერგეტიკული, ფინანსური ან შრომითი რესურსები. პოლიტიკურ-პროპაგანტისტული თვალსაზრისით, ასეთი პარალელი დასაშვებია, მაგრამ იურიდიული თვალსაზრისით მიუღებელი. ბუნებრივი რესურსები ადამიანის საქმიანობისაგან დამოუკიდებლად წარმოიშობა და სახელმწიფოსადმი მათი მიკუთვნება ტერიტორიული ადგილმდებარეობის ნიშნით ხდება. ენერგეტიკული რესურსები სამრეწველო საქმიანობის არაპერსონიფიცირებულ შედეგს წარმოადგენს და სახელმწიფოსადმი მათი მიკუთვნების პირობას ასეთ საქმიანობაში სახელმწიფოს მონაწილეობა შეადგენს. ინფორმაციული რესურსები (როგორც ინფორმაციულ პროდუქტთა ერთობლიობა) ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობის პერსონიფიცირების შედეგია. ანუ ეს არის სხვადასხვა სახის დოკუმენტები სხვადასხვა ინფორმაციულ სისტემაში.

ინფორმაციული რესურსების ეს თავისებურებანი გამორიცხავს სამართლებრივი რეგულირების ობიექტად მის განხილვას. ასეთი ტერმინის გამოყენება სამართლებრივი დატვირთვის გარეშეა შესაძლებელი. ე. ი. ინფორმაციული რესურსი ზოგადი ტერმინია, რომლის თითოეული ელემენტი დამოუკიდებლად შეიძლება გახდეს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველი.

ასევე მიმოქცევაშია ტერმინი „ინფორმაციული მასივები". ამ ცნებაში იგულისხმება არა მარტო დოკუმენტები (რეკვიზიტებით), არამედ ისეთი მონაცემებიც რომელთა ინტერპრეტაცია დოკუმენტთან შეუძლებელია (მაგალითად: ტელემეტრული მონაცემები ციფრული თუ სხვა სახით). მასივების ასეთი განმარტება ამომწურავი არ არის, რადგან წარმოიშობა ახალი სახის სისტემები, რომლებიც არც დოკუმენტების და არც მასივების განმარტებაში არ თავსდება (მაგ: WEB გვერდი და სხვა ჰიპერტექსტური დოკუმენტი).

ინფორმაციული სისტემების ცალ-ცალკე განხილვის აუცილებლობას იწვევს ის, რომ მათი თავისებურებებიდან გამომდინარე შეუძლებელია ინფორმაციული სისტემების რეგულირების ერთიანი მექანიზმის შემუშავება.

ინფორმაციული სისტემების სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად განხილვისას ყურადღება ექცევა ისეთ პარამეტრებს, როგორიცაა:

1. შინაარსი (საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამართლებრივი საფინანსო ეკონომიკური, პერსონალური და ა. შ.);

2. წყარო (ოფიციალური გამოქვეყნებები, სტატისტიკური ანგარიში და ა. შ.);

3. განსაზღვრული ორგანიზაციისადმი ან ინფორმაციული მასივისადმი მიკუთვნება (საარქივო, საბიბლიოთეკო, უწყებრივი, ტექნიკური ინფორმაცია და ა. შ.);

4. საკუთრების ფორმა (სახელმწიფო, სააქციო, კერძო და ა. შ.);

5. დანიშნულება-გამოყენების ხასიათი (მასობრივი, საუწყებათაშორისო, პირადი, საფირმო და ა. შ.);

6. საჯაროობა (ღია, შეზღუდული დაშვების უფლებით);

7. გადაცემის ფორმა (ტექსტური, ციფრული, გრაფიკული, მულტიმედია და ა. შ.);

8. ინფორმაციის მატარებელი (ქაღალდი, ელექტრონული და ა. შ.);

9. ინფორმაციის გავრცელების საშუალება (ქსელი, გამოცემა და ა. შ.);

10. ენა, რომელზეც წარდგენილია ინფორმაცია.

აღნიშნული ჩამონათვალი შეიძლება გაიზარდოს **იდენტიფიკაციის** სისტემის სრულყოფის გზით.

აქსიომაა, რომ კონკრეტული ობიექტის იგივეობის დადგენა სასამართლო მტკიცებულებათა შექმნის მიზნით ხდება. იდენტიფიკაცია ესაა მეთოდი სხვადასხვა სახის ექსპერტიზისათვის. კერძოდ, სასამართლო-საგამოძიებო (ხორციელდება პროკურორის, გამომძიებლის მოსამართლის მიერ საპროცესო ნორმების შესაბამისად), სააღრიცხვო-სარეგისტრაციო (შსს-მიერ პირის იდენტიფიცირების მიზნით), სასამართლო საექსპერტო (ობიექტის ჯგუფური კუთვნილების ან გაიგივების მიზნით).

ინფორმაციის თეორიაში ობიექტთა იდენტიფიცირების ფუნდამენტური პრობლემა არსებობს. ინფორმაცია სამართლებრივი რეგულირების ობიექტი ხდება საიდენტიფიკაციო ატრიბუტების არსებობის დროს, რითაც იგი ინფორმაციის ვირტუალურ სივრცეს გამოეყოფა. ინფორმაციის დოკუმენტირება და ინფორმაციული სისტემების შექმნა იდენტიფიკაციის პარამეტრების ატრიბუტული მახასიათებელია.

სამართალწარმოებაში იდენტიფიკაციის პრობლემა მნიშვნელოვანია. ინფორმაციასთან მიმართებაში იკვეთება პრობლემა, როგორ შეიძლება დაფიქსირდეს ინფორმაცია და ჩაერთოს იგი სასამართლო განხილვის პროცედურაში. კონკრეტულ შემთხვევაში, რომელი ინფორმაციული ობიექტი ზემოქმედებს მიმღებზე. ე. ი. იკვეთება წყაროს პრობლემა, რომელიც საინფორმაციო ქსელში გაშვებისას შეიძლება ზემოქმედების ინდიკატორი გახდეს. ამ თვალსაზრისით წარმოიქმნება მომხმარებლის უფლებათა დაცვის პრობლემა, რომელმაც არასათანადო ინფრმაცია მიიღო. ამასთან წარმოიშობა ქსელში გაშვებული და არხით გადაცემული ინფორმაციის გადაღების და შინაარსის შეცვლის პრობლემა.

კიბერნეტიკაში და კავშირების თეორიაში ეს პრობლემა კარგადაა გადაწყვეტილი. სამართლის სისტემაში ინფორმაციის იდენტიფიცირების მიზნით შესაძლებელია შესაბამისი მეთოდების გამოყენება, რაც შემდგომში მეცნიერთა კვლევის საგანი უნდა გახდეს.

ინფორმაციული ობიექტის იდენტიფიკაციის საკითხი მხოლოდ მტკიცებულებათა შექმნის მიზნით არ ხდება. იდენტიფიკაციის საჭიროება ინფორმაციული ობიექტების უსაფრთხოების მიზნითა და ამ ობიექტებზე რიგ შემთხვევაში საკუთრების უფლების გამოც წარმოიშობა.

3.3. ინფორმაციული ტექნოლოგიები, როგორც ინფორმაციული სამართლის ობიექტი.

ინფორმაციული ტექნოლოგიები ინფორმატიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. დღეს სწორედ იგი წარმოადგენს ფრონტის წინახაზს მთელი მსოფლიოსათვის.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ნორმატიული განმარტება არ არსებობს, მაგრამ პრაქტიკაში კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება ამ ცნების მოქნილი ვარიანტია. 60-70-ანი წლებიდან მეცნიერთა შორის დაისვა საკითხი: ითხოვს თუ არა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ეს განსაკუთრებული სახე სამართლებრივ რეგულირებას? დასავლურ იურიდიულ ლიტერატურაში კი დაიწყო იმის ძიება, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ახალი სუბიექტები წარმოშვა, თუ ტრადიციულ სუბიექტთა ახალ სახესხვაობასთან გვაქვს საქმე? რამდენად განახლდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფერო, რომელიც სამართლებრივ რეგულირებას მოითხოვს და როგორია მისი შინაარსი? როგორია საზოგადოებრივ ურთიერთობათა ახალი ობიექტი? რა თავისებურებებით ხასიათდება

ის გარემოებები, რომლებიც ინფორმაციულ ურთიერთობათა წარმოშობას, შეცვლის ან შეწყვეტას განაპირობებენ?

ეს არის კითხვები, რომლებზეც იურისტებმა უნდა უპასუხონ დღევანდელ ეტაპზე. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტა ორ მიმართულებას გულისხმობს. პირველი, ინფორმაციული ტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენების სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებთანაა კავშირში და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა ამ ტექნოლოგიების შექმნის ეკონომიკურ და ორგანიზაციული პრობლემების მოწესრიგებულობას ეხება. მეორე კი – ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მიმართულებით მათი გამოყენების პრობლემატიკას. სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით, არც ერთი მიმართულება არ შეიძლება იყოს ამომწურავი. იურიდიული პრაქტიკა და მეცნიერება ჯერ ამისათვის მზად არ არის.

ინფორმაციის დამუშავებისათვის გამოიყენება არა მარტო პროგრამული პროდუქტები, აგრეთვე ტექნოლოგიები და ტელესაკომუნიკაციო სისტემები. სისტემამ რომ იმუშაოს და ის არ დარჩეს ლოკალური ერთი მომხმარებლისათვის, აუცილებელია მისი კონტაქტი სხვა სისტემებთან და მომხმარებლებთან, რაც კავშირის საშუალებებით ხორციელდება. თითოეულ მათგანს სამართლის სისტემაში საკუთარი პროექცია გააჩნია. ასე, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამართლებრივი საფუძვლები განისაზღვრება ტელესაკომუნიკაციო კავშირების ორგანიზაციის საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპებითა და იმ ნორმებით, რომელთა კონკრეტიზაცია მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებებში ხდება. ასეთი დამოკიდებულება ურთიერთობის ტექნიკურ ხასიათს უსვამს ხაზს.

ინფორმაციის ტექნოლოგიებთან ერთად სამართლებრივი თვალსაზრისით საკმაოდ პრობლემურია საერთაშორისო გადაცემის ერთერთი მნიშვნელოვანი საშუალება – ინტერნეტი. ინტერნეტის ინტერნაციონალური ბუნება განაპირობებს ინფორმაციის გავრცელების ამ საშუალების საკანონმდებლო რეგულირების ზოგად ხასიათს. უმეტეს შემთხვევაში ასეთი აქტები ეთიკური კოდექსებია, რომელთაც სპეციალური საზოგადოებრივი ორგანიზაციები შეიმუშავებენ. ასეთი კოდექსების დედააზრი ინტერნეტში საქმიანობის შესაბამისობაა სამართლიანობის სტანდარტებთან. ეს ნიშნავს, რომ შეგნებულად არ გაავრცელონ არასწორი ინფორმაცია (ცნობა, მონაცემი), რეაგირება მოახდინონ მოსარგებლეთა მიერ ქსელში ასეთი ინფორმაციის გაშვებისათვის.

გარდა ამ ეთიკური კოდექსებისა, არის მცდელობა ინტერნეტის საკანონმდებლო გზით მოწესრიგებისა. მაგალითად: აშშ-ს კანონი

„ინტერნეტის დაცვის შესახებ“, ინტერნეტის სწრაფი ტექნოლოგიური და კომერციული განვითარების მხარდასაჭერად შეიქმნა. ინტერნეტში „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონი ფედერალურ ორგანოებს უკრძალავს ინტერნეტში ინდივიდის შესახებ კონფიდენციური ჩანაწერების გაშვებას. “დაშიფრვის თავისუფლებისა და უსაფრთხოების შესახებ“ კანონი დაშიფრვის საშუალებათა თავისუფალი გამოყენებისა და გაყიდვის შესაძლებლობას უშვებს. ამასთან, კრძალავს სახელმწიფო ან სხვა სტრუქტურების სავალდებულო დაშვებას დაშიფრვის გასაღებთან. კანონიერადაა მიჩნეული დაშიფრვა ნებისმიერი ალგორითმის, კოდის სიგრძის, სხვა საშუალებებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

რუსეთის ფედერაციაში მოქმედებს დაშიფრვის შესახებ 1989 წლის სტანდარტი, ხოლო ელექტრონული ხელმოწერის შესახებ 1994 წლის სტანდარტი. ეს სტანდარტები დაცვის მაღალი ხარისხის გამო, რაიმე უცხოური ალგორითმების გამოყენების აუცილებლობას არ წარმოშობენ. ამ სფეროში რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა საფრანგეთისა და შვეიცის კანონმდებლობის იდენტურია, რომლებიც კრძალავენ კრიპტოგრაფიული საშუალებების გამოყენებას თუ ისინი ადგილობრივ სახელმწიფო სტანდარტებს არ შეესაბამებიან.

რიგ შემთხვევაში კანონი ადგენს ვალდებულებას ინფორმაციული ტექნოლოგიების შექმნის თაობაზე. უმეტეს შემთხვევაში ეს არის ინტერნეტში „მავნე“ ინფორმაციისაგან დაცვის ვალდებულება. მაგალითად, აშშ-ს კანონი „ინტერნეტში ოჯახური დაშვების შესახებ“, უზრუნველყოფს მშობლებისათვის კონტროლის საშუალებებს იმ ინფორმაციის შინაარსზე, რომელზეც ინტერნეტის მეშვეობით ხელი მიუწვდებათ მათ შვილებს. ამ კანონით „პროვაიდერები“ ვალდებულნი არიან შეიმუშაონ ამ კონტროლის განმახორციელებელი პროგრამული უზრუნველყოფა. ინტერნეტთან დაკავშირებულ უსაფრთხოების პრობლემებზე ცალკე გვექნება საუბარი მე-7თავის მე-4 პარაგრაფში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებამ პრობლემა წარმოშვა ადამიანის უფლებათა დაცვის ტრადიციულ ინსტიტუტებთან დაკავშირებით, რადგან ისინი ნამდვილად აღარ არიან ტექნიკური პროგრესის ადეკვატური.

თავი IV

ინფორმაციული სამართლის სუბიექტები

4.1. სუბიექტები ინფორმაციულ ურთიერთობებში

სამართლის თეორიაში ურთიერთობის სუბიექტებს მიაკუთვნებენ ფიზიკურ და კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. იურიდიულ პირებში მოიაზრება ყველა სახის გაერთიანებები სამეურნეო, საზოგადოებრივ, კულტურულ, სოციალურ სფეროში, აგრეთვე, პოლიტიკური (სახელმწიფოებრივი) ორგანიზაციები და დაწესებულებები. ინფორმაციულ ურთიერთობებში სუბიექტები შეიძლება იმისდა მიხედვით დავაჯგუფოთ გადამცემ მხარეს წარმოადგენენ ისინი, თუ მიმღებს.

ინფორმაციის მიღება-გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლშია საუბარი. თუმცა ეს მუხლი სუბიექტთა წრის თვალსაზრისით ამომწურავი არ არის, რადგან იგი ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებას მხოლოდ ფიზიკური პირებისათვის აღიარებს. პრაქტიკულად, იურიდიული პირებიც ფიზიკური პირების მსგავსად ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებით სარგებლობენ.

სხვადასხვა სახის საინფორმაციო ორგანოების საქმიანობა ინფორმაციული გამოცემების მომზადებისა და გამოშვების კუთხით არ შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციულ ურთიერთობად, ხოლო მათ მიერ კონკრეტული მომხმარებლისათვის ინფორმაციის წარდგენა, ინფორმაციის დამუშავება და ა. შ. სწორედ ინფორმაციული ურთიერთობებია.

ინფორმაციის გადაცემა შეუძლიათ იმ პირებსაც, ვინც შემთხვევითი ხასიათის, ურთიერთგანცალკევებულ ცნობებს ფლობს (ინფორმაციის დამმუშავებელი და სხვა პირები, რომელთაც სხვადასხვა გზით მიიღეს ასეთი ცნობები). სუბიექტთა წრეში ცალკე შეიძლება გამოვყოთ პირები, რომლებიც ინფორმაციას ქსელების მეშვეობით ავრცელებენ.

კომპიუტერულ ინფორმაციულ ურთიერთობებში რამდენიმე სუბიექტი მონაწილეობს, ხოლო რაც შეეხება ურთიერთობის სტრუქტურას, საკმაოდ რთულია. ესენია: ინფორმაციის მიმღები (მომხმარებელი), ინფორმაციის გადამცემი (ინფორმატორი ან გენერატორი), კავშირგაბმულობა, რომლის მეშვეობით გადაცემა ხორციელდება და ზოგიერთ შემთხვევაში, შუამავალი, რომელიც ინფორმატორისა და მომხმარებლის ქსელში ჩართვას ახორციელებს. ამ სუბიექტთა ურთიერთობა ქმნის „ამხანაგობას" და კონკრეტული ინფორმაციული

ურთიერთობის მხარედ გახდომის შესაძლებლობა მხოლოდ ამ ურთიერთობის ჩარჩოებშია შესაძლებელი.

„ამხანაგობაში" პირველ რიგში შეიძლება გამოვყოთ მომხმარებელი და ინფორმატორი, რომლებიც სატელეკომუნიკაციო საშუალებებით ხელშეკრულების საფუძველზე ერთიანდებიან. ამ ხელშეკრულებას წინამოსამზადებელი ეტაპები აქვს და მას სამუშაო ტერმინად ადრეინფორმაციულ ურთიერთობას უწოდებენ.

ადრეინფორმაციული ურთიერთობის პირველი ეტაპი, ქსელში ჩართვა (ანუ ქსელზე მიმაგრება), კონკრეტული კომპიუტერული ინფორმაციული ურთიერთობის წარმოშობის პირობაა. ორივე სუბიექტის ერთ ამხანაგობაში (კომპიუტერულ ქსელში) გაერთიანებაა. ასეთი გაერთიანება ავტომატურად არ ხდება. იგი სპეციალურ აქტს მოითხოვს. ქსელში ჩართვას ახორციელებს შუამავალი, რომელიც მისი ფუნქციებიდან გამომდინარე „პროვაიდერის" სახელითაა ცნობილი. ეს ტერმინი „გამანაწილებელს" ნიშნავს. პროვაიდერი არ შეიძლება იყოს და არც არის ქსელის „ორგანო", რადგან ქსელი თვითონ არაა იურიდიული პირი. იგი მხოლოდ შუამავალია ურთიერთობის სხვა სუბიექტსა და ფაქტიურ წარმოქმნას შორის.

ქსელში ჩართვა კომპიუტერული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის წინაპირობაა და ინფორმაციული ვალდებულების პირველი საფეხურია. მისი საფუძველია განსაკუთრებული ხელშეკრულება ინფორმაციული ურთიერთობის სუბიექტსა და „პროვაიდერს" შორის. თუ ქსელს სამართლის სუბიექტად მივიჩნევთ, მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ არსებობს აგრეთვე ხელშეკრულება ქსელთან, რომლის წარმომადგენელიც იქნებოდა „პროვაიდერი" და მის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება დაეყრდნობოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 თავს (წარმომადგენლობა გარიგებაში).

ქსელში ჩართვა დიფერენცირებულად ხდება – მომხმარებლის ან ინფორმატორის სახით. რა თქმა უნდა, შესაძლებელია სუბიექტის ორივე ფორმით ჩართვა ქსელში (როგორც მომხმარებელი, როგორც ინფორმატორი). ინფორმაციის მომხმარებელს უფლება აქვს მოძებნოს მისთვის საინტერესო ცნობები და მიიღოს ისინი სხვა მომხმარებლისათვის გათვალისწინებული საფუძვლების მიხედვით.

შედარებით რთულია ინფორმატორის ქსელში ჩართვის პროცედურა, რადგან მას ინფორმაციის გადაცემის უფლება ეძლევა. ინფორმატორის მონაცემთა ბაზაში არსებული ყველა ინფორმაცია არ ითვლება გაშვებულად. ასეთია მხოლოდ ქსელში რეალურად გაშვებული ცნობები, რადგან ისინი ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისათვის. ქსელში ინფორმატორად ჩართვის აუცილებელი პირობაა შესაბამისი ტექნიკური საშუალება (ინფორმაციული სისტემა). ასე, რომ

ჩართვა შესაძლებელია როგორც საკუთარი, ისე, სხვისი ტექნიკური საშუალებით (სერვერი). ეს შემთხვევა გარკვეულწილად წააგავს „იჯარას".

ქსელში გაერთიანებული სუბიექტები, როგორც უკვე ვთქვით, ქმნიან „ამხანაგობას" რომელიც იურიდიული პირი არ არის და ამასთან, განსხვავდება სამოქალაქო კოდექსის 930-940 მუხლებით გათვალისწინებული ამხანაგობისაგან. მართალია, მხარეები მზად არიან შეასრულონ ერთობლივი საქმიანობა ინფორმაციის მიღება-გავრცელებასთან დაკავშირებით, მაგრამ ერთიანი სისტემა განუსაზღვრელია. ყოველ შემთხვევაში, მონაწილეთა წრე ორგანიზაციულად გაფორმებული არ არის და თითოეული მათგანი საკუთარი სახელით და ინტერესებით გამოდის. მათ არ გააჩნიათ საერთო საკუთრება და ინტერესები, როგორც ამას საქართველოს სამოქალქო კოდექსის 932-ე მუხლი ითვალისწინებს.

„ამხანაგობა" ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი გაერთიანებაა. ამ ორგანიზებული ერთიანობის შიგნით ურთიერთობებმა ფუნქციონირება რომ დაიწყოს, აუცილებელია მომხმარებელსა და ინფორმატორს შორის კავშირის მოწესრიგება. კომპიუტერული ინფორმაციული ურთიერთობის თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ მომხმარებელი ყოველთვის კონკრეტულია, ხოლო ურთიერთობის მეორე მხარე, ყოველთვის არ არის განსაზღვრული. ეს ის შემთხვევაა, როცა კონტრაგენტის დადგენა, რომელიც მისთვის საჭირო ინფორმაციას ფლობს, მომხმარებელს წინასწარ არ შეუძლია.

ინფორმატორები საკმაოდ ამორფულ „ამხანაგობას" ქმნიან. კონკრეტული შეკითხვის საფუძველზე მომხმარებელს თავიანთი გარემოდან „შესთავაზებენ" მისთვის საჭირო პარტნიორს (ამისათვის არსებობს სამისამართო წიგნი).

ეს ამხანაგობა საერთაშორისო ხასიათისაა და ერთი სახელმწიფოს ფარგლებს სცილდება.

ასეა განაწილებული როლები ინფორმაციული ურთიერთობის სუბიექტებს შორის, მაგრამ თითოეული მათგანი მხოლოდ ერთმანეთთან როდია დაკავშირებული. არ არსებობს აგრეთვე ურთიერთობა კავშირის უზრუნველმყოფთან. ეს ურთიერთობა დამოუკიდებელი სამართლებრივი ურთიერთობაა.

სუბიექტთა სტატუსის თავისებურებიდან გამომდინარე, მათ შორის კავშირები (ინფორმაციული ურთიერთობები) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შეიძლება დახასიათდეს:

1. კომპიუტერულ ქსელში ცნობების გაშვება (გამოფენა) და მათთან ქსელში ჩართულ პირთა ღიად დაშვება (მონაცემთა საჯაროობა) შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ოფერტი პირთა განუსაზ-

ღვრელი წრისადმი ანუ წინადადების შეთავაზება. ამ წინადადების მიხედვით, ცნობების გამომფენი მზადაა მიღებული თანხმობის შემთხვევაში შეასრულოს თავისი წინადადება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 329-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ეს ნიშნავს, რომ ხელშეკრულება ყველასთან დადებულად ითვლება ვინც ამ წინადადებას გამოეხმაურება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 330-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

2. ინფორმაციის მიღების ხელშეკრულება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც „საჯარო". ასეთი ხელშეკრულებები იდება ორგანიზაციასთან, რომელიც თავისი საქმიანობის ხასიათის მიხედვით მოწოდებულია მოემსახუროს ყველას ვინც მიმართავს. შესაძლებელია ინფორმატორი არ იყოს კომერციული ორგანიზაცია (ანუ შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი), მაგრამ კომპიუტერულ ქსელში ჩართვის ფაქტი კომერციულ ბრუნვაში მონაწილეობისათვის მზადყოფნას მოწმობს.

3. ინფორმატორი ინფორმაციას უფასოდ გასცემს. საერთოდ არსებობს ინფორმაციის უფასოდ გაცემის პრეზუმფცია, მაგრამ ოფერენტის წინასწარი შეტყობინების შემთხვევაში, ინფორმაციის გადაცემა შეიძლება იყოს ანაზღაურებადი. ამ წესის რეალიზაციის მექანიზმი განისაზღვრება საფასურის გადახდის სპეციალური პირობების დადგენით. ეს ძირითადად ეხება ნაწილობრივ დახურულ ინფორმაციას. ამასთან, ინფორმაციის ყველა მომხმარებელი ერთ მდგომარეობაში უნდა იყოს.

პრაქტიკულად არანაკლები მნიშვნელობა აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობებს სხვა სუბიექტებთანაც. პირველ რიგში, ეს ეხება ინფორმატორისა და მომხმარებლის კომპიუტერულ ქსელში ჩართვის ხელშეკრულებას, რომელსაც თითოეული ეს პირი დებს სხვადასხვა „პროვაიდერთან". ინფორმატორმაც და მომხმარებელმაც უნდა დადოს სხვადასხვა ტიპის სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც საფასურის გადახდის პრეზუმფციაზეა დამყარებული. კომპიუტერულ ინფორმაციულ ურთიერთობებში განხილულ ხელშეკრულებებთან ერთად შეიძლება გათვალისწინებული იყოს ზოგიერთი დამატებითი პირობა, მაგალითად, როგორიცაა „პროვაიდერისათვის" სერვერის ან ვირტუალური სერვერების გადაცემა ქსელში ინფორმაციის გაშვებისათვის. ასეთი დამატებითი პირობების რეალიზაცია ასევე ფასიანი მომსახურების პრეზუმფციაზეა აგებული.

კიდევ ერთი ხელშეკრულება, რომელიც აუცილებელია ინფორმაციული ურთიერთობების სრულყოფისათვის, ესაა ინფორმატორისა და მომხმარებლის მიერ კავშირგაბმულობის ორგანოებთან დადებული ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება საერთო წესით იდება, მაგრამ

კავშირგაბმულობის საერთო მომსახურების გაწევასთან შედარებით, გარკვეული თავისებურება მაინც გააჩნია. ასეთი ურთიერთობაც შეიძლება ჩაითვალოს „საჯაროდ" და ფასიან ხელშეკრულებად.

ინფორმაციული სახელშეკრულებო ურთიერთობების სისტემა საკმაოდ ვრცელი, მრავალმხრივი და რთულია. აქ განხილული ურთიერთობები, რა თქმა უნდა, არ არის ამომწურავი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს არის სპეციფიკური კომპლექსი, რომელიც განზოგადების საფუძველზე სამოქალაქო სამართლის სპეციალისტთა ცალკე კვლევის საგანი ხდება.

4.2. სახელმწიფო ორგანოები, როგორც ინფორმაციული ურთიერთობის სუბიექტი.

სუბიექტთა ამ კატეგორიას მიეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის კონკრეტული ორგანოები, გარკვეული თანამდებობის პირები, რომლებიც ინფორმაციული რესურსებით სარგებლობისა და ინფორმაციული ურთიერთობის გარკვეულ წესებს ადგენენ. მათი სამართლებრივი სტატუსი და ინფორმაციული რესურსისა თუ ინფორმაციის მიღება-გამოყენების ხერხები სამსახურებრივი საქმიანობის პროცესში საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით დგინდება. სუბიექტთა საქმიანობის ეს სფერო შეიძლება განისაზღვროს, როგორც სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის ინფორმაციული უზრუნველყოფის სფერო, რომელიც ხელს უწყობს მოცემული ორგანოს მიერ კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტას.

ინფორმაციის დამუშავებამ უნდა უზრუნველყოს ხელისუფლების ორგანოს გარესამყაროსთან კავშირი. ინფორმაციული მასივის ფილტრაციის პრობლემა სპეციალიზირებული საინფორმაციო-ანალიტიკური ხასიათის სამსახურების არსებობას მოითხოვს, რომელთა მუშაობის დებულებები და ინსტრუქციები მიმართული უნდა იყოს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების პროფილაქტიკისაკენ. ამასთან, პრობლემურია შემოსული და გასული ინფორმაციის სისტემატიზაცია ინფორმაციაზე შეზღუდული დაშვების უფლების გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით ორგანიზაციის, დაწესებულების შიგნით იქმნება ინფორმაციული ბლოკები, მასივები: ღია ინფორმაცია, სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, პერსონალური მონაცემები, კომერციული საიდუმლოება და ა. შ. ასეთი კატეგორიების შექმნა აუცილებელია დაცვის სპეციალური რეჟიმების შესაქმნელად.

სახელმწიფო ორგანოებს, როგორც ინფორმაციული ურთიერთობის სუბიექტებს, ამ სფეროში უფლება-მოვალეობების განხორციელებისას

გარკვეული პრობლემები წარმოეშობათ, რაც უპირველეს ყოვლისა ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნასა და სტრუქტურული ერთეულებისათვის ინფორმაციული რესურსების ფორმირებაში გამოიხატება. პრობლემაა, აგრეთვე ინფორმაციის სტრუქტურიზაცია და შესული ინფორმაციის დამუშავება, რაც სახელმწიფო ორგანოს პირდაპირ აკავშირებს გარე სამყაროსთან. ამ ინფორმაციული მასივის ფილტრაცია სპეციალური საინფორმაციო ანალიტიკური სამსახურის განსაკუთრებულ ძალისხმევას ითხოვს. აუცილებელია ამ სამსახურების დებულებებისა და ინსტრუქციების წვრილმანებში გაწერა, რაც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კარგი პროფილაქტიკა იქნება.

შემოსული და გასული ინფორმაციის სისტემატიზაცია შეზღუდული დაშვების კატეგორიების მიხედვით, კიდევ ერთი პრობლემაა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფის სფეროში. ამ პირობის გათვალისწინებით მთელი ინფორმაციული მასივი უნდა დაიყოს: ღია, სახელმწიფო, კომერციულ საიდუმლოებას და პერსონალურ მონაცემს მიკუთვნებულ ინფორმაციულ მასივებად. ასეთი დაყოფა აუცილებელია შესაბამისი რეჟიმების გამოყენების თვალსაზრისით.

ინფორმაციის მიღების გარდა, სახელმწიფო ორგანოების მიერ თავიანთი ფუნქციის განხორციელებისათვის აუცილებელია სტრუქტურულ ერთეულებთან და სხვა ორგანოებთან თუ ორგანიზაციებთან ინფორმაციული კავშირის უზრუნველყოფა. საქართველოს ზოგადადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ღია ინფორმაციის გაცემის ვალდებულება და მოქალაქეთა უფლება ინფორმაციის მიღებაზე კანონქვემდებარე აქტებით მოწესრიგების კონკრეტიზაციას ითხოვს. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობა საქართველოში არ იცნობს სამსახურებრივი ინფორმაციის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმებს. ეს საკითხი უარყოფითად აისახება სახელმწიფო მმართველობის ინფორმაციულ დისციპლინასა და კულტურაზე.

სამსახურებრივ ინფორმაციას განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი სჭირდება. იგი ხელმისაწვდომია შემსრულებელთათვის და აპარატის მუშაკთათვის. ინფორმაცია ამ რეჟიმში გადაეცემა სხვა სახელმწიფო უწყებებს. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ასეთი ინფორმაცია ღია ინფორმაციის კატეგორიას განეკუთვნება, იგი მაინც შენახული უნდა იქნეს ორგანიზაციიდან შეზღუდული გატანის ან გავრცელების სხვა ფორმების რეჟიმში.

საილუსტრაციოდ გამოდგება აშშ-ს რიგ ნორმატიულ აქტებში არსებული წესები. სახელმწიფო ორგანოებში ინფორმაციასთან მუშაობისა და თანამდებობის პირთა კომპეტენციის შესახებ. მაგალი-

თად ილინეის შტატის კონსტიტუციაში (მე-5 მუხლი) ნათქვამია, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში შედიან გუბერნატორები, ლეიტენატ-გუბერნატორები, გენერალ-ატორნეი, შეიტის მდივნი და კონტროლიორი. ეს პირები, ვალდებულნი არიან თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში უზრუნველყონ დოკუმენტთა შენახვა და მათ მოძრაობაზე კონტროლი.

აშშ-ს სენატის საქმიანობის მუდმივი წესები (1979 წლის რედაქციით) იმ ინფორმაციის კონფიდენციურობის მკაცრ რეჟიმს ადგენენ, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას სენატზე განსახილველად გააქვს. პრეზიდენტის მიერ სენატორებისათვის წარდგენილი კონფიდენციური ხასიათის ინფორმაცია, ხელშეკრულებები და მასზე მსჯელობები ასევე კონფიდენციურ რეჟიმში უნდა იყოს განხილული სენატორთა მხრიდან, რომლებიც ვალდებულნი არიან დაიცვან ინფორმაციის საიდუმლოება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკისრებათ პასუხისმგებლობა (სენატორი პალატის შემადგენლობიდან გაირიცხება, ხოლო თანამდებობის პირი ჩამოშორდება დაკავებულ თანამდებობას და დაისჯება სენატის შეურაცხადობისათვის). აშშ-ს ადმინისტრაციული პროცედურის წესები (& 552) ადგენს საჯარო ინფორმაციის სახეებს. მკაფიოდაა განსაზღვრული მომხმარებლისათვის ინფორმაციის მინოდების წესები ჩამონათვალის მიხედვით, გათვალისწინებულია დოკუმენტების უფასოდ ან მხოლოდ ასლის საფასურად გაცემა თუ იგი საჯარო ინტერესებისათვის ხორციელდება. ამასთან 9 სახის დოკუმენტია ჩამოთვლილი, რომელზეც შენახვის გადაცემისა და გამოყენების სპეციალური წესები უნდა გავრცელდეს. აშშ-ს ამ დოკუმენტისა დიდი ბრიტანეთის კანონის "ინფორმაციის თვისუფლების შესახებ" (მიღებულია 2000 წ.) გაცნობა სასარგებლოა სახელმწიფო ორგანოებში ინფორმაციის მოძრაობის წესების შესასწავლად და საქართველოში სამსახურებრივი ინფორმაციის შესახებ ნორმატიული აქტის შესამუშავებლად.

სახელმწიფო ორგანოებთან ერთად ინფორმაციულ სფეროში განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობენ კონტროლის პალატა, ეროვნული ბანკი, ცენტრალური საარჩევნო კომისია და ა. შ. რომლებიც პირდაპირ არ მიეკუთვნებიან ხელისუფლების რომელიმე შტოს, მაგრამ მნიშვნელოვან სახელმწიფო ფუნქციებს ასრულებენ. ეს ორგანოები საკუთარი სისტემის ინფორმატიზებას ახდენენ, სარგებლობენ ინფორმაციული რესურსებითა და კომუნიკაციებით, უზრუნველყოფენ ინფორმაციასთან დაშვების რეჟიმის დაცვას. მაგალითად საბანკო სისტემაში საკმაოდ რთული ინფორმაციული სტრუქტურა წარმოიქმნება, რომელიც იურიდიული სამსახურების ყურადღებას ითხოვს. ამ შემთხვევაში უნდა გამოვყოთ ინფორმაციული რესურსების

რამდენიმე სახე, რომელიც რეგულირების სპეციალურ რეჟიმს მოითხოვს:

1. შიდა საწარმოო პროცესის უზრუნველმყოფი ინფორმაცია (ქვედანაყოფების ფუნქციათა განმსაზღვრელი ნორმატიული ინფორმაციაა, აგრეთვე სამუსაო პროცედურების, საკადრო და პერსონალის სხვა ინფორმაცია ორგანიზაციის შიგნით).

2. საბანკო სისტემის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომლის მეშვეობით ხორციელდება საკრედიტო დაწესებულებათა საქმიანობაზე, ფასიანი ქაღალდების ემისიასასა, საბანკო ოპერაციებსა და სხვა ფუნქციებზე ზედამხედველობა.

3. ინფორმაცია, რომელიც დადგენილი წესით წარედგინება საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და სხვა თანამდებობის პირებს.

4. ოფიციალური ინფორმაცია ბანკის საქმიანობის საჯაროობის შესახებ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ პერსონალური ხასიათის ინფორმაციის გამოყენების საკითხი. ამ სფეროში ინფორმაციული ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება უსაფრთხოების სპეციალური საშუალებებთა და ინფორმაციის დამუსავების, შენახვისა და გავრცელების მარეგლამენტირებელი ნორმებით უნდა იყოს გაჯერებული.

5. ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამართლებრივი სტატუსი ინფორმაციულ სფეროში. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მხედველობაშია მისაღები ორგანიზაციათა იურიდიული პირის საერთო სტატუსი, და იმ ორგანიზაციების სპეციალური ინფორმაციული სტატუსი, რომლებმაც ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, დამუშავებისა და გადაცემის ფუნქციას ახორციელებენ.

იურიდიული პირის სტატუსით ორგანიზაციები თავიანთ უფლებამოვალეობებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და საკუთარი წესდების შესაბამისად ახორციელებენ. ამასთან, წარმოიშობა ამ ორგანიზაციათა ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემა საკუთარი სამეწარმეო, სამეცნიერო თუ მმართველობითი ფუნქციების განხორციელებისათვის. საერთო სტატუსის ფარგლებში ეს ორგანიზაციები ქმნიან საკუთარ ინფორმაციულ რესურსებს და განკარგავენ მას კანონის ფარგლებში.

წარმოიშობა აგრეთვე საკითხები ინფორმაციული ობიექტებისა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების განცალკევებისა და შერწყმისა. თავისი საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტისას ეს ორგანიზაციები უნდა ისწრაფოდნენ ფუნქციონალური საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფის უნიფიცირებისა და სტანდარტიზაციისათვის. ამ მიზნის მიღწევა

შესაძლებელია ფუნქციათა კლასიფიკაციით, რომელთა შესაბამისად მოხდება მონაცემთა ბაზებისა და ინფრმაციული ბლოკების ფორმირება.

რაც შეეხება ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების სპეციალური სტატუსის მქონე ორგანიზაციებს, (როგორიცაა ბიბლიოთეკები, არქივები და სხვა) მათი სისტემა ცალკეული (ფუნქციური) სტატუსის მქონე დამოუკიდებელი ერთეულებისაგან შედგება (ეროვნული, რაიონული ან მუნიციპალური მნიშვნელობის, სამეცნიერო, კერძო, საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ დაფუძნებული და ა. შ.) ამ დაწესებულებათა ფორმირება სახელმწიფო ინფორმაციული რესურსების გამოყენების ფუნქციით ლიცენზიის ინსტიტუტის მიხედვით ხდება. თუმცა საერთაშორისო ინფორმაციულ გაცვლაში საქართველოს მონაწილეობა ქვეყნის შიგნით სპეციალური საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფილი ჯერ კიდევ არ არის.

4. 3. ფიზიკური პირები, როგორც სამართლის სუბიექტები.

ფიზიკური პირები, როგორც ინფორმაციული ურთიერთობის სუბიექტები ნორმატიულ აქტებში მოიხსენიება, როგორც „მოქალაქე", „ინდივიდი", „ადამიანი" „პიროვნება", „პირი" (ფიზიკური პირის დათქმით). ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის სახელწოდება სწორედ იმასთანაა დაკავშირებული, რომ იგი რომელიმე სახელმწიფოს ქვეშევრდომს კი არ ეხება (როგორც მოქალაქე), არამედ ყველა ინდივიდს მისი ტერიტორიული მიკუთვნების გარეშე. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი „ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი", აღიარებს საერთაშორისო სამართლის ძირითად ნორმებსა და პრინციპებს არა მხოლოდ მოქალაქეთა მიმართ არამედ, ადამიანის, როგორც ინდივიდის მიმართ. სუბიექტთა წრე, რომელთა მიმართ კონსტიტუციის აღნიშნული თავი ვრცელდება გამოიყენება ტერმინი „ყოველი". საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლი კი ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით ათანაბრებს.

ინფორმაციის სფეროში უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის საკითხი განხილული იქნება თავში - „უფლება ინფორმციაზე". აქ მხოლოდ რამდენიმე საკითხზე შეიძლება გამახვილდეს ყურადღება, რადგან ფიზიკური პირის სამართალ სუბიექტურობის ზოგადთეორიულ წარმოდგენებთან შედარებით, ამ სფეროში, გარკვეული თავისებურებები იკვეთება. მაგალითად: ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა

დაბადებიდან იწყება. სრული ქმედუნარიანობა – 18 წლიდან. უფლებაუნარიანობა ნიშნავს კანონით გათვალისწინებულ პირის უნარს იქონიოს სუბიექტური უფლებები და მოვალეობები, რაც მის სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს. კანონმდებლობის დარგთა უმეტესობა ამ კატეგორიის დახასიათებისას იყენებს ტერმინს „თავისი ნებით“, „იქონიოს უნარი შეასრულოს ვალდებულებები“. ასეთი კონსტრუქციები ძირითადად დამახასიათებელია სამოქალაქო სამართლებრივი ქმედუნარიანობის და დელიქტუნარიანობისათვის – იკისროს პასუხისმგებლობა სამართალდარღვევისათვის. თუმცა ქმედუნარიანობა ეტაპობრივი მოვლენაა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში სხვადასხვა ასაკთან არის დაკავშირებული. ქართული სამართალი ქმედუნარიანობის ეტაპებს 7 წლიდან იწყებს, (14,18,21 წელი).

ამ საერთო წესთან მიმართებაში მემკვიდრეობის უფლებაც უნდა გავიხსენოთ, როცა უფლებაუნარიანობა დაბადებამდე იწყება ამ ინსტიტუტის მსგავსად, ჯერ კიდევ არ დაბადებული ბავშვის “მავნე“ ინფორმაციისაგან დაცვის უფლება, შესაძლებელია აისახოს ინფორმაციულ სამართალში.

ბავშვმა, ჯერ კიდევ სამოქალაქო ქმედუნარიანობამდე შეიძლება თვითონ განახორციელოს ინფორმაციასთან დაშვების უფლება (სასკოლო ასაკამდე ეცნობა წიგნებს ვიდეო, აუდიო, ტელე მასალას). ამ შემთხვევაში ბავშვის, როგორც სუბიექტის მიმართ ამოცანა მდგომარეობს, მისთვის საინფორმაციო ველის შექმნასა და არასასურველი ინფორმაციის ზეგავლენისაგან დაცვის უზრუნველყოფაში, რაც ბავშვის ჯანსაღი ინფორმაციული განვითარებისათვის გარკვეულ პირთა ვალდებულებებს (მშობელი, აღმზრდელი) გულისხმობს.

ადამიანი დაბადებიდან სხვადასხვა ფორმით არის დაკავშირებული ინფორმაციულ სამყაროსთან. ამიტომ მნიშვნელოვანია დადგინდეს ვინ არის გარანტია ინფორმაციასთან მისი დაშვების უფლებაზე და ვინ არის ვალდებული დაიცვას მისი ინტერესები განსახილველ სფეროში. მოქალაქის მიერ მჭიდრო ურთიერთობები ყალიბდება აღმასრულებელ ხელისუფლებასა და თვითმმართველობასთან. დაბადების რეგისტრაცია, გვარ-სახელის მიღება, პასპორტის მიღება, ჩაწერა ან რეგისტრაცია, საყოფაცხოვრებო კომუნალური პრობლემების მოგვარება, ჯანდაცვის ობიექტებზე მიმაგრება, პენსიის მიღება და ა. შ. ყველაფერი ეს ის ქმედებებია, რომლებიც გარკვეული დოკუმენტების შექმნას გულისხმობს და ქმნიან მოქალაქის სტატუსის განმსაზღვრელ დოკუმენტირებული ინფორმაციის ბლოკს.

ამ შემთხვევაში კრიტიკულ მიდგომას საჭიროებს მოქალაქის ცნების შეფასება, რომელიც ორი მიმართულებით უნდა განვიხილოთ:

1. მოქალაქე – როგორც ცალკეული პირი, რომელიც მყარ სამართლებრივ კავშირში არ არის რაიმე ორგანიზაციასთან ან დაწესებულებასთან და 2. მოქალაქე – რომელიც ორგანიზაციულ კავშირშია სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანოებთან. აქ საუბარია სამსახურებრივ, საქმიან, წარმოებით ურთიერთობებზე, როცა მოქალაქე სპეციალურ სტატუსს იძენს და ამის გამო გარკვეული უფლება-მოვალეობები უყალიბდება ინფორმაციულ სფეროში. არასწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მოქალაქე, როგორც სუბიექტი, რომელიც არ მუშაობს ან რაიმე კავშირი არა აქვს კონკრეტულ ორგანიზაციასთან, არ არის სახელმწიფოსთან დაკავშირებული ინფორმაციული ურთიერთობის ვალდებულებებით. სახელმწიფოც ორგანიზაციაა, რომელიც სხვადასხვა ორგანოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირთა სისტემას წარმოადგენს. მოქალაქე, ფიზიკური პირი, მიუხედავად თავისი შრომითი ან სხვა ანალოგიური კონტაქტებისა, ყოველთვის არის სოციალური კოლექტივის წევრი, გეოპოლიტიკური, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული, კულტურული, სულიერი სტრუქტურების ერთეული, რომელთა საქმიანობა მორალური, ჩვეულებითი ან სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება. ყველაფერი ეს მოცემული პირის მოთხოვნების ინფორმაციულ ფონთან არის დაკავშირებული.

მოქალაქე არა მარტო სამართლის მზრუნველობის ობიექტია, არამედ სუბიექტიც, რომლისკენაც მიმართულია სამართლის ნორმათა დარღვევის შედეგები; ესაა თანაბარუფლებიანი სუბიექტი, იმ ურთიერთობების ინიცირებისა და წარმოშობისა, რომლებიც ავალდებულებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს სახელისუფლებო უფლებამოსილებათა რეალიზებას. სამწუხაროდ, სამართალურთიერთობათა ეს მხარე მეცნიერთა მხრიდან ნაკლებადაა შესწავლილი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქის ინფორმაციული სამართალსუბიექტურობა არ არის დაკავშირებული მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციებთან, არამედ იგი მუდმივია. მოქალაქის ინფორმაციული სფეროს ფორმირება ხდება მოქალაქის ზოგადი და სპეციალური სტატუსის ფარგლებში (ბავშვი, პენსიონერი, ინვალიდი და ა. შ.) და ივსება მთელი ცხოვრების განმავლობაში. ინფორმაციული სფეროს ეს ნაწილი სახელმწიფოს მხრიდან დაცვას ექვემდებარება, ხოლო ინფორმაციის სფეროში თავისუფლებებს ყოველი სუბიექტი თავისი სტატუსიდან გამომდინარე და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში უკეთებს რეალიზებას.

ბუნებრივია, რომ მოსამსახურე, სახელმწიფო ან კერძო დაწესებულების მუშაკი, თანამდებობის პირი, თავისუფალი პროფესიის ადამიანი, საქმიანობის პროფილის გამო, დამატებით ინფორმაციულ უფლებებსა და მოვალეობებს იძენენ.

ზოგად სამოქალაქო სტატუსს უკავშირდება მორალის დაცვის საკითხები. ეს განსაკუთრებულად ეხება ინფორმაციულ გარემოს, რომელშიც ბავშვი თავის შეხედულებებს, მორალურ საფუძვლებს და მსოფლმხედველობას აყალიბებს. ძალის დემონსტრირება, პორნოსიუჟეტები თუ ნარკოტიკული საშუალებების და ა. შ. ამსახველი ინფორმაცია სწორედ სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს დაბლოკილი. სწორედ ამიტომ, უსაფრთხოების პრობლემათა შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს ინფორმაციულმა ეკოლოგიამ, რომელიც ფსიქოპროგრამირების პროფილაქტიკისათვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის.

ამ კუთხით გარკვეული მოძრაობა უკვე დაწყებულია. რიგ ქვეყნებში მუშაობს ინტერნეტში მოქმედების მორალური კოდექსები, რომლებიც მშობლებს შესაძლებლობას აძლევს ბლოკირება გაუკეთონ ბავშვებზე მავნე ზეგავლენის მქონე ინფორმაციულ კონტაქტებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია სასკოლო განათლების პროგრამები, განსაკუთრებით კერძო სკოლებში. სამართალმა უნდა გაითვალისწინოს ინფორმაციული ფაქტორები საგანმანათლებლო სტანდარტების დამტკიცებისას. ფიზიკური პირის, როგორც ინფორმაციული ურთიერთობების სუბიექტის კიდევ ერთ ასპექტს წარმოადგენს მასმედიის საქმიანობა. ამ სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტები ყურადღებას უთმობენ მასობრივი ინფორმაციის მონაწილეთა ორგანიზაციულ ურთიერთობებს: დამფუძნებლის, მესაკუთრის, რედაქციის, გამომცემლის, ჟურნალისტის, გამავრცელებლის უფლებამოვალეობებს. მაგრამ ყურადღება ნაკლებადაა გამახვილებული ამ ინფორმაციის მომხმარებელზე, რომელსაც ძირითადად მოქალაქე წარმოადგენს. უკანასკნელ პერიოდში მასმედია დამკვიდრდა როგორც მწარმოებელი, ხოლო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, როგორც პროდუქცია სამომხმარებლო ბაზარზე. აქ თვითრეგულირების მექანიზმები მოქმედებენ, მაგრამ არ არის გარანტია ინფორმაციის მომხმარებლის ინტერესების დაკმაყოფილებისათვის. იგი შემოთავაზებული ასორტიმენტიდან ახდენს არჩევანს. საუკეთესო შემთხვევაში მას აქვს უფლება იყიდოს იგი. მომხმარებლისათვის მასმედია რჩება დამახინჯებული ან გამოგონილი ინფორმაციის უარყოფის ან კომენტირების საშუალებად, რომელიც კონკრეტულ პირს ეხება.

თავი V

ინფორმაციული ურთიერთობის შინაარსი

5.1. ძირითადი ინფორმაციული უფლებები და თავისუფლებები

უფლება ინფორმაციაზე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ არის დამტკიცებული 1948 წლის 10 დეკემბერს (საქართველო მიუერთდა 1991 წლის 19 სექტემბერს), აღიარებს აზრის, რწმენისა და მრწამსის თავისუფლებას. ეს უფლება მოიცავს ინფორმაციისა და იდეების თავისუფლად მოძიების, მიღებისა და გავრცელების უფლებას ყველა საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად (მუხლი 19).

მოგვიანებით ეს დებულება აისახა სხვა საერთაშორისო დოკუმენტებშიც.

ადამიანის ულებებისა და ფუნდამენტურ თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციის (მიღებულია ევროსაბჭოს მიერ 1950 წლის 4 ნოემბერს) მე-10 მუხლი დამატებით ადგენს, რომ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება რეალიზდება სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან რაიმე ჩარევის გარეშე (საქართველო მიუერთდა 1999 წლის 12 მაისს).

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (მიღებულია 1976 წლის 19 ნოემბერს) მე-19 მუხლი აზუსტებს, რომ ეს თავისუფლებები ეხება ყველა სახის ინფორმაციას, იდეას და მათი გავრცელების ხერხს (საქართველო მიუერთდა 1995 წლის 23 ნოემბერს).

აღნიშნული უფლებები და თავისუფლებები განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციითაც. (მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს):

- ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება (19-ე მუხლი).
- ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია (20-ე მუხლი).

• ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას ან გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია (24-ე მუხლი).

• საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ საიდუმლოებას (41-ე მუხლი).

• ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ (37-ე მუხლი).

• ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებით სფეროში ცენზურა დაუშვებელია (23-ე მუხლი).

• ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება (35-ე მუხლი).

• კულტურულ ცხოვრებაში მოქლაქეთა შეუზღუდავი მონაწილეობის უფლება (34-ე მუხლი).

ადამიანის ეს უფლებები და თავისუფლებები რეალიზაციის პროცესში შეიძლება შეიზღუდოს, როგორც სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების ინტერესთა გათვალისწინებით, აგრეთვე კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებშიც. ასეთი მოთხოვნა ადამიანის უფლებათა დეკლარაციის 29-ე მუხლითაა დადგენილი: ყველა ადამიანი თავისი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომელიც კანონითაა დადგენილი გარკვეული მიზნით. ასეთი მიზნები შეიძლება იყოს: სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებისა და პატივისცემის უზრუნველყოფა, მორალის გარკვეული ნორმების დაკმაყოფილება, საზოგადოებრივი წესრიგი, დემოკრატიულ საზოგადოებაში საერთო კეთილდღეობა.

ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენცია შეზღუდვათა ჩამონათვალს კიდევ უფრო აზუსტებს, ესენია:

• სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესები, ტერიტორიული მთლიანობა და საზოგადოებრივი სიმშვიდე;

• უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილება;

• ჯანმრთელობისა და მორალის დაცვა;

• რეპუტაციისა და სხვა პირთა უფლებების დაცვა;

• კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურების თავიდან აცილება.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი შემდეგი სახის შეზღუდვებს აღიარებს:

• სხვა პირთა რეპუტაციისა და უფლებათა პატივისცემა;

• სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა;

• საზოგადოებრივი წესრიგი;

• მოსახლეობის ჯანმრთელობა და მორალი;

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ინფორმაციულ ურთიერთობებში უფლებათა შეზღუდვების საფუძვლად მიჩნეულია: სახელმწიფო უშიშროება; ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ჯანმრთელობა, სხვათა უფლებების და ღირსების დაცვა; დანაშაულის თავიდან აცილება; კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება; სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა.

აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლი საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლებას ანიჭებს შეზღუდოს ეს უფლებები გარკვეული ვადით.

ამასთან ერთად, ხაზი უნდა გაესვას ინფორმაციულ უფლებას იმ სფეროზე, სადაც არ შეიძლება შეზღუდვები დაწესდეს. მაგალითად:

1. ინფორმაცია საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად. საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებით სარგებლობა.

2. ნორმატიული ხასიათის ინფორმაცია (კანონი და კანონქვემდებარე აქტები).

3.სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის დოკუმენტები.

4. საბიბლიოთეკო და საარქივო ფონდები.

რიგ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში, რომლებიც ინფორმაციასთან შეზღუდული დაშვების უფლებას ადგენენ, შეიძლება კონკრეტულად იყოს მითითებული რომელი სახის ინფორმაციასთან დაშვების შეზღუდვა არ შეიძლება.

ისიც აღსანიშნავია, რომ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებამ პრობლემა წარმოშვა ადამიანის უფლებათა დაცვის ტრადიციულ ინსტიტუტებთან დაკავშირებით, რადგან ისინი ნამდვილად აღარ არიან ტექნიკური პროგრესის ადეკვატური (მით უმეტეს აღარ იქნებიან მომავალში). ტექნიკური ევოლუციის არსებული

ტენდენციის გათვალისწინებით აუცილებელია საერთაშორისო აქტებსა და კონსტიტუციებში აისახოს „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენისაგან დაცვის უფლებები" რა თქმა უნდა, ასეთი უფლებები დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებით განმტკიცებულ ტრადიციულ სტრუქტურებში არ მოთავსდება (სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, პირადი), მაგრამ შესაძლებელი იქნება „ტექნოინფორმაციული უფლებების" სახით დამოუკიდებელ კატეგორიად ჩამოყალიბება (ტექნო მიუთითებს მათი წარმოშობის ბუნებაზე, ხოლო ინფორმაციული – პოსტინდუსტრიული საზოგადოების ხასიათზე, რომლისთვისაც უფლებათა ეს კატეგორია სრული მოცულობითაა აქტუალური). ამ ჯგუფის უფლებათა და თავისუფლებათა კონსტრუქციები ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მიერ სპეციალური კანონმდებლობის სრულყოფას.

5.2. უფლება ინფორმაციაზე

ინფორმაციაზე უფლების განხილვა ცნობების მფლობელობით უნდა დავიწყოთ. თუ ზოგიერთი მეცნიერის აზრს მოვიშველიებთ, ცნობათა მფლობელობა უფლება კი არ არის – ფაქტიური მდგომარეობაა.[1] მფლობელობის უფლება პირს შეიძლება ჩამოერთვას, მაგრამ ცნობების (ინფორმაციის) ამოღება მფლობელისაგან შეუუქცევად ხასიათს ატარებს, რადგან არ შეიძლება ამოღებულ იქნეს ცოდნა, როგორც ინფორმაციის გაცნობის შედეგი. ასეთ შემთხვევაში პირს შეიძლება ჩამოერთვას სარგებლობის უფლება.

ამიტომ მფლობელობისაგან განსხვავებით, ინფორმაციულ ურთიერთობებში უნდა ვილაპარაკოთ ინფორმაციასთან **დაშვების, ინფორმაციის გაცნობის** უფლებამოსილებაზე, რომელიც გაცნობის წყაროს უკავშირდება. ამ ნიშნის მიხედვით ინფორმაციის გაცნობის ორი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ: 1. თუ ინფორმაციის წყაროს მატერიალური მატარებელი წარმოადგენს, მაშინ გაცნობა წარმოებულია მატერიალურ საგანზე საკუთრების უფლების გარეშე. 2. თუ მატერიალური მატარებელი არ არსებობს, ინფორმაციის გაცნობა უფლებებით კი არ განისაზღვრება, არამედ მფლობელის ფაქტიური ქმედებით – ზეპირი შეტყობინებით ან ტელეგამოსვლით და ა. შ.

ყველა პირობებში პირს შეუძლია განკარგოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელსაც ფლობს. ასეთი განკარგვის საფუძველი განსაკუთრებული უფლება არ არის, არამედ მესამე პირის დაინტერესებაა

[1] Дозорцев В.А. Системы правового регулирования товарных информационных отношений. Науч. Техніч. Инф. №9, 1997, с. 7.

ცნობებით. ამასთან, ცნობების გადაცემა ხდება შეტყობინებით, თუმცა ტერმინი ცნობების გადაცემა მაინც გამოიყენება, იმ შემთხვევაში, როცა მომხმარებელს ეცნობება კონფიდენციურობის დაცვით. ამ შემთხვევაში კონფიდენციურობის დაცვის მოვალეობა წარმოიშობა კანონით ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულების საფუძველზე. ე. ი. ინფორმაციის გადაცემის უფლებას შეესაბამება მისი მიმღების ვალდებულება. ხშირ შემთხვევაში ინფორმაციის გაცემის უფლებას მიმღების რაიმე ვალდებულება არ ახლავს. ე. ი. ხდება ცნობათა შეტყობინება. შეტყობინება ცალმხრივი ურთიერთობაა.

განკარგვის უფლებამოსილება ცნობების გავრცელებასთან არის დაკავშირებული. ანუ, როცა ცნობები შეტყობინებათა გზით პირთა განუსაზღვრელი წრისათვის ხდება ცნობილი. მაშასადამე, ცნობები მფლობელის ხელში საკმაოდ მწირ სამართლებრივ ბაზას წარმოშობს, რომელიც არსებითად განსხვავდება ტრადიციული უფლებებისაგან.

ცნობები შეიძლება გახმაურდეს ან არ გახმაურდეს. ეს უკანასკნელი უმეტეს შემთხვევაში ცნობათა კომერციულ ღირებულებას ზრდის, მაგრამ სამართლებრივად სავალდებულო კავშირების საფუძველს ცნობების მფლობელობა წარმოადგენს და არა მათი ღირებულება. მესამე პირის ვალდებულება მხოლოდ სავალდებულო კავშირების საფუძველზე წარმოიშობა. ცნობების დაცვა არაკეთილსინდისიერი მომხმარებლისაგან, საკმაოდ შეფარდებითი ცნებაა, რადგან „წაართვა" პირს მიღებული ცოდნა – შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ, პირს, რომელმაც არამართლზომიერად გაავრცელა ცნობები, დაეკისროს პასუხისმგებლობა.

მფლობელობის უფლების დაცვა შეუძლებელია, თუ მესამე პირი ანალოგიურ მონაცემებს დამოუკიდებლად მოიპოვებს (მაგ: კვლევების შედეგად) ან მიიღებს სხვა წყაროსაგან. მფლობელს უფლება აქვს გადასცეს ის მესამე პირს, მაგრამ არა აქვს უფლება პირთა მიმართ იგივე ცნობების გადაცემის უფლება შეზღუდოს. ანუ ინფორმაციაზე აბსოლუტური უფლების არსებობა შეუძლებელია და იგი შეფარდებითია.

ინფორმაციის გამო დადებული ხელშეკრულებანი სამოქალაქო კოდექსში პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, მაგრამ 319-ე მუხლი ასეთი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას არ გამორიცხავს. საინფორმაციო სისტემების განვითარება და პრაქტიკაში მათი მზარდი დანერგვა იწვევს ე.წ. საინფორმაციო ბაზრის ფორმირებას და თავის მხრივ აუცილებელს ხდის მის სამართლებრივ მოწესრიგებას, როგორც მაგალითად: ნასყიდობის, ჩუქების თუ სხვა ხელშეკრულებებია მონესრიგებული.

ჩვენ განვიხილეთ მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებამოსილებათა კლასიკური ტრიადა ინფორმაციასთან მიმართებაში. მათი თავისებურებანი განაპირობებს ინფორმაციაზე საკუთრების უფლების თავისებურებებსაც. **საკუთრების უფლება**, როგორც ობიექტური კატეგორიაა, ინფორმაციასთან მიმართებაში მიუღებელია. მიუხედავად ამისა, ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული პარამეტრები ინფორმაციაზე მაინც შეიძლება გავრცელდეს. ინფორმაციის განსაკუთრებული ბუნების მიუხედავად, მისი კლასიფიკაცია მაინც ხდება სახელმწიფო, მუნიციპალურ, შერეულ (სახელმწიფო – კერძო და ა. შ.) კერძო საკუთრებად.

ინფორმაციაზე საკუთრების ინსტიტუტის გავრცელება დაკავშირებულია სამოქალაქო და საჯარო სამართლის ობიექტთა სისტემაში ინფორმაციის ჩართვის შესაძლებლობასთან. ინფორმაციასთან საკუთრების რეჟიმის გამოყენება მის დოკუმენტირებას უკავშირდება. მხოლოდ დოკუმენტური ინფორმაცია შეიძლება გახდეს საკუთრების ობიექტი და ნივთის ნიშანთვისებები შეიძინოს, თუ იგი კონფიდენციალური არაა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრების პარამეტრების პრაქტიკული გამოყენება ინფორმაციასთან მიმართებაში გარკვეული პირობების დაცვასთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოებში მოსაქცევად, ამ ობიექტის მიმართ „საკუთრების“ კატეგორიის გავრცელება საკმაოდ მიმზიდველია, რადგან მესაკუთრე, თავისი უფლებების დაცვასთან ერთად, ინფორმაციის დაცვასაც შეუწყობს ხელს. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ინფორმაცია თავისი შინაარსისა და თვისებების გამო საკმაოდ რთული ობიექტია და საკუთრების რეჟიმის სრულფასოვანი გამოყენება მის მიმართ შეუძლებელია.

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 127-ე მუხლში, რომელშიც მითითებულია სამოქალაქო სამართლის ობიექტთა სახეებს, ინფორმაცია დამოუკიდებელ ობიექტადაა მოიხსენიებული, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არც სანივთო და არც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი არ არის. არამატერიალურ ობიექტზე განსაკუთრებული უფლება არ ემთხვევა მესაკუთრის უფლებამოსილებებს. ამ შემთხვევაში არსებით მნიშვნელობას იძენენ ისეთი უფლებამოსილებანი, როგორიცაა: **არასანქციონირებული ასლირებისაგან დაცვა** (რეპროდუცირება), თუმცა ამ უფლებამოსილების დამატებაც არ ხსნის ყველა პრობლემას, რადგან საავტორო უფლება (Copiright) იდეას კი არ იცავს, არამედ მისი გამოხატვის ფორმას – ნაწარმოების გარკვეულ სახეს ან ინტელექტუალური შრომის სხვა ფორმას. იდეა (შინაარსი) შეიძლება დაცული იქნეს სამართლის სხვა ინსტიტუტით. მაგალითად პატენტით, გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტთა დახასიათებისას ზოგად განმარტებას მიმართავს (სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლი) რაც ინფორმაციასთან მისი გამოყენების შესაძლებლობას იძლევა და უფლებათა ფართო სპექტრის სასამართლო წესით დაცვის გარანტიაა. სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის მიხედვით ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ხოლო 152-ე მუხლით არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეში იგულისხმება ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება სხვა პირებს გადაეცეთ, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე. ასე, რომ სანივთო ურთიერთობის საგანი სრულიად შესაძლებელია გახდეს ინფორმაციაზე უფლება. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ასეთ შემთხვევაში ინფორმაცია თავის არამატერიალურ ბუნებას ყოველთვის ინარჩუნებს.

მატერიალური ობიექტის გასხვისებისას მისი მესაკუთრე კარგავს უფლებას ნივთზე, ახალი მესაკუთრე კი შესაძლებლობას იძენს ნივთი თავისად მიიჩნიოს. ინფორმაციაზე უფლების გადაცემის შემთხვევაში კი ასეთი რამ არ ხდება. იგი შეიძლება პირთა განუსაზღვრელ წრეს გადაეცეს და ამავე დროს მისი მფლობელის ხელშიც დარჩეს. ამიტომ სხვადასხვა სახის ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მისი მატერიალური მატარებლის სამართლებრივ რეგლამენტაციამდე, რადგან ვერ წყვეტს ძირითად პრობლემას – დაიცვას შინაარსი.

არამატერიალური ბუნების გამო ინფორმაცია ზოგჯერ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტად არის მიჩნეული.[1] ამ შემთხვევაშიც კი საკითხის ცალსახად გადაწყვეტა შეუძლებელია. ინტელექტუალური საკუთრება კრებსითი და პირობითი ცნებაა. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ მათ არამატერიალური ბუნება აერთიანებთ სამრეწველო, ლიტერატურის თუ სხვა სფეროში. მიუხედავად ამისა, მათი რეგულირების ერთიანი საშუალება არ არსებობს. ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ სამოქალაქო კოდექსთან ერთად, იქმნება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობა (საპატენტო და სასაქონლო ნიშნების შესახებ და სხვა).

საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებული საავტორო უფლებები თავისი შინაარსით საკუთარი აზრის, იდეის გამოხატვის

[1] Батурин Ю.М. Проблемы компютерного права. М. 1991. Корлов В.А. Информационное право. М. 2003.

უფლებას, ავტორის მიერ არჩეული ფორმის დაცვის საშუალებას წარმოადგენს, ინფორმაციისათვის კი ფორმას მნიშვნელობა არა აქვს, ინფორმაციაში მთავარია მისი შინაარსობრივი მხარე.

საავტორო სამართალი ვრცელდება, როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებზე. არც ადმინისტრაციული და არც სასამართლო ორგანო ვალდებულნი არ არიან ავტორს ან სხვა უფლებამონაცვლე პირს მოსთხოვონ რაიმე ფორმალობის დაცვა (მაგ: რეგისტრაცია). ასეთ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობა მთლიანად შეესაბამება „ლიტერატურისა და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ" ბერნის 1886 წლის კონვენციას, რომ საავტორო უფლების დაცვა რაიმე ფორმალობის გარეშე უნდა განხორციელდეს. სამრეწველო საკუთრების რეგისტრაცია არა მარტო საჭიროა, არამედ აუცილებელიც. მაგ: თუ ლიტერატურულ ან ფერწერულ ნაწარმოებზე საკუთრება უდავოა მისი რეგისტრაციის გარეშე, გამოგონებაზე რეგისტრაცია ავტორობისა და მფლობელობის უფლების დაცვის ძირითადი გარანტიაა. ვინაიდან ზუსტად ანალოგიური გამოგონება მეცნიერული კვლევა ძიების შედეგად შეიძლება სხვამაც შეძლოს. რომელი მექანიზმი უნდა გავრცელდეს კომპუტერული პროგრამების მიმართ?

საზღვარგარეთის ქვეყნების საპატენტო კანონები და საერთაშორისო შეთანხმებები ორ ჯგუფად შეიძლება გაერთიანდეს: 1. საპატენტო კანონები, რომლებშიც მითითებულია, რომ კომპიუტერული პროგრამები არ განიხილება გამოგონებად, თუ მასზე პატენტი მოეთხოვება (ევროპის საპატენტო კონვენცია; ევროპის უმეტესი ქვეყნები); 2. კანონები, რომელშიც პირდაპირ არ არის გამოხატული ეგმ-ის პროგრამების პატენტუნარიანობა (აშშ, ნიდერლანდები, ისრაელი, ავსტრალია, საბერძნეთი). კომპიუტერული პროგრამების რეგისტრაციის წესი გათვალისწინებულია პოსტკომუნისტური ქვეყნების კანონმდებლობითაც. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა ბაზები საავტორო უფლების ობიექტად არის მიჩნეული და ამასთან დაშვებულია კომპიუტერული პროგრამის თავისუფალი გამოყენების და დეკომპილირების უფლება.

ინტელექტუალური საკუთრების ისეთი ობიექტი, როგორიცაა **კომპიუტერული პროგრამა**, სამართლებრივი თვალსაზრისით სპეციალისტთა ყურადღებას ითხოვს. ფორმისა და შინაარსის ერთდროულად დაცვის ყველაზე სანდო ხერხს, მსოფლიო საკანონმდებლო პრაქტიკით, პატენტი წარმოადგენს. საქართველოს კანონმდებლობა ამაზე ცალსახა პასუხს ვერ იძლევა. ის ფაქტი, რომ საქართველოს საპატენტო კანონის მე-16 მუხლის „გ" ქვეპუნქტით ალგორითმები და კომპიუტერული პროგრამები არ ითვლება პატენტუნარიან გამოგო-

ნებად, არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება პატენტირებული იყოს გამოგონება, რომელიც პროგრამულ უზრუნველყოფას შეიცავს. ამაში, რომ დავრწმუნდეთ გავეცნოთ კომპიუტერული პროგრამის ცნებას, რომელიც მიღებულია ევროპის სახელმწიფოებისათვის. მათი ანალოგიით საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კომპიუტერულ პრორგამებს განმარტავს, როგორც ინსტრუქციათა ერთობლიობას – სიტყვების, კოდების, სქემების ან სხვა სახით, რომელიც გამოხატულია მანქანით წაკითხვადი ფორმით, რაც საშუალებას იძლევა აამოქმედოს კომპიუტერი განსაზღვრული შედეგების მისაღწევად.

განმარტებიდან ნათელია, რომ საპატენტო დაცვა ნამდვილად უნდა გავრცელდეს კომპიუტერულ პროგრამებზე. ამასთან, გამოგონების ფორმულაში უნდა ჩაერთოს ის ნიშნები, რომელიც პატენტუნარიან ობიექტს ახასიათებს, სახელდობრ, მოწყობილობის აღწერა, რომელიც პრორგამულ ელემენტებს შეიცავს. ასე, რომ გამოგონების ფორმულით განსაზღვრული საპატენტო მოთხოვნები ეხება არა უბრალოდ კომპიუტერულ პროგრამას, არამედ პროგრამულ და აპარატული უზრუნველყოფის ერთობლიობას. ამასთან, გამოგონების სიახლე გამოიხატება მხოლოდ პროგრამულ უზრუნველყოფაში. ამ ობიექტისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ შეიძლება გასხვისდეს კომპიუტერის გარეშე (მაგნიტურ დისკზე და სხვა). ამიტომ საპატენტო დაცვა ეფექტური იქნება სამოქალაქო ბრუნვაში გაშვებული პროგრამებისათვის. მაშასადამე, ინფორმაციაზე საკუთრების უფლების უარყოფა ამ ობიექტს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობიდან არ გამორიცხავს. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია გავრცელდეს სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტებით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი (საპატენტო კანონმდებლობა, „ნიუ-ჰაუ“, „ნიუ-ნიუ“ და ა. შ.).

სამოქალაქო კანონმდებლობა ინფორმაციის დაცვას ითვალისწინებს იმ შემთხვევებში თუ:

1. მას ნამდვილად ან პოტენციურად აქვს კომერციული ღირებულება, რადგან უცნობია მესამე პირთათვის.

2. მასთან არ შეიძლება თავისუფალი დაშვება კანონით დადგენილ შემთხვევებში.

3. ინფორმაციის მფლობელი მისი კონფიდენციურობის დაცვის ღონისძიებებს ღებულობს.

ამ თვალსაზრისით, უფლება ინფორმაციაზე განსხვავებულ ნიშნებს იძენს სასაქონლო და არასასაქონლო ურთიერთობებში. ცალცალკე განვიხილოთ სასაქონლო ინფორმაციული და არასასაქონლო ინფორმაციული ურთიერთობები და მათი სამართლებრივი რეგულირების სისტემა.

5.3. სასაქონლო ინფორმაციული ურთიერთობები

ინფორმაცია საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა, მაგრამ საბაზრო ინფორმაციული ურთიერთობები შემთხვევითობას წარმოადგენდა და მას შესატყვისი საკანონმდებლო ბაზა არ გააჩნდა. ინფორმაციის როლმა და დანიშნულებამ ინფორმაციის კერძო სამართლებრივი რეგულირების მოთხოვნა წარმოშვა, რასაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი კომპიუტერული ტექნიკისა და ტელესაკომუნიკაციო სისტემების განვითარებამ. ინფორმაციამ სასაქონლო ხასიათი შეიძინა, რადგან გაჩნდა ყველა სახის ინფორმაციის (საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკურ-კულტურული, სამეცნიერო-ტექნიკური და ა. შ.) მოთხოვნილება და რეალიზაციის შესაძლებლობა.

როგორც ცნობილია, საბაზრო ურთიერთობებში მთავარია, არსებობდეს პირი, რომელსაც შეუძლია „საქონლის" თავისად აღიარების მოთხოვნა, სასაქონლო ბრუნვის აზრი ხომ სწორედ ისაა, რომ იცვლებოდეს პირი, რომელსაც საქონელზე უფლება ექნება (ერთი პირის უფლების წარმოშობა, მეორე პირის იგივე უფლების შეწყვეტას იწვევს). ე. ი. სასაქონლო ბრუნვის წინა პირობას წარმოადგენს უფლება „ჩემი საკუთარი" (Own). ეს არის აბსოლუტური უფლება, რომელიც ობიექტის ნატურალური თვისებებითაა გაპირობებული (ანუ სანივთო ხასიათი).

ერთმანეთისაგან განსხვავდება მატერიალური და არამატერიალური ობიექტის სასაქონლო თვისებები. მატერიალური ობიექტი, როგორც წინა პარაგრაფში ავღნიშნეთ, სივრცეშია შემოსაზღვრული და ერთი და იგივე დროს მხოლოდ ერთი პირის მფლობელობაში შეიძლება იყოს, რომელსაც იმავდროულად ნივთის ექსპლუატაციის შესაძლებლობა ექნება. მატერიალური ობიექტი შეიძლება გასხვისდეს ერთ პირზე (ან რამდენიმე თანასაკუთრების უფლებით), ამასთან იგი ფიზიკურ ამორტიზაციას განიცდის. ასეთ ობიექტზე დარღვეული უფლების აღდგენა შეიძლება განხორციელდეს არაკანონიერი მფლობელისაგან მისი იძულებით ამოღებით და მასზე უფლების მქონე პირისათვის გადაცემის გზით. მატერიალური ობიექტის ნატურალურ თვისებებთან დაკავშირებული სამართლებრივი თავისებურებების ჩამოთვლა შეიძლება გავაგრძელოთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს თავისებურებები განსაზღვრავენ საკუთრების სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა.

არამატერიალური ობიექტის – ინტელექტუალური საქმიანობის შედეგის – ეკონომიკურ ბრუნვაში შემოტანა არც თუ ისე დიდი ხნის წინ, დაახლოებით ორასი წლის წინ მოხდა. სწორედ ამ თვისების გამო გახდა ინტელექტუალური შრომის შედეგი სასაქონლო თვისების

მატარებელი. მაგრამ არა მატერიალურ ობიექტზე უფლების შინაარსი არ შეიძლება დაემთხვეს ნივთზე უფლების შინაარს.

არამატერიალური ობიექტი არ არის სივრცით შემოსაზღვრული, ამიტომ მასზე შეუძლებელია მფლობელობის უფლება ტრადიციული სახით გავრცელდეს. იგი ერთდროულად პირთა განუსაზღვრელი წრის სარგებლობაში შეიძლება იყოს. თუმცა გასხვისების ისეთი ფორმაც შესაძლებელია, როცა ობიექტი სარგებლობისათვის წინასწარ განსაზღვრულ პირთა წრეს არ გადაეცემა.

არამატერიალური ობიექტი ფიზიკურ ამორტიზაციას არ ექვემდებარება – იგი შეიძლება მორალურად მოძველდეს და ისიც არა ყოველთვის. დარღვეული უფლების აღდგენა ასეთ შემხვევაში გულისხმობს რთული ღონისძიებების განხორციელებას ე. ი. აბსოლუტური უფლება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგის გამოყენებაზე განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს მოითხოვს, რომელიც „განსაკუთრებულ" უფლებად იწოდება.

ინფორმაციას, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სასაქონლო ურთიერთობებში განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი სჭირდება. პირველ ყოვლისა, ეს არის **კონფიდენციურობის** დაცვის უზრუნველყოფა. ეს უკანასკნელი ინფორმაციის გარკვეულ ნაწილზე მონოპოლიას არ გულისხმობს. სამართლებრივ საშუალებათა დანიშნულება მონოპოლიის დაცვა კი არ არის, არამედ კონფიდენციურობის უზრუნველყოფაა. ე. ი. ცნობების სამართლებრივი დაცვის მექანიზმი კი არ იქმნება, არამედ კონფიდენციურობის დაცვის. ცნობათა კონფიდენციურობა მიმართულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის (საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი), სახელმწიფო, კომერციული თუ სამსახურებრივი საიდუმლოების (საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი), „ნოუ-ჰაუს" დაცვისაკენ. აქედან გამომდინარე, დგინდება ვალდებულ პირთა წრე, ანუ ისინი, ვინც იცავს ან არღვევს კონფიდენციურობას. მაგრამ ინფორმაციული ურთიერთობის საგანი შეიძლება იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ცნობები, რომლის სამართლებრივი დაცვის საფუძველი სანდოობა, ოპერატიულობა და ა. შ. შეიძლება იყოს.

უნდა ითქვას, რომ, ეს სამართლებრივ საშუალებათა შინაგანი მხარეა, გარეგნულად უფრო მოსახერხებელია ყველაფერი ისე გამოიყურებოდეს, როგორც მონოპოლიის დაცვა.

დაცვის ამ სპეციფიურმა ობიექტმა „ნოუ-ჰაუს" სახელწოდება მიიღო. ნოუ-ჰაუს დაცვა კონფიდენციურობის დაცვაა, როგორც რაიმე ქმედებათა აკრძალვის გარდაქმნილი ფორმაა.

„ნოუ-ჰაუ" საკმაოდ თავისებურია, მას შინაარსობრივი ხასიათი აქვს. ესაა ცნობები, რომლებიც დაცულია გამოყენებისაგან. რაც შეეხება გაცნობას, მასზე მონოპოლია არ ვრცელდება.

„ნოუ-ჰაუ“ შეიძლება გავრცელდეს ყველა სახის ინტელექტუალურ ობიექტზე, მათ შორის შემოქმედების ისეთ შედეგებზე, როგორიცაა ორგანიზაციულ-ეკონომიკური სიახლეები, კოლექტიური საქმიანობის შედეგები და ა. შ. ამიტომ ამ თვალსაზრისით მას უნივერსალური ხასიათი აქვს. „ნოუ-ჰაუ“ რაიმე ფორმალიზაციას არ მოითხოვს. მისთვის მხოლოდ ორი პირობა არსებობს: 1. არ იყოს საყოველთაოდ ცნობილი 2. გატარდეს ღონისძიებები მისი დაცვის მიზნით. ნოუ-ჰაუ არსებობს მანამ, სანამ ცნობები ხელმიუწვდომელია სხვა პირებისათვის.

„ნოუ-ჰაუს“ მოქმედება წყდება თუ ის საყოველთაოდ ცნობილი გახდა. ამასთან, მისი გავრცელების წყაროს მნიშვნელობა არა აქვს. პირმა დამოუკიდებელი კვლევის შედეგად მიღებული ცნობების კონფიდენციურობის დაცვა საჭიროდ არ ჩათვალა თუ, ინფორმაცია ვისიმე არამართლზომიერი ქმედებით გავრცელდა, რაც კონფიდენციურობის რეჟიმის დარღვევაში გამოიხატა.

უფლებამოსილ პირს არ შეუძლია მოითხოვოს არაკეთილსინდისიერი მოსარგებლისაგან ცნობებით სარგებლობის შეჩერება. მას უფლება აქვს ზარალის ანაზღაურება მოსთხოვოს პირს, რომელმაც არამართლზომიერად გაავრცელა ცნობები. ცნობების გამოყენების შეწყვეტის მოთხოვნა მხოლოდ არაკეთილსინდისიერი მოსარგებლისაგან დაიშვება. ე. ი. თუ ცნობებმა კონფიდენციური ხასიათი დაკარგა და საყოველთაოდ ცნობილი გახდა, მაშინ დაცვის მექანიზმი არსებობას შეწყვეტს.

უკანასკნელ პერიოდში ლაპარაკობენ არა მარტო წარმოების საიდუმლოებაზე („ნოუ-ჰაუ'), არამედ მეცნიერების საიდუმლოებაზეც („ნიუ-ნიუ“). მათი სამართლებრივი რეგულირების რეჟიმი იდენტური იქნება, რადგან ორივე საიდუმლოება ინტელექტუალური საკუთრების უფლებას გულისხმობს.

ცნობები სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების პირდაპირი ობიექტი არ არის. გამონაკლისია „მონაცემთა ბაზები“, რომელიც ასეთი ცნობების ნაკრებს წარმოადგენს და მისი არსებობა კომპიუტერული ტექნიკის განვითარებას უკავშირდება.

საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა მონაცემთა ბაზების დაცვას საავტორო სამართლით გვთავაზობს (კომპიუტერულ პროგრამებთან ერთად, თუმცა ამ ორი ობიექტის სამართლებრივი ბუნება განსხვავებულია).

პრაქტიკა აჩვენებს, რომ მონაცემთა ბაზა – ნაწარმოებთა კრებული კი არ არის, არამედ ცნობათა და მონაცემთა კრებულია. ამიტომ საავტორო სამართლით გათვალისწინებული კრებულების დაცვის შესახებ წესები მასზე სრულფასოვნად ვერ გავრცელდება. ასეთი დაცვის გამოყენება მხოლოდ იმ ნაწარმოებთა მიმართ არის შესაძ-

ლებელი, რომლებიც გარკვეული ფორმით გამოირჩევიან, და არა ცნობების მიმართ, რომელთაც შინაარსობრივი ხასიათი აქვთ. ამასთან მონაცემთა ბაზა ერთხელ და სამუდამოდ მოცემული კრებადობა არ არის. იგი შეიძლება ზუსტდდებოდეს, ივსებოდეს ან თუნდაც ერთი და იგივე ცნობები სხვადასხვა სისტემით იყოს დალაგებული. ეს თავისებურება ნამდვილად უნდა იქნეს გათვალისწინებული მონაცემთა სამართლებრივი დაცვის სისტემის შემუშავების დროს.

მონაცემთა ბაზების დაცვის შესახებ სამართლებრივი რეგულირების სისტემის დადგენასთან დაკავშირებულ სიძნელეებს ყველა საერთაშორისო თანამეგობრობა განიცდის. ევროსაბჭოს 1996 წლის 11 მარტის დირექტივა „მონაცემთა ბაზების დაცვის შესახებ" დაცვის ორმაგ სისტემას ითვალისწინებს. ერთი მხრივ, მონაცემთა ბაზები, როგორც ცნობათა ნაკრები, დაცულია საავტორო სამართლით, მეორე მხრივ, მონაცემთა ბაზებს (ცნობათა შენაკრებს) შინაარსობრივი ხასიათი აქვს და მისთვის განსაკუთრებული ხასიათის დაცვაა საჭირო (Sui generis). მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ „საქართველოს კანონი ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ".

მაშასადამე, ინფორმაციასთან დაკავშირებულ სასაქონლო ურთიერთობებს განსხვავებული ხასიათი აქვს. ეს გაცნობის ფაქტიური შესაძლებლობის მინიჭებაა. ასეთი უფლება შეიძლება აბსოლუტურ უფლებას არ ეყრდნობოდეს. ესაა წმინდა ვალდებულებითი ურთიერთობა, რომელიც ცნობების საყოველთაოდ ხელმისაწვდომობის პრინციპს ემყარება, თუ ამის შესახებ კანონით სპეციალური აკრძალვა არ არის. ინფორმაციის ეკონომიკური ბუნება, რომლის საფუძველი აბსოლუტური უფლება არაა, ემყარება ინფორმაციასთან გარკვეული საქმიანობის შედეგს, კერძოდ, ინფორმაციულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ქმედებას. ინფორმაციის გაცნობის უფლება კი აბსოლუტურ უფლებას არ მოითხოვს. ასეთი უფლება სარგებლობისთვისაა საჭირო. ამიტომ, აბსოლუტური უფლება ინფორმაციული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ნიშანი არ არის. სასაქონლო ურთიერთობებს სხვა საფუძველი აქვთ: არა უფლების მინიჭება, არამედ ინფორმაციის გაცნობის ფაქტიური შესაძლებლობა. ეს კი პრინციპულად ახალი ურთიერთობაა, რომელიც რადიკალურად განსხვავდება, როგორც საკუთრების უფლებისაგან, ასევე ინტელექტუალური საქმიანობის არამატერიალურ შედეგებზე ტრადიციულად დადგენილი განსაკუთრებული უფლებისაგან. გამონაკლისია მონაცემთა ბაზები, რომელთაც ინფორმაციის გაცნობასთან დაკავშირებით შუალობითი მნიშვნელობა გააჩნიათ და ამიტომ ისინი აბსოლუტურ (ან კვაზიაბსოლიტურ) უფლებას შეიძლება ეფუძნებოდნენ.

5.4. არასასაქონლო ინფორმაციული ურთიერთობები.

ინფორმაციის არსისა და დანიშნულებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მისი ყველა სახეობა გახდეს სასაქონლო ბრუნვის ობიექტი. მაგრამ რეალურად ეს ასე არ არის და ინფორმაციის გარკვეული ნაწილის გადაცემა არასასაქონლო საფუძვლით ხდება. მართალია, ინფორმაციას ტერიტორიული საზღვრები არ გააჩნია, მაგრამ სახელმწიფომ ფიზიკურ ანკლავთან ერთად ინფორმაციული სივრცის დაცვაც უნდა უზრუნველყოს. არიან სახელმწიფოები, რომლებიც ინფორმაციას ქვეყნის სტრატეგიულ ობიექტად მიიჩნევენ მაგ: აშშ-ში 11 პრიორიტეტულ მიმართულებას შორის დასახელებულია ინფორმაციაც, რაც გულისხმობს ინფორმაციის სახელმწიფოდან გადინების დაცვისა და ქვეყნის შიგნით მიმოქცევის სრულყოფილი სამართლებრივი მექანიზმების შექმნას. თითქმის ყველა განვითარებული ქვეყანა იცნობს გარკვეული კატეგორიის ინფორმაციის საყოველთაოდ გავრცელების აკრძალვას და პირის უფლებას, მოითხოვოს ინფორმაცია სახელმწიფო დაწესებულებებიდან. ასეთი ინფორმაციის გაცემა არასაბაზრო საფუძველზე ხორციელდება.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ყოველი ადამიანის უფლებას, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი. ამასთან, კონსტიტუციის 24-ე მუხლი დასაშვებად მიიჩნევს კანონით დადგენილ შემთხვევაში ამ უფლების შეზღუდვას, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსებების დასაცავად, კონფიდენციურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. მართალია, ამ ნორმაში არ ჩანს კონფიდენციურად რა კატეგორიის ინფორმაცია მიიჩნევა, მაგრამ, კონსტიტუციის 41-ე მუხლიდან გამომდინარე, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოება, ხოლო მე-20 მუხლის მიხედვით – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რომელშიც სხვა უფლებებთან ერთად, პერსონალური ინფორმაციის ხელშეუხებლობის უფლებაც იგულისხმება. ყველა ამ მიმართულებისათვის, დამოუკიდებლად უნდა შეიქმნას ინფორმაციის დახურვის საფუძვლები, ასეთ ინფორმაციასთან დასაშვებ პირთა ჩამონათვალი და რეგულირების სხვა სამართლებრივი ასპექტები. ასეთი ინფორმაცია სასაქონლო ურთიერთობის საგანი არ შეიძლება გახდეს. თუმცა მისი გადაცემა (გავრცელება) გამორიცხული არ არის. ეს პროცესი საჯარო სამართლებრივი აქტებით რეგულირების სფეროა.

მეორე პირობა, ინფორმაციის ეკონომიკური ბრუნვიდან ამოღებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის პირის უფლება კანონით დადგენილი წესით მოითხოვოს ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებიდან (საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი).

ამ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისათვის კონსტიტუცია ორ პირობას განსაზღვრავს: სახელმწიფო დაწესებულებებიდან გაიცემა მომთხოვნი პირის შესახებ ინფორმაცია და ოფიციალური დოკუმენტები, თუ ისინი სახელმწიფო პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას არ შეიცავენ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოხელეთა ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით, ე. ი. ისინი თავისუფლდებიან ამ კოდექსით გათვალისწინებული მოვალეობებისაგან. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად.

ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის გადაცემა არასასაქონლო ბრუნვის საფუძველზე ხდება. კონსტიტუციის აღნიშნულ მუხლში მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის გაცნობაზეა საუბარი და არაა მინიშნებული ანალოგიური უფლებამოსილება, თვითმმართველობის ორგანოებშიცაა შესაძლებელი თუ არა. თუ სხვა ქვეყნების პრაქტიკას გადავხედავთ, იქ, სადაც თვითმმართველობის ორგანოები არსებობენ, აღნიშნული უფლება მათზეც ვრცელდება (მაგ: რსფსრ-ს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამ უფლებას პირდაპირ ასახელებს).

საქართველოს კონსტიტუცია ოფიციალური დოკუმენტების გაცნობის უფლებასაც აფიქსირებს. ეს უფლება ფართოა, რადგან მიმოქცევაში ახალი ცნება შემოდის – „ოფიციალური დოკუმენტი“.

როგორც წინა პარაგრაფებში განვმარტეთ, დოკუმენტი ესაა მატერიალურ მატარებელზე დაფიქსირებული ინფორმაცია რეკვიზიტებით, რაც მისი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. მისგან განსხვავებით, ოფიციალური დოკუმენტი სახელმწიფო და თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების, სასამართლო ორგანოების მიერ იქმნებიან. უმეტეს შემთხვევაში ოფიციალური დოკუმენტები ღიაა და თავისუფლად შეიძლება გავრცელდეს.

ამ საერთო დებულებიდან არსებობს გამონაკლისიც. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილით – ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ პირის თანხმობით.

ოფიციალური დოკუმენტის შექმნის დროს წარმოიშობა შესაბამის ორგანოთა ვალდებულება და პასუხისმგებლობა მისი მომზადების, გამოცემის და გავრცელების თაობაზე. ასეთი დოკუმენტის ერთ-ერთი სახეა **სამართლებრივი ინფორმაცია** (ნორმატიული აქტები), რომელთა თითოეულ მოქალაქემდე დაყვანა სახელმწიფო ორგანოთა პირდაპირი ვალდებულებაა (საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის „ლ" პუნქტით საქართველოს პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს).

საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონით ასევე დადგენილია, რომ ნორმატიულ აქტებზე საავტორო სამართალი არ ვრცელდება. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში მაინც ისმება საკითხი ნორმატიული აქტების მიმართ საკუთრების სამართლებრივი რეჟიმის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

ამ შემთხვევაში დაზუსტებას ითხოვს ერთი გარემოება, რომ თუ საუბარია ნორმატიული აქტების მატარებელზე – რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის მიმართ რეგულირების ასეთი რეჟიმი მისაღებია. მაგრამ თვით სამართლებრივ ინფორმაციაზე საკუთრების რეჟიმის გამოყენება მიუღებელია.

ინფორმაციაზე სუფთა სახით საკუთრების უფლების მიუღებლობა დავასაბუთეთ, თუ საკითხს იმ კუთხით შევხედავთ, რომ სამართლებრივი ინფორმაცია შექმნილი ინფორმაციაა, მაშინ ისმება კითხვა – ვინ შეიძლება იყოს ნორმატიული აქტების მესაკუთრე? საქართველოს პარალამენტი, რომელმაც მიიღო კანონი, თუ საქართველოს პრეზიდენტი, რომელმაც ხელი მოაწერა კანონს? უფრო მეტიც, თუ ორივე ორგანოს, როგორც კანონის შემოქმედს, მესაკუთრედ მივიჩნევთ, მაშინ, მათ უფლება უნდა ჰქონდეთ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ თავიანთი საკუთრების ბედი. მისცენ, ან არ მისცენ შესაძლებლობა მესამე პირს ისარგებლონ კანონებით, გაყიდონ ან სხვა ხერხებით გაასხვისონ თავიანთი საკუთრება. რადგან საკუთრების ჩამოთვლილი უფლებამოსილებანი კანონთან მიმართებაში აბსურდულია, უკვე შეუძლებელია ამ სფეროში წარმოშობილი ურთიერთობა საკუთრებით ურთიერთობად დახასიათდეს.

ნორმატიული აქტების გამოქვეყნება – ეს უფლება არ არის, არამედ სახელმწიფოს და თვითმმართველობის ორგანოების ვალდებულებაა. კონსტიტუციური მოთხოვნაა, რომ გამოუქვეყნებელი კანონები სამოქმედო ძალას ვერ მოიპოვებენ. ასე, რომ სამართლებრივ ინფორმაციასთან მიმართებაში ადგილი აქვს საჯარო-სამართლებრივ და არა კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებს. სამართლებრივი ინფორმაციის გავრცელების ვალდებულება რეგლამენტირებულია 1968 წლის 7 ივნისის ევროპის კონვენციით „უცხოეთის კანონმდებ-

ლობაზე ინფორმაციის შესახებ", რომელსაც საქართველო 1999 წლის 19 ივნისს შეუერთდა. ასეთივე ვალდებულებები საქართველოს აღებული აქვს სომხეთთან, ყაზახეთთან, ყირგიზეთთან, უკრაინასთან, უზბეკეთთან 1997-98 წწ. დადებული ორმხრივი შეთანხმებებით.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამართლებრივი ინფორმაციის გაცვლის ვალდებულების უზრუნველყოფა, სამართლებრივი ინფორმაციის, როგორც სამართლის წყაროს გავრცელების შიდასახელმწიფოებრივ ვალდებულებას კიდევ უფრო ამძაფრებს.

ნორმატიული ინფორმაციის მოძიება, მიღება, გადაცემა და გავრცელება, მოქალაქეთა, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა, საწარმოთა, დაწესებულებების, ორგანიზაციათა და თანამდებობის პირთა ხელშეუვალ უფლებად უნდა იქნეს აღიარებული, რომელთა რეალიზაცია რიგი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს:

- ნორმატიული ინფორმაციული ბაზის სახელმწიფო სისტემებში სტაბილური ორგანიზება;
- სამართლებრივი ინფორმაციის დამუშავების და ინფორმაციის ხარჯებისა და საშუალებების უზრუნველყოფა;
- სპეციალური ინფორმაციულ – სამართლებრივი სამსახურების ფორმირება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მომხმარებელს გაეცნონ ინფორმაციას;
- ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოებში კანონთა გამოქვეყნების სავალდებულო პროცედურის დადგენა;
- სამართლებრივი ინფორმაციით მოსარგებლეთა უფლებების დაცვის ფორმირების საკანონმდებლო წესით დადგენა და განმტკიცება და ა. შ.

სამართლებრივი ინფორმაციის გარდა, სხვა **დოკუმენტური ინფორმაციის გაცნობის ვალდებულება** ასევე არასასაქონლო საფუძვლით ხორციელდება და რეგულირების შესაბამის მექანიზმებს მოითხოვს. ამ კუთხით მსოფლიო საკანონმდებლო პრაქტიკა იცნობს სახელმწიფო ორგანოებიდან ინფორმაციის მიღების მარეგულირებელ აქტებს. `

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ აშშ-ში მოქმედი „ინფორმაციის თავისუფლების აქტი", რომელიც სახელმწიფო ორგანოებიდან მოქალაქეთა მიერ ინფორმაციის მიღების წესსა და პირობებს ადგენს. დიდი ბრიტანეთი ერთადერთი სახელმწიფოა ევროპაში, რომელსაც არ გააჩნია კანონმდებლობა სამთავრობო ინფორმაციასთან თავისუფალი დაშვების შესახებ და ერთადერთია, სადაც მოქმედებს სახელმწიფო ორგანოების ინფორმაციის საიდუმლოების პრეზუმფცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავი „ინფორმაციის თავისუფლება“, ადგენს, რომ ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედანის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის აღნიშნული თავი, ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციური მოთხოვნიდან გამომდინარე, აღიარებს საჯარო ინფორმაციის ღიაობას, გარდა საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როცა ღიაობა აშკარად და გარდაუვლად ზიანს მიაყენებს:

ა) ეროვნულ უსაფრთხოებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა დაემუქრება დაგეგმილი ან განხორციელების პროცესში მყოფი სამხედრო, სადაზერვო ან დიპლომატიურ ქმედებათა განხორციელებას და მათ მონაწილეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას;

ბ) სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებას, იმ შემთხვევაში თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მათი გამხელა საფრთხეს შეუქმნის სამართალდამცავი ან სადაზვერვო სამსახურის კონფიდენციური წყაროების იდენტიფიცირებას, ხელს შეუშლის დანაშაულის თავიდან აცილებას, გამოვლენას, აღკვეთასა და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას. საფრთხეს შეუქმნის ნებისმიერი პირის სიცოცხლესა და ფიზიკურ უსაფრთხოებას ან შელახავს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის უფლებას გამოძიების საიდუმლოებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გამოტანილია დადგენილება ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ძებნის შესახებ.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების პროცედურა, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაციები ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლი ჩამოთვლის ინფორმაციის იმ კატეგორიებს, რომელთა გასაიდუმლოება დაუშვებელია:

ინფორმაცია გარემოს შესახებ, საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები, საჯარო დაწესებუ-

ლების სტრუქტურის აღწერა, საჯარო დაწესებულებათა და იმ საჯარო მოხელეთა ვინაობა, რომელთაც უკავიათ საპასუხისმგებლო თანამდებობა, კოლექტიურ-საჯარო ორგანოთა გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები, არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია, საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნების და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლო მასალები იმ საქმეებზე, რომლებშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს, საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე ამ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირი, საჯარო დაწესებულებათა მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვის და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი, საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, საჯარო მონაცემთა ბაზის შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორიები, რომელთა შესახებაც გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია.

საქართველოს კანონმდებლობა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის და ამ სფეროში სხვა ქვეყნების საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, აღიარებს სახელმწიფო ორგანოებიდან ინფორმაციის მიღების უფლებას, მაგრამ მაინც რჩება საკითხთა წრე, რომელიც საკანონმდებლო რეგლამენტაციას საჭიროებს. კერძოდ, სახელმწიფო ორგანოებში ინფორმაციის გაცნობის უფლების რეალიზაციის მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს კანონპროექტი „სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებიდან ინფორმაციის მიღების წესის შესახებ". ეს საკითხი, როგორც მოქალაქეთა ინფორმაციის უფლების გარანტია, საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, მხოლოდ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს გამგებლობას განეკუთვნება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები ცალკე უნდა განისაზღვროს.

კანონში დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი ინფორმაციის მიღებაზე განაცხადის შეტანისა და მასზე პასუხის პროცედურები, აგრეთვე ის შემთხვევები, როცა ინფორმაცია გაცემას არ ექვემდებარება. ამასთან, ეს ჩამონათვალი დახურულ ინფორმაციათა კატეგორიას არ განეკუთვნება. ორიგინალის მიღების უფლების რეალიზაციის ერთერთი გარანტია უნდა იყოს განაცხადის შემტანი პირის უფლებების და თავისუფლებების შესახებ, ინფორმაციული მომსახურების შესახებ ცნობების უფასოდ გაცემა. სხვა კატეგორიის ინფორმაციაზე შეიძ-

ლება დაწესდეს გადასახადი, რომელიც არ აღემატება ინფორმაციის გაცემის ტექნიკურ დანახარჯებს. ის ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის საფუძველს კომერციულ საფუძველზე ინფორმაციის გაცემა შეადგენს, მომსახურების საფასურს დამოუკიდებლად აწესებს.

ინფორმაციის არასასაქონლო გავრცელებას უზრუნველყოფს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მხარდაჭერის პოლიტიკა. „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" და„ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ" კანონები ეროვნული საბიბლიოთეკო ფონდების დაცვის სამართლებრივი მექანიზმია, რომლითაც დადგენილია ბიბლიოთეკის საქმიანობის პრინციპები, გარანტირებულია ინფორმაციასთან თავისუფალი დაშვების უფლება მსოფლიო კულტურისა და ეროვნულ ღირებულებებთან ზიარების შესაძლებლობა.

„ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ" კანონით, ეროვნული საარქივო ფონდი არის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული იმ დოკუმენტების ერთობლიობა, რომელთაც შემფასებელი ექსპერტიზით აქვთ ისტორიული, კულტურული, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ღირებულება.

ეროვნული საარქივო ფონდი იქმნება მისთვის მიკუთვნებული დოკუმენტების დაცვის, ცენტრალიზებული აღრიცხვის, აღწერის სრულყოფის და ფართო გამოყენების მიზნით.

სახელმწიფო ორგანო ან უწყება, რომელმაც თავისი საქმიანობის პროცესში ქმნის დოკუმენტებს, ვალდებულია შეინახოს და დაიცვას ისინი საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად, ხოლო დოკუმენტების შენახვის ვადის გასვლის შემდეგ, უზრუნველყოს მათი წარდგენა შემფასებელ ექსპერტიზაზე.

არასასაქონლო ინფორმაციული ურთიერთობების სფერო გარკვეულწილად შევსებას ითხოვს „სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციის შესახებ" კანონის მიღებით, რაც უზრუნველყოფს სამეცნიერო ინფორმაციის მიმოქცევას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხელშეწყობას.

თავი VI

ინფორმაციის სახეები

6.1. მასობრივი ინფორმაცია და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სამართლებრივი რეგულირება

ინფორმაციის მასობრივი მოხმარებისა და გავრცელების პროცესში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგლამენტაცია ორ ძირითად პრინციპზეა აგებული: 1) ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება და 2) სხვათა უფლებების დაცვა ინფორმაციის ცირკულაციის პროცესში. ამ სფეროში წარმოშობილ ურთიერთობათა თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ ინფორმაციასა და მის მიმღებს შორის ახალი სუბიექტი – მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალება – დგას, რომლის უფლებამოვალეობათა და პასუხისმგებლობის რეგლამენტირებით ხორციელდება ამ სფეროს იურიდიული ბაზის ფორმირება.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი ამ პრინციპებზე აგებული სამართლის სისტემის საფუძველია: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შეიძლება შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, კონფიდენციურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.

„საავტორო და მომიჯნავე უპლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, რომელიც გამომცემელთა განსაკუთრებულ უფლებას ეხება ნაწარმოებთა გამოყენების შემთხვევაში, განსაკუთრებული უფლრბის მინიჭება იმითაა გამართლებული, რომ გამომცემლებს დიდი ორგანიზაციული და ტექნიკური

ძალისხმევა აქვთ გაწეული ნაწარმოების შექმნისათვის. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული უფლება ნიშნავს იმას, რომ გამომცემელს უფლება აქვს აღნიშნული ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების შემთხვევაში მიუთითოს თავისი სახელი და სხვაგანაც მოითხოვოს ასეთი მითითება. აღსანიშნავია, რომ ეს კანონი არ ვრცელდება ინფორმაციებზე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ. ამიტომ, მათი გამოყენების წყაროზე მითითებაც არ არის საჭირო.

აზრის ზეპირი ან წერილობითი გამოთქმის ევროპულ და ანგლოსაქსურ დოქტრინათა მსგავსების უპირველესი საფუძველი ადამიანის ბუნებითი უფლების მსოფლმხედველობაა. ამასთან, ორივე სისტემამ თანაბრად გაიარა გზა ლიბერალური მაქსიმალიზმიდან სოციალურ პასუხისმგებლობამდე. მსგავსებას განაპირობებს ისიც, რომ ყველა სახელმწიფო თანაბრად ცდილობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაციისაგან დაცვას და კეთილსინდისიერი კონკურენციის და პლურალიზმის განვითარებას.

საერთაშორისო აქტები, რომლებიც პრესის საქმიანობაში ადამიანთა უფლებების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს ადგენენ, სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსათვის და ამიტომ მასმედიის შესახებ ეროვნულ კანონმდებლობაში ტექსტუალურად პირდაპირ ინტეგრირდებიან ან მნიშვნელოვანწილად ტოვებენ თავიანთ კვალს. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთო პრობლემებისა და პირობების არსებობა სახელმწიფოებს გადაწყვეტის ხერხების მსგავსებასაც კარნახობს, მაგრამ ქვეყნის ისტორიული თავისებურებანი, სახელმწიფოს ეროვნული ტრადიციები, ეკონომიკური და სამართლებრივი სისტემების თავისებურებები სხვადასხვა სახელმწიფოში პრესის საქმიანობის თავისებურებათა საფუძველს ქმნის.

მაგალითისათვის შეიძლება დასახელდეს საერთო სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებული აბსოლუტური და კვალიფიციური პრივილეგიის ცნებები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ პრესაში ცილისწამებლური ინფორმაციის გაშვებასთან დაკავშირებული საქმეების სასამართლო განხილვის დროს. **აბსოლუტური პრივილეგიის** კატეგორია ნიშნავს პირთა გარკვეული კატეგორიის მიმართ ცილისწამების სარჩელის წარდგენის შეუძლებლობას (დეპუტატების პარლამენტში გამოსვლასთან დაკავშირებით, მოსამართლეების, ადვოკატების, მხარეების, მოწმეების მიერ სასამართლოში გამოთქმული აზრის გამო და ა. შ.).

კვალიფიციური პრივილეგია ნიშნავს ცილისწამების შესახებ სარჩელის წარდგენის შეუძლებლობას მასმედიისა და ჟურნალისტის მიმართ, რომელმაც ზუსტად, სწორად და თავისდროულად გადასცა აბსოლუტური პრივილეგიით დაცული ინფორმაცია.

თუ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის შესახებ მსოფლიო კონსტიტუციურ დებულებებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ კონტინენტური ევროპის ქვეყნები მათ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა რანგში განიხილავენ, ხოლო აშშ-ში კი – სახელმწიფოს ვალდებულების რანგში. აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორება კონგრესს არ აძლევს უფლებას მიიღოს სიტყვის თავისუფლების ან პრესის შემზღუდავი კანონები. ხოლო მე-14 შესწორება ავალდებულებს შტატების მთავრობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს პატივი სცენ სიტყვის თავისუფლებასა და პრესას. ეს შესწორება ფორმულირებულია, როგორც მთავრობის ქმედების აკრძალვა. ამ შემთხვევაში შესწორების ავტორები ხაზს უსვამენ, რომ „იდეათა თავისუფალი ბაზარი" (თავისუფალი ეკონომიკური ბაზრის მსგავსად) უკეთესად განვითარდება სახელმწიფოსაგან ჩარევის გარეშე, ვიდრე მისი მონაწილეობით.

გერმანიის კონსტიტუცია სიტყვის თავისუფლების აღიარებასთან ერთად პრესის თავისუფლების გარანტიად (მე-5 მუხლის პირველი პარაგრაფი) ხელისუფლების ვალდებულებას ასახელებს – ხელი შეუწყოს მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებათა განვითარებას „გარე პლურალიზმის" (ჟურნალისტების კონკურენცია) და „შიდაპლურალიზმის" (ფართო საზოგადოებრივი წარმომადგენლობა სახელმწიფო რადიო-ტელევიზიის მმართველობით სტრუქტურაში) საშუალებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განსაკუთრებული ყურადღება დასაბუთებულია საზოგადოების ინფორმირებისათვის „საზოგადოებრივი ფუნქციით" მასმედიის განსაკუთრებული როლი კანონით პრივილეგიების მინიჭების (მაგალითად, როგორიცაა სასამართლოში მოწმედ არგამოსვლის უფლება) და ვალდებულებების (მხოლოდ მართალი და ზუსტი ინფორმაციის გავრცელება) დაკისრების საფუძველი ხდება.

პოსტკომუნისტური ქვეყნების კონსტიტუციები კონტინენტური ქვეყნების დოქტრინის მიხედვით ავითარებენ მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებას.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მიხედვით, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების ცნებაში სამი კომპონენტია ჩართული: მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება, მოქალაქეთა უფლება სიტყვის თავისუფლებაზე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ცენზურის დაუშვებლობა.

საქართველოში კონსტიტუციის გვერდით მოქმედი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი, გარკვეულწილად ასახავს სამოქალაქო და პოლიტი-

კური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის, ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ 1971 წლის კონვენციის დებულებებსა და ევროსაბჭოს 1993 წლის 108-ე დირექტივას, რომლის მიხედვითაც საავტორო უფლება არ ვრცელდება მოვლენებისა და ფაქტების შესახებ ინფორმაციული ხასიათის ცნობებზე. ასეთ ცნობათა უმეტეს ნაწილს მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ როგორც კონტინენტური, ისე პრეცენდენტული სამართლის ქვეყნების უმრავლესობა ინფორმაციის მასობრივი გავრცელებისას პირადი ხელშეუხებლობის დაცვის ტრადიციულ ხერხებთან ერთად (სასარჩელო დაცვა სასამართლოში) პროფილაქტიკის ახალ საშუალებებს ამკვიდრებენ. უმეტეს შემთხვევაში ეს არის მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებათა თვითრეგულირების მექანიზმი.

გერმანიაში ასეთ ორგანოს წარმოადგენს 1956 წელს შექმნილი პრესის საბჭო. საბჭომ 1973 წელს ჟურნალისტთა პროფესიული ეთიკის კოდექსიც შეიმუშავა. ამ კოდექსის ძირითადი პრინციპებია: ჭეშმარიტებისა და პირის ღირსებებისადმი პატივისცემა, ინფორმაციის შეგროვების დროს არალეგალური და არაკეთილსინდისიერი მეთოდების გამოყენებისაგან თავის შეკავება, რეპორტაჟებთან კრიტიკული დამოკიდებულება, თუ ის რასობრივი, რელიგიური ან ეროვნული ნიშნის მიხედვით ამცირებს პირის ღირსებას. ეთიკის კოდექსი ნორმატიული ხასიათის არ არის, მაგრამ მისი დაცვა სავალდებულოა ჟურნალისტის ეთიკიდან გამომდინარე. საბჭო იხილავს დავებს კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის და შეუძლია დამრღვევთ გამოუცხადოს საყვედური, რომლის გამოქვეყნებაც სავალდებულოა.

დიდ ბრიტანეთში პრესისა და მასობრივი ინფორმაციის შესახებ უნივერსალური კანონმდებლობა არ არსებობს, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ კანონებს, რომლებიც ცილისწამებასა და შეურაცხყოფას, სახელმწიფო საიდუმლოებას ეხება. თვითრეგულირების მექანიზმის სახით აქაც არსებობს 1953 წელს დაარსებული პრესის საქმეების საბჭო, რომლის ბაზაზე 1991 წელს შეიქმნა კომისია. ამ კომისიის მიზანია არა პრესის დაცვა, არამედ საზოგადოების დაცვა. კომისია თავის უფლებამოსილებას მხოლოდ საჩივრის საფუძველზე ახორციელებს. ასევე არსებობს საერთოეროვნული გაზეთების ომბუცმენი. მაგრამ ფაქტების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ომბუცმენი შეზღუდული გავლენის მქონე პირია.

ავსტრიაში მოქმედი საბჭო პრესის საქმეებზე მოწოდებულია დაიცვას პრესის თავისუფლება და, ამასთან, თვალყური ადევნოს, რომ

ყველა თანამშრომელი მოქმედებდეს მაღალ პროფესიულ დონეზე. ეს ორგანო პასუხს აგებს პრესის რეპუტაციაზე. საბჭოს ვალდებულებას შეადგენს დაიცვას აგრეთვე პრესის ინტერესები პარლამენტში, მთავრობასა და საზოგადოების წინაშე. მას უფლება არა აქვს რაიმე გადაწყვეტილება მიიღოს, რომელიც სავალდებულო იქნება პრესისათვის. ერთადერთი ხელმისაწვდომი სანქცია საკუთარი აზრის პუბლიკაციაა. ამ ორგანოს ისეთი ავტორიტეტი არ გააჩნია, როგორც სხვა ქვეყნებში, მას ხშირად აკრიტიკებენ, რადგან მხოლოდ ჟურნალისტებისაგან შედგება და ექსპერტები მასში არ მონაწილეობენ.

ჰოლანდიაში მსგავსი საბჭოს შექმნას 1960 წელს ხელი შეუწყო საზოგადოების მოთხოვნამ, რათა დაიცვან თავი არაკეთილსინდისიერი ჟურნალისტებისაგან.

საკმაოდ დიდი ავტორიტეტი აქვს პრესის საბჭოს ნორვეგიაში საჩივრის განხილვის დროს. თუ იგი დაადგენს, რომ დარღვევას მართლაც ჰქონდა ადგილი, გამოაქვს „გასაკიცხი" გადაწყვეტილება, რომელიც პრესაში ქვეყნდება. აქ ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსის სახით მოქმედებს „რედაქტორპლაკანი", რომელიც რედაქტორთა უფლებამოსილებებს განსაზღვრავს. ასეთი რედაქტორული ავტონომია ეფექტურია გაზეთის მფლობელთა შესაზღუდად, რათა მათ ზეგავლენა არ იქონიონ გამოსაქვეყნებელ ინფორმაციაზე.

საფრანგეთში თვითრეგულირების ერთიანი მექანიზმი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ჟურნალისტთა კავშირები და გაზეთის მფლობელთა ასოციაციები, რომლებიც ცდილობენ, დაიცვან საერთაშორისო დეკლარაციებში არსებული სტანდარტები. მაგრამ ამ სტანდარტებს სამართლებრივი სტატუსი არ გააჩნია.

დამოუკიდებელი თვითრეგულირების ერთიანი ორგანო არც ესპანეთში და არც კანადაში არ არსებობს. აქ მოქმედი პროვინციული საბჭოები იძულების ძლიერი მექანიზმის გარეშე არსებობდნენ. მაგრამ, მათ მაღალი პროფესიული სტანდარტებისადმი მხარდაჭერა ნამდვილად დაამტკიცეს.

აშშ-ში მასმედიასთან დაკავშირებულ დავებს არბიტრი განიხილავს. უკანასკნელ პერიოდში მსხვილ გაზეთებში შემოვიდა „შიდა კრიტიკოსების" თანამდებობა (ომბუცმენი). ასევე წარმატებით მოქმედებს ყოველკვირეული ჟურნალების პუბლიკაციათა მონიტორინგი.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების თავისუფლების გარანტიას წარმოადგენს ცენზურის აკრძალვა. ცენზურა ზოგადი განმარტებით გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მხრიდან ინფორმაციისა და მასალის წინასწარი შეთანხმებების მოთხოვნას, ასევე საინფორმაციო მასალის ან მისი ნაწილის გავრცელების აკრძალვას.

საგანგებო მდგომარეობის შესახებ 1997 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს კანონის მე-2 მუხლით, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის დროს ქვეყანაში სხვა უფლებებთან ერთად იზღუდება მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება, აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან წესდება კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, დგინდება კავშირგაბმულობის საშუალებებით სარგებლობის განსაკუთრებული წესები. ასეთი ღონისძიებები არამარტო ქვეყნის ინფორმაციული უსაფრთხოებიდან გამომდინარეობს, არამედ იმ ჟურნალისტთა დაცვის აუცილებლობიდანაც, რომლებიც ცნობების მისაღებად შეიძლება ცხელ წერტილში მოხვდნენ. „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 23 ივლისის კანონის მე-10 მუხლის მიხედვით საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს სახელმწიფო ორგანოები სარგებლობენ ყველა სახის კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელის პრიორიტეტული გამოყენების ან მათი საქმიანობის შეჩერების უფლებით.

ცენზურის აკრძალვის პარალელურად, მასმედიის შესახებ კანონმდებლობა იმ მიმართულებითაც უნდა განვითარდეს, რომ შესაძლებელი იყოს საზოგადოებრივი მორალის დაცვა დიფამაციისაგან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს სასარჩელო დაცვის ღონისძიებებს, თუმცა უმეტეს ქვეყნებში საკმაოდ განვითარებულია მასმედიის თავისუფლების წონასწორობის შენარჩუნების მექანიზმები. (პრესის საბჭოები, ეთიკის კოდექსები, რომელთა შესახებ უკვე ვისაუბრეთ).

კანონის მოთხოვნა, რომ სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებისა და ცენზურის დაუშვებლობის შინაარსობრივი გაგრძელებაცაა და გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მონოპოლიზაციისაგან, ხელი შეუწყოს ამ სფეროში კეთილსინდისიერ კონკურენციას და მასმედიის განვითარებას გარე პლურალიზმის (ჟურნალ-გაზეთები და სხვა) თუ შიდა პლურალიზმის (ფართო საზოგადოებრივი წრმომადგენლობა რადიოსა და ტელევიზიის მმართველობით სტრუქტურებში) საშუალებით.

ამ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ საქართველოს 1995 წლის 25 ივლისის კანონის მე-20 მუხლით დადგენილია დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს – საქართველოს კომუნიკაციის ეროვნული კომისიის – სტატუსი, რომელიც კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში გასცემს ლიცენზიებს, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზნით, ადგენს მონოპოლიურ

მდგომარეობასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ ნორმებს, ახორციელებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობას. კომისიის გადაწყვეტილებები გასაჩივრდება სასამართლოში. დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისია ლიცენზირებასთან ერთად სარგებლობს ინფორმაციის გავრცელების საშუალებათა სერტიფიცირების უფლებამოსილებით. ტექნიკური საშუალების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის, თუ საქართველოში კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობა დადასტურებულია სხვა ქვეყნების შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული სერტიფიკატით.

თვითრეგულირების ორგანოს შექმნის საკითხი გათვალისწინებულია „ახალგაზრდობის მავნე ზეგავლენისაგან დაცვის შესახებ" საქართველოს კანონშიც, რომლის მიხედვით სხვადასხვა უწყებათა და სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია ადგენს ახალგაზრდობისათვის მავნე ზეგავლენის მქონე ფილმებისა და ლიტერატურის კატეგორიებს. ასეთი დებულებები კანონში შეიძლება აღქმული იყოს, როგორც პრესის თავისუფლების შეზღუდვა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ იგი მიმართულია საერთო სოციალური ღირებულებების დაცვისაკენ და არა აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისაკენ. მსგავსი კანონი არსებობს გერმანიაში, ხოლო აშშ-ს 1996 წლის კანონი კავშირგაბმულობის შესახებ მოითხოვს ტელედანადგარებისათვის ისეთი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას, რომლის მეშვეობითაც მფლობელს შეუძლია, რეიტინგული სისტემის საფუძველზე, ბლოკირება გაუკეთოს ზოგიერთ გადაცემას (პორნოგრაფია, ძალადობა). კანონში პირველადაა მცდელობა შეიზღუდოს კიბერნეტიკულ სივრცეში გასვლის თავისუფლება. კანონის პირველი ნაწილი „შეურაცხმყოფელი კომუნიკაციების შესახებ" (Communication Docency Act) ისეთ დებულებებს შეიცავს, როგორიცაა 18 წლამდე ასაკის პირებისათვის „უკადრისი" მასალის მიწოდების შეზღუდვა (სატელევიზიო სიგნალების გაშიფვრის მეშვეობით). ზოგჯერ ამ კანონს არაკონსტიტუციურობაშიც სდებენ ბრალს, რადგან იზღუდება სიტყვის თავისუფლება, ხოლო „უკადრისობის" განმარტება საკმაოდ ბუნდოვანია და ამის გამო შეუძლებელი გახდება ცნობილი მხატვრის ტილოები ან შიდსის ხიფათის შემცველი ინფორმაციის გაცნობა.

ფაქტი ერთია, ისინი, ვინც ინფორმაციასთან დაშვებას უზრუნველყოფენ, პასუხისმგებლობასაც კისრულობენ შეურაცხმყოფელი (უკადრისი) ინფორმაციის გავრცელებისათვის. ამ თვალსაზრისით, კანონმდებლობა გარკვეულწილად შესავსებია, თუმცა, როგორც უკანასკნელი პერიოდის საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, ამ

სფეროში კანონმდებლობა უმჯობესია განვითარდეს რეგულირების მოქნილი მეთოდების გამოყენებით და არა ამკრძალავი ნორმატიული აქტების შემოღებით.

6.2. პერსონალური მონაცემის სამართლებრივი რეგულირება.

პერსონალური მონაცემები მოქალაქეთა ყოველდღიურ საქმიანობაში უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზაციის (შრომის უფლება, განათლების უფლება, დასვენების უფლება, სამედიცინო მომსახურების, სოციალური დაზღვევის უფლება და სხვა) და ვალდებულებათა (სამხედრო ვალდებულება) შესრულების პროცესში იქმნება. ასეთ ინფორმაციას მოქალაქეები კანონით დადგენილი წესით წარუდგენენ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს ან, ცალკეულ შემთხვევაში, კერძო იურიდიულ პირებს.

პერსონალური მონაცემები ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრების ერთ-ერთი მხარეა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა კი საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლითაა აღიარებული და მისი დაცვა საქართველოს კანონმდებლობით უნდა იყოს გარანტირებული.

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში, ისევე, როგორც მოქმედ კანონმდებლობაში, **პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების** ერთიანი გაგება არ არსებობს. უფლებათა დაცვის სპეციალისტების აზრით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება პირდაპირ კავშირშია აზრის, სინდისისა და რწმენის თავისუფლებასთან, აგრეთვე შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებასა და ოჯახის შექმნის უფლებასთან. ამასთან, ეს მეცნიერები გამოდიან უფლებათა დაცვის ევროპის კონვენციიდან (მე-8 და მე-12 მუხლები), რომელიც ეხება პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის და პირადი კორესპონდენციის პატივისცემას, აგრეთვე ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლებას.[1]

მეცნიერთა მეორე ნაწილი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში გულისხმობს პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირადი მიმოწერის საიდუმლოებას, პირადი სტატუსის პატივისცემას, აგრეთვე, ოჯახის შექმნის უფლებას.[2]

ამ მოსაზრებებს შორის საერთო ისაა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება უთანასწორდება საკუთრების ან ინტელექტუალური საკუთრების უფლებას, რომელიც თავისი შინაარსით

[1] Гомьен Д; Харрисс Д; Зваак Л. – Европейская конвенция о правах человека и Европейская социальная хартия: право и практика. М. 1998.
[2] Люшер Ф. Конституционная защита прав и свобод личности. М. 1993.

საკმაოდ რთული ინსტიტუტია და ინდივიდის ცალკეული უფლებამოსილებებისაგან შედგება. ამ უფლებამოსილებათა ჩამონათვალი კანონებსა და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში ამომწურავი არ არის, რადგან საზოგადოებრივი ურთიერთობები აღნიშნულ სფეროში სისტემატურად ვითარდება.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია აღიარებს: არავის აქვს უფლება ჩაერიოს პირად ან ოჯახურ ცხოვრებაში, დაარღვიოს საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა, კორესპონდენციის საიდუმლოება ან ადამიანის ღირსება და რეპუტაცია. ყველა ადამიანს უფლება აქვს ამგვარი ჩარევისა და ზემოქმედებისაგან კანონით იყოს დაცული (მე-12 მ).

აქედან გამომდინარე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შინაარსი განისაზღვრება ინდივიდთა მიერ პირადი თავისუფლების რეალიზაციის პროცესში პირად ცხოვრებაში ჩარევის დასაშვები ფარგლების რეგლამენტირებით.

ფილოსოფიურ და იურიდიულ ლიტერატურაში ამგვარი ფარგლების დადგენის მცდელობაც იყო. კანტის ცნობილი ფორმულა, სამართალი – ეს ის პირობებია, რომელთა არსებობა თავისუფლების საყოველთაო კანონის პოზიციიდან ერთის თავისუფლებას მეორის ვალდებულებას შეუსაბამებს, ინდივიდის თავისუფლების საზღვრებს გულისხმობს. ჰეგელი, მოძღვრებაში უფლებათა განვითარების სამი საფეხურის შესახებ, ცდილობს, დასძლიოს ინდივიდუალიზმის ფილოსოფია და ამ სფეროში იგი სახელმწიფოს როლის გაზრდისაკენ იხრება.

ცნობილი პრინციპი: თავისუფლება ნიშნავს ყველანაირი ქმედების შესაძლებლობას, თუ იგი ზიანს არ აყენებს სხვას, რომელიც შემდგომ მრავალი ქვეყნის კონსტიტუციასა და უფლებათა შესახებ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებში შევიდა, პირველად 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციამ ჩამოაყალიბა. ეს აქტი თითოეული ადამიანის თავისუფლების იმ საზღვრებს გულისხმობს, რომელიც საზოგადოების სხვა წევრებისათვის ანალოგიური უფლებებით სარგებლობას ხელს არ უშლის. დეკლარაციის მე-5 მუხლში ვკითხულობთ, რომ კანონმა უნდა აკრძალოს მხოლოდ საზოგადოებისათვის მავნე ქმედებები, ე. ი. აუცილებელია, რომ ბუნებითი უფლებები და მათი რეალიზაციის ფარგლები საკანონმდებლო წესით დადგინდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს მათი სათანადოდ დაცვის შესაძლებლობა არ ექნება.

გასულ საუკუნეში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რომლის ერთი ნაწილია პერსონალური მონაცემების დაცვა, ცნობილი კონცეფციის „ფრაივერსის" (Privarcy- პირადი ცხოვრების სამართლის სტატუსით აღჭურვა) კვლევის განსაკუთრებული ობიექტი გახდა.

თავდაპირველად, ეს კონცეფცია მხოლოდ ფიზიკურ ანკლავს გულისხმობდა (მაგ: საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის უფლება), რომლის ფესვები დასავლური ტრადიციებიდან მომდინარეობს. ბრიტანული გამოთქმა – „ჩემი სახლი, ჩემი ციხე-სიმაგრეა“ გულისხმობს, რომ ადამიანის საცხოვრებელი ხელშეუხებელი თავშესაფარია, სადაც ინდივიდს აქვს უფლება „დარჩეს მარტო თავის თავთან“ (to be alone) ამას ემატება სხვა ფიზიკური ანკლავიც. მაგალითად უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი თუ სხვა) ან ფიზიკური სივრცე (ოთახი სახლში ან ნომერი სასტუმროში). მაგრამ ადამიანი მარტო ფიზიკური ანკლავით არ არის მოცული. იგი ინფორმაციულ სივრცეში არსებობს და მოღვაწეობს. ინდივიდის ინფორმაციული სივრცე განისაზღვრება ინფორმაციული ნაკადის ცირკულაციით. ინფორმაციული ნაკადი ესაა დროსა და სივრცეში ინფორმაციის გადაადგილება. სივრცეში გადაადგილება – ინფორმაციის გადაცემაა, ხოლო დროში გადაადგილება – შენახვა.

ადამიანი ინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი წყაროა, ამავე დროს ინფორმაციის მომხმარებელიც არის, ამიტომ იგი დაინტერესებულია ინფორმაციულ სივრცეში საკუთარი ინფორმაციის ცირკულაციით, რადგან ეს მისი, როგორც „გონიერი არსების“ არსებობის აუცილებელი პირობაა. მაგრამ, არის ერთი სახის ინფორმაცია, რომლის ცირკულაციის შეზღუდვისა და კონტროლის სურვილი ყველას აქვს. ესაა პირადი ცხოვრების ის მონაცემები, რომელიც ამა თუ იმ მიზეზთა გამო ინდივიდისათვის მგრძნობიარეა. ფრაივერსის კონცეფცია სწორედ ამ კრიტერიუმებით აფასებს პერსონალური ინფორმაციის ცირკულაციის პროცესს. ამ კონცეფციას საფუძვლად დაედო ბოსტონის გაზეთებში ერთ-ერთი ქორწილის წვრილმანი დეტალების პუბლიკაცია. ახალ დაქორწინებულთა განრისხებული მამა – ბოსტონელი იურისტი – სამუელ უორენი და მისი კოლეგა ლუის ბრანდეისი დაფიქრდნენ პირად ცხოვრებაში პრესის ჩარევის დასაშვებ საზღვრებზე. მათ შექმნეს ესსე „პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის უფლება“ (1890 წ.), რომელიც ყველაზე გავლენიან სტატიად იქცა პირადი ცხოვრების სამართლებრივ საკითხებზე.

ფრაივერსის ფუძემდებლები იმასაც აღიარებდნენ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ფონზე, პირადი ცხოვრების მზარდი „პრივატიზაცია“ მიმდინარეობს. ეს ის სფეროა, რომელიც სამართლებრივი დაცვის მექანიზმის შემუშავებას ითხოვს. სხვა ქვეყნების პრეცენდენტული ბაზის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ პირად ცხოვრებაზე ძირითადი მუქარა პრესის მიერ კერძო ფაქტების პუბლიკაციით დაიწყო, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთი „დეპრივატიზაციის“ მიზეზი პრესის განვითარების მნიშვნელოვანი ნახტომია. ამ ნახტომით პრესა ნამდვილ „ინდუსტრიულ მასმედიად“ იქცა.

პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის სამათლებრივი დაცვის თეორიულ საფუძვლებს უორენი და ბრანდეისი საერთო სამართლის სფეროში ეძებდნენ, რადგან პიროვნებისა და მისი საკუთრების დაცვა ისევე ძველი პრინციპებია, როგორც საერთო სამართალი. მისი მოდიფიკაცია საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად უნდა ხდებოდეს. სასამართლოები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფაქტებს მაშინ უნდა იხილავდნენ, თუ ფიზიკური პირის ინდივიდუალური ატრიბუტების კომერციული გამოყენება მოხდებოდა. ასეთი პრაქტიკის დონეზე შეუძლებელი ხდება გაირკვეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით პირადი ცხოვრების არასასურველი ფაქტების გავრცელებისას რა აყენებს ზიანს „ინდივიდის სულიერ სიმშვიდეს" – მისი სოციალური, ეთიკური, მორალური წარმოდგენა თუ ინფორმაციის გავრცელების ხერხი, რომლის წყალობითაც იგი საზოგადოების ყურადღების ობიექტი გახდა. საერთო სამართლის ქვეყნებმა პირადი ცხოვრების დაცვის სფერო თავიდანვე საკუთრების უფლების დაცვას დაუკავშირეს.

რას წარმოადგენს ის საკუთრება, რომელსაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება იცავს? უორენი და ბრანდეისი ამ შეკითხვაზე პასუხობდნენ: პიროვნების ხელშეუხებლობა. სასამართლოებს კი პირადი ცხოვრების ცნების კრიტერიუმი არ გააჩნდათ. ემპირიულად, ამ კატეგორიის დარღვევებს აკუთვნებენ ისეთ ქმედებებს, როგორიცაა მაგალითად, სხვისი სახელის ან გარეგნობის გამოყენება კრედიტის მისაღებად. მსგავსი მაგალითები შეიძლება მრავლად დავასახელოთ მსოფლიო სასამართლო პრაქტიკიდან, მაგრამ ყველა შემთხვევაში ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს, რომ იგი უსისტემოდ, ზოგჯერ შემთხვევითი ფაქტებით ივსებოდა.

XX ს-ის შუა წლებიდან საკმარისი პრეცედენტული ბაზა შეიქმნა ფრაივერსის ცნების სტრუქტურიზაციისა და თეორიული განზოგადებისათვის. ამ სფეროში დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკელ ცივილისტს უ. პროსერს, რომელმაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრობლემა, დელიქტური სამართლისადმი მიძღვნილ შრომაში გამოაქვეყნა. ცოტა მოგვიანებით შვედმა მკვლევარმა სტრიგ სტემჰოლმა პიროვნების უფლება და პირადი ცხოვრების უფლება შედარებითი სამართალმცოდნეობის პოზიციებიდან განიხილა.

პირადი ცხოვრების დაცვა პირველ ეტაპზე, ვიდრე ინფორმაციის გავრცელების საშუალებები პერსონალური ინფორმაციის ძირითად მომხმარებლად გამოვიდოდნენ, დელიქტური სამართლით ხორციელდებოდა. მაგრამ ახალი ოპტიკური და რადიოელექტრული საშუალებებით საიდუმლო თვალთვალის შედეგად პერსონალური ინფორმაციის შეგროვებამ და გამოქვეყნებამ მდგომარეობა რადიკალურად შეცვა-

ლა. იურისტები ფრაივერსზე ახალი ხერხებით და მეთოდებით თავდასხმის მუქარის წინაშე აღმოჩნდნენ და მის დასაცავად ტრადიციული დელიქტის – მფლობელობის უფლების დარღვევის გამოყენებას შეეცადნენ.

დაცვის მხოლოდ ასეთი მექანიზმი თავიდანვე განწირული აღმოჩნდა, რადგან საიდუმლო თვალთვალის ახალ საშუალებათა დისტანციურობის გამო სხვისი მფლობელობის უფლების „ფიზიკური დარღვევა არ ხდებოდა". პირს არც შეიძლება სცოდნოდა მის მიმართ ინფორმაციული სივრცის დარღვევის თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური განვითარების ფაქტორმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პერსონალური ინფორმაციის „პოლიტიზაციას", როგორც ერთ-ერთი მეცნიერი დ. შოიმი იტყოდა: დაიწყო პირადი ცხოვრების პოლიტიზაცია, რამაც ამ სუბიექტურ უფლებას საჯარო სამართლებრივი მნიშვნელობა შესძინა.

საბოლოოდ გამოიკვეთა პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის უფლების დაცვის ახალ ფორმებზე გადასვლის აუცილებლობა. როგორც ამ პარაგრაფის დასაწყისშია ნათქვამი, ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე დოკუმენტურ და სხვა ინფორმაციულ კვალს ტოვებს. ასეთი ინფორმაციის შეგროვების, სისტემატიზაციისა და შენახვის სფეროში კომპიუტერის გამოყენებამ კიდევ უფრო გაზარდა პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის დაცვის მექანიზმის საჭიროება. ისეთი ტიპის პროგრამების გამოჩენამ, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა ბაზებიდან პერსონალურ მონაცემთა შეგროვებასა და შედარებას (Date matching) ინდივიდის პირადი ცხოვრების პრაქტიკულად ამომწურავი სურათი შექმნა. პერსონალურ მონაცემთა ბაზების შექმნაში დაინტერესებულია, როგორც სახელმწიფო (მმართველობის მიზნით, პოლიტიკური თუ სისხლისსამართლებრივი ძებნის მიზნით და სხვა), ასევე კერძო სტრუქტურები. ასეთ პირობებში პერსონალური ინფორმაციის დაცვის საკმაოდ რთული და მრავალმხრივი სამართლებრივი მექანიზმია საჭირო, რადგან ინფორმაცია პიროვნებათა შესახებ დღევანდელ პირობებში შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც „ეკონომიურად ხელსაყრელი საქონელი" და „ხელისუფლების წყარო".

ასეთი კრიტიკული სიტუაცია საზოგადოებას უბიძგებს სწორად შეაფასოს ფრაივერსის კონცეფციის როლი, ხოლო ხელისუფლებამ პირადი ცხოვრების დაცვის სფეროში მთავარი ძალისხმევა პერსონალურ მონაცემთა დაცვისაკენ მიმართოს, თუ იმასაც დავუმატებთ, რომ პერსონალური მონაცემები ტრანსასაზღვრო ნაკადით საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო ქსელში გაედინება, პრობლემების აქტუალობა და სირთულე უფრო ცხადი ხდება. ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლის თავისუფლების მოთხოვნა მართალია, უზრუნველ-

ყოფილი უნდა იქნეს, მაგრამ ვერ გავექცევით პერსონალურ მონაცემთა ექსტერიტორიულობის დაცვის გარანტიების შექმნას საერთაშორისო სახელშეკრულებო ვალდებულებებისა და ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საფუძველზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ სხვა ქვეყნების კანონმდებლობა ორი მიმართულებით განვითარდა: ერთის მხრივ, ესაა Date protection act (მონაცემთა დაცვის აქტი), მეორეს მხრივ კი – Information Freedom Act (ინფორმაციის თავისუფლების აქტი). ამ სფეროში შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანია ევროპარლამენტის 1991 წლის 11 მარტის დირექტივა „კომპიუტერული პროგრამების დაცვის შესახებ" და სხვა.

ფრაიერსის კონცეფციის მიხედვით, პერსონალური ინფორმაციის ცირკულაცია „მგრძნობიარობის" კრიტერიუმებით ხორციელდება, ხოლო საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით მას „იდენტიფიცირების" კრიტერიუმიც ემატება. ამ კრიტერიუმების მიხედვითაა აგებული ავსტრიის 1978 წლის კანონი „მონაცემთა დაცვის შესახებ", საფრანგეთის 1978 წლის კანონი „მონაცემთა დამუშავების შესახებ", დიდი ბრიტანეთის 1984 წლის კანონი „მონაცემთა დაცვის შესახებ", ფინეთის 1988 წლის კანონი „პერსონალურ მონაცემთა ფაილების შესახებ", ბელგიის 1992 წლის კანონი „მონაცემთა დაცის შესახებ", იაპონიის 1989 წლის კანონი „კომპიუტერით დამუშავებულ პერსონალურ მონაცემთა ადმინისტრაციულ ორგანოებში შენახვის შესახებ", გერმანიის 1990 წლის ფედერალური აქტი „მონაცემთა დაცვის შესახებ", რომელიც 1994 წელს ამავე სახელწოდების კანონით შეიცვალა.

ამ საკანონმდებლო ბაზის ანალიზი ცხადყოფს, რომ „მგრძნობელობის" ცნება საკმაოდ სუბიექტურია და სუბიექტის აღქმაზეა დამოკიდებული. ამიტომ საერთო სამართლის ქვეყნების სამოქალაქო სამართალწარმოებაში არსებული პრეცედენტების საფუძველზე შემუშავდა ერთი პრინციპი: პერსონალური მონაცემების რაიმე ფაქტის გამოქვეყნება პირად ცხოვრებაზე „თავდასხმად" მაშინ ჩაითვლება თუ ფაქტის პუბლიკაცია სათაკილო იქნება ყველა ჩვეულებრივად მგრძნობიარე ადამიანისათვის.

„მგრძნობიარების" კრიტერიუმებით მრავალი მეცნიერი შეეცადა პირადი ცხოვრების ფაქტების (მათ შორის პერსონალური მონაცემები) განმარტებას, მაგრამ ყველაზე სრულყოფილი, ვფიქრობთ, ოქსფორდის უნივერსიტეტის სამართალმცოდნის რაიმონდ უექსის განმარტებაა: პერსონალური მონაცემებია – ფაქტები, შეტყობინებები ან შეხედულებები, რომლებიც მოცემულ ინდივიდთან არიან დაკავშირებულნი და რომელთაც იგი ინტიმურად ან კონფიდენციურად

მიიჩნევს და ამასთან, სურვილი აქვს შეწყვიტოს, ან სულ ცოტა, შეამციროს მათი ცირკულაცია.

მსოფლიო საკანონმდებლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ პერსონალურ მონაცემთა განმარტებისათვის „მგრძნობიარების" კრიტერიუმის ნაცვლად შესაძლებელია „იდენტიფიკაციის" კრიტერიუმის გამოყენება. Date Protection Act – ის ტიპის კანონებში, როგორც წესი, მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიკაციის კრიტერიუმს ვხვდებით.

საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკა იმაზეც მეტყველებს, რომ პერსონალურ მონაცემთა ცნება იურიდიულ პირებზეც ვრცელდება. ამ მხრივ საინტერესოა ისლანდიის 1989 წლის კანონი „პერსონალურ მონაცემთა რეგისტრაციის შესახებ" (ე. ი. ცნობს ე.წ. კერძო სფეროში ჩაურევლობაზე კორპორაციულ უფლებას), რომლის მიხედვით პერსონალურ მონაცემებს ეკუთვნის ცნობები ინდივიდის კომპანიის და სხვა იურიდიული პირების ფინანსური თუ სხვაგვარი საქმიანობის შესახებ, რომელიც საიდუმლოდ უნდა ინახებოდეს.

ე. წ. „კორპორაციული ფრაივერსი" არ არის მიღებული საფრანგეთის (1978წ.) ფინეთის (1988წ.) და სხვა ქვეყნების კანონმდებლობით. ამ კანონების მიხედვით პერსონალური მონაცემებია ფიზიკური პირის ყოველგვარი აღწერა, მისი დახასიათება და ის ცხოვრებისეული გარემოებები, რომლებიც აღწერენ ამ პირს, მისი ოჯახის წევრებისა და მასთან მცხოვრები პირების ნიშანთვისებებს.

ეს საკანონმდებლო აქტები ე. წ. „მეორე თაობის" კანონებს განეკუთვნება, რომლებიც ახალ პრინციპულ მომენტებს შეიცავენ. პირველ რიგში, ესაა პერსონალური მონაცემის ცნებაში მონაცემთა სუბიექტის, მისი ოჯახის წევრს და მასთან მცხოვრები პირების შესახებ ინფორმაციის შეტანა. ამ კანონებში პერსონალური მონაცემების არა მარტო კომპიუტერული, არამედ სხვა ტექნოლოგიით (ხელით, მექანიკურად და ა. შ) დამუშავებაც მოიაზრება. იურიდიულ სიახლეს წარმოადგენს პერსონალური მონაცემების დარგობრივი განმარტებები საკრედიტო საქმიანობის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის.

პოსტკომუნისტური სივრციდან, საინტერესოა ესტონეთის მიერ 1997 წელს მიღებული კანონი „პერსონალური მონაცემების შესახებ", რომელიც იდენტიფიცირების კრიტერიუმზეა აგებული. თუმცა რეგულირების რეჟიმის დასადგენად იყენებს „მგრძნობელობის" კრიტერუმსაც და პერსონალურ მონაცემებს დელიკატური და არადელიკატური ხასიათის მონაცემებად ჰყოფს. დელიკატურ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება და მათი მესამე პირისათვის გადაცემა მხოლოდ პირის თანხმობით დაიშვება.

რაც შეეხება პერსონალური მონაცემების სამართლებრივი რეგულირების პრობლემას, იგი კატეგორიების მიხედვით მონაცემთა

დამუშავებისათვის დაცვის სპეციალური ღონისძიებების შემუშავებას გულისხმობს. საკანონმდებლო პრაქტიკა „მგრძნობიარების" მიხედვით მონაცემების შემდეგ კატეგორიებს იცნობს:

1. ჩვეულებრივი პესონალური მონაცემები – რომელთა შეგროვება, დამუშავება, გადაცემა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილ რეჟიმში სპეციალური ნებართვის გარეშე.

2. მგრძნობიარე პერსონალური მონაცემები – რომელთა შეგროვება, დამუშავება, გადაცემა კანონით დადგენილი დაცვის განსაკუთრებულ ღონისძიებებს.

3. განსაკუთრებით მგრძნობიარე პერსონალური მონაცემები – რომელთა შეგროვება, დამუშავება, გადაცემა ან საერთოდ იკრძალება, ან დაიშვება გამონაკლის შემთხვევებში დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენებით.

„მგრძნობიარე" პერსონალურ მონაცემთა საყოველთაოდ აღიარებულ სახეებს ეკუთვნის ცნობები პატიმრობის შესახებ, სამედიცინო და საგადასახადო მონაცემები და სხვა.

განსაკუთრებით „მგრძნობიარე" პერსონალური მონაცემების შემადგენლობა შეიძლება იცვლებოდეს ეროვნული მენტალიტეტიდან გამომდინარე, თუმცა, როგორც წესი, ამ კატეგორიას განეკუთვნება მონაცემები რასობრივი და ეთნიკური წარმოშობის, რელიგიურ თუ პოლიტიკური მრწამსის, სექსუალური ორიენტაციის შესახებ და სხვა.

საქართველოში მსგავსი კანონი ჯერ არ არის მიღებული, თუმცა მისი შინაარსობრივი დატვირთვა ევროსაბჭოს 108-ე კონვენციის შესაბამისი დებულებიდან უნდა მომდინარეობდეს. კონვენციის პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ „კონვენციის მიზანია მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე თითოეული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის უზრუნველყოფა მიუხედავად ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, კერძოდ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა პერსონალური მონაცემების ავტომატიზირებულ დამუშავებასთან დაკავშირებით.

ევროსაბჭოს ეს მოთხოვნა შეიძლება ფორმულის სახით ჩამოვაყალიბოთ: მონაცემთა დაცვა უდრის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას პლიუს პერსონალურ მონაცემთა ავტომატიზირებული დამუშავება. აქედან გამომდინარე აუცილებლად მიგვაჩნია მონაცემთა დაცვის შესახებ საზღვარგარეთის ქვეყნების საბაზისო კანონების ტრადიციულ სახელწოდებათა კომენტირება.

„მონაცემთა დაცვის" (Date protection act) მსგავსი სახელწოდება გაუგებრობას იწვევს, რადგან „მონაცემთა დაცვა" მოიცავს დაცვის სისტემების მთელ კომპლექსს. ამიტომ, კანონის ასეთი დასახელება შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც ყველანაირი დაცვა (ორგანიზა-

ციულ – ტექნიკური, კრიპტოგრაფიული, პროგრამული, სახელშეკრულებო, ადმინისტრაციული თუ სხვა სამართლებრივი საშუალებით) ყველანაირი მონაცემისა (პერსონალური, კომერციული, საბანკო, პროფესიული, სამსახურებრივი, საიდუმლო და ა. შ.). პრაქტიკულად კი, მსგავსი დასათაურების კანონებში მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფაზეა საუბარი, ამიტომ ტერმინოლოგიურად კანონის შინაარს, ვფიქრობთ, შეესაბამება სახელწოდება კანონი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ".

კიდევ უფრო საეჭვოა მეორე ტიპის დასათაურება „მონაცემთა ბაზების დაცვის შესახებ" (Data Bank Protection Act), რადგან ამ შემთხვევაში ისეთი წარმოდგენა იქმნება, რომ დაცვის ობიექტი მონაცემთა ბაზებია. ევროსაბჭოს 96/9 დირექტივის მიხედვით (1996 წლის 11 მარტი) მონაცემთა ბაზების განუყოფელ ატრიბუტს წარმოადგენს: ბაზების შერჩევის პრინციპი (და არა შინაარსი ან მონაცემები), ბაზების ორგანიზაციის და სისტემატიზაციის საშუალება, კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც ბაზების მართვის სისტემაში შედიან.

ასე რომ, მონაცემთა ბაზების დაცვის შესახებ კანონები ამ სამი ატრიბუტის დაცვას გულისხმობს. ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ ამ შემთხვევაში მონაცემებზე ლაპარაკიც არ არის. ასეთ შემთხვევაში სამართლებრივი რეგულირების მიხედვით შინაარსიდან გამომდინარე გამართლებულად მიგვაჩნია „მონაცემთა ბაზებში შენახულ პერსონალურ მონაცემთა შესახებ" კანონი.

პერსონალური მონაცემების სამართლებრივი რეგულირების თავისებურებას წარმოდგენს მონაცემთა დაცვის ეროვნული ორგანოს (ორგანოების) არსებობა. უმეტეს ქვეყნებში ეს ორგანოები აღჭურვილნი არიან სარეგისტრაციო – სანებართვო, საკონტროლო–საზედამხედველო, საარბიტრაჟო, საექსპერტო და მეთოდოლოგიური ფუნქციებით, ხოლო ადმინისტრაციულ–სახელისუფლებო და საგამოძიებო უფლებამოსილებით აღჭურვა საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა. ძირითადად ეს ორგანოები სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელნი არიან. ეს აუცილებლობა კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვითაა გაპირობებული, სადაც სახელმწიფო თვითონ გამოდის მხარედ და იმავდროულად დაინტერესებულია პერსონალური მონაცემების შეგროვებითა და დამუშავებით. სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობა სხვადასხვა საშუალებითაა გარანტირებული: სტატუსით, შექმნის პროცედურით და სხვა. არანაკლებ მრავალფეროვანია მონაცემთა დაცვის ორგანიზაციული ფორმები. თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც მონაცემთა დაცვის ტრადიციები არსებობს, გავრცელებულია სპეციალური თანამდებობა, რომელიც პასუხისმგებელია მონაცემთა დაცვაზე ქვეყნის შიგნით. მაგალითად ფრაიერს კომისარი (კანადა); მონაცემთა

დაცვის კომისარი (გერმანია), მონაცემთა დაცვის ომბუცმენი (ავსტრალია), მონაცემთა დაცვის რეგისტრატორი (ბრიტანეთში).

საკმაოდ გავრცელებულია მონაცემთა დაცვა არა ერთი ორგანოს, არამედ ორგანოთა სისტემის მიერ. მაგ: ავსტრიის კანონი ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის საბჭოს და კომისიას. ფინეთში ომბუცმენთან ერთად არსებობს კოლეგია. მონაცემთა დაცვის სპეციალიზირებული ორგანოების შექმნა არ ნიშნავს, რომ სასამართლოები პირადი ცხოვრების დაცვის სფეროში თავიანთ მნიშვნელობას კარგავენ. როგორც წესი, ისინი პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და გამოყენებასთან წარმოშობილ დავებს, ძირითადად სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავენ.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და გამოყენების სამართლებრივი რეგულირების პარალელურად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირადი ცხოვრების დაცვის ისეთ არასტატუტარულ საშუალებებს, როგორიცაა პრაქტიკისა და ქცევის კორპორაციული კოდექსები. ასეთი კოდექსების ფორმა და შინაარსი ერთგვაროვანი არ არის, რაც მათ ფორმალურ შედარებას საკმაოდ ართულებს. არ არსებობს პრაქტიკის კოდექსთა უნივერსალური განმარტება. მაგ: ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა (ჰოლანდია და სხვა) მონაცემთა დაცვის შესახებ პრაქტიკის კოდექსს განმარტავს, როგორც პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ წესებისა და რეკომენდაციების ერთობლიობას, რომელიც ერთი ან რამდენიმე ორგანოს მიერაა მიღებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მიზნით.

კოდექსის ცნებას ამ შემთხვევაში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ერთის მხრივ, იგი გულისხმობს სარეგულირებელი საგნის შესახებ პრინციპებისა და წესების ჩამოყალიბებას. მეორეს მხრივ, ეს ტერმინი იმდენად შეიჭრა მონაცემთა დაცვის ლექსიკაში, რომ მას იყენებენ თვითრეგულირების ყოველგვარი აღწერის მცდელობისას. 1980 წლიდან ასეთი სახის კოდექსებმა საკანონმდებლო მხარდაჭერა მიიღო ავსტრიაში, ისლანდიაში, ნიდერლანდებსა და ბრიტანეთში. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთი ნაბიჯი გარკვეულ წილად კორპორაციულ კოდექსთა ნებაყოფლობით ბუნებას ეწინააღმდეგება. ევროსაბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის დირექტივას პრაქტიკის კოდექსები საერთაშორისო დონეზე აჰყავს. დირექტივის მე-20 მუხლში ნათქვამია, მონაწილე ქვეყნები ვალდებულნი არიან წაახალისონ საქმიანი წრეები ევროკოდექსების დამუშავებაში მონაწილეობისათვის. ასე, რომ არსებობს ორი მიმართულება: ერთი, რომელსაც საკანონმდებლო მხარდაჭერა არ გააჩნია და მეორე, რომელიც ამგვარი მხარდაჭერით სარგებლობს. კოდექსთა უმეტესი ნაწილი პირველ კატეგორიას განეკუთვნება.

გამოიკვეთა პრაქტიკის კოდექსების ლეგიტიმაციის ტენდენცია „დარგობრივი კანონების" სტატუსით. სანქციონირების პროცედურაში მონაწილეობს მონაცემთა დაცვის ეროვნული ორგანო და პარლამენტი. ეს არსებითად აამაღლებს პრაქტიკის კოდექსების როლს მონაცემთა დაცვის სისტემაში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივ საშუალებათა სისტემა შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონსტიტუციური საფუძვლები;

2. საბაზო კანონები პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და გამოყენების სფეროში;

3. დარგობრივი კანონები;

4. დაცვის არასტატუტარული საშუალებები;

5. მონაცემთა დაცვის სპეციალიზირებული ორგანო.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მისი შემადგენელი ნაწილის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საფუძვლები საქართველოს კონსტიტუციის მე-20 და 41-ე მუხლებშია მოცემული. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი, აგრეთვე ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინება ხელშეუხებელია. კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე.

საბაზო კანონმდებლობა საქართველოში არ არსებობს, რომელიც ევროსაბჭოს 108-ე კონვენციის პრინციპებზე იქნება აგებული. კონვენციის დებულებები არა მარტო ავტომატიზირებულ, არამედ არაავტომატიზირებულ დამუშავებასაც შეეხება. (ასეთი პრაქტიკა გაიზიარა მაგალითად საფრანგეთმა, ესტონეთმა 1997 წლის კანონით „მონაცემთა ბანკების შესახებ").

დარგობრივი კანონმდებლობა გარკვეულწილად არსებობს „არქივების", „მუზეუმების", „ბიბლიოთეკების" და სხვა სახით.

რაც შეეხება სისტემის მე-4 და მე-5 პუნქტებს, მონაცემთა დაცვის ორგანო და არასტატუტარული საშუალებები (პრაქტიკისა და ქცევის კოდექსების სახით) არ არსებობენ, როგორც საქართველოში, ისე მის მეზობელ ქვეყნებშიც. ასეთი დაცვის მექანიზმების არარსებობა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების არაორდინალურ განვითარებათა და ინფორმაციული საფრთხეების რეალიზაციის საფუძველი ხდება.

6.3. საიდუმლო და კონფიდენციური ინფორმაცია და მათი სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი.

ინფორმაციის ღიაობისა და საჯაროობის პრინციპთან ერთად, საქართველოს კონსტიტუცია კონფიდენციური ინფორმაციის არსებობასაც უშვებს.

კონფიდენციურად (Canfidentia – ლათ. სიტყვაა და მინდობას ნიშნავს) ჩაითვალება ისეთი ინფორმაცია, რომელიც თავისი შინაარსის და მნიშვნელობის გამო, პირთა შეზღუდული წრისათვის არის ცნობილი. ასეთი ინფორმაციის მიმართ შეზღუდული დაშვების უფლება წარმოიშობა და კონფიდენციურობის ხარისხის მიხედვით რეგულირების განსხვავებულ მექანიზმებს საჭიროებს.

ინფორმაციასთან შეზღუდული დაშვების უფლების ყველაზე გავრცელებული და დამუშავებული სახეა **სახელმწიფო საიდუმლოება**. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა ყველა სახელმწიფოსათვის ერთმნიშვნელოვნად მისაღები პოსტულატია, მაგრამ დაცვის მექანიზმები განსხვავებულია. თუ ზოგიერთ სახელმწიფოში არსებობს ერთიანი კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" (შვედეთი, საფრანგეთი, კანადა, რუსეთი), სხვა სახელმწიფოებში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მექანიზმები დარგობრივი კანონებითა და სასამართლო პრაქტიკით დგინდება (მაგ: გერმანია, აშშ).

საქართველო იმ სახელმწიფოთა კატეგორიას ეკუთვნის სადაც ცალკე კანონი მოქმედებს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ", რომელიც 1996 წელსაა მიღებული.

ეს კანონი არეგულირებს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის დაცვას საქართველოს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების მიზნით. სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის სფეროში, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში. კანონით აკრძალულია სახელმწიფო საიდუმლოებისადმი ისეთი სახის ცნობების მიკუთვნება: 1. რომლითაც შეიძლება შეიზღუდოს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ან ზიანი მიადგეს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას; 2. ნორმატიული აქტები, გარდა თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის აქტებისა, რომლებიც აწესრიგებენ მათ შიდა საქმიანობას უშუალოდ სახელმწიფო თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით; აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები; 3. რუქები, გარდა სამხედრო

დანიშნულების სპეციალური რუქებისა; 4. ინფორმაცია: ა) სტიქიური უბედურების, კატასტროფების და სხვა განსაკუთრებული მოვლენების შესახებ; ბ) გარემოს მდგომარეობის და მოსახლეობის ჯანმრთელობის, მისი ცხოვრების დონის შესახებ, სამედიცინო მომსახურების და სოციალური უზრუნველყოფის ჩათვლით, აგრეთვე სოციალურ – დემოგრაფიული მაჩვენებლები მოსახლეობის განათლების და კულტურის შესახებ; გ) კორუფციის, თანამდებობის პირთა უკანონო ქმედებების და კრიმინოგენული სიტუაციის შესახებ; დ) პრივილეგიების, კომპენსაციების და შეღავათების შესახებ, რომელსაც სახელმწიფო ანიჭებს მოქალაქეებს, თანამდებობის პირებს, საწარმოებს დაწესებულებებს და ორგანიზაციებს; ე) სახელმწიფო-სავალუტო ფონდისა და ოქროს საერთო მარაგის შესახებ; ვ) უმაღლეს თანამდებობის პირთა ჯანმრთელობის შესახებ.

ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევა ნიშნავს ცნობების დასაიდუმლოების რეჟიმის შექმნას.

დასაიდუმლოების რეჟიმი გულისხმობს ინფორმაციის გავრცელებისა და მის მატარებლებთან დაშვების შეზღუდვას კანონით დადგენილი წესით.

ინფორმაციის დასაიდუმლოება დაკავშირებულია კონკრეტული მონაცემების ექსპერტულ შეფასებასთან, რომელიც განსაზღვრავს დასაიდუმლოების მიზანშეწონილობას სახელმწიფოს, საზოგადოების და მოქალაქის სასიცოცხლო ინტერესების ბალანსირებიდან გამომდინარე.

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დასაიდუმლოების სამი ხარისხია გათვალისწინებული: „განსაკუთრებული მნიშვნელობის“, „სრულიად საიდუმლო“, „საიდუმლო“. როგორც სხვა ქვეყნების საკანონმდებლო პრაქტიკა ცხადყოფს, არ არსებობს ინფორმაციის დასაიდუმლოების ერთიანი კრიტერიუმები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ევროატომის შეთანხმება, რომელშიც ინფორმაციის დაცვის და კლასიფიკაციის შესახებ სპეციალური დათქმაა გაკეთებული. ამ შეთანხმების 24-ე მუხლს დაემატა ინსტრუქცია (1958წ. 21 ივლისი), რომელმაც საიდუმლო ინფორმაციის ოთხსაფეხურიანი სისტემა შემოიტანა: სრულიად საიდუმლო, საიდუმლო, კონფიდენციური და შეზღუდული დაშვების უფლებით.

აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ კონფიდენციური ინფორმაცია საიდუმლო ინფორმაციის გარკვეულ ხარისხს გულისხმობს, ისევე, როგორც ინფორმაცია „შეზღუდული დაშვების უფლებით“. ინფორმაციასთან დაშვება შეზღუდულია, როგორც სრულიად საიდუმლო, ასევე საიდუმლო და სხვა კონფიდენციური, კატეგორიის ინფორმაციასთან. ამიტომ დასაიდუმლოების ხარისხის დასადგენად ტერმინო-

ლოგიური თვალსაზრისით ევროატომის აღნიშნული ხელშეკრულება ნაკლებად მისაღებია.

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოებას მიაკუთვნებს შემდეგი სახის ინფორმაციებს: 1. თავდაცვის სფერო, რომელიც შეიცავს სტრატეგიულ და ოპერატიულ გეგმებს შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის განვითარების მიზნობრივი პროგრამების, განსაკუთრებით დაცული სამხედრო და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების რეჟიმის სტრუქტურისა და შემადგენლობის შესახებ და სხვა. 2. ეკონომიკის სფეროში: სახალხო მეურნეობის სამობილიზაციო გეგმებისა და სიმძლავრეების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ქვეყნის ინფრასტრუქტურის და სხვა დარგების და ობიექტების დაცვის სისტემებისა და რეჟიმის შესახებ და სხვა. 3. საგარეო ურთიერთობათა სფეროში: საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა შესახებ, უცხო სახელმწიფოებთან სამხედრო ტექნიკური და სხვა სახის თანამშრომლობის შესახებ და სხვა. 4. სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში სადაზვერვო კონტრსადაზვერვო და ოპერატიულ-სამძებრო გეგმების, ორგანიზების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების, სახელმწიფო უმაღლესი თანამდებობის პირთა დაცვისა და ადმინისტრაციული შენობების და სამთავრობო რეზიდენციების რეჟიმის შესახებ, სახელმწიფო შიფრების დამუშავების და გამოყენების, კრიპტოგრაფიის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ.

კანონი დასაიდუმლოების პრინციპებთან ერთად განსაიდუმლოების საკითხებსაც არეგულირებს. განსაიდუმლოება გულისხმობს ცნობებზე საიდუმლოების გრიფის მოხსნას და კანონით დადგენილი შეზღუდვების გაუვრცელებლობას: 1. საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებათა აღება იმის თაობაზე, რომ ღიად იქნეს გაცვლილი ის ცნობები, რომლებიც ადრე სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა; 2. ობიექტური გარემოების შეცვლა, რომლის შედეგადაც აღარ არის საჭირო დაცული იქნეს ის ცნობები, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა; 3. დადგენილი ვადის გასვლა; 4. საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, ნდობის ჯგუფის წარდგინება კონკრეტული ინფორმაციისათვის სახელმწიფო საიდუმლოების გრიფის მოხსნის შესახებ.

სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც დასაიდუმლოებას ახდენენ, ვალდებულნი არიან ყოველწლიურად გადასცენ მონაცემები ცნობების დასაიდუმლოების შესახებ, რათა კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებით შეფასდეს ცნობების საიდუმლოების აუცილებლობა.

სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ცნობების მიკუთვნების საფუძვლიანობა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. ცნობების დასაიდუმლოების უსაფუძვლობის დადასტურების შემთხვევაში, იგი დაუყოვნებლივ უნდა განსაიდუმლოვდეს.

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა მოიცავს საორგანიზაციო-სამართლებრივ, საინჟინრო-ტექნიკურ, კრიპტოგრაფიულ და ოპერატიულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება, სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის საქმიანობის განსაკუთრებული რეჟიმი.

კანონით გათვალისწინებულია სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების შესაძლებლობა. ამ უფლებით სარგებლობენ ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც ამ ინფორმაციის გაცნობა სჭირდებათ სამსახურებრივი ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის. უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაიშვება საერთაშორისო ხელშეკრულებით და შეთანხმებებით ან საქართველოს პრეზიდენტის წერილობითი განკარგულების საფუძველზე. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება შეიძლება შეიზღუდოს, თუ მისი შემოწმების პროცესში დადგინდა კავშირი უცხო ქვეყნების დაზვერვის ორგანოებთან, თუ პირი უარს ამბობს, რომ დაიცავს მისთვის განდობილ ინფორმაციას. ამასთან, კანონის 27-ე მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვებაზე უარის თქმის საფუძვლებს:

1. თუ პირი არ წარმოადგენს დასაბუთებას საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე სამუშაოდ.

2. თუ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დასაშვები პირის შემოწმების პროცესში გამოვლინდა მის მიერ უცხოეთის სახელმწიფოების და ორგანიზაციების მართლსაწინააღმდეგო საქმიანობისათვის ხელისშეწყობის ან მოქალაქეთა ისეთ გაერთიანებებში მონაწილეობის ფაქტები, რომლის საქმიანობაც აკრძალულია სასამართლო წესით, ან ეწევა კანონით აკრძალულ საქმიანობას, ან თუ გამოვლინდა პირისათვის განდობილი სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტები.

3. თუ პირი უარს ამბობს იკისროს ვალდებულებები, რომ დაიცავს მისთვის განდობილ სახელმწიფო საიდუმლოებას ან არ არსებობს მისი თანხმობა სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების შესახებ კანონით გათვალისწინებულ უფლებათა შეზღუდვის თაობაზე.

4. თუ პირი ნასამართლევია სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

5. თუ პირი სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ ან სამედიცინო დასკვნის საფუძველზე არ შეიძლება მისი დაშვება სახელმწიფო საიდუმლოებასთან.

6. თუ პირი დაშვების გაფორმების პროცესში შეგნებულად იძლევა არასწორ ცნობებს თავის შესახებ.

მართალია, კანონით გათვალისწინებულია სახელმწიფო საიდუმლოების საიჟინრო – ტექნიკური ღონისძიებების გატარების უფლება, მაგრამ პრაქტიკაში ტრანსსასაზღვრო ინფორმაციული ქსელების დანერგვა საკმაოდ ამწვავებს ასეთი ინფორმაციის დაცვის საკითხს. ამიტომ, კანონმდებელთა მხრიდან დამატებით განხილვას მოითხოვს ინფორმაციის დაცვის სახეები და ხერხები, უპირველეს ყოვლისა ელექტრონულ – ციფრული ხელმოწერით, კრიპტოგრაფიით, პროგრამული და სხვა ტექნიკური საშუალებებით.

მსოფლიოში დღეს ყველაზე ცნობილი ორი კრიპტოგრაფიული სკოლა არსებობს: რუსეთის და აშშ-ის, რომლებიც ტრადიციულად სამხედრო-სამრეწველო შეკვეთებზე მუშაობენ (აშშ-ში სტანდარტის სახით მოქმედებს DES, რუსეთში გოსტ-ი – 2814) და დაშიფვრის საიდუმლოების გასაღებს ადგენენ კონფიდენციური ინფორმაციის გაცვლის მსურველი მხარისათვის.

აშშ-ს ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ცნობით, ერთი წლის განმავლობაში პენტაგონის კომპიუტერულ სისტემაზე განხორციელდა ჰაკერთა 250 – მდე წარმატებული თავდასხმა. ამერიკელთა განმარტებით ამ თავდასხმას არსებითი ზიანი არ მოჰყოლია, მაგრამ პენტაგონმა ინფორმაციული სისტემების კომპიუტერული შეტევისაგან დაცვისათვის 3 მილიარდი დოლარით მეტი გაიღო ვიდრე გასული 5 წლის განმავლობაში ერთად. აშშ-ში გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან (FBI) კომპიუტერულ ინფორმაციაზე შეტევისათვის საბრძოლველად შეიქმნა სპეციალური ბრიგადა. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, უკვე აქტიურად მიმდინარეობს ინფორმაციული ომი სამხედრო და კომპიუტერულ წრეებში, ხოლო აშშ-ს სამხედრო-სამეცნიერო მონაცემების მიხედვით, 2005 წლისათვის, ამერიკის ინფორმაციულ სისტემებზე ტერორისტთა და უცხოეთის დაზვერვის მხრიდან თავდასხმები მასიურ მოვლენად იქცევა.

კომერციული საიდუმლოება.

კომერციული საიდუმლოების რეჟიმი ინფორმაციის კომერციული ღირებულებიდან გამომდინარე დგინდება. ისტორიულად, ასეთი დაცვა სახელმწიფოსთან თანამშრომლობით ხორციელდებოდა. ცნობილია ისეთი ფაქტები, როცა ქვეყნებში უცხოელებს ეკონომიკის ცალკეულ დარგებთან ან კონკრეტულ წარმოებასთან დაშვების უფლება შეზღუდული ჰქონდათ (მაგ. ჩინეთში – ფაიფურის წარმოების საიდუმლოების დაცვისათვის).

კომერციული საიდუმლო ისეთი ინფორმაციაა, რომელსაც ნამდვილი ან პოტენციური კომერციული ღირებულება გააჩნია. რადგან არ არის ცნობილი მესამე პირებისათვის, მასზე არ ვრცელდება თავისუფალი დაშვების რეჟიმი და ასეთი ინფორმაციის მფლობელი კონფიდენციურობის დაცვის ღონისძიებებს ღებულობს.

თუ საერთაშორისო პრაქტიკას გადავხედავთ, კომერციული საიდუმლოების მარეგულირებელი ნორმები რამდენიმე მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ: რიგ ქვეყნებში სტატუტარული (ავსტრია, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ესპანეთი, შვეცია), ან საერთო სამართლით (ბრიტანეთი, ავსტრალია, კანადა) მოსამსახურეებს ეკისრებათ კომერციული საიდუმლოების გაუვრცელებლობის ვალდებულება. უმეტეს ქვეყნებში საზოგადოებრივი ურთიერთობის ეს სფერო კერძო შეთანხმებებით ან შრომის კანონმდებლობით რეგულირდება. საქართველოში ამ სფეროს ნორმატიულ ბაზას გარკვეულწილად ავსებენ კანონები „ეროვნული ბანკისა“ და „კომერციული ბანკების“ შესახებ. აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგიერთი მუხლი. მაგ: 714-ე მუხლის თანახმად, რწმუნებული მოვალეა არ გაახმაუროს თავისი საქმიანობის ფარგლებში მისთვის ცნობილი ფაქტები, რომელთა საიდუმლოდ შენახვითაც მარწმუნებელი მართლზომიერადაა დაინტერესებული, თუ კი ამ კანონის საიდუმლოებაზე არ არსებობს საიდუმლოების გამჟღავნების მოვალეობა; 863-ე მუხლით კი საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია დაიცვას ანგარიშთან დაკავშირებული და სხვა ისეთი ფაქტების საიდუმლოება, რომლებიც ცნობილი გახდა მისთვის, ანგარიშის მფლობელთან საქმიანი ურთიერთობისას. გარდა იმ შემთხვევისა, რაც კანონითაა გათვალისწინებული, ან თუ საქმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას, რომლითაც არ ილახება ანგარიშის მფლობელის ინტერესები.

კომერციულ საიდუმლოს არ შეიძლება განეკუთვნოს:

სადამფუძნებლო (სარეგისტრაციო, სალიცენზიო და სხვა) დოკუმენტებში არსებული ინფორმაცია, წლიური ანგარიშები, საბუღალტერო ბალანსები, სტატისტიკური ანალიზის დოკუმენტები, აუდიტორიული დასკვნები, სხვადასხვა სავალდებულო გადასახადები, სახელმწიფო მოხელეთა შემოსავლები, ხელფასები, თანამშრომელთა რაოდენობა და თავისუფალი სამუშაო ადგილები, საქველმოქმედო ორგანიზაციათა საქმიანობის ინფორმაცია, სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციისა და კონკრეტულ ობიექტთა პრივატიზაციის პირობები, სასიცოცხლო გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, იურიდიული პირების ლიკვიდაციის წესისა და ვადების შესახებ და სხვა.

კომერციული საიდუმლოების უფლების სუბიექტები არიან ასეთი ინფორმაციის მფლობელი და მათი მემკვიდრეები. კომერციული

საიდუმლოების მფლობელი არის ფიზიკური (მოქალაქეობის მიუხედავად) ან იურიდიული (კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციები) პირი, რომელიც მეწარმეობას ეწევა და კომერციული საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე მონოპოლიური უფლება გააჩნია. ამასთან, მეწარმეობად ითვლება „დამოუკიდებელი, საკუთარი რისკით განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების მისაღებად ქონების სარგებლობით, ვაჭრობით, სამუშაოს შესრულებით ან მომსახურებით.

უფლებამონაცვლე (კომერციული საიდუმლოების კონფიდენტი) – არიან პირები (ავტორების ჩათვლით), ვისთვისაც სამსახურებრივი მდგომარეობით, ან პროფესიული ვალდებულების განხორციელებით, ან ხელშეკრულების ძალით ცნობილია სხვა პირის კომერციული საიდუმლო.

კომერციული საიდუმლოების სამართლებრივი დაცვის უფლება წარმოიშობა კომერციულ ინფორმაციაზე ფაქტიური მონოპოლიის გაჩენიდან და არსებობს ასეთი თვისების ქონის პერიოდში. კომერციული საიდუმლოება სახელმწიფო რეგისტრაციას არ ექვემდებარება. კომერციული საიდუმლოების მფლობელს შემდეგი უფლებები გააჩნია:

1. დამოუკიდებლად განსაზღვროს ინფორმაციის კომერციულ-საიდუმლოებისადმი მიკუთვნების კრიტერიუმები, შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებები;

2. მოითხოვოს კომერციული საიდუმლოების რეჟიმის დაცვა;

3. დაუშვას (ან შეუწყვიტოს) პირი საიდუმლო ინფორმაციასთან;

4. განკარგოს კომერციული საიდუმლო საკუთარი შეხედულებით ხელშეკრულების საფუძველზე გადასცეს სხვას, ან გასცეს ლიცენზია;

5.დაიცვას ადმინისტრაციული წესით კომერციული საიდუმლოების კანონით დადგენილი რეჟიმი.

კომერციული საიდუმლოების მფლობელს შეუძლია დაიცვას უფლებები ადმინისტრაციული (თუ ეს კანონშია გათვალისწინებული ანტიმონოპოლიური ორგანოების მეშვეობით) ან სასამართლო თუ საარბიტრაჟო წესით.

კომერციულ საიდუმლოებასთან ახლოს დგას **საბანკო საიდუმლოება**. იურისტთა შორის არ არის ერთიანი აზრი საბანკო საიდუმლოების ცნებასა და შინაარსთან დაკავშირებით. ერთი ნაწილი მას კომერციული საიდუმლოების სპეციფიურ სახედ მიიჩნევს (თუმცა სუბიექტებისა და დაცვის წესების მიხედვით განსხვავებულია). მეორე ნაწილი, კი – სამსახურებრივი საიდუმლოების ნაირსახეობად.

საბანკო საიდუმლოება – ეს არის ბანკებისა და საკრედიტო ორგანიზაციებში დაცული ცნობები შენატანებსა და კლიენტთა ანგარიშებზე, საბანკო ოპერაციებზე, აგრეთვე კლიენტთა შესახებ ცნობებზე,

რომელთა გახმაურებას შეიძლება მოჰყვეს ამ უკანასკნელთა უფლებების დარღვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თაობაზე.

საბანკო საიდუმლოების ძირითად ობიექტებს მიეკუთვნება:

1. საბანკო დეპოზიტის საიდუმლო;

2. საბანკო ანგარიშის საიდუმლო (კლიენტთა და კორესპონდენტთა ცნობებზე)

3. საბანკო ანგარიშის ოპერაციის საიდუმლო – თანხების მიღებისა და კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხვის შესახებ ცნობები და სხვა)

4. კლიენტის პირადი საიდუმლო – ცნობები კლიენტის შესახებ, რომელიც მის პირად ან ოჯახურ საიდუმლოს შეადგენს.

საბანკო საიდუმლოების დარღვევის შესახებ დავები განიხილება სასამართლო ან საარბიტრაჟო წესით. საბანკო საიდუმლოს მფლობელი დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის უფლებებს საბანკო საიდუმლოებაზე და უფლება აქვს სასამართლო წესით მოითხოვოს: მასზე უფლების აღიარება, საბანკო საიდუმლოების რეჟიმის დამრღვევი ქმედების შეჩერება; ინფორმაციის გახმაურებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება; სასამართლოს მეშვეობით სახელმწიფო ორგანოს მიერ კანონსაწინააღმდეგო აქტის მიუღებლობა, მორალური ზიანის ანაზღაურება და სხვა.

საიდუმლო ინფორმაციათა კატეგორიას განეკუთვნება **პროფესიული საიდუმლოება**. ეს კანონით დაცული ისეთი ინფორმაციაა, რომელიც მფლობელისათვის ცნობილი ხდება პროფესიული ვალდებულებების შესრულების გამო და არ არის დაკავშირებული სახელმწიფო ან მუნიციპალურ სამსახურის შესრულებასთან და რომლის გავრცელებამ შეიძლება ზიანი მოუტანოს სხვა პირთა (ვინც მიანდო ეს ინფორმაცია) კანონიერ ინტერესებსა და უფლებებს და არ წარმოადგენს სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოს.

ინფორმაცია პროფესიულ საიდუმლოებას განეკუთვნება თუ ის პასუხობს შემდეგ მოთხოვნებს:

1. პირს მინდობილი აქვს ან ცნობილი გახდა მისთვის პროფესიული მოვალეობის შესრულების პროცესში.

2. პირი, რომლისთვისაც ეს ინფორმაცია გახდა ცნობილი არ არის სახელმწიფო ან მუნიციპალურ სამსახურში.

3. ინფორმაცია არ განეკუთვნება სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.

ამ კრიტერიუმების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ პროფესიული საიდუმლოების შემდეგი ობიექტები:

1. **სამედიცინო საიდუმლო**: ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პირის გამოკვლევის შედეგებს, სამედიცინო დახმარებისათვის მიმართვის ფაქტი, დიაგნოზი და სხვა ცნობები, რომელიც ექიმმა მიიღო

პაციენტის გამოკვლევისა და მკურნალობის დროს. ცნობები დონორებისა და რეციპიენტების შესახებ ორგანოთა ტრანსპლანტაციის დროს. ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოკვლევისა და მკურნალობის შესახებ ცნობები.

2. **კავშირგაბმულობის საიდუმლო** – მიმოწერის საიდუმლო, სატელეფონო საუბრები, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინებები.

3. **სანოტარო საიდუმლო** – სანოტარო ქმედების განხორციელებისას ნოტარიუსისათვის მინდობილი ცნობები.

4. **საადვოკატო საიდუმლო** – საადვოკატო მომსახურების პროცესში განდობილი ინფორმაცია

5. **შვილად აყვანის საიდუმლო** – ცნობები შვილად აყვანის შესახებ კანონიერ საფუძველზე მინდობილ პირთა მიმართ, გარდა მოსამართლეებისა და სახელმწიფო რეგისტრაციას განმახორციელებელი თანამდებობის პირებისა.

6. **დაზღვევის საიდუმლო** – რომელიც პირმა მიიღო დაზღვევისას თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს დამზღვევისა და დაზღვეულის შესახებ.

7. **აღსარების საიდუმლო** – ინფორმაცია, რომელიც მოძღვარს გაანდეს აღსარების დროს.

პროფესიული საიდუმლოების სფეროში წარმოშობილი ურთიერთობების ძირითადი სუბიექტები არიან: ინფორმაციის მფლობელი, ინფორმაციის მიმნდობი (გამცემი) და მოსარგებლეები.

პროფესიული საიდუმლოების დაცვა კანონით ხორციელდება.

პროფესიულ საიდუმლოებაზე უფლების სამართლებრივ დაცვას ინფორმაციის მფლობელისათვის მისი გადაცემის მომენტიდან. კანონმა ზუსტად უნდა დაადგინოს ღნიშნული ინფორმაციის გავრცელების აკრძალვა ან ხელშეკრულება ინფორმაციის გამცემსა და მიმღებს შორის უნდა შეიცავდეს შესაბამის დათქმას.

პროფესიული საიდუმლოების დაცვაზე უფლება ხორციელდება იმავე წესით, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა ადმინისტრაციული ან სასამართლო წესით.

საიდუმლო ინფორმაციის კიდევ ერთი სახეა **სამსახურებრივი საიდუმლო**. ასეთ ინფორმაციას განეკუთვნება კანონით დაცული ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებისათვის ცნობილი გახდა კანონიერ საფუძველზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, აგრეთვე ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის შესახებ, რომელთან დაშვება კანონითაა შეზღუდული.

ინფორმაცია სამსახურებრივ საიდუმლოებად ითვლება, თუ იგი შემდეგ მოთხოვნებს აკმაყოფილებს:

1. კანონით მიკუთვნებულია სამსახურებრივ საიდუმლოს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის შესახებ.

2. წარმოადგენს სხვა პირის დაცვისუნარიან კონფიდენციურ ინფორმაციას (კომერციული, საბანკო, პერსონალური, პროფესიული საიდუმლო)

3. არ არის სახელმწიფო საიდუმლო და არ ეკუთვნის იმ ჩამონათვალს, რომელთანაც დაშვების შეზღუდვის დაწესება დაუშვებელია.

4. მიღებულია სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანოს მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს კანონით დადგენილ შემთხვევებში.

სამსახურებრივი საიდუმლოების ძირითად ობიექტად შეიძლება განისაზღვროს ინფორმაციის ისეთი სახეები, როგორიცაა:

1. სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, რომელთან დაშვების შეზღუდვა კანონითაა დადგენილი, სამხედრო საიდუმლო, გამოძიების საიდუმლო, სასამართლო საიდუმლო.

2. დაცვისუნარიანი კონფიდენციური ინფორმაცია, რომელსაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გახდა ცნობილი თანამდებობის პირების, სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანოებისათვის.

ამ ინფორმაციის ნაირსახეობად ზოგიერთ შემთხვევაში მიიჩნევენ **საგადასახადო საიდუმლოებას**, რადგან ძირითადი მახასიათებლების მიხედვით სამსახურებრივ საიდუმლოებას ემთხვევა.

სხვა ქვეყნების პრაქტიკით, სახელმწიფო ორგანოთა უფლება საკუთარი სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვაზე, ხორციელდება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ანალოგიურად. საქართველოს კანონმდებლობა ამ თვალსაზრისით მხოლოდ ცალკეულ მინიშნებებს იცნობს.

საიდუმლო ინფორმაცია, მისი შინაარსის, ურთიერთობის სუბიექტისა და კონფიდენციურობის ხარისხის გათვალისწინებით, რამდენიმე სახედ შეიძლება დაიყოს, რომელთა სამართლებრივი რეგლამენტირება უკვე არსებული ინფორმაციის დაცვის რეჟიმების იმპლიმენტაციის ხარჯზე უნდა განვითარდეს. ასე რომ ინფორმაციის საიდუმლოება მისი შინაარსია, ხოლო კონფიდენციურობა ინფორმაციასთან დაშვების რეჟიმი. საიდუმლოებისა და კონფიდენციურობის ერთობლიობა წარმოშობს ინფორმაციასთან დაშვების შესაბამის უფლებებს და მოვალეობებს. ამ ტერმინებმა თავისი ასახვა უნდა ჰპოვონ საინფორმაციო სამართალის ლექსიკაში.

თავი VII

ინფორმაციული კულტურა და ინფორმაციული უსაფრთხოება

7.1. ინფორმაციული კულტურა და ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფციის ძირითადი ტენდენციები საქართველოში

უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე ინფორმაციული რევოლუცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. ინგრევა მრავალი ტრადიციული წარმოდგენა, იცვლება კრიტერიუმები და შეფასებები. იქმნება შრომისა და ყოფის ახალი ფორმები, რაც დედამიწასა და კოსმოსში მიმდინარე ევოლუციური პროცესების კანონზომიერი შედეგია. ინფორმაციული ურთიერთობებით გამოწვეული კარდინალური ძვრების გამო დღევანდელი ეპოქა შეიძლება დახასიათდეს, როგორც ტექნიკური ცივილიზაციის დასასრული, რომლის ნიაღში წარმოიშობა რაღაც ახალი, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი სფერო.

ინფორმაცია სულ უფრო და უფრო ძლიერ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ინფორმაციის ხარისხი და მისი ეფექტური პრაქტიკული გამოყენება ხელს უწყობს საზოგადოებრივი პროგრესის ახალი შესაძლებლობების გახსნას. ინფორმაცია ამდიდრებს საკაცობრიო კულტურას ახალი ელემენტით – **ინფორმაციული კულტურით**. ამ კულტურის სუბიექტები გარე სოციალური განსხვავებულობის მიუხედავად, შინაგანად მაინც არიან დაკავშირებულნი. შინაგანი კავშირის სპეციფიკა თავის მხრივ უზრუნველყოფს გარე კავშირებს. „ინფორმაციული თანამეგობრობის“ ინდივიდები შეიძლება არ იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ გაცნობიერებული ჰქონდეთ საერთო პრინციპებისა და წესების დაცვა. სოციალური, ეროვნული, ასაკობრივი, სქესობრივი და სხვაგვარი განსხვავების მიუხედავად. სწორედ ამგვარი გაცნობიერება წარმოადგენს ინფორმაციული კულტურის მნიშვნელოვან ელემენტს. ინფორმაციულ კულტურას სოციალური ფუნქციაც გააჩნია: ესაა ახლადაღმოცენებული ინფორმაციული საზოგადოების თვითრეგულირების მექანიზმი, რომელსაც შეუძლია თავისდროულად გამოავლინოს კრიზისული სიტუაციები, შეამციროს სოციალურ დაპირისპირებულობათა და პრობლემათა ტენდენციები, გადაწყვიტოს ისინი ახალი საზოგადოების პრინციპების შესაბამისად.

ამ მექანიზმის გულია სამართალი, სამართლებრივი რეგულირება, სამართლის შესაძლებლობები, რომელიც შემდეგი ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა:

1. ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ოპტიმალური პირობების შექმნა.

2. ინფორმაციული პროცესების ეკონომიკური, პოლიტიკური, ორგანიზაციული ასპექტების რეგულირების უზრუნველყოფა.

3. ურთიერთდაპირისპირებულობის ფაქტორების აღმოფხვრა, ტრადიციული ინსტიტუტების ახალ ნორმებთან ჰარმონიზაციის საფუძველზე.

ამ ამოცანების გადაწყვეტა უზრუნველყოფს ინფორმაციული კულტურის ფორმირებას და „კულტურული ლაგას" (**კულტურული ლაგა** ერთი მოვლენის მეორესთან შედარებით დროში წინსწრების ან ჩამორჩენის გამოსახვაა) დაძლევის შესაძლებლობას.

კულტურული ლაგას დაძლევისათვის კი ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ინფორმაციულ საქმიანობასთან ვირტუალური რეალობის ადაპტაციას. **ვირტუალური გარემო** ყალიბდება უცბად, რაც მას მეცნიერული განხილვის სფეროში ვერ ათავსებს. ვირტუალურ გარემოს ობიექტური აზრი გააჩნია სოციალურ, ცივილიზებულ კონტექსტში. ამ უკანასკნელთან მიმართებაში, ვირტუალური ყოფის შინაარსი განისაზღვრება ადამიანისა და კაცობრიობის საბოლოო მდგომარეობის აღქმით.

ვირტუალური რეალობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ამოქმედებული შესაძლებლობა. თუ ჩვენ ვაღიარებთ სოციალურ ყოფაზე ვირტუალური გარემოს ფუნდამენტურ ზემოქმედებას, მაშინ ინფორმაციულ უზრუნველყოფასთან ახალი მიდგომის აუცილებლობაც უნდა ვცნოთ. აქ წამოიჭრება ობიექტური და სუბიექტური ვირტუალური რეალობის განსხვავების გნოსიოლოგიური პრობლემა. ობიექტურ ვირტუალურ რეალობას მიეკუთვნება ქცევის ნიმუში, ცხოვრების წესი, რომელიც მასიური რეალიზაციისათვის არის მიმზიდველი. ობიექტურობის არსი აქ ქმნის არა ფიზიკურ ზემოქმედებას, არამედ გარკვეულ ნიმუშებს, რომელიც თავის თავში მოიცავს ყოფისა და პრაქტიკული საქმიანობის არსს. ვირტუალური რეალობის გააზრება გავლენას ახდენს სტრატეგიული აზროვნების ხასიათზე. ინფორმაციული საზოგადოება ითხოვს სპეციალური სამსახურების შექმნას, რომლებიც „გათამაშებენ" განვითარების ყველა შესაძლებელ ვარიანტს, „გამოცხრილავენ" მათგან ისეთებს, რომელთაც პოზიტიური პერსპექტივა არ გააჩნიათ.

ვირტუალური ყოფის პრობლემის მნიშვნელობის გაცნობიერებასთან დაკავშირებულია წინმსწრები ინფორმაციის სისტემის

პრაქტიკული განხორციელება. საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში ვირტუალური რეალობა დიდი ხანია პრაქტიკულად გამოიყენება ბირთვულ აფეთქებებში, ავტომობილების ახალი მოდელების გამოსაცდელად და ა. შ. ბოლო ხანებში ვირტუალური რეალობის ფაქტის გათვალისწინება დაიწყო რეგიონალური უსაფრთხოების სფეროში, რაც დაკავშირებულია შიდა კონფლიქტების შესამჩნევ გაფართოებასთან. კონფლიქტის ადრეულ სტადიაზე, ომის თავიდან აცილება მოითხოვს საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევას. ევროპარლამენტში მხარდაჭერა მიიღო საუწყებო ცენტრების შექმნის ინიციატივამ და იქმნება მონაცემთა ბაზები ყოფის ვირტუალურ ფორმებსა და მათ შედეგებზე, ქცევის ზოგადსაერთაშორისო წესებზე. ასეთი ინფორმაციული სისტემების ბაზაზე შესაძლებელი ხდება ადეკვატური ეკოლოგიური და მორალური კოდექსების შემუშავება.

ვირტუალური რეალობის პრობლემასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კოდექსების განსაზღვრის აუცილებლობა. სოციალურ ქცევებზე ზეგავლენის პოზიციიდან ტელეგამოსახულებათა გარემოს უფრო დიდი როლი აქვს, ვიდრე, თვით სინამდვილეს. ინფორმაციის შესაძლებლობათა შეერთება მასობრივი კულტურის შესაძლებლობებთან პოლიტიკისა და პოლიტიკური მოღვაწეობის თავისუფალ სამომხმარებლო საგნად გადაქცევის საშუალებას იძლევა. ასე ყალიბდება სინამდვილის სატელევიზიო სიმულაცია.

კულტურული ლაგას დაძლევის პრობლემა ინფორმაციულ უსაფრთხოების საკითხებს უკავშირდება.

ინფორმაციული უსაფრთხოების ცნებაში გულისხმობენ ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცულობის მდგომარეობას (პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესების ბალანსირების საფუძვლზე) ინფორმაციულ სფეროში შიდა და გარე ზემოქმედებისაგან.

როგორ უნდა იქნეს გაგებული ინფორმაციული უსაფრთხოება?

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ესაა ინფორმაციის დაცვა (და არაუმეტეს სახელმწიფო ან სამსახურებრივი საიდუმლოებისა).[1]

ასეთი მიდგომა თავიდანვე მცდარია და ინერციით ერთმანეთთან გაიგივებულია „ინფორმაციის დაცვა" და „ინფორმაციული უსაფრთხოება". ეს ორი ტერმინი დღეს ერთმანეთისაგან გარკვეულ წილად განსხვავებული შინაარსის მატარებელია, რადგან ეს უკანასკნელი, უფრო ფართო ცნებაა და ინფორმაციის დაცვასთან ერთად სახელმწიფო ინტერესებს დარღვევების პროფილაქტიკას გულისხმობს, რაც მას ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილად აქცევს.

[1] Ярочкин В.И. Информационная безопасность. Уч. пособие. М. 2000. с. 104.

მეცნიერთა მეორე ნაწილი, ინფორმაციული უსაფრთხოების ცნებაში მონაცემთა კონფიდენციურობის და ხელმისაწვდომობის, შენახვის უზრუნველყოფის აპარატულ და პროგრამულ საშუალებებს გულისხმობს. მათი განმარტებით ის, რაც 1970-იან წლებში იწოდებოდა კომპიუტერულ უსაფრთხოებად, ხოლო 1980-იან წლებში მონაცემთა უსაფრთხოებად, დღესდღეობით ითვლება ინფორმაციულ უსაფრთხოებად.[1]

თუ ამ ლოგიკას გავყვებით, ინფორმაციული უსაფრთხოების მიზანი სისტემათა გაუვნებელყოფა, ინფორმაციის სიზუსტისა და მთლიანობის უზრუნველყოფა ყოფილა. სინამდვილეში კი ინფორმაციული უსაფრთხოება იმ მიზნების მიღწევის გარანტიაა, როგორიცაა ინფორმაციის კონფიდენციურობა, ინფორმაციის მთლიანობისა და მასთან დაკავშირებული პროცესების (შექმნა, დამუშავება, გავრცელება) დაცვა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, როცა ის საჭირო ხდება ინფორმაციასთან დაკავშირებული ყველა პროცესის აღრიცხვა და ა. შ.

ორივე შემთხვევაში დაცვის ობიექტად მხოლოდ ინფორმაციაა განხილული.

არის მესამე მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, ინფორმაციული უსაფრთხოება გაგებულია, როგორც ინფორმაციისა და ინფრასტრუქტურის დაცულობა შემთხვევითი თუ განზრახი ზემოქმედებისაგან, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ინფორმაციის მფლობელსა და მოსარგებლეს. ამ შემთხვევაში ორი ობიექტია გამოყოფილი: ინფორმაცია და ინფორმაციული ინფრასტრუქტურა.

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების მდგომარეობა ორი ფაქტორითაა განპირობებული: მოქალაქეთა საინფორმაციო-ფსიქოლოგიური დაკმაყოფილებით და ნეგატიური (შემთხვევითი თუ განზრახი) ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური და ინფორმაციულ-ტექნიკური ზემოქმედებით.

საბოლოოდ, ორი ძირითადი მიმართულება ჩამოყალიბდა. პირველი, ჰუმანიტარული მიმართულების მომხრეები, ინფორმაციულ უსაფრთხოებას მხოლოდ საიდუმლოების რეჟიმთან აკავშირებენ. ხოლო მეორე, ძალოვანი ინსტიტუტების წარმომადგენლები თვლიან, რომ ინფორმაციული უსაფრთხოება უნდა გავრცელდეს ინფორმაციისა და ინფორმაციული ურთიერთობის ყველა სფეროზე.

ინფორმაციული უსაფრთხოების სწორ შინაარსობრივ განმარტებას და მისი უზრუნველყოფის აუცილებლობას ისიც ამძაფრებს, რომ დღევანდელ მსოფლიოში სახელმწიფოების გეოპოლიტიკურ მეტოქეობისას პოლიტიკური გეგმების რეალიზაციაში მიმდინარეობს სიმძიმის

[1] Введение в информационную безопасность. Компютеры; преступления. Признаки уязвимости и меры защиты. М. 1998. с. 65.

ცენტრის აშკარა გადატანა ღია ძალისმიერი (ეკონომიკური, დიპლომატიური, სამხედრო) მეთოდებიდან და საშუალებებიდან ინფორმაციულ მეთოდებსა და საშუალებებზე. ამასთან, ბრძოლის ეს ტრანსფორმაცია მის სიმძაფრეს სულაც არ ანელებს. ამიტომ საბოლოო ანგარიშით, **ინფორმაციული უსაფრთხოება – ეს არის სუბიექტის უვნებლობა (დაცულობის მდგომარეობა) ინფორმაციულ გარემოსთან ურთიერთზემოქმედების დროს, ანუ როდესაც გამორიცხულია ამ პროცესებში მისი სასიცოცხლო ინტერესებისადმი ზიანის მიყენების ყოველგვარი საფრთხის არსებობა.**

საქართველოს სინამდვილეში, ინფორმაციული ზეგავლენით ზიანის მიყენების ფაქტები, ბოლო ათი წლის განმავლობაში, სახელმწიფო სუვერენულობის დამანგრეველ ძალად იქცა. ასეთი ფაქტების კომენტირებას თვით პრესაც კი არ ერიდება. გერმანული გაზეთი „დი ცაიტი“ აფხაზეთის 1992-93 წლების კონფლიქტში საქართველოს არმიის მარცხის ერთ-ერთ მიზეზად ქართველების მხრიდან საინფორმაციო ომის მნიშვნელობის იგნორირებას და მასმედიის უხარისხო გამოყენებას მიიჩნევს. ამ ომში რუსეთი სეპარატისტებს არა მარტო სამხედრო დახმარებით უწევდა, არამედ საინფორმაციო ომის წარმოების ტექნოლოგია და არსენალი მთლიანად აფხაზეთის სამსახურში ჩააყენა.

ახალ ეპოქაში, რომელიც მშვიდობიანი რეგულირების აგრესიული გამოვლინებებით ხასიათდება, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ეროვნული უსაფრთხოების საინფორმაციო ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის ფუნქციონირება. იგი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის ნაწილია (ქვესისტემაა) და საქმიანობის კოორდინაციის საშუალებას იძლევა საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ასე რომ, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი, ინფორმაციული უსაფრთხოება, ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს, რომლის დაცვის ობიექტი იქნება: ეროვნული უსაფრთხოების საინფორმაციო ფსიქოლოგიური გარემო, რომელიც საზოგადოების ინფორმაციული გარემოს ნაწილს წარმოადგენს და გამოიყენება ინფორმაციის, საინფორმაციო რესურსების, საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, ადამიანების ფსიქიკისა და ქცევაზე ზემოქმედებისათვის (გავლენის მოსახდენად); საინფორმაციო რესურსები (კულტურული, ისტორიული, ეროვნული და სულიერი ღირებულებების, ტრადიციების შესახებ); საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირების სისტემა (მსოფლმხედველობა, პოლიტიკური შეხედულებები, კულტურული და სულიერი ღირებულებები); საზოგადოებრივი აზრის ფორმირების სისტემა; ადამიანის ფსიქიკა და ადექვატური ქცევა.

საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფციის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებად უნდა იქცეს: ქვეყნის მოსახლეობის ფსიქიკისათვის, საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემოსათვის ზიანის მისაყენებლად, მოწინააღმდეგის (რეალური ან პოტენციური) მიერ გამოყენებული ფორმებისა და მეთოდების თეორიულ-მეთოდოლოგიური შესწავლა; სხვადასხვა საინფორმაციო მასალის ორგანიზაციულ მეთოდური მომზადება, მათ შორის, იმ სტრუქტურების შექმნა, რომლებიც განახორციელებენ საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ უზრუნველყოფას; მოსახლეობის ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიმართული ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობა.

XXI საუკუნეში საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება ძირითადად დამოკიდებულია საზოგადოების საინფორმაციო გარემოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე, რადგანაც ინფორმაციულმა ფაქტორმა მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკვე დაიკავა.

ადრეულ პერიოდში, უსაფრთხოებაზე ზემოქმედება საგარეო და სამხედრო ხასიათს ატარებდა, რადგან არსამხედრო და სამხედრო საშუალებების კომპლექსური გამოყენება შეუძლებელი იყო. დღევანდელ ეტაპზე მსოფლიოსა და ახალი ტექნოლოგიების ურთიერთკავშირის პირობებში ეროვნული უსაფრთხოებაზე ზემოქმედება, როგორც წესი, კომპლექსური ხასიათისაა. ერთ შემთხვევაში, ძალის ზემოქმედებაში სამხედრო კომპონენტიც შეიძლება ჩაერთოს (ერაყი, ბოსნია), სხვა შემთხვევაში, შეიძლება ამ კომპონენტის გამოყენება საჭირო არ იყოს (კუბა, ლიბანი, ირანი). ყველაზე უფრო ნათელი მაგალითია საბჭოთა კავშირის დაშლა და მისი მსოფლიო არენიდან გაქრობა სამხედრო ღონისძიებების გარეშე.

ბოლო ათწლეულის მსოფლიო მოვლენების ანალიზი საშუალებას იძლევა საქართველოს უსაფრთხოებაზე იარაღით ჩარევის გარეშე ზემოქმედების რამდენიმე მოდელი გამოიყოს:

1. ეროვნული ეკონომიკის დეზორგანიზაცია – მის გაბანკროტებამდე;

2. ეკონომიკური ბლოკადა (ინტენსიური, მიზანმიმართული კონკურენციის ფორმით);

3. ტექნოლოგიური ბლოკადა;

4. საქართველოს სახელმწიფოებრივი სივრცის დეზინტეგრაცია, როგორც ეთნიკურ, ასევე „ბუნებრივი სეპარატიზმის" შედეგად;

5. საზოგადოების კრიმინალიზაცია ეკონომიკასა და ფინანსურ საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის დაკარგვის პირობებში (რაც ფართომასშტაბიანი კორუფციის საფუძველი ხდება).

ზემოქმედებათა ამ კასკადს ემატება ისიც, რომ სოციალური თეორია საქართველოში დღესდღეობით დაბნეულად გამოიყურება და არადეკვატურად რეაგირებს დროის მოთხოვნებზე. უფრო სწორად, სოციალური მეცნიერებები მზად არ აღმოჩნდნენ ახალ პირობებში სწორი პროგნოზირებისა და უსაფრთხო ქცევის წესების შემოსათავაზებლად. როგორც სახელმწიფოსათვის, ასევე საზოგადოებისა და მოქალაქეობისათვის. ამას რამდენიმე მიზეზი გააჩნია, მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ისიც, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებები ჭეშმარიტების ერთადერთ კრიტერიუმად არ იყენებენ უბრალო და ზუსტ პროგნოზს, არამედ ჭეშმარიტების კრიტერიუმის უკან მეცნიერთა ავტორიტეტი და „საღი აზრისათვის" მეტნაკლებად მისაღები ახსნები დგას. არც ის შეიძლება დარჩეს უყურადღებოდ, რომ ბოლო ათწლეულის მანძილზე სოციალური მეცნიერებები დაიყო „კომუნისტურ" და „დასავლურ" მიმართულებებად. პირველი მიმართულება თავისი დოგმებითა და კონიუქტურებით პროკრუსტეს სარეცელზე აღმოჩნდა, რის გამოც თავისთავად დროის ახალი გამოძახილისთვის ფეხის აწყობა ვეღარ შეძლო. მეორე მიმართულება დასავლური სოციალური აზროვნება, რომელიც შეიძლება დავაკავშიროთ დ. ბელლის, გ. მაკ-ლიუენის, გ. კანის, ო. ტოფლერის, ჯ. ნესბიტის, ფ. ფუკუიამას და სხვათა სახელთან, ასევე პოსტინდუსტრიალური კონცეპტუალისტიკის სტერეოტიპთა ტყვეობაში აღმოჩნდა, რომელიც ეგალიტარული გლობალური სოფლის წესშია განზოგადებული. დღესდღეობით სწორედ ეს კონცეფცია ექვემდებარება არსებით გამოცდას. 90-იან წლებში სხვადასხვა ინტელექტუალური ავტორიტეტები დაწყებული ზ. ბჟეზინსკიდან ს. ხანგტინტონამდე, აგრეთვე გავლენიანი საზოგადოებრივი ფიგურები პაპ იოანე პავლე II –დან ჯ. სოროსამდე – შეთანხმდნენ, რომ დადგა დრო გლობალური აღრეულობისა, ცივილიზაციათა მძაფრი შეჯახებისა, მსოფლიოს ახალი ტოტალიტარიზმის, ნეოშუასაუკუნეებისაკენ მოძრაობისა, დემოკრატიის რეალური საფრთხისა შეუზღუდავი ლიბერალიზმისა და საბაზრო სტიქიის მხრიდან. მიმდინარეობს დღემდე აქტუალურ კონცეფციებისა და პროგნოზების გადაფასება, მათი რევიზია არაკლასიკური, რადიკალური, ექსხატოლოგიური, ფუნდამენტალისტური და პრინციპულად ახალი მსოფლმხედველობის პოზიციებიდან. ადამიანს ხელისუფლებისა და დასავლური ცივილიზაციისაგან სერიოზული გამოცდა ელის. 1980 წლის ირანის რევოლუცია, საბჭოთა კავშირის დაშლა 1990 წელს, მხოლოდ პირველი ნიშნებია იმისა, რომ კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემა კრიზისში შედის. ჯერ მხოლოდ „სუსტი რგოლების" ამოვარდნა ხდება, შემდეგ ძლიერთა რიგიც დადგება, როგორიცაა დასავლური ცივილიზაციის ერთიანი ბლოკი, მისთვის

დამახასიათებელი ადამიანისა და ხელისუფლების ურთიერთობის ტიპით.

დღეს უკვე უნდა დაიწყოს შესაბამისი მომზადება და სიტუაციათა პროგნოზირება.

საქართველოს ისტორიის ბოლო ათასწლეულები ნათელი მაგალითია იმისა, რომ გლობალურ ომში საქართველომ ბრძოლა წააგო. რამდენიმე სოციალური აფეთქება, რომელმაც საზოგადოება და ხელისუფლება გახლიჩა, გლობალიზაციის პროცესში ქვეყნის შთანთქმის საფუძველია. ფუნქციაშეძენილი სახელმწიფო კვლავ უფუნქციოდ რჩება. მიმდინარეობს ახალი სიტუაციის გააზრება. აუცილებელია მაქსიმალური დისტანცირება ქაოტურობის, არაორგანიზებულობისა და ინერციით მიმავალი სოციალური პროცესებისაგან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

საქართველოს ინფორმაციულ უსაფრთხოებას, ისე, როგორც ეროვნული უსაფრთხოებას, მუქარა მთლიანად აშშ-სა და რუსეთის მიერ განხორციელებული პოლიტიკით ემუქრება, როგორც რუსი „ამერიკანისტები" წერენ აშშ-ს ურთიერთობის ფორმირება რუსეთთან სამი კონცეფციის საფუძველზე ხდება: იდეოლოგიის პრიმატი (კომუნიზმთან ბრძოლა), გეოპოლიტიკის პრიმატი (ბძოლა რუსეთთან, როგორც „სუპერდერჟავასთან" და მისი ძლიერების აღდგენის დაუშვებლობა და მუდმივი შერიგების პროცესი. მათივე თქმით, ჩვენ ვმოძრაობთ „პლანეტარული ჰუმანიზმიდან" მსოფლიო ეგოიზმის გაცნობიერებისაკენ[1] ამიტომ, რა კუთხიდანაც არ უნდა შევხედოთ, საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა (რომელიც შესაბამის კონცეფციაში უნდა აისახოს) მსოფლიო „დერჟავების" ურთიერთობიდან გამომდინარე, მუქარების პროფილაქტიკის ფონზე უნდა იყოს აგებული.

ინფორმაციის სფეროს უსაფრთხოების შესწავლისას, ნათელია, რომ არ არსებობს პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებზე საფრთხეთა კლასიფიკაციის ერთიანი მიდგომა, არ არის შემუშავებული ცნებათა ერთიანი აპარატი, არ არსებობს საფრთხის ხარისხისა და მისი შედეგების შეფასების მეთოდოლოგია. სხვადასხვა ქვეყნების უსაფრთხოების ცნებისა და საგნიდან გამომდინარე ინფორმაციულ უსაფრთხოების კონცეფციათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლებიც ძირითადად დოქტრინალური ხასიათისაა, შეიძლება გამოვყოთ ინფორმაციულ სფეროში ეროვნული ინტერესების რამდენიმე ძირითადი საფრთხე:

I. ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში:

[1] Уткин А.И. Американская стратегия для XXI века. М. 2000, с. 45-58.

1. მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდავი ნორმატიული აქტების მიღება.

2. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის რეალიზაციის საწინააღმდეგო ქმედებანი (მათ შორის, კრიმინალური სტრუქტურების მხრიდან)

3. ღია ინფორმაციასთან დაშვების შეზღუდვა.

4. მასობრივი ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების სფეროში მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევა.

5. სპეციალური, კანონსაწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება ინდივიდუალურ, ჯგუფურ და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე.

6. ინფორმაციით მანიპულირება (დეზინფორმაცია, ინფორმაციის დამალვა ან დამახინჯება).

II. საზოგადოებრივ ინტერესებზე მუქარის სფეროში:

1. კანონების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

2. მონოპოლია ინფორმაციის შექმნასა, დამუშავებასა და გავრცელებაზე.

3. კულტურულ ფასეულობათა დაგროვებისა და შენახვის სისტემების (მათ შორის, არქივების) დეზორგანიზაცია და რღვევა.

4. უცხოურ ინფორმაციულ სისტემებთან ქვეყნის სულიერი, ეკონომიკური და პოლიტიკური სფეროს დამოკიდებულების გაძლიერება. სულიერ ღირებულებათა დევალვაცია, მასობრივი კულტურის პროპაგანდა, რომელიც ძალადობის კულტზეა დაფუძნებული.

5. სხვადასხვა რელიგიური სექტების აქტივიზაცია, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საზოგადოების სულიერ ცხოვრებასა და საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა ჯანმრთელობას.

6. მოსახლეობის სულიერი, მორალური და შემოქმედებითი პოტენციალის დაქვეითება, რაც შრომითი რესურსების მომზადებას შეუშლის ხელს ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების პროცესში.

7. საზღვარგარეთ სპეციალისტთა გადინება.

8. ინფორმაციის ბრუნვის სფეროში წესების დარღვევა: ინფორმაციის უკანონო შეგროვება და გამოყენება, ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიის დარღვევა, ინფორმაციის გაჟონვა, ინფორმაციის მატარებელთა განადგურება, დაზიანება, დატაცება, ინფორმაციის გადაჭრა კომპიუტერულ ქსელებში, ქსელებით გადაცემული ინფორმაციის დეშიფრირება და ყალბი ინფორმაციის თავს მოხვევა, ინფორმაციასთან არასანქცირებული დაშვება.

9. ინფორმაციული სისტემების ფუნქციონირების წესების დარღვევა.

III. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე:

1. ერთიანი სამართლებრივი სივრცის რღვევა, ავტონომიების მიერ საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგო ნორმატიული აქტების მიღება.

2. საქართველოს ერთიანი საინფორმაციო სივრცის დარღვევა.

3. ქართული საინფორმაციო სააგენტოების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, ტელეკომუნიკაციათა და კავშირგაბმულობის შევიწროვება შიდა და გარე ინფორმაციულ ბაზარზე.

4. საქართველოს საინფორმაციო ბაზრის, მისი ცალკეული სექტორების მონოპოლიზაცია უცხოური საინფორმაციო სტრუქტურების მიერ.

5. ქართული ენის როლის შემცირება, როგორც სახელმწიფო ენისა.

6. კვალიფიციური კადრების დეფიციტის გამო სახელმწიფო პოლიტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფის დაბალი ეფექტურობა, სახელმწიფო ინფორმაციული პოლიტიკის ფორმირებისა და რაელიზაციის არარსებობა.

როგორი შეიძლება იყოს საქართველოს ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე ზემოქმედების წყაროები?

საგარეო ზემოქმედების წყაროებს მიეკუთვნება:

1. უცხოური პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სადაზვერვო და სხვა საშუალებების საქმიანობა მიმართული საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ ინფორმაციულ სფეროში.

2. საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობა.

3. ქვეყნის შიგნით ურთიერთობისათვის ქართული ენის შევიწროვება სხვა ენის სასარგებლოდ.

4. ინფორმაციული ომის მომზადება და ინფორმაციული იარაღის გამოყენება.

ზემოქმედების საშინაო წყაროებს მიეკუთვნება:

1. სახელმწიფოს სუსტი ეკონომიკური პოტენციალი (სამამულო მრეწველობის კრიტიკული მდგომარეობა, ინფორმატიზაციის სფეროში ქვეყნის საგრძნობი ჩამორჩენა, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაუფინანსებლობა).

2. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დაბალი დონე და ინფორმაციული ბაზრის განვითარებაზე არასათანადო სახელმწიფო კონტროლი.

3. კრიმინოგენული სიტუაციის ზრდა (ინფორმაციულ სფეროში სახელმწიფო და კრიმინალური სტრუქტურების შერწყმის ტენდენცია, კრიმინალური სტრუქტურების მიერ კონფიდენციურ ინფორმაციასთან დაშვების უფლება).

4. ინფორმაციული სფეროს მარეგულირებელი მწირი ნორმატიული ბაზა და არასათანადო ნორმა – გამოყენებითი პრაქტიკა.

5. განათლებისა და აღზრდის სისტემის ეფექტურობის დაცემა.

მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში რიგი ქვეყნების დომინირება არ გულისხმობს საქართველოსთან ამ სფეროში პარტნიორობას, არამედ იგი არის ამ ქვეყნების პოლიტიკური და სტრატეგიული ობიექტი (და არა სუბიექტი), რაც თავისთავად აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებაში.

7.2. ინფორმაციული ომი. ინფორმაციული ტერორი და სხვა სახის ინფორმაციული დანაშაულები.

დღეს ინფორმაციულ სივრცეზე ზემოქმედების სამი ძირითადი ფორმა შეიძლება გამოვყოთ: ინფორმაციული ომი, ინფორმაციული ტერორი და ინფორმაციული დანაშაულები.

ტერმინი „ინფორმაციული ომი" გასული საუკუნის 80-იან წლებში, „ცივი ომის" დამთავრების შემდეგ, აშშ-ს შეიარაღებული ძალების ახალ ამოცანებთან დაკავშირებით გამოჩნდა (დამუშავებულია აშშ-ს სამხედრო თეორეტიკოსთა ჯგუფის მიერ ჰ.ეკლზის, ჰ.სამერზის და სხვათა შემადგენლობით). მისი აქტიური მოხმარება დაიწყო 1991 წელს განხორციელებული ოპერაციით – „ქარიშხალი უდაბნოში". ამ ეტაპზე, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები გამოყენებულ იქნა, როგორც ომის წარმოების საშუალება და, იგი ოფიციალურად დაფიქსირებულია აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს 1992 წლის 21 დეკემბრის დირექტივაში. აშშ-ს სამხედრო წრეებში ინფორმაციული ომის ცნებაში გულისხმობენ ინფორმაციული უპირატესობის მისაღწევად განხორციელებულ მოქმედებას მოწინააღმდეგის ინფორმაციასა და ინფორმაციულ სისტემებზე ზემოქმედებით აგრეთვე ნაციონალური სამხედრო სტრატეგიის მხარდაჭერას საკუთარი ინფორმაციისა თუ ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფით.

ინფორმაციული ომი შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება:

იგი ყველა სახის ინფორმაციასა და ინფორმაციულ სისტემებს მოიცავს, როგორც დამოუკიდებელ ობიექტს.

განავრცობს ომის წარმოების ტერიტორიასა და სივრცეს. მიმდინარეობს, როგორც ომის გამოცხადებით, ასევე ცხოვრების ყველა სფეროს კრიზისულ სიტუაციებში ჩაყენებით. წარმოებს, როგორც სპეციალიზირებული სამხედრო, ასევე სამოქალაქო სტრუქტურების მიერ.

ინფორმაციული ომის ძირითად მიმართულებათა შეფასება შესაძლებელია აშშ-ს ნაციონალური თავდაცვის უნივერსიტეტის პროგრამებში ინფორმაციული ომის ისეთი ფორმების გამოყოფით, როგორიცაა

რადიოელექტრონული ომი, დაზვერვის საშუალებათა გამოყენება, ფსიქოლოგიური ომი, ჰაკერებთან ომი, კიბერნეტიკული ომი.

ამ კონცეფციის რეალიზაციის მიზნით (როგორც თავდასხმას, ისე თავდაცვის კუთხით) აშშ-ში ხოციელდება შემდეგი ღონისძიებები:

1. 1993წ. შეიქმნა უსაფრთხოების კომისია, რომელმაც 1994 წლამდე გამოიკვლია ინფორმაციული ომის პრობლემატიკა და დაასკვნა, რომ ინფორმაციულ სისტემებსა და ქსელებზე თავდასხმა, უსაფრთხოებაზე ძირითადი ზემოქმედების საშუალებაა და მომავალ საუკუნეში მონაცემთა გადაცემის ქსელები ბრძოლის ველად იქცევა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ინფორმაციული იარაღი, სტრატეგია და ტაქტიკა შესაბამის დამუშავებას ექვემდებარება. გამოყენებული იქნება „ელექტრონული სიხშირეები" თავდასხმისა და თავდაცვის დროს. ინფორმაციული ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ გეოპოლიტიკური კრიზისების გადაწყვეტას, ისე, რომ ერთი გასროლაც არ მოხდება.

2. დაწყებულია ინფორმაციული ომის მომზადებისა და წარმოების სტრატეგია. აშშ-ს ყველა სახის შეიარაღებულ ძალებში შექმნილია ინფორმაციული ომის წარმოების სპეციალიზირებული ცენტრები. მაგ: AFIWC – განლაგებულია ტეხასის შტატში ინფორმაციულ საომარ მოქმედებათა ბაზაზე; LIWA – აშშ-ს არმიის ინფორმაციულ საომარ მოქმედებათა სამსახური, განლაგებულია ვირჯინიის შტატში. ამასთან, პენტაგონში თითოეული სახის არმიას ჰყავს თავისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ადგენს სამხედრო წესდებებში ინფორმაციული ომის წარმოების პრინციპებსა და ხერხებს.

3. ყველა სახის შეიარაღებულ ძალებში შექმნილია ინფორმაციული ომის წარმოების სპეცდანაყოფები და ოფიცრის სპეციალური თანამდებობა. სამხედრო უმაღლეს სასწავლებლებში იკითხება სპეცკურსი ინფორმაციული ომის შესახებ და მზადდება სპეციალური კადრები (1995 წელს პირველი გამოშვება).

4. შეიარაღებულ ძალებში წარმოებს სწავლებები და თამაშები. აშშ-ს საზღვრებს გარეთ პრაქტიკული საომარი მოქმედების დროს მუშავდება კონკრეტული ოპერაციები ინფორმაციული იარაღის გამოყენებით.

5. ნაციონალური ინფორმაციული ინფრასტრუქტურის სრულყოფისათვის ყოველწლიურად მუშავდება ახალი ღონისძიებები, სადაც 80% კონფიდენციური ინფორმაციის ცირკულაცია ხდება.

კლინტონის ადმინისტრაციამ 1998 წელს მიიღო გადაწყვეტილება ინტერნეტის ახალი ქსელის შექმნის პროექტთან დაკავშირებით (Next Generation Internet).

6. ყოველწლიურად იზრდება ახალი ინფორმაციული იარაღის დამუშავების ასიგნებები.

ინფორმაციული იარაღი ესაა ინფორმაციული მასივების განადგურების, დამახინჯების ან დატაცების საშუალება, დაცვის სისტემების გარღვევით საჭირო ინფორმაციის მოპოვების, კანონიერ მომხმარებელთა დაშვების შეზღუდვის ან აკრძალვის, სატელეკომუნიკაციო საშუალებათა კომპიუტერული სისტემების მწყობრიდან გამოსვლის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებას.

ინფორმაციული იარაღი ჩვეულებრივი განადგურების საშუალებებისაგან შემდეგი ნიშნებით განსხვავდება:

ფარულობა – მიზანი შეიძლება მიღწეული იყოს ხილული მომზადებისა და ომის გამოცხადების გარეშე.

მასშტაბურობა – შეიძლება ზიანი მიადგეს ნაციონალური საზღვრებისა და სუვერენიტეტის ცნობის გარეშე.

უნივერსალურობა – მრავალვარიანტული გამოყენების შესაძლებლობა, როგორც სამხედრო, ისევე სამოქალაქო სტრუქტურების მხრიდან სამხედრო და სამოქალაქო ობიექტების მიმართ.

1996 წელს რუსეთის დუმამ მოისმინა დაზვერვის სამსახურის შეფასებები რუსეთის ფედერაციის ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში, რომელშიც გაანალიზებული იყო ინფორმაციული იარაღის გამოყენება, როგორც ეკონომიკურ, საბანკო, სოციალურ და სხვა სფეროში შემდეგი მიზნების მისაღწევად:

მმართველობითი სტრუქტურების და კომუნიკაციების დეზორგანიზაციისათვის ცალკეული სანარმოებისა და ბანკების საქმიანობის ბლოკირება;

მსხვილი ტექნოლოგიური კატასტროფების ინიცირება, ადამიანთა ცნობიერებაში გარკვეული წარმოდგენების, ჩვევების, ყოველდღიური სტერეოტიპების დანერგვა და გავრცელება;

მოსახლეობაში უკმაყოფილებისა და პანიკის გამოწვევა, აგრეთვე ცალკეული სოციალური ჯგუფების დესტრუქციული ქმედების გამოწვევა.

ინფორმაციული ომის იარაღს, როგორც საომარ, ისე მშვიდობიან პერიოდში წარმოადგენს:

კომპიუტერული და კავშირგაბმულობის სისტემები, სამხედრო ინფორმაციული ინფრასტრუქტურები, ბანკების, სატრანსპორტო და სამრეწველო საწარმოების ინფორმაციული და მმართველობითი ინფრასტრუქტურები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (პირველ რიგში რადიო და ტელევიზია), ტელესაკომუნიკაციო კვანძები, საერთაშორისო ინფორმაციული გაცვლის არხები.

ინფორმაციული იარაღი გამოყენების სფეროს მიხედვით 2 ნაწილად იყოფა: სამხედრო და სამოქალაქო დანიშნულების.

ინფორმაციული ტერორი გარეგნულად მსგავსია ინფორმაციული ომისა, მაგრამ მისგან განსხვავებით პოლიტიკური ტერორიზმისათვის დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია. ასევე განსხვავებულია ამ დანაშაულის ჩადენის ტაქტიკა და ხერხები.

ინფორმაციული ტერორიზმის ტაქტიკაში მთავარია ფართოდ იყოს ცნობილი მოსახლეობისათვის რაიმე ქმედებით გამოწვეული საეალალო შედეგები, აგრეთვე ტერორიზმის მუქარა კონკრეტული ობიექტის მინიშნების გარეშე.

ინფორმაციული ტერორიზმის ხერხებთან ბრძოლის ადმინისტრაციული საშუალებების უზრუნველყოფა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სამართლებრივი რეაგირების ახალი მექანიზმების შემუშავებაზე. გადასინჯვას საჭიროებს კანონი „კავშირგაბმულობის შესახებ". ამასთან, დღის წესრიგში დგება „ტელეკომუნიკაციების შესახებ" და „ინფორმაციისა და ინფორმატიზაციის დაცვის შესახებ" კანონების მიღების საკითხი. მართალია, მათი მიღება მთლიანად ვერ მოხსნის ინფორმაციული ტერორიზმის პრობლემას, მაგრამ ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის ერთგვარ აპრიორს მაინც შექმნის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტის ქსელი ინფორმაციული ტერორისტული აქტების განხორციელების კარგი საშუალებაა.

ინფორმაციულ ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა შემუშავებას, ოპონენტთა მხრიდან, აუცილებლად მოჰყვება მინიშნება, რომ ეს ღონისძიებები ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების კონსტიტუციური მოთხოვნის შეზღუდვისკენაა მიმართული. მაგრამ, ერთი ცხადია, რომ სახელმწიფო სტრატეგია ქვეყნის უშიშროების პრიორიტეტის გათვალისწინებით, საზოგადოებისათვის მეტნაკლებად მისაღებ კომპრომისებზე აიგება. ამ საკითხში არც ერთი სახელმწიფო გამონაკლისს თითქმის არ აკეთებს.

ინფორმაციული ტერორი იწვევს **ინფორმაციულ კატასტროფებს**. ტერორისტული აქტი ინფორმაციულ სფეროში შესაძლებელია არა მხოლოდ ინფორმაციის დაუფლების ან გამოყენების შედეგად განხორციელდეს, არამედ ინფორმაციის შეცვლის ან კომპიუტერული საბოტაჟის მეშვეობითაც. ფართო მასშტაბით, ასეთი შეცვლა ან საბოტაჟი იწვევს ისტორიული ცოდნის დესტრუქციას. ეს უკანასკნელი კი სოციალური ფსიქოლოგიის ცვლილებას.

სიტუაციას შეუძლია შეცვალოს ცნობიერება იმ თვალსაზრისით, რომ შეამცირებს წარსულის მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება პრიორიტეტული ყოფილიყო აწმყოსათვის. „ისტორიის გაუჩინარება" ნიშნავს, რომ იგი აღარ არის ინფორმაციის ის წყარო, რომელიც განსაზ-

ღვრავს ადამიანთა სოციალურ ქცევებს, რაც მოცემული ქვეყნის, ხალხის, სახელმწიფოს განსაზღვრული ღირებულებებია. საერთო მიზნები, სახელმწიფოებრივი ინტერესები დღეს უკვე მითებადაა ქცეული.

აქ ლოგიკა მარტივია: წარსული არ არსებობს, ამიტომ იმას, რაც ისტორიაშია წარმოშობილი, ობიექტური კი არა, სუბიექტური აზრი გააჩნია. ეს ნიშნავს, რომ ისტორიული წარმონაქმნი, რომელსაც ობიექტურობის პრეტენზია გააჩნია, მოკლებულია საგანს, ხოლო ისტორია ეს თანამედროვეობაში მოტანილი იდეოლოგიური აზრია, რომელსაც მხოლოდ წარსულის კვლავ შექმნის ფორმა გააჩნია. ამ ლოგიკურ კონტექსტში გასაგები ხდება დასავლეთის ზოგიერთი თეორიტიკოსის მოსაზრება (კარლ გემპელი, როდან ბარტი, უაიტი და სხვა) ისტორიული ღირებულებების მიმართ.[1]

როცა, კონკრეტულ მომენტში ხალხის ისტორიულ ქმედებათა შევიწროვება ხდება ცალკეული ინდივიდების სასარგებლოდ, მაშინ ხალხი, როგორც მთლიანობა, როგორც სუბიექტი, გადაიქცევა მოსახლეობად. სწორედ ზოგადი იდენტურობის ეროზია არის ფარული ინფორმაციული კატასტროფის გამოვლენა: ხალხი ფლობდა ინფორმაციას ისტორიულად ჩამოყალიბებული საკუთარი გაერთიანების შესახებ, ეხლა ხალხს ეს ინფორმაცია გამოაცალეს. ისტორია გამქრალად გამოცხადდა, ხოლო მასთან ერთად ქრება ხალხის სული მთლიანად. საზოგადოების წევრი თავისი ლოკუსის ბრმა სუბიექტად იქცევა. ლოკუსი ეს იმ ყოფის ადგილია, რომელიც თაობათა მონაცვლეობით სრულყოფილებას განიცდის. ლოკუსის ჩამოყალიბება ხალხის ცნობიერებაში ახდენს ფიქსაციას, როგორც საკუთარი ევოლუციის სტადია.

ისტორია – ეს ცხოვრების ობიექტური რეალობაა. გლობალიზაციის პროცესები იწვევენ ლოკუსთან უშუალო კავშირის გაწყვეტას. რაც ამავე დროს ნიშნავს ისტორიაში პლურალიზმის ორიენტაციას. ლოკუსის ისტორია კი ინახება ცნობიერებაში და თანდათანობით მითოლოგიად გარდაიქმნება. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ისტორიული ცნობიერების ეს მეტამორფოზა გარეგნულად ემთხვევა მონაცემთა ბაზებში წარმოდგენილ ისტორიას, მონაცემთა ბაზებში წარსული, ისევ არსებობს იდეალური რეალობის სახით, მაგრამ მსგავსება ამ ეტაპზე მთავრდება. მონაცემთა ბაზების იდეალური რეალობა – ესაა ინფორმაცია, რომელიც ობიექტური და ზუსტი უნდა იყოს. ცნობიერების ისტორიულ მითოლოგემას კი ეს თვისება არ გააჩნია. საერთაშორისო ინფორმაციული ქსელების შექმნას, სინამდვილის აღქმის პრობლემა,

[1] Sande Coher. Historical Cufture on the Recording of on Academe. University of California Press – 1986.

სოციალური ცხოვრების ახალ სიბრტყეზე გადააქვს. აუცილებელია იმის ხაზგასმაც, რომ ინფორმაციული ველების მოქმედება კარდინალურად ცვლის ტრადიციულ სიტუაციას. ინფორმაციული ველის ზემოქმედება ობიექტურია და არაა დამოკიდებული სუბიექტურ მიზეზებსა და ეროვნულ საზღვრებზე. მისი გავლენა განისაზღვრება მასში ჩადებული აზრის საფუძველზე და იმ ადამიანთა სოციალური ფსიქოლოგიის სპეციფიკით, რომლებიც მის სივრცეში აღმოჩნდებიან. ინფორმაციული ველის ზემოქმედების მექანიზმი არასათანადოდაა შესწავლილი, თუმცა მისი გავლენა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რომელიც დრო და დრო ანგრევს, როგორც ტრადიციულ რწმენას, ისე იდეოლოგიურ მრწამსს.

გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ინფორმაციულმა კატასტროფამ შეიძლება მოიცვას ამა თუ იმ ერის ინტელექტუალური მეხსიერება. მაგ: აშშ-ში ბიბლიოთეკებსა და არქივების 80% გამოქვეყნებულია ქაღალდზე, რომელიც დაახლოებით XIX საუკუნის შუა წლებში იყო ბრუნვაში და შეიცავს მჟავას ნაერთს, რომელიც ჰაერთან რეაქციაში მთლიანად არღვევს ცელულოზას. ამ საშიშროების ნეიტრალიზაციის მიზნით, აშშ-ში სპეციალურად შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა მიკროფილმების პროგრამა მჟავის ნეიტრალიზაციით წიგნის სიცოცხლისუნარიანობის გაზრდის მიზნით. ასევე შეიქმნა ტექნიკური ინფრასტრუქტურა, რომლის მეშვეობით ყოველწლიურად 175 ათასი ტომი ლიტერატურის მიკროფილმირება ხდება.

არსებობს აფრეთვე ინფორმაციული კატასტროფების ჰუმანური ასპექტებიც, როცა სახელმწიფო უნარს კარგავს ეფექტურად შეეწინააღმდეგოს საზოგადოებრივი სისტემების დესტაბილიზაციისათვის ინფორმაციის საშუალებების გამოყენებას. ეს კი ხელს უწყობს შიდაკონფლიქტებს. საზოგადოება კარგავს რა სულიერ იმუნიტეტს, აღარ შეუძლია წინ აღუდგეს დესტრუქციულ ტენდენციებს. ამ პრობლემას შეიძლება ჰქონდეს, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო ასპექტები. XX საუკუნემ აჩვენა, რომ სულიერი იდენტურობის უნივერსალური ფორმების დესტრუქციას, რომელიც მიღებულია, როგორც რეალისტური ცნობიერებისაკენ მობრუნება, მივყავართ პრევენციული განადგურების მასიური ფორმებისაკენ და რომელმაც თავისი მოქმედება ჩვენს დროშიც დაიწყო.

გლობალიზაციის პროცესში კომპიუტერიზაციის განვითარებას, პოზიტიურ მომენტებთან ერთად, უარყოფითი მხარეც გააჩნია, რაც იურისტებს საკმაოდ დიდი პრობლემის წინაშე აყენებს. კერძოდ, „კიბერნეტიკული სივრცე" ახალ დანაშაულთა ჩადენის შესანიშნავი გარემო გახდა. ეს ტერმინი პირველად 1982 წელს მწერალმა უილიამ გიბსონმა შემოიტანა. მან აღწერა ჰაკერების საქმიანობა კომპიუ-

ტერულ გარემოში. ჰაკერის მიზანს შეადგენს კომპიუტერული სისტემის დამცავი საშუალების მოსპობა და პროგრამის სიღრმეში შესვლა. ზოგჯერ ეს მათთვის თამაშია. უმეტეს შემთხვევაში, მიზანი - დანაშაულებრივი ქმედებაა გამომძალონ, შანტაჟი მოუწყონ ინფორმაციის მფლობელს, მანიპულირებენ სისტემებით და ყიდიან ან სხვა მიზნით იყენებენ მიღებულ ინფორმაციას. კიბერნეტიკაში ვირტუალური სივრცე უსაზღვრო გარემოა, სადაც სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი ვეღარ ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერული მსოფლიო ფიზიკურად არ არსებობს, იგი ხშირად აკონტროლებს ფიზიკურ გარემოცვას და ადამიანთა ურთიერთობებს. მაგალითად, არსებობს გამოკვლევები, რომელთა მიხედვით, ერთი კომპიუტერის დაზიანებას კალიფორნიის ბანკში შტატის ეკონომიკურ მდგომარეობაზე 3 დღის განმავლობაში შეუძლია გავლენის მოხდენა, აშშ-ზე ერთი კვირის განმავლობაში, ხოლო მთელს მსოფლიოზე 27 დღეში. ეს გავლენა „კომპიუტერულ ვირუსთან" არის დაკავშირებული. იგი გადადის ერთი კომპიუტერიდან მეორეზე, აზიანებს მას და ინფორმაციის გაცემას არაკონტროლირებადს ხდის. ერთ-ერთი ცნობილი მაგალითია პროგრამა - „ჭია", რომელიც კალიფორნიის უნივერსიტეტის სტუდენტმა დაწერა. იგი ინტერნეტში იქნა გაშვებული და რამდენიმე საათის განმავლობაში 6000 კომპიუტერი დააზიანა. სტუდენტი 1986 წელს გაასამართლეს კომპიუტერული თაღლითობისათვის, მაგრამ შტატების სასამართლომ ეს შემთხვევა განიხილა, როგორც თამაში, რომელსაც გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვა.

მსოფლიო სასამართლო პრაქტიკის ანალიზი სპეციალისტებს ისეთი ორგანიზაციულ დანაშაულთა ზრდის პროგნოზირების უფლებას აძლევს, რომლებიც დაკავშირებულია ელექტრონული საშუალებების, მათ შორის, კომპიუტერის გამოყენებასთან. შეიქმნა კომპიუტერულ დანაშაულთა საერთაშორისო კლასიფიკატორები, რომლებიც კომპიუტერული დანაშაულების დამახასიათებელი კოდების სისტემას შეიცავს. (ასეთი იდენტიფიკატორი ასო „Q"- თი იწყება). მაგალითად:

QA – არასანქციონირებული შეღწევა და ხელში ჩაგდება:

QAH – კომპიუტერული საბოტაჟი; QAI – ხელში ჩაგდება; QAT – დროის მოპარვა; QAZ – სხვა სახის არასანქციონირებული შეღწევა და ხელში ჩაგდება.

QD – კომპიუტერის მონაცემების შეცვლა:

QDL – „ლოგიკური ბომბი;" QDT– „ტროას ცხენი";QDV– კომპიუტერის ვირუსი; QDW – „კომპიუტერის ჭია"; QDZ – სხვა სახის მონაცემების შეცვლა

QF– კომპიუტერული თაღლითობა:

QFC – ბანკომატებთან თაღლითობა; QFF– კომპიუტერული გაყალ-

ბება; QFG – თაღლითობა სათამაშო ავტომატებით; QFM – შესვლა გამოსვლის პროგრამით მანიპულირება; QFP – საგადასახადო თაღლითობა; QFT – სატელეფონო თაღლითობა.

QR – უკანონო გადაღება:

QRG – კომპიუტერული თამაშები; QRS – პროგრამული უზრუნველყოფა; QRT – ნახევარგამტარების საშუალებათა ტოპოგრაფია; QRZ – დანარჩენი უკანონო გადაღება.

QS – კომპიუტერული საბოტაჟი:

QSH– აპარატული უზრუნველყოფა; QSS – კომპიუტერული უზრუნველყოფა; QSZ – სხვა სახის საბოტაჟი.

QZ – მრავალმხრივი კომპიუტერული დანაშაული:

QZB – კომპიუტერული განცხადებების დაფის გამოყენებით; QZS– კომპიუტერული საიდუმლო ინფორმაციის დატაცება; QZS– კონფიდენციალური სახის ინფორმაციის გადაცემა; QZZ – სხვა კომპიუტერული დანაშაულები.

კომპიუტერული დანაშაული ყველა სახელმწიფოსთვისაა დამახასიათებელი, სადაც სახელმწიფო სტრუქტურებში კომპიუტერიზაცია ინერგება. ასეთი დანაშაულებრივი ქმედებები განსაკუთრებით გავრცელებულია მართვისა და მრეწველობის სისტემებში, საბანკო საქმიანობასა და მომსახურების სფეროში.

მიუხედავად უამრავი პრეცედენტისა, კომპიუტერული დანაშაულის ცნება თეორიაში ჯერ კიდევ მკვეთრად არ არის ფორმირებული. მისი სირთულე, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია დანაშაულებრივი ხელყოფის ერთიანი ობიექტის გამოყოფის შეუძლებლობით, საგნის მრავალფეროვნებით. მაგ: ი. ბატურინი თვლის, რომ კომპიუტერული დანაშაულები, როგორც დანაშაულთა განსაკუთრებული ჯგუფი არ არსებობს; დანაშაულთა მრავალმა ტრადიციულმა სახემ გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების გამო, მოდიფიკაცია განიცადა, ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ დანაშაულის კომპიუტერულ ასპექტებზე და არა კომპიუტერულ დანაშაულზე. განსხვავებული მოსაზრება აქვს ა. კარხანინს. იგი კომპიუტერული დანაშაულის ქვეშ ისეთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას მოიაზრებს, რომლის ჩადენის ობიექტს ან იარაღს ეგმ-ი წარმოადგენს. ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებებიც არსებობს, მაგრამ არც ერთი მათგანი სრულად არ ასახავს ამ სოციალური მოვლენის ყველა კომპონენტს.

კომპიუტერული დანაშაულობების გარშემო შეხედულებები შესაძლებელია ორი მიმართულებით განვიხილოთ:

პირველი, რომელიც კომპიუტერულ დანაშაულებს ისეთ ქმედებად მიიჩნევს, სადაც კომპიუტერი დანაშაულის ობიექტია. ამ მოსაზრებათა ავტორები კომპიუტერის ქურდობას კომპიუტერულ დანაშაულთა

ჩადენის ერთ-ერთ ხერხად მიიჩნევენ (მელოკი, სოროკინი და სხვა).

მეორე, კომპიუტერულ დანაშაულობებს ისეთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს უწოდებენ, რომელიც ინფორმაციის ავტომატიზირებული დამუშავების სფეროშია ჩადენილი. მათი აზრით, ხელყოფის ობიექტია კომპიუტერში დამუშავებული ინფორმაცია, ხოლო კომპიუტერი ხელყოფის იარაღია. (ბატურინი, კრილოვი და სხვა).

ასევე არ არის მეცნიერებაში ერთიანი აზრი დანაშაულის ობიექტის განსაზღვრაში. მკვლევართა ერთი ნაწილი ხელყოფის ობიექტად კომპიუტერულ ინფორმაციას გამოჰყოფს. მეორე ნაწილი, ხელჰყოფის ობიექტად ინფორმაციაზე საკუთრების უფლებას მიიჩნევს. მესამე ნაწილი თვლის, რომ ხელყოფის გვარეობითი ობიექტია ურთიერთობები კომპიუტერული ინფორმაციის სფეროში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (284-ე; 285-ე; 286-ე მუხლები) დასჯად ქმედებად აცხადებს კანონით დაცულ კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერ შეღწევას, რამაც ინფორმაციის განადგურება, ბლოკირება, მოდიფიცირებაან გადაღება, ანდა ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელების მუშაობის მოშლა გამოიწვია.

დასჯად ქმედებადაა მიჩნეული აგრეთვე ეგმ-ის დამაზიანებელი პროგრამის შექმნა ან არსებულ პროგრამაში ცვლილების შეტანა, რაც განზრახ იწვევს ინფორმაციის არასანქციონირებულ განადგურებას, ბლოკირებას, მოდიფიცირებას ან გადაღებას, ანდა ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის მუშაობის მოშლას, აგრეთვე ასეთი პროგრამის შემცველი მანქანა-მატარებლის გამოყენებას ან გავრცელებას.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ეგემ-ის, ეგემ-ის სისტემის ან მათი ქსელის ექსპლუატაციის წესის დარღვევისათვის იმ პირის მიერ, ვისაც ხელი მიუწვდებოდა ეგმ-ზე, ეგემ-ის სისტემაზე ან მათ ქსელზე, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ეგმ-ის კანონით დაცული ინფორმაციის განადგურება, ბლოკირება, მოდიფიცირება ან გადაცემა, ანდა რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (მოყვანილი მუხლებს კვალიფიციური სახეებიც გააჩნია).

ამ შემთხვევებში, დანაშაულებრივი ხელყოფის საგანს ინფორმაცია წარმოადგენს, ხოლო პირის დანაშაულებრივი ქმედება განხილული უნდა იქნეს, როგორც ინფორმაციის ხელყოფა, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც საშუალება. ასე რომ, კომპიუტერულ დანაშაულად ჩაითვლება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედება, რომელშიც ინფორმაცია დანაშაულებრივი ხელყოფის საგანია ე. ი. ქმედების კომპიუ-

ტერული საშუალების გამოყენება. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს დანაშაულის რომელ სტატიაზე იქნა იგი გამოყენებული – მომზადების, მიმდინარეობის, თუ დაფარვის.

განსაზღვრების პირველი ნაწილი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქნება იგი კვალიფიცირებული. მაგალითად: კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით ჩადენილი შპიონაჟი მიეკუთვნება თუ არა კომპიუტერულ დანაშაულებს. ეს მოვლენის კრიმინალური დახასიათებაა, რადგან აქ სადაო არ შეიძლება გახდეს ის, რომ ამ კატეგორიის დანაშაული სახელმწიფო დანაშაულთა კატეგორიას ეკუთვნის. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მსგავსი ცნებები ხშირად გამოიყენება საზღვარგარეთის იურიდიულ პრაქტიკაში ამა თუ იმ კომპიუტერული სამართალდარღვევის კვალიფიკაციისას. ამიტომ, მოცემული ტერმინოლოგია, კრიმინალური სპეციფიკის გამო, შინაარსით მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებების აღსანიშნავად შეიძლება იქნეს გამოყენებული. რაც შეეხება განსაზღვრების მეორე ნაწილს, გარკვეულ დეტალიზაციას მოითხოვს.

ამისათვის უნდა დავახასიათოთ ტექნიკურ საშუალებათა სტრუქტურული თავისებურებანი. კომპიუტერული ტექნიკის საშუალებანი ფუნქციური დანიშნულების თვალსაზრისით შესაძლებელია ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

1. აპარატული საშუალებანი (Hard ware)

2. პროგრამული საშუალებანი (Soft ware)

აპარატულ საშუალებებში მოიაზრება ტექნიკური საშუალებანი, რომელიც მონაცემთა დამუშავებისათვის გამოიყენება: მექანიკური, ელექტრონული და სხვა საშუალებანი:

1. პერსონალური კომპიუტერი – ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსი, რომელიც განკუთვნილია ინფორმაციის ავტომატური დამუშავებისათვის ინფორმაციული ამოცანების გადაწყვეტის პროცესში.

2. ინფორმაციული უზრუნველყოფა – კიბერნეტიკული სტატუსის მქონე აღჭურვილობა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა და ბრძანებათა გადაცემას პროცესორებსა და მომხმარებელს შორის. ესაა ეგმ-ის გარე მოწყობილობათა კომპლექსი, რომელიც ცენტრალური პროცესორის უშუალო მმართველობაში შედის.

3. მანქანური ინფორმაციის ფიზიკური მატარებლები, როგორიცაა:

ა). სისტემური პროგრამები (ოპერაციის განსახორციელებელი სისტემა ტექნიკური მომსახურების პროგრამა და სხვა).

ბ). გამოთვლითი პროგრამები, რომლებიც განკუთვნილია განსაზღვრული ამოცანის გადასაჭრელად (ტექნიკური რედაქტორი, ანტივირუსული პროგრამა და ა. შ).

გ). ინსტრუმენტული პროგრამები, რომლებიც შედგება პროგრა-

მირების ენებისაგან (Turbo Pascal, Microsoft და ა. შ.), ანუ პროგრამული კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ალგორითმების სიმბოლურ ენაზე გადათარგმნას.

კომპიუტერული ტექნიკის სტრუქტურის დახასიათება, პირველ რიგში, დაგვჭირდება დანაშაულის ხერხების არსის გარკვევისათვის, აგრეთვე იმ ურთიერთობის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ტერმინოლოგიის გამო წარმოიშობა სამართლებრივი ორგანოების წინაშე. მაგალითად, როცა ხელყოფის საგანია კომპიუტერი, მაშინ აუცილებელია იგი განხილულ იქნეს, როგორც სისტემა და ერთმანეთისაგან გაირჩეს ცალკეული ნაწილები. კომპიუტერი, ვიწრო გაგებით, მხოლოდ პროცესორია, მაგრამ პრაქტიკაში ის დამოუკიდებლად არ გამოიყენება, არამედ პერიფერულ მოწყობილობებთან ერთად შეადგენს ერთიან ქსელს. სისტემის თითოეულ ნაწილზე მუქარა შეიძლება გახდეს დანაშაულის ობიექტი. პროგრამული საშუალება ასევე შეიძლება გახდეს დანაშაულის საგანი. ეს ფაქტი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს პროგრამულ – ტექნიკური ექსპერტიზით.

კომპიუტერული დანაშაულის სრული დახასიათებისათვის აუცილებელია გაირკვეს სამართალდარღვევის სუბიექტი, მიზანი, მოტივაცია, ხელყოფის ადგილი, დაზარალებული მხარე.

დანაშაულის სუბიექტი – პროფესიონალური ჩვევების მქონე პერსონაა, რაც დანაშაულის ჩადენის ხერხებში ვლინდება, უმეტეს შემთხვევაში ასეთ პირებს ჰაკერებს უწოდებენ. რამდენიმე შემადგენლობის სუბიექტი შეიძლება იყოს სპეციალური. დანარჩენ შემთხვევებში, ნებისმიერი პირი კომპიუტერული დანაშაულის ჩადენისათვის პასუხს აგებს 14 წლის ასაკიდან. სუბიექტური მხარე ყველაზე ხშირად გამოიხატება განზრახვაში ან შერეული ბრალით.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლიდან გამომდინარე, მოცემული სახის ყველა დანაშაულისათვის აუცილებელია ბრალის არსებობა განზრახვის ფორმით. მხოლოდ ორი კვალიფიციური შემადგენლობა ითვალისწინებს შერეულ ბრალს – განზრახვა ქმედებასთან მიმართებაში, გაუფრთხილებლობა დამდგარ შედეგთან მიმართებაში.

მოტივსა და მიზანს დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის კვალიფიკაციის საქმეში. მოტივი და მიზანი პირდაპირაა დაკავშირებული დამნაშავის სოციალურ-ფსიქოლოგიურ დახასიათებასთან. მოტივი და მიზანი ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია განზრახი დანაშაულის დასახასიათებლად (მონაცემთა ბაზებში არასანქციონირებული შეღწევა ანგარების მიზნით). არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მოტივი და მიზანი კვალიფიციურ ნიშნებშია ჩართული (ხულიგნობის მოტივით კომპიუტერულ სისტემაში ვირუსის შეყვანა).

სხვა ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების ანალიზი ცხადყოფს,

რომ შეიძლება გამოვყოთ ხუთი ყველაზე გავრცელებული მოტივი: ანგარება; პოლიტიკური მოტივი (ხელისუფლების ფინანსური და ფულადსაკრედიტო პოლიტიკის გარღვევა); გამოგონების ინტერესი (სტუდენტები და პროფესიონალი პროგრამისტები); ხულიგნური ქვენაგრძნობა (ჰაკერები); შურისძიება.

დაზარალებულ მხარედ უმეტეს შემთხვევაში იურიდიული პირები გამოდიან, რადგან პერსონალური კომპიუტერი ჩვენს ქვეყანაში არც თუ ისე ხელმისაწვდომია, მაგრამ ეს არ გამორიცხავს დაზარალებულ მხარედ ფიზიკური პირის არსებობას.

საკუთრების უფლების მიხედვით ლიტერატურაში ცნობილია დაზარალებული მხარის სამი ჯგუფი:

1. კომპიუტერული სისტემის მესაკუთრე – 79%;

2. კლიენტები, რომლებიც კომპიუტერული მომსახურებით სარგებლობენ – 13%;

3. მესამე პირები – 8%.

აღსანიშნავია ისიც , რომ პირველი ჯგუფის დაზარალებული მხარისათვის არც თუ სასურველია დარღვევის ფაქტის გაცხადება. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას კომპიუტერულ დანაშაულთა ლატენტურობის მაღალი დონე. საზღვარგარეთის წამყვანი სპეციალისტების მიერ შესწავლილია, რომ კომპიუტერულ დანაშაულთა 90% აღმოჩენილი არ არის, ან მის შესახებ არ აცხადებენ სამართალდამცავ ორგანოებში. დარჩენილი 10%-დან, რომელიც რეგისტრირებულია იხსნება მხოლოდ 1%.

კომპიუტერულ დანაშაულებთან დაკავშირებით საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მისი ტრანსსასაზღვრო ხასიათი. სისხლის სამართალში ეს პრობლემა შეიძლება გავიგოთ, როგორც დანაშაულის ჩადენის ადგილი – სად მოხდა დანაშაული. მაგალითად, ქუვეითის ცნობილი ბანკის პროგრამისტმა თომფსონმა შეაღწია ბანკის კლიენტურის ანგარიშში. ამ ანგარიშებიდან, ზოგიერთი მათგანი, დიდი ხნის განმავლობაში რაიმე გადარიცხვას არ აჩვენებდა. თომფსონმა კომპიუტერის მეშვეობით თანხა საკუთარ ანგარიშზე დასვა. მან ისე დააპროგრამა კომპიუტერი, არავითარი გადარიცხვა არ მოხდებოდა, ვიდრე ინგლისში დასაბრუნებლად თვითმფრინავში არ ავიდოდა. ინგლისში ჩასვლისას მან ანგარიში ინგლისის ბანკში გახსნა, შემდეგ ქუვეითის ბანკის მენეჯერს თხოვნით მიმართა, რომ თავისი ანგარიშიდან თანხა ინგლისის ბანკის ანგარიშზე გადაეგზავნა. თომფსონი დაიკავეს და თაღლითობისათვის გაასამართლეს. მართალია, მან უარყო თავისი დანაშაული, მაგრამ აპელაცია შეიტანა, რომ დანაშაული ქუვეითის ტერიტორიაზეა ჩადენილი და ინგლისის სასამართლოს განსჯადი არ შეიძლება იყოსო. აპელაცია არ იქნა მიღებული,

რადგან ქუვეითელმა მენეჯერმა ინგლისიდან გაგზავნილი წერილის საფუძველზე იმოქმედა.

იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით ისეთ სახელწოდებებსაც, როგორიცაა „კომპიუტერული პირატი", „კომპიუტერული თაღლითი", „ელექტრონული ბანდიტი" და ა. შ. ყველა ეს სახელწოდება, შესაბამისი დისპოზიციური დახასიათებით და ტრადიციული ინსტიტუტებისაგან განსხვავებით, შეიძლება გაერთიანდეს კომპიუტერული დანაშაულის ცნებაში.

კომპიუტერული დანაშაულის პროფილაქტიკაში, ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად, მნიშვნელოვანია სამართლებრივი ღონისძიებები. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ისტორიაში ამ თვალსაზრისით პირველია 1978 წლის ფლორიდასა და არიზონას შტატში მიღებული კანონები კომპიუტერული დანაშაულების შესახებ (Computer crime act 1978), რომელიც ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ინფორმაციას მოდიფიკაციის მონაცემებსა და კომპიუტერულ პროგრამებთან არასანქციონირებული დაშვების ან მათი ამოღებისათვის. შედარებით მძიმე სასჯელი – თავისუფების აღკვეთაა დაწესებული, თუ იგი ჩადენილია საკუთრების დატაცების მიზნით. შემდეგ, პრაქტიკულად ყველა შტატში მიიღეს ანალოგიური სპეციალური კანონები, რომელთა ბაზაზეც 80-იან წლებში შემუშავდა ფედერალური კანონმდებლობა ამ პრობლემის რეგულირებისათვის. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად მათი განხორციელება სირთულეებთან არის დაკავშირებული. ეს სირთულე, პირველ რიგში, გამოწვეულია მტკიცებულებებით. მაგალითად: „ქურდობა" გამოძიების პროცესში მოითხოვს ნაქურდალის ღირებულებების შეფასებას. ამ ამოცანის სირთულე გამოწვეულია დანაშაულის ობიექტის არაერთგვაროვნებით. ზოგიერთ ქვეყანაში (ბრიტანეთი, კანადა, გერმანია, იაპონია შვეცია, ავსტრალია, ნორვეგია, დანია, აშშ-ს ზოგიერთი შტატი) კომპიუტერულ დანაშაულებში სისხლისამართლებრივი დაცვის სამი ობიექტია გამოყოფილი: მომსახურება, ქონება, ინფორმაცია.

ამ შემთხვევაში სირთულეს წარმოადგენს ინფორმაციის ღირებულების განსაზღვრა, მესაკუთრის მფლობელობის საკუთრების უკანონოდ გასვლის ფაქტის დადგენა. ინფორმაციის თავისებურება ხომ ისაა, რომ ფიზიკური ამოღების გარეშე შეიძლება მოხდეს მისი ასლირება და ე. ი. მესაკუთრე აღარ იქნება ერთადერთი პირი, ვისაც ეს ინფორმაცია ექნება. გარკვეულ უხერხულობას ინვევს საკუთრების ქურდობასთან ამ საკითხის დაკავშირება. ყველა ინფორმაციას ხომ მესაკუთრე არ გააჩნია. მაგალითად: ბრიტანეთში ერთ-ერთმა სტუდენტმა, რომელმაც საგამოცდო ბილეთები მოიპარა, ასლი გადაიღო და შემდეგ

უკან დააბრუნა. სტუდენტი ქურდობაში დაადანაშაულეს, მაგრამ, რადგანაც ორიგინალი უკან დააბრუნა, ბილეთების მოპარვისთვის ვერ განსჯიდნენ. ამ შემთხვევაში ლაპარაკი იყო ინფორმაციის კონფიდენციურობის ხელყოფაზე. სასამართლომ გაათავისუფლა სტუდენტი პასუხისმგებლობისაგან, რადგან მათი კანონით კონფიდენციური ინფორმაცია საკუთრებად არ ითვლება.

ინფორმაცია, თავისი შინაარსით არა მარტო ღირებულებასთან არის დაკავშირებული, არამედ მის აქტუალობასა და მიმართულებასთან (ვისთვისაა განკუთვნილი). აქტუალობის ქვეშ მოიაზრება სიახლე და დანიშნულება, ხოლო მიმართებაში – ინფორმაციის ორიენტაცია კონკრეტულ მიმღებზე. ორივე პარამეტრი კონკრეტულ სიტუაციაზეა დამოკიდებული და იგი მუდმივი არ არის, ამიტომ ძნელი ხდება (ინფორმაციის დატაცებისას) ნამდვილი ზარალის განსაზღვრა. შესამუშავებელია ინფორმაციის ღირებულების მეთოდიკა, რადგან მისი არარსებობა საკმაოდ ამცირებს სამართლებრივი ღონისძიებების ეფექტურობას კომპიუტერულ დანაშაულებში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ინფორმაციის, როგორც სამართლის ობიექტის მიმართ სისხლისამართლებრივი დაცვა შეიძლება განხორციელდეს, თუ განზრახ ან გაუფრთხილებლობით იქნა დარღვეული ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების წესები. ამასთან, ეს დანაშაული სხვადასხვა მიზნითა და მოტივით შეიძლება იქნეს ჩადენილი. სუბიექტებად გამოდიან როგორც თანამდებობის პირები, რომელთაც ინფორმაციის დაცვა ევალებათ, აგრეთვე ცალკეული პირები (ჰაკერები), რომელთაც თავიანთი საქმიანობით მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს ინფორმაციის მფლობელს ან იმ პირს, ვისაც ინფორმაციის შემცველი ცნობები და მონაცემები ეხება. დანაშაულის ობიექტური მხარე ხასიათდება მოქმედებით ან უმოქმედობით, რომელიც კომპიუტერული სისტემის ან ქსელის ექსპლუატაციის წესების დარღვევაში გამოიხატება. ხოლო მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის განსაზღვრული წესების დაუცველობას ან პირდაპირ იგნორირებას გულისხმობს.

7.3. ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოება

ინფორმაციული სისტემების, როგორც სამართლის ობიექტის ადგილი სამართლებრივ ურთიერთობაში განხილულია მე-3 თავის მე-2 პარაგრაფში. ამ პარაგრაფში შევეხებით ინფორმაციული სისტემის, სამართლებრივი დაცვის თავისებურებებს.

ინფორმაციულ სისტემებზე საფრთხის წყაროების მიხედვით 3 ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ:

1. ინტროპოგენული (რომელიც უშუალოდ ადამიანების მიერ იქმნება) – ეს არის მმართველობითი და მომსახურე პერსონალის, პროგრამისტების, მომხმარებლის, საარქივო სამსახურების, ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურის მუშაკების, კრიმინალური სტრუქტურების, არაკეთილსინდისიერი პარტნიორებისა და კონკურენტების განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედება.

2. ტექნოლოგიური (ინფორმაციის დამუშავების უხარისხო ტექნიკური და პროგრამული საშუალებები, კავშირგაბმულობა, სხვა ტექნიკური საშუალებები, რომელიც დაწესებულებებში გამოიყენება; გლობალური ტექნოგენური საფრთხეები – სახიფათო წარმოებები, ენერგოქსელები წყალმომარაგება, ტრანსპორტი და ა. შ.), რომელსაც ელექტროენერგიის რყევების გამო აპარატულ-პროგრამულ საშუალებათა გათიშვა შეუძლია გამოიწვიოს და ა. შ.

3. ბუნებრივი (სტიქიური უბედურება, მაგნიტური ქარიშხალი, რადიოაქტიური ზემოქმედება).

მაგალითად, როგორც მსოფლიო გამოცდილებით დასტურდება, საბანკო სფეროში კომპიუტერულ დანაშაულთა სტატისტიკა ასე გამოიყურება: ფულის ქურდობა – 36%, მომსახურეობის ქურდობა – 34%, ინფორმაციის ქურდობა – 12%, მონაცემთა გაყალბება – 8%, გამოძალვა – 4%, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ზიანის მიყენება – 2%, დანადგარებზე ზიანის მიყენება – 2%.

ეს დანაშაულობები განზრახვით ან გაუფრთხილებლობით არის ჩადენილი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევითი საფრთხეების რეალიზაციის შესაძლებლობა ამ სფეროში საკმაოდ დიდია.

ინფორმაციულ სისტემებზე საფრთხეების ანალიზი და მათი კლასიფიკაცია კარგად არის გადმოცემული პ. ზეგჟდის ანალიტიკურ გამოკვლევებში.[1]

50 ქვეყნის ინფორმაციის დაცვის სფეროში 1600 სპეციალისტის გამოკითხვის შედეგად, რომელიც ჩატარდა „Information Week" და „Pricewaterhouze Coopers" კომპანიების მიერ, დადგინდა რომ ყველაზე გავრცელებულ საფრთხეს – კომპიუტერული ვირუსი წარმოადგენს, თუ 1991წ. ვირუსულ საფრთხის ეფექტურობაზე, გამოკითხულთა 22% საუბრობდა, 1992 წ. ეს რიცხვი – 44%-მდე გაიზარდა, ხოლო 1997 წ. – 60%-მდე. ამასთან, საფრთხე ძირითადად კომპანიების შიგნიდან მომდინარეობს. გამოკითხულ კომპანიათა 58% ვარაუდობს, რომ ერთმა ან რამდენიმე თანამშრომელმა თავიანთი უფლებები ბოროტად

[1]Теория и практика обеспечения информационной безопасности. Под ред. П.А. Зегжды. М. 1996. с. 67

გამოიყენა, 24%- თვლის, რომ კორპორაციულ ქსელებში მოხდა მომხმარებლის უკანონო შეღწევა, 12%-ს მიაჩნია, რომ მიმწოდებლები და მყიდველები ხდებიან საფრთხის წყარო. ზოგიერთის შეფასებით, ყოველწლიურად ვირუსის საფრთხე ორმაგდება, რადგან თვით ანტივირუსული პროგრამები ნარმოადგენს ინფორმაციის დაცვის საშუალებას (გამოკითხულთა 90%).

საერთოდ, საფრთხეთა სრული აცილება შეუძლებელია, რადგან პრობლემაა თვით ასეთი ფაქტების გამოვლენა, შემდეგ კი ინფორმაციულ სისტემებზე მათი ზემოქმედების შემცირების მეთოდები და საშუალებები დროში ჩამორჩება ინფორმაციულ სისტემებზე თავდასხმის ხერხებსა და მეთოდებს.

საფრთხეების გამოვლენა სიხშირეთა მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

1. პროგრამული უზრუნველყოფის ასლირება და მოპარვა, მონაცემებში არასანქციონირებული შეღწევა.

2. მაგნიტურ მატარებლებზე არსებული მონაცემების მოდიფიცირება და განადგურება.

3. სისტემაში არსებული რესურსების არასანქციონირებული გამოყენება.

როგორ შეიძლება შემცირდეს მოსალოდნელი საფრთხეები?

1. მაგნიტურ მატარებელთა და ნაბეჭდი ორიგინალის მოპარვა, დანადგარების გაფუჭება – ორგანიზაციული ღონისძიებებით.

2. ელექტრონული ზემოქმედება და სისტემებში ინფორმაციის გადაჭრა – დაცვის ტექნიკური საშუალებებით.

3. აკუსტიკური არხით ინფორმაციის გადაღება – მოსმენისაგან დამცავი აპარატურით.

4. ელექტრომენერგიის გამორთვა – საინჟინრო ტექნიკური საშუალებებით.

საფრთხის სხვა სახეები საკმაოდ საშიშია და ისინი პროფილაქტიკის კომპლექსურ ღონისძიებებს საჭიროებენ (როგორიცაა ორგანიზაციული, ტექნიკურ-აპარატული, პროგრამულ-მათემატიკური და სამართლებრივი საშუალებები).

მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ დაცვის სისტემების არსებული მოდელი, რომელიც საფრთხეთა გამოვლენისა და ანალიზის შემდეგ დაცვის საშუალებების შექმნას გულისხმობს, დღეს-დღეობით არაეფექტურია და ინფორმაციის უსაფრთხოება ჩიხში შეჰყავს. აუცილებელია, როგორც არსებული ასევე პერსპექტიულ საფრთხეთა პროფილაქტიკა. ინფორმაციის სემანტიკა, როგორც მასთან დაშვების საფუძველი, საშუალებას იძლევა მონაცემების დაცვის სისტემა აგებულ იქნეს მათი ინფორმაციული ღირებულებებიდან გამომდინარე.

ინფორმაციულ სისტემებზე, როგორც არსებული, ისე პერსპექტიული საფრთხეების პროფილაქტიკის კომპლექსური ღონისძიებები მეცნიერთა შორის უსაფრთხოების პოლიტიკის სახელწოდებითაა ცნობილი. ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების პოლიტიკა სამი ნაწილისაგან შედგება:

1. ზოგადი პრინციპები (განსაზღვრავენ სისტემების უსაფრთხოებასთან მიდგომას)

2. მუშაობის წესები (განსაზღვრავენ თუ რა არის დაშვებული, რა აკრძალული. შეიძლება შეივსოს კონკრეტული პროცედურებით).

3. ტექნიკური გადაწყვეტა (ტექნიკური ანალიზი, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკის პრინციპებისა და წესების შესრულებას).

აღსანიშნავია ისიც, რომ თეორიასა და პრაქტიკაში უსაფრთხოების პოლიტიკა, როგორც წესი, არ გულისხმობს დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამიტომ სხვადასხვა დონის ინფორმაციული სისტემების ორგანიზაციული დაცვის მაგალითები და მათი სამართლებრივი დაცვის საკითხები განვიხილოთ ცალ-ცალკე.

I. პერსონალური კომპიუტერის დონე.

ყველაზე დიდი საფრთხე პერსონალურ კომპიუტერს გაუგებარი წარმოშობის დისკეტებიდან, ადვილად გამოსაცნობი პაროლებისა და ცნობისმოყვარე კოლეგებისაგან ემუქრება. ინტერნეტის გაჩენას ახალი პოტენციური საფრთხეებიც მოჰყვა, რაც თავისთავად დაცვის ახალ ტექნიკურ და პროგრამულ საშუალებებს გულისხმობს:

1. უსაფრთხოების პერსონალური კომპლექსი (ანტივირუსული პროგრამიდან დაწყებული მონაცემთა შიფრირებათა და Acaivex და Java – ფილტრებით დამთავრებული).

2. Coorie- ფაილების დისპეჩერი (სამსახურებრივი შეტყობინებები) – პროგრამები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია მოიძებნოს და მოსცილდეს Coorie-ფაილი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ქსელში მომუშავე თვალთვალისათვის – ანუ კონფიდენციალურობის დარღვევისათვის.

3. დაშიფვრის სანდო ალგორითმები – ელექტრონული ფოსტის სარგებლობის ხელშეუხებლობის ერთადერთი საშუალებაა.

II. ლოკალური, კომპიუტერული ქსელის დონე.

ლოკალური ქსელების უსაფრთხოების დაცვა მოითხოვს სპეციალურ სტრატეგიულ კომპლექსს.

ამ დონეზე უსაფრთხოების პოლიტიკას მიაკუთვნებენ:

1. ინფორმაციისა და ინფორმაციული სისტემების დაცვის პრინციპები:

ა). ინფორმაციის შინაარსის მთლიანობა (საშუალებას აძლევს მიმღებს, რომ შეტყობინების შინაარსი მოდიფიცირებული არ არის);

ბ). შეტყობინების თანმიმდევრობის მთლიანობა (საშუალებას აძლევს მიმღებს, რომ შეტყობინების თანმიმდევრობა შეცვლილი არ არის);

გ). ინფორმაციის შინაარსის კონფიდენციურობა (გამგზავნს არწმუნებს იმაში, რომ ადრესატის გარდა, შეტყობინებას არავინ წაიკითხავს);

დ). შეტყობინების წყაროს ავთენდურობა (გამგზავნი მიმღებთან ავთენდურობის შესაძლებლობას ღებულობს);

ე). ინფორმაციის მიწოდების მტკიცებულება (გამგზავნს შეუძლია, დარწმუნდეს შეტყობინების გადაცემის იმ მოწყობილობის იდენტურობაში, რომელსაც იგი მიეწოდა;

ვ). ინფორმაციასთან დაშვების მართვის კონტროლი (შეტყობინების დამუშავების სისტემის ორ კომპონენტს შესაძლებლობას აძლევს დაადგინონ უხიფათო კავშირები);

ზ). ახალი ფუნქციების დამატების გზით პროგრამული უზრუნველყოფის მოდიფიცირებისაგან დაცვა.

2. პერსონალის მართვა (შერჩევა, კონტროლი, უსაფრთხოების წესების დაცვისადმი შეგნებული დამოკიდებულების აღზრდა).

3. ინფორმაციის ფიზიკური დაცვის უზრუნველყოფა, მათ შორის რეგულარული სარეზერვო ასლირება, სისტემაში ყველა მოქმედების აუდიტი და ოქმის შედგენა, ინფორმაციის შიფრირება, კაბელური ქსელების ეკრანირება.

4. სისტემის შრომისუნარიანობის მხარდაჭერა და ვირუსის შეღწევისაგან პროფილაქტიკა.

5. საფრთხის გამოჩენაზე იმწუთიერი რეაგირება.

6. აღდგენითი სამუშაოების წინსწრები დაგეგმვა.

საერთო სახელმწიფოებრივ საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო სისტემებში ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად მიმართულებებს ეკუთვნის:

1. ობიექტებიდან და დაწესებულებებიდან კავშირგაბმულობისა და ტექნიკური საშუალებებით გადაცემული ინფორმაციის გადაჭრის პროფილაქტიკა;

2. დამუშავებულ და შენახულ ინფორმაციასთან არასანქცირებული დაშვების გამორიცხვა;

3. დამუშავებული ინფორმაციის გაჟონვის პროფილაქტიკა გვერდითი ელექტრომაგნიტური გამოსხივებისა და ელექტროაკუსტიკური წარმონაქმნების ხარჯზე;

4. სპეციალური, იმ პროგრამულ-ტექნიკური ზემოქმედების პროფილაქტიკა, რომელსაც შეუძლია ინფორმაციის დამახინჯება ან მოსპობა ან ინფორმატიზაციის საშუალებათა მუშაობის გათიშვა.

ასეთი მიდგომის ორი ნაკლი შეიძლება დავასახელოთ:

1. აღნიშნული მიმართულებები, პირველ რიგში ეხება ინფორმაციულ სისტემაში ცირკულირებული ინფორმაციის დაცვას;

2. დაცვის უზრუნველყოფა წარმოდგენილია საშუალებებისა და ხერხების გარეშე.

მაგალითად, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებათა პირველი პუნქტი – ობიექტებიდან და დაწესებულებებიდან ინფორმაციის გადაჭრის პროფილაქტიკა – მიიღწევა სპეციალური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით, მათ შორის კრიპტოგრაფიული საშუალებით, აგრეთვე ორგანიზაციულ ტექნიკური ღონისძიებების გატარებით.

დამუშავებული და შენახული ინფორმაციის გაჟონვის პროფილაქტიკა მიიღწევა დაცვის ტექნიკური და აპარატული საშუალებით, აქტიური უკუქმედების საშუალებებით, ცალკეული საცავებისა და მთელი შენობის ეკრანირებით, ინფორმაციის საშუალებების გარშემო კონტროლირებადი ზონების შექმნით და სხვა ორგანიზაციული და ტექნიკური საშუალებებით.

ინფორმაციის დამახინჯების ან მოსპობის პროგრამულ-ტექნიკური ზემოქმედების პროფილაქტიკა მიიღწევა დაცვის სპეციალური პროგრამულ-ტექნიკური საშუალებებით, პროგრამული უზრუნველყოფის კონტროლის ორგანიზაციით.

რაც შეეხება ინფორმაციული სისტემების სამართლებრივ დაცვას, აუცილებელია ერთმანეთისაგან გავარჩიოთ ინფორმაციულ სისტემებში არსებული ინფორმაციის სამართლებრივი დაცვა და ინფორმაციულ სისტემებზე უფლების დაცვა.

მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივი დაცვის მიზნებს წარმოადგენს:

1. ინფორმაციულ სისტემებში არსებული ინფორმაციის ბლოკირების, ასლირების, დამახინჯების, მოდიფიკაციის, განადგურების პროფილაქტიკა.

2. ინფორმაციულ სისტემებში არაკანონიერი ჩარევის სხვა ფორმების პროფილაქტიკა.

3. ინფორმაციულ სისტემებში არსებულ პირად საიდუმლოებასა და პერსონალური მონაცემების კონფიდენციურობაზე მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვა.

4. ინფორმაციული სისტემების წარმოებისა და გამოყენების პროცესში სუბიექტთა უფლებების უზრუნველყოფა.

ინფორმაციულ სისტემებზე მესაკუთრის უფლების დაცვა წარმოიშობა კანონიერ საფუძველზე მისი შეძენის (შექმნის) მომენტიდან

და მის მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

ინფორმაციული სისტემების მესაკუთრეს (მფლობელს), შემდეგი უფლებები გააჩნია:

1. ჩართოს თავისი საკუთრების შემადგენლობაში და თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ინფორმაციული სისტემა, როგორც საქონელი (პროდუქცია), მისი ავტორის (შემქმნელის) უფლებების გათვალისწინებით, მათ შორის – გაასხვისოს, გადასცეს სხვას სარგებლობისა და თუ მფლობელობის უფლებით.

2. დამოუკიდებლად განსაზღვროს სისტემით სარგებლობის პირობები;

3. დააწესოს მომხმარებელთათვის გარკვეული შეზღუდვები, სისტემის ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მოითხოვოს მათი შესრულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. გადაწყვიტოს (შეაჩეროს) მომხმარებელთა ინფორმაციულ სისტემებთან დაშვების საკითხი ხელშეკრულების საფუძველზე.

5. მიმართოს ინფორმაციული სისტემების დაცვის საშუალებათა ლიცენზირებისა და სერტიფიცირებისათვის შესაბამის ორგანოებს.

6. მოითხოვოს მესამე პირებისაგან თავი შეიკავონ ინფორმაციულ სისტემებთან უკანონო დაშვებისაგან.

თავისი უფლების რეალიზაციისას ინფორმაციული სისტემის მესაკუთრე ვალდებულია:

1. უზრუნველყოს მის მიერ დადგენილი დაშვების წესების ღიაობა.

2. უზრუნველყოს მომხმარებელთა ინფორმაციასთან დაშვების პირობების შექმნა.

3. უზრუნველყოს ინფორმაციის დაცვის აუცილებელი დონე.

4. დაიცვას ინფორმაციული სისტემის ავტორის უფლებები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ჩაატაროს იმ ინფორმაციული სისტემების სერტიფიცირება, რომლებიც განკუთვნილია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა ინფორმაციული მომსახურებისათვის.

6. განახორციელოს ინფორმაციული სისტემის საერთაშორისო გაცვლის საშუალებათა შემადგენლობაში ჩართვა მხოლოდ საერთაშორისო კოდის არსებობის პირობებში და დადგენილი წესის შესაბამისად.

7. უზრუნველყოს ინფორმაციის დაცვასა და სპეციალურ პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციისა და ინფორმაციის დაცვის კონტროლი.

8. აცნობოს ინფორმაციული რესურსების მესაკუთრეს ინფორმაციის დაცვის რეჟიმის დარღვევის ყველა ფაქტთან დაკაშირებით.

უფლებათა და მოვალეობათა ეს ჩამონათვალი ინფორმაციული სისტემების მესაკუთრეს ეხება (და არა მოსარგებლეს). ამასთან, სახელმწიფოს ვალდებულებაა, განსაზღვროს, როგორც ღია ისე დახურულ არასახელმწიფოებრივ სისტემების შექმნისა და ფუნქციონირების პროცესების რეგულირებაში თავისი მონაწილეობის ხარისხი. მოქმედ კანონმდებლობაში სათანადო ასახვა ჯერჯერობით ვერ ჰპოვა ნორმებმა, რომელიც სანდო და უხიფათო ინფორმაციული სისტემების შექმნის ან მათი ხარისხიანი და უხიფათო ექსპლუატაციის ვალდებულებას გაითვალისწინებდა, აგრეთვე მესაკუთრის (მფლობელის) პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმები, სტანდარტებისა და უსაფრთხოების ნორმების შეუსაბამო ინფორმაციული სისტემების შექმნის, ფუნქციონირებისა და ექსპლუატაციისათვის. ამიტომ კონსტიტუციით აღიარებულ ინფორმაციული უფლებებისა და თავისუფლებების უმეტესი ნაწილის რაელიზაცია შეუძლებელი ხდება.

ინფორმაციის გაცვლაში ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები აგებული უნდა იყოს საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების პრინციპების დაცვით:

1. „ინფორმაციული იარაღის" შექმნის, გამოყენებისა და გავრცელების აკრძალვა.

2. საერთაშორისო ინფორმაციული გაცვლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

3. მსოფლიო თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია კომპიუტერულ დანაშაულთა პროფილაქტიკის სფეროში.

ინფორმაციული სისტემების დაცვის თვალსაზრისით კანონმდებლობა სერიოზულ უნიფიცირებას მოითხოვს, რადგან კიბერნეტიკული სივრცე ეროვნულ საზღვრებს არ იცნობს. ასეთი პოლიტიკის განხორციელების წანამძღვრები გამოჩნდა ევროკავშირის, ევროსაბჭოსა და დსთ-ს ქვეყნებში, თუმცა, ეროვნული კანონმდებლობა და ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები ქვეყნის ინფორმაციული უსაფრთხოების გარანტიებს არ შექმნის, საერთაშორისო ინფორმაციული გაცვლის სისტემებში თანამშრომლობა ქვეყნის წინააღმდეგ ინფორმაციული იარაღის და ინფორმაციული ომის წარმოების მაღალ რისკს იწვევს.

7.4. ინტერნეტი, როგორც საერთაშორისო ინფორმაციული სისტემა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ღონისძიებები.

ინტერნეტში საქმიანობის სამართლებრივ პრობლემებზე გარკვეულწილად საუბარი გვქონდა მე-3 თავის მე-3 პარაგრაფში. აქ შევეხებით ინტერნეტის, როგორც ღია, საერთაშორისო, არასახელმწიფო ინფორმაციული სისტემის უსაფრთხოების საკითხებს.

1990-იანი წლებიდან ინტერნეტი, როგორც საერთაშორისო საინფორმაციო კვანძი, საქართველოშიც გაიხსნა. დღესდღეობით 50-მდე პროვაიდერი უზრუნველყოფს მილიონზე მეტი ინდივიდუალური და კომპიუტერული მომხმარებლის ქსელში ჩართვას. დღესდღეობით, მსოფლიოში დაგროვილია 54 მლნ-ზე მეტი ჰიპერტექსტული დოკუმენტი. ეს ინფორმაცია, პირველ რიგში, ეხება ბიზნესს, ეკონომიკას, კულტურას, გართობას. ქსელში განთავსებული ინფორმაცია საქართველოს შესახებ საკმაოდ მცირეა.

ბოლო პერიოდში ინტერნეტის ყველაზე პოპულარულ ნაწილს – მსოფლიო ინფორმაციულ ობობას (Word-Wide Web) უწოდებენ. ამერიკელი ექსპერტების ცნობით, მსოფლიო ინფორმაციული ობობა წელიწადში 2-ჯერ იზრდება. ისევე, როგორც ყოველწლიურად ელექტრონული ფოსტით მოსარგებლეთა რიცხვი. დღესდღეობით ინტერნეტის დახასიათებისათვის მასში სამ დონეს გამოყოფენ:

პირველი დონე – ეს არის ათი ათასობით კომპიუტერულ საკომუნიკაციო ქსელის გლობალური გაერთიანება სხვადასხვა სტატუსის მქონე 6 მლნ-ზე მეტი კომპიუტერით. ამ დონეზე ინტერნეტის შესაძლებლობებს დახურული სისტემებიც იყენებენ (უწყებრივი, სახელმწიფებრივი, პროფესიული და ა. შ.), რომლებიც ერთმანეთს შორის კავშირს იგივე ქსელის მეშვეობით ამყარებენ.

მეორე დონე – პროგრამული საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა ქსელურ მომსახურებას. ეს მომსახურებაცაა და ფოსტის გადაცემის შესაძლებლობაც, მონაცემთა გადაცემაც და მონაცემთა ბანკების მოძებნაც. უფრო მეტი, იგი მსოფლიო ობობაცაა, რომელმაც ჰიპერტექსტის გამოყენება გახადა შესაძლებელი და იგი მულტიმედიის საშუალება გახდა.

მესამე დონე – ეს არის სხვადასხვა ტიპის და მნიშვნელობის ინფორმაცია, რომელიც ქსელში ცირკულირდება (კონფერენციები, ახალი ამბები, მონაცემთა ბანკები, საბირჟო, სავაჭრო, საბანკო ოპერაციები, საინფორმაციო სააგენტოები, ელექტრონულ-სამეცნიერო ჟურნალები, ინტერნეტის გზამკვლევები და სხვა). ჩვენ ინტერნეტს, როგორც ინფორმაციული სისტემის უსაფრთხოებას განვიხილავთ პირველ და მეორე დონეზე.

რა არის ინტერნეტი?

ა) ესაა უნიკალური ერთობლიობა ლოკალური რეგიონალური და ეროვნული კომპიუტერული ქსელებისა და მონაცემთა გაცვლის უნივერსალური ტექნოლოგია, სადაც არ არსებობს მმართველობის ცენტრალიზებული სისტემა (კოორდინატორის როლს ასრულებს ინტერნეტში მონაწილეთა საზოგადოება – ISOC).

ბ) ესაა სისტემა, რომელიც ინფორმაციული ურთიერთობის საშუალება გახდა მილიონობით ადამიანებისა სხვადასხვა ქვეყნებში.

გ) იგი არ იცნობს ეროვნულ საზღვრებს (საზღვარგარეშეა), რაც მას ხარისხობრივად ახალ მოვლენად აქცევს მსოფლიო თანამეგობრობაში.

დ) უიშვიათესი საშუალებაა ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

ე) წარმოადგენს რა ინფომაციის მასობრივი გავრცელების ახალ საშუალებას, ამავე დროს, პოლიტიკური აგიტაციისა და პოლიტიკური გამონათქვამების ტრიბუნად იქცევა.

ვ) მსოფლიოს შემეცნებისა და ცოდნის შეძენის მასიური ინსტრუმენტია.

ზ) უახლესი პროგრამული და ინსტრუმენტული ტექნოლოგიების შემუშავების ობიექტია, რაც მას მომავალში რევოლუციური განვითარების შესაძლებლობას უწინასწარმეტყველებს.

სრულმასშტაბიანი ინტერნეტი – სტანდარტული ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით სრულად ფუნქციონირებადი ყოვლისმომცველი ინფორმაციული გარემოს, ინფორმაციის ერთობლივი გამოყენების კარგი საშუალებაა, რომელიც ღია ქსელური ტექნოლოგიების საფუძველზეა აგებული. ამიტომ ღია სისტემების სტანდარტები დღესდღეობით ფაქტიურად ინფორმაციული სისტემების სტანდარტებად იქცა: ქსელური დანადგარებით მართვა (SNMP), ელექტრონული ფოსტა (SMTP, IMAP, MIME), ტელეკონფერენცია (NNTP) ინფორმაციული სერვისი (HTTP, HTML); საცნობარო სამსახური (LDAP); პროგრამირება (Java). ინტერნეტის ღია სტანდარტები საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს სხვადასხვა სახის დანართები, რომლებიც კონკურენციას უწევენ დახურულ სისტემებს (როგორიცაა Lotus Notes და Microsoft Bach office).

ინტერნეტი ერთიან ინფრასტრუქტურას წარმოადგენს, რომელშიც მომსახურების ორი სახე შეიძლება გამოვყოთ – სამომხმარებლო და ქსელური. სამომხმარებლო სერვისში გამოყოფენ მომსახურების 4 ძირითად ტიპს: დოკუმენტთა შექმნა და პუბლიკაცია, სამუშაოს კოორდინაცია და ინფორმაციული სისტემის მომხმარებელთა ურთიერთკავშირი, ელექტრონული ფოსტის სისტემა და კოლექტიური მუშა-

ობის საშუალება (groupware), ნავიგაცია (ინფორმაციის სწრაფი მოძიება); დანართებთან დაშვება. ქსელურ სერვისს მიეკუთვნება: ცნობარები – ადამიანებსა და რესურსებზე, ინფორმაციის მართვა (ერთიანი საცნობარო სამსახური), რეპლიკაცია – მონაცემთა გამჭირვალე გავრცელება ქსელის მეშვეობით, უსაფრთხოება, მართვა. თავის მხრივ დანართები იყოფა სამ ჯგუფად: საბაზო, რომელიც ინტერნეტში წარმოდგენილია სტანდარტული საშუალებების სახით: ელექტრონული ფოსტა, კოლექტიური საქმიანობის საშუალება, ტელეკონფერენცია, საკომპიუტერო ტელეფონი, ინფორმაციის ერთობლივი გამოყენება და შენახვა, ნავიგაცია და ძიება, ცნობარები, დანართები, რომლებიც პროგრამული უზრუნველყოფის დამოკიდებულ მწარმოებელთა მიერ არის შეთავაზებული, დანართები, რომლებიც სპეციალურადაა შემუშავებული თითოეული ორგანიზაციის საჭიროებისათვის, მონაცემთა ბაზები, გამოკვლევები, პროექტები, გაყიდვა და მარკეტინგი, საკადრო და საფინანსო დანართები, პარტნიორებთან და მიმწოდებლებთან ურთიერთკავშირი.

ინტერნეტის სისტემის განვითარების ძირითად ტენდენციებს მიეკუთვნება: ინტელექტუალური ქსელების ძიება, ნავიგატორთა მაღალი ინტერაქტიურობა Jav-ტექნოლოგიების გამოყენებით, ქსელური კომპიუტერები, ნავიგატორის ინტერფეისის გადაქცევა კომპიუტერის უნივერსალურ ინტერფეისად.

ელექტრონულ თანამეგობრობაში პროცესების სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობისა და ფარგლების შესახებ საკითხის განხილვისას სპეციალისტები სხვადასხვა მოსაზრებას ავითარებენ ინტერნეტის სრულ თვითრეგულირებიდან დაწყებული, უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტით, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი მონაწილეობით დამთავრებული. ქსელის მესაკუთრის ვალდებულება, უზრუნველყოს ქსელის მართვის სისტემის უსაფრთხოება, ხოლო ქსელის მოსარგებლის უფლება, ისარგებლოს თავისი საკუთარი ინფორმაციის დაცვის მომსახურებით, ასევე სახელმწიფო რეგულირების ფარგლებს გულისხმობს.

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ სახელმწიფო ორგანოთა მიერ ახალი ქსელური ტექნოლოგიების გამოყენება დადებით გავლენას ახდენს საზოგადოებასა და სახელმწიფოს ურთიერთკავშირზე. ელექტრონული წარმომადგენლობების გამოჩენა და უკუკავშირის შესაძლებლობა სახელმწიფო ორგანოებთან, აადვილებს საკანონმდებლო – ნორმატიულ ინფორმაციასთან დაშვებას. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ სისტემა ამსტერდამში (ჰოლანდია), სადაც მიღებულია „ციფრული ქალაქის“ კონცეფცია, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტის მთელი ინფორმაცია მთლიანად ქვეყნდება ინტერნეტში. სახელმწიფო

მოხელეები ვალდებულნი არიან რეაგირება გააკეთონ მიმართვებზე. ანალოგიური პროგრამები მოქმედებს სკანდინავიის ქვეყნებში.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტს უამრავი დადებითი ეფექტი გააჩნია, რამდენიმეჯერ იზრდება ასეთი სისტემების სახიფათო როლი, რომელიც პირობითად, ტექნოლოგიურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ორგანიზაციულ სამართლებრივ ჯგუფებს შეიცავს.

ბ. გუტმანი და რ.ბეგვილი ტექნოლოგიურ პირობების შემდეგ დახასიათებას გვთავაზობენ:

ა) ზოგიერთი სერვისი უსაფრთხო არ არის და შესაძლებელია მათი ბოროტად გამოყენება;

ბ) ინტერნეტით ვაჭრობის უმეტესობა დაშიფრული არ არის; ელექტრონული ფოსტა, პაროლები და გადაცემული ფაილები შეიძლება ჩაჭრილი იქნეს ადვილადხელმისანვედომი პროგრამების გამოყენებით, რომლის შემდეგ ბოროტადმოსარგებლეს შეუძლია გამოიყენოს პაროლი სისტემაში შესაღწევად;

გ) უსაფრთხოების პოლიტიკის არარსებობა – მრავალი ქსელი შეიძლება კონფიგურირებული იყოს ინტერნეტიდან მასთან დაშვების შესაძლებლობით;

დ) კონფიგურირების სირთულე ტექნოლოგიურ პრობლემებს ქმნის. არასწორად კონფიგურირებული საშუალებები ხშირად არაავტომატიზირებული დაშვების შესაძლებლობას იძლევიან.[1]

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს საქართველოში შეიძლება მივაკუთვნოთ:

ა) ინფორმაციული კულტურის უკიდურესად დაბალი დონე და კომპიუტერულ თაღლითთა მაღალი დონე, რომელთაც შეუძლიათ ეროვნულ და საერთაშორისო ქსელებში ჩართვა და ზიანის მიყენება.

ბ) მოსახლეობის დაბალი ფინანსური შესაძლებლობები კომპიუტერის შეძენის და ქსელში მიერთებისათვის (დღესდღეობით საშუალო დონის კომპიუტერის ფასი 10-15 ჯერ მეტია საშუალო თვიურ შემოსავალზე, ხოლო ქსელში ჩართვა დაახლოებით 100$-ის ექვივალენტია და დამოკიდებულია სამუშაოს შესრულების მოცულობაზე. შედარებისათვის: აშშ-ში ქსელით სარგებლობისათვის თვეში 20$-ია დანესებული, მიუხედავად სამუშაოს მოცულობისა.

გ) სახელმწიფოს შესაძლებლობა არ აქვს შექმნას მაგისტრალური ტელეკომუნიკაციები საკუთარი საშუალებების ხარჯზე. ამ მიზნისათვის საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვა, ერთის მხრივ, საშუალებას იძლევა განვითარდეს ქსელური ინფრასტრუქტურა, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოს ამ ქსელის მეპატრონეზე დამოკიდებულს ხდის.

---

[1] Барбара Гутман, Роберт Бегвим. Политика безопасности при работе в интернете. Техническое руководство. М. 1997.

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგანიზაციულ-სამართლებრივ პირობებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

ა) ტრადიციული ინფორმაციული კანონმდებლობის ჩამორჩენა ინფორმაციული ურთიერთობების განვითარების დონესთან;

ბ) ინტერნეტის თვისება, რომ მას საზღვრები არ გააჩნია, ახალ სატელეკომუნიკაციო სივრცესთან ეროვნული კანონმდებლობის შეუსაბამობას ითხოვს;

გ) ტელეკომუნიკაციები ქმნიან ახალ შესაძლებლობებს არა მარტო შრომისა და დასვენებისათვის (ტელემედიცინა, ტელეგანათლება, ტელეაღზრდა), არამედ სამართალ-დარღვევებისთვისაც: ინტელექტუალური საკუთრების უფლების გარღვევა; მართვის სისტემაში შეღწევა, ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, არაკეთილსინდისიერი რეკლამის გავრცელება, თაღლითური კომერციული ოპერაციების წარმოება, კონფიდენციალურ ინფორმაციასთან არასანქცირებული დაშვება, ინფორმაციულ გაცვლებში პიროვნების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დარღვევა.

რიგი ავტორების მოსაზრებით, ინტერნეტი და ინფორმაციული უსაფრთხოება შეუთავსებელი ცნებებია, თვით ინტერნეტის ბუნებიდან გამომდინარე. იგი გაჩნდა, როგორც კორპორაციული ქსელი, დღესდღეობით კი, არამარტო კორპორაციული, არამედ საუწყებო ქსელებსაც აერთიანებს. ინტერნეტით სარგებლობისათვის საფასურის გადახდა სულ უფრო ამცირებს ინფორმაციული უსაფრთხოების შესაძლებლობებს. ამიტომ, ინტერნეტით სარგებლობის დროს კომპიუტერები და ორგანიზაციები იყენებენ ფილტრებს (firewall) შიდა ქსელსა და ინტერნეტს შორის.

ინტერნეტის შემდგომი განვითარება საქართველოში არა მარტო ტექნიკური ბაზის მდგომარეობაზეა დამოკიდებული, არამედ წინმსწრები, შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმნაზეც, რაც თავისთავად ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის რეალიზაციის საფუძველი იქნება. ამ მიზნით აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. კავშირგაბმულობის ნაციონალური ქსელების მხარდამჭერი კანონმდებლობის მიღება.

2. ინტერნეტში საქმიანობის მოდელური კოდექსის შემუშავება.

3. ისეთი პროგრამული და ტექნიკური საშუალებების მხარდაჭერა, რომელთაც შეუძლიათ, როგორც ინტერნეტში დაშვების, ასევე შეურაცხმყოფელი და მავნე ზეგავლენის მქონე ინფორმაციის ბლოკირება.

4. ინფორმაციული უსაფრთხოების ეროვნული პროგრამის შემუშავება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის ჩათვლით.

5. მოსამართლეთა (მათ შორის არბიტრაჟების) მომზადების სისტემის შექმნა ინტელექტუალური საკუთრებისა და კომპიუტერული დანაშაულობების პრობლემებზე.

6. სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციების განსაზღვრა ინტერნეტის გამოყენების რეგულირებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს ფუნქციათა გამიჯვნას ინფორმაციული სისტემების შექმნას და ამ სისტემების მდგომარეობაზე კონტროლს.

7. არასახელმწიფოებრივი ცენტრის შექმნა სამეცნიერო გამოკვლევებისა და ამ საშუალებათა სერტიფიცირებისათვის.

8. ინვესტიციების მოზიდვა ამ სფეროს განვითარებისათვის (როგორც შიდა, ისე უცხოური).

ინტერნეტი, როგორც საერთაშორისო, არასახელმწიფო ინფორმაციული სისტემა ერთადერთი არ არის, რომელიც ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებას უზრუნველყოფს. ასეთი სისტემები მრავალი შეიქმნება, მაგრამ ერთი ცხადია, რომ ინფორმაციული უფლებების განხორციელების გარანტიები უსაფრთხოების ღონისძიებების აუცილებელ კომპლექსს მოითხოვს.

ინფორმაციული სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტები და მათგან ამონაკრები

ნორმატიული აქტები და მათგან ამონაკრები თანდართულია საკონტროლო ეგზემპლიარების სახით, ანუ ძირითად აქტში ოფიციალურად შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით.

მოყვანილია ის საერთაშორისო შეთანხმებები, კონვენციები, ოქმები, ხელშეკრულებები, რომლებიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ და სფეროში ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ვალდებულებას ითვალისწინებს. ნორმატიული აქტების კოდიფიკაცია ეფუძნება სისტემა „კოდექსის" მონაცემთა ბაზას. 2004 წლის 1 ივლისის მდგომარეობით.

ნიკოლოზ გოგილიძე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადმინისტრირებადი კონვენციები:

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

(მიღებულია 1948 წლის 10 დეკემბერს)

მუხლი 1

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.

მუხლი 3

ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

მუხლი 12

არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ასდა მისი პატივისა და რეპუტაციისა.

ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.

მუხლი 18

ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა;

ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღსრებლობისა როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წესჩვეულებათა შესრულებაში საჯაროთუ კერძო წესით.

მუხლი 19

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

(საქართველოში ძალამია საქართველოს უმენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით)

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

(მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს)

მუხლი 9

1. თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ შეიძლება თვითნებურად დააკავონ ან დააპატიმრონ. არავის შეიძლება თავისუფლება აღუკვეთონ სხვაგვარად, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლისა და პროცედურისა;

2. თითოეულ პირს დაკავების დროს უნდა ეცნობოს მისი დაპატიმრების მიზეზები და მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების შესახებ.

3. სისხლის სამართლის ბრალდებით დაპატიმრებული ან დაკავებული ყოველი პირი დაუყოვნებლივ უნდა წარსდგეს მოსამართლის ან სხვა თანამდებობის პირის წინაშე, რომელსაც კანონით უფლება აქვს განახორციელოს სასამართლო ხელისუფლება და უფლება აქვს გონიერული ვადის მანძილზე მოთხოვოს სასამართლო გარჩევა ან გათავისუფლება. სასამართლო გარჩევაზე პირის დაკავება ზოგად წესად არ უნდა იქცეს, მაგრამ მათი გათავისუფლება შეიძლება დამოკიდებული იყოს სასამართლოში გამოცხადების, სასამართლო გარჩევის ყველა სტადიაში გამოცხადებისა და, საჭიროების შემთხვევაში, განაჩენის შესასრულებლად გამოცხადების გარანტიების არსებობაზე.

4. თითოეულს პირს, ეისაც თავისუფლება აღეკვეთა დაკავების ან პატიმრობის შედეგად, უფლება აქვს მისი საქმე გაარჩიოს სასამართლომ, რათა სასამართლომ დაუყოვნებლივ გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დაკავების კანონიერების ან უკანონო დაკავების შემთხვევაში გათვალისწინების თაობაზე.

5. თითოეულ პირს, რომელიც უკანონო დაკავების ან პატიმრობის მსხვერპლი გახდა, აქეს კომპენსაციის უფლება.

მუხლი 17

1. არავინ უნდა განიცადოს თვინებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებელის შეუვალობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა.

2. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.

მუხლი 18

1. თითოეული ადამიანი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით. ეს უფლება შეიცავს თვისუფლებას საკუთარი შესედულებისამებრ ქონდეს ან მიიღოს რელიგია ან მრწამსი და

თავისუფლად აღიარებდეს თავის რელიგიასა და მრწამსს როგორც ცალკე, ისე სხვებთან ერთად, საჯარო თუ კერძო წესით, ასრულებდეს და გამოხატავდეს საკუთარ რელიგიას ლოცვით, და მოძღვრებითა და სწავლებით.

2. არავინ უნდა დაექვემდებაროს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას ქონდეს ან მიიღოს საკუთარი არჩევანის რელიგია ან მრწამსი.

3. რელიგიისა მრწამსის აღიარების თავისუფლების შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ, კანონით დადგენილია შემთხვევებში და საზოგადოების უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.

4. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ მშობელთა და, შესაბამისად კანონიერ მეურვეთა საკუთარი მრწამსის შესაბამისად უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და მნეობრივი აღზრდა.

მუხლი 19

1. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი ვინმეს ჩარევის გარეშე;

2. თითოეულ ადმიანს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად მოეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით ან პრესისა და გამოხატვის მხატვრული საშუალებებით ან საკუთარი არჩევანით სხვა საშუალებით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებულ მოვალეობასა და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. შესაბამისად, შეიძლება დაკავშირებული იყოს ზოგიერთ შეზღუდვასთან, რომლებიც უნდა იყოს კანონით დადგენილი და აუცილებელი:

a) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციისათვის;

b) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ მნეობის დასაცავად.

(საქართველო შეუერთდა პარლამენტის 1994 წლის 25 იანვრის დადგენილებით)

ბავშვთა უფლებათა კონვენცია

(მიღებულია 1989 წლის 29 ნოემბერს)

მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის უფლებას აზრის, სინდისის და სარწმუნოების თავისუფლებაზე.

2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობელთა და შესაბამის შემთხვევაში მეურვეთა უფლებებისა და მოვალეობებს უხელმძღვანელონ ბავშვს მისი უფლების განხორციელებაში იმ მეთოდით, რომელიც ეთანხმება ბავშვის განვითარებად უნარს.

3. სარწმუნოების ან რწმენის აღსრულების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ზნეობრიობისა და ჯანმრთელობის ან სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის.

მუხლი 16

1. არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობაზე ან კორესპონდენციის საიდუმლოებაზე მისი უფლების განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი.

2. ბავშვს უფლება აქვს, რომ კანონმა დაიცვას მსგავსი ჩარევისა ან ხელყოფისაგან.

მუხლი 17

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვან როლს და უზრუნველყოფენ ბავშვისთვის ინფორმაციისა და სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან მიღებული მასალების, განსაკუთრებით ისეთი ინფორმაციებისა და მასალების მისაწვდომობას, რომელთა მიზანია ბავშვის სოციალური, სულიერი და მორალური კეთილდღეობის, აგრეთვე, ჯანსაღი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები-

a) წაახალისებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს იმ ინფორმაციისა და მასალების გასავრცელებლად, რომლებიც სასარგებლოა ბავშვისათვის სოციალური და კულტურული თვალსაზრისით და გამოხატავს 29-ე მუხლის სულისკვეთებას;

b) წაახალისებენ საერთაშორისო თანამშრომლობას სხვადასხვა კულტურული, ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან ასეთი ინფორმაციისა და მასალების მომზადებაში, გაცვლასა და გავრცელებაში;

c) წაახალისებენ საბავშვო ლიტერატურის გამოშვებასა და გავრცელებას;

d) წაახალისებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რათა ისეთი განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ ბავშვის ენობრივ მოთხოვნილებებს, რომელიც მიეკუთვნება რომელიმე უმცირესობის ჯგუფს ან მკვიდრ მოსახლეობას;

e) წაახალისებენ იმ ინფორმაციისა და მასალებისადმი ბავშვის ღიაცვის სათანადო პრინციპების დამუშავებას, რომელთაც შეიძლება მოიაქციონ მისი კეთილდღეობისათვის მე-13 და მე-18 მუხლების ღებულებათა გათვალისწინებით.

(საქართველოში ძალაშია 1994 წლის 21 აპრილიდან)

ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ

მუხლი 3

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყანაში მოქმედ სისხლის სამართალთან ან პენიტენციალურ სამართალთან შემდეგი ქმედებების შესაბამისობას, იმის და მიუხედავად, ჩადენილია თუ არა დანაშაული ქვეყანაში ან მის ფარგლებს გარეთ, ერთი პირის თუ ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

(a) მე–2 მუხლით გათვალისწინებული ბავშვებით ვაჭრობა:

(i) ნებისმიერი საშუალებით ბავშვის შეთავაზება, გადაცემა ან მიღება შემდეგი მიზნებისათვის:

a. ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია;

b. ბავშვის ორგანოების გადაცემა ანაზღაურების მისაღებად;

c. ბავშვის გამოყენება იძულებით სამუშაოებზე;

(ii) შეილად აყვანის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების დარღვევით ბავშვის შვილად აყვანისათვის შუამავლის იძულებითი თანხმობის უკანონოდ მოპოვება;

(b) მე–2 მუხლით გათვალისწინებული ბავშვის შეთავაზება, მიღება, მიწოდება ან ბავშვებით უზრუნველყოფა პროსტიტუციის მიზნით:

(c) მე – 2 მუხლით გათვალისწინებული ბავშვთა პორნოგრაფიის წარმოება, გადანაწილება, გავრცელება, იმპორტი, ექსპორტი, შეთავაზება, გაყიდვა ან შენახვა ზემოთ აღნიშნული მიზნებისათვის;

2. მონაწილე სახელმწიფოთა საკანონმდებლო ღებულებების შესაბა-

მისად ანალოგიური ზომები გამოიყენება ნებისმიერი აღნიშნული ქმედების ჩადენის მცდელობის მიმართ ან ნებისმიერ აღნიშნულ ქმედებაში თანამონაწილეობის ან მონაწილეობის მიმართ.

3. თითოეული მონაწილე სახელმწიფო ითვალისწინებს აღნიშნული დანაშაულისათვის შესაბამის სასჯელს მისი სიმძიმის ხარისხიდან გამომდინარე.

4. თითოეული მონაწილე სახელმწიფო, საჭიროებისამებრ, თავისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღებს ზომებს მოცემული მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევისათვის იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობის დადგენის მიზნით. მონაწილე სახელმწიფოს სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად იურიდიულ პირთა ეს პასუხიმგებლობა შეიძლება იყოს სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივი, ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

4. მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ ყველა სათანადო სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ზომებს, რაითა უზრუნველყონ, რომ ბავშვის შეილად აყვანის საქმეში მონაწილე ყველა პირი მოქმედებდეს სათანადო საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

(რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 27 სექტემბრის N 1675-I ს დადგენილებით)

რომის კონვენცია
შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ[1]

(მიღებულია 1961 წლის 26 ოქტომბერს)

მონაწილე სახელმწიფოები,რომლებსაც ამოძრავებთ შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებების დაცვის სურვილი, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1
[საავტორო უფლებების დაცვა]

ამ კონვენციით მინიჭებული დაცვა არ ლახავს და ზიანს არ აყენებს ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების დაცვას. აქედან გამომდინარე კონვენციის არც ერთი დებულება არ უნდა იყოს გაგებული, როგორც ზიანის მიყენება ასეთი დაცვისთვის.

მუხლი 2
[კონვენციით მინიჭებული დაცვა. ეროვნული რეჟიმის განსაზღვრება]

1. ამ კიონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული რეჟიმი ნიშნავს რეჟიმს, რომელსაც მონაწილე სახელმწიფო, რომელშიც მოთხოვნილია დაცვა, ეროვნული კანონმდებლობით აერცელებს:

ა) შემსრულებლებზე, რომლებიც არიან მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეები, იმ შესრულებებთან დაკავშირებით, რომლებიც შესრულდა, ეთერში გადაიცა, ან პირველად ჩაიწერა მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

ბ) ფონოგრამების მწარმოებლებზე, რომლებიც არიან მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეები, იმ ფონოგრამებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე პირველად ჩაიწერა ან გამოცა;

გ) მაუწყებლობის ორგანიზაციებზე, რომელთა შტაბ-ბინები განლაგებულია (ადგილსამყოფელია) ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, იმ გადაცემებთან დაკავშირებით, რომლებიც გადაიცა მის ტერიტორიაზე განლაგებული გადაცემების მეშვეობით.

2. ეროვნული რეჟიმი უნდა შეესაბამებოდეს ამ კონვენციით უბრუნველყოფილ სპეციალურ დაცვის და განსაზღვრულ სპეციალურ შებღუდვებს.

---

[1] გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ერთად ამ კონვენციას ადმინისტრირებას უწევს კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია

მუხლი 3

[განსაზღვრება: (ა) შემსრულებლები, (ბ) ფონოგრამა; (გ) ფონოგრამების დამამზადებლები; (დ) გამოცემა; (ე) რეპროდუცირება; (ვ) ეთერში გადაცემა; (ზ) ეთერში ხელმეორედ გადაცემა]

ამ კონვენციის მიზნებისათვის:

ა) «შემსრულებლები" ნიშნავს მსახიობებს, მომღერლებს, მუსიკოსებს, მოცეკვავეებს და სხვა პირებს, რომლებიც თამაშობენ როლს, მღერიან, კითხულობენ, დეკლამირებენ, უკრავენ, ან სხვაგვარად ასრულებენ ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებებს;

ბ) «ფონოგრამა" ნიშნავს შესრულების ხმების ან სხვა ხმების მხოლოდ ხმოვან ჩანაწერს;

გ) «ფონოგრამების დამამზადებელი" ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელმაც პირველად ჩაწერა შესრულების ხმები ან სხვა ხმები;

დ) «გადაცემა" ნიშნავს ფონოგრამის ასლების საზოგადოებისთვის გასიერკული რაოდენობით შეთავაზებას;

ე) «რეპროდუცირება" ნიშნავს ჩანაწერის ასლის ან ასლების დამზადებას;

ვ) «მაუწყებლობა" ნისნავს საზოგადოებისათვის ხმების ან/და გამოსახულებების გადაცემას უმავთულო საშუალებებით;

ზ) ეთერში ხელმეორედ გადაცემა ნიშნავს ერთი სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ სხვა სამაუწყებლო ორგანიზაციის გადაცემის ერთდროულ გადაცემას ეთერში.

მუხლი 4

[დაცული შესრულება. შემსრულებლთათვის დაცვის მინიჭების პირობები]

ყოველმა მონაწილე სახელმწიფო შემსრულებელზე უნდა გაავრცელოს ეროვნული რეჟიმი, თუ დაკმაყოფილებულია რომელიმე შემდეგი პირობა:

ა)შესრულება სრულდება სხვა მონაწილე სახელმწიფოში;

ბ)შესრულება ჩართულია ფონოგრამაში, რომელიც დაცულია ამ კონვენციის მე-5 მუხლით;

გ)შესრულება, რომელიც არ არის ჩაწერილი ფონოგრამაზე, გადაცემა მაუწყებლობის მეშვეობით, რომელიც დაცულია ამ კონვენციის მე-6 მუხლით.

მუხლი 5

[დაცული ფონოგრამები: 1. დაცვის მინიჭების პირობები ფონოგრამების დამამზადებლებისათვის; 2.ერთდროული გამოცემა; 3. გარკვეული კრიტერიუმების ამოღების უფლება-მოსილება]

1. ყოველმა მონაწილე სახელმწიფო ფონოგრამების მწარმოებლებზე უნდა გაავრცელოს ეროვნული რეჟიმი, თუ:

2. ფონოგრამის მწარმოებელი სხვა მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეა* (ეროვნული კრიტერიუმი);

ბ) ხმის პირველი ჩაწერა განხორციელდა სხვა მონაწილე სახელმწიფოში (ჩაწერის კრიტერიუმი);

გ) ფონოგრამა პირველად გამოიცა სხვა მონაწილე სახელმწიფოში (გამოცემის კრიტერიუმი).

2. თუ ფონოგრამა პირველად გამოიცა სახელმწიფოში, რომელიც არ მონაწილეობს კონვენციაში პირველი გამოცემიდან ოცდაათი დღის განმავლობაში მოხდა მისი გამოცემა მონაწილე სახელმწიფოში (ერთდროული გამოცემა), ფონოგრამა ჩაითვლება პირველად გამოცემულად მონაწილე სახელმწიფოში.

3. ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ შეტყობინების საშუალებით, რომლის დეპონირებაც უნდა მოხდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან, შეიძლება განაცხადოს, რომ იგი არ გამოიყენებს გამოცემის კრიტერიუმს, ან არჩევით, ჩაწერის კრიტერიუმს. შეტყობინების დეპონირება შეიძლება განხორციელდეს კონვენციის რატიფიკაციის, მიღების, მასთან შეერთების, ან ნებისმიერ სხვა დროს; ბოლო შემთხვევაში შეტყობინება ძალაში შევა მისი დეპონირებიდან 6 თვის შემდეგ.

მუხლი 6

[დაცული მაუწყებლობა: 1. დაცვის მინიჭების პირობები სამაუწყებლო ორგანიზაციებისთვის; 2. დათქმის უფლება]

1. ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეროვნული რეჟიმის გაერცელება მაუწყებლობის ორგანიზაციაზე, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი რომელიმე პირობა:

ა) მაუწყებლობის ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს სხვა მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

ბ) მაუწყებლობა განხორციელდა გადაცემიდან, რომელიც სხვა მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზეა განთავსებული.

2. ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ შეტყობინების საშუალებით, რომლის დეპონირებაც უნდა მოხდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენარალურ მდივანთან, შეიძლება განაცხადოს, რომ ის დაიცავს მაუწყებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებლობის ორგანიზაციის შტაბ-ბინა სხვა მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზეა და მაუწყებლობა ხორციელდება იმ გადაცემის მეშვეობით, რომელიც ამავე მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზეა განთავსებული. შეტყობინების დეპონირება შიძლება განხორციელდეს კოვენსციის რატიფიკაციის, მიღების, მასთან შეერთების, ან ნებისმიერ სხვა დროს; ბოლო

შემთხვევაში შეტყობინება ძალაში შევა მისი დეპონირებიდან 6 თვის შემდეგ.

მუხლი 7.

[შემსრულებელთა მინიმალური დაცვა:

1. განსაკუთრებული უფლებები:

2. ურთიერთობა შემსრულებლებსა და მაუწყებლობის ორგანიზაციებს შორის]

1. ამ კონვენციით მინიჭებული დაცვა შემსრულებელს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას აკრძალოს:

ა) შესრულების ეთერით და საყოველთაო გაცნობისათვის გადაცემა მისი ნებართვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეთერში ან საყოველთაო გაცნობისათვის გადაცემის დროს გამოყენებული შესრულება ადრე გადაცემული შესრულებაა, ან გადაცემა განხორციელებულია შესრულების ჩანაწერის გამოყენებით;

ბ) ჩაუწერელი შესრულების ჩაწერა მისი თანხმობისი გარეშე;

გ) შესრულების ჩანაწერის რეპროდუცირება მისი თანხმობის გარეშე, თუ:

(I) პირველი (ორიგინალური ჩანაწერი გაკეთდა მისი თანხმობის გარეშე;

(II) რეპროდუცირება ხორციელდება არა იმ მიზნებისათვის, რაზეც შემსრულებელმა მისცა თანხმობა;

(III) პირველი ჩანაწერი განხორციელდა ამ კონვენციის მე-15 მუხლის დებულებების შესაბამისად, ხოლო რეპროდუცირება ხორციელდება იმ მიზნებისათვის, რომლებიც განსხვავდება ამაზე დებულებით განსაზღვრული მიზნებისაგან.

2. (1) თუ ეთერში გადაცემა ნებადართულია შემსრულებლის მიერ, მონაწილე სახელმწიფოს, რომელშიც მოთხოვნილია დაცვა, ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანს წარმოადგენს, შესრულების დაცვა ეთერში ხელმეორედ გადაცემისაგან, მაუწყებლობის მიზნით შესრულების ჩაწერისა და რეპროდუცირებისაგან.

(2) მაუწყებლობის ორგანიზაციების მიერ მაუწყებლობის მიზნით ჩანაწერების გამოყენების ვადები და პირობები განისაზღვრება იმ მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით, სადაც მოითხოვება დაცვა.

(3) მიუხედავად აღნიშნულისა, ეროვნული კანონმდებლობა, ამ პუნქტის (1) და (2) ქვეპუნქტებთან მიმართებაში, არ უნდა ართმევდეს შემსრულებელს, ხელშეკრულების მეშვეობით, მაუწყებლობის ორგანიზაციებთან ურთიერთობის კონტროლის უფლებას.

მუხლი 8

[ერთობლიობად მოქმედი შემსრულებლები]

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს თავისი ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვროს წესი, რომლის შესაბამისადაც შემსრულებლები წარმოდგენილი იქნებიან თავიანთი უფლებების განხორციელების პროცესში, თუ რამდენიმე შემსრულებელი მოსაწილეობს ერთსა და იმავე შესრულებაში.

მუხლი 9

[ვარიეტესა და ცირკის მსახიობები]

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს, თავისი ეროვნული კანონმდებლობით, ამ კონვენციით გარანტირებული დაცვა გააერთიანოს მსახიობებზე, რომლებიც არ უნდა ასრულებდეს ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებს.

მუხლი 10

[რეპროდუცირების უფლება ფონოგრამის დამამზადებლებისათვის]

ფონოგრამების დამამზადებლებს უფლება აქვთ ნება დართონ ან აკრძალონ თავისი ფონოგრამების პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუცირება.

მუხლი 11

[ფორმალური პროცედურები ფონოგრამებთან დაკავშირებით]

თუ მონაწილე სახელმწიფო ფონოგრამებთან დაკავშირებით, ფონოგრამების დამამადებლის ან/და შემსრულებლის უფლებების დაცვის მიზნით, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ითხოვს ფორმალური პროცედურების დაცვას, ასეთი პროცედურა ჩაითვლება დაცულად, თუ ბრუნვაში გაშვებული, გამოცემული ფონოგრამის ყველა ეგზემპლარი ან მათი ფუგლარები, შეიცავს სიმბოლოს (P) და პირველი გამოქვეყნების თარიღის მითითებას, რომელიც იმგვარად არის განთავსებული, რომ წარმოადგენს ნათელ განცხადებას უფლებების დაცვის თაობაზე; და თუ ასლები ან მათი ფუგლარები არ იძლევა დამამზადებლის ან დამამზადებლის ლიცენზიატის იდენტიფიცირების საშუალებას (სახელის, სასაქონლო ნიშნის ან სხვა შესაბამისი აღნიშვნის მეშვეობით აღსანიშნავია შეიცავდეს აგრეთვე დამზადებაზე უფლების მფლობელის სახელსაც; ამასთან, თუ ეგზემპლიარები ან მათი ფუტლარები არ იძლევა ძირითადი (მთავარი) შემსრულებლის იდენტიფიცირების საშუალებას, აღნიშნავია შეიცავდეს აგრეთვე იმ პირის სახელსაც, რომელსაც ეკუთვნის შემსრულებლის უფლებები იმ ქვეყანაში, სადაც განხორციელებულია ჩაწერა.

მუხლი 12

[ფონოგრამების მეორადი გამოყენება]

თუ ფონოგრამა, რომელიც გამოიცა კომერციული მიზნებისათვის, ან ასეთი ფონოგრამის ეგზემპლიარი გამოიყენება მაუწყებლობის ან

საჯარო გადაცემის პროცესში, მოსარგებლემ შემსრულებლის ან/და ფონოგრამის დამამზადებელს უნდა გადაუსადოს სამართლიანი ერთჯერადი ანაზღაურება. ეროვნული კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს ანაზღაურების განაწილების წესი, თუ აღნიშნული მხარეებს შორის შეთანხმება არ არსებობს.

მუხლი 13

[მინიმალური უფლებები მაუწყებლობის ორგანიზაციებისათვის]

მაუწყებლობის ორგანიზაციებს უფლება აქვთ ნება დართონ ან აკრძალონ:

ა) თავისი გადაცემების რეტრანსლაცია;

ბ) თავისი გადაცემების ჩაწერა;

გ) რეპროდუცირება:

(I) თავისი გადაცემების ჩანაწერებისა, რომლებიც გაკეთდა მათი თანხმობის გარეშე;

(II) თავისი გადაცემების ჩანაწერებისა, რომლებიც გაკეთდა მე-15 მუხლის დებულებების შესაბამისად, თუ რეპროდუცირება ხორციელდება იმ მიზნისათვის, რომლებიც განსხვავდება ამავე დებულებებით განსაზღვრული მიზნებისაგან;

დ) მათი საგანგებოდ ეფემერული გადაცემების საყოველთაო გაცნობისათვის გადაცემა, თუ ასეთი გადაცემა მიმდინარეობს ადგილებში, სადაც საზოგადოებისათვის შესვლა უასიანია; ამ უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული პირობების განსაზღვრა წარმოადგენს იმ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანს, სადაც მოითხოვება უფლების დაცვა.

მუხლი 14

[დაცვის მინიმალური ვადა]

ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის ვადა უნდა შეადგენდეს, სულ მცირე 20 წელიწადს და აითვლებოდეს იმ წლის დასასრულიდან, როდესაც:

ა) განხორციელდა ფონოგრამის ჩაწერა _ ფონოგრამებისათვის და მასში შესული შესრულებისათვის;

ბ) განხორციელდა შესრულება _ შესრულებისათვის, რომლებიც არ არიან შესული ფონოგრამაში;

გ) განხორციელდა მაუწყებლობა _ გადაცემებისათვის.

მუხლი 15

[დასაშვები გამონაკლისები: 1. სპეციალური შეზღუდვები; 2. თანასწორობა საავტორო უფლებებთან]

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს, კონვენციით მინიჭებულ დაცვაში ეროვნული კანონმდებლობით დაუშვას გამონაკლისი, რომელიც უკავშირდება:

ა) პირად სარგებლობას;

ბ) მოკლე ნაწყვეტების გამოყენებას, მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვისას,

გ) მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ საკუთარი საშუალებებით და საკუთარი მაუწყებლობისათვის დროებითი (ეფემერული) ჩანაწერების განხორციელებას;

დ) მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო პროცესებში ან სამეცნიერო კვლევის მიზნით გამოყენებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიუხედავად, ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს თავისი ეროვნული კანონმდებლობით დააწესოს იგივე შეზღუდვები შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვასთან დაკავშირებით, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით: გათვალისწინებულია ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. თუმცა, იძულებითი ლიცენზირება შეიძლება დაწესდეს იმ ფარგლებში, როლებიც შეესაბამება ამ კონვენციას.

მუხლი 16

[დათქმა]

ნებისმიერი სახელმწიფო, კონვენციასთან შეერთებით, შეიძლება უნდა იყოს კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებებით და სარგებლობდეს ყველა მისი უპირატესობით. თუმცა, სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან შეტყობინების დეპონირებით გააკეთოს განაცხადი, რომ:

მე-12 მუხლთან დაკავშირებით:

(I) არ გამოიყენებს ამ მუხლის დებულებებს;

(II) არ გამოიყენებს ამ მუხლის დებულებებს გარკვეული შემთხვევების დროს;

(III) არ გამოიყენებს ამ მუხლის დებულებებს იმ ფონოგრამებთან დაკავშირებით, რომელთა დამამზადებელი არ არის სხვა მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე;

(IV) ბღუდავს ამ მუხლით გათვალისწინებული დაცვის ფარგლებს

იმ ფონოგრამებთან დაკავშირებით, რომლის დამამზადებელიც არის სხვა მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე, იმ ფარგლებით და ვადებით, რომლებითაც ეს უკანასკნელი სახელმწიფო ბღუდავს იმ ფონოგრამებისათვის არსებული დაცვას, რომლის პირველი ჩაწერა განახორციელა იმ სახელმწიფოს მოქალაქემ, რომელმაც გააკეთა განაცხადი. თუმცა ის ფაქტი, რომ მონაწილე სახელმწიფო, რომლის მოქალაქეა ფონოგრამის მწარმოებელი, არ ანიჭებს დაცვას იმავე კატეგორიის უფლებამოსილობებს ან უფლებამოსილობებს, იმ სახელმწიფოს მსგავსად, რომელმაც გააკეთა განაცხადი, არ უნდა იქნეს განხილული როგორც განსხვავება დაცვის ფარგლებს შორის;

(ბ) მე-13 მუხლთან დაკავშირებით არ გამოიყენებს ამავე მუხლის (დ) პუნქტს; თუ მონაწილე სახელმწიფო აკეთებს ასეთ განაცხადს, სხვა მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არ არიან მე-13 მუხლის (დ) პუნქტით განსაზღვრული უფლება მიანიჭონ მაუწყებლობის ორგანიზაციებს, რომელთა შტაბ-ბინები მდებარეობს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

2. თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული შეტყობინება განხორციელებულია რატიფიკაციის, მიღების ან შეერთების აქტის დეპონირების თარიღის შემდეგ, შეტყობინება ძალაში შევა მისი დეპონირებიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 17

[გარკვეული სახელმწიფოები, რომლებიც გამოიყენებენ მხოლოდ ჩაწერის კრიტერიუმს]

ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც 1961 წლის 26 ოქტომბრისათვისა ანიჭებს დაცვას ფონოგრამების დამამზადებლებს მხოლოდ და მხოლოდ ჩაწერის კრიტერიუმის საფუძველზე, კონვენციის რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების დროს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან შეტყობინების დეპონირებით განაცხადოს, რომ ამ კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე იგი გამოიყენებს მხოლოდ ჩაწერის კრიტერიუმს და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის (ა) (III) და (IV) ქვეპუნქტების მიზნებისათვის-ჩაწერის კრიტერიუმის ნაცვლად ეროვნულ კრიტერიუმს.

მუხლი 18

[დათქმის გამოთხოვნა]

ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ან მე-17 მუხლის შესაბამისად განახორციელა შეტყობინების დეპონირება, უფლება აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დამატებითი შეტყობინების დეპონირებით განახორციელოს მისი ფარგლების შემცირება ან გამოიხოვოს იგი.

მუხლი 19

[შემსრულებლების უფლებები ფილმებში]

კონვენციის შინაარსის მიუხედავად, ამ კონვენციის მე-7 მუხლი არ გამოიყენება, თუ შემსრულებელმა თანხმობა მისცა მისი შესრულების ჩართვაზე ვიზუალურ ან აუდიო-ვიზუალურ ჩანაწერში.

მუხლი 20

[შეუქცევადობა]

1. ეს კონვენცია არ ლახავს უფლებებს, რომლებიც მოპოვებული იყო მონაწილე სახელმწიფოში მის მიმართ კონვენციის ამოქმედებამდე.

2. არც ერთი მონაწილე სახელმწიფო ვალდებული არ არის გამოი-

ყენოს ამ კონვენციის დებულებები განხორციელებულ შესრულებასთან ან გადაცემებთან და ფონოგრამებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩაიწერა, ამ სახელმწიფოს მიმართ კონვენციის ამოქმედებამდე.

მუხლი 21

[სხვა დაცვა]

კონვენციით უზრუნველყოფილი დაცვა არ ლახავს დაცვის სხვა საშუალებებს, რომლებითაც სარგებლობენ შემსრულებლები, ფონოგრამის დამამზადებლები ან მაუწყებლობის ორგანომაციები.

მუხლი 22

[სპეციალური შეთნხმებები]

მონაწილე სახელმწიფოები იტოვებენ უფლებას დადონ ერთმანეთთან სპეციალური შეთანხმებები, თუ ისინი შეძლებენ შემსრულებლებისათვის, ფონოგრამების დამამზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციებისათვის უფრო ფართო უფლებების უმრუსველყოფას, ვიდრე ძათ ენიჭებათ ამ კონვენციით, ან შეიცავს სხვა დებულებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციას.

მუხლი 23

[ხელმოწერა და დეპონირება]

კონვენციის დეპონირება უნდა მოხდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან. იგი ღიაა ხელმოსაწერად 1962 წლის 30 ივნისამდე ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც მოწვეულია შემსრულებლების, ფონოგრამების დამამადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების საერთაშორისო დაცვის დიპლომატიურ კონფერენციაზე და არის საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენციის ან ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრი.

მუხლი 24

[კონვენციაში გაწევრიანება]

1. ეს კონვენცია უნდა იქნეს რატიფიცირებული ან მიღებული ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ.

2. ეს კოენენცია ღიაა ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც მოწვეულია 23-ე მუხლში მითითებულ კონფერენციაზე და გაერთიანებულ;ი ერების ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსათვის, იმ პირობით, რომ ასეთი სახელმწიფო ყველა შემთხვევაში არის საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენციის ან ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრი.

3. კონვენციის რატიფიკაცია, მიღება ან მასთან შეერთება ძალაში შევა სათანადო აქტის გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან დეპონირების შემდეგ.

მუხლი 25

[ამოქმედება]

1. ეს კონვენცია ამოქმედდება რატიფიკაციის, მიღების ან მასთან შეერთების თაობაზე მეექვსე აქტის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

2. შემდგომში ეს კონვენცია ყოველ სახელმწიფოში ამოქმედდება რატიფიკაციის, მიღების ან მასთან მიერთების თაობაზე აქტის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 26

[კონვენციის განხორციელება ეროვნული კანონმდებლობის ნორმებით]

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულებას იღებს თავისი კონსტიტუციის შესაბამისად მიიღოს შომები კონვენციის დებულებების განხორციელებისათვის.

2.რატიფიკაციის, მიღების ან შეერთების თაობაზე აქტის დეპონირების თარიღისათვის ყოველ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თავისი ეროვნული კანონმდებლობა უზრუნველყოს კონვენციით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

მუხლი 27

[კონვენციის გამოყენება გარკვეულ ტერიტორიებზე]

1. ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს კონვენციის რატიფიკაციის, მიღების ან მასტან შეერთების დროს, ან შემდგომში ნებისმიერ დროს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით განაცხადოს, რომ ეს კონვენცია ვრცელდება ყველა ან ერთ რომელიმე ტერიტორიაზე, რომლის საერთაშორისო ურთიერთობისთვისაც არის პასუხისმგებელი, იმ პირობით, რომ საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენცია ან ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კონვენცია ვრცელდება არნიშნულ ტერიტორიაზე შეტყობინება ამოქმედდება მისი დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ.

2. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში, მე-16 მუხლის პირველ მუხლსა და მე-17 და მე-18 მუხლებში აღნიშნული შეტყობინება შეიძლება გავრცელდეს ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ან ერთ რომელიმე ტერიტორიაზე.

მუხლი 28

[კონვენციის დენონსაცია]

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია თავისი სახელით ან ყველა ან რომელიმე – ტერიტორიის სახელით, რომლებიც გათვალისწინებულია 27-ე მუხლით.

2. დენონსაცია ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

გენერალური მდივნისადმი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით და ძალაში შედის შეტყობინების მიღებიდან 12 თვის შემდეგ.

3. მონაწილე სახელმწიფომ არ უნდა გამოიყენოს დენონსაციის უფლება ხუთი წლის განმავლობაში მის მიმართ კონვენციის ამოქმედებიდან.

4. მონაწილე სახელმწიფო არ ჩაითვლება კონვენციის წევრად იმ დროიდან, როდესაც ის აღარ იქნება არც საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენციის და არც ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრი.

5. ეს კონვენცია აღარ გაერცელდება 27-ე მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე მას შემდეგ, რაც ამ ტერიტორიაზე აღარ იქნება გამოყენებული საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენცია ან ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კონვენცია.

მუხლი 29

[კონვენციის გადასინჯვა]

1. ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი შეტყობინების გაგზავნით მოითხოვოს კონფერენციის მოწვევა კონვენციის გადასინჯვის მიზნით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უნდა შეატყობინოს ყველა მონაწილე სახელმწიფოს ამ მოთხოვნის შესახებ. თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის შეტყობინების თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში მონაწილე სახელმწიფოების არანაკლებ ნახევარი განაცხადებს თანხმობას ამ მოთხოვნაზე, გენერალური მდივანი შეატყობინებს ამის შესახებ შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს და ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორსო კავშირის ბიუროს დირექტორს, რომლებმაც უნდა მოიწვიონ სარევიზიო კონვენცია 32-ე მუხლით გათვალისწინებულ სამთავრობოთაშორისო კომიტეტთან ერთად.

2. ამ კონვენციაში ნებისმიერი შესწორების შესაგანად საჭიროა სარევიზიო კონფერენციაზე დამსწრე სახელმწიფოების ხმების ორი მესამედი, იმ პირობით, რომ ხმების ეს რაოდენობა მოიცავს იმ სახელმწიფოების ორ მესამედს, რომლებიც სარევიზიო კონფერენციის ჩატარების თარიღისათვის არიან ამ კონვენციის წევრები.

3. იმ შემთხვევაში თუ კონვენციაში შეიტანენ შესწორებებს, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლის კონვენციას და თუ გადასინჯული კონვენციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული:

ა) ეს კონვენცია აღარ იქნება ძალაში რატიფიკაციის, მიღების ან მასთან შეერთებისათვის გადასინჯვის კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან;

ბ) ეს კონვენცია ძალაში რჩება იმ სახელმწიფოთა ურთიერთობაში და მათთან მიმართებაში, რომლებიც არ არიან გადასინჯული კონვენციის წევრები.

მუხლი 30

[დავის გადაწყვეტა]

ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ორ ან უფრო მეტ მონაწილე სახელმწიფოს შორის ამ კონვენციის ინტერპრეტაციასთან ან მის გამოყენებასთან დაკავშირებით და რომელიც ვერ გადაწყდება მოლაპარაკების გზით, დავის ნებისმიერი მონაწილის მოთხოვნით შეიძლება განსახილველად გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს, თუ მხარეები არ არიან შეთანხმებული დავის გადაწყვეტის სხვა ფორმაზე.

მუხლი 31

[დათქმის შეზღუდვა]

არავითარი პირობის დათქმა არ შიძლება, თუ იგი არ ეხება კონვენციისა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს, მე-16 მუხლის პირველ პუნქტს და მე-17 მუხლის დებულებებს.

მუხლი 32

[სამთავრობათაშორისო კომიტეტი]

1. კონვენციით უფუძნდება სამთავრობათაშორისო კომიტეტი, რომლის მოეალეობებს შეადგენს:

ა) ამ კონვენციის განხორციელებასთან და მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა; და

ბ) წინადადებების შეგროვება და დოკუმენტაციის მომზადება ამ კონვენციაში შესაძლო ცვლილებების შესაგანად.

2. კომიტეტი უნდა შედგებოდეს მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც შეირჩევიან სამართლიანი გეოგრაფიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფით. კომიტეტი უნდა შედგებოდეს ექვსი წევრისაგან, თუ მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობა არის თორმეტი ან თორმეტზე ნაკლები, ცხრა წევრისაგან - თუ მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობა ცამეტიდან თერამეტამდეა და თორმეტი წევრისაგან შემდგარი მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვი თერამეტს აღემატება.

3. კომიტეტი დაკომპლექტება კონვენციის ამოქმედებიდან თორმეტი თვის შემდეგ წევრი სახელმწიფოების მონაწილეობით ჩატარებული არჩევნებით, რომელშიც ყოველ სახელმწიფოს აქვს ერთი ხმის უფლება და რომლის ორგანიზებასაც მონაწილე სახელმწიფოების უმრავლესობის მიერ წინასწარ დადგენილი წესით ახორციელებენ შრომის საერთაშორისი ბიუროს გენერალური დირექტორი, გაერთიანებული ერების განათ-

ლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორი და ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს დირექტორი.

4. კომიტეტი ირჩევს თავმჯდომარეს და თანამდებობის პირებს, კომიტეტმა უნდა დაადგინოს თავისი მუშაობის წესები. ამ წესებმა ღეტალურად უნდა განსაზრროს კომიტეტის მომავალი საქმიანობის პრინციპები და მომავალში მისი წევრების არჩევის მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს როგაციის პრინციპის დაცვას სხვადასხვა მონაწილე სახელმწიფოებს შორის.

5. კომიტეტის სამდივნო შედგება შრომის საერთაშორისო ბიუროს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის და ლიტერატურისა და ხელოვნების საწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის თანამდებობის პირებისაგან, რომლებსაც შესაბამისად ნიშნავენ ამ ორგანიზაციების გენერალური დირექტორი და დირექტორები.

6. კომიტეტის სხდომები, რომლებსაც მოიწვევენ მაშინ, როდესაც ამას აუცილებლად მიიჩნევს წევრების უმრავლესობა, გარდება თანმიმდევრულად შრომის საერთაშორისო ბიუროს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის სართაშორისო კავშირის ბიუროს შტაბ-ბინებში.

7. კომიტეტის წევრების ხარჯებს აანაზღაურებენ შესაბამისი სახელმწიფოები.

მუხლი 33

[ენები]

1. ეს კონვენცია შედგენილია ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. კონვენციის სამიეე ტექსტი ავთენტიკურია.

2. ამ კონვენციის ოფიციალური ტექსტები დამატებით უნდა შემუშაედეს გერმანულ, იტალიურ, პორტუგალიურ ენებზე.

მუხლი 34

[შეტყობინება]

1. გაერთიენებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი 23-ე მუხლით განსაზრერულ კონფერენციაზე მოწვეულ სახელმწიფოებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა მონაწილე სახელმწიფოს, აგრეთვე შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს და ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს დირექტორს აგყობინებს:

ა) კონვენციის რატიფიკაციის მიღების და მასთან შეერთების თითოეული აქტის დეპონირების თაობაზე;

ბ) კონვენციის ძალაში შესვლის თარიღის თაობაზე;

გ) ყველა შეტყობინების, დეკლარაციისა და ინფორმაციის თაობაზე, რომელიც გათვალისწინებულია ამ კონვენციით;

დ) კონვენციის 28-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების წარმოქნის თაობაზე.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს დირექტორს აგზავნებს აგრეთვე ყველა მოთხოვნის თაობაზე, რომელიც მას წარედგინება კონვენციის 29-ე მუხლის შესაბამისად, აგრეთვე ყველა შეტყობინების შესახებ, რომელსაც მიიღებს მონაწილე სახელმწიფოსაგან კონვენციის გადასინჯვასთან დაკავშირებით.

რის დასტურადაც ჩვენ, ქვემორე ხელმომწერნი, სათანადო უფლებამოსილნი, ხელს ვაწერთ ამ კონვენციას.

შესრულებულია რომში, 1961 წლის 26 ოქტომბერს ერთ ეგზემპლარად ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. სათანადოდ დამოწმებულ ასლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი გადასცემს ყველა სახელმწიფოს, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ კონფერენციაზე 23-ე მუხლის შესაბამისად და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველ წევრ-სახელმწიფოს აგრეთვე შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დერექტორს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს და ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს დირექტორს.

(საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 17 თებერვლის N 3344 – რს დადგენილებით)

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ადმინისტრირებადი კონვენციები:

ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია[2]

(მიღებულია 1886 წლის 9 სექტემბერს)

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ხელშეკრულებები:
1971 წლის 24 იელისის პარიზის აქტი, შეცვლილი 1979 წლის 28 სექტემბერს,
1886 წლის 9 სექტემბრის ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია,
შევსებული პარიზში 1896 წლის 4 მაისს,
გადასინჯული ბერლინში 1908 წლის 13 ნოემბერს,
შევსებული ბერნში 1914 წლის 20 მარტს,
გადასინჯული რომში 1928 წლის 2 ივნისს,
ბრიუსელში 1948 წლის 26 ივნისს,
სტოკჰოლმში 1967 წლის 14 იელისს და
პარიზში 1971 წლის 24 იელისს,
და შეცვლილი 1979 წლის 28 სექტემბერს.

კავშირის ქვეყნებმა, რომლებიც თანაბრად არიან გამსჭვალულნი ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებისადმი აეტორთა უფლებების შეძლებისდაგვარად ეფექტურად და ერთგვაროვნად დაცვის სურვილით,

აღიარებენ რა კონვენციის გადასინჯვის მიზნით 1967 წელს სტოკჰოლმში გამართული კონფერენციის მუშაობის მნიშვნელობას,

გადაწყვეტენ სტოკჰოლმის კონფერენციის მიერ მიღებული აქტის გადასინჯვა ამ აქტის 1-20 და 22-26 მუხლების უცვლელად დატოვებით.

აქედან გამომდინარე, ქვემორე ხელმომწერი სრულუფლებიანი წარმომადგენლები, რომლებმაც წარადგინეს თავიანთი სრული უფლებამოსილებანი შესაბამისი ფორმით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

[კავშირის დაარსება][3]

ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება ეს კონვენცია, ქმნიან კავშირს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე აეტორთა უფლებების დასაცავად.

---

[2] ნათარგმნი და დამუშავებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“

[3] ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად თითოეულ მუხლსა და დანართს აქვს სათაური. ხელმოწერილ (ინგლისურ) ტექსტში სათაურები არ არის.

მუხლი 2

[დაცული ნაწარმოებები: 1. "ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები"; 2. ფიქსაციის შესაძლო მოთხოვნა; 3. წარმოებული ნაწარმოებები; 4. ოფიციალური ტექსტები; 5. კრებულები; 6. დაცვის ვალდებულება; პირები, რომლებიც სარგებლობენ დაცვით; 7. გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები და სამრეწველო ნიმუშები; 8. ახალი ამბები]

(1) გამოთქმა "ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები" მოიცავს ყველა ნამუშევარს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში, მისი გამოხატვის ხერხისა ან ფორმის მიუხედავად, როგორიცაა წიგნები, ბროშურები და სხვა წერილობითი ნაწარმოებები; ლექციები, მიმართვები, ქადაგებები და ამავე ხასიათის სხვა ნაწარმოებები; დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები; ქორეოგრაფიული ნაწარმოებები და პანტომიმები; მუსიკალური ნაწარმოებები ტექსტითა ან ტექსტის გარეშე; კინემატოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებთანაც არის გათანაბრებული კინემატოგრაფიის ანალოგიური პროცესის მეშვეობით გამოხატული ნაწარმოებები; ნახატები, ფერწერული, არქიტექტურული, სკულპტურული, გრაფიკული და ლითოგრაფიული ნაწარმოებები; ფოტოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებთანაც არის გათანაბრებული ფოტოგრაფიის ანალოგიური პროცესის მეშვეობით გამოხატული ნაწარმოებები; გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები; ილუსტრაციები, რუკები, გეგმები, ესკიზები და მოცულობითი ნაწარმოებები, რომლებიც განეკუთვნება გეოგრაფიას, ტოპოგრაფიას, არქიტექტურასა ან მეცნიერებას.

(2) მიუხედავად ამისა, კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას უნარჩუნდება უფლება დაადგინოს, რომ ნაწარმოებები საერთოდ ან ნაწარმოებების გარკვეული კატეგორიები არ ექვემდებარება დაცვას, თუ ისინი არ არის ფიქსირებული რაიმე მატერიალური ფორმით.

(3) თარგმანები, ადაპტაციები, მუსიკალური არანჟირებები და ლიტერატურისა ან ხელოვნების ნაწარმოებების სხვა სახეცვლილებები დაცულია როგორც ორიგინალური ნაწარმოებები, ორიგინალურ ნაწარმოებებისა საავტორო უფლების შელახვის გარეშე.

(4) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობა ინარჩუნებს უფლებას განსაზღვროს დაცვა, რომელიც ენიჭება საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და იურიდიული ხასიათის ოფიციალურ ტექსტებს და ასეთი ტექსტების ოფიციალურ თარგმანებს.

(5) ლიტერატურისა ან ხელოვნების ნაწარმოებების კრებულები, როგორიცა არის ენციკლოპედიები და ანთოლოგიები, რომლებიც

მასალის შერჩევისა და განლაგების გამო ინტელექტუალური შემოქმედების შედეგს წარმოადგენს, დაცულია როგორც ასეთი, ამგვარი კრებულების შემადგენელ თითოეულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების შელახვის გარეშე.

(6) ამ მუხლში აღნიშნული ნაწარმოებები სარგებლობს დაცვით კავშირის ყველა ქვეყანაში. ეს დაცვა მოქმედებს ავტორისა და მისი უფლებამონაცვლეების სასარგებლოდ.

(7) ამ კონვენციის 7(4) მუხლის დებულებების გათვალისწინებით, კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას უნარჩუნდება უფლება განსაზღვროს გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისა და სამრეწველო ნიმუშებისა და მოდელებისათვის თავიანთი კანონების გამოყენების ფარგლები, ასევე, ამგვარი ნაწარმოებების, ნიმუშებისა და მოდელების დაცვის პირობები. ნაწარმოებებს, რომლებიც თავიანთ წარმოშობის ქვეყანაში დაცულია მხოლოდ როგორც ნიმუშები და მოდელები, კავშირის სხვა ქვეყანაში აქვს მხოლოდ ისეთი სპეციალური დაცვის უფლება, როგორიც ენიჭება ამ ქვეყანაში ნიმუშებსა და მოდელებს; მაგრამ თუ ამ ქვეყანაში არ ხდება ასეთი სპეციალური დაცვის მინიჭება, ეს ნაწარმოებები დაიცვება როგორც ხელოვნების ნაწარმოებები.

(8) ამ კონვენციით გათვალისწინებული დაცვა არ ვრცელდება დღის ახალ ამბებზე ან სხვადასხვა ფაქტებზე, რომელთაც უბრალო პრეს-ინფორმაციის ხასიათი აქვს.

მუხლი 2bis

[გარკვეული ნაწარმოებების დაცვის შესაძლო შეზღუდვა: 1. გარკვეული გამოსვლები; 2. ლექციებისა და მიმართვების გარკვეული გამოყენებები; 3. ამგვარი ნაწარმოებების კრებულების შედგენის უფლება]

(1) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობა ინარჩუნებს უფლებას სრულად ან ნაწილობრივ გამორიცხოს წინა მუხლით გათვალისწინებული დაცვიდან პოლიტიკური გამოსვლები და სასამართლო პროცესების მსვლელობისას წარმოთქმული სიტყვები.

(2) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობა ასევე ინარჩუნებს უფლებას განსაზღვროს პირობები, რომლებითაც ლექციები, მიმართვები და ამავე ხასიათის საჯაროდ წარმოთქმული სხვა ნაწარმოებები შეიძლება რეპროდუცირებულ იქნეს პრესის მეშვეობით, გადაიცეს ეთერში, გადაიცეს საყოველთაო გაცნობისათვის სადენის მეშვეობით და გახდეს საყოველთაო გაცნობის საგანი, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ კონვენციის 11bis მუხლის (1) პუნქტში, იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი გამოყენება გამართლებულია საინფორმაციო მიზნით.

(3) მიუხედავად ამისა, ავტორი სარგებლობს წინა პუნქტებში მითითებული თავისი ნაწარმოებების კრებულის შედგენის განსაკუთრებული უფლებით,.

მუხლი 3

[დაცვის უფლების არსებობის კრიტერიუმები: 1. ავტორის მოქალაქეობა; ნაწარმოების გამოქვეყნების ადგილი; 2. ავტორის საცხოვრებელი ადგილი; 3. "გამოქვეყნებული" ნაწარმოებები; "ერთდროულად გამოქვეყნებული" ნაწარმოებები]

(1) ამ კონვენციით დაცვა ერცელდება:

(a) ავტორებზე, რომლებიც კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები არიან, მათი როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი ნაწარმოებებისათვის.

(b) ავტორებზე, რომლებიც არ არიან კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები, მათი ნაწარმოებებისათვის, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა ერთ-ერთ ამ ქვეყანაში, ან ერთდროულად გამოქვეყნდა ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში, და კავშირის ქვეყანაში.

(2) ავტორები, რომლებიც არ არიან კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები, მაგრამ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ერთ-ერთ ასეთ ქვეყანაში, ამ კონვენციის მიზნებისთვის უთანაბრდებიან ამ ქვეყნის მოქალაქეებს.

(3) გამოთქმა "გამოქვეყნებული ნაწარმოები" გულისხმობს ავტორების თანხმობით გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს, ეგზემპლარების დამზადების საშუალებების მიუხედავად, იმ პირობით, რომ ასეთი ეგზემპლარების რაოდენობა აკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნებს, ნაწარმოების ხასიათის გათვალისწინებით. გამოქვეყნებას არ წარმოადგენს დრამატული, მუსიკალურ-დრამატული, კინემატოგრაფიული ნაწარმოების ან მუსიკალური ნაწარმოების შესრულება, ლიტერატურული ნაწარმოების საჯარო წაკითხვა, ლიტერატურისა ან ხელოვნების ნაწარმოებების საყოველთაო გაცნობა სადენის ან ეთერის საშუალებით, ხელოვნების ნაწარმოების გამოფენა და არქიტექტურული ნაწარმოების აგება.

(4) ნაწარმოები გამოქვეყნებულად მიიჩნევა ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში, თუ ის გამოქვეყნდა ორ ან მეტ ქვეყანაში მისი პირველი გამოქვეყნებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში.

მუხლი 4

[კინემატოგრაფიული ნაწარმოებების, არქიტექტურული ნაწარმოებებისა და ხელოვნების გარკვეული ნაწარმოებების დაცვის უფლების არსებობის კრიტერიუმები]

ამ კონვენციით დაცვა ერცელდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ სრულდება 3მუხლით გათვალისწინებული პირობები:

(a) იმ კინემატოგრაფიული ნაწარმოებების ავტორებზე, რომელთა დამამზადებელს აქვს შტაბ-ბინა ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში;

(b) იმ არქიტექტურული ნაწარმოებების ავტორებზე, რომლებიც აგებულია კავშირის რომელიმე ქვეყანაში, ან ხელოვნების ნაწარმოებების სხვა ისეთ ავტორებზე, რომლებიც შეადგენენ კავშირის რომელიმე ქვეყანაში მდებარე შენობის ან სხვა ნაგებობის ნაწილს.

მუხლი 5

[გარანტირებული უფლებები: 1. და 2. წარმოშობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ: 3.წარმოშობის ქვეყანაში; 4."წარმოშობის ქვეყანა"]

(1) ავტორები, იმ ნაწარმოებების მიმართ, რომლებიც ამ კონვენციით არის დაცული, კავშირის ქვეყნებში, წარმოშობის ქვეყნის გარეთ, სარგებლობენ უფლებებით, რომლებიც ენიჭებათ ამჟამად და შესაძლოა მიენიჭოთ მომავალში მათ მოქალაქეებს ქვეყნის შესაბამისი კანონებით, ასევე, ამ კონვენციით სპეციალურად მინიჭებული უფლებებით.

(2) ამ უფლებებით სარგებლობა და მათი განხორციელება არ ექვემდებარება რაიმე ფორმალობას; ასეთი სარგებლობა და ასეთი განხორციელება არ არის დამოკიდებული ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში დაცვის არსებობაზე. მაშასადამე, ამ კონვენციის დებულებების გარდა, დაცვის ფარგლები, ისევე როგორც ავტორისთვის თავისი უფლებების დასაცავად მინიჭებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რეგულირდება მხოლოდ და მხოლოდ იმ ქვეყნის კანონებით, სადაც მოითხოვება დაცვა.

(3) დაცვა წარმოშობის ქვეყანაში რეგულირდება ადგილობრივი კანონმდებლობით. თუმცა, თუ ავტორი არ არის იმ ნაწარმოების წარმოშობის ქვეყნის მოქალაქე, რომლისთვისაც ენიჭება მას დაცვა ამ კონვენციით, იგი ამ ქვეყანაში სარგებლობს იმაგე უფლებებით, რომლებიც ენიჭებათ ამ ქვეყნის მოქალაქე ავტორებს.

(4) წარმოშობის ქვეყნად მიიჩნევა:

(a) კავშირის რომელიმე ქვეყანაში ნაწარმოების პირველად გამოქვეყნების შემთხვევაში - ეს ქვეყანა; ნაწარმოებების ერთდროულად გამოქვეყნების შემთხვევაში კავშირის რამდენიმე ქვეყანაში, რომლებიც დაცვის სხვადასხვა ვადას ითვალისწინებენ, - ის ქვეყანა, რომლის კანონმდებლობის მიხედვითაც დადგენილია დაცვის უმოკლესი ვადა;

(b) ნაწარმოებების ერთდროულად გამოქვეყნების შემთხვევაში ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში, და კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში - ეს უკანასკნელი ქვეყანა;

(c) იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოებები არ არის გამოქვეყნებული, ან ნაწარმოებები პირველადაა გამოქვეყნებული ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში, კავშირის რომელიმე ქვეყანაში ერთდროული გამოქვეყნების გარეშე, - ქვეყანა, რომლის მოქალაქეც არის ავტორი, იმ პირობით, რომ:

(i) კინემატოგრაფიული ნაწარმოებების შემთხვევაში, რომელთა დამამზადებელს შტაბ-ბინა ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს კავშირს ქვეყანაში, წარმოშობის ქვეყნად უნდა ჩაითვალოს ეს ქვეყანა, და

(ii) კავშირის ქვეყანაში აგებული არქიტექტურული ნაწარმოებებისა ან ხელოვნების სხვა ნაწარმოებების შემთხვევაში, რომლებიც შეადგენენ კავშირის რომელიმე ქვეყანაში მდებარე შენობის ან სხვა ნაგებობის ნაწილს, წარმოშობის ქვეყნად მიიჩნეება ეს ქვეყანა.

მუხლი 6

[დაცვის შესაძლო შეზღუდვა გარკვეული ქვეყნების, რომლებიც არ შედიან კავშირში, მოქალაქეთა გარკვეული ნაწარმოებებისათვის: 1. პირველი გამოქვეყნების ქვეყანაში და სხვა ქვეყნებში; 2. უპირატესობის ძალის არარსებობა; 3 შეტყობინება]

(1) თუ რომელიმე ქვეყანა, რომელიც არ შედის კავშირში, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს იმ ავტორების ნაწარმოებების დაცვას, რომლებიც კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები არიან, ამ უკანასკნელ ქვეყანას შეუძლია შეზღუდოს იმ ავტორთა ნაწარმოებებისთვის მინიჭებული დაცვა, რომლებიც პირველი გამოქვეყნების თარიღისათვის სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან და არ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში. თუ პირველი გამოქვეყნების ქვეყანა ისარგებლებს ამ უფლებით, კავშირის სხვა ქვეყნებს არ მოეთხოვებათ განსაკუთრებულ რეჟიმს დაქვემდებარებულ ნაწარმოებებს მიანიჭონ იმ დაცვაზე უფრო ფართო დაცვა, რომელიც ენიჭება მათ ნაწარმოების პირველი გამოქვეყნების ქვეყანაში.

(2) წინა პუნქტის ძალით დადგენილი არანაირი შეზღუდვა არ ახდენს გავლენას იმ უფლებებზე, რომლებიც მიღებული აქვს ავტორს კავშირის რომელიმე ქვეყანაში გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე, ამგვარი შეზღუდვის ძალაში შესვლამდე.

(3) კავშირის ქვეყნები, რომლებიც ამ მუხლის თანახმად ზღუდაენ საავტორო უფლებების მინიჭებას, ატყობინებენ ამის შესახებ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს (შემდგომ - "გენერალური დირექტორი") წერილობითი განცხადებით, სადაც განსაზღვრულია ქვეყნები, რომელთა მიმართაც

დაცვა შეწყდეულია, და შეწყდეები, რომელთაც ექვემდებარება ამ ქვეყნების მოქალაქე ავტორების უფლებები. გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს ამ განცხადებას კაუშირის ყველა ქვეყანას.

მუხლი 6bis

[არაქონებრივი უფლებები: 1. ავტორობის მოთხოვნა; შედავება გარკვეული ცვლილებებისა და სხვა დამრღვევი ქმედებებთან დაკავშირებით; 2. ავტორის გარდაცვალების შემდეგ; 3. სამართლებრივი დაცვის საშუალებები]

(1) ავტორის ქონებრივი უფლებებისგან დამოუკიდებლად და ალნიშნული უფლებების გადაცემის შემდეგაც კი, ავტორს აქვს უფლება მოითხოვოს ნაწარმოებზე ავტორობის აღიარება და წინ აღუდგეს ალნიშნული ნაწარმოების ნებისმიერ დამახინჯებას, ხელყოფას ან სხვაგვარ ცვლილებას, ან აღნიშნული ნაწარმოების მიმართ ნებისმიერ სხვა დამრღვევ ქმედებას, რომელმაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ავტორის ღირსებასა და რეპუტაციას.

(2) წინა პუნქტის თანახმად ავტორისთვის მინიჭებული უფლებები ინარჩუნებს ძალას მისი გარდაცვალების შემდეგ, სულ მცირე, ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადის გასვლამდე, და მათი განხორციელების უფლება გააჩნიათ იმ პირებს ან დაწესებულებებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც მოითხოვება დაცვა. თუმცა, ის ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა ამ აქტის რატიფიკაციის ან მასთან მიერთების მომენტში არ ითვალისწინებს წინა პუნქტში ჩამოთვლილი ყველა უფლების დაცვას ავტორის გარდაცვალების შემდეგ, შეიძლება ითვალისწინებდნენ ამ უფლებათაგან ზოგიერთის მოქმედების შეწყვეტას ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

(3) ამ მუხლით მინიჭებული უფლებების უზრუნველყოფის სამართლებრივი დაცვის საშუალებები რეგულირდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც მოითხოვება დაცვა.

მუხლი 7

[დაცვის ვადა: 1. ზოგადად; 2. კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისთვის; 3.ანონიმურად და ფსევდონიმით შესრულებული ნაწარმოებებისთვის; 4. ფოტოგრაფიული ნაწარმოებებისა და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის; 5. ათვლის დაწყების თარიღი; 6. უფრო ხანგრძლივი ვადები; 7. უფრო ხანმოკლე ვადები; 8. მოქმედი კანონი; ვადების "შედარება"]

(1) ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის ვადა შეადგენს ავტორის სიცოცხლის პერიოდსა და ორმოცდაათ წელიწადს მისი გარდაცვალების შემდეგ.

(2) მიუხედავად ამისა, კინემატოგრაფიული ნაწარმოებების შემთხვევაში კავშირის ქვეყნებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ დაცვის ვადა იწურება ორმოცდაათი წლის შემდეგ მას მერე, რაც ნაწარმოები აეტორის თანხმობით ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისთვის, ან - თუ ასეთი ნაწარმოების შექმნიდან ორმოცდაათი წლის განმავლობაში ეს ვერ განხორციელდა, - ნაწარმოების შექმნიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ.

(3) ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოებების შემთხვევაში ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის ვადა იწურება ორმოცდაათი წლის შემდეგ, რაც ნაწარმოები კანონიერად გახდა ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. თუმცა, თუ ავტორის მიერ შერჩეული ფსევდონიმი არ იწვევს ეჭვს მის ვინაობაში, დაცვის ვადა შეადგენს (1) პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდს. თუ ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოების ავტორი გაამჟღავნებს თავის ვინაობას ზემოთ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, გამოიყენება (1) პუნქტით დადგენილი დაცვის ვადა.

კავშირის ქვეყნებს არ მოეთხოვებათ დაიცვან ანონიმურად ან ფსევდონიმით შესრულებული ნაწარმოებები, რომელთა მიმართ არსებობს სრული საფუძველი ვარაუდისა, რომ მათი ავტორის გარდაცვალებიდან ორმოცდაათი წელი გადის გასული.

(4) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას უნარჩუნდება უფლება განსაზღვროს ფოტოგრაფიული და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ვადა იმდენად, რამდენადაც ისინი დაცულია როგორც მხატვრული ნაწარმოებები; მაგრამ ეს ვადა უნდა გაგრძელდეს ნაწარმოების შექმნიდან, სულ მცირე, ოცდახუთწლიანი პერიოდის ბოლომდე.

(5) ავტორის გარდაცვალების შემდეგ მინიჭებული დაცვის ვადა და (2), (3) და (4) პუნქტებით გათვალისწინებული ვადები აითვლება ავტორის გარდაცვალების ან ამ პუნქტებში მითითებული მოვლენის თარიღიდან, მაგრამ ასეთი ვადების ათვლის თარიღად ყოველთვის მიიჩნევა ავტორის გარდაცვალების ან ასეთი მოვლენის შემდგომი წლის 1 იანვარი.

(6) კავშირის ქვეყნებს შეუძლიათ დაადგინონ დაცვის ვადა, რომელიც წინა პუნქტებით გათვალისწინებულ ვადებს აღემატება.

(7) კავშირის ქვეყნებს, რომლებსაც ეკისრებათ ვალდებულებები ამ კონვენციის რომის აქტით, და რომლებიც ამ აქტის ხელმოწერის დროისათვის მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობით ანიჭებენ დაცვის უფრო ხანმოკლე ვადებს, ეიძლე წინა პუნქტებში არის გათვალისწინებული, აქვთ უფლება ამ აქტის რატიფიკაციისა ან მასთან მიერთებისას ძალაში დატოვონ ასეთი ვადები.

(8) ნებისმიერ შემთხვევაში ვადა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა; მაგრამ, თუ ამ ქვეყნის კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ეს ვადა არ აღემატება ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში დადგენილ ვადას.

მუხლი 7bis

[თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოებების დაცვის ვადა]

წინა მუხლის დებულებები ასევე გამოიყენება თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოებების შემთხვევაში, იმ პირობით, რომლებიც განისაზღვრება ავტორის გარდაცვალების დროიდან, აითვლება ცოცხლად დარჩენილი ბოლო ავტორის უკანასკნელის გარდაცვალებიდან.

მუხლი 8

[თარგმნის უფლება]

ამ კონვენციით დაცული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორები ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლებების დაცვის მთელი ვადის განმავლობაში სარგებლობენ თავიანთი ნაწარმოებების თარგმნისა და თარგმნის ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლებით.

მუხლი 9

[რეპროდუცირების უფლება: 1. ზოგადად; 2. შესაძლო გამონაკლისები; 3. ხმის და გამოსახულების ჩანაწერები]

(1) ამ კონვენციით დაცული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ ამ ნაწარმოებების ნებისმიერი სახითა ან ფორმით რეპროდუცირების ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლება.

(2) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას უნარჩუნდება უფლება გარკვეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში გასცეს ასეთი ნაწარმოებების რეპროდუცირების ნებართვა, იმ პირობით, რომ ასეთი რეპროდუცირება არ ეწინააღმდეგება ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ ლახავს ავტორის კანონიერ ინტერესებს.

(3) ამ კონვენციის მიზნებისთვის ნებისმიერი ხმის ან გამოსახულების ჩანაწერი მიიჩნევა რეპროდუცირებად.

მუხლი 10

[ნაწარმოების თავისუფალი გამოყენების გარკვეული შემთხვევები: 1. ციტატები; 2. ილუსტრაციები სწავლების მიზნით; 3. წყაროსა და ავტორის მითითება]

(1) დასაშვებია ციტატების მოყვანა ნაწარმოებიდან, რომელიც კანონიერად უკვე ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისთვის, იმ პირობით, რომ მათი მოყვანა შეთავსებადია კეთილსინდისიერ

საქმიანობასთან და მათი მოცულობა არ აჭარბებს დასახული მიზნით გამართლებულ მოცულობას, პრესის მიმოხილვის ფორმით საგაზეთო სტატიებიდან და ჟურნალებიდან მოყვანილი ციტატების ჩათვლით.

(2) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობითა და მათ შორის უკვე არსებული ან მომავალში დადებული სპეციალური შეთანხმებებით შეიძლება ნებადართული იყოს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების გამოყენება დასახული მიზნით გამართლებული მოცულობით, ილუსტრაციის სახით სასწავლო ხასიათის გამოცემებში, საეთერო გადაცემებში ან ხმის ან გამოსახულების ჩანაწერებში, იმ პირობით, რომ ასეთი გამოყენება შეთავსებადია კეთილსინდისიერ საქმიანობასთან.

(3) ამ მუხლის წინა პუნქტების თანახმად ნაწარმოებების გამოყენებისას მითითებული უნდა იყოს წყარო და ავტორის სახელი, თუ ის აღნიშნულია ამ წყაროში.

მუხლი 10bis

[ნაწარმოებების შესაძლო თავისუფალი გამოყენების დამატებითი შემთხვევები: 1.გარკვეული სტატიებისა და ეთერში გადაცემული ნაწარმოებებისა; 2. მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ნანახი ან მოსმენილი ნაწარმოებებისა]

(1) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება გასცეს მიმდინარე ეკონომიკური, პოლიტიკური ან რელიგიური საკითხების შესახებ გაზეთებში ან პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიებისა და ეთერში გადაცემული ამავე ხასიათის ნაწარმოებების რეპროდუცირების ნებართვა, ეთერში გადაცემისა ან სადენით საყოველთაოდ გაცნობის საშუალებით, იმ შემთხვევაში, როცა მათი რეპროდუცირება, ეთერში გადაცემა ან საყოველთაოდ გაცნობა არ იყო საგანგებოდ დაოქმული. მიუხედავად ამისა, წყარო ყოველთვის მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული; ამ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც მოითხოვება დაცვა.

(2) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობა ინარჩუნებს უფლებას ასევე განსაზღვროს პირობები, რომელთა მიხედვით შეიძლება ფოტოგრაფიის, კინემატოგრაფიის, ეთერში გადაცემის ან სადენით საყოველთაო გაცნობის საშუალებით მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას, ლიტერატურისა ან ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც ისმის ან ჩანს მოვლენის მსვლელობისას, რეპროდუცირებული იქნეს და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებისათვის საინფორმაციო მიზნით გამართლებული მოცულობით.

მუხლი 11

[გარკვეული უფლებები დრამატულ და მუსიკალურ ნაწარმოებებზე:

1. საჯარო შესრულების და შესრულების საყოველთაო გაცნობის უფლება; 2.თარგმანებთან დაკავშირებით]

(1) დრამატული, მუსიკალურ-დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ ნებართვა:

(i) თავიანთი ნაწარმოებების საჯარო შესრულებისა, ნებისმიერი საშუალებით ან ხერხით ამგვარი საჯარო შესრულების ჩათვლით;

(ii) თავიანთი ნაწარმოებების შესრულების ნებისმიერი საყოველთაო გაცნობისა.

(2) ასეთივე უფლებებით სარგებლობენ დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების ავტორები თავიანთი ნაწარმოებების თარგმანებთან დაკავშირებით ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლებების მოქმედების სრული ვადის განმავლობაში.

მუხლი 11bis

[საეთერო მაუწყებლობა და მასთან დაკავშირებული უფლებები: 1. საეთერო მაუწყებლობა და სხვა სახის საჯარო გადაცემები, საეთერო გადაცემის საყოველთაო გაცნობა სადენით ან ეთერში ხელახლა საეთერო გადაცემის საშუალებით, საეთერო გადაცემის საყოველთაო გაცნობა ხმამაღლამოლაპარაკის ან ანალოგიური ხელსაწყოების მეშვეობით; 2. იძულებითი ლიცენზიები; 3. ჩაწერა; ჩანაწერები ხანმოკლე გამოყენებისათვის]

(1) ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ ნებართვა:

(i) თავიანთი ნაწარმოებების ეთერში გადაცემასა ან საყოველთაო გაცნობა'ზე, ნიშნების, ხმების ან გამოსახულებების უსადენო გადაცემის ნებისმიერი სხვა საშუალებით;

(ii) ეთერში გადაცემული ნაწარმოების ნებისმიერ საყოველთაო გაცნობა'ზე სადენით ან ეთერში ხელახლა გადაცემის მეშვეობით, როდესაც ამას ახორციელებს არა თავდაპირველი, არამედ სხვა ორგანი'საცია;

(iii) ეთერში გადაცემული ნაწარმოების საყოველთაო გაცნობა'ზე ხმამაღლამოლაპარაკით, ნიშნების, ბგერებისა ან გამოსახულებების გადამცემი სხვა ნებისმიერი ანალოგიური ხელსაწყოს მეშვეობით.

(2) კავშირის ქვეყნის კანონმდებლობა ინარჩუნებს უფლებას განსაზღვროს წინა პუნქტში გათვალისწინებული უფლებების განხორციელების პირობები, მაგრამ ეს პირობები იმოქმედებს

მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებშიც ისინი იქნა დადგენილი. ეს პირობები არავითარ შემთხვევაში არ ლახავს ავტორის არც არაქონებრივ უფლებებს, არც სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლებას, რასაც შეთანხმების არარსებობისას ადგენს კომპეტენტური ორგანო.

(3) თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, არარსებობისას ამ მუხლის (1) პუნქტის შესაბამისად გაცემული ნებართვა არ გულისხმობს ეთერში გადაცემული ნაწარმოების ჩაწერის ნებართვას ბგერებისა ან გამოსახულებების ჩამწერი ხელსაწყოების მეშვეობით. მაგრამ კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას უნარჩუნდება უფლება განსაზღვროს ხანმოკლე გამოყენების ჩანაწერების შესრულების წესები, რასაც ახორციელებს სამაუწყებლო ორგანიზაცია საკუთარი მოწყობილობებით და იყენებს საკუთარი საეთერო გადაცემებისთვის. ამგვარი კანონმდებლობით შესაძლებელია ნებადართული იყოს ასეთი ჩანაწერების შენახვა ოფიციალურ არქივებში მათი განსაკუთრებული დოკუმენტური ხასიათის გამო.

მუხლი 11ter

[გარკვეული უფლებები ლიტერატურულ ნაწარმოებებზე: 1. საჯაროდ წაკითხვის უფლება და წაკითხულის საყოველთაო გაცნობის უფლება; 2. თარგმანებთან დაკავშირებით]

(1) ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნებართვა გასცენ:

(i) თავიანთი ნაწარმოებების საჯარო წაკითხვაზე, მათ შორის ნებისმიერი საშუალებით ან ხერხით განხორციელებული საჯარო წაკითხვის ჩათვლით;

(ii) თავიანთი ნაწარმოებების წაკითხვის ნებისმიერი საყოველთაო გაცნობაზე.

(2) ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორები სარგებლობენ ამავე უფლებებით თავიანთი ნაწარმოებების თარგმანებთან დაკავშირებით ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლებების მოქმედების სრული ვადის განმავლობაში.

მუხლი 12

[ადაპტაციის, არანჟირებისა და სხვა ცვლილების უფლება]

ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავიანთი ნაწარმოებების ადაპტაციების, არანჟირებებისა და სხვა ცვლილებების ნებართვა.

მუხლი 13

[მუსიკალური ნაწარმოებებისა და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექსტების ჩაწერის უფლების შესაძლო

შეზღუდვა; 1. იძულებითი ლიცენზიები; 2. გარდამავალი ღონისძიებები; 3. ავტორის ნებართვის გარეშე დამზადებული ეგზემპლარების იმპორტირებისას ყადაღის დადება]

(1) კავშირის თითოეულ ქვეყანას შეუძლია თავისთვის დააწესოს დათქმები და პირობები მუსიკალური ნაწარმოებების ავტორისა და იმ ნებისმიერი ტექსტის ავტორისთვის, რომლის ჩაწერის ნებართვა მუსიკალურ ნაწარმოებთან ერთად უკვე გაცემულია ამ უკანასკნელის მიერ, მინიჭებულ განსაკუთრებულ უფლებასთან დაკავშირებით, რათა ასეთ ტექსტთან ერთად, თუ ამგვარი არსებობს, ამ მუსიკალური ნაწარმოების ხმოვანი ჩანაწერის დამზადების ნებართვა გასცეს; მაგრამ ყველა ასეთი დათქმა და პირობა მოქმედებს მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებმაც ისინი დააწესეს და არაეითარ შემთხვევაში არ ლახავს ამ ავტორების უფლებას მიიღონ სამართლიანი ანაზღაურება, რომელსაც შეთანხმების არარსებობისას ადგენს უფლებამოსილი ორგანო.

(2) 1928 წლის 2 ივნისს რომში და 1948 წლის 26 ივნისს ბრიუსელში ხელმოწერილი კონვენციების 13(3) მუხლის თანახმად, კავშირის ქვეყნებში დამზადებული მუსიკალური ნაწარმოების ჩანაწერების რეპროდუცირება შესაძლებელია ამ ქვეყანაში მუსიკალური ნაწარმოების ავტორის ნებართვის გარეშე, ვიდრე ორი წელი არ გაეა მას შემდეგ, რაც ქვეყანას დაეკისრება ვალდებულება ამ აქტით.

(3) ამ მუხლის (1) და (2) პუნქტების თანახმად დამზადებული ჩანაწერები, რომლებიც იმპორტირებულია დაინტერესებული მხარეების ნებართვის გარეშე იმ ქვეყანაში, რომელშიც ისინი მიჩნეულია უკანონოდ, ექვემდებარება ყადაღის დადებას.

მუხლი 14

[კინემატოგრაფიული და მასთან დაკავშირებული უფლებები: 1. კინემატოგრაფიული ადაპტაცია და რეპროდუცირება; გავრცელება; ამგვარად ადაპტირებული ან რეპროდუცირებული ნაწარმოებების საჯარო შესრულება ან საყოველთაო გაცნობა სადენის მეშვეობით; 2 კინემატოგრაფიული ნაწარმოებების ადაპტაცია; 3. იძულებითი ლიცენზიების არარსებობა]

(1) ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნებართვა გასცენ:

კინემატოგრაფიული ადაპტაციისა და რეპროდუცირებისა და ამგვარად ადაპტირებული ან რეპროდუცირებული ნაწარმოებების გავრცელებისა;

(ii) ამგვარად ადაპტირებული ან რეპროდუცირებული ნაწარმოების საჯარო შესრულებისა და საჯარო გადაცემისა საღენით.

(2)ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების გადამუშავებით მიღებული კინემატოგრაფიული პროდუქციის ადაპტაცია ნებისმიერ სხვა მხატვრულ ფორმად, კინემატოგრაფიული პროდუქციის ავტორის უფლებამოსილების შეულახავად, ასევე საჭიროებს ორიგინალური ნაწარმოებების ავტორთაგან ნებართვის მიღებას.

(3) 13(1) მუხლის დებულებები არ გამოიყენება.

მუხლი 14bis

[კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები: 1. "ორიგინალურ" ნაწარმოებებთან გათანაბრება; 2. უფლებების მფლობელები; ნაწარმოების შექმნაში წვლილის მქონე გარკვეულ პირთა გარკვეული უფლებების შეზღუდვა; 3. ნაწარმოების შექმნაში წვლილის მქონე გარკვეული სხვა პირები]

(1)კინემატოგრაფიული ნაწარმოები დაცულია როგორც ორიგინალური ნაწარმოები, საავტორო უფლებების შეულახავად იმ ნაწარმოებზე, რომელიც შეიძლებოდა ადაპტირებული ან რეპროდუცირებული ყოფილიყო. კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მფლობელი სარგებლობს იმავე უფლებებით, როგორითაც ორიგინალური ნაწარმოების ავტორი, წინა მუხლში გათვალისწინებული უფლებების ჩათვლით.

(2)(a) კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მფლობელების განსაზღვრა შეუძლია იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

(b) მიუხედავად ამისა, კავშირის ქვეყნებში, რომელთა კანონმდებლობა კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლებების მფლობელთა შორის ითვალისწინებს ავტორებს, რომელთაც შეიტანეს წვლილი ნაწარმოების შექმნაში, ასეთ ავტორებს, თუ მათ იკისრეს ამგვარი წვლილის შეტანა, არ შეუძლიათ, ნებისმიერი საპირისპირო ან განსაკუთრებული პირობის არარსებობისას, წინააღმდეგნი იყვნენ ნაწარმოების რეპროდუცირების, გავრცელების, საჯარო შესრულების, სადენით საყოველთაო გაცნობის, საეთერო მაუწყებლობისა ან ნებისმიერი სხვა საყოველთაო გაცნობისა, ასევე ტექსტების სუბტიტრირებისა ან დუბლირებისა.

(c) საკითხს იმის შესახებ, უნდა ჰქონდეს თუ არა წერილობითი შეთანხმების ან თანაბარი ძალის მქონე წერილობითი აქტის ფორმა ზემოაღნიშნულ ვალდებულებას წინა (b) ქვეპუნქტის გამოყენების მიზნით, წყვეტს იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომელშიც კინემატოგრაფიული ნაწარმოების დამამზადებელს აქვს თავისი შტაბ-ბინა ან

მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. მაგრამ კაუშირის ქვეყნის კანონმდებლობას, რომელშიც მოითხოვება დაცვა, უნარშუნდება უფლება გადაწყვეტოს აღნიშნულ ვალდებულებას წერილობითი შეთანხმების ფორმა ექნება თუ თანაბარი ძალის მქონე წერილობითი აქტის სახე. ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა ითვალისწინებს ამას, ატყობინებენ ამის შესახებ გენერალურ დირექტორს წერილობითი განცხადებით, რომელსაც იგი დაუყოვნებლივ აცნობებს კაუშირის ყველა სხვა ქვეყანას.

(d) "საპირისპირო ან განსაკუთრებული პირობა" ნიშნავს ნებისმიერ შემსყიდველ პირობას, რომელიც შეესაბამება სემოთ აღნიშნულ ვალდებულებას.

(3) თუ ეროვნული კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, სემოთ აღნიშნული (2)(b) პუნქტის დებულებები არ ვრცელდება კინემატოგრაფიული ნაწარმოებისთვის შექმნილი სცენარების, დიალოგებისა და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორებსა ან მის დამდგმელ რეჟისორზე. მაგრამ, კაუშირის ის ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებს აღნიშნული (2)(b) პუნქტის გამოყენებას ასეთი რეჟისორის მიმართ, ატყობინებს გენერალურ დირექტორს წერილობითი განცხადებით, რომელსაც იგი დაუყოვნებლივ აცნობებს კაუშირის ყველა სხვა ქვეყანას.

მუხლი 14ter

["Droit de suite"[4] ხელოვნების ნაწარმოებებსა და ხელნაწერებზე; 1. უფლება ხელახალი გაყიდვისგან მიღებული შემოსავლის წილზე; 2. გამოსაყენებელი კანონი; 3. პროცედურა]

(1) ავტორი ან, მისი გარდაცვალების შემდეგ, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი პირები ან დაწესებულებები ხელოვნების ორიგინალური ნაწარმოებებისა და მწერლებისა და კომპოზიტორების ორიგინალურ ხელნაწერებთან დაკავშირებით სარგებლობენ ნაწარმოების ყოველ გაყიდვაში წილობრივი მონაწილეობის განუსხვისებელი უფლებით, რომელიც მოჰყვება ავტორის მიერ ნაწარმოების პირველ დათმობას.

(2) წინა პუნქტით გათვალისწინებული დაცვა შეიძლება მოთხოვნილი იყოს კავშირის ქვეყანაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნებადართულია კანონმდებლობით ქვეყანაში, რომლისდანაც არის ავტორი,და იმ მოცულობით, რომელიც დაშვებულია ქვეყნის მიერ, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

---

[4] "Droit de suite" წილობრივი მონაწილეობის უფლება.

(3) თანხის შეგროვების პროცედურასა და ოდენობას ადგენს ეროვნული კანონმდებლობა.

მუხლი 15

[დაცული უფლებების განხორციელების უფლება: 1. როდესაც ავტორის სახელი მითითებულია ან ფსევდონიმი ეჭვს არ იწვევს ავტორის ვინაობაში; 2. კინემატოგრაფიული ნაწარმოებების შემთხვევაში; 3. ანონიმურად და ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოებების შემთხვევაში; 4. უცნობი ავტორის გარკვეული გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების შემთხვევაში]

(1) იმისათვის, რომ ამ კონვენციით დაცული ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოების ავტორი, საპირისპირო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, მიჩნეულ იქნეს როგორც ასეთი და შესაბამისად იყოს უფლებამოსილი კავშირის ქვეყნებში აღძრას სასამართლო საქმე დარღვევასთან დაკავშირებით, საკმარისია მისი სახელის აღნიშვნა ნაწარმოებზე ჩვეულებრივი წესით. ეს პუნქტი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს სახელი არის ფსევდონიმი, თუ ავტორის მიერ შერჩეული ფსევდონიმი ეჭვს არ იწვევს მის ვინაობაში.

(2) საპირისპირო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი აღნიშნულია კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე ჩვეულებრივი წესით, მიიჩნევა აღნიშნული ნაწარმოების დამამზადებლად.

(3) ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოებების შემთხვევაში, სქემით (1) პუნქტში მითითებულის გარდა, გამომცემელი, რომლის სახელიც არის აღნიშნული ნაწარმოებზე, საპირისპირო მტკიცებულების არარსებობისას, მიიჩნევა ავტორის წარმომადგენლად და ამ სახით უფლებამოსილია დაიცვას და განახორციელოს ავტორის უფლებები. ამ პუნქტის დებულებები არ გამოიყენება, როდესაც ავტორი ამჟღავნებს თავის ვინაობას და აცხადებს თავის უფლებას ნაწარმოების ავტორობაზე.

(4)(a) გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების შემთხვევაში, როდესაც ავტორის ვინაობა უცნობია, მაგრამ არსებობს ყოველგვარი საფუძველი ვარაუდისა, რომ იგი კავშირის ქვეყნის მოქალაქეა, ამ ქვეყნის კანონმდებლობა ადგენს კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც იქნება ავტორის წარმომადგენელი და ექნება კავშირის ქვეყანაში მისი უფლებების დაცვისა და მათი განხორციელების უფლებამოსილება.

(b) კავშირის ქვეყნები, რომლებიც ამ დებულების მოთხოვნების შესაბამისად აღგენენ ასეთ ორგანოს, ატყობინებენ ამის შესახებ

გენერალურ დირექტორს წერილობითი განცხადების მეშვეობით, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას ამგვარად დაღუპული ორგანოს შესახებ. გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს ამ განცხადებას კავშირის ყველა სხვა ქვეყანას.

მუხლი 16

[უფლებების დარღვევით დამზადებული ეგზემპლარები: 1. ყადაღის დადება; 2. ყადაღის დადება იმპორტირების დროს; 3. გამოსაყენებელი კანონი]

(1) ნაწარმოების უფლებების დარღვევით დამზადებული ეგზემპლარები ექვემდებარება ყადაღის დადებას კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, რომელშიც ამ ნაწარმოებს აქვს სამართლებრივი დაცვა.

(2) წინა პუნქტის დებულებები ასევე ვრცელდება რეპროდუქციებზე, რომლებიც შემოდის ქვეყნიდან, რომელშიც ეს ნაწარმოები არაა დაცული, ან აღარ სარგებლობს დაცვის უფლებით.

(3) ყადაღის დადება ხორციელდება თითოეული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17

[ნაწარმოებების ბრუნვაში გაშვების, პრეზენტაციისა და გამოფენის კონტროლის შესაძლებლობა]

ამ კონვენციის დებულებები არანაირი ფორმით არ ახდენს გავლენას კავშირის თითოეული ქვეყნის მთავრობის უფლებაზე კანონმდებლობით ან სხვა ნორმატიული აქტებით დაუშვას, გააკონტროლოს ან აკრძალოს ნებისმიერი იმ ნაწარმოების ან პროდუქციის ბრუნვაში გაშვება, პრეზენტაცია ან გამოფენა, რომლის მიმართ კომპეტენტური ორგანო საჭიროდ მიიჩნევს ასეთი უფლების გამოყენებას.

მუხლი 18

[ნაწარმოებები, რომლებიც უკვე არსებობს კონვენციის ძალაში შესვლისას: 1. დასაცავი ნაწარმოებები, როდესაც მათი დაცვის ვადა არ არის გასული წარმოშობის ქვეყანაში; 2. დაუცველი ნაწარმოებები, როცა დაცვის ვადა გასულია იმ ქვეყნებში, რომლებშიც მოითხოვება დაცვა; 3. ამ პრინციპების გამოყენება; 4. სპეციალური შემთხვევები]

(1) ეს კონვენცია გამოიყენება ყველა ნაწარმოებთან დაკავშირებით, რომელიც მისი ძალაში შესვლის მომენტისათვის ჯერ არ ქცეულა საერთო საკუთრებად წარმოშობის ქვეყანაში დაცვის ვადის გასვლის გამო.

(2) მაგრამ, თუ ნაწარმოები ადრე მინიჭებული დაცვის ვადის გასვლის გამო უკვე იქცა საერთო საკუთრებად ქვეყანაში, რომელშიც მოითხოვება დაცვა, ეს ნაწარმოები აღარ იქნება ხელახლა დაცული.

(3) ამ პრინციპის გამოყენება წარმოადგენს ნებისმიერი დებულებების საგანს, რომელიც ამ მიზნით არის შეტანილი კავშირის ქვეყნებს შორის დადებულ ან მომავალში დასადებ სპეციალურ კონვენციებში. თუ ასეთი დებულებები არ არსებობს, შესაბამისი ქვეყნები, რამდენადაც ეს ეხება თითოეულ მათგანს, განსაზღვრავენ ამ პრინციპის გამოყენების პირობებს.

(4) წინა დებულებები გამოიყენება აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც კავშირს უერთდებიან ახალი ქვეყნები და იმ შემთხვევებშიც, როდესაც დაცვა ფართოვდება 7 მუხლის გამოყენების საფუძველზე ან დათქმებზე უარის თქმის შედეგად.

მუხლი 19

[კონვენციით გათვალისწინებულ დაცვაზე ფართო დაცვა]

ამ კონვენციის დებულებები არ უშლის ხელს ნებისმიერი უფრო ფართო დაცვის მოთხოვნას, რომელიც შეიძლება იქნეს მინიჭებული კავშირის ქვეყნის კანონმდებლობით.

მუხლი 20

[კავშირის ქვეყნებს შორის დადებული სპეციალური შეთანხმებები]

კავშირის ქვეყნების მთავრობები იტოვებენ ერთმანეთთან სპეციალური შეთანხმებების დადების უფლებას, რამდენადაც ასეთი შეთანხმებები ანიჭებს ავტორებს უფრო ფართო უფლებებს, ვიდრე ამ კონვენციითაა მინიჭებული, ან შეიცავს სხვა დებულებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციას. არსებულ შეთანხმებათა დებულებები, რომლებიც აკმაყოფილებს ამ პირობებს, მომავალშიც იქნება გამოყენებული.

მუხლი 21

[სპეციალური დებულებები განვითარებადი ქვეყნების შესახებ: 1. მითითება დამატებაზე; 2. დამატება როგორც აქტის ნაწილი]

(1) სპეციალური დებულებები განვითარებადი ქვეყნების შესახებ შედის დამატებაში.

(2) 28(1)(b) მუხლის დებულებების გათვალისწინებით დამატება წარმოადგენს ამ აქტის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 22

[ასამბლეა: 1. დაფუძნება და შემადგენლობა; 2. ფუნქციები; 3. კვორუმი, ხმის მიცემა, მეთვალყურეები; 4. მოწვევა; 5. პროცედურის წესები]

(1) (a) კავშირს ჰყავს ასამბლეა, რომელიც შედგება კავშირის იმ ქვეყნებისგან, რომლებსაც აკისრიათ ვალდებულებები 22-26 მუხლებით.

(b) თითოეული ქვეყნის მთავრობას წარმოადგენს ერთი დელეგატი,

რომელსაც შეიძლება დაეხმარონ შემცველი დელეგატები, მრჩევლები და ექსპერტები.

(c) თითოეული დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მთავრობა, რომელმაც დანიშნა ის.

(2)

(a) ასამბლეა:

(i) განაგებს ყველა საკითხს, რომელიც დაკავშირებულია კავშირის ფუნქციონირებასა და ამ კონვენციის შესრულებასთან;

(ii) გადასინჯვის მიზნით მოწვეული კონფერენციების მომსადგურებასთან დაკავშირებით მითითებებს აძლევს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბიუროს (შემდგომ - "საერთაშორისო ბიურო"), როგორც განსაღლერულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (შემდგომ - "ორგანიზაცია") დამფუძნებელ კონვენციაში, ამასთან, სათანადო ყურადღებას უთმობს კავშირის იმ ქვეყნების ნებისმიერ შენიშვნებს, რომლებსაც ეკისრებათ ვალდებულებები 22-26 მუხლებით;

(iii) განიხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის გენერალური დირექტორის ანგარიშებსა და საქმიანობას კავშირთან მიმართებაში და აძლევს მას ყველა საჭირო ინსტრუქციას კავშირის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესახებ;

(iv) ირჩევს ასამბლეის აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს;

(v) განიხილავს და ამტკიცებს თაეისი აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიშებსა და საქმიანობას და აძლევს ინსტრუქციებს ასეთ კომიტეტს;

(vi) განსაზღვრავს კავშირის პროგრამას, იღებს მის ორწლიან ბიუჯეტს და ამტკიცებს მის საბოლოო ანგარიშებს;

(vii) იღებს კავშირის ფინანსურ ინსტრუქციას;

(viii) ფუძნებს ექსპერტთა ისეთ კომიტეტებსა და მუშა ჯგუფებს, რომლებიც აუცილებელია კავშირის ფუნქციონირებისთვის;

(ix) განსაზღვრავს, რომელი ქვეყნები, რომლებიც არ არიან კავშირის წევრები, და სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები დაიშვებიან მუთვალყურეების სახით მის სხდომებზე;

(x) იღებს 22-26 მუხლების ცვლილებებს;

(xi) ახორციელებს ნებისმიერ სხვა სათანადო ქმედებას, რომელიც კავშირის მიზნების მისაღწევადაა მიმართული;

(xii) ახორციელებს სხვა ისეთ ფუნქციებს, რომლებიც ამ კონვენციით არის მიზანშეწონილი;

(xiii) მისი თანხმობის შემთხვევაში, ახორციელებს ისეთ უფლებებს, რომლებსაც ანიჭებს მას ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია.

(b) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული სხვა კავშირებისათვის, ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებებს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რეჟიმის მოსმენის შემდეგ.

(3)

(a) ასამბლეის თითოეულ წევრ ქვეყანას აქვს ერთი ხმა.

(b) ასამბლეის წევრი ქვეყნების ნახევარი შეადგენს კვორუმს.

(c) (b) ქვეპუნქტის დებულებების მიუხედავად, თუ ნებისმიერ სესიაზე წარმოდგენილი ქვეყნების რიცხვი ნახევარზე ნაკლებია, მაგრამ ტოლია ან მეტია ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთ მესამედზე, ასამბლეას შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება, მაგრამ, პროცედურის საკუთარ წესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გარდა, ყველა ასეთი გადაწყვეტილება ძალაში შევა მხოლოდ ქვემოთ ნამოთვლილი პირობების შესრულების შემთხვევაში. საერთაშორისო ბიურო გააცნობს აღნიშნულ გადაწყვეტილებებს ასამბლეის წევრ ქვეყნებს, რომლებიც არ ესწრებოდნენ მას, და სთავაზობს მათ გადაწყვეტილების გაგზავნიდან სამი თვის განმავლობაში წერილობითი სახით გამოხატონ ხმის მიცემა ან თაობის შეკავება. თუ ამ პერიოდის ამოწურვისას ქვეყნების რიცხვი, რომელთაც ამგვარად გამოხატეს ხმის მიცემა ან თაობის შეკავება, აღწევს ქვეყნების რიცხვს, რომელიც აკლდა კვორუმის მისაღწევად თვით სესიაზე, ასეთი გადაწყვეტილებები ძალაში შედის, იმ პირობით, რომ საჭირო უმრავლესობა იმავდროულად შენარჩუნებულია.

(d) 26-ე მუხლის (2) პუნქტის დებულებებიდან გამომდინარე, ასამბლეის გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა მიცემული ხმების ორი მესამედი.

(e) თაობის შეკავება არ ითვლება ხმის მიცემად.

(f) დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა და ხმა მისცეს მხოლოდ ერთი ქვეყნის სახელით.

(g) კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან ასამბლეის წევრები, მის სხდომაზე დაიშვებიან მხოლოდ როგორც მეთვალყურეები.

(4)

(a) ასამბლეა იკრიბება რიგით სესიაზე ერთხელ ყოველ მეორე კალენდარულ წელს გენერალური დირექტორის მოწვევით და თუ არ არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, იგივე დროს და იგივე ადგილზე, როდესაც და სადაც იკრიბება ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.

(b) ასამბლეა იკრიბება საგანგებო სესიაზე გენერალური

დირექტორის მოწვევით, აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნით ან ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(5) ასამბლეა იღებს პროცედურის საკუთარ წესებს.

მუხლი 23

[აღმასრულებელი კომიტეტი: 1. დაფუძნება; 2. შემადგენლობა; 3. წევრთა რაოდენობა; 4. გეოგრაფიული განაწილება; სპეციალური შეთანხმებები; 5. ვადა, გადარჩევის შეზღუდვები, არჩევნების წესები; 6. ფუნქციები; 7. მოწვევა; 8. კვორუმი, ხმის მიცემა; 9. მეთვალყურეები; 10. პროცედურის წესები]

(1) ასამბლეას ჰყავს აღმასრულებელი კომიტეტი.

(2)

(a) აღმასრულებელი კომიტეტი შედგება ქვეყნებისგან, რომლებიც არჩეულია ასამბლეის მიერ ასამბლეის წევრი ქვეყნების რიცხვიდან. გარდა ამისა, ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ორგანიზაციის შტაბ-ბინა, იმ პირობით, თუ სრულდება 25(7)(b) მუხლის დებულებები, აქვს ex officio ადგილი კომიტეტში.

(b) აღმასრულებელი კომიტეტის თითოეული წევრი ქვეყნის მთავრობას წარმოადგენს ერთი დელეგატი, რომელსაც შეიძლება დაეხმარონ შემცვლელი მოადგილეები, მრჩევლები და ექსპერტები.

(c) თითოეული დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მთავრობა, რომელმაც დანიშნა იგი.

(3) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ქვეყნების რიცხვი შეესაბამება ასამბლეის წევრი ქვეყნების რიცხვის ერთ მეოთხედს. შესაფასები ადგილების რაოდენობის დადგენისას ოთხზე გაყოფის შედეგად დარჩენილი ნაშთი მხედველობაში არ მიიღება.

(4) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევისას ასამბლეა სათანადო ყურადღებას უთმობს სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებას და იმის საჭიროებას, რომ იმ სპეციალური შეთანხმებების მონაწილე ქვეყნები, რომლებიც შეიძლება იქნეს დადებული კავშირთან მიმართებაში, იყვნენ აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ქვეყნების რიცხვში.

(5)

(a) აღმასრულებელი კომიტეტის თითოეული წევრი ასრულებს თავის ფუნქციებს ასამბლეის სესიის დახურვიდან, რომელზეც იქნა ის არჩეული, ასამბლეის შემდეგი რიგითი სესიის დახურვამდე.

(b) აღმასრულებელი კომიტეტის წევრები შეიძლება იქნენ გადარჩეულნი, მაგრამ არაუმეტეს მათი ორი მესამედისა.

(c) ასამბლეა ადგენს აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევისა და შესაძლო გადარჩევის მარეგულირებელი წესების დეტალებს.

(6)

(a) აღმასრულებელი კომიტეტი:

(i) ამსადებს ასამბლეის დღის წესრიგის პროექტს;

(ii) გენერალური დირექტორის მიერ მომზადებული კავშირის პროგრამისა და ორწლიანი ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით წარუდგენს წინადადებებს ასამბლეას;

(iii) [ამოღებულია]

(iv) წარუდგენს ასამბლეას გენერალური დირექტორის პერიოდულ ანგარიშებს და ანგარიშების რევიზიის ყოველწლიურ აქტებს სათანადო შენიშვნებით.

(v) ასამბლეის გადაწყვეტილებების შესაბამისად და იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოიქმნება ასამბლეის ორ რიგით სესიას შორის პერიოდში, იღებს ყველა აუცილებელ ზომას, რაოა გენერალური დირექტორის მიერ უზრუნველყოფილი იყოს კავშირის პროგრამის შესრულება;

(vi) ასრულებს ისეთ სხვა ფუნქციებს, რომლებიც მასზე ამ კონვენციით არის დაკისრებული.

(b) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული სხვა კავშირებისათვის, აღმასრულებელი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევის მოსმენის შემდეგ.

(7)

(a) აღმასრულებელი კომიტეტი იკრიბება წელიწადში ერთხელ რიგით სესიაზე გენერალური დირექტორის მოწვევით, უპირატესად იმავე პერიოდის განმავლობაში და იმავე ადგილას, როდესაც და სადაც იკრიბება ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტი.

(b) აღმასრულებელი კომიტეტი იკრიბება საგანგებო სესიაზე გენერალური დირექტორის მოწვევით, ან მისი საკუთარი ინიციატივით, მისი თავმჯდომარის ან აღმასრულებელი კომიტეტის წევრების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(8)

(a) აღმასრულებელი კომიტეტის თითოეულ წევრ ქვეყანას აქვს ერთი ხმა.

(b) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების ნახევარი შეადგენს კვორუმს.

(c) გადაწყვეტილებების მიღება ხდება მიცემული ხმების უბრალო უმრავლესობით.

(d) თაყვის შეკავება არ ითვლება ხმის მიცემად.

(e) დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა და ხმა მისცეს მისი სახელით.

(9) კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, დაიშვებიან მის სხდომაზე მხოლოდ რიგორც მეთვალყურეები.

(10) აღმასრულებელი კომიტეტი იღებს პროცედურის საკუთარ წესებს.

მუხლი 24

[საერთაშორისო ბიურო: 1. ზოგადი ფუნქციები, გენერალური დირექტორი; 2. ზოგადი ინფორმაცია; 3. ჟურნალი; 4. ქვეყნებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია; 5. გამოკვლევები და მომსახურება; 6. სხდომებში მონაწილეობა; 7. კონფერენციები გადასინჯვის თაობაზე; 8. სხვა ფუნქციები]

(1)

(a) ადმინისტრაციული ფუნქციები კავშირთან მიმართებაში ხორციელდება საერთაშორისო ბიუროს მიერ, რომელიც წარმოადგენს კავშირის ბიუროს მონაცვლეს, გაერთიანებულს კავშირის ბიუროსთან, რომელიც დაარსებულია სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კონვენციის მიერ.

(b) კერძოდ, საერთაშორისო ბიურო უზრუნველყოფს კავშირის სხვადასხვა ორგანოს სამდივნოს ფუნქციებს.

(c) ორგანიზაციის გენერალური დირექტორი არის კავშირის მთავარი აღმას-რულებელი პირი და წარმოადგენს კავშირს.

(2) საერთაშორისო ბიურო აგროვებს და აქვეყნებს ინფორმაციას საავტორო უფლებების დაცვის თაობაზე. კავშირის თითოეული ქვეყანა დაუყოვნებლივ გადაეცემა საერთაშორისო ბიუროს ყველა ახალ კანონსა და ოფიციალურ ტექსტს, რომლებიც შეეხება საავტორო უფლებების დაცვას.

(3) საერთაშორისო ბიურო გამოსცემს ყოველთვიურ ჟურნალს.

(4) საერთაშორისო ბიურო სათანადო მოთხოვნის საფუძველზე აწვდის კავშირის ნებისმიერ ქვეყანას ინფორმაციის საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

(5) საერთაშორისო ბიურო წარმართავს კვლევებს და უზრუნველყოფს მომსახურებას საავტორო უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით.

(6) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული თანამშრომელი მონაწილეობას იღებს ხმის უფლების გარეშე ასამბლეის, აღმასრულებელი კომიტეტის და ექსპერტთა ნებისმიერი სხვა კომიტეტის ან მუშა ჯგუფის ყველა სხდომაში. გენერალური დირექტორი ან მის მიერ დანიშნული თანამშრომელი არის ამ ორგანოების ex officio მდივანი.

(7)

(a) საერთაშორისო ბიურო ასამბლეის მითითებების შესაბამისად და აღმასრულებელ კომიტეტთან თანამშრომლობით ამზადებს კონფერენციებს კონვენციის დებულებათა გადასინჯვის თაობაზე, 22-დან 26-ის ჩათვლით მუხლების გარდა.

(b) საერთაშორისო ბიუროს შეუძლია ჩაატაროს კონსულტაციები სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან გადასინჯვასთან დაკავშირებული კონფერენციების მომზადების თაობაზე.

(c) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული პირები მონაწილეობას იღებენ ხმის უფლების გარეშე ამ კონფერენციების მუშაობაში.

(8) საერთაშორისო ბიურო ასრულებს მასზე დაკისრებულ ნებისმიერ სხვა ფუნქციას.

მუხლი 25

[ფინანსები: 1. ბიუჯეტი; 2. სხვა კავშირებთან კოორდინაცია; 3. რესურსები; 4. შესატანები; წინა ბიუჯეტის შესაძლო გაფართოება; 5. გადასახადები და საფასურები; 6. საბრუნაო კაპიტალის ფონდი; 7. მასპინძელი მთავრობის ავანსები; 8. ანგარიშების რევიზია]

(1)

(a) კავშირს აქვს ბიუჯეტი.

(b) კავშირის ბიუჯეტი შეიცავს საკუთრივ კავშირის შემოსავალსა და საათანადო ხარჯებს, მის შენატანებს კავშირებისთვის საერთო ხარჯების ბიუჯეტში, და სათანადო შემთხვევებში, ანარიცხებს ორგანიზაციის კონფერენციის ბიუჯეტში.

(c) ხარჯები, რომლებიც არ განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ ამ კავშირს, არამედ ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებულ ერთ ან მეტ კავშირს, ითვლება კავშირებისთვის საერთო ხარჯებად. კავშირის წილი ამგვარ საერთო ხარჯებში შეესაბამება მის წილს აღნიშნულ ხარჯებში.

(2) კავშირის ბიუჯეტის მიღება ხორციელდება ორგანიზაციის მიერ ადმინის-ტრირებული სხვა კავშირების ბიუჯეტებთან კოორდინაციის მოთხოვნების სათანადო გათვალისწინებით.

(3) კავშირის ბიუჯეტი ფინანსდება შემდეგი წყაროებიდან:

(i) კავშირის ქვეყნების შესატანებით;

(ii) საერთაშორისო ბიუროს მიერ კავშირთან მიმართებით გაწეული მომსა-ხურებისთვის დადგენილი საფასურებით და გადასახადებით;

(iii) საერთაშორისო ბიუროს პუბლიკაციების გაყიდვით, რომლებიც კავშირს ეხება, ან ჰონორარებით მათზე.

(iv) საჩუქრებით, ანდერძით დატოვებული სახსრებით და სუბსიდიებით;

(v) რენტით, პროცენტებით და სხვადასხვა შემოსავლით.

(4)

(a) იმისათვის, რომ განისაზღვროს მისი შესატანი ბიუჯეტში, კავშირის თითოეული ქვეყანა მიეკუთვნება გარკვეულ კლასს და იხდის თავის წლიურ შესატანს ერთეულების რიცხვის საფუძველზე, შემდეგნაირად:

I	კლასი	25
II	კლასი	20
III	კლასი	15
IV	კლასი	10
V	კლასი	5
VI	კლასი	3
VII	კლასი	1

(b) თითოეული ქვეყანა, თუ უკვე არ გაუკეთებია ეს, თავისი რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტის დეპონირებასთან ერთად უთითებს კლასს, რომელთან მიკუთვნებაც მას სურს. ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია შეიცვალოს კლასი. თუ ქვეყანა ირჩევს უფრო დაბალ კლასს, იგი ამის შესახებ აცნობებს ასამბლეას მის ერთ-ერთ რიგით სესიაზე. ნებისმიერი ასეთი ცვლილება შედის ძალაში სესიის მომდევნო კალენდარული წლის დასაწყისიდან.

(c) თითოეული ქვეყნის წლიური შესატანი არის ოდენობა, რომელიც ისეთივე შეფარდებაშია ყველა ქვეყნის მიერ კავშირის წლიურ ბიუჯეტში გადასახდელ სრულ ოდენობასთან, რომელშიც ერთეულების რაოდენობა ყველა გადამხდელი ქვეყნის ერთეულების ჯამთან.

(d) შესატანები უნდა იქნეს გადახდილი ყოველი წლის პირველ იანვარს.

(e) ქვეყანას, რომელსაც აქვს დავალიანება შესატანების გადახდაში, არა აქვს ხმის უფლება კავშირის ნებისმიერ ორგანოში, რომლის წევრიც არის იგი, თუ მისი დავალიანების ოდენობა ტოლია ან მეტია წინა ორი სრული წლის განმავლობაში მის მიერ გადასახდელი შესატანების ოდენობაზე. მიუხედავად ამისა, კავშირის ნებისმიერ ორგანოს შეუძლია ნება დართოს ასეთ ქვეყანას გააგრძელოს ამ ორგანოში ხმის უფლებით სარგებლობა იმ შემთხვევაში, და მანამდე, სანამ ის დარწმუნებულია, რომ გადახდის დაგვიანება განსაკუთრებული და გარდაუვალი გარემოებებითაა გამოწვეული.

(f) თუ ბიუჯეტი არ არის მიღებული ახალი საფინანსო პერიოდის დაწყებამდე, საფინანსო ინსტრუქციის თანახმად, იგი არის წინა წლის ბიუჯეტის დონეზე.

(5) საფასურებისა და გადასახადების ოდენობას, რომლებიც უნდა მიიღოს საერთაშორისო ბიურომ კავშირთან მიმართებით გაწეული მომსახურებისთვის, ადგენს გენერალური დირექტორი, რომელიც მოახსენებს ამის შესახებ ასამბლეასა და აღმასრულებელ კომიტეტს.

(6)

(a) კავშირს აქვს საბრუნავი კაპიტალის ფონდი, რომელიც კავშირის თითოეული ქვეყნის მიერ შემოტანილი ერთჯერადი გადასახადისგან დგება. თუ ფონდი არასაკმარისი ხდება, ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას მისი გაზრდის შესახებ.

(b) თითოეული ქვეყნის თავდაპირველი გადასახადის ოდენობა აღნიშნულ ფონდში ან მისი წილი ამ ფონდის გაზრდაში პროპორციულია ამ ქვეყნის შენატანისა იმ წლისთვის, როდესაც დაარსდა ფონდი ან მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი გაზრდის შესახებ.

(c) გადასახადის პროპორციისა და გადახდის პირობებს ადგენს ასამბლეა გენერალური დირექტორის წინადადებით მას შემდეგ, რაც იგი მოისმენს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევას.

(7)

(a) შეთანხმებაში შტაბ-ბინის თაობაზე, რომლებიც იდება ქვეყანასთან, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაციას აქვს შტაბ-ბინა, გათვალისწინებულია, რომ როდესაც საბრუნავი სახსრების ფონდი არასაკმარისია, ასეთი ქვეყანა გაიღებს ავანსებს. ამ ავანსების თანხა და გაცემის პირობები თითოეულ შემთხვევაში წარმოადგენს განსაკუთრებული შეთანხმებების საგანს ასეთ ქვეყანასა და ორგანიზაციას შორის. მანამ, სანამ ასეთ ქვეყანას აკისრია ავანსების გაცემის ვალდებულება, მას აქვს ex officio ადგილი აღმასრულებელ კომიტეტში.

(b) (a) ქვეპუნქტში დასახელებულ ქვეყანასა და ორგანიზაციას, თითოეულს, აქვს უფლება წერილობითი შეტყობინებით განაახორციელოს ავანსების გაცემის ვალდებულების დენონსირება. დენონსირება ძალაში შედის სამი წლის შემდეგ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც გაგზავნილ იქნა შეტყობინება.

(8) ანგარიშების რევიზია ხორციელდება კავშირის ერთი ან მეტი ქვეყნის ან გარე აუდიტორების მიერ, საფინანსო ინსტრუქციის შესაბამისად. მათი დანიშვნა ხდება, მათივე თანხმობით, ასამბლეის მიერ.

მუხლი 26

[ცვლილებები: 1. დებულებები, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს ასამბლეის მიერ; წინადადებები; 2. მიღება; 3. ძალაში შესვლა]

(1) წინადადებები 22-ე, 23-ე, 24-ე, 25-ე მუხლებში და ასევე მოცემულ მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეიძლება წამოაყენებულ იქნეს ასამბლეის ნებისმიერი წევრი ქვეყნის, აღმასრულებელი კომიტეტის ან გენერალური დირექტორის მიერ. გენერალური დირექტორი ასეთი წინადადებების შესახებ ატყობინებს ასამბლეის წევრ ქვეყნებს ასამბლეის მიერ მათ განხილვამდე, სულ მცირე, ექვსი თვით ადრე.

(2) პუნქტში (1) მითითებულ მუხლებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება მიიღება ასამბლეის მიერ. მიღებისთვის საჭიროა მიცემული ხმების სამი მეოთხედი, იმ პირობით, რომ 22-ე მუხლში და მოცემულ პუნქტში ნებისმიერი ცვლილების შესატანად აუცილებელია მიცემული ხმების ოთხი მეხუთედი.

(3) პუნქტში (1) აღნიშნულ მუხლებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ წერილობითი შეტყობინების, რაც ხორციელდება ქვეყნების სათანადო საკონსტიტუციო პროცედურის შესაბამისად, მიღებიდან ერთი თვის შემდეგ იმ ქვეყნების სამი მეოთხედისგან, რომლებიც ასამბლეის წევრები იყვნენ მის მიერ ამ ცვლილების მიღების დროს. აღნიშნულ მუხლებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ამგვარად იქნა მიღებული, სავალდებულოა ყველა ქვეყანისთვის, რომლებიც არიან ასამბლეის წევრები ცვლილების ძალაში შესვლის დროს, ან რომლებიც ხდებიან მისი წევრები ამ თარიღის შემდეგ, იმ პირობით, რომ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ზრდის კავშირის ქვეყნების ფინანსურ ვალდებულებებს, სავალდებულოა მხოლოდ იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც შეატყობინეს მათ მიერ ასეთი ცვლილების მიღების თაობაზე.

მუხლი 27

[გადასინჯვა: 1. მიზანი; 2. კონფერენციები; 3. მიღება]

(1) ეს კონვენცია შეიძლება გადაისინჯოს მასში ცვლილებების შეტანის მიზნით, რომლებიც გამიზნულია კავშირის სისტემის გასაუმჯობესებლად.

(2) ამ მიზნით კავშირის ქვეყნებში რიგრიგობით იმართება აღნიშნული ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენციები.

(3) 26-ე მუხლის დებულებების გათვალისწინებით, რომლებიც გამოიყენება 22-დან 26-ის ჩათვლით მუხლებში ცვლილებების შეტანისას, ამ აქტის ნებისმიერი გადასინჯვა, დანართის ჩათვლით, მოითხოვს მიცემული ხმების ერთსულოვან თანხმობას.

მუხლი 28

[კავშირის ქვეყნებისთვის აქტის მიღება და ძალაში შესვლა: 1. რატიფიკაცია, მიერთება; განსაზღვრული დებულებების გამორიცხვის შესაძლებლობა; გამორიცხვის უკან გატანა; 2. 1-21 მუხლების ძალაში შესვლა; 3. 22-38 მუხლების ძალაში შესვლა]

(1)

(a) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ხელი მოაწერა ამ აქტს, შეუძლია მისი რატიფიცირება, ხოლო თუ არა აქვს ხელი მოწერილი, შეუძლია მასთან მიერთება. რატიფიკაციის და მიერთების სამართლებრივი აქტები გადაეცემა შესანახად გენერალურ დირექტორს.

(b) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას რატიფიკაციის ან მიერთების თავის სამართლებრივ აქტებში შეუძლია განაცხადოს, რომ მისი რატიფიკაცია ან მიერთება არ ვრცელდება 1-21 მუხლებსა და დამატება'ს, მაგრამ, თუ ასეთმა ქვეყანამ წინასწარ გააკეთა განცხადება დამატების VI(1) მუხლის შესაბამისად, მას აღნიშნულ აქტში შეუძლია განაცხადოს მხოლოდ იმის შესახებ, რომ მისი რატიფიკაცია ან მიერთება არ გამოიყენება 1-20 მუხლების მიმართ.

(c) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ქვეპუნქტის (b) შესაბამისად გამორიცხა აღნიშნული დებულებები თავისი რატიფიკაციის ან მიერთების მოქმედებიდან, შეუძლია მოგვიანებით ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ იგი აღარ ცვლის თავისი რატიფიკაციის ან მიერთების მოქმედებას ამ დებულებებ'ს. ასეთი განცხადება ინახება გენერალურ დირექტორთან.

(2)

(a) 1-21 მუხლები და დამატება შედის ძალაში შემდეგი ორი პირობის შესრულებიდან სამი თვის შემდეგ:

(i) კავშირის, სულ მცირე, ხუთმა ქვეყანამ მოახდინა ამ აქტის რატიფიკაცია ან მიუერთდა მას (1)(b) მუხლით გათვალისწინებული განცხადების გაკეთების გარეშე.

(ii) პარი'ში 1971 წლის 24 ივლისს გადასინჯული საავტორო უფლებების მსოფლიო კონვენციის მოქმედება გაერცელდა საფრანგეთ'ს, ესპანეთ'ს, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფო'ს, ამერიკის შეერთებულ შტატებ'ს.

(b) ქვეპუნქტში (a) მითითებული ძალაში შესვლა ვრცელდება კავშირის იმ ქვეყნებ'ს, რომლებმაც აღნიშნულ ძალაში შესვლამდე, სულ მცირე, სამი თვით ადრე განახორციელეს რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტების დეპონირება, რომლებიც არ შეიცავს (1)(b) პუნქტში გათვალისწინებულ განცხადებას.

(c) კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელსაც არ ვრცელდება (b) ქვეპუნქტი, და რომელმაც განახორციელა ამ აქტის რატიფიკაცია ან მიუერთდა მას (1)(b) პუნქტით გათვალისწინებული განცხადების გაკეთების გარეშე, 1-21 მუხლები და დანართი შედის ძალაში სამი თვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც გენერალურმა დირექტორმა გააკეთა შეტყობინება რატიფიკაციის ან მიერთების სათანადო სამართლებრივი აქტის დეპონირების შესახებ, თუ დეპონირებულ სამართლებრივ აქტში უფრო გვიანი თარიღი არ იყო აღნიშნული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში 1-21 მუხლები და დამატება შედის ძალაში ამ ქვეყნის მიმართ ამგვარად აღნიშნული თარიღიდან.

(d) (a)-დან (c)-ს ჩათვლით ქვეპუნქტების დებულებები არ ახდენს გავლენას დამატების V1 მუხლის გამოყენებაზე.

(3) კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც განახორციელა ამ აქტის რატიფიკაცია ან მიუერთდა მას (1)(b) პუნქტში გათვალისწინებული განცხადების გაკეთებით ან მის გარეშე, 22-38 მუხლები შედის ძალაში სამი თვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც გენერალურმა დირექტორმა გააკეთა შეტყობინება რატიფიკაციის ან მიერთების სათანადო სამართლებრივი აქტების დეპონირების შესახებ, თუ დეპონირებულ სიგელში ან აქტში უფრო გვიანი თარიღი არ იყო აღნიშნული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში 22-38 მუხლები ამ ქვეყნის მიმართ შედის ძალაში ამგვარად აღნიშნული თარიღიდან.

მუხლი 29

[მიღება და ძალაში შესვლა ქვეყნებისთვის, რომლებიც კავშირის წევრები არ არიან: 1. მიერთება; 2. ძალაში შესვლა]

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც არ არის კავშირის წევრი, შეუძლია მიუერთდეს ამ აქტს და ამის მეშვეობით გახდეს ამ კონვენციის მხარე და კავშირის წევრი. მიერთების სამართლებრივი აქტები შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.

(2)

(a) (b) ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ეს კონვენცია შედის ძალაში ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც არ არის კავშირის წევრი, სამი თვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც გენერალურმა დირექტორმა გააკეთა შეტყობინება მიერთების სამართლებრივი აქტის დეპონირების თაობაზე, თუ დეპონირებულ მიერთების სამართლებრივ აქტში უფრო გვიანი თარიღი არ იყო აღნიშნული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს კონვენცია შედის ძალაში ამ ქვეყნის მიმართ ამგვარად აღნიშნული თარიღიდან.

(b) თუ ძალაში შესვლა (a) ქვეპუნქტის თანახმად წინ უსწრებს 1-21 მუხლებისა და დამატების ძალაში შესვლას, 28(2)(a) მუხლის

შესაბამისად, აღნიშნულ ქვეყანაზე ამ პერიოდში 1-21 მუხლების და დამატების მაგივრად მასზე ვრცელდება ამ კონვენციის ბრიუსელის აქტის 1-20 მუხლები.

მუხლი 29bis

[აქტის მიღების მოქმედება ისმო-ს კონვენციის 14(2) მუხლის მიზნებისთვის]

ამ აქტის რატიფიკაცია ან მასთან მიერთება ნებისმიერი ქვეყნის მიერ, რომელსაც არ ეკისრება ვალდებულება ამ კონვენციის სტოკჰოლმის აქტის 22-38 მუხლებით, ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის მსგავსად და მხოლოდ 14(2) მუხლის მიზნებისთვის, ტოლფასია აღნიშნული სტოკჰოლმის აქტის რატიფიკაციის ან მასთან მიერთებისა იმ შესაძლებლობით, რომელიც ამ აქტის 28(1)(b)(i) მუხლით არის გათვალისწინებული.

მუხლი 30

[დათქმები: 1. დათქმების შესაძლებლობის შეზღუდვა; 2. ადრე გაკეთებული დათქმები; დათქმა თარგმნის უფლების თაობაზე; დათქმის უკან გატანა]

(1) ამ მუხლის (2) პუნქტით, 28(1)(b) მუხლით, 33(2) მუხლით და დამატებით დაშვებული გამონაკლისების გათვალისწინებით, რატიფიკაციას ან მიერთებას აქტომატურად მოსდევს ამ კონვენციით დადგენილი ქველა დებულების აღიარება და ქველა უპირატესობის მიღება.

(2)

(a) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც ახორციელებს ამ აქტის რატიფიკაციას ან უერთდება მას, დამატების V(2) მუხლიდან გამომდინარე, შეუძლია შეინარჩუნოს მის მიერ ადრე ფორმულირებული დათქმების უპირატესობანი, იმ პირობით, რომ გააკეთებს განცხადებას ამის შესახებ რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტის დეპონირების დროს.

(b) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც არ არის კავშირის წევრი, ამ კონვენციასთან მიერთებისას დამატების V(2) მუხლის გათვალისწინებით შეუძლია განაცხადოს, რომ განსრახული აქვს დროებით მაინც ჩაანაცვლოს ამ აქტის 8 მუხლი თარგმნის უფლების შესახებ 1886 წლის საკავშირო კონვენციის 5 მუხლის დებულებებით, პარიზში 1896 წელს შეცვლებული სახით, იმის ნათელი გაცნობიერებით, რომ აღნიშნული დებულებები გამოიყენება მხოლოდ ამ ქვეყანაში საერთო სარგებლობის ნაწარმოებების თარგმანების მიმართ. დამატების I(6)(b) მუხლის გათვალისწინებით, ნებისმიერ ქვეყანას აქვს უფლება იმ ნაწარმოებების თარგმნის უფლებასთან დაკავშირებით, რომელთა

წარმოშობის ქვეყანა სარგებლობს ასეთი დათქმით, გამოიყენოს დაცვა, რომელიც ამ ქვეყნის მიერ მინიჭებული დაცვის ეკვივალენტურია.

(c) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ნებისმიერ დროს უკან გაიტანოს ასეთი დათქმები გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით.

მუხლი 31

[მოქმედება ზოგიერთი ტერიტორიის მიმართ: 1. განცხადება; 2. განცხადების უკან გატანა; 3. ძალაში შესვლის თარიღი; 4. ფაქტობრივი ვითარებების მიღება, რომელიც არ იგულისხმება]

(1) ნებისმიერ ქვეყანას რატიფიკაციის ან მიერთების თაობის სამართლებრივ აქტში შეუძლია განაცხადოს, ან წერილობითი შეტყობინებით აცნობოს გენერალურ დირექტორს ნებისმიერ დროს ამის შემდეგ, რომ ეს კონვენცია მოქმედებს განცხადებაში ან შეტყობინებაში მითითებულ მთელ ტერიტორიაზე ან მისი ნაწილის მიმართ, რომელთა საგარეო ურთიერთობებზეც იგი არის პასუხისმგებელი.

(2) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა ასეთი განცხადება ან გაგზავნა ასეთი შეტყობინება, შეუძლია ნებისმიერ დროს აცნობოს გენერალურ დირექტორს, რომ წყდება ამ კონვენციის მოქმედება მთელ ასეთ ტერიტორიაზე ან მისი ნაწილის მიმართ.

(3)

(a) (1) პუნქტის თანახმად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ძალაში შედის იმავე თარიღიდან, როცა შედის ძალაში რატიფიკაცია ან მიერთება, რომელიც მას ეხებოდა, ხოლო ამ პუნქტის შესაბამისად გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება შედის ძალაში სამ თვეში მას შემდეგ, რაც გენერალურმა დირექტორმა გააკეთა შეტყობინება ამის შესახებ.

(b) (2) პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი შეტყობინება ძალაში შედის თორმეტ თვეში მას შემდეგ, რაც იგი მიიღო გენერალურმა დირექტორმა.

(4) ეს მუხლი არანაირად არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს იგი გულისხმობს კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიერ ფაქტობრივი ვითარების აღიარებას ან უსიტყვო მიღებას იმ ტერიტორიასთან დაკავშირებით, სადაც მოქმედებს ეს კონვენცია კავშირის სხვა ქვეყნის მიერ (1) პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადების ძალით.

მუხლი 32

[ამ აქტისა და უფრო ადრინდელი აქტების გამოყენება: 1. ქვეყნებს შორის, რომლებიც უკვე კავშირის წევრები

არიან; 2. ქვეყანას, რომელიც ხდება კავშირის წევრი და კავშირის წევრ სხვა ქვეყნებს შორის; 3. დანართის გამოყენება განსაზღვრულ ურთიერთობებში]

(1) ეს აქტი კავშირის ქვეყნების ურთიერთობებში, და იმდენად, რამდენადაც იგი გამოიყენება, ცვლის ბერნის 1886 წლის 9 სექტემბრის კონვენციას და მისი გადასინჯვის შემდგომ აქტებს. მანამდე ძალაში მყოფი აქტები კვლავინდებურად გამოიყენება მთლიანად ან ისეთი მოცულობით, რომლითაც ეს აქტი არ ცვლის მათ წინა წინადადების ძალით, კავშირის იმ ქვეყნების ურთიერთობებში, რომლებიც რატიფიკაციას არ უწევენ ამ აქტს ან არ უერთდებიან მას.

(2) ქვეყნები, რომლებიც კავშირის წევრები არ არიან და ამ აქტის მხარეები ხდებიან, (3) პუნქტიდან გამომდინარე, იყენებენ მას კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელსაც არ ეკისრება ვალდებულება ამ აქტით, ან რომელსაც, თუმცა ეკისრება ვალდებულება ამ აქტით, მაგრამ 28(1)(b) მუხლის შესაბამისად გააკეთა განცხადება. ასეთი ქვეყნები აღიარებენ, რომ კავშირის აღნიშნულ ქვეყანას მათთან ურთიერთობაში:

(i) შეუძლია გამოიყენოს უახლესი აქტის დებულებები, რომლითაც მას ეკისრება ვალდებულება და

(ii) დამატების I(6) მუხლიდან გამომდინარე, აქვს უფლება შეუფარდოს დაცვა იმ დონეს, რომელსაც ითვალისწინებს ეს აქტი.

(3) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ისარგებლა დამატებაში გათვალისწინებული რომელიმე შესაძლებლობით, შეუძლია გამოიყენოს დამატების დებულებები იმ შესაძლებლობასთან ან შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რომლითაც ისარგებლა მან კავშირის იმ ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან ურთიერთობისას, რომელსაც არ ეკისრება ვალდებულება ამ აქტით, იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელმა ქვეყანამ დაუშვა აღნიშნულ დებულებათა გამოყენება.

მუხლი 33

[დავა: 1. საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია; 2. დათქმა ასეთი იურისდიქციის მიმართ; 3. დათქმის უკან გატანა]

(1) კავშირის ორ ან მეტ ქვეყანას შორის ნებისმიერი დავა ამ კონვენციის განმარტებისა ან გამოყენების თაობაზე, რომელიც მოლაპარაკების გზით ვერ მოგვარდა, დაინტერესებული ქვეყნებიდან ნებისმიერს შეუძლია გადასცეს საერთაშორისო სასამართლოს სასამართლოს სტატუტის შესაბამისად განცხადების შეტანის გზით, თუ აღნიშნული ქვეყნები არ შეთანხმდებიან დავის მოგვარების სხვა ხერხზე. ქვეყანა, რომელიც დაეას გადასცემს სასამართლოს,

ატყობინებს საერთაშორისო ბიუროს; საერთაშორისო ბიურო ამ საკითხს მიაპყრობს კავშირის სხვა ქვეყნების ყურადღებას.

(2) ამ აქტის ხელმოწერის ან რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტის დეპონირებისას თითოეულ ქვეყანას შეუძლია განაცხადოს, რომ არ მიიჩნევს თავს შებოჭილად (1) პუნქტის დებულებებით. რაც შეეხება დავას ამ ქვეყანასა და კავშირის ნებისმიერ სხვა ქვეყანას შორის, (1) პუნქტის დებულებები მასზე არ ვრცელდება.

(3) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა განცხადება (2) პუნქტის დებულებების შესაბამისად, ნებისმიერ დროს შეუძლია უკან გამოითხოვოს განცხადება, გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით.

მუხლი 34

[ზოგიერთი ადრეული დებულების გაუქმება: 1. ადრეული აქტების; 2. სტოკჰოლმის აქტის ოქმისა]

(1) 29bis მუხლის გათვალისწინებით, არცერთ ქვეყანას არ შეუძლია გაუწიოს რატიფიკაცია ან მიუერთდეს ამ კონვენციის ადრინდელ აქტებს მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა 1-21 მუხლები და დამატება.

(2) 1-21 მუხლების და დამატების ძალაში შესვლის შემდეგ არცერთ ქვეყანას სტოკჰოლმის აქტზე თანდართული განცხადებები ქვეყნების შესახებ პროტოკოლის 5 მუხლის შესაბამისად არ შეუძლია განცხადების გაკეთება.

მუხლი 35

[კონვენციის მოქმედების ვადა; დენონსირება: 1. შეუზღუდავი ვადა; 2. დენონსირების შესაძლებლობა; 3. დენონსირების ძალაში შესვლის თარიღი; 4. მორატორიუმი დენონსირებაზე]

(1) დროის თვალსაზრისით ეს კონვენცია რჩება ძალაში შეზღუდვის გარეშე.

(2) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ამ აქტის დენონსირება გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით. ასეთი დენონსირება წარმოადგენს ასევე ადრეული აქტების დენონსირებას და ვრცელდება მხოლოდ იმ ქვეყანაზე, რომელმაც განახორციელა იგი, ხოლო კავშირის სხვა ქვეყნების მიმართ კონვენცია ინარჩუნებს სრულ ძალასა და მოქმედებას;

(3) დენონსირება ძალაში შედის ერთი წლის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც გენერალურმა დირექტორმა მიიღო შეტყობინება.

(4) ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსირების უფლების გამოყენება არ შეუძლია არცერთ ქვეყანას, კავშირში მისი გაწევრიანების თარიღიდან ხუთი წლის გასვლამდე.

მუხლი 36

[კონვენციის გამოყენება: 1. აუცილებელი ზომების განხორციელების ვალდებულება; 2. დრო, რომლიდანაც არსებობს ვალდებულება]

(1) ამ კონვენციის მონაწილე ნებისმიერი ქვეყანა კისრულობს ვალდებულებას თავისი კონსტიტუციის შესაბამისად განახორციელოს კონვენციის გამოყენების უსრულველყოფისთვის აუცილებელი ზომები.

(2) იგულისხმება, რომ იმ დროს, როდესაც ქვეყანა დაეკისრება ვალდებულება ამ კონვენციით, მას შეეძლება ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს ამ კონვენციის დებულებები.

მუხლი 37

[დასკვნითი დებულებები: 1. აქტის ენები; 2. ხელმოწერა; 3. დამოწმებული ასლები; 4. რეგისტრაცია; 5. შეტყობინებები]

(1)

(a) ამ აქტს ხელს აწერენ ერთ პირად ფრანგულ და ინგლისურ ენებზე და (2) პუნქტიდან გამომდინარე, იგი ინახება გენერალურ დირექტორთან.

(b) ოფიციალურ ტექსტს შეიმუშავებს გენერალური დირექტორი, დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციების შემდეგ, არაბულ, გერმანულ, იტალიურ, პორტუგალიურ და ესპანურ ენებზე, და სხვა ისეთ ენებზე, რომლებიც შეიძლება განსაზღვროს ასამბლეამ.

(c) სხვადასხვა ტექსტის განმარტებების თაობაზე აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ფრანგულ ტექსტს.

(2) ეს აქტი ღიაა ხელმოსაწერად 1972 წლის 31 იანვრამდე. ამ თარიღამდე (1)(a) პუნქტში მითითებული ეგზემპლარი შესანახად ბარდება საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას.

(3) გენერალური დირექტორი ამოწმებს ამ აქტის ხელმოწერილი ტექსტის ორ ასლს და გადასცემს მათ კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობებს, და მოთხოვნის შემთხვევაში - ნებისმიერი სხვა ქვეყნის მთავრობას.

(4) გენერალური დირექტორი რეგისტრაციაში ატარებს ამ აქტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

(5) გენერალური დირექტორი ატყობინებს კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობებს აქტზე ხელმოწერების, რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტების და ნებისმიერი იმ განცხადებების დეპონირების შესახებ, რომლებსაც შეიცავს ასეთი დოკუმენტები, ან რომლებიც გაკეთებულია 28(1)(c), 30(2)(a) და 30(2)(b) და 33(2) მუხლის შესაბამისად, ამ აქტის ნებისმიერი დებულების ძალაში შესვლის, შეტყობინების დეონისაციის შესახებ და 30(2)(c), 31(1) და

31(2), 33(3) და 38(1) მუხლებისა და ასევე დამატების შესაბამისად გაკეთებული შეტყობინებების თაობაზე.

მუხლი 38

[გარდამავალი დებულებები: 1. "ხუთწლიანი" პრივილეგიის გამოყენება; 2. კავშირის ბიურო, ბიუროს დირექტორი; 3. კავშირის ბიუროს მემკვიდრეობითობა]

(1) კავშირის ქვეყნებს, რომლებმაც არ მოახდინეს ამ აქტის რატიფიკაცია ან არ მიუერთდნენ მას, და რომლებიც შებოჭილნი არ არიან ამ კონვენციის სტოკჰოლმის აქტის 22-26 მუხლებით, შეუძლიათ, თუ მოისურვებენ, 1975 წლის 26 აპრილამდე ისარგებლონ აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით ისე, თითქოს ისინი შებოჭილნი იყვნენ ამ მუხლებით. ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც სურს ასეთი უფლებებით სარგებლობა, წერილობით შეტყობინებას უგზავნის ამის თაობაზე გენერალურ დირექტორს; ეს შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღების თარიღიდან. ასეთი ქვეყნები მიიჩნევა ასამბლეის წევრებად აღნიშნულ თარიღამდე.

(2) მანამ, სანამ კავშირის ყველა ქვეყანა არ გახდება ორგანიზაციის წევრი, ორგანიზაციის საერთაშორისო ბიურო ისევე ფუნქციონირებს როგორც კავშირის ბიურო, ხოლო გენერალური დირექტორი მოქმედებს როგორც ამ ბიუროს დირექტორი.

(3) მას შემდეგ, რაც კავშირის ყველა ქვეყანა გახდება ორგანიზაციის წევრი, კავშირის ბიუროს უფლებები, ვალდებულებები და ქონება გადაეცემა ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს.

დამატება

[განვითარებად ქვეყნებთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები]

მუხლი I

[განვითარებადი ქვეყნებისთვის ხელმისაწვდომი შეღავათები: 1. განსაზღვრული შეღავათების ხელმისაწვდომობა; განცხადება; 2. განცხადების მოქმედების ხანგრძლივობა; 3. განვითარებადი ქვეყნის სტატუსის შეწყვეტა; 4. ეგზემპლარების არსებული მარაგი; 5. განცხადებები გარკვეული ტერიტორიების შესახებ; 6. ნაცვალგების ფარგლები]

(1) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად განვითარებად ქვეყნად მიჩნეული ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ახდენს რატიფიკაციას ან უერთდება ამ აქტს, რომლის განუყოფელი ნაწილიც არის ეს დამატება, და რომელიც თავისი ეკონომიკური მდგომარეობის, სოციალური ან კულტურული მოთხოვნილებების გათვალისწინებით არ მიიჩნევს, რომ შეუძლია დაუყოვნებლივ უსრუნველყოს ამ

აქტით გათვალისწინებული ქველა უფლების დაცვა, გენერალურ დირექტორთან რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტის დეპონირებასთან ერთად დეპონირებული შეტყობინებით, ან V(1)(c) მუხლის გათვალისწინებით, შესაბამისად ნებისმიერ დროს შემდგომში შეუძლია განაცხადოს, რომ ისარგებლებს II მუხლში გათვალისწინებული შეღავათით ან III მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, ან ორივე შეღავათით. მას შეუძლია II მუხლში გათვალისწინებული შეღავათის ნაცვლად გააკეთოს განცხადება V(1)(a) მუხლის შესაბამისად.

(2)

(a) ნებისმიერი განცხადება, რომელიც გაკეთებულია (1) პუნქტის შესაბამისად 1-დან 21-ის ჩათვლით მუხლების და დამატების ძალაში შესვლიდან ათწლიანი პერიოდის ამოწურვამდე, 28(2) მუხლის თანახმად, ძალაშია აღნიშნული პერიოდის დასრულებამდე. ნებისმიერი ასეთი განცხადება შეიძლება განახლდეს მთლიანად ან ნაწილობრივ პერიოდებით, რომელთაგან თითოეულის ვადა შეადგენს ათ წელიწადს, გენერალურ დირექტორთან დეპონირებული შეტყობინების მეშვეობით, არა უმეტეს თხუთმეტი და არანაკლებ სამი თვით ადრე მიმდინარე ათწლიანი პერიოდის დასრულებამდე.

(b) ნებისმიერი განცხადება, რომელიც გაკეთებულია (1) პუნქტის შესაბამისად 1-დან 21-ის ჩათვლით მუხლების და დანართის ძალაში შესვლიდან ათწლიანი პერიოდის ამოწურვის შემდეგ, 28(2) მუხლის თანახმად ძალაშია მიმდინარე ათწლიანი პერიოდის დასრულებამდე. ნებისმიერი ასეთი განცხადება შეიძლება განახლდეს, როგორც ეს არის გათვალისწინებული (a) ქვეპუნქტის მეორე წინადადებაში.

(3) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც აღარ ითვლება განვითარებად ქვეყნად, (1) პუნქტში აღნიშნულის შესაბამისად, აღარ აქვს (2) პუნქტში გათვალისწინე-ბული განცხადების განახლების უფლება, და მიუხედავად იმისა, ოფიციალურად უცან გამოითხოვს თუ არა თავის განცხადებას, იგი ვეღარ ისარგებლებს (1) პუნქტში აღნიშნული შეღავათებით მიმდინარე ათწლიანი პერიოდის ამოწურვიდან ან სამწლიანი პერიოდის ამოწურვიდან, რომელიც პერიოდიც უფრო გვიან იწურება, მას შემდეგ, რაც ის უკვე აღარ ითვლება განვითარებად ქვეყნად.

(4) თუ იმ დროისათვის, როდესაც (1) პუნქტის და (2) პუნქტის თანახმად გაკეთებული განცხადება წყვეტს მოქმედებას, არსებობს ამ დამატების ძალით გაცემული ლიცენზიით დამზადებული ასლები, ნებადართულია ამ ასლების გაურცელების გაგრძელება მათი მარაგის ამოწურვამდე.

(5) ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც ეკისრება ვალდებულება ამ აქტის დებულებებით, და რომელმაც 31(1) მუხლის თანახმად განახორციელა განცხადების ან შეტყობინების დეპონირება ამ აქტის გამოყენების თაობაზე განსაზღვრული ტერიტორიის მიმართ, რომლის მდგომარეობაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს (1) პუნქტში მითითებული ქვეყნების მდგომარეობის ანალოგიურად, შეუძლია ასეთ ტერიტორიასთან დაკავშირებით გააკეთოს (1) პუნქტში აღნიშნული განცხადება და (2) პუნქტში აღნიშნული შეტყობინება განახლების შესახებ. სანამ ასეთი განცხადება ან შეტყობინება ძალაშია, ამ დანართის დებულებები გამოიყენება იმ ტერიტორიის მიმართ, რომელთან დაკავშირებითაც გაკეთდა იგი.

(6)

(a) ის ფაქტი, რომ ქვეყანა სარგებლობს (1) პუნქტში მითითებული ნებისმიერი შეღავათით, არ აძლევს უფლებას სხვა ქვეყანას მიანიჭოს ნაწარმოებებს, რომელთა წარმოშობის ქვეყანაც არის პირველი ქვეყანა, იმაზე ნაკლები დაცვა, ვიდრე იგი არის ვალდებული მიანიჭოს I-დან 20-ის ჩათვლით მუხლების შესაბამისად.

(b) ნაცვალგებითი რეჟიმის გამოყენების უფლება, რომელიც 30(2)(b) მუხლის მეორე წინადადებითაა გათვალისწინებული, არ შეიძლება იქნეს გამოყენებული I(3) მუხლის შესაბამისად მოქმედი პერიოდის ამოწურვის თარიღამდე იმ ნაწარმოებების მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანა არის ქვეყანა, რომელმაც გააკეთა განცხადება V(1)(a) მუხლის თანახმად.

მუხლი II

[თარგმნის უფლების შეზღუდვები: 1. კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიები; 2-დან 4-მდე. ასეთი ლიცენზიების გაცემის პირობები; 5. მიზნები, რომელთათვისაც შეიძლება გაიცეს ასეთი ლიცენზიები; 6. ლიცენზიების მოქმედების შეწყვეტა; 7. ნაწარმოებები, რომლებიც ძირითადად ილუსტრაციებისგან შედგება; 8. მიმოქცევიდან ამოღებული ნაწარმოებები; 9. ლიცენზიები სამაუწყებლო ორგანიზაციებისთვის]

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც განაცხადა, რომ ისარგებლებს ამ მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, შეუძლია ბეჭდვითი ან რეპროდუცირების ანალოგიური ფორმებით გამოცემული ნაწარმოებების თარგმნის განსაკუთრებული უფლება, რომელიც 8 მუხლითაა გათვალისწინებული, ჩაანაცვლოს არაგანსაკუთრებული და არაგადაცემითი ლიცენზიების სისტემით, რომელიც გაიცემა კომპეტენტური ორგანოს მიერ ქვემოთ მოყვანილი პირობებით და IV მუხლის შესაბამისად.

(2)

(a) (3) პუნქტის გათვალისწინებით, თუ სამწლიანი პერიოდის ან ნებისმიერი უფრო ხანგრძლივი პერიოდის გასელის შემდეგ, რომელსაც აღნიშნული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა ადგენს, და რომელიც იწყება ნაწარმოების პირველი გამოქვეყნების თარიღიდან, ასეთი ნაწარმოების თარგმანი არ იყო გამოქვეყნებული ამ ქვეყნის საერთო სარგებლობის ენაზე თარგმნის უფლების მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით, ამ ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება მიიღოს ამ ნაწარმოების აღნიშნულ ენაზე თარგმნისა და თარგმანის ბეჭდვითი ან რეპროდუცირების ანალოგიური ფორმებით გამოქვეყნების ლიცენზია.

(b) ამ მუხლში გათვალისწინებული პირობებით, ლიცენზია ასევე შეიძლება გაიცეს, თუ ამ ენაზე გამოქვეყნებული თარგმანის ყველა გამოცემა უკვე გაიყიდა.

(3)

(a) იმ შემთხვევაში, თუ თარგმანი შესრულებულია ენაზე, რომელიც არ არის საერთო სარგებლობის ენა კაუშირის წევრ ერთ ან მეტ განვითარებულ ქვეყანაში, (2)(a) პუნქტში გათვალისწინებული სამწლიანი პერიოდი იცვლება ერთწლიანი პერიოდით.

(b) (1) პუნქტში მითითებულ ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია განვითარებული ქვეყნების ერთსულოვანი შეთანხმებით, რომლებიც არიან კაუშირის წევრები, და რომლებშიც იგიეე ენა არის საერთო სარგებლობის ენა, ამ ენაზე თარგმნის შემთხვევაში, შეცვალოს (2)(a) პუნქტში გათვალისწინებული სამწლიანი პერიოდი, ასეთი შეთანხმებით განსაზღვრული უფრო ხანმოკლე პერიოდით, მაგრამ ასეთი პერიოდი არ უნდა იყოს ერთ წელიწადზე ნაკლები. თუმცა, წინა წინადადების დებულებები არ გამოიყენება, თუ ასეთი ენებია ინგლისური, ფრანგული ან ესპანური. გენერალურ დირექტორს ნებისმიერი ასეთი შეთანხმების შესახებ ატყობინებენ ის მთავრობები, რომლებმაც დადეს იგი.

(4)

(a) ლიცენზია, რომლის მიღება შესაძლებელია სამი წლის შემდეგ, არ გაიცემა ამ მუხლის შესაბამისად, ვიდრე არ გავა დამატებითი ექვსთვიანი პერიოდი, ხოლო ლიცენზია, რომლის მიღება შესაძლებელია ერთი წლის შემდეგ, არ გაიცემა ამ მუხლის შესაბამისად, ვიდრე არ გავა დამატებითი ცხრათვიანი პერიოდი:

(i) თარიღიდან, როდესაც განმცხადებელი შეასრულებს IV(1) მუხლში აღნიშნულ მოთხოვნებს, ან

(ii) თუ თარგმნის უფლების მფლობელის ვინაობა ან მისი მისამართი უცნობია, იმ თარიღიდან, როდესაც განმცხადებელი

გაგ'სავინის, როგორც IV(2) მუხლითაა გათვალისწინებული, იმ ორგანოსათვის წარდგენილი თავისი განცხადების ასლებს, რომელიც კომპეტენტურია გასცეს ლიცენ'სია.

(b) თუ აღნიშნული ექვს- ან ცხრათვიანი პერიოდის განმავლობაში ქვეყნდება თარგმანი იმ ენა'ზე, რომელთან დაკავშირებითაც გაკეთდა განცხადება, თარგმნის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით, ამ მუხლის შესაბამისად ლიცენ'სია არ გაიცემა.

(5) ნებისმიერი ლიცენ'სია ამ მუხლის შესაბამისად გაიცემა მხოლოდ სწავლების, სტიპენდიების მიღების ან გამოკვლევების ჩატარების მი'სნით.

(6) თუ ნაწარმოების თარგმანი ქვეყნდება თარგმნის უფლების მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით იმ ფასად, რომელიც გონიერულად შეესაბამება მსგავს ნაწარმოებებ'ზე ამ ქვეყანა'ში ჩვეულებრივ დადგენილ ფასს, ნებისმიერი ლიცენ'სია, რომელიც ამ მუხლის თანახმად გაიცემა, წყვეტს მოქმედებას, თუ ასეთი თარგმანი შესრულებულია იმავე ენა'ზე და არსებითად იმავე შინაარსისაა, როგორიც ლიცენ'სიით გამოქვეყნებული თარგმანი. ლიცენ'სიის შეწყვეტამდე გაცემული ნებისმიერი ეგ'ზემპლარების გავრცელება შეიძლება მათი მარაგის ამოწურვამდე.

(7) ნაწარმოებებისთვის, რომლებიც ძირითადად ილუსტრაციებისგან შედგება, ტექსტის თარგმანის შესრულებისა და გამოქვეყნების და ილუსტრაციების რეპროდუცირების და გამოქვეყნების ლიცენ'სია შეიძლება გაიცეს მხოლოდ მაშინ, თუ III მუხლის პირობები სრულდება.

(8) ამ მუხლის შესაბამისად ლიცენ'სია არ გაიცემა, თუ ავტორმა მიმოქცევიდან ამოიღო თავისი ნაწარმოების ყველა ეგ'ზემპლარი.

(9)

(a) ლიცენ'სია იმ ნაწარმოების თარგმანის შესრულება'ზე, რომელიც გამოქვეყნებულია ბეჭდვითი ან რეპროდუცირების ანალოგიური ფორმებით, შეიძლება აგრეთვე მიეცეს ნებისმიერ სამაუწყებლო ორგანი'საციას, რომელსაც აქვს თავისი შტაბ-ბინა (1) პუნქტ'ში მითითებულ ქვეყანაში, ამ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოსათვის აღნიშნული ორგანი'საციის მიერ განცხადების წარდგენის შემდგომ, თუ სრულდება ყველა შემდეგი პირობა:

(i) თარგმანი სრულდება ეგ'ზემპლარიდან, რომელიც დამ'სახურებულია და შეძენილია აღნიშნული ქვეყნის კანონების შესაბამისად;

(ii) თარგმანი განკუთვნილია მხოლოდ სამაუწყებლო გადაცემებ'ში გამოყენებისთვის სწავლების ან სპეციალური ტექნიკური ან სამეცნიერო კვლევების შედეგების გავრცელების მი'სნით კონკრეტ'ული პროფესიის სპეციალისტებს შორის;

(iii) თარგმანი გამოიყენება მხოლოდ (ii) პირობაში აღნიშნული მიზნებისათვის კანონიერად შესრულებული სამაუწყებლო გადაცემების მეშვეობით, რომლებიც განკუთვნილია მსმენელთათვის ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, იმ სამაუწყებლო გადაცემების ჩათვლით, რომლებიც ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ასეთი სამაუწყებლო გადაცემების მიზნისთვის კანონიერად შესრულებული ხმის ან გამოსახულების ჩანაწერების საშუალებით.

(iv) თარგმანის ყოყელგვარი გამოყენება არ ემსახურება რომელიმე კომერციულ მიზანს.

(b) თარგმანის ხმის ან გამოსახულების ჩანაწერები, რომლებიც შესრულებულია სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ ამ პუნქტის ძალით მინიჭებული ლიცენზიით, (a) ქვეპუნქტში აღნიშნული მიზნებისა და პირობების გათვალისწინებით და ამ ორგანიზაციის თანხმობით, შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სხვა სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ, რომელსაც აქვს თავისი შტაბ-ბინა ქვეყანაში, რომლის კომპეტენტურმა ორგანომ გასცა აღნიშნული ლიცენზია.

(c) იმ პირობით, თუ (a) ქვეპუნქტში ფორმულირებული ყველა კრიტერიუმი და პირობა სრულდება, სამაუწყებლო ორგანიზაციას ასევე შეიძლება მიეცეს აუდიო-ვიზუალური ჩანაწერში ჩართული ნებისმიერი ტექსტის თარგმნის ლიცენზია, თუ თვითონ ეს ჩანაწერი დამზადებული და გამოქვეყნებული იყო სისტემატურ სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებით გამოყენების ერთადერთი მიზნით.

(d) (a)-დან (c)-ს ჩათვლით ქვეპუნქტების გათვალისწინებით, წინა პუნქტების დებულე-ბები გამოიყენება ნებისმიერი ლიცენზიის გაცემისა და სარგებლობისას, რომელიც გაცემულია ამ პუნქტის შესაბამისად.

მუხლი III

[რეპროდუცირების უფლების შეზღუდვა: 1. ლიცენზიები, რომლებიც შეიძლება იქნეს გაცემული კომპეტენტური ორგანოს მიერ; 2-დან 5-მდე. პირობები, რომლებიც ასეთი ლიცენზიების გაცემის შესაძლებლობას იძლევა; 6. ლიცენზიების მოქმედების შეწყვეტა; 7. ნაწარმოებები, რომლებზეც ვრცელდება ეს მუხლი]

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც განაცხადა, რომ ისარგებლებს ამ მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, უფლება აქვს შეცვალოს 9 მუხლში გათვალისწინებული უფლება ნაწარმოების რეპროდუცირებაზე არაგანსაკუთრებული და არაგადაცემითი ლიცენზიების სისტემით, რომელსაც გასცემს კომპეტენტური ორგანო ქვემოთ

მოყვანილი პირობების შესაბამისად და IV მუხლის გათვალისწინებით.

(2)

(a) თუ ნაწარმოებთან დაკავშირებით, რომელსაც ერცელდება ეს მუხლი (7) პუნქტის ძალით, მას შემდეგ, რაც ამოიწურება:

(i) (3) პუნქტში განსაზღვრული შესაბამისი პერიოდი, რომელიც იწყება ნაწარმოების კონკრეტული გამოცემის პირველი გამოქვეყნების თარიღიდან, ან

(ii) (I) პუნქტში აღნიშნული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი უფრო ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც იწყება იმავე თარიღიდან, ასეთი გამოცემის ეგზემპლარები არ იყო გავრცელებული ამ ქვეყნის ფართო საზოგადოებაში ან სისტემატურ სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებით რეპროდუცირების უფლების მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით იმ ფასად, რომელიც გონივრულად შეესაბამება ამ ქვეყანაში მსგავს ნაწარმოებებზე ჩვეულებრივ დადგენილ ფასს, ამ ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ლიცენზია ასეთი გამოცემის რეპროდუცირებასა და გამოქვეყნებაზე ამავე ან უფრო ნაკლებ ფასად სისტემატურ სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებით გამოყენებისათვის.

(b) გამოცემის რეპროდუცირებისა და გამოქვეყნების ლიცენზია, რომელიც გაერცელებული იყო ისე, როგორც (a) ქვეპუნქტშია აღწერილი, შეიძლება ასევე გაიცეს ამ მუხლში გათვალისწინებული პირობებით, თუ გამოსაყენებელი პერიოდის გასვლის შემდეგ ამ გამოცემის არც ერთი ნებადართული ეგზემპლარი არ გაყიდულა ექსკლუზიანი პერიოდის განმავლობაში მოქმედ ქვეყანაში ფართო საზოგადოებაში- ან სისტემატურ სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებით, იმ ფასად, რომელიც გონივრულად შეესაბამება ამ ქვეყანაში მსგავს ნაწარმოებებზე ჩვეულებრივ დადგენილ ფასს.

(3) (2)(a)(i) პუნქტში აღნიშნული პერიოდი შეადგენს ხუთ წელიწადს, გარდა:

(i) საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერების დარგის გამოცემებისთვის, მათემატიკისა და ტექნიკის ჩათვლით, რომლებისთვისაც ეს პერიოდი შეადგენს სამ წელიწადს;

(ii) მხატვრული, პოეტური, დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისთვის და ხელოვნების დარგის წიგნებისთვის ეს პერიოდი შეადგენს შვიდ წელიწადს.

(4)

(a) ლიცენზია, რომლის მიღება შესაძლებელია სამი წლის შემდეგ, არ გაიცემა ამ მუხლის შესაბამისად, ვიდრე არ გაეა ექსკლუზიანი პერიოდი

(i) თარიღიდან, როდესაც განმცხადებელი შეასრულებს IV(1) მუხლში აღნიშნულ მოთხოვნებს, ან

(ii) თუ რეპროდუცირების უფლების მფლობელის ვინაობა ან მისამართი უცნობია, თარიღიდან, როცა განმცხადებელი გაგზავნის, როგორც IV(2) მუხლშია გათვალისწინებული, თავისი განცხადების ასლებს, რომლებიც წარდგენილი იყო ლიცენზიის გამცემი კომპეტენტური ორგანოსათვის.

(b) თუ ლიცენზიების მიღება შესაძლებელია სხვა პერიოდების შემდეგ და გამოიყენება IV(2) მუხლი, ლიცენზია არ გაიცემა, ვიდრე არ გავა სამთვიანი პერიოდი განცხადების ასლების გაგზავნის თარიღიდან.

(c) თუ (a) და (b) ქვეპუნქტებში მითითებული ექვს- ან სამთვიანი პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა გაერცელებას, როგორც (2)(a) პუნქტშია აღწერილი, ამ მუხლის შესაბამისად, ლიცენზია არ გაიცემა.

(d) ლიცენზია არ გაიცემა, თუ ავტორმა ამოიღო მიმოქცევიდან გამოცემის ყველა ეგზემპლარი, რომლის რეპროდუცირებისა და გამოქვეყნებისთვისაც ლიცენზია იყო მოთხოვნილი.

(5) ნაწარმოების რეპროდუცირებისა და გამოქვეყნების ლიცენზია არ გაიცემა ამ მუხლის თანახმად შემდეგ შემთხვევებში:

(i) როდესაც თარგმანი არ იყო გამოქვეყნებული თარგმნის უფლების მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით, ან

(ii) როცა თარგმანი არ არის შესრულებული ენაზე, რომელიც წარმოადგენს საეროო სარგებლობის ენას ქვეყანაში, სადაც მოითხოვება ლიცენზია.

(6) თუ ნაწარმოების გამოცემის ეგზემპლარები ერცელდება ქვეყანაში, რომელიც აღნიშნულია (1) პუნქტში, ფართო საზოგადოებაში ან სისტემატურ სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებით რეპროდუცირების უფლების მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით, იმ ფასად, რომელიც გონივრულად შეესაბამება ამ ქვეყანაში ანალოგიური ნაწარმოებებისათვის ჩვეულებრივ დადგენილ ფასს, ამ მუხლის თანახმად გაცემული ნებისმიერი ლიცენზია წყვეტს მოქმედებას, თუ ამგვარი გამოცემა შესრულებულია იმავე ენაზე და არსებითად იმაგე შინაარსისაა, როგორც აღნიშნული ლიცენზიით გამოქვეყნებული გამოცემა. ნებისმიერი ეგზემპლარების გავრცელება, რომლებიც გამოცემულია ლიცენზიის მოქმედების შეწყვეტამდე, შეიძლება გაგრძელდეს მათი მარაგის ამოწურვამდე.

(7)

(a) (b) ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ნაწარმოებები, რომლებზეც ვრცელდება ეს მუხლი, შემოიფარგლება ბეჭდვითი ან რეპროდუ-

ცირების ანალოგიური ფორმებით გამოქვეყნებული ნაწარმოებებით.

(b) ეს მუხლი აგრეთვე ერცელდება კანონიერად შესრულებული აუდიო-ვიზუალური ჩანაწერების რეპროდუცირებაზე აუდიო-ვიზუალური ფორმით, მათში ჩართული, ნებისმიერი დაცული ნაწარმოებების ჩათვლით, და მათში ჩართული ნებისმიერი ტექსტის თარგმანზე იმ ენაზე, რომელიც საერთო სარგებლობის ქნას წარმოადგენს იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება ლიცენზია, იმ პირობით, რომ ყველა ამ შემთხვევაში აღნიშნული აუდიო-ვიზუალური ჩანაწერები მომზადებულია და გამოქვეყნებულია სისტემატიურ სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებით გამოყენების ერთადერთი მიზნით.

მუხლი IV

[საერთო დებულებები II და III მუხლების შესაბამისად გაცემული ლიცენზიებისთვის: 1. და 2. პროცედურა; 3. ნაწარმოების ავტორისა და სახელწოდების მითითება; 4. ეგზემპლარების ექსპორტი; 5. შეტყობინება; 6. კომპენსაცია]

(1) II და III მუხლების შესაბამისად ლიცენზია შეიძლება გაიცეს მხოლოდ მაშინ, თუ განმცხადებელი, იმ ქვეყნის პროცედურის თანახმად, რომელსაც ეს შეეხება, ამტკიცებს, რომ ითხოვა ნებართვა და უარი მიიღო უფლების მფლობელისგან თარგმანის შესრულებასა და გამოქვეყნებაზე ან გამოცემის რეპროდუცირებასა და გამოქვეყნებაზე, შემთხვევის მიხედვით, ან, რომ თავისი მხრიდან სათანადო ძალისხმევის შემდეგ ვერ შეძლო უფლების მფლობელის პოვნა. ამაღე დროს, მოთხოვნისას განმცხადებელი აწვდის ინფორმაციას (2) პუნქტში მითითებულ ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრს.

(2) თუ შეუძლებელია უფლების მფლობელის პოვნა, ლიცენზიის მომთხოვნი პირი რეგისტრირებული ავიაფოსტით ლიცენზიის გამცემი კომპეტენტური ორგანოსათვის წარდგენილი თავისი განცხადების ასლებს უგზავნის გამომცემელს, რომლის სახელიც არის მითითებული ნაწარმოებზე და ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრს, რომელიც შესაძლოა იყოს აღნიშნული გენერალურ დირექტორთან ამ მიზნით დეპონირებულ შეტყობინებაში იმ ქვეყნის მთავრობის მიერ, სადაც მიჩნეულია, რომ გამომცემელს აქვს ძირითადი საქმიანობის ადგილი.

(3) ავტორის სახელი აღინიშნება თარგმანის ან რეპროდუქციის ყველა ეგზემპლარზე, რომლებიც გამოქვეყნდა II ან III მუხლის შესაბამისად გაცემული ლიცენზიით. ნაწარმოების სახელწოდება აღინიშნება ყველა ეგზემპლარზე. რაც შეეხება თარგმანს, ყველა აღნიშნულ ეგზემპლარზე ნებისმიერ შემთხვევაში მითითებულია ნაწარმოების თავდაპირველი სახელწოდება.

(4)

(a) II მუხლისა და III მუხლის შესაბამისად გაცემული ლიცენზია არ ერცელდება ეგზემპლარების ექსპორტზე, და ნებისმიერი ასეთი ლიცენზია ძალაშია მხოლოდ თარგმანის ან რეპროდუქციის გამოქვეყნებისთვის, შემთხვევის მიხედვით, იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც მოთხოვნილი იყო ლიცენზია.

(b) (a) ქვეპუნქტის მიზნებისთვის ექსპორტის ცნება მოიცავს ეგზემპლარების გაგზავნას ნებისმიერი ტერიტორიიდან იმ ქვეყანაში, რომელმაც ამ ტერიტორიის მიმართ გააკეთა განცხადება I(5) მუხლის შესაბამისად.

(c) თუ იმ ქვეყნის სამთავრობო ან სხვა სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელმაც II მუხლის შესაბამისად ნებისმიერ ენაზე, ინგლისური, ფრანგული ან ესპანური ენების გარდა, თარგმანის შესრულების ლიცენზია გასცა, გავრცელების ასეთი ლიცენზიით გამოქვეყნებული თარგმანის ეგზემპლარებს სხვა ქვეყანაში, ეგზემპლარების ასეთი გაგზავნა (a) ქვეპუნქტის მიზნებისთვის არ ითვლება ექსპორტად, თუ სრულდება ყველა შემდეგი პირობა:

(i) ეგზემპლარების მიმღებნი არიან პიროვნებები, რომლებიც ლიცენზიის გამცემი კომპეტენტური ორგანოს ქვეყნის მოქალაქეები არიან ან ორგანიზაციები, რომლებშიც ასეთი პიროვნებები არიან გაერთიანებულნი;

(ii) ეგზემპლარები გამოიყენება მხოლოდ სწავლების, სტიპენდიების მიღების ან გამოკვლევების ჩატარების მიზნით;

(iii) ეგზემპლარების გაგზავნა და მათი შემდგომი გავრცელება მიმღებთა შორის არ ემსახურება არაკომერციულ მიზანს; და

(iv) ქვეყანა, სადაც გაიგზავნა ეს ეგზემპლარები, დასთანხმდა ქვეყანას, რომლის კომპეტენტურმა ორგანომაც გასცა ლიცენზია, დაუშვას მიღება ან გავრცელება, ან ორივე ერთად, ხოლო ამ შეთანხმების შესახებ გენერალურ დირექტორს აცნობა ქვეყნის მთავრობამ, სადაც იყო გაცემული ლიცენზია.

(5) II მუხლის ან III მუხლის ძალით გაცემული ლიცენზიით გამოქვეყნებულ ყველა ეგზემპლარზე მოთავსებულია ცნობა სათანადო ენაზე იმის შესახებ, რომ ეგზემპლარები ხელმისაწვდომია გასავრცელებლად მხოლოდ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე, რომელსაც შეეხება აღნიშნული ლიცენზია.

(6)

(a) ეროვნულ დონეზე მიიღება სათანადო ზომები, რათა უზრუნველყოფილი იყოს:

(i) რომ ლიცენზიაში თარგმნის ან რეპროდუცირების უფლების მფლობელის სასარგებლოდ, შემთხვევის მიხედვით, გათვალის-

წინებული იყოს სამართლიანი კომპენსაციის გადახდა ჰონორარის იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც გამოიყენება წეწულებრივ ლიცენზიებზე თავისუფალი მოლაპარაკების დროს პირებს შორის ორ შესაბამის ქვეყანაში, და

(ii) კომპენსაციის გადახდა და გადაცემა: თუ დაბრკოლებას ქმნის ეროვნული სავალუტო წესები, კომპეტენტური ორგანო მთელ ძალისხმევას იჩენებს იმისათვის, რომ საერთაშორისო მექანიზმის მეშვეობით უზრუნველყოს კომპენსაციის გადაცემა საერთაშორისო კონვერტირებული ვალუტით ან მისი ეკვივალენტით.

(b) ეროვნული კანონმდებლობა იღებს სათანადო ზომებს, რათა უზრუნველყოფილ იყოს ნაწარმოების სწორი თარგმანის ან გარკვეული გამოცემის ზუსტი რეპროდუქციის შესრულება, შემთხვევის მიხედვით.

მუხლი V

[ალტერნატიული შესაძლებლობა თარგმნის უფლების შეზღუდვისათვის: 1. 1886 და 1896 წლების აქტებში გათვალისწინებული რეჟიმი; 2. II მუხლით გათვალისწინებულ რეჟიმზე გადასვლის შეუძლებლობა; 3. ვადა ალტერნატიული შესაძლებლობის არჩევისათვის]

(1)

(a) ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც აქვს უფლება განაცხადოს, რომ ისარგებლებს II მუხლით გათვალისწინებული შეღავათით, შეუძლია ამის ნაცვლად ამ აქტის რატიფიკაციისა ან მასთან მიერთების დროს:

(i) თუ იგი არის ქვეყანა, რომელსაც ერცელდება 30(2) მუხლი, გააკეთოს განცხადება ამ დებულების თანახმად, რამდენადაც ეს შეეხება თარგმნის უფლებას;

(ii) თუ იგი არის ქვეყანა, რომელსაც არ ერცელდება 30(2) მუხლი, და მაშინაც კი, თუ იგი არ არის ქვეყანა, რომელიც კავშირში არ შედის, გააკეთოს განცხადება, როგორც ეს გათვალისწინებულია 30(2)(b) მუხლის პირველ წინადადებაში.

(b) თუ ქვეყანა აღარ ითვლება განვითარებად ქვეყანად, როგორც I(1) მუხლით არის გათვალისწინებული, ამ პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება ძალაშია I(3) პუნქტის თანახმად დასაშვები პერიოდის დასრულების თარიღამდე.

(c) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ პუნქტის შესაბამისად, არ შეუძლია შემდგომში ისარგებლოს II მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, მაშინაც კი, თუ ის უკან გამოითხოვს აღნიშნულ განცხადებას.

(2) (3) პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ისარგებლა II მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, არ შეუძლია შემდგომში გააკეთოს განცხადება (1) პუნქტის თანახმად.

(3) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც აღარ მიიჩნევა განვითარებად ქვეყნად I(1) მუხლის თანახმად, შეუძლია არაუგვიანეს ორი წლისა I(3) მუხლის თანახმად დასაშვები პერიოდის დასრულებამდე გააკეთოს განცხადება 30(2)(b) მუხლის პირველ წინადადებაში გათვალისწინებული მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის ქვეყანა, რომელიც კავშირში არ შედის. ასეთი განცხადება შედის ძალაში I(3) მუხლის თანახმად დასაშვები ვადის დასრულებისას.

მუხლი VI

[დამატების გარკვეული დებულებების გამოყენების შესაძლებლობები ან მათი გამოყენების დაშვება მანამ, სანამ ქვეყნები გახდებიან შებოჭილნი ამ დამატებით: 1. განცხადება; 2. განცხადების დეპოზიტარი და ძალაში შესვლის თარიღი]

(1) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია განაცხადოს, ამ აქტის მიღების თარიღი-დან დაწყებული და ნებისმიერ დროს მანამდე, სანამ მას დაეკისრება ვალდებულება 1-21 მუხლებით და ამ დამატებით:

(i) თუ იგი არის ქვეყანა რომელსაც, თუ დაეკისრებოდა ვალდებულება 1-21 მუხლებით და ამ დამატებით, ექნებოდა I(1) მუხლში აღნიშნული შეღავათების სარგებლობის უფლება, რომ იგი გამოიყენებს II მუხლის ან III მუხლის ან ორივეს დებულებებს იმ ნაწარმოებებთან მიმართებაში, რომელთა წარმოშობის ქვეყანა არის ქვეყანა, რომელიც ქვემოთ მოყვანილი (ii) პუნქტის თანახმად, აღიარებს ასეთი ნაწარმოებების მიმართ ამ მუხლების მოქმედებას, ან რომელსაც ეკისრება ვალდებულება 1-21 მუხლებით და ამ დამატებით; ასეთი განცხადება შეიძლება შეეხებოდეს V მუხლს II მუხლის ნაცვლად;

(ii) რომ იგი აღიარებს ამ დამატების გამოყენებას იმ ნაწარმოებების მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანაც არის იგი, იმ ქვეყნების მიერ, რომელთაც გააკეთეს განცხადება ზემოთ აღნიშნული (i) ქვეპუნქტის თანახმად, ან - შეტყობინება I მუხლის შესაბამისად.

(2) ნებისმიერ განცხადებას, რომელიც (1) პუნქტის თანახმად არის გაკეთებული, აქვს წერილობითი ფორმა და დეპონირებულია გენერალურ დირექტორთან. განცხადება ძალაში შედის მისი დეპონირების თარიღიდან.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების ზოგიერთი საკითხისადმი მიძღვნილი დიპლომატიური კონფერენცია
ისმო-ს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ

(მიღებულია 1996 წლის 20 დეკემბერს)

პრეამბულა

ხელშეკრულების დამდები მხარეები

სურთ რა მაქსიმალურად ეფექტურად და ერთგვაროვნად ღახვეწონ და დაიცვან შემსრულებლებისა და ფონოგრამების მწარმოებლების უფლებები,

აღიარებენ რა ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ტექნიკურ განვითარებასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხების აღეკვატურად გადაწყვეტის მიზნით ახალი საერთაშორისო წესების შემოღების აუცილებლობას,

აღიარებენ რა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და დაახლოების დიდ გვგავლენას შესრულებებისა და ფონოგრამების წარმოებასა და გამოყენებაზე,

აღიარებენ რა ფონოგრამების შემსრულებლებისა და დამამზადებლების უფლებებსა და ფართო საზოგადოებრიობის ინტერესებს შორის წონასწორობის შენარჩუნების აუცილებლობას,

კერძოდ, განათლების, სამეცნიერო კვლევისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიმართება სხვა კონვენციებთან

(1) ამ ხელშეკრულების არცერთი დებულება არ ამცირებს ქალდებულებებს, რომლებიც ხელშეკრულების დამდებ მხარეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ 1961 წლის 26 ოქტომბერს რომში დადებული "შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების ინტერესების დაცვის საერთაშორისო კონვენციის" (შემდგომში "რომის კონვენცია") თანახმად.

(2) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვა არ ერევა და არანაირ გავლენას არ ახდენს ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებებზე საავტორო უფლების დაცვაზე. შესაბამისად, ამ ხელშეკრულების არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ ამგვარ დაცვას მიანი მიადგეს.

(3) ეს ხელშეკრულება არანაირად არ არის დაკავშირებული სხვა რომელიმე ხელშეკრულებებთან და არ ამცირებს მათ მიერ განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

მუხლი 2. განსაზღვრებები

ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს შემდეგი მნიშვნელობა აქვს:

(ა) "შემსრულებლები" – მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები, მოცეკვეები და სხვა პირები, რომლებიც ასრულებენ როლებს, მღერიან, კითხულობენ (მათ შორის მხატვრულად), უკრავენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, ასდენენ ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოებების ან ხალხური შემოქმედების ნიმუშების ინტერპრეტაციას ან რაიმე სხვა სახით ასრულებენ მათ;

(ბ) "ფონოგრამა" არის შესრულების ან სხვა ხმების ჩაწერა, ან ხმების გამოხატულება, გარდა იმ სმებისა, რომლებიც ჩანაწერის სახითაა ჩართული კინემატოგრაფიულ ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში;

(გ) "ჩანაწერი" არის ხმების ან მათი გამოხატულების განსახიერება, რომელიც მისი აღქმის, რეპროდუცირების ან შესაბამისი მოწყობილობის მეშვეობით გადაცემის საშუალებას იძლევა;

(დ) "ფონოგრამის დამამზადებელი" არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც თავის თავზე იღებს შესრულების ან სხვა ხმების, ან მათი გამოხატულების პირველი ჩანაწერის ინიციატივას და პასუხისმგებელია ამ ჩაწერაზე;

(ე) "გამოქვეყნება" – შესრულების ჩანაწერის ან ფონოგრამის გამოქვეყნება ნიშნავს საზოგადოებისათვის შესრულების ჩანაწერის ან ფონოგრამის შეთავაზებას უფლებამოსილების თანხმობითა და იმ პირობით, რომ საზოგადოებას ეგზემპლარები გონიერული რაოდენობით მიეწოდება;

(ვ) "საერთო მაუწყებლობა" არის კავშირგაბმულობის უმავთულო საშუალებებით სმების ან გამოსახულების და ხმების ან მათი გამოხატულების მიწოდება საზოგადოებისათვის, თანამგზავრის მეშვეობით განხორციელებული ამგვარი გადაცემა ასევე "საეთერო მაუწყებლობაა"; კოდირებული სიგნალების გადაცემა "საეთერო მაუწყებლობად" ითვლება, თუ დეკოდირების საშუალებები საზოგადოებას სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ ან მისი თანხმობით მიეწოდება;

(ზ) "საჯარო გადაცემა (გადაცემა საყოველთაო გაცნობისათვის)" – შესრულების ან ფონოგრამის საჯარო გადაცემა (გადაცემა საყოველთაო გაცნობისათვის) არის ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების ხმების, ხმების ან მათი გამოსახატულების გადაცემა საზოგადოებისათვის ნებისმიერი საშუალებით, გარდა საერთო მაუწყებლობის. მე –15 მუხლში "საჯარო გადაცემა, გადაცემა საყოველთაო გაცნობისათვის)" მოიცავს

აგრეთვე ფონოგრამაზე ჩაწერილი ხმების ან ხმების გამოხატულების გამოყენებას იმგვარად, რომ ისინი მისაწვდომი გახდეს საზოგადოების სმენითი აღქმისათვის.

მუხლი 3. ამ ხელშეკრულებით დაცული პირები

(1) ხელშეკრულების დამდები მხარეები უზრუნველყოფენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაცვას ფონოგრამების იმ შემსრულებელთა და დამამზადებელთათვის, რომლებიც ხელშეკრულების დამდები სხვა მხარეების მოქალაქეები არიან.

(2) ხელშეკრულების დამდები სხვა მხარეების მოქალაქეებში ფონოგრამების ის შემსრულებლები ან დამამზადებლები იგულისხმებიან, რომლებიც დაცვის უზრუნველყოფისათვის "რომის კონვენციით" გათვალისწინებულ აუცილებელ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ ისე, თითქოს ამ ხელშეკრულების დამდები ყველა მხარე ამ კონვენციის დამდები სახელმწიფო იყოს. ხსენებულ კრიტერიუმებთან მიმართებაში ხელშეკრულების დამდები მხარეები ამ ხელშეკრულების მე–2 მუხლის შესაბამის განსაზღვრებებს იყენებენ.

(3) ხელშეკრულების დამდები ნებისმიერი მხარე, რომელიც იყენებს "რომის კონვენციის" მე–5 (3) მუხლით, ან ხსენებული კონვენციის მე–5 მუხლის მიზნებისათვის ამ კონვენციის მე–17 მუხლით გათვალისწინებულ შესაძლებლობებს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) დირექტორს უგზავნის შეტყობინებას, როგორც ეს ხსენებული დებულებებითა გათვალისწინებული.

მუხლი 4. ეროვნული რეჟიმი

(1) ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე სხვა მხარეების მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფს მე–3 (2) მუხლით განსაზღვრულ იმავე რეჟიმს, როგორსაც საკუთარი მოქალაქეებისათვის იმ განსაკუთრებულ უფლებების თვალსაზრისით რომლებიც ამ ხელშეკრულებით სპეციალურადაა უზრუნველყოფილი და ჰონორარის მიღების უფლებით, როგორც ეს ამ ხელშეკრულების მე – 15(3) მუხლითაა გათვალისწინებული.

(2) (1) პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ გამოიყენება იმ ზომით, რა ზომითაც ხელშეკრულების დამდები სხვა მხარე იყენებს ამ ხელშეკრულების მე 15(3) მუხლით დაშვებულ შესწორებებს.

თავი II
შემსრულებლის უფლებები

მუხლი 5. შემსრულებლის პირადი არაქონებრივი უფლებები

(1) შემსრულებლის ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და ამ უფლებების გადაცემის შემდეგაც კი შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ აღიარებულ იქნეს თავისი შესრულებების შემსრულე-

ბლად თავისი ჩაუწერელი შეპირი შესრულებების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულებების მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა , როცა ამგვარი უფლების მიუცემლობა შესრულების გამოყენების ხასიათითაა ნაკარნახევი, და გამოვიდეს თავისი შესრულებების ყოველგვარი ისეთი გაუკუღმართებული დამასინჯების ან სხვაგვარი შეცვლის წინააღმდეგ, რასაც შეუძლია მიაყენოს მის რეპუტაციას.

(2) (1) პუნქტის შესაბამისად შემსრულებლისათვის მინიჭებული უფლებები ქონებრივი უფლებების შეწყვეტამდე შენარჩუნდება მისი გარდაცვალების შემდეგაც და განხორციელდება იმ პირებისა და დაწესებულებების მიერ, რომლებსაც ამის უფლებამოსილება ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული, რომელშიც დაცვა გამოითხოვება. ხელშეკრულების დამდებმა იმ მხარეებმა კი რომელთა კანონმდებლობა ამ ხელშეკრულების რატიფიკაციისა ან მასთან მიერთების მომენტში არ ითვალისწინებს შემსრულებლის გარდაცვალების შემდეგ წინა პუნქტით გათვალისწინებული მისი ყველა უფლების დაცვას, შეიძლება დაადგინონ. რომ შემსრულებლის გარდაცვალების შემდეგ ამ უფლებებიდან ზოგიერთი შეწყდება.

(3) ამ პუნქტით უზრუნველყოფილი უფლებების განხორციელებისათვის აუცილებელი დაცვითი ღონისძიებები რეგლამენტირებულია ამ ხელშეკრულების დამდები მხარის კანონმდებლობით, რომლის შესაბამისად ხდება დაცვის გამოთხოვა.

მუხლი 6. შემსრულებლის ქონებრივი უფლებები თავის ჩაუწერელ შესრულებაზე

შემსრულებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ:

(i) თავიანთი ჩაუწერელი შესრულებების ეთერში და საჯარო (საყოველთაო გაცნობისათვის) გადაცემის ნებართვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შესრულდება უკვე გადაცემულია ეთერში; და

(iii) თავიანთი ჩაუწერელი შესრულებების ჩაწერის ნებართვა.

მუხლი 7. რეპროდუცირების უფლება

შემსრულებლებს აქვს განსაკუთრებული უფლება გასცეს ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულებები ნებისმიერი სახითა და ფორმით პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუცირების ნებართვა.

მუხლი 8. გავრცელების უფლება

(1) შემსრულებელს აქვს განსაკუთრებული უფლება გაყიდვის ან საკუთრების უფლების სხვა სახით გადაცემის გზით გასცეს ფონოგრამაზე ჩაწერილი თავისი შესრულებების ორიგინალისა და ეგზემპლარების საზოგადოებისათვის გაცნობის ნებართვა.

(2) ამ ხელშეკრულების არცერთი დებულება არ მღუდავს ხელშეკრულების დამდები თავისუფლებას განსაზღვრონ ან არ განსაზღვრონ პირობები, რომელთა მიხედვითაც (1) პუნქტში ნახსენები უფლების

ამოწურვა ხდება შემსრულებლის ნებართვით პირველი გაყიდვის ან ჩაწერილი შესრულების ორიგინალსა ან ეგზემპლარზე საკუთრების უფლების სხვა სახით გადაცემისას.

მუხლი 9. გაქირავების უფლება

(1) შემსრულებელს აქვს განსაკუთრებული უფლება ამ ხელშეკრულების დამდები მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად გასცეს ფონოგრამებზე ჩაწერილი თავისი შესრულების ორიგინალის ან ეგზემპლარების საზოგადოებისათვის კომერციული გაქირავების ნებართვა შემსრულებლის მიერ ან მისი ნებართვით მათი გაერცელების შემდეგაც კი.

(2) (1) პუნქტის დებულებების მიუხედავად ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეს, რომელშიც 1994 წლის 15 აპრილისათვის მოქმედებდა და ამჟამადაც მოქმედებს ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულებების ეგზემპლარების დაქირავებისათვის შემსრულებლის სამართლიანი ანაზღაურების სისტემა, შეუძლია შეინარჩუნოს ეს სისტემა იმ პირობით, თუ ფონოგრამების კომერციული გაქირავება არსებით ზიანს არ აყენებს შემსრულებლის განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუცირებაზე.

მუხლი 10. ჩაწერილი შესრულების საჯარო გადაცემის უფლება

შემსრულებელს აქვს განსაკუთრებული უფლება გასცეს ფონოგრამაზე ჩაწერილი თავისი შესრულებების სადენებით ან კაშირგაბმულობით უმავთულო საშუალებებით იმგვარი საჯარო გადაცემის ნებართვა, რომ ისინი საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით.

თავი III

ფონოგრამის დამამზადებლის უფლებები

მუხლი 11. რეპროდუცირების უფლება

ფონოგრამების დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავიანთი ფონოგრამების ნებისმიერი სახითა და ფორმით პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუქცირების ნებართვა.

მუხლი 12. გავრცელების უფლება

(1) ფონოგრამების დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გაყიდვის ან საკუთრების უფლების სხვა სახით გადაცემის გზით გასცენ თავიანთი ფონოგრამების ორიგინალისა და ეგზემპლარების საზოგადოებისათვის გაცნობის ნებართვა.

(2) ამ ხელშეკრულების არცერთი დებულება არ მღუდავს ხელშეკრულების დამდები მხარეების თავისუფლებას განსაზღვრონ ან არ განსაზღვრონ პირობები, რომელთა მიხედვითაც (1) პუნქტში ნახსენები

უფლების ამოწურვა ხდება ფონოგრამის დამამზადებლის ნებართვით პირველი გაყიდვის ან ფონოგრამის ორიგინალსა და ეგზემპლარზე საკუთრების უფლების სხვა სახით გადაცემისას.

მუხლი 13. გაქირავების უფლება

(1) ფონოგრამების დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავიანთი ფონოგრამების ორიგინალის ან ეგზემპლარების საზოგადოებისათვის კომერციული გაქირავების ნებართვა დამამზადებლის მიერ ან მისი ნებართვით მათი გავრცელების შემდეგაც კი.

(2) (1) პუნქტის დებულებების მიუხედავად ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეს, რომელშიც 1994 წლის 15 აპრილისათვის მოქმედებდა და ამჟამად მოქმედებს თავიანთი ფონოგრამების ეგზემპლარების გაქირავების სისტემა, შეუძლია შეინარჩუნოს ეს სისტემა იმ პირობით, თუ ფონოგრამების კომერციული გაქირავება არსებითი ზიანს არ აყენებს ფონოგრამების დამამზადებლების განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუცირებაზე.

მუხლი 14. ფონოგრამის საჯარო გადაცემის უფლება

ფონოგრამების დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავიანთი ფონოგრამების საიდენებით ან კავშირგაბმულობის უმავთულო საშუალებებით იმგვარი საჯარო გადაცემის ნებართვა, რომ ისინი საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერ აღგილას და სებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით.

თავი IV
ზოგადი დებულებები

მუხლი 15. საერთო მაუწყებლობისა და საზოგადოებაში გავრცელებისათვის ჰონორარის მიღების უფლება

(1) შემსრულებლებსა და ფონოგრამების დამამზადებლებს აქვთ უფლება მიიღონ ერთჯერადი სამართლიანი ანაზღაურება საეთერო მაუწყებლობის ან საზოგადოებაში ნებისმიერი სხვა სახით გავრცელებისათვის კომერციული მიზნებით გამოქვეყნებული ფონოგრამების პირდაპირი ან არაპირდაპირი გამოყენებისათვის.

(2) ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შეუძლიათ თავიანთი ეროვნულ კანონმდებლობაში დააგგინონ, რომ მომხმარებლებისაგან ერთჯერადი სამართლიანი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს შემსრულებელს ან ფონოგრამის დამამზადებელს, ან შემსრულებელსა და ფონოგრამის დამამზადებელს ერთდროულად. ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც, შემსრულებელსა და ფონოგრამის დამამზადებელს შორის შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, დააგგენს პირობებს, რომელთა

შესაბამისადაც ერთჯერადი სამართლიანი ანაზღაურება ნაწილდება შემსრულებლებსა და ფონოგრამების დამამზადებლებს შორის.

(3) ამ ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერი მხარეს შეუძლია ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის შესანახად ჩაბარებულ შეტყობინებაში განაცხადოს, რომ (1) პუნქტის დებულებებს მხოლოდ გამოყენების ზოგიერთ სახესთან მიმართებაში გამოიყენებს და შეზღუდავს სხვა რაიმე სახით მათ გამოყენებას ან საერთოდ არ გამოიყენებს ამ დებულებებს.

(4) ამ მუხლის თანასმად ფონოგრამები, რომლებიც საზოგადოებაში სადენებით ან კაშირგაბმულობის უმავთულო საშუალებებით გავრცელდა იმგვარად, რომ საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით, განიხილება კომერციული მიზნებით გამოქვეყნებულად.

მუხლი 16. შეზღუდვები და გამონაკლისები

(1) ამ ხელშეკრულების დამდეგ მხარეებს შეუძლიათ შეზღუდონ ამ ხელშეკრულების და ფონოგრამების დამამზადებლების უფლებების დაცვის თვალსაზრისით თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში დააწესონ იმავე სახის შეზღუდვები ან გამონაკლისები, რაც ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების საავტორო უფლებების დაცვის თვალსაზრისითაა გათვალისწინებული მათ ეროვნულ კანონმდებლობაში.

(2) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რაიმე შეზღუდვებსა და გამონაკლისებს აწესებენ განსაზღვრულ და განსაკუთრებულ შემთხვევებში შესრულების ან ფონოგრამის ნორმალური გამოყენებისათვის ბიანის ტიპუნებისას და შემსრულებლის ან ფონოგრამის დამამზადებლის კანონიერი ინტერესების უსაფუძვლოდ შელახვის გარეშე.

მუხლი 17. დაცვის ვადა

(1) შემსრულებლებისთვის ამ ხელშეკრულებით დაწესებული დაცვის ვადა გრძელდება არანაკლებ 50 წლის განმავლობაში იმ წლის ბოლოდან, როდესაც შესრულება ფონოგრამაზე ჩაიწერა.

(2) ფონოგრამის დამამზადებლებისათვის ამ ხელშეკრულებით დაწესებული დაცვის ვადა გრძელდება არანაკლებ 50 წლის განმავლობაში იმ წლის ბოლოდან, როდესაც ფონოგრამა გამოქვეყნდა ან თუ ფონოგრამის ჩაწერიდან ამგვარი გამოქვეყნება 50 წლის განმავლობაში არ მომხდარა, 50 წლის განმავლობაში იმ წლის ბოლოდან, როცა ჩაწერა მოხდა.

მუხლი 18. ვალდებულებები ტექნიკურ ზომებთან მიმართებაში

ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები შესაბამისი სამართლებრივი დაცვასა და სამართლებრივი დაცვის ეფექტურ ზომებს ითვალისწინებენ იმ არსებული ტექნიკური საშუალებების გვერდის აცილის წინააღმდეგ,

რომლებსაც შემსრულებლები და ფონოგრამების დამამზადებლები ამ ხელშეკრულებით დაფუძნებული თავიანთი უფლებების განსახორციელებლად იყენებენ და რომლებიც მათი შესრულებებისა და ფონოგრამების მიმართ მწარმოებელს ისეთ ქმედებებს, რომლებიც არ არის ნებადართული შემსრულებლების ან ფონოგრამების დამამზადებლების მიერ ან აკრძალულია კანონით.

მუხლი 19. ვალდებულებები უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები სამართლებრივი დაცვის შესაბამის და ეფექტურ ზომებს ითვალისწინებენ ნებისმიერი იმ პირის მიმართ, რომელიც შეგნებულად ახორციელებს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებათაგანს, და რომელმაც იცის, ან, დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით, აქვს საკმარისი საფუძველი იცოდეს, რომ ამგვარი ქმედება გამოიწვევს, შესაძლებელს ხახლის, ხელს შეუწყობს ან დაფარავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევას:

(i) უფლებების მართვის შესახებ ნებისმიერი ელექტრონული ინფორმაციის უნებართვო წაშლა ან შეცვლა;

(ii) შესრულებები, ჩაწერილი შესრულებები ან ფონოგრამების უნებართვო გავრცელება, გავრცელების მიზნით შემოგანა, ეთერში გადაცემა, შეტყობინება ან საჯარო გადაცემა, როცა ცნობილია, რომ უფლებების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია მათში უნებართვოდ იქნა წაშლილი ან შეცვლილი.

(2) "ინფორმაცია უფლებების მართვის შესახებ" ამ მუხლში აღნიშნავს ინფორმაციას, რომელიც ასახავს შემსრულებლის, შემსრულებლის შესრულების, ფონოგრამის დამამზადებლის, ფონოგრამის, შესრულებასა ან ფონოგრამაზე რაიმე უფლების მფლობელის ან შესრულების ან ფონოგრამის გამოყენების პირობების შესახებ ინფორმაციის და ასეთი ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი ციფრების ან კოდების იდენტიფიკაციას, როცა ინფორმაციის ამ ელემენტთაგან ნებისმიერი თან ახლავს ჩაწერილი შესრულების ან ფონოგრამის ეგზემპლარს ან ჩნდება ჩაწერილი შესრულების ან ფონოგრამის შეტყობინებას ან საჯარო გადაცემასთან დაკავშირებით.

მუხლი 20. ფორმალობები

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების ქონა და განხორციელება არ არის დაკავშირებული რაიმე ფორმალობების დაცვასთან.

მუხლი 21. მესწორებები

15(3) მუხლის დებულებების გათვალისწინებით ამ ხელშეკრულებაში არ დაიშვება არანაირი მესწორებები.

მუხლი 22. გამოყენება დროში

(1) ფონოგრამების შემსრულებლებისა და დამამზადებლების ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დაცვისას ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები უნდა იყენებდნენ "ბერნის კონვენციის" მე-18 მუხლის დებულებებს შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით.

(2) (1) პუნქტის მიუხედავად ხელშეკრულების დამდებ მხარეს შეუძლია შეზღუდოს ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის გამოყენება შესრულებებით, რომლებიც თარიღდება ამ მხარისათვის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

მუხლი 23. დებულებები უფლებების უზრუნველყოფის შესახებ

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებულების იღებენ თავიანთი სამართლებრივი სისტემების შესაბამისად გაატარონ ამ ხელშეკრულების გამოყენების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებანი.

(2) ამ ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა უნდა უზრუნველყოფენ, რომ მათ კანონებში გათვალისწინებული იყოს უფლებების უზრუნველმყოფელი ზომები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ნებისმიერი აქტის აღმკვეთი ეფექტური ქმედებების, მათ შორის დარღვევების თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომებისა და შემდგომი დარღვევების შემაკავებელი ზომების გატარება.

თავი V

ადმინისტრაციული და დასკვნითი დებულებები

მუხლი 24. ასამბლეა

(1) (ა) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები აფუძნებენ ასამბლეას.

(ბ) ამ ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მრჩევლები და ექსპერტები.

(გ) ყოველი დელეგაციის ხარჯებს იხდის ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელმაც ის დანიშნა. ასამბლეა შეუძლია ფინანსური დახმარება სთხოვოს ისმო-ს, რათა ხელი შეუწყოს ასამბლეის მუშაობაში ხელშეკრულების დამდები იმ მხარეების მონაწილეობას, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად განვითარებად ქვეყნებად განიხილებიან ან საბაჟო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში არიან.

(2) (ა) ასამბლეა განიხილავს ამ ხელშეკრულების დაცვას, ვარეციარებას, გამოყენებასა და ამოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

(ბ) ასამბლეა ასორციელებს მასმე 26(2) მუხლით დაკისრებულ ფუნქციას ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად დაუშვას ზოგიერთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია.

(გ) ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ამ ხელშეკრულების გადასინჯვის მიზნით ნებისმიერი დიპლომატიური კონფერენციის მოწვევის თაობაზე და ისმო-ს გენერალურ დირექტორს აძლევს აუცილებელ მითითებებს ამგვარი დიპლომატიური კონფერენციის მოსამზადებლად.

(3) (ა) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს, ერთი ხმა აქვს და ხმას მხოლოდ თავისი სახელით აძლევს.

(ბ) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სამთაერობათაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ნაცელად. სმების რაოდენობა ემთხვევა ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების რაოდენობას, რომლებიც ამ ხელშეკრულების დამდები მხარეებია. ასეთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია არ იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, თუ ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებიდან ნებისმიერი იყენებს თავის ხმის უფლებას და პირიქით.

(4) ასამბლეა მორიგ სესიებზე იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ სესიებს იწვევს ისმო-ს გენერალური დირექტორი.

(5) ასამბლეა იღებს თავის საპროცედურო წესებს, მათ შორის რიგგარეშე სესიებს მოწვევის, კვორუმის მოთხოვნებისა და, ამ ხელშეკრულების დებულებების გათვალისწინებით, სხვადასხვა გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი უმრავლესობის თაობაზე.

მული 25. საერთაშორისო ბიურო

ამ ხელშეკრულების შესაბამისად ისმო-ს საერთაშორისო ბიურო ადმინისტრაციულ ფუნქციებს ასრულებს.

მუხლი 26. ხელშეკრულებაში მონაწილეობის უფლება

(1) ისმო-ს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

(2) ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად ნებისმიერი იმ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დაშვების თაობაზე, რომელიც აცხადებს, რომ კომპეტენტურია და აქვს თავისი, ამგვარი ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოსათვის საეალდებულო ნორმატიული ბაზა ამ ხელშეკრულებით დარეგულირებულ საკითხებზე და თავისი შინაგანი პროცედურების შესაბამისად სათანადოდ უფლებამოსილია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

(3) ევროპის გაერთიანებას, რომელმაც წინა პუნქტში ნახსენები განცხადება ამ ხელშეკრულების მიმღებ დიპლომატიურ კონფერენციაზე გააკეთა, შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

მუხლი 27. ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები

თუ ეს ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სხვა სპეციალურ დებულებებს, ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე სარგებლობს ყველა უფლებით და თავის თავზე იღებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას.

მუხლი 28. ხელშეკრულების ხელმოწერა

ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსა და ევროპის კავშირთან ასოცირებისათვის ეს ხელშეკრულება ხელმოწერისათვის ღიაა 1997 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 29. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის 30 სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 30. ხელშეკრულებაში მონაწილეობის დაწყების თარიღი

ეს ხელშეკრულება სავალდებულო ხდება:

(i) 29-ე მუხლში ნახსენები 30 სახელმწიფოსათვის ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან;

(ii) ყოველი სხვა სახელმწიფოსათვის ამ სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის თავისი დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ;

(iii) ევროპის გაერთიანებისათვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ 29-ე მუხლის შესაბამისად, ან ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე;

(iv) ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციისათვის, რომელიც დაშვებულია ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად, ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიას სამი თვის შემდეგ.

მუხლი 31. ხელშეკრულების დენონსაცია

ამ ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ ხელშეკრულების დენონსაცია ისმო-ს გენერალური რექტორისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით. ნებისმიერი დენონსაცია ძალაში შედის ისმო-ს გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 32. ხელშეკრულების ენები

(1) ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ხდება ერთ ეგზემპლარად რუსულ, ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე. ამასთან, ამ ენებზე შესრულებული ყველა ტექსტი აუთენტურია.

(2) ოფიციალურ ტექსტს ნებისმიერ ენაზე, გარდა (1) პუნქტში ნახსენები ენებისა, დაინტერესებული მხარის თხოვნით და ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების შემდეგ ამტკიცებს ისმო-ს გენერალური დირექტორი. ამ პუნქტში ნასსენები "დაინტერესებული მხარე" შეიძლება იყოს ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფო, რომლის ოფიციალური ან ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია, აგრეთვე ევროპის გაერთიანება და ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება ამ ხელშეკრულების მონაწილე გახდეს, თუ მისი ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია.

მუხლი 33. დეპოზიტარი

ამ ხელშეკრულების დეპოზიტარია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი.

(რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 23/05/2001 N 880-II ს დადგენილებით)

შეთანხმება
გამოგონებათა სამართლებრივი დაცვის სფეროში სახელმწიფოთაშორისი საიდუმლოებების შენარჩუნების ურთიერთუზრუნველყოფის შესახებ[5]

(მიღებულია 1999 წლის 4 ივნისს)

წინამდებარე შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოები მთავრობების სახით, შემდგომში მთაერობები,

ეყრდნობიან 1993 წლის 22 იანვრის შეთანხმებას სახელმწიფოთაშორისი საიდუმლოებების შენარჩუნების ურთიერთუზრუნველყოფის შესახებ და 1993 წლის 12 მარტის შეთანხმებას სამრეწველო საკუთრების დაცვის ღონისძიებათა და სამრეწველო საკუთრების დაცვის საკითხებზე სახელმწიფოთაშორისი საბჭოს შექმნის შესახებ,

გამომდინარე ყოფილ სსრ კავშირში შექმნილი საიდუმლო გამოგონებების სამართლებრივი დაცვის აუცილებლობიდან,

ითვალისწინებენ რა მხარეთა ურთიერთინტერესებს მათი სახელმწიფოებრივი უშიშროების უზრუნველყოფაში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის ქვემოთ მოყვანილ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

საიდუმლო გამოგონებები - გამოგონებები, რომლებიც შეიცავენ მონაცემებს, რომლებიც მხარეთა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, შეადგენენ სახელმწიფო საიდუმლოებას (სახელმწიფოთაშორისი საიდუმლოებები);

საიდუმლო გამოგონებების განსაიდუმლოება – საიდუმლო გრიფის მოხსნის პროცედურა დოკუმენტებზე, რომლებიც ეხება საიდუმლო გამოგონებებს;

საიდუმლო გამოგონების დამცავი დოკუმენტი – დოკუმენტი, რომელიც მხარეთა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს საიდუმლო გამოგონების სამართლებრივ დაცვას;

განმცხადებლები – მხარეთა ტერიტორიებზე მცხოვრები ან მყოფი ავტორები, აგრეთვე საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებმაც შეიტანეს განაცხადი საიდუმლო გამოგონებაზე სსრკ საავტორო მოწმობის ან პატენტის მიღებისათვის;

დაინტერესებული მხარე – მხარე, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფებიან განმცხადებლები;

---

[5] კონვენციას ადმინისტრირებას უწევს „დსთ“-ს აღმასრულებელი კომიტეტი

კომპეტენტური ორგანოები- მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმების შესასრულებლად განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოები.

მუხლი 2

სასელმწიფოთაშორისი საიდუმლოებების შენარჩუნების ურთიერთუზრუნველყოფის შესახებ 1993 წლის 22 იანერის შეთანხმების შესაბამისად, მხარეები უზრუნველყოფენ საიდუმლოების რეჟიმს საიდუმლო გამოგონებების შესახებ მათ ხელთ არსებული მონაცემების მიმართ.

მუხლი 3

საიდუმლო გამოგონებების განსაიდუმლოებისას, გამოგონებებზე რომლებზეც გაცემულია სსრკ საავტორო მოწმობები ან შეტანილია განაცხადი მათ გაცემაზე, მხარეები იღებენ ვალდებულებას იხელმძღვანელონ განსაიდუმლოების წესებით (დანართი 1) იმ საიდუმლო გამოგონებებისა, რომლებზეც გაცემულია სსრკ საავტორო მოწმობები ან შეტანილია განაცხადი სსრკ საავტორო მოწმობების ან პატენტების გაცემაზე. აღნიშნული წესები წარმოადგენენ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

საიდუმლო გამოგონებათა განსაიდუმლოების აუცილებლობის შესახებ მხარეთა წარდგინებების განხილვისა და მათზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რაც გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული წესებით, მხარეები ქმნიან ღროებით სამუშაო ჯგუფს (შემდგომში დსჯ), რომლის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა ევალება პატენტების და სასაქონლო ნიშნების რუსეთი სააგენტოს (შემდგომში როსპატენტი).

მუხლი 4

მხარეები აღიარებენ განმცხადებელთა უფლებას იშუამდგომლონ საიდუმლო გამოგონებებზე დამცავი დოკუმენტების გაცემის თაობაზე იმ განცხადების საფუძველზე, რომლებიც შეტანილია საიდუმლო გამოგონებაზე სსრკ საავტორო მოწმობის ან პატენტის მისაღებად და რომლებშეც არ არის დასრულებული საქმის წარმოება სსრკში და რომლებსაც არ ამოწურა საიდუმლო გამოგონების დამცავი დოკუმენტის მოქმედების ვადა, თანახმად „საიდუმლო გამოგონების განაცხადებზე საავტორო მოწმობის და სსრკ პატენტის მიღებაზე, რომლებზეც საქმის წარმოება სსრკში არ დასრულებულა, შუამდგომლობის წარდგენის წესისა“ (დანართი 2), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ეროვნული კანონმდებლობით.

მუხლი 5

ნებისმიერი მხარის ტერიტორიაზე საიდუმლო გამოგონებაზე სსრკ საავტორო მოწმობის მოქმედება შეიძლება შეწყდეს განმცხადებლების მიერ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად წარდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე. ამასთან, იმავდროულად

ხორციელდება საიდუმლო გამოგონებაზე დამცავი დოკუმენტის გაცემა, საავტორო მოწმობის მოქმედების დარჩენილი ვადით, თუ სხვა რა არ არის გათვალისწინებული ეროვნული კანონმდებლობით.

მუხლი 6

შეთანხმების გამოყენებასთან და განმარტებასთან დაკავშირებული საღავო საკითხები წყდება დაინტერესებული მხარეების კომპეტენტურ ორგანოთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით.

მუხლი 7

მხარეთა ერთსულოვანი თანხმობისას წინამდებარე შეთანხმებაში, ცალკეული ოქმების სახით, შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ძალაში შედიან ამ შეთანხმების მე-10 მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 8

ყოველ მხარეს შეუძლია გავიდეს შეთანხმებიდან, გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვით ადრე დეპოზიტარისადმი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

მუხლი 9

წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მისი ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში. ამ ვადის ამოწურვისას შეთანხმება ავტომატურად გრძელდება მომდევნო 5 წლიანი პერიოდებით, თუ მხარეები არ მიიღებენ სხვა გადაწყვეტილებას.

მუხლი 10

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელმომწერ მხარეთა მიერ აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების შესახებ დეპოზიტარისათვის მესამე შეტყობინების შესანახად ჩაბარების დღიდან.

მხარეთათვის, რომლებმაც აუცილებელი პროცედურები შეასრულეს მოგვიანებით, შეთანხმება ძალაში შედის დეპოზიტარისათვის სათანადო დოკუმენტების ჩაბარების დღიდან.

მუხლი 11

წინამდებარე შეთანხმება ღიაა მასთან მისაერთებლად დსთ-ს მონაწილე – სახელმწიფოთათვის, რომლებიც იზიარებენ მის მიზნებსა და პრინციპებს, ასეთი მიერთების შესახებ დეპოზიტარისათვის დოკუმენტების გადაცემის გზით.

შეთანხმება შესრულებულია ერთ ნამდვილ ეგზემპლარად რუსულ ენაზე 1999 წლის 4 ივნისს ქ. მინსკში. შეთანხმების დედანი ინახება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც ყოველ ხელმომწერ სახელმწიფოს გაუგზავნის შეთანხმების დამოწმებულ ასლს.

გამოგონებათა სამართლებრივი დაცვის სფეროში
სახელმწიფოთაშორისი საიდუმლოებების
შენარჩუნების ურთიერთუმრუნველყოფის შესახებ
შეთანხმების

დანართი 1

წესები
იმ საიდუმლო გამოგონებათა განსაიდუმლოების შესახებ, როლებზეც გაცემულია სსრკ საავტორო მოწმობები ან შეტანილია განაცხადი სსრკ საავტორო მოწმობების ან პატენტების მიღებაზე

1. წინამდებარე წესები ითვალისწინებენ იმ საიდუმლო გამოგონებათა განსაიდუმლოების პროცედურას, რომლებზეც გაცემულია სსრკ საავტორო მოწმობები ან შეტანილია განაცხადი სსრკ საავტორო მოწმობების ან პატენტების მიღებაზე სსრკ საპატენტო კანონმდებლობის შესაბამისად.

2. იმ საიდუმლო გამოგონებათა, რომლებზეც გაცემულია სსრკ საავტორო მოწმობები, განსაიდუმლოების შესაძლებლობის განხილება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი მხარის ინიციატივით.

3. საიდუმლო გამოგონებების განსაიდუმლოების აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ მისი ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ მონაცემთა განსაიდუმლოებას.

4. საიდუმლო გამოგონების განსაიდუმლოების აუცილებლობის თაობაზე წარედგინება, დაინტერესებული მხარის მიერ ეგზავნება დსჯ-ს მოსაწილე ყოველ მხარეს.

წარდგინება განსაიდუმლოების თაობაზე უნდა იყოს მოტივირებული, შეიცავდეს ნომერს საავტორო მოწმობისა და განაცხადის, რომლის მისელეითაც გაცემულია მოწმობა, ავტორის (ავტორების) გვარს (გვარებს), საცხოვრებელ ადგილს განაცხადის წარდგენის დღისათვის, განმცხადებელი ორგანიზაციის სახელწოდებას, მის ადგილსამყოფელსა და გამოგონების ფორმულას.

5. დსჯ საიდუმლო გამოგონების განსაიდუმლოების თაობაზე წარდგინებას უგზავნის ყოველი მხარის კომპეტენტურ ორგანოს.

საიდუმლო გამოგონების განსაიდუმლოების შესახებ დასკვნა ყოველი მხარის მიერ ეგზავნება დსჯ-ს ამ უკანასკნელს მიერ წარდგინების

გაგზავნიდან 4 თვის განმავლობაში. აუცილებლობის შემთხვევაში დასკვნა მხარეების მიერ შეიძლება გაგზავნილ იქნეს უფრო გვიანაც, მაგრამ არაუგვიანეს 2 თვისა აღნიშნული ოთხთვიანი ვადის გასვლიდან. ამ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მითითებული ოთხი თვის განმავლობაში აცნობოს დსჯ-ს იმის თაობაზე, რომ დასკვნა წარმოდგენილი იქნება მოგვიანებით.

თუ მხარე დასკვნას არ წარუდგენს დსჯ-ს აღნიშნულ ოთხ ან ექვსთვიან ვადაში წინასწარი შეტყობინებით, როგორც ეს შემოთ არის განსაზღვრული, ჩაითვლება, რომ ეს მხარე ეთანხმება წარდგინებას მონაცემთა განსაიდუმლოების თაობაზე.

6. განსაიდუმლოების თაობაზე წარდგინებას დსჯ იხილავს დაინტერესებული მხარეების აზრის გათვალისწინებით და ღებულობს გადაწყვეტილებას საიდუმლო გამოგონების განსაიდუმლოების შესახებ.

მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დსჯ აცნობებს თითოეულ მხარეს ბოლო დასკვნის მიღების დღიდან ერთი თვის განმავლობაში, მის ხელთ არსებული ყველა დასკვნის გადაგზავნის მეშვეობით.

გადაწყვეტილება საიდუმლო გამოგონების განსაიდუმლოების შესახებ მიღებულად ითვლება თითოეული მხარის მიერ მისი განსაიდუმლოების შესაძლებლობის დადასტურების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში დაინტერესებული მხარე ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესით ორგანიზებას უწევს საიდუმლო გამოგონების განსაიდუმლოებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს და აცნობებს დსჯ-ს ერთი თვის ვადაში განსაიდუმლოების შედეგებს.

თუ მხარე არ ეთანხმება საიდუმლო გამოგონების განსაიდუმლოებას, დასკვნა უნდა შეიცავდეს კონკრეტულ მოგვიებს, რომელთა გამოც მხარეს შეუძლებლად მიაჩნია საიდუმლო გამოგონების განსაიდუმლოება. წარმოშობილი უთანხმოება წყდება დაინტერესებულ მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ.

7. საიდუმლო გამოგონების განსაიდუმლოების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მონაცემები მის შესახებ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს ან გადაეცეს მესამე ქვეყნებს მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ.

8. იმ საიდუმლო გამოგონებათა განსაიდუმლოება, რომლებზეც შეტანილია განაცხადი, მაგრამ გაცემული არ არის სსრკ საავტორო მოწმობები ან პატენტები, ნებისმიერი დაინტერესებული მხარის ძიერ შეიძლება განხორციელდეს წინამდებარე წესების მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული წესით. ამასთან, შეთანხმება აღნიშნული გამოგონებების განსაიდუმლოებაზე ხორციელდება მხოლოდ დაინტერესებულ მხარეთა შორის, რისთვისაც დსჯ უგზავნის საიდუმლო გამოგონების შესახებ წარდგინებას რუსეთის ფედერაციის, რომლის

ტერიტორიაზეც იმყოფება წარდგენილი განაცხადი, და დაინტერესებული მხარის კომპეტენტურ ორგანოებს. ასეთ შემთხვევებში წარდგინება საიდუმლო გამოგონების განსაიდუმლოების აუცილებლობის თაობაზე წინამდებარე წესების მე-4 პუნქტით განსაზღვრულ მონაცემებთან ერთად, ნაცვლად საავტორო მოწმობისა და განაცხადის ნომრებისა , უნდა შეიცავდეს განაცხადის ნომერს.

9. გრიფით „სრულიად საიდუმლო“ ნიშანდებული საიდუმლო გამოგონების მონაცემების განსაიდუმლოება, რომლებზეც სსრკ საავტორო მოწმობები გაცემულია სსრკ სამინისტროების და უწყებების გადაწყვეტილების საფუძველზე და რომელთა შესახებაც მონაცემების გაერცელება სსრკ-ში ხდებოდა სპეციალურ დარგობრივ და დარგთაშორის გამოცემებში, ხორციელდება წინამდებარე წესების მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი წესით.

10. გრიფით „სრულიად საიდუმლო“ ნიშანდებული საიდუმლო გამოგონების მონაცემების განსაიდუმლოება, რომლებზეც სსრკ საავტორო მოწმობები გაცემულია სსრკ სამინისტროების და უწყებების გადაწყვეტილების საფუძველზე და რომელთა შესახებაც მონაცემების გაერცელება სსრკ-ში არ ხდებოდა სპეციალურ დარგობრივ და დარგთაშორისი გამოცემებში, ხორციელდება წინამდებარე წესების მე-8 პუნქტით დადგენილი წესით.

გამოგონებათა სამართლებრივი დაცვის სფეროში
სახელმწიფოთაშორისი საიდუმლოებების
შენარჩუნების ურთიერთუზრუნველყოფის შესახებ
შეთანხმების

დანართი 2

სსრკ საავტორო მოწმობის ან პატენტის მისაღებად შეტანილ საიდუმლო გამოგონების განაცხადზე, რომელზეც სსრკ-ში საქმის წარმოება არ დასრულებულა, დამცავი დოკუმენტის მიღებისათვის შუამდგომლობის წარდგენის წესები

1. წინამდებარე წესები არეგულირებენ საიდუმლო გამოგონებაზე სსრკ საავტორო მოწმობის ან პატენტის მისაღებად შეტანილ განაცხადზე, რომელზეც სსრკ-ში საქმის წარმოება არ დასრულებულა, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული დამცავი დოკუმენტის მიღებისათვის შუამდგომლობის წარდგენის პროცედურას.

2. წინამდებარე წესების პირველ პუნქტში მითითებულ განაცხადებზე, განმცხადებლებისა და ავტორების ერთობლივი შუამდგომლობის საფუძველზე, მხარეების მიერ საიდუმლო გამოყონებებზე შეიძლება გაიცეს მათი კანონმდებლობით გათვალისწინებული დამცავი დოკუმენტი, სსრკ-ში შეტანილი ადრინდელი განაცხადის პრიორიტეტის შენარჩუნებით.

3. შუამდგომლობის წარდგენა ხორციელდება იმ მხარის კომპეტენტურ ორგანოში, რომლის ტერიტორიაზეც ითხოვენ დამცავი დოკუმენტის გაცემას. საქმის წარმოება ხორციელდება მხარეთა კანონმდებლობის შესაბამისად.

შუამდგომლობას თან ერთვის მხარის ნებართვა, გაცემული მისი ფიზიკური და იურიდიული პირის სასელზე, საიდუმლო გამოყონების სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფაზე სხვა მხარის ტერიტორიაზე.

მხარის კომპეტენტური ორგანოს თხოვნით, რომელშიც წარდგენილია შუამდგომლობა, როსპატენტი მიაწვდის მას საიდუმლო გამოყონებებზე სსრკ საავტორო მოწმობის ან პატენტის მისაღებად შეტანილი განაცხადის დამოწმებულ ასლს.

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლები ვერ შეთანხმდნენ ერთობლივი შუამდგომლობის წარდგენის თაობაზე, დამცავი დოკუმენტი არ გაიცემა.

(რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 2 მარტის N 766 დადგენილებით)

ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენცია

(მიღებულია 1950 წლის 4 ნოემბერს)

მუხლი 5
უფლება თავისუფლებასა და უსაფრთხოებაზე

1. ყველას აქვს უფლება პიროვნების თავისუფლებასა და უსაფრთხოებაზე. არავის წაერთმევა თავისუფლება ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევის გარდა და ეს მოხდება კანონით განსაზღვრულ პროცედურების შესაბამისად:

ა) პიროვნების კანონიერი დაკავება კომპეტერგური სასამართლოს მიერ მისი ბრალდებულად აღიერების შემდგომ;

ბ) პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება სასამართლოს კანონიერი ორდერის არ დამორჩილების შემთხვევაში და იმ მიზნით, რათა შესრულებული იქნეს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულება;

გ) პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება, განხორციელებული იმ მიზნით, რათა მოხდეს მისი წარდგენა უფლებამოსილი კანონიერი ხელისუფლების წინაშე, მის მიერ დანაშაულის ჩადენის კანონზომიერი ეჭვის არსებობის შემთხვევაში ან როდესაც დაპატიმრება ან დაკავება კანონზომიერად აუცილებლად განიხილება მის მიერ დანაშაულის ჩადენის ან მისი ჩადენის შემდეგ მისი გაქცევის თავიდან აცილებისათვის;

დ) არასრულწლოვანთა დაკავება კანონიერი ორდერით მასზე საგანმანათლებლო მეთვალყურეობის მიზნით, ან მისი კანონიერი დაკავება უფლებამოსილი კანონიერი ხელისუფლების წინაშე წარდგენის მიზნით;

ე) პიროვნებათა კანონიერი დაკავება ინფექციური დაავადების გაერცელების თავიდან აცილების მიზნით, ალკოჰოლიკების, ნარკომანების, მაწანწალებისა და ფსიქიურად შეშლილი პირების დაკავება;

ვ) პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება მის მიერ ქვეყანაში უკანონოდ შესელის აღკვეთის მიზნით ან იმ პიროვნების დაპატიმრება ან დაკავება, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს აქცია მისი დეპორტაციისა და გადაცემისათვის.

2. ყველა დაპატიმრებულს დაუყოვნებლივ აცნობებენ, მისთვის გასაგებ ენაზე, მისი დაპატიმრების მიზეზსა და მის წინააღმდეგ აღძრულ ბრალდებებს.

3. ნებისმიერი დაპატიმრებული ან დაკავებული პირი ამ მუხლის პირველი პუნქტის „ც“ პარაგრაფის დებულებების შესაბამისად დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სხვა მოსამსახურეს, უფლებამოსილს განახორციელოს სასამართლო ხელისუფლება და მას უფლება მიეცემა ჩაატაროს სასამართლო განსაზღვრულ ვადებში ან გათავისუფლდეს სასამართლომდე. გათავისუფლება შეიძლება განპირობებული იყოს სასამართლოში მოსვლის გარანტიებით.

4. ვისაც ჩამოერთმევა თავისუფლება დაპატიმრებით ან დაკავებით, უფლება მიეცემა განახორციელოს ქმედებანი, რომლითაც მისი დაკავების კანონერება სწრაფად გადაწყდება სასამართლოს მიერ და გათავისუფლდება, თუკი მისი დაკავება არ არის კანონირი.

5. ყველას, ვინც იყო დაპატიმრების ან დაკავების მსხვერპლი, ამ მუხლის დებულებათა საწინააღმდეგოდ, ექნებათ უფლება კომპენსაციაზე.

მუხლი 8

პირადი და საოჯახო ცხოვრების უფლება

1. ყველას აქვს უფლება თავის პირად და საოჯახო ცხოერებაზე, სახლსა და კორესპოენციაზე.

2. საოჯახო ხელისუფლება არ ჩაერევა ამ უფლების განხორციელებაში, იმ შემთხვევის გარდა, როცა კანონის შესაბამისად ეს დასაშვებია და როცა ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრიეი წესრიგის ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობის ან სისხლის სამართლის დანაშაულის აღკეთისათვის, ჯანმრთელობისა და მორალის ან სხვების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

მუხლი 9

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებაზე; ეს უფლება მოიცავს რელიგიისა და რწმენის გაცელის თავისუფლებას ეულად თუ სხვებთან ერთად კაემირში და საჯაროდ თუ კერძოდ, თასიუფლებას დემონსტრირება გაუკეთოს მის რელიგიას ან რწმენას თაყეანისცემით, სწავლით, რიგუალების შესრულებით და დამორჩილებით.

2. ადამიანის რელიგიისა და რწმენის დემონსტრირების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც განსაზღერულნი არიან კანონით და აუცილებელნი არიან დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

მუხლი 10

გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და სამღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ შეუშლის ხელს სახელმწიფოებს მოითხოვონ ლიცენზირება მაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინოწარმოებისათვის.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო რომ იგი მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, შემღუდვებს ან სასჯელს, რომლებიც გათვალისწინებული არიან კანონით და აუცილებლობას წარმოადგენენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრიეი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობისა და დანამაულის აღკვეთისათვის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვისათვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებისა ან სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებისა.

(საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 12 მაისის N 1940 დადგენილებით)

თავი VI
სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება

მუხლი 21

1. ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული სასამართლო განხილვასთან მეორე ხელშემკვრელ მხარეში ხორციელდება დაინტერესებული იუსტიციის სამინისტროების მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშემკვრელი მხარე სარგებლობს მე-15 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული არჩევის უფლებით.

2. მოპასუხე მხარე აცნობებს მომთხოვნ მხარეს მის მიერ მიღებული ნებისმიერი ზომის შესახებ, რომლებიც მიღებულია ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით და უგზავნის განაჩენის გამოტანასთან დაკავშირებულ სასამართლო ჩანაწერების ასლებს.

3. მე-16 მუხლის დებულებები გამოიყენება წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილ ინფორმაციასთან მიმართებაში.

თავი VII
სასამართლო ჩანაწერებიდან ინფორმაციის გაცემა

მუხლი 22

თითოეული ხელშემკვრელი მხარე ატყობინებს ნებისმიერ მესამე მხარეს მისი მოქალაქეების მიმართ გამოტანილი ყველა იმ განაჩენისა და შემდგომი ზომების შესახებ, რომლებიც შეტანილია სასამართლო ჩანაწერებში. ასეთ ინფორმაციას იუსტიციის სამინისტროები მიაწოდებენ ერთმანეთს წელიწადში ერთხელ მაინც, თუ შესაბამისი პირი ითვლება ორი ან მეტი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქედ ინფორმაცია გადაეცემა თითოეულ ამ მხარეთაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირი არის იმ მხარის მოქალაქე, რომლის ტერიტორიაზეც იგი იყო გასამართლებული.

(საქართველო მეუერთდა საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 23 იუნისის N 2143 დადგენილებით)

ევროპული კონვენცია უცხოეთის კანონმდებლობაზე ინფორმაციის შესახებ

(მიღებულია 1968 წლის 7 ივნისს)

პრეამბულა

ქვემორე ხელისმომწერნი, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,

მიიჩნევენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის ერთიანობის მიღწევა;

დარწმუნებულნი არიან, რომ საერთაშორისო ურთიერთდახმარების სისტემის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ორგანოების მიერ უცხოეთის კანონმდებლობაზე ინფორმაციის მიღებას, მიენიჭება დიდი მნიშვნელობა ამ მიზნის მიღწევის საქმეში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 – კონვენციის სპექტრი

1. წინამდებარე კონვენციის დებულებების შესაბამისად, ხელშემკვრელი მხარეები იღებენ პასუხისმგებლობას მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია სამოქალაქო და კომერციულ სფეროებზე არსებულ მათ კანონმდებლობასა და პროცედურებზე, ისევე როგორც მართლმსაჯულების ორგანიზაციებზე.

2. თუმცა, ორ ან მეტ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლიათ გააფართოონ მათ შორის ამ კონვენციის სპექტრი იმ სფეროებში თანამშრომლობით, რომლებიც არ არიან მითითებული წინა პუნქტში. ამდაგვარი შეთანხმების ტექსტი უნდა გადაეცეს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 2 – საკონტაქტო ეროვნული უწყებები

1. წინამდებარე კონვენციის დებულებათა შესასრულებლად თითოეული ხელშემკვრელი მხარე დანიშნავს ერთ უწყებას (შემდგომში "მიმღებ სააგენტოდ" ხსენებული):

ა) რათა მეორე ხელშემკვრელი მხარისაგან მიიღოს მოთხოვნა წინამდებარე კონვენციის პირველი მუხლის პირველ პუნქტში ნახსენები ინფორმაციის შესახებ;

ბ) რათა მეექვსე მუხლის შესაბამისად, მოახდინონ რეაგირება ამ მოთხოვნებზე.

მიმღები სააგენტო შეიძლება იყოს სამინისტრო ან სხვა სახელმწიფო უწყება.

2. თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია დანიშნოს ერთი ან რამოდენიმე უწყება (შემდგომში "მიმწოდებელ სააგენტოდ" წოდებული), რათა მიიღოს ინფორმაციაზე მოთხოვნა თავისი სასამართლო ორგანოებისაგან და გადაუგზავნოს იგი უცხოეთის კომპეტენტურ მიმღებ სააგენტოს.

მიმღების სააგენტო შეიძლება დაინიშნოს მიმწოდებელ სააგენტოდ.

3. თითოეული ხელშემკვრელი მხარე აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მიმღები სააგენტოსა და შესაბამისად მისი მიმწოდებელი სააგენტოს ან სააგენტოების დასახელებასა და მისამართს.

მუხლი 3 – ინფორმაციის მოთხოვნის უფლების მქონე ორგანოები

1. მოთხოვნა ინფორმაციაზე ყოველთვის უნდა გამომდინარეობდეს მართლმსაჯულების ორგანოებისაგან, იმ დროსაც როდესაც ის არ არის წამოჭრილი ამ ორგანოების მიერ. მოთხოვნა შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ იქ, სადაც პროცედურები არის ჩამოყალიბებული.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, თუ მას არ დაუდგენია ან არ შეუქმნია მიმწოდებელი სააგენტო, შეუძლია, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით აღნიშნოს თუ რომელ ორგანოებს მიიჩნევს იგი მართლმსაჯულების ორგანოებად წინა პუნქტის დებულებებთან მიმართებაში;

3. ორ ან მეტ ხელშემკერელ მხარეს შეუძლია ცააფართოვოს მათ შორის ეს კონვენცია მოთხოვნის მიღების თვალსაზრისით ნებისმიერი ორგანოსაგან მართლმსაჯულების ორგანოების გარდა. ამ შეთანხმების ტექსტი გადაეცემა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 4 – ინფორმაციაზე მოთხოვნის შემადგენლობა

1. ინფორმაციაზე მოთხოვნაში უნდა იყოს მითითებული როგორც ის მართლმსაჯულების ორგანო, რომლისგანაც იგი გამომდინარეობს, ასევე საქმის შინაარსი. იგი შეძლებისდაგვარად მუსტად განსაზღვრავს იმ საკითხებს, რომელთა დაკავშირებითაც ესაჭიროება ინფორმაცია მოპასუხე სახელმწიფოს კანონმდებლობის თაობაზე და იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სახელმწიფოში არსებობს ერთზე მეტი საკანონმდებლო სისტემა, განსაზღვრავს საკანონმდებლო სისტემას, რომელზეც ესაჭიროება ინფორმაცია.

2. მოთხოვნაში ასევე უნდა იყოს მითითებული ფაქტები, რომლებიც აუცილებელია, როგორც მისი სწორად გაგებისათვის ასევე, მუსტი და დაწერილებითი პასუხისათვის. სადაც საჭიროა, მოთხოვნის სპექტრის განსაზღვრისათვის შეიძლება იყოს თანდართული დოკუმენტების ასლები.

3. როდესაც ეს დაკავშირებულია ძირითად კითხვებთან, შეიძლება მოთხოვნაში მოყვანილ იყოს ის კითხვები, რომლებიც არ არიან მითითებული პირველი მუხლის პირველ პუნქტში.

4. როდესაც მოთხოვნა არ არის წამოჭრილი მართლმსაჯულების ორგანოების მიერ, მას თან უნდა ერთვოდეს ასეთი ორგანოების ნებართვა.

მუხლი 5 – ინფორმაციაზე მოთხოვნის გადაგზავნა

ინფორმაციაზე მოთხოვნა, მიმღებ სააგენტოს უშუალოდ უნდა

გადაეგზავნოს მომთხოვნი მხარის მიმწოდებელი სააგენტოს, ან ამ უკანასკნელის არყოფნის შემთხვევაში, იმ მართლმსაჯულების ორგანოს მიერ, რომლისგანაც გამომდინარეობს მოთხოვნა.

მუხლი 6 – პასუხის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოები

1. მიმღებ სააგენტოს, რომელმაც მიიღო ინფორმაციაზე მოთხოვნა შეუძლია თვითონ გასცეს პასუხი ან ამ მიზნით გადაუგზავნოს მოთხოვნა სხვა სახელმწიფო ან ოფიციალურ ორგანოს.

2. მიმღებ სააგენტოს, შესაბამის შემთხვევაში ან ადმინისტრაციული ორგანიზაციის თვალსაზრისით, შეუძლია პასუხის გასაცემად გადაუგზავნოს ინფორმაციაზე მოთხოვნა კერძო პირს ან კვალიფიცირებულ იურისტს.

3. როდესაც წინა პუნქტის გამოყენება დაკავშირებულია ხარჯებთან, მიმღები სააგენტო, წინა პუნქტით გათვალისწინებულ გადაცემამდე მიუთითებს მოთხოვნის წამომწყრელ ორგანოს იმ კერძო პირზე ან იურისტზე, რომელსაც მოთხოვნა უნდა გადაეგზავნოს საპასუხოდ და ასევე აცნობებენ მოსალოდნელი ხარჯების შეძლებისდაგვარად დაახლოებული ოდენობას და მოითხოვოს ამ ორგანოს თანხმობას ამ პროცედურის განსორციელებაზე.

მუხლი 7 – პასუხის შემადგენლობა

პასუხის მიზანია ინფორმაციის მომთხოვი მართლმსაჯულების ორგანოსათვის, ობიექტური და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება მოპასუხე სახელმწიფოს კანონმდებლობის შესახებ. პასუხი მოიცავს, შესაბამის სამართლებრივ ტექსტსა და შესაბამის სასამართლო გადაწყვეტილებებს. მას თან უნდა ერთვოდეს მოპასუხე ორგანოს თვალსაზრისით, ინფორმაციის სწორი გაგებისათვის აუცილებელი დამატებითი საბუთები, როგორიცაა ამონაწერები სამეცნიერო ნაშრომებიდან და "შესამზადებელი სამუშაოებიდან". მას შესაძლებელია თან დაერთოს განმარტებითი კომენტარები.

მუხლი 8 – პასუხის მოქმედება

ინფორმაციაზე მოთხოვნის წამომწყრელი მართლმსაჯულების ორგანოებისათვის პასუხად მიღებულ ინფორმაციას არ ექნება სავალდებულო ხასიათი.

მუხლი 9 – პასუხის გადაცემა

მიმწოდებელი სააგენტო პასუხს უგზავნის მიმღებ სააგენტოს თუ მოთხოვნა მიღებულ იქნა ამ უკანასკნელისაგან ან მართლმსაჯულების ორგანოს თუ მოთხოვნა მიღებულ იქნა უშუალოდ მისგან.

მუხლი 10 – ვალდებულება პასუხის გაცემაზე

1. მიმღები სააგენტო, რომლის მისამართითაც ინფორმაციაზე მოთხოვნა იქნა გაგზავნილი, მე-11 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, მიიღებს მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ზომებს.

2. როდესაც პასუხი არ არის გაცემული მიმღები სააგენტოს მიერ, ეს უკანასკნელი ვალდებულია, რომ პასუხი გაიგზავნოს მე-12 მუხლში გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად.

მუხლი 11 – პასუხის გაცემის ვალდებულების გამონაკლისი შემთხვევები

მოპასუხე სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას პასუხი გასცეს ინფორმაციაზე მოთხოვნას, თუ მოთხოვნით წამოყრილი საქმე ღასავს მის ინტერესებს ან მას მიაჩნია, რომ პასუხის გაცემას შეუძლია საყრთახე მიაყენოს მის სუვერენიტეტსა და უშიშროებას.

მუხლი 12 – ვადები პასუხის გასაცემად

ინფორმაციაზე მოთხოვნა უნდა იყოს დაკმაყოფილებული შეძლებისდაგვარად მოკლე დროში. თუმცა, როდესაც პასუხის მომზადება საჭიროებს ხანგრძლივ ვადას, მიმღები სააგენტო აცნობებს ამის შესახებ უცხოეთის ხელისუფლებას და თუ ეს შესაძლებელია მიუთითებს დაახლოებით დროს, როდესაც პასუხი იქნება გადაგზავნილი.

მუხლი 13 – დამატებითი ინფორმაცია

1. მიმღებ სააგენტოს, ისევე როგორც ორგანოს ან პირს, რომელსაც დაევალა პასუხის გაცემა მე-6 მუხლის შესაბამისად, შეუძლია მოითხოვოს ინფორმაციაზე მოთხოვნის წამომწყრელ ხელისუფლებას ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც ის მიიჩნევს საჭიროდ პასუხის გაცემისათვის.

2. მოთხოვნა დამატებითი ინფორმაციის თაობაზე, მიმღები სააგენტოს მიერ გადაიგზავნება იმავე საშუალებით, რომელიც გათვალისწინებულია მე-9 მუხლით პასუხის გაცემაზე.

მუხლი 14 – ენები

1. ინფორმაციაზე მოთხოვნა და მისი დამატებანი უნდა იყოს შეღწენილი მოპასუხე სახელმწიფოს ენაზე ან მის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე ან თან უნდა ერთვოდეს თარგმანი, რომელიმე ამ ენათაგანზე. პასუხი გაიცემა მოპასუხე სახელმწიფოს ენაზე.

2. თუმცა, ორ ან მეტ ხელშემკერელ მხარეს შეუძლია ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭოს წინა პუნქტების დებულებებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 15 – ღირებულება

1. პასუხის გაცემა არ გამოიწვევს ნებისმიერი ხარჯების ან საფასურის გადახდას, გარდა მე-6 მუხლის მესამე პუნქტში მითითებულებისა, რომლებიც დაიფარება მოთხოვნის წამომწყრელი სახელმწიფოს მიერ.

2. თუმცა, ორ ან მეტ ხელშემკვრელ ხარეს შეუძლია წინა პუნქტების დებულებებს ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭოს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 16 - ფედერალური სახელმწიფოები

ფედერალურ სახელმწიფოებში, კონსტიტუციით გათვალისწინებული ღებულებების საფუძველზე, შეიძლება მიმღები სააგენტოს ფუნქციები მიენიჭოს სხვა სახელმწიფო ორგანოს, გარდა მე-2 მუხლის 1 (a) პუნქტით განსაზღერულისა.

მუხლი 17 – კონვენციის ძალაში შესვლა

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. ის ექვემდებარება რატიფიკაციას ან მიღებას. რატიფიკაციისა ან მიღების შესახებ დოკუმენტები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა, რატიფიკაციის ან მიღების შესახებ მესამე დოკუმენტის დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ.

3. იმ ხელმომწერ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელმაც შემდგომ მოახდინა რატიფიცირება ან მისი მიღება, კონვენცია ძალაში შევა რატიფიკაციის ან მიღების შესახებ დოკუმენტის დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 18 – ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფოს მიერთება

1. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესელის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, კონვენციასთან მისაერთებლად შეუძლია მოიწვიოს ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფო.

2. მიერთება ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 19 – კონვენციის ტერიტორიალური ფარგლები

1. ნებისმიერ ხელშემკერელ მხარეს, ხელმომწერის, რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირების დროს, შეუძლია განსაზღეროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზედაც გავრცელდება წინამდებარე კონვენცია.

2. ნებისმიერ ხელშემკერელ მხარეს, ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირების დროს ან მოგვიანებით, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი განცხადებით შეუძლია გააფართოვოს კონვენციის მოქმედება განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი ან რომელთა სახელითაც არის უფლებამოსილი ვალდებულებების აღებაზე.

3. წინამდებარე პუნქტის შესასრულებლად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, მასში მითითებული ნებისმიერ ტერიტორიასთან მიმართებაში, შეიძლება იქნას მოხსნილი წინამდებარე კონვენციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 20 – კონვენციის მოქმედების ვადა და დენონსაცია

1. კონვენცია ძალაში რჩება განუსაზღვრელი ვადით

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, თუ მას ასე მიაჩნია, შეუძლია კონვენციის დენონსირება, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით.

3. ამგვარი დენონსაცია ძალაში შევა, გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღების დღიდან 6 თვის შემდეგ.

მუხლი 21 – ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრებსა და მის არაწევრ სახელმწიფოს, რომლებიც მიუერთდნენ წინამდებარე კონვენციას:

ა) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;

ბ) რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების შესახებ ნებისმიერი დოკუმენტის დეპონირების შესახებ;

გ) მე-17 მუხლის შესაბამისად, კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;

დ) პირველი მუხლის მეორე პუნქტის; მეორე მუხლის მესამე პუნქტის; მესამე მუხლის მეორე პუნქტისა და მეცხრამეტე მუხლის მეორე და მესამე პუნქტის დებულებების შესაბამისად ნებისმიერი განცხადების მიღების თაობაზე;

ე) მეოცე მუხლის დებულებების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების მიღების თაობაზე და დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ.

რის დასტურადაც ჩვენ, შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილებმა ხელი მოვაწერეთ წინამდებარე კონვენციას.

შესრულებულია ქ. ლონდონში 1968 წლის 7 ივნისს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რომელთაგან ორივეს თანაბარი ძალა გააჩნია და რომელთა თითო ასლი ინახება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადაუგზავნის დამოწმებულ ასლებს თითოეულ ხელმომწერ და მიერთებულ სახელმწიფოს.

(საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 2 მარტის N 1819 დადგენილებით)

უცხოეთის კანონმდებლობაზე ინფორმაციის შესახებ ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი

(მიღებულია 1978 წლის 15 მარტს)

ქვემორე ხელისმომწერნი, ევროპის საბჭოს წევრი-სახელმწიფოები ითვალისწინებენ რა უცხოეთის კანონმდებლობის ინფორმაციის შესახებ ევროპული კონვენციის (შემდგომში კონვენციად წოდებული) დებულებებს, რომელიც ღიაა ხელმოსაწერად 1968 წლის 7 ივნისს ქ. ლონდონში;

მიიჩნევენ რა სასურველად, კონვენციით დადგენილი საერთაშორისო ურთიერთდახმარების სისტემის სათანადო გავრცელებას სისხლის სამართლის სფეროსა და პროცედურებში, მრავალმხრივი მუშაობის სფეროში, რომელიც ღიაა კონვენციის ყველა ხელშემკერელი მხარისათვის;

დარწმუნებულნი არიან რა, რომ აუცილებელია ეკონომიკური ხასიათის დაბრკოლების აღმოფხერა, რომელიც ხელს უშლის ეკონომიურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ პირებს გამოიყენონ თავიანთი უფლებები წევრ-ქვეყნებში, ასევე სასურველია კონვენციით დაარსებული სისტემის გაერცელება სამართლებრიეი დახმარებისა და სამოქალაქო და კომერციულ სფეროებში;

აღნიშნავენ რა, რომ კონვენციის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ორ ან მეტ ხელშემკერელ მხარეს შეუძლია შეთანხმდეს გააფართოონ კონვენციის გამოყენება კონვენციით გათვალისწინებული საკითხების გარდა იმ საკითხებზე, რომლებიც მათ შეეხებათ;

აღნიშნავენ რა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ორ ან მეტ ხელშემკერელ მხარეს შეუძლია შეთანხმდეს გამოიყენოს კონვენცია, როგორც სასამართლო ასევე სხვა ხელისუფლების მიერ წამოჭრილი მოთხოვნებთან მიმართებაში;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I

მუხლი 1

კონვენციის დებულებების შესაბამისად, ხელშემკერელი მხარეები იღებენ ვალდებულებას მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია მათ მატერიალურ და პროცესუალურ კანონმდებლობაზე, სისხლის სამართლებრიე სფეროში სასამართლოს ორგანიზაციაზე, მათ შორის საბრალდებო ორგანოებზე, ასევე როგორც სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე. ეს ვალდებულებები დაკავშირებულია ყველა იმ დანაშაულის საბრალდებო პროცედურებთან, რომლებიც ინფორმაციის მოთხოვნის დროს შედის მომთხოვნი მხარის მართლმსაჯულების ორგანოების იურისდიქციაში.

მუხლი 2

1-ლ მუხლში გათვალისწინებულ საკითხებზე ინფორმაციის მოთხოვნა შეიძლება:

ა) გამომდინარეობდეს არა მხოლოდ სასამართლოდან, არამედ მართლმსაჯულების იმ ორგანოდან, რომელსაც გააჩნია იურისდიქცია დანაშაულზე ბრალდების განხორციელებისა ან იმ სასჯელთა აღსრულებისა, რომლებიც გამოტანილია და აქეს საბოლოო და საეალდებულო ძალა; და

ბ) შესრულდეს არა მხოლოდ სასამართლოში აღძრულ საქმეებთან მიმართებაში, არამედ მაშინაც, როდესაც განზრახულია საქმის აღძერა.

თავი II

მუხლი 3

კონვენციის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში, ხელშემკერელი მხარეები შეთანხმდნენ, რომ ინფორმაციის მოთხოვნა შეიძლება:

ა) გამომდინარეობდეს არა მარტო მართლმსაჯულების ორგანოსაგან, არამედ სამართლებრივი დახმარების ან რჩევის ოფიციალური სისტემაში მყოფი იმ ნებისმიერი ორგანოს ან პირისაგან, რომლებიც გამოდიან ეკონომიურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ პირთა სახელით; და

ბ) შესრულდეს არა მხოლოდ სასამართლოში აღძრულ საქმეებთან მიმართებაში, არამედ მაშინაც, როდესაც განზრახულია საქმის აღძერა.

მუხლი 4

1. თითოეული ხელშემკერელი მხარე, რომელსაც კონვენციას მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად არ შეუქმნია ან არ დაუნიშნაეს ერთი ან მეტი ორგანო, რომელსაც დაკისრებული აქეს მიმწოდებელი საგენტოს ფუნქციები, უნდა შექმნას ან დანიშნოს ასეთი საგენტო ან საგენტოები წინამდებარე ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად, უცხოეთის კომპეტენტური მიმღები საგენტოს მისამართით ინფორმაციაზე ნებისმიერი მოთხოვნის გადაგზავნის მიზნით.

2. თითოეული ხელშემკერელი მხარე აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს წინა პუნქტის შესაბამისად შექმნილი ან დანიშნული მიმწოდებელი საგენტოს ან საგენტოების დასახელებასა და მისამართს.

თავი III

მუხლი 5

1. ნებისმიერი სახელმწიფოს ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების, მოწონების ან მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ მისთვის საეალდებულოა წინამდებარე ოქმის მხოლოდ 1-ლი ან მე-2 თავი.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც გააკეთებს ასეთ განცხადებას, შემდგომში ნებისმიერ დროს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეტყობინებით შეუძლია განაცხადოს, რომ მისთვის სავალდებულო იქნება ერთდროულად პირველი და მეორე თავების დებულებები. ამდაგვარი შეტყობინება ძალაში შევა მისი მიღების დღიდან.

3. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, რომლისთვისაც სავალდებულოა, როგორც პირველი, ასევე მეორე თავის დებულებები, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახეზე გაკეთებული შეტყობინების გზით ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს, რომ მისთვის სავალდებულო იქნება მხოლოდ პირველი ან მეორე თავის დებულებები. ამგვარი შეტყობინება ძალაში შევა მიღების დღიდან ექვსი თვის შემდეგ.

4. საკითხის წამოჭრის შემთხვევაში, პირველი ან მეორე თავის დებულებები გამოიყენება მხოლოდ იმ სელშემკერელ მხარეებს შორის, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს მათთვის ამ დებულებათა მოქმედებაზე.

მუხლი 6

1. წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად კონვენციის ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც შეიძლება გახდნენ მისი მონაწილენი:

ა) რატიფიკაციის, მიღების ან მოწონების გათვალისწინებით, დათქმების გარეშე გაკეთებული ხელმოწერით;

ბ) რატიფიკაციის, მიღების ან მოწონების შემდეგ, რატიფიკაციის, მიღების ან მოწონების გათვალისწინებით, დათქმით გაკეთებული ხელმოწერით.

2. რატიფიკაციის, მიღების ან მოწონების შესახებ დოკუმენტები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

3. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს შეუძლია რატიფიკაციის, მიღების ან მოწონების გათვალისწინებით, დათქმის გარეშე არ მოაწეროს ხელი წინამდებარე ოქმს, არ მოახდინოს მისი რატიფიცირება, მიღება ან მოწონება, თუ მას იმავდროულად ან იქამდე რატიფიცირებული ან მიღებული აქვს კონვენცია.

მუხლი 7

1. წინამდებარე ოქმი ძალაში შევა იმ თარიღიდან სამი თვის ის შემდეგ, როდესაც მეექვსე მუხლის დებულებების შესაბამისად ევროპის საბჭოს სამი წევრი სახელმწიფო გახდება მისი მონაწილე.

2. იმ წევრ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც დათქმის გარეშე მოაწერს ხელს ოქმს რატიფიკაციის, მიღების ან მოწონების გათვალისწინებით ან რომელიც მოახდენს ოქმის რატიფიკაციას, ოქმი ძალაში შევა ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების ან მოწონების დოკუმენტის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 8

1. წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც მიუერთდა ან რომელსაც შესთავაზებს კონვენციასთან მიერთება, შესაძლებელია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიწვეულ იქნას წინამდებარე კონვენციასთან მისაერთებლად.

2. ამდაგვარი მიერთება განხორციელდება მიერთების შესახებ დოკუმენტის ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან დეპონირების გზით და ძალაში შევა ამ თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 9

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების, მოწონების ან მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირების დროს შეუძლია მიუთითოს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გავრცელდება ამ ოქმის მოქმედება.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების, მოწონების ან მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირების დროს ან შემდგომში, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეტყობინებით შეუძლია გააფართოვოს წინამდებარე ოქმის მოქმედების ფარგლები განცხადებაში აღნიშნულ და იმ ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი ან ვისი სახელითაც მას შეუძლია გარკვეული ვალდებულებების დაკისრება.

3. ამ პარაგრაფის შესრულების მიზნით გაკეთებული ნებისმიერი განცხადება შესაძლებელია გაუქმებულ იქნას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით. ამდაგვარი გაუქმება ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 10

1. ნებისმიერ ხელმომკვრელ მხარეს, თუ მას ასე მიაჩნია, შეუძლია წინამდებარე ოქმის დენონსაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეტყობინებით.

2. დენონსაცია ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ.

3. კონვენციის დენონსაცია ავტომატურად იწვევს ამ ოქმის დენონსაციას.

მუხლი 11

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს წევრ სახელმწიფოებს და იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მიუერთდნენ კონვენციას:

ა) რაგიფიკაციის, მიღების ან მოწონების გათვალისწინებით დათქმის გარეშე გაკეთებული ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;

ბ) რატიფიკაციის, მიღების ან მოწონების გათვალისწინებით დათქმით გაკეთებული ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;

გ) რატიფიკაციის, მიღების, მოწონების ან მიერთების შესახებ დოკუმენტის ნებისმიერი დეპონირების თაობაზე;

დ) მეშვიდე მუხლის შესაბამისად, ამ ოქმის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;

ე) მეოთხე მუხლის დებულებათა შესასრულებლად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების შესახებ;

ვ) მეხუთე მუხლის დებულებათა შესასრულებლად მიღებული ნებისმიერი განცხადებისა და შეტყობინების შესახებ;

ზ) მეცხრე მუხლის დებულებათა შესასრულებლად მიღებული ნებისმიერი განცხადებისა და ამდაგვარი განცხადებების გაუქმების შესახებ;

თ) მეათე მუხლის დებულებათა შესასრულებლად მიღებული ნებისმიერ შეტყობინებისა და დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ

რის დასტურადაც ჩვენ, შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილებმა ხელი მოვაწერეთ წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია ქ. სტრასბურგში, 1978 წლის 15 მარტს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რომელთაგან ორივეს თანაბარი ძალა გააჩნია და რომელთა თითო ასლი ინახება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადაუგზავნის დამოწმებულ ასლებს თითოეულ ხელმომწერ და შეერთებულ სახელმწიფოს.

(საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 16 მაისის N 310 დადგენილებით)

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო სატელიტურ ორგანიზაცია "ინტელსატ"-თან დაკავშირებული

მუხლი 13

(საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო კავშირი)

"ინტელსატ"-ის კოსმოსური სეგმენტის და სხვა მიწისპირა საფეხურების დიზაინის, განვითარების, მშენებლობისა და დამონტაჟების პროცესში, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი შესაბამისი წესების დაცვასთან ერთად, "ინტელსატ"-მა სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს და მხედველობაში უნდა მიიღოს საერთაშორისო სატელეკრაფო და სატელეფონო სისტემების საკონსულტაციო კომიტეტის, საერთაშორისო რადიო-კომუნიკაციის საკონსულტაციო კომიტეტისა და რადიო-სიხშირის რეგისტრაციის საერთაშორისო საბჭოს რეკომენდაციებსა და წესებს.

მუხლი 17

(გამოგონებები და ტექნიკური ინფორმაცია)

(ა) "ინტელსატ"-ი, მის მიერ ან მისი სახელით ჩატარებულ სამუშაოებთან დაკავშირებით, გამოგონებებთან და ტექნიკურ ინფორმაციასთან დაკავშირებით იღებს მხოლოდ იმ უფლებებს (და სხვა არაუფრს, გარდა ამ უფლებებისა), რომლებიც "ინტელსატ"-ისა და სხვა ხელმოწერების საერთო ინტერესებში შეიღის. კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოს შემთხვევაში, ნებისმიერი ასეთი უფლება არაექსკლუზიური ხასიათისა იქნება.

(ბ) ამ მუხლის (ა) პუნქტის შესრულების მიზნით, მხედველობაში იღებს რა თავის მიზნებსა და პრინციპებს, ასევე შეთანხმებისა და ექსპლუატაციის შესახებ ხელშეკრულების თანახმად მხარეებისა და ხელმოწერების უფლება-ვალდებულებებს და ზოგად-სამრეწველო პრაქტიკას, რაც დაკავშირებულია მის მიერ ან მისი სახელით ჩატარებული მნიშვნელოვან შესწავლასთან, გამოკვლევასთან ან განვითარებასთან, "ინტელსატ"-ი იტოვებს უფლებას

(i) გადასახადის გარეშე მიიღოს ინფორმაცია ყველა იმ გამოგონებასთან და ტექნიკური ინფორმაციასთან დაკავშირებით, რაც მოპოვებულია მის მიერ ან მისი სახელით ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე;

(ii) გაუმეღავნოს ხელმომწერებს ან რომელიმე მხარის იურისდიქციაში მყოფ პირებს, ასევე გამოიყენოს და უფლება მისცეს ხელმომწერებს და სხვა პირებს გადასახადის გარეშე გამოიყენონ ეს გამოგონებები და ტექნიკური ინფორმაცია

(ა) რომელიც დაკავშირებულია "ინტელსატ"-ის კოსმოსურ სეგმენტთან და მასზე მომუშავე მიწისპირა საფეხურთან; და

(ბ) ნებისმიერი სხვა მიზნისათვის, რომელიც ეწყარება პატოსანს და კეთილსინდისიერ ურთიერთობებს იმ ხელმომწერებს და მხარეთა

იურისდიქციის ქვეშ მყოფ პირებს შორის, ასევე, ასეთი გამოყონებებისა და ტექნიკური ინფორმაციის მფლობელს/ავტორს ან სათანადოდ უფლებამოსილი ორგანიზაციას ან პირს შორის, რომლებსაც ქონებრივი ინტერესი გააჩნიათ ამ გამოყონებებსა და ტექნიკურ ინფორმაციაში

ე) კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების შემთხვევაში, ამ მუხლის (ბ) პუნქტის შესრულება დაექვემდებარება გამოყონებებსა და ტექნიკურ ინფორმაციაზე უფლებების მფლობელობას იმ კონტრაქტორების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ ასეთი გამოყონებების ავტორებს ან რომლებმაც მოიპოვეს ხსენებული ტექნიკური ინფორმაცია.

დ) "ინტელსაგ"-ი ასევე იტოვებს უფლებას, კეთილგონიერული პირობებსა და მოთხოვნების საფუძველზე, გაუმჟღავნოს ხელმომწერებს ან რომელიმე მხარის იურისდიქციაში მყოფ პირებს, ასევე გამოიყენოს და უფლება მისცეს ხელმომწერებს და სხვა პირებს გამოიყენონ ის გამოყონებები და ტექნიკური ინფორმაცია, რომლებიც უშუალოდ გამოიყენებოდა მისი სასელით ჩაგარებულ სამუშაოებში, მაგრამ არ არის მითითებული ამ მუხლის (ბ) პუნქტში იმის გათვალისწინებით, რომ ის პიროვნება, რომელმაც ეს სამუშაო ჩააგარა, უფლებამოსილია გასცეს ასეთი უფლება, იმ შეთმხვევაში, თუ ასეთი გამჟღავნება და გამოყენება აუცილებელია ამ მუხლის (ბ) პუნქტით მოპოვებული უფლებების ეფექტური გამოყენების მიზნით.

(ე) ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ამას განსაკუთრებული გარემოება მოითხოვს, მმართველთა საბჭოს შეუძლია დაამტკიცოს ამ მუხლის (ბ) (ii) ქვეპუნქტით და (დ) პუნქტით გათვალისწინებული პოლიტიკიდან გადახრა, თუკი მოლაპარაკებების მსვლელობისას დირექტორთა საბჭოსათვის ნათელი გახდება ის გარემოება, რომ იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება ხსენებული პოლიტიკიდან გადახვევა, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს "ინტელსაგი"-ის ინტერესებზე და რომ [(ბ) (ii) ქვეპუნქტის შემთხვევაში] ხსენებული პოლიტიკით გათვალისწინებული პირობების დაცვა შეუთავსებადი იქნება საეარაუდო კონტრაქტორის მიერ მესამე მხარესთან ადრე გაფორმებული კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან.

(ვ) ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ამას განსაკუთრებული გარემოება მოითხოვს, მმართველთა საბჭოს ასევე შეუძლია დაამტკიცოს ამ მუხლის (გ) პუნქტით გათვალისწინებული პოლიტიკიდან გადახრა, იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

(i) თუკი მმართველთა საბჭოსათვის ნათელი იქნება, რომ პოლიტიკიდან არ გადახვევა უარყოფით შეგავლენას მოახდენს "ინტელსაგი"-ის ინტერესებზე;

(ii) თუკი მმართველთა საბჭო გადაწყვეტს, რომ ინტელსაგს უნდა შეეძლოს პატენტის დაცვა ნებისმიერ ქვეყანაში (რისთვისაც საჭიროა ხსენებული პოლიტიკიდან გადახვევა); და

(iii) იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი დროულად ვერ შეძლებს ან არ ექნება სურვილი უზრუნველყოს პატენტის ასეთი დაცვა.

8) ამ მუხლის (ე) და (ვ) პუნქტებით გათვალისწინებული პოლიტიკიდან გადახრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს "ინტელსაგ"-ისა და ხელმომწერთა ინტერესები და ის ფინანსური სარგებელი, რასაც მემოთ აღნიშნული "ინტელსაგ"-ს მოუტანს.

(თ) გამოგონებებთან და ტექნიკურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელზეც განსაზღვრულია უფლებები დროებითი ხელშეკრულებისა და სპეციალური ხელშეკრულებების მიხედვით ან რომელზეც, გარდა ამ მუხლის (ბ) პუნქტის მიხედვით განსაზღვრული უფლებებისა, განისაზღვრება სხვა უფლებები შეთანხმებისა და ექსპლუატაციის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, თავისი უფლებების ფარგლებში "ინტელსაგ"-მა მოთხოვნის საფუძველზე უნდა

(i) გაუმჟღავნოს მემოთ ხსენებული გამოგონებები და ტექნიკური ინფორმაცია ნებისმიერ ხელმომწერს, რაც ექვემდებარება გამჟღავნების უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით "ინტელსაგ"-ის მიერ განხორციელებული ან მოთხოვნილი გადასახადის ანაზღაურებას.

(ii) მისცეს უფლება ხელმომწერებს გადასახადის გარეშე გაუმჟღავნონ გამოგონებები და ტექნიკური ინფორმაცია მხარეთა იურისდიქციაში მყოფ პირებს, ასევე, გამოიყენონ ასეთი გამოგონება და ტექნიკური ინფორმაცია ან მათი გამოყენების უფლება მისცენ თავიანთ უფლებამოსილ პირებს:

(A) "ინტელსაგ"-ის კოსმოსური სეგმენტის და მასზე მომუშაეე მიწისზედა სადგურთან დაკავშირებით

(B) ნებისმიერი სხვა მიზნისათვის, რომელიც ემყარება პატიოსან და კეთილგონივრული ურთიერთობებს იმ ხელმოწერებისა და მხარეთა იურისდიქციის ქვეშ მყოფ პირებს შორის, ასევე, ასეთი გამოგონებებისა და ტექნიკური ინფორმაციის მფლობელ/აეტორს ან სათანადოდ უფლებამოსილი ორგანიზაციას ან პირს შორის, რომლებსაც ქონებრივი ინტერესი გააჩნიათ ამ გამოგონებებსა და ტექნიკურ ინფორმაციაში, რაც ექვემდებარება გამჟღავნების უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით "ინტელსაგ"-ის მიერ განხორციელებული ან მოთხოვნილი გადასახადის ანაზღაურებას.

(ი) იმ შემთხვევაში, თუ "ინტელსაგ"-ი მიიღებს უფლებას ამ მუხლი (ბ) (i) ქვეპუნქტის თანახმად მიიღოს ინფორმაცია გამოგონებებთან და ტექნიკური ინფორმაციასთან დაკავშირებით, მოთხოვნის შემთხვევაში თითოეულ ხელმომწერს უნდა აცნობოს ასეთი ინფორმაციის არსებობისა და გამოგონებებისა და ტექნიკური ინფორმაციის ზოგადი არსის შესახებ.

ამ შემთხვევაში თუ "ინტელსატ"-ი მიიღებს უფლებას ამ მუხლის დებულების თანახმად ხელმისაწვდომი გახადოს გამოყონებები და ტექნიკური ინფორმაცია სელმომწერითათვის და მსარეთა იურისდიქციაში მყოფი პირებისათვის, მან მოთხოვნის შემთხვევაში ასეთი უფლებები ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ნებისმიერ სელმომწერისათვის ან მის მიერ დასახელებული პირისათვის.

ბ) ყველა გამოყონებისა და ტექნიკური ინფორმაციის გამყღავნება და გამოყენება, მათ გამყღავნებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული მოთხოვნები და პირობები, იმოქმედებს არა-დისკრიმინაციული პირობებით ყველა ხელმოწერისა და დასახელებული პირისათვის.

(საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 27.10.2000 N 574 დადგენილებით)

კონვენცია
პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ

(მიღებულია 1981 წლის 28 იანვარს)

პრეამბულა

ქვემორე სელისმომწერი სახელმწიფოები, ევროპის საბჭოს წევრები,

მიიჩნევენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრებს შორის ერთიანობის მიღწევა, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია კანონის, ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა აღიარებაზე;

მიიჩნევენ სასურველად პიროვნების უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის გარანტიების გაერცელებას, განსაკუთრებით თითოეული ადამიანის უფლებას კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ;

ასევე ითვალისწინებენ რა ამა თუ იმ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადაცემული პერსონალური ინფორმაციის მზარდ ნაკადს, რომელიც ექვემდებარება ავტომატურ დამუშავებას;

ამაღე დროს, ადასტურებენ რა თავიანთ ვალდებულებებს უზრუნველყონ ინფორმაციის გაცელის თავისუფლება საზღვრებისაგან დამოუკიდებლად;

აღიარებენ რა კონფიდენციალობის დაცვის ძირითადი ასპექტების შეთანხმების აუცილებლობას ხალხთა შორის ინფორმაციის თავისუფალ გაცელასთან

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I - ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი და ამოცანები

წინამდებარე კონვენციის მიზანს წარმოადგენს თითოეული პიროვნების უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის უმრუნველყოფა ხელშეკრულების ყოველი მხარის ტერიტორიაზე, მათი ეროვნებისა თუ საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, კერძოდ კი კონფიდენციალობის დაცვის უფლების უმრუნველყოფა პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას, რომელიც მოცემულ პიროვნებას შეეხება ("მონაცემთა დაცვა").

მუხლი 2. განსაზღვრება

მოცემულ კონვენციაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები და განსაზღვრებები

ა. "პერსონალური მონაცემები" - აღნიშნავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც შეეხება განსაზღვრულ ან განსაზღვრელ პირს ("ინფორმაციის სუბიექტს");

ბ. "მონაცემთა ავტომატიზირებული ფაილი"- აღნიშნავს ინფორმაციის ნებისმიერ ნაკრებს, რომელიც ექვემდებარება ავტომატურ დამუშავებას;

ც. "ავტომატური დამუშავება"- აღნიშნავს შემდეგ ოპერაციებს, რომელიც სრულდება ინფორმაციის მთელ ნაკრებზე ან მის ნაწილზე ავტომატიზირებული დამუშავების საშუალებებით, კერძოდ:მონაცემთა შენახვა, ამ მონაცემებზე ლოგიკური/მათემატიკური ოპერაციების შესრულება, მათი შეცვლა, წაშლა, ინფორმაციული მოძიება და გავრცელება.

დ. "ფაილის ადმინისტრატორი"- აღნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, დაწესებულებას ან სხვა ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია გადაწყვიტოს, რა მიზნებისთვისაა გათვალისწინებული მოცემული ავტომატიზირებული ფაილი, პერსონალური მონაცემების რომელი

კატეგორიები ექვემდებარება შენახვას და რა ოპერაციების ჩატარება შეიძლება მათთან მიმართებით.

მუხლი 3. მოქმედების სფერო

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას იხელმძღვანელონ წინამდებარე კონვენციით პერსონალური მონაცემების ავტომატიზირებულ ფაილებთან მუშაობისა და პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას, რომელიც ხორციელდება კერძოდ და საზოგადოებრივ სექტორებში.

2. წინამდებარე კონვენციის ხელმოწერისას ან მისი რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან მასთან შეერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირებისას, ასევე ამის შემდგომ ნებისმიერ პერიოდში, ყოველი

სახელმწიფო უფლებამოსილია, ევროპის კავშირის გენერალური მდივნის სახელზე დეკლარაციის წარდგენის გზით, განაცხადოს შემდეგზე:

ა. იმის თაობაზე, რომ იგი არ გამოიყენებს მოცემულ კონვენციას პერსონალური მონაცემების აეტომატგიზირებული ფაილების გარკვეული კატეგორიის მიმართ, რომელთა სიაც დეპონირებული იქნება. თუმცა, ეს სია არ უნდა შეიცავდეს მონაცემთა აეტომატგიზირებული ფაილების იმ კატეგორიას, რომლებზეც ვრცელდება ადგილობრივი კანონი მონაცემთა დაცვის შესახებ. შემდგომში ყოველთვის, როცა მონაცემთა დაცვის შესახებ ადგილობრივი კანონების მოქმედების სფეროში მოხვდება პერსონალური მონაცემების აეტომატგიზირებული ფაილების დამატებითი კატეგორიები, სახელმწიფო, ასალი დეკლარაციის წარდგენის გზით, შესაბამის ცვლილებებს შეიტანს აღნიშნულ სიაში.

ბ. იმის თაობაზე, რომ იგი აღნიშნული კონვენციით იხელმძღვანელებს ასევე იმ ინფორმაციის დამუშავებისას, რომელიც მიეკუთვნება პირთა ჯგუფებს, ასოციაციებს, ორგანიზაციებს, კომპანიებს, კორპორაციებს ან სხვა ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც უშუალოდ ან არაპირდაპირი გზით შედგებიან ინდივიდუუმებისაგან, იმისდა მიუხედავად, წარმოადგენენ თუ არა მოცემული ორგანიზაციები იურიდიულ პირს.

ც. იმის თაობაზე, რომ იგი აღნიშნული კონვენციით იხელმძღვანელებს ასევე იმ პერსონალური მონაცემების ფაილებთან მიმართებით, რომლებიც არ ექვემდებარებიან აეტომატგიზირებულ დამუშავებას.

3. ყოველი სახელმწიფო, რომელმაც მე-2 პუნქტის "ბ" და "ც" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნებისმიერი დეკლარაციის წარდგენის გზით გააფართოება მოცემული კონვენციის მოქმედების სფერო, უფლებამოსილია თითოეულ დეკლარაციაში განაცხადოს იმის შესახებ, რომ მოქმედების სფერო ამგვარი გაფართოვება შეეხება პერსონალური ინფორმაციის ფაილთა მხოლოდ გარკვეულ კატეგორიებს, რომელთა სიებიც დეპონირებული იქნება.

4. ყოველ მხარეს, რომელიც ბემოაღნიშნული მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისთანასმად შესაბამისი დეკლარაციის წარდგენის გზით, წინამძღვარე კონვენციის მოქმედების სფეროდან გამორიცხავს პერსონალური მონაცემების აეტომატგიზირებული ფაილების გარკვეულ კატეგორიას, უფლება არა აქეს მოცემული კონვენცია გამოიყენოს იმ მხარის შესაბამისი კატეგორიის ფაილების მიმართ, რომელიც არ გამორიცხავს მათ.

5. ანალოგიურად, მხარეს, რომელმაც ბემოაღნიშნული მე-2 პუნქტის "ბ" და "ც" ქვეპუნქტების თანახმად, არ გააფართოვა მოცემული კონვენციის მოქმედების სფერო, უფლება არ აქვს მოითხოვოს მოცემული კონვენციის გამოყენება იმ მხარის პუნქტების მიმართ, რომელმაც განახორციელა ამგვარი გაფართოება.

6. ზემოაღნიშნული მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დეკლარაციები მათ წარმდგენ სახელმწიფოსთან მიმართებით მოქმედებს მოცემული კონვენციის ძალაში შესვლის მომენტიდან იმ შემთხვევაში, როცა მათი წარდგენა მოხდება რატიფიცირების, მიღების, მოწონების ან მასთან შეერთების შესახებ დოკუმენტების ხელმოწერის ან დეპონირებისას. იმ შემთხვევაში, თუ მათი წარდგენა მოხდა დაგვიანებით, მოქმედების ვადა იწყება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ მათი მიღებიდან სამი დღის შემდეგ. შესაძლებელია ამ დეკლარაციების უკან გამოთხოვა მთლიანად ან ნაწილობრივ, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი

შეტყობინების გზით. უკან გამოთხოვა ძალაში შედის შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან სამი თვის შემდეგ.

თავი II - მონაცემთა დაცვის ძირითადი პრინციპები

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

1. ყოველი მხარე იღებს ვალდებულებას განახორციელოს აუცილებელი ღონისძიებები შესაბამის კანონმდებლობაში იმ დებულებათა ჩართვისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ თავში წარმოდგენილი მონაცემების დაცვის ძირითადი პრინციპების რეალიზაციის შესაძლებლობებს.

2. აღნიშნული ღონისძიებები მიღებული უნდა იქნას არა უგვიანეს მოცემული კონვენციის ძალაში შესვლის დღისა ყოველი მხარისათვის.

მუხლი 5. მონაცემთა ხარისხი

პერსონალური მონაცემები, რომლებიც ექვემდებარებიან ავტომატიზირებულ დამუშავებას:

ა. მიღებული და დამუშავებული უნდა იყოს პირდაპირი და კანონიერი გზით;

ბ. შენახული უნდა იქნას მუსტად განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის და არ უნდა იყოს გამოყენებული მათთან შეუთავსებელი გზით;

ც. უნდა იყოს ადეკვატური და არ უნდა აღემატებოდეს იმ მიზნებს, რომლებისთვისაც ისინი ინახებიან;

დ. უნდა იყოს მუსტი და საჭიროებისამებრ განახლებადი;

ე. დაცული უნდა იყოს ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიკაციის საშუალებას მხოლოდ იმ დროში, რაც საჭიროა იმ მიზნებისათვის, რისთვისაც ინახება ეს მონაცემები.

მუხლი 6. მონაცემთა სპეციალური კატეგორიები

პერსონალური მონაცემები, რომლებიც შეეხება რასობრივ წარმომავლობას, პოლიტიკურ, რელიგიურ ან სხვა მრწამსს, ისევე როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობასა თუ სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები, არ ექვემდებარება ავტომატიზირებულ დამუშავებას გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადგილობრივი

კანონმდებლობა უზრუნველყოფს მათი დაცვის შესაბამის გარანტიებს. იგივე ეხება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ მონაცემებსაც.

მუხლი 7. მონაცემთა დაცვა

ავტომატიზირებულ ფაილებში შენახული მონაცემების დაცვის მიზნით, მიღებულ უნდა იქნას უსაფრთხოების შესაბამისი ზომები მათი შემთხვევითი დაკარგვის, ასევე მათთან არასანქცირებული შეღწევის, შეცელის ან გაერცელების წინააღმდეგ.

მუხლი 8. დამატებითი გარანტიები მონაცემთა სუბიექტებისათვის

ნებისმიერ პირს უნდა შეეძლოს:

ა. მონაცემთა ავტომატიზირებული ფაილის არსებობის ფაქტის დადგენა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფაილის, მისი ძირითადი მიზნების, ასევე მოცემული ფაილის აღმინისტრატორის პიროვნების, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ან ძირითადი სამუშაო ადგილის შესახებ;

ბ. საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული პერიოდულობითა და გადაჭარბებული დაგვიანებისა თუ დანასარჯების გარეშე, მონაცემთა ავტომატიზირებულ ფაილში მასთან დაკავშირებული

პერსონალური მონაცემების არსებობის ფაქტის დადასტურება, ასევე მისთვის მონაცემთა მიწოდება მისაღები ფორმით;

ც. საჭიროების შემთხვევაში, შეეძლოს მოითხოვოს ამ მონაცემთა გასწორება ან წაშლა თუ მათი დამუშავება მოხდა ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის გმით, და რომელიც ეთანადება აღნიშნული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებში გადმოცემული ძირითადი პრინციპებს;

დ. თაეისი უფლებების რეალიზაციის მიზნით, მიიღოს ზომები საკუთარ განაცხადზე პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში, რომელიც ავტომატიზირებულ ფაილში პერსონალური მონაცემების არსებობის ფაქტის დადასტურებას შეეხება, თუ მონაცემთა მიწოდება, შეცელა ან წაშლა განხორციელდა მოცემული მუხლის "ბ" და "ც" პუნქტების მოთხოვნათა დარღვევით.

მუხლი 9. გამონაკლისები და შეზრუდვები

1. დაუშვებელია ყოველგვარი გამონაკლისი წინამდებარე კონვენციის მე-5, მე-6 და მე-8 მუხლებიდან, გარდა მოცემულ მუხლში განსაზღვრული ფარგლებისა.

2. ამ კონვენციის მე-5, მე-6 და მე-8 მუხლებიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარ გადახვევას ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარის კანონმდებლობა და წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელ ღონისძიებას, რომელიც მიიღება:

ა. სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფოს მონეტარული ინტერესების ან სისხლის სამართლებრივ დანაშაულობებთან ბრძოლის ინტერესების დაცვის მიზნით;

ბ. ინფორმაციის ობიექტებისა და სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით.

3. მე-8 მუხლის "ბ", "ც" და "დ" პუნქტებში განსაზღვრული უფლებების განხორციელებაში არსებული შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ კანონმდებლობაში, რომელიც შეეხება სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის გამოყენებულ პერსონალური ინფორმაციის აგტომატიზირებულ ფაილებს იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა ინფორმაციის სუბიექტების კონფიდენციალობის დარღვევის რისკის არსებობა.

მუხლი 10. სანქციები და გარანტიები

ყოველი მხარე იღებს ვალდებულებას დააწესოს შესაბამისი სანქციები და გარანტიები ამ თავის დებულებების დარღვევის თაობაზე აცილების მიზნით, რომელიც შეეხება ამ თავში მოცემული მონაცემების დაცვის ძირითად პრინციპებს.

მუხლი 11. გაფართოებული დაცვა

მოცემული თავის არცერთი დებულება არ შეიძლება ინტერპრეტირებული იქნას, როგორც შემზღუდველი ან სხვაგვარად ხელის შემშლელი რომელიმე მხარის მიერ დაცვის უფრო ფართო ღონისძიებების მიღებისათვის, ვიდრე ამას ითვალისწინებს ეს კონვენცია.

თავი III - მონაცემთა ნაკადების გადაცემა საზღვარზე

მუხლი 12. პერსონალური მონაცემების ნაკადების გადაცემა საზღვარზე და ადგილობრივი კანონმდებლობა

1. ქვემოთჩამოთვლილი დებულებები გამოყენებულ უნდა იქნას სახელმწიფო საზღვარზე პერსონალური მონაცემების ნებისმიერი სამუალებით გადაცემის მიმართ, რომლებიც ექვემდებარებიან აგტომატურ დამუშავებას ან მომზადებული არიან ამ მიზნისათვის.

2. მხარეს, კონფიდენციალობის დაცვის მოტივით, უფლება არ აქვს ხელი შეუშალოს პერსონალური მონაცემების გადაცემას სხვა მხარის ტერიგორიაზე ან მოითხოვოს ამისათვის სპეციალური ნებართვა.

3. მიუხედავად ამისა, თითოეული მხარე უფლებამოსილია არ დაეთანხმოს მე-2 პუნქტის დებულებას შემდეგ შემთხვევებში:

ა. თუ მისი კანონმდებლობა შეიცავს განსაკუთრებულ დებულებებს პერსონალური მონაცემების ავგომატიზირებული ფაილების განსაზღვრული კატეგორიებისათვის, რაც განპირობებულია ამ მონაცემების ან ფაილების ხასიათით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სხვა მხარის კანონმდებლობა ითვალისწინებს ექვივალენტურ დაცვას;

ბ. როცა გადაცემა ხორციელდება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული შუამავლის მეშვეობით მისი ტერიტორიიდან იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების მონაწილეს; ასევე ისეთი გადაცემის თავიდან აცილების მიზნით, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ამ პუნქტის დასაწყისში მითითებული მხარის კანონმდებლობის გვერდის აცილით.

თავი IV. ურთიერთდახმარება

მუხლი 13. მხარეთა თანამშრომლობა

1. წინამდებარე კონვენციის დანერგვის მიზნით, მხარეები თანხმობას აცხადებენ ურთიერთდახმარებაზე.

2. ამისათვის:

ა. ყოველი მხარე თანამშრომლობისათვის გამოყოფს ერთ ან რამდენიმე ორგანოს, რომელთა დასახელებასა და მისამართს შეატყობინებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს;

ბ. ყოველი მხარე, რომელიც თანამშრომლობისათვის გამოყოფს ერთზე მეტ ორგანოს, ვალდებულია ზემოთ აღნიშნულ შეტყობინებაში განსაზღვროს თითოეული მათგანის კომპეტენციის სფერო.

3. ამა თუ იმ მხარის მიერ აღნიშნული მიზნისათვის გამოყოფილი ორგანო, მეორე მხარის მიერ გათვალისწინებული ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია:

ა. წარმოადგინოს ინფორმაცია თავისი ქვეყნის კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის შესახებ მონაცემთა დაცვის სფეროში;

ბ. აღგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად და კონფიდენციალობის დაცვის მიზნის გათვალისწინებით, განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება საიმედო ინფორმაციის მიწოდებისათვის, რომელიც შეეხება აგტომატური დამუშავების ყოველ კონკრეტულ შემთხვევას, რასაც აღგილი აქვს ტერიტორიაზე, გარდა დამუშავების პროცესში მყოფი პერსონალური მონაცემებისა.

მუხლი 14. საზღვარგარეთ მცხოვრები მონაცემთა სუბიექტების დახმარება

1. ყოველი მხარე ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს საზღვარგარეთ მცხოვრებ ნებისმიერ პირს აღგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაში, რომლებიც ეთანადება ამ კონვენციის მე-8 მუხლში აღნიშნულ პრინციპებს.

2. იმ შემთხვევაში, თუ პირი ცხოვრობს სხვა მხარის ტერიტორიაზე, მას უნდა მიეცეს საკუთარი განაცხადის წარდგენის უფლება მისთვის დახმარების გაწევის თაობაზე იმ შუამავალი ორგანოს მეშვეობით, რომელსაც თანამშრომლობისათვის გამოყოფს ეს მხარე.

3. განაცხადი დახმარების გაწევის თაობაზე უნდა შეიცავდეს ყველა აუცილებელ დეტალს, რომელიც მათ შორის შეეხება:

ა. სახელს, მისამართს და განაცხადის წარმდგენი პირის სხვა მნიშვნელოვან მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას;

ბ. პერსონალური მონაცემების ავტომატიზირებულ ფაილს, რომელსაც ეკუთვნის განაცხადი ან ფაილის ადმინისტრატორს;

ც. განაცხადის მიზნებს.

მუხლი 15. დახმარების გარანტიები, რომელსაც გასწევენ შესაბამისი ორგანოები

1. ამა თუ იმ მხარის მიერ თანამშრომლობისათვის გამოყოფილ ორგანოს, რომელმაც მიიღოს ინფორმაცია განაცხადის დამატების ან თანამშრომლობისათვის გამოყოფილი ორგანოს მხრიდან პასუხის სახით დახმარების გაწევის შესახებ მის განაცხადზე, არ აქვს ამ ინფორმაციის გამოყენების უფლება იმ მიზნებისთვის, რომლებიც განსხვავდება განაცხადში მითითებული მიზნებისაგან.

2. ყოველი მხარე იძლევა გარანტიას, რომ ყველა პირი, რომელიც მიეკუთვნება თანამშრომლობისთვის გათვალისწინებულ ორგანოს ან მოქმედებს მათი სახელით, ვალდებული იქნება დაიცვას საიდუმლოება ან კონფიდენციალობა ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

3. თანამშრომლობისთვის გამოყოფილ ორგანოს, მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უფლება არა აქვს დამოუკიდებლად და პირის სპეციალური თანხმობის გარეშე წარადგინონ განაცხადი მონაცემთა სუბიექტის სახელით, რომელიც ცხოვრობს საზღვარგარეთ.

მუხლი 16. უარი განაცხადზე თანამშრომლობის გაწევის შესახებ

თანამშრომლობისათვის გამოყოფილ ორგანოს, რომლის სახელმეც არის გაგზავნილი განაცხადი დახმარების გაწევის შესახებ, წინამდებარე კონვენციის მე-13 და მე-14 მუხლების თანახმად, უფლება არ აქვს უარი თქვას მის შესრულებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

ა. განაცხადი არ შეესაბამება მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოების უფლებამოსილებას მონაცემთა დაცვის სფეროში;

ბ. განაცხადი არ შეესაბამება კონვენციის დებულებებს;

ც. თუ განაცხადის შესრულება შეუთავსებელი იქნებოდა იმ მხარის სუვერენიტეტთან, უსაფრთხოებასა და სახელმწიფო პოლიტიკასთან (ორდერ პუბლიც), რომელმაც თანამშრომლობისათვის გამოყო მოცემული ორგანო, ასევე ამ ქვეყნის იურისდიქციაში მყოფი პირების უფლებებსა და თავისუფლებებთან.

მუხლი 17. დახმარების გაწევის წესი და ღირებულება

1. მხარეთა მიერ მე-13 მუხლის თანახმად ერთმანეთისათვის გაწეულმა დახმარებამ და მე-14 მუხლის თანახმად საზღვარგარეთ მყოფი

სუბიექტების მხარდაჭერამ არ უნდა გამოიწვიოს მომსახურების ღირებულების მრდა და სხვა ხარჯების საფასურის ამოღება, გარდა ექსპერტთა გასამრჯელოებისა და მთარგმნელთა ანაზღაურებისა. გასამრჯელოებისა და ანაზღაურებისათვის საჭირო დანახარჯებს იხდის მხარე, რომელმაც თანამშრომლობისათვის გამოყო დახმარების დაწვეის შესახებ განაცხადის წარმდგენი ორგანო.

2. დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტს წარედგინოს მოთხოვნა იმ მომსახურებისა და გასაერჯელოს ანაზღაურების შესახებ, რომელიც განსორციელდა მისი სახელით სხვა მხარის ტერიტორიაზე და განსხვაებება ამ ქვეყნის მცხოერებთა მხრიდან ანაზღაურებადი ღონისძიებებისაგან.

3. დახმარებასთან, კერძოდ მისი გაწვეის წესთან და ფორმებთან, აგრეთვე შესაძლოთ გამოსაყენებელ ენებთან დაკავშირებული სხვა დეტალები უნდა დადგინდეს უშუალოდ მონაწილე მხარეების მიერ.

თავი V. საკონსულტაციო ორგანო

მუხლი 18. კომიტეტის შემადგენლობა

1. საკონსულტაციო ორგანოს დაფუძვებება ხდება წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ.

2. ყოველი მხარე კომიტეტში წარადგენს თავის წარმომადგენელს და მის მოადგილეს. ნებისმიერ სახელმწიფოს- ევროპის საბჭოს წვერს, რომელიც არ წარმოადგენს მხარეს, უფლება აქვს კომიტეტში წარმოადგენელი იყოს თაეისი დამკვირებლით.

3. საკონსულტაციო ორგანო, საკუთარი ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, უფლებამოსილია კონკტერულ სხდომაზე დამკეირებლის სახით მოიწვიოს ევროპის საბჭოს წვერი ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ წარმოადგენს მხარეს.

მუხლი 19. კომიტეტის ფუნქციები

1. საკონსულტაციო კომიტეტი უფლებამოსილია:

ა. წარმოადგინოს წინადადებები, რომლებიც მიმართულია წინამდებარე კონვენციის გამოყენების ხელშეწყობისა და გაუმჯობესებისაკენ;

ბ. 21-ე მუხლის თანახმად, წარმოადგინოს წინადადებები წინამდებარე კონვენციაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

ც. ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება წინამდებარე კონვენციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებულ ნებისმიერ წინადადებასთან მიმართებით, რომელიც განიხილება 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად;

დ. მხარეთა მოთხოვნისამებრ, გამოსაგოს საკუთარი აზრი წინამდებარე კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის ირგვლივ.

მუხლი 20 საქმიანობის წესი

1. საკონსულტაციო კომიტეტის მიწვევის ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი. კომიტეტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის 12 თვის განმავლობაში. შემდგომში, კომიტეტის სხდომები უნდა ჩაგარდეს არა ნაკლებ 2 წელიწადში ერთხელ, ასევე ნებისმიერ დროს კომიტეტის მოწვევის მოთხოვნისთანავე, რომელსაც მხარეს უჭერს მხარეთა წარმომადგენლების ერთი მესამედი.

2. მხარეთა წარმომადგენლების უმრავლესობამ უნდა შეაღგინოს ქვორუმი, რომელიც აუცილებელია საკონსულტაციო კომიტეტის სხდომის ჩაგარებისათვის.

3. ყოველი სხდომის შემდეგ, ასკონსულტაციო კომიტეტმა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს უნდა წარუდგინოს მოსსენება საკუთარი საქმიანობისა და კონვენციის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

4. კონვენციის დებულებათა შესაბამისად, საკონსულტაციო კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს საკუთარი საქმიანობის რეგლამენტი.

თავი VI. ცვლილებები

მუხლი 21. ცვლილებები

1. ამ კონვენციაში ცვლილებების შესახებ წინადადებების წარმოდგენა შეუძლიათ მონაწილე მხარეებს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს ან საკონსულტაციო კომიტეტს.

2. კონვენციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული ნებისმიერი წინადადება ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა უნდა შეატყობინოს ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოებს, ასევე ყოველ სახელმწიფოს, რომელიც არ არის ევროპის საბჭოს წევრი, მაგრამ უკვე შეუერთდა ან მიიღო ამ კონვენციასთან შეერთების წინადადება 23-ე მუხლის დებულებების თანასმად.

3. უფრო მეტიც მინისტრთა კომიტეტის ან მხარეთა მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი წინადადება უნდა გადაეცეს საკონსულტაციო კომიტეტს, რომელმაც მინისტრთა კმიტეტს უნდა წარუდგინოს საკუთარი დასკვნა შემოთავაზებულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

4. მინისტრთა კომიტეტმა უნდა განიხილოს შემოთავაზებული ცვლილება, ასევე საკონსულტაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი მოსაზრება. იგი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მოცემულ ცვლილებას.

5. მინისტრთა კომიტეტის მიერ მოწოდებული ცვლილების ტექსტი, მოცემული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მისაღებად წარედგინება მხარეებს.

6. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც მოწონებულია მოცემული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ძალაშია მხარეთა მიერ ამ ცვლილებების მიღების შესახებ გენერალური მდივნის ინფორმირებიდან 30-ე დღეს.

თავი VIII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 22. ძალაში შესვლა

1. წინამდებარე კონვენციაზე ხელმოწერა თავისუფალია ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებასა ან თანხმობას დოკუმენტები რატიფიკაციის, მიღების ან თანხმობის შესახებ დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ.

2. წინამდებარე კონვენცია ძალაშია იმ სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველი დღიდან, რომელიც გამოითვლება იმ დროიდან, როცა ევროპის საბჭოს წევრმა ხუთმა სახელმწიფომ, წინა პუნქტის დებულებათა შესაბამისად, გამოსცადა თანხმობა ამ კონვენციასთან შეერთების თაობაზე.

3. ნებისმიერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოსათვის, რომელიც მოგვიანებით გამოთქვამს თანხმობას წინამდებარე კონვენციასთან შეერთების შესახებ, ეს უკანასკნელი ძალაში შედის იმ სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველი დღიდან, რომელიც გამოითვლება რატიფიკაციის, მიღების ან თანხმობის გამოხატვის შესახებ, დოკუმენტის დეპონირების დროიდან.

მუხლი 23. იმ სახელმწიფოთა შეერთება, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრები

1. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, სმათა უმრავლესობით, ევროპის საბჭოს შესახებ ლებულების მე-20 მუხლის "დ" პუნქტის თანახმად და მომლაპარაკებელი მხარეების წარმომადგენელთა ერთხმა გადაწყვეტილებით, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ კომიტეტის სხდომებში, უფლება აქვს ამ კონვენციასთან შეერთებისათვის მოიწვიონ ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ არის ევროპის საბჭოს წევრი.

2. ნებისმიერ სახელმწიფოსთან მიმართებით, რომელიც შეუერთდება ამ კონვენციას, ეს უკანასკნელი ძალაში შედის იმ სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველი დღიდან, რომელიც გამოითვლება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ შეერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირების დროიდან.

მუხლი 24. ტერიტორიული საზღვრები

1. ნებისმიერი სახელმწიფო, ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების, თანხმობის ან შეერთების შესახებ თავისი დოკუმენტის დეპონირებისას, უფლება აქვს დათქვას ტერიტორიის ან ტერიტორიათა საკითხი, რომელთან მიმართებაშიც გამოიყენება წინამდებარე კონვენცია.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე დეკლარაციის გაგზავნის გზით, უფლება აქვს ნებისმიერ სხვა დროს გააერცელოს წინამდებარე კონვენციის მოქმედება ამ დეკლარაციაში განსაზღვრულ ნებისმიერ ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიასთან მიმართებით, წინამდებებარე კონვენცია ძალაში შედის იმ სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველი დღიდან, რომელიც გამოითვლება გენერალური მდივნის მიერ ამ დეკლარაციის მიღების დროიდან.

3. წინა ორი პუნქტის თანახმად წარდგენილი ნებისმიერი დეკლარაცია, რომელიც შეეხება დეკლარაციაში განსაზღვრული ნებისმიერ ტერიტორიას, შეიძლება უკან იქნას გამოთხოვილი გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების გაგზავნის გზით. უკან გამოთხოვა ძალაში შედის იმ ექვსთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველი დღიდან, რომელიც გამოითვლება გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღების დროიდან.

მუხლი 25. წინასწარი პირობები

დაუშვებელია წინასწარი პირობების წამოყენება წინამდებარე კონვენციის დებულებათა მიმართ.

მუხლი 26. დენონირება

1. ნებისმიერი მხარე ნებისმიერ დროს უფლებამოსილია მოახდინოს წინამდებარე კონვენციის დენონსირება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების გაგზავნის გზით.

2. დენონსაცია ძალაში შედის იმ ექვსთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველი დღიდან, რომელიც გამოითვლება გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დროიდან.

მუხლი 27. შეტყობინება

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვალდებულია ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებსა და იმ სახელმწიფოებს, რომლებიც შეუერთდნენ წინამდებარე კონვენციას შეატყობინოს შემდეგი:

ა. ყოველი ახალი ხელმოწერის შესახებ;

ბ. რატიფიკაციის, მიღების, თანხმობის ან შეერთების შესახებ აქტების დეპონირების შესახებ;

ც. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შესახებ 22-ე, 23-ე და 24-ე მუხლების თანახმად;

დ. წინამდებარე კონვენციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ქმედების, შეტყობინების ან ცნობის შესახებ.

რის დასადასტურებლადაც, ქვემორე ხელისმომწერმა, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილება, ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას.

შედგენილია სტრასბურგში, 1981 წლის 28 იანვარს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტს გააჩნია იურიდიული ძალა, თითოეული

მათუანი შესრულებულია ერთ ეგზემპლარად და დეპონირდება ევროპის საბჭოს არქიეებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დადასტურებულ ასლებს გაგზავნის ევროპის საბჭოს წევრ ყოველ ქვეყანას და თითოეულ სახელმწიფოს, რომლებმაც მიიღეს წინამდებარე კონვენციასთან შეერთების წინადადება.

გაერთიანებული ერების
ორგანიზაცია

ეკონომიკურ და სოციალურ
საკითხთა საბჭო

ევროპის ეკონომიკური კომისია

გარემოსდაცვითი პოლიტიკის კომიტეტი

მინისტრთა მეოთხე კონფერენცია
"გარემო ევროპისათვის"

კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ

(მიღებულია 1998 წლის 25 ივნისს)

წინამდებარე კონვენციის მხარეები

ითვალისწინებენ რა, აღამიანის გარემოს შესახებ სტოკჰოლმის დეკლარაციის პირველ პრინციპს,

ითვალისწინებენ რა აგრეთვე, გარემოსა და განვითარების შესახებ რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაციის მეათე პრინციპს,

მხედველობაში იღებენ რა გენერალური ასამბლეის 1982 წლის 28 ოქტომბრის 37/7 რეზოლუციას ბუნების მსოფლიო ქარტიის შესახებ და 1990 წლის 14 დეკემბრის 45/94 რეზოლუციას აღამიანთა კეთილდღეობისათვის ჯანმრთელი გარემოს უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

ითვალისწინებენ რა, 1989 წლის 8 დეკემბერს გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში, მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის პირველ ევროპულ კონფერენციაზე გარემოსა და ჯანმრთელობის შესახებ მიღებულ ევროპულ ქარტიას "გარემო და ჯანმრთელობა",

აღასტურებენ რა, გარემოს მდგრადი რეზოლუციის დაცვის, შენარჩუნების და გაუმჯობესების აუცილებლობას, აგრეთვე მდგრად და გარემოს დაცვის თვალსაზრისით გამართლებულ განვითარებას,

აცნობიერებენ რა, რომ გარემოს აღეკვატური დაცვა უმნიშვნელოვანესია აღამიანის კეთილდღეობისათვის და მისი უფლებების, მათ შორის სიცოცხლის უფლების დაცვისათვის,

აღიარებენ აგრეთვე რა, რომ ყოველ ადამიანს აქვს მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესაბამის გარემოში სიცოცხლის უფლება,

აგრეთვე ყოველ მოქალაქეს გააჩნია მოვალეობა როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად დაიცვას და გააუმჯობესოს გარემო ახლანდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ,

მიიჩნევენ რა, რომ ამ უფლებების დასაცავად და მოვალეობების შესასრულებლად მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს გარემოსდაცვითი ინფორმაცია, უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება, ხელი უნდა მიუწვდებოდეს გარემოსდაცვითი სფეროს კანონმდებლობაზე, და ამასთან დაკავშირებით ვაღიარებთ რა, რომ მოქალაქეებს შესაძლოა დასჭირდეთ დახმარება თავიანთი უფლებების ცხორებაში გაგარებისას,

აღიარებენ რა, რომ გარემოს დაცვით სფეროში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის პროცესის სრულყოფა ამაღლებს გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი განხორციელების ხარისხს, აგრეთვე ხელს უწყობს საზოგადოების ეკოლოგიურ საკითხებში გათვითცნობიერებას, საშუალებას აძლევს მოსახლეობას გამოხატოს შეშფოთება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო ხელისუფლებას აძლევს საშუალებას გაითვალისწინოს მათი ინტერესები,

მიზნად ისახავენ რა, ამ გზით უზრუნველყონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის კონტროლირებადობა და საჯაროობა და გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოებრივი მხარდაჭერის გაძლიერება,

აღიარებენ რა, რომ სასურველია ხელისუფლების სტრუქტურების საქმიანობის ყველა სფეროს საჯაროობა, თავავზობენ საკანონმდებლო ორგანოებს განახორციელონ ამ კონვენციის პრინციპები თავიანთ საქმიანობებში,

აღიარებენ რა, რომ მოსახლეობა გათვითცნობიერებული უნდა იყოს გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თავიანთი მონაწილეობის მიღების პროცედურაში. მოსახლეობას ხელი უნდა მიუწვდებოდეს მასთან დაკავშირებულ მასალებზე და უნდა იცოდეს მათი გამოყენება,

აღიარებენ აგრეთვე, რომ ცალკეულ მოქალაქეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და კერძო სექტორს შეუძლიათ შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი გარემოს დაცვის სფეროში,

სურთ რა, ხელი შეუწყონ ეკოლოგიურ განათლებას გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების საკითხების უკეთ შემეცნებისათვის და ხელი შეუწყონ რა, მოსახლეობის საყოველთაო გაცნობიერებას და მის მონაწილეობას იმ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რომელიც გემოქმედებას ახდენს გარემოზე და მდგრად განვითარებაზე,

ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ რა, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და ელექტრონული და კომუნიკაციის სხვა უახლესი საშუალებების (მომავალი ფორმების) გამოყენების მნიშვნელოვან როლს,

აღიარებენ რა, სამთავრობო დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისას გარემოსდაცვითი მოსაზრებების სრული გათვალისწინების დიდ მნიშვნელობას და აქედან გამომდინარე იმის აუცილებლობას, რომ სახელმწიფო ორგანოები ფლობდნენ ზუსტ, ამომწურავ და უახლეს გარემოსდაცვით ინფორმაციას,

აღიარებენ რა, რომ ხელისუფლების ორგანოები საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ფლობენ გარემოსდაცვით ინფორმაციას,

თვლიან რა, რომ საზოგადოებისა და ორგანიზაციების კანონიერი უფლებების დაცვისათვის აუცილებელია მათთვის ხელმისაწვდომი იყოს ეფექტური სასამართლო მექანიზმები, და ამდენად მათი კანონიერი ინტერესები დაცული იქნება, ხოლო კანონს კი ძალა ექნება.

აღნიშნავენ რა, რომ მნიშვნელოვანია მომხმარებლისათვის პროდუქტებზე სათანადო ინფორმაციის მიწოდება, რათა მომხმარებელს საშუალება მიეცეს გააკეთოს დასაბუთებული არჩევანი გარემოსდაცვითი ინტერესების გათვალისწინებით,

აცნობიერებენ რა, საზოგადოების შეშფოთებას გარემოში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების წინასწარ განზრახულად გაშვებასთან დაკავშირებით, აუცილებლად მიიჩნევენ ამ სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების უფრო აქტიური მონაწილეობისა და უფრო მეტი გამჭვირვალობის აუცილებლობას,

დარწმუნებულნი არიან რა, რომ ამ კონვენციის განხორციელება ხელს შეუწყობს დემოკრატიის დამკვიდრებას გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის რეგიონში,

კარგად ესმით რა, ამ მხრივ ECE-ს მიერ შესრულებული როლი და ითვალისწინებენ რა, 1995 წლის 25 ოქტომბერს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მინისტრების მესამე კონფერენციაზე "გარემო ევროპისათვის" მიღებულ მინისტრთა დეკლარაციის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ ECE-ს სახელმძღვანელო პრინციპებს,

მხედველობაში იღებენ რა, 1991 წლის 25 თებერვალს ფინეთის ქალაქ ესპოში გარემოზე ზემოქმედების შეფასების კონვენციაზე ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გაკეთებულ შესაბამის დებულებას და 1992 წლის 17 მარტს ჰელსინკში სამრეწველო ავარიების ტრანსსასაზღვრო შეგავლენის კონვენციის და ტრანსსასაზღვრო წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების გამოყენებისა და დაცვის კონვენციებზე გაკეთებულ შესაბამისი დებულებებს, ასევე სხვა რეგიონულ კონვენციებს,

კარგად ესმით რა, რომ წინამდებარე კონვენციის მიღება ხელს შეუწყობს "გარემო ევროპისათვის" პროცესის შემდგომ გაძლიერებას და 1998 წლის ივნისში დანიის ქალაქ ორჰუსში მინისტრების მეოთხე კონფერენციის შედეგების განვითარებას.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მიზანი

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას.

მუხლი 2

განსაზღვრებები

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის:

1. თუ ტექსტში არ არის განსაკუთრებული მითითება, "მხარე" ნიშნავს წინამდებარე კონვენციის მხარეს;

2. "ხელისუფლების ორგანოები" ნიშნავს;

ა) ხელისუფლებას ეროვნულ, რეგიონულ და სხვა დონეებზე;

ბ) ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებენ სახელმწიფო ადმინისტრაციულ ფუნქციებს, გარემოსთან დაკავშირებული კონკრეტული ვალდებულებების, მომსახურების და ქმედებების ჩათვლით;

გ) ნებისმიერ სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელიც ასრულებს სახელმწიფო ვალდებულებებს ან ფუნქციებს, ან გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ზემოთ ა) და ბ) ქვეპარაგრაფებში განსაზღვრული ორგანოების ან პირების კონტროლქვეშ ეწევა საზოგადოებრივ მომსახურებას;

დ) მე-17 თავში მითითებულ ეკონომიკური ინტეგრაციის ნებისმიერ რეგიონულ ორგანიზაციას, რომელიც არის წინამდებარე კონვენციის მხარე.

ეს განსაზღვრება არ გულისხმობს ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც მოქმედებენ სასამართლო ან საკანონმდებლო სტატუსით.

3. "გარემოსდაცვითი ინფორმაცია" გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

ა) გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორიც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება;

ბ) ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ნივთიერებები, ენერგია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში, კანონმდებლობა, გეგმები და პროგრამები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს ზემოთ ა) ქვეპარაგრაფში ჩამოთვლილ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე, ხარჯ-მოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას;

გ) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების, კულტურული ობიექტების და შენობა-ნაგებობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდენს გარემოს შემადგენელ ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მეშვეობით ზემოთ ბ) ქვეპარაგრაფში მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები.

4. "საზოგადოება" ნიშნავს ერთ ან ერთზე მეტ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს და ეროვნული კანონმდებლობის და ქმედების შესაბამისად მათ ასოციაციებს, ორგანიზაციებს ან ჯგუფებს.

5. "დაინტერესებული საზოგადოება" ნიშნავს საზოგადოებას, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან, როგორც დაინტერესებული სუბიექტები.

მუხლი 3

ზოგადი დებულებები

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო, მარეგულირებელ და სხვა ზომებს, აგრეთვე ღონისძიებებს, მათ შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ წინამდებარე კონვენციის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოების მონაწილეობის და მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის დებულებებს შორის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას, აგრეთვე განახორციელებს მართებულ ღონისძიებებს ამ დებულებების განხორციელებისათვის მკაფიო საჯარო და თანმიმდევრული სტრუქტურის შესაქმნელად.

2. ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება.

3. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს საზოგადოების გარემოსდაცვით განათლებას და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, განსაკუთრებით გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოპოვების გზების და გარემოსდაცვით სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და სამართალწარმოებაში საზოგადოების მონაწილეობის საკითხებს.

4. თითოეული მხარე დაეხმარება იმ ჯგუფების, ასოციაციების თუ ორგანიზაციების სათანადო აღიარებას, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და უზრუნველყოფენ ეროვნულ სამართლებრივი სისტემის თანხმობას ამ მოვალეობასთან.

5. წინამდებარე კონვენციის დებულებები არ შეზღუდავს რომელიმე მხარის უფლებას გააგრძელოს ან განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებენ გარემოსდაცვითი ინფორმაციის უფრო ფართო ხელმისაწვდომობასა და გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და სამართალწარმოებაში საზოგადოების უფრო აქტიურ მონაწილეობას, ვიდრე ეს წინამდებარე კონვენციაშია გათვალისწინებული.

6. წინამდებარე კონვენცია არ ითვალისწინებს გარემოს დაცვის სფეროში ინფორმაციისა და მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის, აგრეთვე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უკვე არსებული უფლებების შეზღუდვას.

7. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს წინამდებარე კონვენციის პრინციპების გატარებას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების საერთაშორისო პროცესში და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარჩოებში.

8. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ პირები, რომლებიც წინამდებარე კონვენციის შესაბამისად ახორციელებენ თავიანთ უფლებებს, არ იქნენ დასჯილნი, დევნილნი ან რაიმე ფორმით შევიწროვებულნი. არსებული დებულება არ შეეხება ეროვნული სასამართლოების უფლებებს იურიდიულ პროცედურასთან დაკავშირებით დააწესოს ზომიერი გადასახადი.

9. წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალა-

ქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას.

მუხლი 4

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ წინამდებარე მუხლის შემდეგი პარაგრაფების პირობების შესაბამისად ხელისუფლების ორგანოებმა ეროვნული კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით დააკმაყოფილონ ეკოლოგიურ ინფორმაციაზე საზოგადოების მოთხოვნა, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში (ბ) ქვეპარაგრაფის შესაბამისად მიაწოდოს აგრეთვე ბუსტი დოკუმენტაციის ასლები, რომლებიც შეიცავს ან შეეხება ასეთ ინფორმაციას:

ა) რაიმე ინტერესის გაცხადების გარეშე;

ბ) მოთხოვნილი ფორმით, იმ გამონაკლისით თუ;

I) ხელისუფლების ორგანოს გააჩნია საფუძველი მიაწოდოს ის სხვა ფორმით. ასეთ შემთხვევაში მითითებულ უნდა იქნას მიზეზები, რომელიც გაამართლებს ინფორმაციის სხვა ფორმით გაცემას.

II) ეს ინფორმაცია უკვე არის ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის სხვა ფორმით.

2. ზემოთ პარაგრაფ 1-ში აღწერილი გარემოსდაცვითი ინფორმაცია მოწოდებულ უნდა იქნას იქნება მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, იმ გამონაკლისის გარდა თუ ინფორმაციის მოცულობა და სირთულე ამართლებს ამ პერიოდის ორ თვემდე გაზრდას. მომთხოვნ მხარეს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ნებისმიერი გადავადებისა და ამ გადავადების გამამართლებელი მიზეზების შესახებ.

3. გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა უარყოფილ იქნას თუ:

ა) ხელისუფლების ორგანო, რომლის მისამართით გაიგზავნა მოთხოვნა არ ფლობს მოთხოვნილ გარემოსდაცვითი ინფორმაციას;

ბ) წარდგენილი მოთხოვნა სრულიად უსაფუძვლოა ან არის შეღგენილი ზედმეტად ზოგადი ფორმით; ან

გ) მოთხოვნა ეხება მასალას, რომელიც მომზადების ეტაპზეა ან ხელისუფლების ორგანოებს შორის მიმოწერის სტადიაშია, როდესაც ასეთი გამონაკლისი გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით ანდა დამკვიდრებულია არსებული პრაქტიკით და მათში გათვალისწინებულია საზოგადოების დაინტერესება მიიღოს ასეთი ინფორმაცია.

4. გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნა შეიძლება უარყოფილ იქნას, თუ მისი განცხადება ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს:

ა) ხელისუფლების ორგანოების სამუშაო პროცედურების კონფიდენციალურობაზე, თუ ეს კონფიდენციალურობა ეროვნული კანონმდებლობით არის განსაზღვრული;

ბ) საერთაშორისო ურთიერთობებზე, ეროვნულ თავდაცვაზე ან სახელმწიფო უსაფრთხოებაზე;

გ) სამართალწარმოებაზე, ადამიანის შესაძლებლობაზე მიიღოს ობიექტური სასამართლო გარჩევა ან ხელისუფლების ორგანოს შესაძლებლობაზე ჩაატაროს სისხლის სამართლის ან დისციპლინარული ხასიათის გამოძიება;

დ) სამრეწველო ან კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, როდესაც კანონიერი ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით ასეთი კონფიდენციალობა დაცულია კანონით. ასეთი პირობების ჩარჩოებში ინფორმაცია ამოურქვევის შესახებ, რომელიც გარემოს დაცვასთან არის კავშირში უნდა გაიხსნას;

ე) ინტელექტუალური საკუთრების უფლებაზე;

ვ) პირადი მონაცემების და/ან არქივების ისეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე. რომელიც ეხება ფიზიკურ პირს და ამ პირისაგან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად არ არის თანხმობა ამ ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების თაობაზე;

ზ) მესამე მხარის ინტერესებზე, რომელმაც მიაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია თუ მას არა აქვს ან არ შეიძლება დაეკისროს იურიდიული მოვალეობა გასცეს ამგვარი ინფორმაცია ან როდესაც ეს მხარე არ იძლევა თანხმობას ამ მასალების გამოქვეყნებაზე;

თ) გარემოზე, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება, მაგალითად იშვიათი სახეობების გაბრაველების ადგილები.

უარის თქმის ზემოაღნიშნული მიზეზები უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული და მასთან, გათვალისწინებული უნდა იქნას საზოგადოების მიერ ამ ინფორმაციის მიღების უფლება, აგრეთვე გათვალისწინებულ უნდა იქნას რამდენად ეხება მოთხოვნილი ინფორმაცია გარემოში გაფრქვევას.

1. თუ ხელისუფლების ორგანოს არ გააჩნია მოთხოვნილი გარემოსდაცვითი ინფორმაცია, ეს ორგანო მაქსიმალურად მოკლე ვადებში შეატყობინებს მომთხოვნ მხარეს ხელისუფლების იმ ორგანოს შესახებ, რომელსაც მისი ამრით უნდა გააჩნდეს ასეთი ინფორმაცია ან თვითონ გადასცემს ამ მოთხოვნას ასეთ ორგანოს და შესაბამისი ფორმით შეატყობინებს მომთხოვნ მხარეს.

2. ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ის ინფორმაცია, რომელიც ამ თავის მე-3 (გ) და მე-4 პარაგრაფების შესაბამისად არ ექვემდებარება გამოქვეყნებას, გამოყოს დანარჩენი ინფორმაციისაგან ისე, რომ არ დაირღვეს ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, ხოლო ხელისუფლების ორგანოებმა უზრუნველყონ მოთხოვნილი ეკოლოგიური ინფორმაციის დანარჩენი ნაწილის მოწოდება.

3. თუ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნა წარდგენილი იყო წერილობითი სახით ან თუ განმცხადებელის თხოვნა მიიღოს პასუხი წერილობით, შესაბამისად უარიც წარედგინება წერილობითი სახით. მასში მიეთითება უარის მიზეზები და მომთხოვნ მხარეს მიეწოდება ინფორმაცია მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობის შესახებ (მე-9 მუხლის შესაბამისად). უარი წარდგენილი უნდა იქნას რაც შეიძლება სწრაფად და არა უგვიანეს ერთი თვისა, იმ გამონაკლისით, როცა ინფორმაციის მოძიების სირთულე ამართლებს ამ პერიოდის გაზრდას მოთხოვნის წარდგინებიდან ორი თვის ვადამდე. მოთხოვნის წარმდგენელი პირი ინფორმირებული უნდა იყოს ვადის გაზრდისა და მისი მიზეზების თაობაზე.

4. თითოეულ მხარეს შეუძლია ინფორმაციის მიწოდებისათვის ხელისუფლების ორგანოებს მისცეს გადასახადის დაწესების უფლება, თუმცა ეს გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს მომიერების ფარგლებს. ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც აპირებენ ასეთი გადასახადების დაწესებას ვალდებულნი არიან გააცნონ დამკვეთს გადასახადის ტარიფები იმ პირობების და გარემოების მითითებით, რა პირობებშიც ეს გადასახადები შეიძლება იქნას დაწესებული ან გაუქმებული.

მუხლი 5

გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება

1. ყოველი მხარე უზრუნველჰყოფს, რომ:

ა) ხელისუფლების ორგანოები ფლობდნენ და ანახლებდნენ მათ უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ გარემოსდაცვითი ინფორმაციას;

ბ) შეიქმნას საკმარისი სისტემები, რათა უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო ორგანოებისათვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდება იმ მიმდინარე ან დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, რომელმაც საგრძნობი ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს გარემოზე;

გ) გარემოსათვის ან ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ბუნებრივი ხასიათის ან ადამიანთა ქმედებებით გამოწვეული რაიმე საფრთხის მოახლოების შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მოსახლეობას, რომელსაც შეიძლება ეს შეეხოს მათ განკარგულებაში არსებული მთელი ინფორმაცია, რაც მოსახლეობას მისცემს საშუალებას მიიღოს ზომები გამომდინარე მაგნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან შეგაელების შესამცირებლად.

2. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში ხელისუფლების ორგანოების მიერ გარემოსდაცვითი ინფორმაციის საშოგადოებისათვის მიწოდების პროცედურა გახდეს გამჭვირვალე და ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი, მათ შორის:

ა) უზრუნველყოს საზოგადოებისათვის საკმარისი ინფორმაციის მიწოდება თუ რა სახის და მოცულობის გარემოსდაცვითი ინფორმაციას ფლობს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო და იმ ძირითადი პირობების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ ასეთი ინფორმაციის მოწოდების შესაძლებლობას, მასზე ხელმისაწვდომობას და მისი მიღების პროცედურას;

ბ) ისეთი პრაქტიკული ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელება, როგორიცაა:

I)საზოგადოებისათვის სიების, რეესტრების და არქივების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

II) ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ მოთხოვნა წინამდებარე კონვენციის შესაბამისად ხელი შეუწყოს საზოგადოებას ინფორმაციის მოძიებაში; და

III) საკონტაქტო ადგილების განსაზღვრა; და

გ) ზემოთ (ბ) I) ქვეპარაგრაფის შესაბამისად სიებში, რეესტრებში ან არქივებში არსებული გარემოსდაცვითი ინფორმაციის უფასო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

3. ყოველი მხარე უზრუნველყოფს ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოცულობის თანდათანობით ზრდას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საზოგადოებას ინფორმაციის უფრო ადვილად მოპოვებაში ტელეკომუნიკაციური ქსელების მეშვეობით. ამ ფორმით ხელმისაწვდომი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა) ქვემოთ მოყვანილი მე-4 ქვეპარაგრაფის თანახმად გარემოს მდგომარეობის შესახებ მოხსენებას;

ბ) გარემოს დაცვის ან ამასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ტექსტებს;

გ) შესაბამისად, გარემოსთან ან გარემოსდაცვითი შეთანხმებებთან დაკავშირებული პოლიგიკის, გეგმების ან პროგრამების დოკუმენგაციას; და

დ) სხვა ინფორმაციას იმდენად, რამდენადაც ამ ფორმით ამგვარი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გააადვილებს წინამდებარე კონვენციის განხორციელებისათვის ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებას.

იმისი გათვალისწინებით, რომ ამგვარი ინფორმაცია უკვე არსებობს ელექტრონული ფორმით.

4. თითოეული მხარე რეგულარულად, არაუმეტეს 3-4 წლის ინგერვალისა, აქვეყნებს და ავრცელებს ეროვნულ მოხსენებას გარემოს მდგომარეობის შესახებ, გარემოს მდგომარეობის ხარისხისა და გარემოზე დაგვირთვის მონაცემების ჩათვლით.

5. თითოეული მხარე საკუთარი კანონმდებლობის ჩარჩოებში მიიღებს ზომებს, რათა გააერცელოს:

ა) საკანონმდებლო აქტები და სადირექტივო დოკუმენტები, როგორიცაა დოკუმენტები სტრატეგიის, პოლიტიკის შესახებ, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პროგრამები და სამოქმედო გეგმები აგრეთვე სხვადასხვა სამთავრობო დონეებზე მომზადებული მოხსენებები მათ განხორციელებაზე;

ბ) გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებები, კონვენციები და ხელშეკრულებები; და

გ) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტები, მიმანშეწონილობის მიხედვით.

6. თითოეული მხარე მოუწოდებს მწარმოებლებს, რომელთა საქმიანობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გარემოზე, შესაბამისად ნებაყოფლობითი ეკომარკირების, ეკოლოგიური აუდიტის ან სხვა საშუალებების მეშვეობით რეგულარულად მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია მათი საქმიანობის და პროდუქციის გარემოზე ზემოქმედების შესახებ.

7. თითოეული მხარე:

ა) აქვეყნებს ფაქტობრივ ინფორმაციას და ფაქტების ანალიზს, რასაც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბებაში;

ბ) აქვეყნებს ან სხვა ფორმით ხდის ხელმისაწვდომს განმარტებით მასალას საზოგადოებასთან საკუთარი კონტაქტების შესახებ იმ საკითხებზე, რომელიც შედის წინამდებარე კონვენციის მოქმედებათა სფეროში; და

გ) შესაბამისი ფორმით წარადგენს ინფორმაციის სხვადასხვა დონის სახელმწიფო ორგანოების მიერ თავიანთი სახელმწიფო უფლებების შესრულების ან მათ მიერ გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებში საზოგადოებრივი მომსახურების პირობების შესახებ.

8. თითოეული მხარე შეიმუშავებს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებისათვის სრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ისეთი ფორმით, რომ მომხმარებელმა შესძლოს საფუძვლიანი არჩევანი გააკეთოს გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით.

9. თითოეული მხარე მიიღებს ზომებს თანდათან განავრცოს სტრუქტურირებული კომპიუტერიზებული და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზა, რომელიც შედგენილია სტანდარტიზებული მოხსენებებისაგან, რომლებიც შეთანხმებულია დაბინძურების კადასწრების ან რეგისტრების საერო ეროვნულ სისტემასთან და შესაბამის შემთხვევაში ითვალისწინებს საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პროცესებს. ასეთი სისტემა შესაძლოა მოიცავდეს მონაცემებს გარკვეული სახეობის ქმედებების შედეგად რიგი ნივთიერებების და პროდუქტების გამოყენების, გამოყოფისა და გადატანის შესახებ. მათ

შორის გარემოს სხვადასხვა სფეროში წყლის, ენერგიის და რესურსების გამოყენების, აგრეთვე გადამამუშავებელი ობიექტების და გადასაყრელი ადგილების შიგნით და გარეთ.

10. მე-4 მუხლის მესამე და მეოთხე პარაგრაფების შესაბამისად ამ მუხლის არც ერთ პარაგრაფს არ შეუძლია შეზღუდოს რომელიმე მხარის უფლება უარი განაცხადოს გარკვეული გარემოსდაცვითი ინფორმაციის გამოქვეყნებაზე.

მუხლი 6

საზოგადოების მონაწილეობა საქმიანობათა გარკვეულ სფეროებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

1. თითოეული მხარე:

ა) I დანართში ჩამოთვლილი შემოთავაზებული საქმიანობის ნებართვაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს;

ბ) საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში აგრეთვე გამოიყენებს წინამდებარე თავის დებულებებს იმ შემოთავაზებულ საქმიანობებში, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი I დანართში, თუმცა შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე. ამისათვის მხარეებმა უნდა განსაზღვრონ რამდენად ეხება ასეთი სახის შემოთავაზებული საქმიანობა წინამდებარე დებულებებს; და

გ) თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს ამ თავის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე.

2. დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე. მათ შორისაა შემდეგი საკითხები:

ა) შემოთავაზებული საქმიანობა და განაცხადი, რომელზეც იქნება მიღებული გადაწყვეტილება;

ბ) შესაძლებელი გადაწყვეტილებების ხასიათი ან გადაწყვეტილების პროექტი;

გ) ხელისუფლების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე;

დ) გათვალისწინებული პროცედურა იმის ჩათვლით თუ როდის და როგორ იქნება ეს ინფორმაცია მოწოდებული:

I) პროცედურის განხორციელების დაწყება;

II) საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობანი;

III) ნებისმიერი წინასწარ დაგეგმილი სახალხო მოსმენის დრო და ადგილი;

IV) მითითება ხელისუფლების ორგანოდან, საიდანაც სათანადო ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი და სადაც ეს ინფორმაცია იქმნება საზოგადოებისათვის განსახილველად;

V) შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო უწყების მითითება, რომელსაც შესაძლებელია გაეცნოს შენიშვნები, კითხვები და მათი წარდგენის განრიგი;

VI) მითითება იმის შესახებ თუ შემთთავაზებულ საქმიანობასთან დაკავშირებული რომელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი; და

ე) ფაქტი, რომ საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ თუ ტრანსსასაზღვრო პროცედურას.

3. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები სხვადასხვა უბებისათვის ითვალისწინებს გონივრულ ვადებს, რითაც ზემოთ, მეორე პარაგრაფის შესაბამისად იძლევა საკმარის დროს საზოგადოების ინფორმირებისათვის და გარემოს დაცვის საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მომზადებისა და მონაწილეობისათვის.

4. ყოველი მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ადრეულ ეტაპზე, როდესაც ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

5. ყოველი მხარე, სადაც ეს შესაძლებელია, ვალდებულია განაცხადის წარდგენამდე წაახალისოს პოტენციური მონაწილეები განსაზღეროს დაინტერესებული საზოგადოება, გამართოს მასთან მსჯელობა და განაცხადის წარდგენამდე მიაწოდოს მას ინფორმაცია მათი განცხადების ამოცანებზე ნებართვის მიღების შესახებ.

6. ყოველი მხარე კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსაგან მოითხოვს, მოთხოვნის შესაბამისად თუკი ამას ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა, მისცეს დაინტერესებულ საზოგადოებას საშუალება, როგორც კი ამის შესაძლებლობა გამოჩნდება, უფასოდ და დროულად შეამოწმოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად იქნება საჭირო, რომელზეც ამ მუხლშია საუბარი და რომელიც საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის მომენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება მხარეების იმ უფლების შელახვის გარეშე, რაც გულისხმობს გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარის თქმას, (მეოთხე თავის მე-3 და მე-4 პარაგრაფების შესაბამისად). ასეთ ინფორმაციაში შეავ მინიმუმ მეოთხე მუხლის ინფორმაცია ამ თავის პირობების დარღვევის გარეშე;

ა) სავარაუდო საქმიანობის აღგილის და ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლების აღწერილობა მოსალოდნელი ნარჩენებისა და გამონაბოლქვების შეფასების ჩათვლით;

ბ) იმ მნიშვნელოვანი გავლენის აღწერა, რომელსაც მოახდენს შემოთავაზებული საქმიანობა გარემოზე;

გ) იმ ღონისძიებების აღწერა, რომელიც გათვალისწინებულია შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, გამონაბოლქვების ჩათვლით;

დ) ზემოაღნიშნულის არატექნიკური შეჯამება;

ე) განმცხადებლის მიერ შესწავლილი ძირითადი ალტერნატიის მონახაზი;

ვ) ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ის ძირითადი მოხსენებები და ინფორმაცია, რომელსაც გამოსცემს სახელმწიფო ორგანო იმ დროისათვის, როდესაც დაინტერესებულ საზოგადოებას ზემოთ მოცემული მეორე პარაგრაფის მიხედვით უნდა მიეწოდოს ინფორმაცია.

7. საზოგადოების მონაწილეობისათვის დადგენილი პროცედურა ნებას რთავს საზოგადოებას წარადგინოს საზოგადოების მოსმენაზე ან შეკითხვისას წერილობითი სახით, განმცხადებლის ხელით ნებისმიერი შენიშვნა, ინფორმაცია, ანალიზის შედეგი ან აზრი, რომელსაც იგი შემოთავაზებული საქმიანობისათვის შესატყვისად მიიჩნევს, თუკი ეს ხელსაყრელია.

8. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს.

9. ყოველი მხარე ვალდებულია შესაბამისი პროცედურის მიხედვით დაუყოვნებლივ აცნობოს საზოგადოებას სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ყველა მხარე ვალდებულია ნება დართოს საზოგადოებას, გაეცნოს გადაწყვეტილების ტექსტს. იმ მიზეზებისა და შესედულებების ჩათვლით, რომელსაც გადაწყვეტილება დაეყრდნო.

10. ყოველი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ თუ სახელმწიფო ორგანო ხელახლა განიხილავს ან დახვეწს სამოქმედო პირობებს პირველ პარაგრაფში მოცემული საქმიანობისათვის, აგრეთვე მაშინ, როდესაც ეს მიშანშეწონილია, გაითვალისწინოს, წინამდებარე მუხლის მეორე – მეცხრე პარაგრაფის დებულებები შესაბამისი ცვლილებებით. (mutatis mutandis).

11. ყოველი მხარე საკუთარი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში შესაძლებლობის და მიშანშეწონილობის მიხედვით გამოიყენებს წინამდებარე მუხლის პირობებს, იმ გადაწყვეტილებების მიღებისას, როდესაც საკითხი ესება გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში წინასწარ მოუიქრებულად გაშვებისთვის ნების დართვას.

მუხლი 7

საზოგადოების მონაწილეობა იმ გეგმებში, პროგრამებსა და პოლიტიკაში, რომელიც გარემოსთან არის დაკავშირებული

ყოველი მხარე ვალდებულია მიიღოს შესაბამისი პრაქტიკული და/ან სხვა ზომები იმისათვის, რათა საზოგადოებამ გამჭვირვალე და სამართლიან ჩარჩოებში მიიღოს მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გეგმების და პროგრამების შემუშავებაში და მიაწოდოს საზოგადოებას საჭირო ინფორმაცია. ამ ჩარჩოებში გამოიყენება ამ 6 მუხლის მე –3, მე 4 და მ –8 პარაგრაფები. მონაწილე საზოგადოება, მოზიდული უნდა იყოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ძალერ წინამდებარე კონვენციის ამოცანების გათვალისწინებით. მხარეებმა, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა ღონე უნდა ისმაროს, რათა საშუალება მისცენ საზოგადოებას, მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებაში.

თავი 8

საზოგადოების მონაწილეობა აღმასრულებელი დებულებების და/ან საყოველთაოდ მისაღები სამართლებრივად სავალდებულო ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში

ყოველი მხარე ეცდება ხელი შეუწყოს საზოგადოების ეფექტურ მონაწილეობას გარკვეულ საფეხურზე, სანამ არჩევანის გაკეთება დაუშვებელია სახელმწიფო ორგანოების მიერ იმ სავალდებულო ძალის მქონე აღმასრულებელი დებულებების და სხვა საზოგადოებისათვის მისაღები მასალების მომზადების პროცესში, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ გარემოზე. ამისათვის აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

ა) ეფექტური მონაწილეობისათვის დადგენილი უნდა იქნას საჭირო ვადები;

ბ) საჭიროა გამოქვეყნდეს ან სხვაგვარად გახდეს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი კანონების პროექტები; და

გ) საზოგადოებას უნდა მიეცეს შენიშვნების გაკეთების შესაძლებლობა უშუალოდ ან წარმომადგენლობითი საკონსულტაციო ორგანოების მეშვეობით. საზოგადოების მონაწილეობის შედეგი შეძლებისდაგვარად იქნება მიღებული მხედველობაში.

მუხლი 9

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

1. ყოველი მხარე საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში ვალდებულია სასამართლოში ან დამოუკიდებელ და კანონიერად არჩეულ კომპეტენტურ ორგანოში უზრუნველყოს საკითხის გარჩევის შესაძლებლობა იმ პირისათვის, რომელიც თვლის, რომ მისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ მეოთხე მუხლის მიხედვით არ დაკმაყოფილდა. მას უსამართლოდ ეთქვა უარი, ნაწილობრივ ან მთლიანად არასწორი პასუხი გაეცა ან სხვაგვარად დაირღვა მემოაღნიშნული მუხლის პირობები.

იმ შემთხვევაში, თუ მხარე უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ ამგვარ გადასინჯვას, მან უნდა უზრუნველყოს აგრეთვე იმ პირისათვის ხელმისაწვდომობა კანონით დადგენილი დაჩქარებული პროცედურებისადმი სახელმწიფო, დამოუკიდებელი ან მიუკერძოებელი ორგანოების მხრიდან, გარდა სასამართლოებისა და ასეთი ხელახალი პროცედურა უნდა იყოს უფასო ან უფრო იაფი.

ამ პარაგრაფის შესაბამისად საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება ეკისრება ინფორმაციის მქონე სახელმწიფო ორგანოებს. მიმზეზები მოცემულ უნდა იქნეს წერილობით მაშინ მაინც როდესაც ინფორმაციის მისაწვდომობაზე უარია ნათქვამი ამ პარაგრაფის შესაბამისად.

2. ყოველი მხარე საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში ვალდებულია უზრუნველყოს რომ საზოგადოებრივი უწყებების წევრები:

ა) როლებიც საკმაოდ დაინტერესებულნი არიან, ან, სხვაგვარად;

ბ) უფლებები აქვთ შეზღუდული, იქ სადაც ამ მხარის აღმინისტრაციული პროცესუალური კანონი მოითხოვს ამას, როგორც წინა პირობას.

მიეცეთ საშუალება გაიარონ გადახედვის პროცედურა სასამართლოს წინაშე, აიცილონ სუბსტანციური ან პროცესუალური სამართლიანობის ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუკი ქვეყნის კანონმდებლობით ამგვარადაა გათვალისწინებული ქვემოთ მოყვანილი მესამე პარაგრაფის ან წინამდებარე კონვენციის სხვა შესაბამისი პირობის დარღვევის გარეშე.

ის, რაც შეიძლება ჩაითვალოს საკმაო ინტერესად ან უფლებების შელახვად განსაზღვრული უნდა იყოს ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნილებისამებრ, ხოლო ფართო საზოგადოებისათვის მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობა განსაზღვრულია წინამდებარე კონვენციით. ამ მიზნით ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაცის ინტერესები, რომლებიც აკმაყოფილებენ მეორე თავის მეხუთე პარაგრაფში მოცემულ მოთხოვნებს, ჩაითვლება საკმარისად ზემოთ მოყვანილი (ა) ქვეპარაგრაფისათვის. ზემოთ მოყვანილი (ბ) ქვეპარაგრაფის მიზნებისათვის ჩაითვლება აგრეთვე, რომ ასეთი ორგანიზაციები სარგებლობენ უფლებით განაცხადონ მათი უფლებების დარღვევის შესახებ.

წინამდებარე პარაგრაფ 2-ის დებულებები არ გამორიცხავს წინასწარი, განხილვის პროცედურის შესაძლებლობას აღმინისტრაციული ორგანოს წინაშე. ეს პირობები გავლენას არ მოახდენს აღმინისტრაციული გარჩევის პროცესის ამოწურვის მოთხოვნაზე, იურიდიული გარჩევის პროცედურისაკენ ხელმეორედ ჩატარებამდე, თუკი ქვეყნის კანონმდებლობა ასეთ მოთხოვნას ითვალისწინებს.

3. მოკვლევის იმ პროცედურებთან ერთად და მათი დარღვევის გარეშე, რომლებიც ზემოთ მოყვანილ, პირველ და მეორე პარაგრაფუებშია განხილული, ყოველი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს

საზოგადოების წარმომადგენლების უფლება გაეცნონ ადმინისტრაციულ და იურიდიულ პროცედურას, აცილება მისცენ კერძო პირებისა და სახელმწიფო ორგანოები ქმედებები და დაუდევრობები, რომლებიც გარემოს დაცვის ეროვნულ დებულებებს ეწინააღმდეგებიან, იქ, სადაც ეს აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, თუკი ასეთი კრიტერიუმები ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა.

4. ზემოთ მოყვანილი პარაგრაფი 1-ის დამატების სახით და არა მისთვის საზიანოდ 1-ლი, მე 2 და მე –3 პარაგრაფებში აღნიშნული პროცედურები გვთავაზობენ შესაგებლის და ეფექტურ ზომებს, რომლებშიც შედის დახმარება, როგორც შესაბამისი, კეთილსინდისიერი, სამართლიანი, დროული და არა უკიდურესად ძვირად ღირებული ღონისძიება. ამ პუნქტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები გაიცემა და რეგისტრირდება წერილობითი სახით. სასამართლოთა და სხვა ორგანოთა გადაწყვეტილებები, თუკი ასეთი არსებობს, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

5. წინამდებარე მუხლის დებულებების ეფექტურობის ასამაღლებლად ყოველი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ადმინისტრაციულ და იურიდიული მოქცევის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაცია და განიხილოს შესაძლებლობის დახმარების მექანიზმების ჩამოყალიბების საკითხი, რათა მიღწეულ იქნას მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ფინანსური და სხვა სახის დაბრკოლების გადალახვა ან შემცირება.

მუხლი 10

მხარეთა შეხვედრები

1. მხარეების პირველ კრება მოიწვევა წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთი წლისა. შემდგომი რიგითი კრებების მოწვევა მოხდება ორ წელიწადში ერთხელ მაინც თუკი სხვაგვარად არ იქნება გათვალისწინებული მხარეების მიერ ან სებისძიერი მხარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე იმ პირობით, რომ ამ წერილობითი მოთხოვნის შეტყობინებიდან მხარეებისათვის ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი სამდივნოს მიერ მოწვევის შესახებ მოთხოვნას ექვსი თვის განმავლობაში მხარს დაუჭერს მხარეთა მინიმუმ ერთი მესამედი.

2. კრებაზე მხარეები მათ მიერ გაკეთებული მოხსენებების საფუძველზე მუდმივად განიხილავენ წინამდებარე კონვენციის შესრულების საკითხს და ამ მიზნით:

ა) მიმოიხილავენ იურიდიული და მეთოდოლოგიურ მიდგომებს და ზოგადად პოლიტიკას ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხებს მათი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;

ბ) ცელიან ინფორმაციას ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადებასა და განხორციელებაში და სხვა ღონისძიებების მოგვარების საკითხში მიღებული გამოცდილების შესახებ, რომლებიც უშუალო შესებაში არიან წინამდებარე კონვენციის მიზნებთან და რომლის მხარესაც წარმოადგენს ამ მხარეთაგან ერთი ან მეტი მხარე;

გ) ეძიებენ, სადაც ეს შესაძლებელია, შესაბამისი ECE – ს (ევროპის ეკონომიკური კომიტეტი) მომსახურებას და სხვა კომპეტენტური საერთაშორისო ორგანოების და საგანგებო კომიტეტების დახმარებას ყველა საკითხში, რომელიც წინამდებარე კონვენციის მიზნების მიღწევას შეუწყობს ხელს;

დ) ქმნიან ნებისმიერ ქვედანაყოფებს, რომლებსაც ისინი ჩათელიან საჭიროდ;

ე) სადაც საჭიროა ადგენენ წინამდებარე კონვენციის ოქმებს;

ვ) მე –14 მუხლის დებულებების შესაბამისად განიხილავენ და ღებულობენ წინადადებებს წინამდებარე კონვენციის შესწორებების შესახებ;

ზ) განიხილავენ და ღებულობენ ნებისმიერ დამატებით ღონისძიებებს, რომლებიც წინამდებარე კონვენციის მიზნების განხორციელებას წააღგება;

თ) პირველ კრებაზე განიხილავენ და კონსენსუსით იღებენ თავისი და თავისი ქვედანაყოფების კრებების პროცედურულ წესებს;

ი) მათ პირველ კრებაზე მიმოიხილავენ თაეიანთი გამოცდილებას მეხუთე თავის მე–9 პარაგრაფის დებულებების განხორციელების საკითხში და ადგენენ, რა ნაბიჯებია აუცილებელი ამ პარაგრაფში მითითებული სისტემის შემდგომი განვითარებისათვის, საერთაშორისო პროცესების და განვითარების მხედველობაში მიღებით, შესაბამისი დოკუმენტის შემუშავების ჩათელით, რომელიც შეეხება დაბინძურებისაგან გათავისუფლების და მისი გადატანის რეგისტრაციულ და ინვენტარიზაციულ მასალას, რომელიც შეიძლება დანართის სახით ახლდეს წინამდებარე კონვენციას.

3. მხარეთა კრებებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ კონსენსუსის საფუძველზე განიხილონ ფინანსური შეთანხმების დადების საკითხიც.

4. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მისი სპეციალიზებული სააგენტოები და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო, აგრეთვე ნებისმიერი სახელმწიფო ან რეგიონული ეკონომიკური გაერთიანებული ორგანიზაცია, რომელიც მე–17 თავის მიხედვით უფლებამოსილია ხელი მოაწეროს წინამდებარე კონვენციას, მაგრამ, არ წარმოადგენს ამ კონვენციის მხარეს, და ნებისმიერი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც იმ სფეროში მოღვაწეობს, რომლებსაც ითვალისწინებს წინამდებარე კონვენცია, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს მხარეთა კრებებში დამკვირვებლის სახით.

5. ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც იმ სფეროში მოღვაწეობს, რასაც ითვალისწინებს წინამდებარე კონვენცია, რომელიც ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელ სამდივნოს აგყობინებს თავის სურვილს დაესწროს მხარეთა კრებას, მიენიჭება დამკვირვებლის უფლებები იმ შემთხვევაში, თუ მინიმუმ მხარეების ერთი მესამედი არ იქნება ამ წინადადების წინააღმდეგი.

6. ზემოთ მე –4 და მე –5 პარაგრაფების მიზნებისათვის მე –2 პარაგრაფში (თ) აღნიშნულ პროცედურული წესები გეთაევაზობენ დასწრებას პროცედურას და სხვა შესაბამის პირობებს.

მუხლი 11

ხმის მიცემის უფლება

1. ყოველი მხარე სარგებლობს ერი ხმით იმ შემთხვევების გარდა, რასაც ქვემოთ მოცემული მეორე პარაგრაფი ითვალისწინებს.

2. რეგიონული ეკონომიკური გაერთიანების ორგანიზაციები, თავიანთი კომპეტენციის საზღვრებში სარგებლობენ უფლებით მისცენ იმდენი ხმა, რამდენიც მათ იმ წევრ ქვეყნებს შეესაბამება, რომლებიც წინამდებარე კონვენციის მხარეებს წარმოადგენენ. ასეთი ორგანიზაციები ვერ ისარგებლებენ ხმის უფლებით, თუ მათი ქვეყნები ისარგებლებენ თავისი ხმებით და პირიქით.

მუხლი 12

სამდივნო

ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი სამდივნო შეასრულებს შემდეგ სამდივნო ფუნქციებს:

ა) მხარეთა კრებების მომზადება და მოწვევა;

ბ) მხარეთათვის იმ მოხსენებებისა და ინფორმაციის მიწოდება, რომლებსაც იგი იღებს წინამდებარე კონვენციის დებულებების თანახმად;

გ) სხვა ფუნქციები, რომლებსაც მხარეები დააკისრებენ.

მუხლი 13

დანართები

წინამდებარე კონვენციის ყველა დანართი წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს.

მუხლი 14

შესწორებები კონვენციაში

1. ნებისმიერ მხარეს შეუძლია შემოიტანოს წინადადება კონვენციაში შესწორების შეტანის შესახებ.

2. წინამდებარე კონვენციის ნებისმიერი შესწორების ტექსტი წერილობითი სახით წარედგინება ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელ მდივანს, რომელიც აწვდის მას ყველა მხარეს იმ კრებამდე მინიმუმ ოთხმოცდაათი დღით ადრე, რომელზეც ამ შესწორებების მიღებაა დადგენილი.

3. მხარეები ყველა ღონეს ხმარობენ კონვენციის ყველა შემოთავაზებულ შესწორებაზე მიაღწიონ თანხმობას კონსენსუსის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ მორიგებით ამის მიღწევა შესაძლებელია, შესწორება შეიძლება ძიღებულ იქნას დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე მხარეების სამი მეოთხედის თანხმობის შემთხვევაში.

4. წინამდებარე კონვენციის შესწორება, რომელიც მიიღება მე – 3 პარაგრაფის პირობების დაცვით, დეპოზიტარის (ნდობით აღჭურვილი პირის) მეშვეობით ეცნობება ყველა მხარეს რატიფიცირებისთვის, მოსაწონებლად ან მისაღებად. შესწორებები კონვენციაში, რომლებიც არ ფორძღებიან დანართების სახით იმ მხარეებისათვის, რომლებმაც რატიფიცირება, მოწონება ან მიღება განახორციელეს, ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ იმ რატიფიცირების, თანხმობის ან მოწონების მიღებიდან ოთხმოცდამეათე დღეს, რომლებიც ასეთი მხარეების მინიმუმ სამმა მეოთხედმა გამოაგზავნა. ამის თანახმად, ეს შესწორებები ძალაში შედის სხვა ნებისმიერი მხარისათვის ოთხმოცდამეათე დღეს მას შემდეგ, რაც ეს მხარე ჩაბარებს თავის რატიფიცირების, მოწონების ან მიღების დოკუმენტს.

5. ნებისმიერი მხარე, რომელიც ვერ ახერხებს დაამტკიცოს შესწორება კონვენციის დანართში, ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 12 თვის განმავლობაში წერილობით აცნობოს დეპოზიტარს თანხმობის შესახებ. დეპოზიტარი დაუყოვნებლივ ატყობინებს ყველა მხარეს ნებისმიერი ასეთი ცნობის შესახებ. ამ ცვლილებების მიღებით მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს თავისი წინა პასუხი. დეპოზიტორთა ცვლილებების მიღების დოკუმენტის ჩაბარების მომენტიდან, ამ მხარისათვის დანართის ცვლილებები ძალაში შედის.

6. იმ დღიდან თორმეტი თვის შემდეგ, როდესაც დეპოზიტარი მხარეს აწვდის შეტყობინებას, როგორც ეს მე –4 პარაგრაფშია აღნიშნული, დანართის შესწორება ძალაში შედის იმ მხარეებისათვის, რომლებმაც მე–5 პარაგრაფის მიხედვით არ წარუდგინეს შეტყობინება დეპოზიტარის შესწორების მიღების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მხარეების მაქსიმუმ ერთმა მესამედმა წარადგინა ასეთი შეტყობინება.

7. ამ მუხლის მიზნებისათვის "დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე მხარები" გულისხმობს მხარეებს, რომლებიც ესწრებიან კრებას და აძლევენ უარყოფით თუ დადებით ხმას.

მუხლი 15

შესაბამისობის განხილვა

მხარეთა კრება წინამდებარე კონვენციის დებულებების შესაბამისობის დასადგენად, კონსენსუსის საფუძველზე ადგენს არაწინააღმდეგობრივ, არასამართლებრივ, არამედ საკონსულტაციო ხასიათის საორგანიზაციო საკითხებს. ეს გარიგებები საზოგადოების შესაბამისი მონაწილეობის

საშუალებას იძლევა და შესაძლოა წინამდებარე კონვენციასთან დაკავშირებული იმ წინადადებების განხილვის შესაძლებლობებსაც იძლეოდეს, რომლებსაც საზოგადოების წევრები მიაწვდიან კონვენციას.

მუხლი 16

დაცვის გადაწყვეტა

1. იმ შემთხვევაში, თუ დავა წამოიჭრება ორ ან მეტ მხარეს შორის, წინამდებარე კონვენციის ინტერპრეტაციის ან გამოყენების შესახებ, მხარეები ვალდებულნი არიან საკითხი გადაჭრან მოლაპარაკების ან სხვა ისეთი გზით, რომელიც მოდავე მხარეებისათვის მისაღები იქნება.

2. წინამდებარე კონვენციის ხელმოწერის, რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან მასთან მიერთების, ან ნებისმიერ სვა დროს, მხარეს წერილობით შეუძლია აცნობოს დეპოზიტარს (დნობით აღჭურვილ პირს), რომ იმ დავასთან დაკავშირებით, რომელიც ვერ იქნა გადაჭრილი პირველი პარაგრაფის მიხედვით, იგი ირჩევს ქვემოთ მოცემული დავის გადაწყვეტის ორიდან ერთს ან ორივე გზას, როგორც დავის გადაჭრის იძულებით ფორმას, იმავე ვალდებულებების მქონე მხარესთან დამოკიდებულებაში:

ა) დავის საკითხის გადაცემა საერთაშორისო სასამართლოში;

ბ) არბიტრაჟი II დანართში მოცემული პროცედურის მიხედვით.

3. თუ მოდავე მხარეები დავის გადაჭრას აქვე, ზემოთ მოყვანილ პარაგრაფ 2-ის ორივე გზას უჭერენ მხარს, დავის საკითხი გადაეცემა მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოს, თუკი მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ.

მუხლი 17

ხელმოწერა

წინამდებარე კონვენცია ღია იქნება ხელმოსაწერად ორჰუსში (დანია) 1998 წლის 25 ივნისს, ხოლო შემდგომ ნიუიორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისში 1998 წლის 21 დეკემბრამდე. ხელმოწერის უფლება აქვთ ევროპის ეკონომიკური კომისიის წევრ ქვეყნებს. ქვეყნებს, რომლებიც მრჩეველი ქვეყნების სტატუსით სარგებლობენ ევროპის ეკონომიკურ კომისიაში, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1947 წლის 28 მარტის ნომერ 36 (IV) დადგენილების მე–8 და მე–11 პარაგრაფების თანახმად და რეგიონულ ეკონომიკური ინტეგრაციის იმ ორგანიზაციებს, რომლებიც დაფუძნებულნი არიან ევროპის ეკონომიკური კომისიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიერ და, რომლებსაც კონვენცია ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების ჩათვლით.

მუხლი 18

დეპოზიტარი (ნდობით აღჭურვილი პირი)

წინამდებარე კონვენციის ნდობით აღჭურვილ პირს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

მუხლი 19

რატიფიცირება, მიღება, დამტკიცება და ხელმისაწვდომობა

1. წინამდებარე კონვენციის რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას ახდენენ ხელმომწერი სახელმწიფოები და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაციები.

2. წინამდებარე კონვენცია სახელმწიფოსათვის და მე –17 პარაგრაფში ჩამონათვალი რეგიონული ინტეგრაციის ორგანიზაციებისათვის ხელმისაწვდომია 1998 წლის 22 დეკემბერიდან.

3. ის სახელმწიფო, რომელიც არ შედის მეორე პარაგრაფის ჩამონათვალში, ე.ი. გაერთიანებული ერების წევრი სახელმწიფო კონვენციას გაეცნობა მხარეთა კრებაზე მისი დამტკიცების დროს.

4. ორგანიზაცია, რომელიც მითითებულია მე –17 მუხლში და რომელიც ამ კონვენციის წევრი ხდება ისე, რომ მისი არც ერთი წევრი სახელმწიფო არ წარმოადგენს კონვენციის მხარეს, ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული ყველა პირობა. თუ ასეთი ორგანიზაციის ერთი ან რამდენიმე წევრი-ქვეყანა ამ კონვენციის მხარეს წარმოადგენს, ორგანიზაცია და მისი წევრი ქვეყნები თვითონ ინაწილებენ ვალდებულებებს, რომლებსაც კონვენცია ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში ორგანიზაცია და წევრი ქვეყნები ვერ ისარგებლებენ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით ერთობლივად.

5. თავის რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან მიერთების დროს მე –17 მუხლში აღნიშნული რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაციები მიუთითებენ კონვენციის საკითხებში მათი კომპეტენციის დონეზე. ორგანიზაციები, აგრეთვე ვალდებულნი არიან აცნობონ depositary-ს მდგომარეობა მათ კომპეტენციაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებაც.

მუხლი 20

კონვენციის ძალაში შესვლა

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების და მიერთების მეთექვსმეტე დოკუმენტის ჩაბარებიდან ოთხმოცდაშვიდე დღეს.

2. მეოთხე პარაგრაფ 1- ის მიზნებისათვის, ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც შემოიტანს რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაცია, არ ჩაითვლება იმ დოკუმენტების დამატებით დოკუმენტად, რომლებიც შემოიტანეს ასეთი ორგანიზაციების წევრმა-სახელმწიფოებმა.

3. მე –17 მუხლში აღნიშნული ყოველი ცალკეული სახელმწიფოსა და ორგანიზაციისათვის, რომელიც ამ კონვენციის რატიფიცირებას, მიღებას, დამტკიცებას ახდენს ან უერთდება ამ კონვენციის რატიფი-

ცირების, მიღების, დამტკიცების ან მიერთების მეთექვსმეტე დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის ასეთი სახელმწიფოს ან ორგანიზაციის მიერ რატიფიცირების, მიღების, მოწონების ან თანხმობის დოკუმენტის წარდგენიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

მუხლი 21

გამოსვლა

წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან სამი წლის შემდეგ ნებისმიერ დროს რომელიმე მხარესთან მიმართებაში, ამ მხარეს უფლება აქვს გამოვიდეს კონვენციიდან დეპოზიტარისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ნებისმიერი ასეთი გამოსვლა ძალაშია შეტყობინებიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

მუხლი 22

სარწმუნო ტექსტები

წინამდებარე კონვენციის ორიგინალი, რომლის ინლისური, ფრანგული და რუსულენოვანი ტექსტები თანაბრად სარწმუნოა, ინახება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

ამის დასტურად, ქვემორე ხელისმომწერნი, სათანადოდ უფლებამოსილი პირი, ხელს აწერს წინამდებარე კონვენციას.

კონვენცია შედგა ორპუსში (დანია) ათას ცხრაას ოთხმოცდა თვრამეტი წლის ოცდახუთ იენისს.

(საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 11 თებერულის N 135 დადგენილებით)

ევროპული კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

(მიღებულია 1977 წლის 27 იანვარს)

ქვემორე ხელისმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები:

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრებს შორის უფრო მეტი ერთიანობის მიღწევა;

ითვალისწინებენ რა ტერიტორიული აქტების გაზრდით გამოწვეულ მზარდ შეშფოთებას;

განწყობილი არიან რა გააგარონ ეფექტური ზომები, რათა აქტების ჩამდენმა პირებმა თავი არ აარიდონ ბრალდებასა და სასჯელს;

აცნობიერებენ რა, რომ ექსტრადიცია წარმოადგენს განსაკუთრებით ეფექტურ ზომას ამ შეღეგის მისაღწევად,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის მიზნებისათვის, არც ერთი შემდეგი დანაშაული არ შეიძლება მიჩნეულ იქნას პოლიტიკურ დანაშაულად ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად ან პოლიტიკური მოტივებით გამოწვეულ დანაშაულად:

(a) დანაშაული, რომელზეც ვრცელდება 1970 წლის 16 დეკემბრის ქ. ჰააგაში ხელმოწერილი კონვენცია საჰაერო ხომალდების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

(b) დანაშაული, რომელზეც ვრცელდება 1971 წლის 23 სექტემბერს ქ. მონრეალში ხელმოწერილი კონვენცია სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

(c) სერიოზული დანაშაულები დაკავშირებული საერთაშორისო დონეზე დაცული პირების, მათ შორის დიპლომატიური აგენტების სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებთან;

(d) გატაცებასთან, მძევლად აყვანასთან ან სერიოზულ უკანონო დაკავებასთან დანაშაული დაკავშირებული;

(e) დანაშაული დაკავშირებული ნაღმის, ხელყუმბარის, რაკეტის, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ან წერილისა თუ საამანათო ნაღმის გამოყენებასთან, თუ ამით საფრთხე შეექმნა პიროვნებას;

(f) ნებისმიერი ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენის მცდელობა ან დამხმარეს სახით იმ პირის თანამონაწილედ გამოსვლა, რომელიც ჩაიდენს ან შეეცდება ჩაიდინოს ასეთი დანაშაული.

მუხლი 2

1. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შორის ექსტრადიციის მიზნებისათვის, ხელშემკვრელმა სახელმწიფომ შეიძლება გადაწყვიტოს არ მიიჩნიოს პოლიტიკურ დანაშაულად ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად ან პოლიტიკური მოტივებით განპირობებულ დანაშაულად ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ისეთ სერიოზულ ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაული, რომელიც არ არის გათვალისწინებული 1-ლი მუხლით.

2. იგივე წესი გამოიყენება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ისეთი სერიოზული დანაშაულის მიმართ, რომელიც კოლექტიურ საფრთხეს უქმნის პირებს და არ არის გათვალისწინებული 1-ლი მუხლით.

3. იგივე წესი გამოიყენება ნებისმიერი ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენის მცდელობის ან იმ პირის თანამონაწილეობის, რომელიც ჩაიდენს ან შეეცდება ჩაიდინოს ასეთი დანაშაული.

მუხლი 3

ექსტრადიციის საკითხებზე ხელშემკვრელი სახელმწიფოების შორის მოქმედი ყველა ხელშეკრულებისა და შეთანხმების დებულებები, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის ჩათვლით, შეიცვლება ხელშემკვრელი სახელმწიფოთა შორის იმდენად, რამდენადაც ისინი შეუსაბამობაში იქნებიან ამ კონვენციასთან.

მუხლი 4

ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის და იმ შემთხვევაში, თუ 1-ლი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული არ არის აღიარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ დანაშაულად ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის არსებულ ნებისმიერ კონვენციასა თუ ხელშეკრულებაში, იგი მაინც ჩაითვლება ექსტრადაციას დაქვემდებარებულ დანაშაულად.

მუხლი 5

არაფერი ამ კონვენციაში არ შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც ექსტრადიციის ვალდებულება, იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოს, რომელსაც მიმართეს ექსტრადიციის თხოვნით, აქვს საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ 1-ლ და მე-2 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე ექსტრადიციის შესახებ თხოვნა განხორციელდა პირის ბრალდების ან დასჯისათვის მისი რასის, რელიგიის, ეროვნების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო, ან თუ პირის მდგომარეობა შეიძლება დამძიმდეს რომელიმე ამ მიზეზის გამო.

მუხლი 6

1. თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო მიიღებს ისეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება აუცილებელი გახდეს მისი იურისდიქციის ყველა შემთხვევაში 1-ელ მუხლში გათვალისწინებულ დანაშაულზე, იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი იმყოფება მის ტერიტორიაზე და იგი არ მოახდენს მის ექსტრადაციას აქის შესახებ თხოვნის მიღების შემდეგ იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრიდან, რომლის იურისდიქციაც შესაბამისობაშია იმ სახელმწიფოს სამართლის გათვალისწინებულ იურისდიქციასთან, რომელსაც წარედგინა ასეთი თხოვნა.

2. ეს კონვენცია არ გამორიცხავს რაიმე სახის სისხლის სამართლებრივ იურისდიქციას ეროვნული სამართლის შესაბამისად.

მუხლი 7

ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც აღმოჩნდება 1-ლი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი და რომელიც მიიღებს თხოვნას ექსტრადიციის შესახებ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირობებით, თუ იგი არ ცოახლებს ამ პირის ექსტრადაციას, იგი გადასცემს საქმეს ბრალდებისათვის,

ყოველგვარი გამონაკლისისა და გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, თავისი კომპეტენტურ ორგანოებს. ეს ორგანოები ამ საქმეზე თავის გადაწყვეტილებას მიიღებს მსგავსი სერიოზული დანაშაულისათვის დადგენილი წესით, ამ სახელმწიფოს სამართლის შესაბამისად.

მუხლი 8

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოები გამოიყენებენ ერთმანეთის მიმართ სისხლის სამართლის საკითხებში ურთიერთდახმარების ყველაზე ფართო ზომებს 1-ლი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე მიმდინარე სამართალწარმოებასთან დაკავშირებით. ყველა შემთხვევაში გამოყენებულ იქნება სისხლის სამართლის სფეროში ურთიერთდახმარების შესახებ იმ სახელმწიფოს კანონმდებლობა, რომელსაც წარედგინა თხოვნა ექსტრადიციის შესახებ. ამასთანავე არ შეიძლება უარი ითქვას ამ დახმარებაზე მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ იგი შეეხება პოლიტიკურ დანაშაულს, ან დანაშაულს დაკავშირებულს პოლიტიკურ დანაშაულთან ან პოლიტიკური მოტივებით განპირობებულ დანაშაულს.

2. არაფერი ამ კონვენციაში არ შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც ურთიერთდახმარების ვალდებულება, თუ სახელმწიფოს, რომელსაც მიმართეს ექსტრადიციის თხოვნით, აქვს საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ 1-ლ და მე-2 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე ექსტრადიციის შესახებ თხოვნა განხორციელდა პირის ბრალდების ან დასჯისათვის მისი რასის, რელიგიის, ეროვნების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო, ან თუ პირის მდგომარეობა შეიძლება დამძიმდეს რომელიმე ამ მიზეზის გამო.

3. სისხლის სამართლის საკითხებზე ურთიერთდახმარების შესახებ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის გამოსაყენებელი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ყველა დებულება, სისხლის სამართლის საკითხებში ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის ჩათვლით, შეიცვლება იმდენად, რამდენადაც ისინი შეუსაბამობაში იქნებიან ამ კონვენციასთან.

მუხლი 9

1. უდანაშაულობის საკითხებზე ევროპული კომიტეტი განუწყვეტლივ უნდა იყოს ინფორმირებული ამ კონვენციის გამოყენების შესახებ.

2. იგი მოიმოქმედებს ყველაფერს, რაც საჭირო იქნება ამ კონვენციის აღსრულების პროცესში წარმოქმნილი ნებისმიერი სიძნელის მეგობრულად მოწესრიგების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 10

1. ამ კონვენციის განმარტებასა თუ გამოყენებასთან დაკავშირებით ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, რომელიც არ იქნა მოგვარებული მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

დავის მონაწილე რომელიმე მხარის თხოვნით გაეცნოს საქმის მასალებს და წარადგინოს თავისი მოსაზრებანი საქმესთან დაკავშირებით.

2. სამედიატორო სასამართლო განსაზღვრავს საკუთარ პროცედურას. იგი გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით. მისი გადაწყვეტილება იქნება საბოლოო.

მუხლი 11

1. ეს კონვენცია ღია იქნება ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ. იგი დაექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. სარატიფიკაციო, მიღებისა ან დამტკიცების სიგელების დეპონირება მოხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. ეს კონვენცია ძალაში შევა მესამე სარატიფიკაციო სიგელის, მიღებისა და დამტკიცების საბუთის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

3. იმ ხელმომწერი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომ მოახდენს რატიფიცირებას, მიღებასა თუ დამტკიცებას, ეს კონვენცია ძალაში შევა მისი სარატიფიკაციო, მიღებისა ან დამტკიცების სიგელების დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 12

1. ყოველ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერისას ან მისი სარატიფიკაციო სიგელის, მიღებისა და დამტკიცების საბუთების დეპონირებისას განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გავრცელდება ამ კონვენციის მოქმედება.

2. ყოველ სახელმწიფოს შეუძლია სარატიფიკაციო, მიღებისა ან დამტკიცების სიგელების დეპონირებისას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით გაავრცელოს ამ კონვენციის მოქმედება ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე, რომლებიც განცხადებაში იქნება განსაზღვრული და რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზეც იგი არის პასუხისმგებელი ან რომლის სახელითაც იგი უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებები.

3. წინა პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ასეთ განცხადებაში გათვალისწინებულ ტერიტორიასთან მიმართებით შეიძლება გამოთხოვილი იქნას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით. ასეთი გამოთხოვება ძალაში შევა დაუყოვნებლივ ან ნებისმიერ მომდევნო თარიღზე, რომელიც განსაზღვრულ იქნება ამ შეტყობინებაში.

მუხლი 13

1. ყოველ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერისას ან სარატიფიკაციო სიგელის, მიღებისა თუ დამტკიცების საბუთების დეპონირებისას განაცხადოს, რომ იტოვებს უფლებას უარი თქვას ექსტრადიციაზე 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ დარღვევასთან მიმართებით, რომელსაც იგი მიიჩნევს პოლიტიკურ დანაშაულად, ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად, ან პოლიტიკური მიზეზებით განპირობებულ დანაშაულად, იმის უზრუნველყოფით, რომ დანაშაულის ხასიათის შეფასებისას იგი გაითვალისწინებს დანაშაულის განსაკუთრებული მნიშვნელობის ყოველ ასპექტს, მათ შორის:

(a) რომ მან შეუქმნა კოლექტიური საფრთხე პირთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და თავისუფლებას; ან

(b) რომ ზიანი მიაღგა იმ პირებს, რომელშედაც არ ერცელდებოდა დანაშაულის ჩადენის მოტივაცია; ან

(c) რომ დანაშაულის ჩასადენად გამოყენებულ იქნა ბოროტი ან ეერაგი საშუალება.

2. ყოველ სახელმწიფოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრიე უარყოს დათქმა, რომელიც მან გააკეთა წინა პუნქტის შესაბამისად, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის განცხადების გაგზავნით, რომელიც ძალაში შევა მისი მიღების თარიღიდან.

3. სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დათქმა ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად არა აქვს უფლება მოითხოვოს 1-ლი მუხლის გამოყენება ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიერ; თუმცა, თუ მის მიერ გაკეთებული დათქმა არის ნაწილობრივი ან პირობითი მას შეუძლია, მოითხოვოს 1-ლი მუხლის გამოყენება იმ მოცულობით, რომლითაც მან იგი თავად აღიარა.

მუხლი 14

ყოველ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ნებისმიერი ასეთი დენონსაცია ძალაში შევა დაუყოვნებლივ ან ნებისმიერ მომდევნო თარიღზე, რომელიც მითითებული იქნება ამ შეტყობინებაში.

მუხლი 15

მოცემული კონვენცია წყვეტს მოქმედებას იმ ხელშემკვრელი

სახელმწიფოს მიმართ, რომელიც გავა ევროპის საბჭოდან ან შეწყვეტს მის წევრობას.

მუხლი 16

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

(a) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;

(b) სარატიფიკაციო, მიღებისა ან დამტკიცების სიგელის დეპონირების ნებისმიერი თარიღის შესახებ;

(c) მე-11 მუხლის შესაბამისად ამ კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი ფაქტის შესახებ;

(d) მე-12 მუხლის შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი განცხადებისა თუ შეტყობინების შესახებ;

(e) მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დათქმის შესახებ;

(f) მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ნებისმიერი დათქმის უარყოფის შესახებ;

(g) მე-14 მუხლის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინებისა და დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;

(h) მე-15 მუხლის შესაბამისად კონვენციის მოქმედების ნებისმიერი შეწყვეტის შესახებ.

ამის დასტურად, ქვემორე ხელისმომწერმა სათანადოდ უფლებამოსილმა პირებმა, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია ქ. სტრასბურგში, 1977 წლის 27 იანვარს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუთენტური ტექსტებად, ერთ პირად, რომელიც დეპონირებულ იქნება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს გადაუგზავნის თითოეულ ხელმომწერ სახელმწიფოს.

(რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 27 სექტემბრის N 509 დადგენილებით)

(მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს. 07/20/1999, 04/20/2000, 03/30/2001,
07/23/2003, 02/06/2004, 04/23/2004 ცვლილებებით და დამატებებით)

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შემღუდვა, თუ მაიი გამოელინება არ ღახავს სხვათა უფლებებს.

მუხლი 20

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოერება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შემღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არაეის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოერებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

მუხლი 24

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიმღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიალური მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უმრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებ-

ლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად

მუხლი 37

1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.

2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას.

3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

4. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას.

5. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 41

საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი

(მიღებულია 1995 წლის 23 ივნისს. 09/19/95, 05/28/96, 10/04/96, 12/27/96, 02/21/9, 10/15/97, 10/13/98, 12/24/98, 05/28/99, 10/23/2001,23.07.2003 ცვლილებებით და დამატებებით)

მუხლი 21. საიდუმლოება

1. ბანკის არც ერთ მუშაკს, თანამშრომელს, აუდიტორს, აგენტს ან კორესპოდენტს ან ყოფილ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრს არა აქვს უფლება დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას და გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან გამოიყენოს პირადი სარგებლობისათვის.

2. ზემოთ ჩამოთვლილ პირებს კონფიდენციალური ფაქტობრივი მონაცემები შეუძლიათ გააცნონ მხოლოდ საქართველოს კონგროლის პალატას.

3. ცნობები იურიდიული და ფიზიკური პირების ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ შეიძლება გაიცეს მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი აქტის საფუძველზე. *(23.10.2001 N1114 საკანონმდებლო მაცნე N 32).*

4. ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია და ცნობები აგრეთვე გაიცემა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. *(23.07.2003 N2625)*

მუხლი 56. ეროვნული ბანკისათვის მისაწოდებელი ინფორმაცია

საქართველოს სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ეროვნული ბანკისათვის დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად მიაწვდიან მას ყველა საჭირო სტატისტიკურ, საბუღალტრო და სხვა ინფორმაციას.

(მიღებულია 1999 წლის 22 ივლისს. 09/08/99, 12/10/99, 05/05/2000, 05/30/2000,06/14/2000, 06/30/2000, 12/05/2000, 12/05/2000, 04/10/ 2001, 06/08/2001, 06/19/2001, 06/22/2001, 06/21/2002, 07/04/2002, 07/04/2002, 11/06/2002, 12/28/2002, 05/07/2003, 06/06/2003, 06/06/ 2003, 06/20/2003, 08/14/2003, 08/26/2003, 08/26/2003, 02/13/2004 ცვლილებებით და დამატებებით)

მუხლი 148. ცილისწამება

ცილისწამება დანამაულის დაბრალებით,-

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ორას საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე.

მუხლი 175. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება

1. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება მშვილებლის ნებასურვილის გარეშე,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე.

2. იგივე ქმედება:

ა) იმის მიერ, ვინც ვალდებულია დაიცვას შვილად აყვანის ფაქტი, როგორც სამსახურებრივი ან პროფესიული საიდუმლოება;

ბ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მუხლი 233. ბირთვულ ან რადიაქტიურ ობიექტზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება

1. ბირთვულ ან რადიაქტიურ ობიექტზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება, რასაც შეეძლო გამოეწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება, რამაც სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია,-

ისჯება ტუსაღობით ვადით ექვს თვემდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

მუხლი 247. სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება

1. იმ გარემოების, ფაქტის ან მოვლენის შესახებ ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან გარემოს, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ვალდებული იყო მიეწოდებინა ეს ინფორმაცია მოსახლეობისათვის,-

ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ვადით სამ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი მოხელის მიერ, ან რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მუხლი 251. უსაფრთხოების მოთხოვნებთან შეუსაბამო, უხარისხო საქონლის გამოშვება ან გაყიდვა ანდა უხარისხო სამუშაოს შესრულება ან უხარისხო მომსახურების გაწევა

1. უხარისხო საქონლის გამოშვება ან გაყიდვა ანდა უხარისხო სამუშაოს შესრულება ან უხარისხო მომსახურების გაწევა, რაც არ შეესაბამება მომხმარებლის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის უსაფრთხოების მოთხოვნებს, აგრეთვე ისეთი ოფიციალური დოკუმენტის უკანონოდ გაცემა ან გამოყენება, რომელიც ადასტურებს ამ საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების შესაბამისობას უსაფრთხოების მოთხოვნებთან, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ანდა ორი ან მეტი ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

მუხლი 255. პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება

პორნოგრაფიული ნაწარმოების, ნაბეჭდი გამოცემის, გამოსახულების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადება, გავრცელება ან რეკლამირება, აგრეთვე ასეთი საგნით ვაჭრობა ანდა მისი შენახვა გაყიდვის ან გავრცელების მიზნით,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

მუხლი 255[1]. არასრულწლოვნის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში

არასრულწლოვნის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების, ნაბეჭდი გამოცემის, გამოსახულების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებაში, გავრცელებაში, რეკლამირებაში ან ამგვარი საგნით ვაჭრობაში, აგრეთვე არასრულწლოვნის გამოსახულების ან ხმის გამოყენება პორნოგრაფიულ მასალებში, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

შენიშვნა:

არასრულწლოვანთა პორნოგრაფიად განისაზღვროს ნებისმიერი სახის ვიზუალური ან აუდიო მასალა, რომელშიც არასრულწლოვანი გამოიყენება სექსუალურ კონტექსტში – ვიზუალურად გამოისახება არასრულწლოვნის მონაწილეობა ნამდვილ ან სიმულირებულ სექსუალურ სცენებში ან მომხმარებლის სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ნაჩვენებია არასრულწლოვნის გენიტალური ორგანოები, აგრეთვე ამგვარი მასალის დამზადება, გავრცელება და მოხმარება. *(20.06.2003 N 2458)*

მუხლი 256. ისეთი ნაწარმოების დამზადება ან გავრცელება, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობის ან სისასტიკის კულტს

დამზადება, გავრცელება, ჩვენება ან შენახვა გავრცელებისა და ჩვენების მიზნით კინოფილმისა, ვიდეოფილმისა ან სხვაგვარი ნაწარმოებისა, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობის ან სისასტიკის კულტს,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

მუხლი 284. კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა

1. კანონით დაცულ კომპიუტერულ ინფორმაციასთან, ესე იგი მანქანა-მატარებელზე, ელექტრო-გამომთვლელ მანქანაზე (ეგმ-ზე), ეგმ-ის სისტემაში ან მათ ქსელში ასახულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა, რამაც ინფორმაციის განადგურება, ბლოკირება, მოდიფიცირება ან ანდა ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის მუშაობის მოშლა გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) იმის მიერ, ვისაც ხელი მიუწვდებოდა ეგმ-ზე, ეგმ-ის სისტემაზე ან მათ ქსელზე,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან ტუსაღობით ვადით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.(05.05.2000)

მუხლი 285. ეგმ-ის დამაზიანებელი პროგრამის შექმნა, გამოყენება ან გავრცელება

1. ეგმ-ის დამაზიანებელი პროგრამის შექმნა ან არსებულ პროგრამაში ცვლილების შეტანა, რაც განზრახ იწვევს ინფორმაციის არასანქციონირებულ განადგურებას, ბლოკირებას, მოდიფიცირებას ან გადაღებას ანდა ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის მუშაობის მოშლას, აგრეთვე ასეთი პროგრამის ან ასეთი პროგრამის მემცველი მანქანა-მატარებლის გამოყენება ან გავრცელება,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

მუხლი 286. ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის ექსპლუატაციის წესის დარღვევა

1. ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის ექსპლუატაციის წესის დარღვევა იმის მიერ, ვისაც ხელი მიუწვდებოდა ეგმ-ზე, ეგმ-ის სისტემაზე ან მათ ქსელზე, რამაც გამოიწვია ეგმ-ის კანონით დაცული ინფორმაციის განადგურება, ბლოკირება, მოდიფიცირება ან გადაღება ანდა რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოცდან ორას საათამდე ანდა თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

მუხლი 313. სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა

1. სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა, ესე იგი საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების მიწოდება ან მისი საჯაროდ გამჟღავნება, აგრეთვე ამავე მიზნით სხვა ქმედება, რომელიც სახელმწიფო საიდუმლო-

ბას გარეშესათვის ხელმისაწვდომს ხდის, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ასეთი საიდუმლოება იცოდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ან ვისაც ის გაანდეს განსაკუთრებულ გარემოებასთან დაკავშირებით,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი ომიანობის დროს, ან რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მუხლი 314. ჯაშუშობა

1. უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვება, შენახვა ან გადაცემა ანდა გამოძალვა ან გატაცება მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დამტერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

2. ჯაშუშობა, ჩადენილი ომიანობის ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ან რამაც საქართველოს ინტერესისათვის მძიმე შედეგი გამოიწვია,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან ოც წლამდე.

მუხლი 320. სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება

1. სახელმწიფო საიდუმლოების განზრახ ან გახმაურება იმის მიერ, ვინც ასეთი საიდუმლოება იცოდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ან ვისაც ის გაანდეს, თუ არ არის ამ კოდექსის 313-ე ან 314-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ნიშნები,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია საქართველოს ინტერესისათვის მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მუხლი 321. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევა

1. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტისადმი ან საგ-

ნისადმი მოპყრობის წესის განშრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევა, რამაც ასეთი დოკუმენტის ან საგნის დაზიანება, განადგურება ან დაკარგვა გამოიწვია,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება ან სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მუხლი 324[1]. კიბერტერორიზმი

1. კიბერტერორიზმი, ესე იგი კანონით დაცული კომპიუტერული ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, მისი გამოყენება ან გამოყენების მუქარა, რაც ქმნის მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან/და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე.

2. იგივე ქმედება, რამაც ადამიანის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით. *(28.12.2002 N 1908)*

მუხლი 331. ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება

ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ან ტუსაღობით სამ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

მუხლი 341. სამსახურებრივი საიდუმლოების

სამსახურებრივი საიდუმლოების, ესე იგი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ყალბი ცნობის ან ჩანაწერის შეგანა ოფიციალურ დოკუმენტში ან დავთარში, ანდა ყალბი დოკუმენტის შედგენა ან გაცემა, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის საქმეში არსებული ოფიციალური ან კერძო დოკუმენტის გაყალბება, ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი მოგვით,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

მუხლი 350. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიისათვის ცრუ ახსნა-განმარტების მიცემა

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიისათვის ცრუ ახსნა-განმარტების მიცემა,-

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოცდაათ ორას ორმოც საათამდე ან თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ანდა ტუსაღობით ვადით ორ თვემდე.

მუხლი 351. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მონაცემის გახმაურება

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის ძონაცემის სათანადო ნებართვის გარეშე გახმაურება,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა ტუსაღობით ვადით ორიდან ოთხ თვემდე.

მუხლი 354. სამართალდამცავი ან მაკონტროლებელი ორგანოს მოხელის მიმართ გამოყენებული დაცვის ზომის შესახებ მონაცემის გახმაურება

1. სამსახურებრივი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით სამართალდამცავი ან მაკონტროლებელი ორგანოს მოხელის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ გამოყენებული დაცვის ზომის შესახებ ძონაცემის გახმაურება,-

ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ვადით ოთხ თვემდე.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

მუხლი 355. ქონებრივი მდგომარეობის ან საფინანსო დეკლარაციის წარუდგენლობა ანდა დეკლარაციაში არასრული ან არასწორი მონაცემის შეტანა

ქონებრივი მდგომარეობის ან საფინანსო დეკლარაციის წარდგენისათვის ჯიუტად თავის არიდება ანდა დეკლარაციაში განზრახ არასრული ან არასწორი მონაცემის შეტანა,-

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ორას საათამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მუხლი 367. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის, სამართალწარმოების ანდა სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილის უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოების გახმაურება

1. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის ან სამართალწარმოების სხვა მონაწილის, აღმასრულებლის, დამარალებულის, მოწმის ან სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილის ანდა მისი ახლო ნათესავის უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოების გახმაურება იმის მიერ, ვინც ასეთი საიდუმლოება იცოდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ან ვისაც ის გაანდეს,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა ტუსაღობით ვადით ოთხ თვემდე.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

მუხლი 370. ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა ან არასწორი თარგმანი

1. მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა ან ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემა ანდა თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორად თარგმნა გამოძიების დროს ან სასამართლოში,-

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა ტუსაღობით ვადით სამ თვემდე.

2. იგივე ქმედება, თუ მას თან ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

შენიშვნა: მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი ან თარჯიმანი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი მოკლეების ან წინასწარი გამოძიების პროცესში ანდა განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებაყოფლობით განაცხადებს მის მიერ ცრუ ჩვენების ან ყალბი დასკვნის მიცემის ანდა განზრახ არასწორად თარგმნის შესახებ.

მუხლი 373. ცრუ დასმენა

დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენა,-

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ან ტუსაღობით ვადით ორიდან ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, თუ მას თან ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, ანდა ბრალდების მტკიცებულების ხელოვნურად შექმნა,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე.

მუხლი 374. მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემის გახმაურება

მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემის გახმაურება იმის მიერ, ვინც კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული იყო მისი გახმაურების აკრძალვის შესახებ,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა ტუსაღობით ვადით სამ თვემდე.

მუხლი 375. დანაშაულის დაფარვა

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად,-

ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ვადით სამიდან ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

შენიშვნა: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც წინასწარ შეუპირებლად დაფარა ახლო ნათესაეის დანაშაული.

მუხლი 376. დანაშაულის შეუტყობინებლობა

შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული,-

ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ვადით სამიდან ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

(მიღებულია 1999 წლის 25 ივნისს. 09/09/99, 10/26/2001, 02/13/2004 ცვლილებებით და დამატებებით)

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

მ) საჯარო ინფორმაცია – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია;

ნ) საიდუმლო ინფორმაცია – საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას. *(2.03.2001N772)*

მუხლი 10. საქვეყნოობა

1. ყველას აქვს უფლება გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.

2. ადმინისტრაციულ ორგანოში არსებული საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე მათი ასლების მიღების წესი განისაზღვრება ამ კოდექსის III თავით.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს საკითხის საჯაროდ განხილვა, თუ ამას ითვალისწინებს კანონი.

მუხლი 11. საიდუმლოობა

ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნით გამოიყენოს ადმინისტრაციული წარმოების დროს მიღებული ან შექმნილი საიდუმლო ინფორმაცია. პასუხისმგებლობა ასეთი სახის ინფორმაციის გამჟღავნების ან გამოყენებისათვის დგება კანონით განსაზღვრული წესით. ეს არ შეიძლება გახდეს ამ კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი. (2.03.2001)

მუხლი 27. ტერმინთა განმარტება

ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს ამ თავის მიზნებისათვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საჯარო დაწესებულება – სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, აგრეთვე პირი, რომელიც კანონმდებლობის ან ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო დაწესებულების სახელით ასრულებს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს; საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დაფინანსებას იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან;

ბ) კოლეგიური საჯარო დაწესებულება – საჯარო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ერთზე მეტი საჯარო მოხელისაგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთზე მეტი საჯარო მოხელე ერთობლივად იღებს ან ამზადებს;

გ) კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრი – საჯარო მოხელე, რომელიც ხმის უფლებით მონაწილეობს კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში ან მომზადებაში;

დ) თანამდებობის პირი – "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი;

ე) სხდომა – საჯარო დაწესებულების სახელით გადაწყვეტილების მიღების ან ამ გადაწყვეტილების მომზადების მიზნით დაწესებულების წევრთა მიერ საკითხის განხილვა;

ვ) გამოქვეყნება – კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში საჯარო ინფორმაციის შეტანა და საჯარო ინფორმაციის სამოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ზ) საჯარო მონაცემთა ბაზა – საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოხელის მიერ სისტემურად შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები;

თ) პერსონალური მონაცემები – საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა;

ი) აღმასრულებელი პრივილეგია – საჯარო დაწესებულებებისა და საჯარო მოხელეების გათავისუფლება ამ თავით გათვალისწინებული მოვალეობებისაგან.

მუხლი 28. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საჯარო ინფორმაცია ღიაა გარდა საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ანდა, როდესაც ღიაობა აშკარად და გარდაუვლად არსებით ზიანს მიაყენებს:

ა) ეროვნულ უსაფრთხოებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა დაემუქრება დაგეგმილი ან განხორციელების პროცესში მყოფი სამხედრო, სადაზვერვო ან დიპლომატიურ ქმედებათა განხორციელებას და მათ მონაწილეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას;

ბ) სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებას, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა საფრთხეს შეუქმნის სამართალდამცავი ან სადაზვერვო სამსახურების კონფიდენციალური წყაროების იდენტიფიცირებას, ხელს შეუშლის დანაშაულის თავიდან აცილებას, გამოვლენას, აღკვეთასა და დამნაშავეის პასუხისგებაში მიცემას, საფრთხეს შეუქმნის ნებისმიერი პირის სიცოცხლესა და ფიზიკურ უსაფრთხოებას ან შელახავს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის უფლებას გამოძიების საიდუმლოებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოტანილია დადგენილება ამ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ძებნის შესახებ.

მუხლი 29. აღმასრულებელი პრივილეგია

თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოხელეთა ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით.

მუხლი 30. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ

გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ კანონი აწესებს მისი გამხელისაგან დაცვის პირდაპირ მოითხოვნას, ადგენს ინფორმაციის გამხელისაგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს და შეიცავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს.

მუხლი 31. საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადის გაგრძელება

გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების ან მისი ვადის გაგრძელების შესახებ, გარდა საკანონმდებლო აქტით დადგენილი შემთხვევებისა, შეიძლება მიღებულ იქნეს არა უმეტეს 5 წლის ვადით. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების, ვადის გაგრძელების, აგრეთვე პერსონალურ მონაცემთა შეგროვებისა და

დამუშავების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს მათი მიღებიდან 3 დღის ვადაში.

მუხლი 32. სხდომათა საჯაროობა

თითოეული კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 33. საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნების წესი

საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდეგ საიდუმლო საჯარო ინფორმაციის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების დახურული სხდომის ოქმის გონივრულ ფარგლებში გამოცალკევებადი ნებისმიერი ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 34. საჯარო დაწესებულების დახურული სხდომა

კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, აგრეთვე მისი ჩატარების ადგილის, დროის, დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – მისი დახურვის შესახებ. სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შეცვლა დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს. კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია გამოაქვეყნოს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად გამართული სახელობითი კენჭისყრის შედეგები და გადაწყვეტილების ოქმი.

მუხლი 35. საჯარო რეესტრი

საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 2 დღის ვადაში საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების შექმნის, დამუშავების, გამოცემის, თარიღის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან/და რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია.

მუხლი 36. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

1. ყველას აქეს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია

უზრუნველყოს მედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი. (2.03.2001)

2. საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. განცხადებაში აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას. *(2.03.2001N772)*

მუხლი 38. საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა.

მუხლი 39. პერსონალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და ამ კოლექსის თანახმად სხვა პირებისათვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. პირს აქვს უფლება გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები.

მუხლი 40. საჯარო ინფორმაციის გაცემა

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

2. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს. *(2.03.2001N772)*

მუხლი 41. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა

1. საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გადაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. *(2.03.2001N772)*

2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, შემთხვევაში

საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

მუხლი 41[1]. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ

ამ კოდექსის 27[2] მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ამ მუხლში მითითებული ვადების გასვლისთანავე. *(2.03.2001N772)*

მუხლი 42. ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია

ყველას აქვს უფლება იცოდეს:

ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

ბ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;

გ) საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;

დ) საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალებათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;

ე) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;

ვ) არსებით თანამდებობაზე პირის არსებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;

ზ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;

თ) საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;

ი) საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;

კ) საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების

არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოსდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ ინფორმაციის გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;

ლ) იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;

მ) საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია.

ნ) ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიწვდომილი სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებად. *(2.03.2001N772)*

მუხლი 43. პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი

საჯარო დაწესებულება ვალდებულია:

ა) შეაგროვოს, დაამუშაოს და შეინახოს მხოლოდ ის მონაცემები, რომელთა შეგროვების უფლებას მას პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს კანონი და რომლებიც აუცილებელია ამ საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად;

ბ) არ დაუშვას საჯარო დაწესებულების მიერ ისეთი სახის პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა ან გაცემა, რომელიც დაკავშირებულია პირის რელიგიურ, სექსუალურ ან ეთიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ ან მსოფლმხედველობრივ შეხედულებებთან; *(2.03.2001N772)*

გ) შეიმუშაოს და დანერგოს მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და შემადგენლობის კანონით განსაზღვრულ მიზნებთან და ვადებთან შესაბამისობის კონტროლის პროგრამა;

დ) პირის მოთხოვნით ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაანადგუროს კანონით განსაზღვრული მიზნებით გათვალისწინებული, აგრეთვე არაზუსტი, არასარწმუნო, არასრული და საქმესთან დაუკავშირებელი მონაცემები და შეცვალოს ისინი ზუსტი, სარწმუნო, დროული და სრული მონაცემებით;

ე) შეინახოს შესწორებული მონაცემები, მათი გამოყენების დროის მითითებით, შესაბამის მონაცემებთან ერთად მათი არსებობის შანძილზე, მაგრამ არანაკლებ 5 წლის განმავლობაში;

ვ) პერსონალური მონაცემების შეგროვებისას მიმართოს იმ პირს, რომელზედაც გროვდება ინფორმაცია, აგრეთვე სხვა წყაროებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ამოიწურა პირველწყაროდან პერსონალური მონაცემების მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი მას პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს განსაზღვრული

კატეგორიის პირების შესახებ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის უფლება;

ზ) საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების, აგრეთვე მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების მოთხოვნის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ;

თ) დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის პირს მის უკანასკნელ ცნობილ მისამართზე მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ მისი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის შესახებ, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ი) პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემამდე კიდევ ერთხელ მიიღოს ყველა ეონიერული ზომა იმის გადასამოწმებლად, არის თუ არა ისინი ზუსტი, საქმესთან კავშირში მყოფი, დროული და სრული;

კ) პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვისას აცნობოს შესაბამის პირს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები; სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მისთვის პერსონალური მონაცემების მიცემა; პერსონალურ მონაცემთა წყაროები და შემადგენლობა; აგრეთვე იმ მესამე პირების შესახებ, რომელთაც შეიძლება გადაეცეთ პერსონალური მონაცემები.

მუხლი 44. პერსონალური მონაცემების საიდუმლოება

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა;

2. პირს უფლება აქვს პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის შესახებ საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილება გაასაჩივროს ერთი თვის ვადაში. *(2.03.2001N772)*

3. სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება პერსონალური მონაცემების განსაიდუმლოების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სხვა მტკიცებულებებით საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და ამოიწურა სხვა წყაროდან ამ ინფორმაციის მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა.

მუხლი 45. პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობა

პერსონალური მონაცემები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად მხოლოდ პირის იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით.

მუხლი 46. მონაცემებში შესწორების შეტანა ან მათი განადგურება

პირს უფლება აქვს მოითხოვოს მონაცემებში შესწორების შეტანა ან უკანონოდ მოპოვებული მონაცემების განადგურება. პერსონალური ინფორმაციის შეგროვების კანონიერების თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება საჯარო დაწესებულებას. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანამდე პირის განცხადება საჯარო ინფორმაციის უბუსტობის შესახებ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და თან უნდა დაერთოს მას. აღნიშნულ საკითხზე საჯარო დაწესებულება ან საჯარო მოსამსახურე გადაწყვეტილებას იღებს 10 დღის ვადაში.

მუხლი 47. გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა. ზიანის ანაზღაურება

1. პირს აქვს უფლება საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოხელის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება;

ა) საჯარო ინფორმაციის გაცემამდე უარის თქმის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას;

ბ) არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის;

გ) პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელებისას, აგრეთვე მათი სხვა პირისა ან საჯარო დაწესებულებისათვის უკანონოდ გადაცემისას;

დ) საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას.

2. მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოსამსახურეს.

მუხლი 48. სასამართლოს მიერ გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოთხოვა

სასამართლოს მხარის შუამდგომლობით უფლება აქვს გამოითხოვოს და განიხილოს გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაცია მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლის მიზნით. სასამართლოს უფლება აქვს ეს განხილვა აწარმოოს დახურულ სხდომაზე.

მუხლი 49. ანგარიშის წარდგენა

ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო დაწესებულება ვალდებულია წარუდგინოს ანგარიში საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს:

ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე;

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ.

ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ;

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ. (2.03.2001)

მუხლი 50. აღრე არსებული საჯარო ინფორმაციის ღიაობა

ამ კოდექსის 28-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია, გარდა კომერციული, პროფესიული და პირადი საიდუმლოებისა, ღიაა, თუ იგი შექმნილი, გაგზავნილი ან მიღებულია 1990 წლის 28 ოქტომბრამდე, ამ ინფორმაციაში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით მათი სიცოცხლის მანძილზე.

(მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს. 02/19/99, 03/19/99, 06/22/99, 12/05/2000, 02/14/2002, 12/28/2002, 06/20/2003, 07/23/2003, 08/26/2003 ცვლილებებით და დამატებებით)

მუხლი 18. პირადი არაქონებრივი უფლებები

1. ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.

2. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება. იგივე წესი გამოიყენება ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნებისათვის, თუკი ამით ილახება პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია.

3. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამაღე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

4. პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

5. ამ მუხლის პირველ და მე-**2** ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება [ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.] გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება [ვიდეოგადაღება და ა.შ.] დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება [ვიდეოგადაღება და ა.შ.] მოხდა სამოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს მიანის [მარალის]

ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

მუხლი 19. პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ

მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქეს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და ვრძელდება სიკვდილის შემდეგაც. სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია

მუხლი 610. განდობილი ინფორმაციის შენახვის ვალდებულება

ხელშეკრულების დადებისას მხარეებმა დაუფარავად და სრულყოფილად უნდა გააცნონ ერთმანეთს ფრენშაიზინგთან დაკავშირებული საქმის გარემოებანი, განსაკუთრებით კი - ფრენშაიზინგის სისტემა, და ერთმანეთს კეთილსინდისიერად მისცენ ინფორმაცია. ისინი ვალდებულნი არიან არ გაამჟღავნონ მათთვის განდობილი ინფორმაცია მაშინაც კი, როცა ხელშეკრულება არ დაიდება.

მუხლი 714. საიდუმლოების შენახვის ვალდებულება

1. რწმუნებული მოვალეა არ გაახმაუროს თავისი საქმიანობის ფარგლებში მისთვის ცნობილი ფაქტები, რომელთა საიდუმლოდ შენახვითაც მარწმუნებელი მართლმომიერადაა დაინტერესებული, თუკი კანონის საფუძველზე არ არსებობს საიდუმლოების გამჟღავნების მოვალეობა, ან მარწმუნებელი ნებას არ დართავს რწმუნებულს გაამჟღავნოს იგი. *(28.12.2002 N1902)*

2. ფაქტების გაუხმაურებლობის მოვალეობა არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობების დამთავრების შემდეგაც.

მუხლი 863. საიდუმლოების დაცვის ვალდებულება

1. საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია დაიცვას ანგარიშთან დაკავშირებული და სხვა ისეთი ფაქტების საიდუმლოება, რომლებიც ცნობილი გახდა მისთვის ანგარიშის მფლობელთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც კანონითაა გათვალისწინებული, ან, თუ საქმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას, რომლითაც არ ილახება ანგარიშის მფლობელის ინტერესები.

2. საკრედიტო დაწესებულების ეს მოვალეობა ძალაშია ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

მუხლი 993. ბიანის მომგანი ცნობების გახმაურების შედეგები

1. პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლად ავრცელებს ან ახმაურებს სხვა პირისათვის ქონებრივი ბიანის მომგან ფაქტებს, ვალდებულია აანაზღაუროს აქედან წარმოშობილი ბიანი, თუ ეს ფაქტები აშკარად არასწორია.

2. ბიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა ისეთი გამონათქვამებისას, რომლებიც ემსახურება კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას.

მუხლი 1105 საწარმოო-კომერციული საიდუმლოს დაცვა

1. მეწარმეს, რომელიც ფლობს საწარმოო-კომერციულ საიდუმლოებას (ნოუ-ჰაუს), რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ ან კომერციულ ინფორმაციას, რაც დასტურდება მისი საიდუმლოდ შენახვისათვის გაწეული აუცილებელი და საკმარისი ღონისძიებით, განსაკუთრებული უფლება აქვს ამ ინფორმაციაზე.

2. ნოუ-ჰაუზე განსაკუთრებული უფლების დაცვა ხორციელდება ამ კოდექსითა და სამრეწველო საკუთრების შესახებ სხვა საკანონმდებლო აქტებით.

(მიღებულია 1984 წლის 15 დეკემბერს. 12/13/2000, 03/02/2001, 03/02/2001, 06/19/2001, 06/22/2001, 09/28/2001, 10/12/2001, 12/18/2001, 03/01/2002, 06/21/2002, 07/04/2002, 07/04/2002, 07/04/2002, 07/04/2002, 11/06/2002, 11/19/2002, 11/19/2002, 11/22/2002, 12/25/2002, 03/28/2003, 03/28/2003, 05/07/2003, 05/08/2003, 06/06/2003, 06/06/2003 06/20/2003, 07/18/2003, 07/23/2003, 08/14/2003, 08/26/2003, 12/05/2003,02/24/2004 ცვლილებებით და დამატებებით)

მუხლი 42[3]. დასაქმების კერძო სააგენტოების საავალდებულო შეტყობინების გარეშე საქმიანობა და დასაქმების სახელმწიფო სამსახურში ინფორმაციის წარდგენის წესების დარღვევა

„დასაქმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დასაქმების სახელმწიფო სამსახურისადმი მიუწოდებლობა ან ამავე კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საავალდებულო შეტყობინების გარეშე დასაქმების კერძო სააგენტოების საქმიანობა,–

გამოიწვევს დაჯარიმებას ოცი მინიმალური ხელფასის ოდენობით.

იგივე ქმედება, ჩადენილი ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში,–

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათი მინიმალური ხელფასის ოდენობით. *(ძალაშია 2002 წლის 1 იანვრიდან 28.09.2001 N 1090)*

მუხლი 55[3]. მიწის ფონდებზე, მიწების მდგომარეობასა და გამოყენებაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება, მიწის გამოყოფის თაობაზე განაცხადის, შუამდგომლობის, საჩივრების განხილვის ვადების დარღვევა

მიწის ფონდებზე, მიწების მდგომარეობისა და გამოყენებაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება, მიწის გამოყოფის თაობაზე განაცხადის, შუამდგომლობის საჩივრების განხილვის ვადების დარღვევა, -

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 57. წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოების დარღვევა

წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოების მოთხოვნების დარღვევა, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა ან მოჰყვა მიწისქვეშა

წყლებზე დაკვირვების სარეჟიმო ჭაბურღილების, სამარკშეიდერო და გეოლეზიური ნიშნების მოსპობა ან დაზიანება, ისტორიისა და კულტურის ძეგლების, მათი ტერიტორიებისა და დაცული ზონების სელექცია, ტოპოლოგიური ინფორმაციის საკუთრების უფლების დარღვევა, წიაღის შესახებ დაგეგმარებული ან ცრუ ინფორმაციის შეგნებულად მიწოდება, -გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან სამოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 61[1]. წყალსარგებლობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების, წყლის პირველადი და სახელმწიფო აღრიცხვის, წყლის სახელმწიფო კადასტრის წარმოების წესების დარღვევა

წყლის მდგომარეობაზე შეგაელენის მოხდენა ავარიული სიტუაციების, ზალპური წყალჩაშვების, სხვა განსაკუთრებული სიტუაციების შესახებ ინფორმაციის დამალვა ან დამახინჯება, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ორას ლარამდე, თანამდებობის პირთა – ორმოცდაათიდან ორას ლარამდე.

წყლის პირველადი აღრიცხვის წარმოების წესის დარღვევა, წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და კადასტრის შესაბამისათვის საჭირო მონაცემების წარდგენის წესის დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ას ლარამდე.

წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და სახელმწიფო კადასტრის წარმოების წესის დარღვევა, -

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას ასიდან ას ორმოცდაათ ლარამდე.

მუხლი 144[8]. საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიუწოდებლობა

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის მისი უფლებამოსილების განბორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიუწოდებლობა,

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 153. მეწარმე სუბიექტების მიერ ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევა

1. მეწარმე სუბიექტების მიერ ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე.

2. გასაყიდი საქონლის (მომსახურების) ფასის მაჩვენებლების (პრეისკურანტის) გამოუკვრელობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ასი მინიმალური ოდენობით.

3. დამამზადებლის (შემსრულებლის, გამყიდველის), აგრეთვე იმპორტიორის მიერ მომხმარებლისათვის მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაციის მიუწოდებლობა, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება –

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ას ორმოცდაათ ლარამდე.

4. რეალიზატორის მიერ პროდუქციის რეალიზაცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაციის ქართულ ენაზე მიწოდების გარეშე, აგრეთვე ქართულ ენაზე არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას ორასიდან ოთხას ლარამდე, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას ხუთასიდან რვაას ლარამდე.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას ხუთასიდან რვაას ლარამდე, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას რვაასიდან ათას ხუთას ლარამდე. *(22.11.2002 N 1770)*

მუხლი 157[1]. ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარის უკანონო რეპროდუცირება

ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარის უკანონო რეპროდუცირება გაყიდვის, გაქირავების ან გამოყენების მიზნით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე, რეპროდუცირებული ეგზემპლარების კონფისკაციით.

იგივე ქმედება ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე, რეპროდუცირებული ეგზემპლარების კონფისკაციით.

შენიშვნა: კონფისკებული რეპროდუცირებული ეგზემპლარები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გადაეცემა საავტორო ან მომიჯნავე უფლების მფლობელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 157[2]. ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის

ეგზემპლარებზე მითითებული ინფორმაციის გაყალბება

ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარებზე მითითებული ინფორმაციის გაყალბება, დამამზადებლის ან დამზადების ადგილის შესახებ ყალბი ინფორმაციის მითითება, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარების კონფისკაციით.

იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეუარდებული ჰქონდა აღმინისტრაციული სახდელი, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარების კონფისკაციით.

შენიშვნა: კონფისკებული რეპროდუცირებული ეგზემპლარები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გადაეცემა საავტორო ან მომიჯნავე უფლების მფლობელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 157[3]. ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარებზე საავტორო უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის შეცვლა ან განადგურება

ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარებზე საავტორო უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის შეცვლა ან განადგურება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეუარდებული ჰქონდა აღმინისტრაციული სახდელი, -

გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან ხუთი ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარების კონფისკაციით.

შენიშვნა: კონფისკებული რეპროდუცირებული ეგზემპლარები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გადაეცემა საავტორო ან მომიჯნავე უფლების მფლობელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 159[3]. სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობა

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდა ათას ლარამდე.

მუხლი 159[9]. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციის მიუწოდებლობა

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით ან შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი ინფორმაციის მიუწოდებლობა, ან ყალბი ინფორმაციის მიწოდება –

გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე. *(12.10.2001 N1107)*

მუხლი 165. საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების გახსნის წესის დარღვევა და ბიუჯეტში თანხების გადარიცხვაზე დავალებების შეუსრულებლობა

ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ საგადასახადო ორგანოებში აღრიცხვაზე აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტების წარუდგენლად გადამხდელთათვის საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების გახსნა და ანგარიშების გახსნის შესახებ საგადასახადო ორგანოებში ინფორმაციის წარუდგენლობა, აგრეთვე ბიუჯეტში თანხების გადარიცხვაზე საგადასახადო დავალებების (განკარგულებების) მიუღებლობა და მიღებული საგადასახადო დავალებების (განკარგულებების) უწინარესად შეუსრულებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ასოცდაათ ლარამდე.

მუხლი 165[4]. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების წესების დარღვევა

1. ემიტენტების მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების წესების დარღვევა, -

გამოიწვევს ემისიის პროსპექტის ხელმომწერი პირების დაჯარიმებას 10000 ლარამდე.

2. პირის მიერ საბოლოო პროსპექტის გარეშე ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება ან პროსპექტის გამოყენება, რომლის დამეიცებაც შეცრებული ან გაუქმებულია კომისიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 10000 ლარამდე.

3. ემისიის პროსპექტში არსებითი უზუსტობები და არსებითი მოვლენის გამოტოვება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 10000 ლარამდე.

4. ემიტენტების, ფასიანი ქაღალდების მფლობელების, საბროკერო კომპანიების მმართველების და ბროკერების მიერ საჯარო შეთავაზების

თაობაზე პროსპექტის დამტკიცებამდე ინფორმაციის გასმაურება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

5.ემიტენტების მიერ ფასიანი ქაღალდების ემისიის ან სხვა სათანადო ანგარიშების დადგენილი წესით წარუდგენლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარამდე.

6.ემიტენტის მმართველი ორგანოს ნებისმიერი წევრის მიერ ემისიის პროსპექტში შესწორებების შეუტანლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

7. ამოღებულია *(18.07.2003 N2515)*

მუხლი 165[5]. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევა

1. ემიტენტის მიერ ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების მოთხოვნის დარღვევა, -

გამოიწვევს მმართველი ორგანოს წევრების დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

2. ემიტენტის მიერ ფასიანი ქაღალდების ლიცენზირებული რეგისტრატორის შერჩევის თაობაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუტყობინებლობა, -

გამოიწვევს მმართველი ორგანოს წევრების დაჯარიმებას 400 ლარამდე.

3. ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშების მოუმზადებლობა ან/და დადგენილ ვადაში წარუდგენლობა, -

გამოიწვევს მმართველი ორგანოს წევრების დაჯარიმებას 2000 ლარამდე.

4. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშში არსებითი ინფორმაციის არასწორად ან არასრულად შეტანა, -

გამოიწვევს მის დაჯარიმებას 2000 ლარამდე.

5. პირის მიერ ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების შეძენის თაობაზე ანგარიშის ან/და შეტყობინების წარუდგენლობა, თუ მას კანონმდებლობით დადგენილი წესით ევალებოდა აღნიშნული ანგარიშის ან/და შეტყობინების წარდგენა,-

გამოიწვევს თითოეულ წარუდგენელ ანგარიშზე ან/და შეტყობინებაზე ამ პირის დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

6. პირის მიერ საგენდერო შეთავაზების წესების დარღვევა, -

გამოიწვევს მის დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

7. პირის მიერ მინდობილობის თხოვნასთან დაკავშირებული წესების დარღვევა, -

გამოიწვევს მის დაჯარიმებას 500 ლარამდე. *(18.07.2003 N2515)*

მუხლი 165[6]. ლიცენზირების წესების დარღვევა

1.ფასიანი ქაღალდების ბაზრის იმ მონაწილის მიერ, რომელსაც მოეთხოვება ლიცენზია, ლიცენზიი მიღების გარეშე ოპერაციების განხორციელება, ან ლიცენზირებულად თავის მოჩვენება, ან საქმიანობის გაგრძელება, როდესაც მისი ლიცენზია შეჩერებული ან გამოთხოვილია, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარით.

2.დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ წარდგენილ განცხადებაში შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის შეტანა ან არსებითი ინფორმაციის გამოტოვება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

მუხლი 165[9]. ფასიანი ქაღალდის მიმოქცევის სხვა წესების დარღვევის წესების დარღვევა

1. პირის მიერ საჯარო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ლიცენზირებული საბროკერო კომპანიის გარეშე, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარამდე.

2. პირის მიერ კანონის დარღვევით საჯარო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა იმ საფონდო ბირჟის (ბირჟების) გარეთ, რომლებშეც ხორციელდება ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარამდე.

3. პირის მიერ ინსაიდერული ინფორმაციი ბოროტად გამოყენება (ინსაიდერული ვაჭრობა), -

გამოიწვევს დაჯარიმებას 10000 ლარამდე.

4. პირის მიერ ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელობასთან დაკავშირებით დადგენილი წესების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარამდე.

5. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე თაღლითობასა და მანიპულაციაში პირის მონაწილეობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 10000 ლარამდე.

6. პირის მიერ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წერილობითი მოთხოვნის შეუსრულებლობა, მისთვის შემოწმების ჩატარებაში ხელის შეშლა, კანონმდებლობის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის ან დოკუმენტის წარუდგენლობა ან/და არასწორი ან არასრული ინფორმაციის ან დოკუმენტის წარდგენა, -

გამოიწვევს მის დაჯარიმებას 1500 ლარამდე. *(18.07.2003 N2515)*

მუხლი 177[5]. სერტიფიკაციის შესახებ დადგენილი ნორმებისა და წესების დარღვევა

სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის რეალიზაცია დადგენილი წესით გაცემული ან აღიარებული შესაბამისობის სერტიფიკატის გარეშე, აგრეთვე სარეალიზაციო პროდუქციის თანმხლებ ტექნიკურ დოკუმენტაციაში ამ პროდუქციაზე აუცილებელი ცნობების შეუგანლობა და მომხმარებლისათვის ამ ინფორმაციის მიუწოდებლობა,_

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან სამოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე, პროდუქციის კონფისკაციით ან უამისოდ.

იმ პროდუქციის რეალიზაციის შეუჩერებლობა, რომელიც არ პასუხობს სერტიფიკაციის მოთხოვნებს, ვადაგასული ან შეჩერებული (გაუქმებული) სერტიფიკატით სარგებლობა, _

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ასიდან ორას მინიმალურ ოდენობამდე, პროდუქციის კონფისკაციით ან უამისოდ.

საქართველოს კანონი

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) განცხადება – ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან მესამე პირს გააცნო;

ბ) აზრი – შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შესედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დაღასტურებად ან უარყოფად ფაქტს;

გ) გამოხატვის საგანი – თემა ან საკითხი, რომლის შესახებაც მიმდინარეობს მსჯელობა და ამა თუ იმ თვალსაზრისის გამოხატვა;

დ) შოწოდება – განცხადება, რომლის ავტორიც მიზნად ისახავს ან აშკარად უშვებს გარკვეული ქმედების გამოწვევას;

ე) ცილისწამება – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება;

ვ) უხამსობა – განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს;

ზ) საზოგადოებრივი ყურადღება – საზოგადოების ინტერესი (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობა) იმ მოვლენისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან;

თ) ადმინისტრაციული ორგანო – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ორგანო, დაწესებულება ან პირი, გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლობისა;

ი) საჯარო პირი – „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადაწყვეტილება ან ამრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება;

კ) კერძო პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის საჯარო პირი ან ადმინისტრაციული ორგანო;

ლ) სახელმწიფო საიდუმლოება – ინფორმაცია, რომელიც „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფოს მიერ დაცვას;

მ) კომერციული საიდუმლოება – საქართველოს მოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27[2] მუხლით განსაზღერული ინფორმაცია. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას;

ნ) პირადი საიდუმლოება – პირადი ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომლის საიდუმლოობის დაცვასაც მოითხოვს კანონი, აგრეთვე ყველა ის ინფორმაცია და გარემოება, რომელთან დაკავშირებითაც აღამიანს აქვს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ წარმოადგენს პირად საიდუმლოებას;

ო) პროფესიული საიდუმლოება – აღსარების საიდუმლოება, პარლამენტის წევრის, ექიმის, ჟურნალისტის, უფლებადამცველის, დამცველის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით მათთვის განდობილი ინფორმაცია, აგრეთვე პროფესიული ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომელიც პირისათვის ცნობილი გახდა კონფიდენციალობის დაცვის პირობით, მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება მიანი მიაყენოს პირის პროფესიულ რეპუტაციას. ინფორმაცია, რომელიც არ არის სახელმწიფო საიდუმლოება ან სხვა პირის პირადი ან კომერციული საიდუმლოება, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას;

პ) ნათელი და განჭვრეტადი კანონი – ჯეროვანი სიმკუსტით ფორმულირებული ნორმა, რომელიც არ შეიცავს ზოგად, ორაზროვან და ბუნდოვან დებულებებს და პირს აძლევს საშუალებას, დაარეგულიროს საკუთარი ქმედება, აგრეთვე წინასწარ, ცხადად განსაზღეროს მისი სამართლებრივი შედეგები;

ჟ) ვიწროდ მიზანმიმართული კანონი – ნორმა, რომელიც აწესებს შეზღუდვის პირდაპირ მოთხოვნას, კონკრეტულ კრიტერიუმებსა და ამომწურავ ჩამონათვალს და შეიცავს ამ ნორმის არამიზნობრიეად გამოყენების საწინააღმდეგო გარანტიებს;

რ) ლეგიტიმური მიმანი – საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტითა და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაცული სიკეთეები;

ს) არადისკრიმინაციულობა – გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღების აკრძალვა და თანაბარი მოპყრობის ვალდებულება;

ტ) დემოკრატიული საზოგადოებისათვის კრიტიკულად აუცილებელი შეზღუდვა – ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე შეზღუდვა, რომელიც ემსახურება დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის შეუცვლელი და სასიცოცხლო მნიშვნელობის სიკეთის დაცვას და რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როცა ამოიწურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ყველა სხვა გონივრული და ქმედითი შესაძლებლობა;

უ) შეზღუდვის პროპორციულობა – ლეგიტიმური მიზნისა და კრიტიკული აუცილებლობის შესაბამისი შეზღუდვა, რომელიც ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი და ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი სამუალებაა. უფრო მკაცრი ზომების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა სხვაგვარად შეუძლებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა და კრიტიკული აუცილებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება;

ფ) აბსოლუტური პრივილეგია – კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო განთავისუფლება;

ქ) კვალიფიციური პრივილეგია – კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის ნაწილობრივ ან პირობით განთავისუფლება. სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით პირმა ბრალეული ქმედების ჩადენისათვის შეიძლება დაკარგოს პრივილეგია, თუ ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;

ღ) შეღია – მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალება, მათ შორის, ინტერნეტი.

მუხლი 2. კანონის ინტერპრეტირება

ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.

მუხლი 3. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება

1. სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უმნიშვნელოვანეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

2. ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს:

ა) აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას;

ბ) პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას;

გ) ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას;

დ) ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს, ჟურნალისტის უფლებას, დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოობა და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები;

ე) სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიურ თავისუფლებას;

ვ) ხელოვნების, შემოქმედებისა და გამოგონების თავისუფლებას;

ზ) ნებისმიერ ენაზე მეტყველების, ნებისმიერი დამწერლობის გამოყენების უფლებას;

თ) ქველმოქმედების უფლებას;

ი) მხილების თავისუფლებას და მამხილებელთა დაცვას;

კ) თავისუფლებას იძულებისაგან, გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის, აღმსარებლობის, სინდისისა და მსოფლმხედველობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, აგრეთვე ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება გახდეს მისი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფუძველი.

3. ეს კანონი არ უარყოფს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ, საქართველოს კონსტიტუციით დაცულ და სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპებიდან.

მუხლი 4. აზრისა და მოწოდების თავისუფლება

1. აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.

2. მოწოდება დაცულია კვალიფიციური პრივილეგიით. მოწოდება ეწევა კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ, როცა პირი ჩაიდენს განზრახ ქმედებას, რომელიც ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.

მუხლი 5. პოლიტიკური და სასამართლო სიტყვის თავისუფლება

1. ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, რომელიც გაკეთებულია:

ა) პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე პარლამენტის ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე, სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის ან საკრებულოს, აგრეთვე მათი კომიტეტის სხდომაზე, პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში;

გ) უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით.

2. ცილისწამების შესახებ სარჩელის შეტანის შემთხვევაში სასამართლო მოსამზადებელ სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით ამოწმებს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ გარემოებებს. ასეთი გარემოებების დადასტურებისას სასამართლოს გამოაქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 209-ე და 273-ე მუხლებით გათვალისწინებული განჩინება, რაც არ იწვევს ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს.

მუხლი 6. სასამართლო გარანტიები

1. პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ხელყოფის თაობაზე აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე უკანონო ბეჭდვისა და ჩარევის შედეგად დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით.

2. მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას მოპასუხეა მედიის მესაკუთრე.

3. ცილისწამების თაობაზე სასამართლო დაეის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს ან/და რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული.

4. ცილისწამების თაობაზე სასამართლო დაეა არ შეიძლება ეხებოდეს გარდაცვლილი პირის, სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას.

5. ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავისას არასათანადო მოპასუხეა პირი, რომელიც არ არის განცხადების აეტორი ან რედაქტორი, ან პირი, რომელმაც ტექნიკურად უზრუნველყო განცხადების გაერცელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის აშკარად და პირდაპირ უჭერს მხარს ეანცხადებას.

6. ცილისწამების შესახებ სასამართლო დავისას სასამართლო იღებს ზომებს მხარეთა მოსარიგებლად. მას უფლება აქვს გადადოს საქმის განხილვა და მორიგებისათვის დანიშნოს ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

მუხლი 7. მტკიცებულების სტანდარტი და ტვირთი

1. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს.

2. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შეზღუდვისას ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ამ უფლებების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.

3. კერძო ან საჯარო პირის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს პირისათვის საჯარო პირის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

4. საზოგადოებრივი ყურადღების ან ცნობისმოყვარეობის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს მოვლენისათვის საზოგადოებრივი ყურადღების სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

5. აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

6. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.

7. დაუშვებელია, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საქმეზე მოპასუხის უარი – გაამხილოს პროფესიული საიდუმლოება ან მისი წყარო – გახდეს მოპასუხის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანის ერთადერთი საფუძველი.

თავი II. შეზღუდვის საფუძველი და წესი

მუხლი 8. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები

1. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიმანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს.

2. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შემზღუდველი კანონი უნდა იყოს:

ა) პირდაპირ მიმართული ლეგიტიმური მიზნების განსხორციელებისაკენ;

ბ) კრიტიკულად აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის;

გ) არადისკრიმინაციული;

დ) პროპორციულად შემზღუდველი.

მუხლი 9. მინაარსობრივი რეგულირება

1. კანონით შეიძლება დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, თუ ეს ეხება:

ა) ცილისწამებას;

ბ) უხამსობას;

გ) პირისპირ შეურაცხყოფას;

დ) დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებას;

ე) მუქარას;

ვ) სახელმწიფო, კომერციულ, პირად ან პროფესიულ საიდუმლოებას;

ზ) რეკლამას, ტელეშოპინგს ან სპონსორობას;

თ) სამსჯდრო მოსამსახურის, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის, წევრის ან თანამშრომლის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას;

ი) თავისუფლებააღკვეთილი ან თავისუფლებაშეზღუდული პირის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას;

კ) ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედობაუნარიანობის მქონე პირის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას.

2. შინაარსობრივი რეგულირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თვალსაზრისობრივად ნეიტრალური, არადისკრიმინაციული შეზღუდვის სახით.

მუხლი 10. შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება

1. შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირებისას დაუშვებელია გამოხატვის საგნის შეზღუდვა.

2. შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება შეიძლება ითვალისწინებდეს მხოლოდ გამოხატვის ადგილის, დროისა და ფორმის მიხედვით ისეთ არადისკრიმინაციულ შეზღუდვას, რომელიც გაელენას არ ახდენს ინფორმაციის ან იდეების შინაარსზე ან გამომხატველობით ეფექტზე ან ტოვებს მათი სხვა გზებით გამოხატვის ეფექტიან შესაძლებლობას.

თავი III. საიდუმლოების დაცვა

მუხლი 11. პროფესიული საიდუმლოებისა და მისი წყაროს დაცვა

1. პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის არ აქვს უფლება, მოითხოვოს ამ წყაროს გამხელა. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სასამართლო დავისას მოპასუხეს არ შეიძლება დაეკისროს კონფიდენციალური ინფორმაციის წყაროს გამხელის ვალდებულება.

2. დაუშვებელია კონფიდენციალური ინფორმაციის გამხელა თვით მისი მფლობელის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე.

3. სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს მტკიცებულების უზრუნველყოფის შესახებ განჩინება კონფიდენციალური ინფორმაციის მხოლოდ იმ ნაწილის გამხელასთან დაკავშირებით, რომლის გამხელის აუცილებლობაც დამტკიცდა.

4. გამხელით მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მიზნით, რომლისთვისაც მოხდა მისი გამხელა.

მუხლი 12. პასუხისმგებლობა საიდუმლოების გამხელისათვის

1. პირი პასუხს აგებს მხოლოდ იმ საიდუმლოების გამხელისათვის, რომლის დაცვაც მას ეკისრება სამსახურებრივად ან სამოქალაქო გარიგებით და რომლის გამხელა აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს უქმნის კანონით დაცულ სიკეთეებს.

2. პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ საიდუმლოების გამხელა მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს.

3. კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პირადი საიდუმლოების დაცვის მოგვითხრობა არ შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლის ცოდნაც აუცილებელია ადამიანისათვის დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განსახორციელებლად.

4. პირს შეუძლია მოითხოვოს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დაცული უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

თავი IV. ცილისწამება

მუხლი 13. კერძო პირის ცილისწამება

პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

მუხლი 14. საჯარო პირის ცილისწამება

პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

მუხლი 15. კვალიფიციური პრივილეგია ცილისწამებისათვის

პირს ენიჭება კვალიფიციური პრივილეგია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადებისათვის, თუ:

ა) მან მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება და გააგარა ქმედითი ღონისძიებები ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად;

ბ) იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს;

გ) მან განცხადება გააკეთა მოსარჩელის თანხმობით;

დ) მისი განცხადება წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ მის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებაზე თანაზომიერ პასუხს;

ე) მისი განცხადება წარმოადგენდა სამართლიან და ზუსტ რეპორტაჟს იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

მუხლი 16. ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის ფარგლები

პირს ცილისწამებისათვის არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა.

მუხლი 17. ცილისწამებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

1. ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ.

2. დაუშვებელია მოპასუხის იძულება, მოიხადოს ბოდიში.

3. თუ მოპასუხე კანონით დადგენილ ვადაში განახორციელებს შესწორებას ან უარყოფას, მაგრამ შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ან/და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 18. ცილისწამების შესახებ უსაფუძვლო სარჩელი

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვის მიზნით ცილისწამების შესახებ აშკარად უსაფუძვლო სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მოპასუხეს უფლება აქვს მოითხოვოს მოსარჩელისაგან გონივრულ ფარგლებში ფულადი ანაზღაურების მიღება.

მუხლი 19. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა

ცილისწამების შესახებ სარჩელი სასამართლოში წარდგენილი უნდა იქნეს 100 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირი გაეცნო ან შეეძლო, რომ გასცნობოდა განცხადებას.

თავი V. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 20. ძალადაკარგული აქტი

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ".

მუხლი 21. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*

თბილისი,

2004 წლის 24 ივნისი.

N 220 - რს

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ

(მიღებულია 1994 წლის 28 ოქტომბერს. 12/21/95, 06/13/96, 12/13/96, 05/15/97, 06/26/98, 02/19/99, 05/28/99, 06/09/99, 06/14/2000, 03/02/2001, 03/30/2001, 06/19/2001, 03/20/2002, 07/04/2002, 04/23/2003, 07/18/2003 ცვლილებებით და დამატებებით)

მუხლი 4. სამეწარმეო რეესტრი

4.1 საწარმოს რეგისტრაციას, გარდა ინდივიდუალური საწარმოსი, ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით. (30.03.2001)

4.2 სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ფაქტები ჩაიწერება რეესტრის ფორმულარებში. რეესტრის ფორმულარი მოცემულია ამ კანონის დანართში.

4.3. სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს სასამართლო აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ხოლო სასამართლო დადგენილების ასლს უგზავნის შესაბამის საგადასახადო ორგანოს და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს თვეში ერთხელ, არა უგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა. საქციო სამოგადოებასთან დაკავშირებით გამოტანილი დადგენილების ასლს სასამართლო იმავე ვადაში უგზავნის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას. *(18.07.2003 N2507)*

4.4 ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამეწარმეო რეესტრს და მიიღოს რეესტრის ამონაწერები.

მუხლი 7. რეესტრის საჯაროობა

7.1 ვიდრე რეესტრში ჩასაწერი ფაქტები არ იქნება რეგისტრირებული და გამოქვეყნებული, დაუშვებელია მათი გამოყენება მესამე პირის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს მონაცემები მათთვის ცნობილი იყო.

7.2 თუ ფაქტები რეგისტრირებული და გამოქვეყნებულია, დასაშვებია მათი გამოყენება მესამე პირის მიმართ.

7.3 თუ რეგისტრაციისათვის აუცილებელი ფაქტები არასწორადაა რეგისტრირებული ან გამოქვეყნებული, მესამე პირს შეუძლია იმ პირთან ურთიერთობაში, რომლის საქმეშიც იყო ეს ფაქტები რეგისტრირებული, დაეყრდნოს რეგისტრირებულ ან გამოქვეყნებულ მონაცემებს, თუ იგი ენდობოდა მათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მან იცოდა ამ უზუსტობის შესახებ.

7.4 ამ წესების მიხედვით, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულ ფილიალთან საქმიან ურთიერთობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ რეგისტრაციასა და გამოქვეყნებას, რომელიც განხორციელებულია ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით.

მუხლი 18. გამოქვეყნება და კონფიდენციალობა

18.1 საწარმო აქვეყნებს ამ კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციასა და ფაქტებს, კერძოდ, სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს, 17.2 მუხლის მიხედვით, ინფორმაციას წილობრივი მონაწილეობისა და პარტნიორთა კრებების შესახებ. სხვა ინფორმაციასა და ფაქტების გამოსაქვეყნებლად აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი თანხმობა, თუ ეს საბჭო არსებობს, ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, როგორც მთლიანად, ასევე ცალკეულ შემთხვევებში.

18.2 სხვა შემთხვევებში საზოგადოების ორგანოების სხდომათა შინაარსი და შედეგები კონფიდენციალურია, თუკი ეს შედეგები არ ექვემდებარება გამოქვეყნებას, ან თუ ეს საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. კონფიდენციალობა არ გამოიყენება სააქციო საზოგადოების საერთო კრების მიმართ და რეგისტრირებული კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიმართ. გარდა ამისა, ზოგადად ან ცალკეულ შემთხვევებში საზოგადოების ორგანოებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება კონფიდენციალობის გაუქმების შესახებ.

საქართველოს კანონი ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებები

(მიღებულია 1995 წლის 2 მაისს. 11/11/97, 11/10/2000 ცვლილებებით და დამატებებით)

მუხლი 1.

1. ეროვნული საარქივო ფონდი არის დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის მიერ შერჩეული, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული იმ დოკუმენტების ერთობლიობა, რომლებსაც აქვთ ისტორიული, რელიგიური, სამეცნიერო, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ღირებულება. ეროვნულ საარქივო ფონდს აგრეთვე მიეკუთვნება სხვა სახელმწიფოებში დაცული დოკუმენტები, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად ექვემდებარება საქართველოში დაბრუნებას.

2. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტი, განურჩეველად მისი შექმნის ადგილისა და დროისა, ადგილსამყოფელისა, საკუთრების ფორმისა და ინფორმაციის სახეობისა, ინახება მუდმივად და სახელმწიფო ბრუნავს მასზე. (10.11.2000)

მუხლი 2.

ეროვნული საარქივო ფონდი იქმნება მისთვის მიკუთვნებული დოკუმენტების დაცვის, ცენტრალიზებული აღრიცხვის, აღწერის სრულყოფისა და ფართო გამოყენების მიზნით.

მუხლი 3.

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, აგრეთვე სხვა დაწესებულებები, ორგანიზაციები და საწარმოები, რომლებიც თავიანთი საქმიანობის პროცესში ქმნიან ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებს (მათ შორის, საიდუმლო დოკუმენტებს), ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მათი დაცვა, შენახვა, დამუშავება, აღრიცხვა და განსაზღვრულ ვადებში მათთვის შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარება საქმის წარმოებისა და საუწყებო არქივების მუშაობის წესების შესაბამისად. სახელმწიფო არქივები ვალდებულნი არიან დროულად განიხილონ და დაამტკიცონ დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის შედეგები. (10.11.2000)

მუხლი 4.

დოკუმენტი, რომელიც შეიქმნა სახელმწიფო ორგანოს ან დაწესებულების (10.11.2000) საქმიანობის პროცესში, სახელმწიფო საკუთრებაა. ფიზიკური ან იურიდიული პირის შექმნილი დოკუმენტი კი ამ პირის საკუთრება.

დაუშვებელია სახელმწიფო საკუთრების ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტის გასხვისება.

დოკუმენტი, რომელსაც არ ჰყავს პატრონი ან რომლის პატრონმაც დაკარგა მასზე საკუთრების უფლება, გადაეცემა სახელმწიფოს.

თავი II. საარქივო საქმის მართვა

მუხლი 5.

1. სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ეროვნული საარქივო ფონდის შევსების, შენახვის,დაცვისა და გამოყენებისათვის. სახელმწიფო ამ ვალდებულებას ასრულებს და საარქივო საქმეს მართავს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის მეშვეობით.

2. საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი უმრუნველყოფს ეროვნული საარქივო ფონდის შექმნას და შევსებას, დოკუმენტების აღრიცხვას, აღწერას, დამიანებული დოკუმენტების კონსერვაცია-რეგისტრაციას და მიკროფილმირების საშუალებით სადაზღვევო ფონდების შექმნას, აგრეთვე ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ხელმისაწვდომობას კანონით დადგენილ ფარგლებში. (11.11.97. N 1051 პარლამენტის უწყებანი N 45)

მუხლი 6. ამოღებულია

მუხლი 7.

ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებთან დაკავშირებულ საქმიანობას და სახელმწიფო დაწესებულებებში საქმის წარმოებაზე კონტროლს.ახორციელებენ საქართველოს სახელმწიფო არქივები, რომლებიც სახელმწიფო დაწესებულებებია.სახელმწიფო არქივებს ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას უწევს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი.

თავი III. ეროვნული საარქივო ფონდის დაკომპლექტება

მუხლი 8.

ეროვნული საარქივო ფონდისათვის დოკუმენტის მიკუთვნება ხდება დოკუმენტის შემფასებელი ექსპერტიზის საფუძველზე, რომელსაც აწყობს და სახელმწიფო დაწესებულებებში საქმის წარმოებაზე კონტროლს. საექსპორტო კომისია.

დოკუმენტის შემფასებელი ექსპერტიზის წესებს ადგენს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი. რომელიც სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად განსაზღვრავს დოკუმენტების შენახვის ვადას.(10.11.2000)

მუხლი 9.

ეროვნული საარქივო ფონდი შეიცავს ყველა იმ დოკუმენტისაგან, რომელიც:

ა) წარმოიქმნა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო

ხელისუფლების ორგანოების, აღგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, აგრეთვე სხვა სახელმწიფო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობის პრცესში;

ბ) გადაეცა საქართველოს რესპუბლიკას სამართალმემკვიდრეობის საფუძველზე;

გ) გადასულია სახელმწიფო საკუთრებაში ჩუქების, ანდერძის გადაცემის, შესყიდვის ან სხვა კანონიერ საფუძველზე;

დ) წარმოიშვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის პროცესში;

ე) წარმოიშვა პოლიტიკური საქმიანობის პროცესში;

ვ) წარმოიშვა კონფესიური გაერთიანების საქმიანობის პრცესში;

ზ) წარმოიშვა იურიდიული პირების საქმიანობის პროცესში, განურჩევლად საკუთრების ფორმისა. ან შეძენილია და იურიდიული პირების მიერ ან იმ პირთა საკუთრებაა.

დოკუმენტის მიკუთვნება ეროვნული საარქივო ფონდისათვის არ ნიშნავს მასზე საკუთრების ფორმის შეცვლას.

მუხლი 10.

მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა"–„გ" ქვეპუნქტებში აღნიშნულ დოკუმენტებს ეროვნული საარქივო ფონდისათვის მიკუთვნების მიზნით უნდა ჩაუტარდეს შემფასებელი ექსპერტიზა და დამუშავება. სხვა დოკუმენტებს შემფასებელი ექსპერტიზა ჩაუტარდება მათი მესაკუთრის სურვილით. (10.11.2000)

მუხლი 11.

საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, აღგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, აგრეთვე სხვა სახელმწიფო დაწესებულებები, ორგანიზაციები და საწარმოები". საკუთარი სახსრებით ახორციელებენ მათი საქმიანობის პრცესში შექმნილი დოკუმენტების შერჩნევასა და დამუშავებას. სახელმწიფო თაეისი სახსრებით უმრუნველყოფს მე-9 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული დოკუმენტების შერჩევას და დამუშავებას.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური და კონფესიური გაერთიანებები, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებს, განურჩევლად საკუთრების ფორმისა, ეალდებული არიან საკუთარი სახსრებით განახორციელონ მათი კუთვნილი დოკუმენტების შერჩევა, დამუშავება და ექსპერტიზა, თუ სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოსთან დადებული ხელშეკრულებით.

დოკუმენტის შერჩევა, დამუშავება და ექსპერტიზა ხორციელდება საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ წემსებითა და კრიტერიუმებით.

თავი IV. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვა

მუხლი 12.

ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებს მუდმივად ინახავენ საქართველოს სახელმწიფო არქივები.

ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების მუდმივად შენახვის უფლება აქვთ:

ა) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქივს და ხელნაწერთა ინსტიტუტს;

ბ) საქართველოს კულტურის სამინისტროსა და მეცნიერებათა აკადემიის მუზეუმებს;

გ) საქართველოს გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტს - გეოლოგიური და კარტოგრაფიულ-გეოდეზიური ფონდის დოკუმენტების;

დ) საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტს – ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს დაბინძურების ეროვნული ფონდის დოკუმენტები (10.11.2000);

ე) საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტს -რესპუბლიკური სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების საინფორმაციო ფონდის დოკუმენტების;

ვ) კერძო არქივებს.

იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული სუბიექტი უარს განაცხადებს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტის მუდმივ შენახვაზე, იგი ვალდებულია აღნიშნული დოკუმენტი გადასცეს სახელმწიფო არქივს. გადაცემის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

საზოგადოებრივ ორგანიზაციას, პოლიტიკურ და კონფესიურ გაერთიანებას, ფიზიკურ და იურიდიულ პირს, განურჩევლად საკუთრების ფორმისა, უფლება აქვს შეინახოს ეროვნულ საარქივო ფონდს მიკუთვნებული თავისი დოკუმენტი, (გარდა მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული სახელმწიფო ორგანოების საარქივო დოკუმენტებისა); თუ იგი უზრუნველყოფს მის დაცვას.

დოკუმენტის შენახვისა (მათ შორის მუდმივად შენახვის) და დაცვის ნორმებსა და წესებს აღგენს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი „და სახელმწიფო არქივებს", .ამ ორგანოს უფლება აქვთ გააკონტროლონ დოკუმენტის შენახვისა და დაცვის პირობები.

მუხლი 13.

ეროვნული საარქივო ფონდის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს დოკუმენტის შენახვა და დაცვა.

იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტის მფლობელი ვერ უზრუნველყოფს მის შენახვასა და დაცვას, საარქივო

სახელმწიფო დეპარტამენტის კომისიის აქტის საფუძველზე აღნიშნული დოკუმენტი გადაეცემა სახელმწიფო არქივს დეპოზიტური დაცვისათვის. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს წესით.

ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტის მფლობელის მიერ დოკუმენტის შენახვისა და დაცვის წესების განზრახ დარღვევის შემთხვევაში, კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს უფლება აქვს სასამართლოს წინაშე აღძრას სარჩელი მისთვის დოკუმენტის ჩამორთმევისა და სახელმწიფო არქივისათვის გადაცემის შესახებ.

ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტის დაკარგვის, დაზიანების ან ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში დოკუმენტის მფლობელმა (მესაკუთრემ) უნდა აცნობოს ამის შესახებ მითითებულ სახელმწიფო ორგანოს.

მუხლი 14.

ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეუძლია დეპოზიტური დაცვისათვის გადასცეს არქივს თავისი დოკუმენტი. სახელმწიფო არქივი ვალდებულია მიიღოს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტი დეპოზიტური დაცვისათვის. თუ ამ დოკუმენტის მფლობელი (მესაკუთრე) ვერ უზრუნველყოფს მის დაუვას.

მუხლი 15.

სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დროებითი შენახვის მიზნით იქმნება საუწყებო არქივი. დოკუმენტების შენახვა შეიძლება დაეკისროს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებსაც. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტები საუწყებო არქივებში ან სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ინახება დადგენილი წესით. სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვის ვადებს შესაბამისი ნორმატიული აქტით ადგენს საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი. (10.11.2000)

სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები უზრუნველყოფენ ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვასა და დაცვას მუდმივ შესანახად მათ გადაცემამდე. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტს შეექმნა დაკარგვის ან დაზიანების საფრთხე, მაშინ იგი მუდმივად შესანახად გადაეცემა საუწყებო შენახვის ვადის გასვლამდე.

მუხლი 16.

იმ ფიზიკური პირის გარდაცვალების ან იურიდიული პირის რეორგანიზაციის დროს , რომელთანაც ინახებოდა ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტი, მისი მემკვიდრე (უფლებამონაცვლე) ვალდებულია აცნობოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტს ან სახელმწიფო არქივს თავისი ვინაობადა დოკუმენტის შენახვის ადგილი. მემკვიდრე (უფლებამონაცვლე) ვალდებულია უზრუნველყოს დოკუმენტის შენახვა და დაცვა დადგენილი წესით.

იმ იურიდიული პირის ლიკვიდაციის დროს, რომელთანაც ინახებოდა ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტი, სალიკვიდაციო კომისიამ (ლიკვიდატორებმა) უნდა უზრუნველყონ საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის თავისუფლად დაშვება ამ დოკუმენტებთან. ამ დოკუმენტის დამუშავებისა და სახელმწიფო არქივში გადაცემის ხარჯებს გაიღებს სალიკვიდაციო კომისია;

3. ლიკვიდირებული იურიდიული პირისაგან სახელმწიფო არქივების მიერ ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ვადაზე ადრე მიღება შეიძლება მხოლოდ უფლებამონაცვლის არარსებობის შემთხვევაში (10.11.2000).

თავი V. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დამუშავება და აღრიცხვა

მუხლი 17.

ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტები, განურჩევლად შენახვის ადგილისა, აღირიცხება ცენტრალიზებულად. დოკუმენტები აღირიცხება ფონდებად (კოლექციებად) და შესანახ ერთეულებად. საქართველოს ცენტრალურ საფონდო კატალოგში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებს აღრიცხავენ სახელმწიფო არქივები. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ცენტრალიზებულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი.

პირი, რომელიც ინახავს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტს, ვალდებულია დამუშაოს იგი და შეადგინოს ღნობა მისი ცენტრალიზებული აღრიცხვის მიზნით.

დოკუმენტების ცენტრალური აღრიცხვის წესს, აგრეთვე აღრიცხვისათვის საჭირო ცნობის ფორმას აღგენს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების მუდმივად შენახვის უფლების მქონე დაწესებულებები ვალდებულნი არიან საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტს მონაცემები წარუდგინონ დეპარტამენტის მიერ დადგენილი ფორმით (10.11.2000).

მუხლი 18.

საარქივი დაწესებულებას შეუძლია გაუწიოს ფასიანი მომსახურება ფიზიკურ ან იურიდიულ პირს მისი კუთვნილი იმ დოკუმენტების დამუშავებისა და აღრიცხვის მიზნით, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს ეროვნულ საარქივო ფონდს.

თავი VI. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებით სარგებლობა

მუხლი 19.

ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტით სარგებლობა თავისუ-

ფალია.დაინტერესებულ პირს შეუძლია საინფორმაციო-საძიებო სისტემის მეშვეობით მოძებნოს და გაეცნოს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტს ან მის პირს, გააკეთოს ამონაწერები მისგან, აგრეთვე მოითხოვოს დოკუმენტის პირი. სახელმწიფო საკუთრების დოკუმენტთან დაშვების წესს განსაზღვრავს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი, ხოლო ფიზიკური ან იურიდიული პირის კუთვნილ დოკუმენტთან კი-ეს პირი; დოკუმენტთან დაშვების წესით დაინტერესებულ პირს უნდა მიეცეს დოკუმენტის გაცნობის შესაძლებლობა.

სარგებლობის უფლება შეზღუდულია:

ა) სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტებისა - სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვადით;

ბ) მოქალაქეთა პირადი ცხოვრების და ქონების ამსახველი დოკუმენტებისა, მათ შორის სისხლის სამართლის პროცესის მასალებისა სხვა პირთაგის - მათი შექმნიდან 75 წლის ვადით.

მუხლი 20.

ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლება აქვს მოსთხოვოს არქივს, არ დაუშვას მისი კუთვნილი დოკუმენტის გამოყენება ან საჯაროდ ჩვენება მის მიერ განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ამ დოკუმენტის შექმნიდან 75 წლისა. აღნიშნული მოთხოვნა შეიძლება წამოყენებულ იქნეს აგრეთვე დოკუმენტის გასხვისების, სარგებლობაში ან დეპოზიტური შენახვისთვის გადაცემის დროს.

მუხლი 21.

ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტით სარგებლობისას ფიზიკური ან იურიდიული პირი პასუხს აგებს დოკუმენტის შინაარსის დამახინჯებისა და ფალსიფიკაციისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 22.

ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტის გამოქვეყნებისას უნდა მიეთითოს დოკუმენტის შენახვის ადგილი და მესაკუთრე.

მუხლი 23.

სახელმწიფო არქივს შეუძლია განახორციელოს თავისი ფუნქციების შესაბამისი პროფილური სამეწარმეო საქმიანობა, ხოლო მიღებული მოგება განკარგოს მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, დოკუმენტების შენახვისა და დაცვის გაუმჯობესების, აგრეთვე მუშაკთა დამატებითი ანაზღაურების მიზნით. მას შეუძლია უფასოდ მომსახურებაც, თუ ამ კანონით სხვა რამ არის განსაზღვრული. კერძო არქივს შეუძლია სამეწარმეო მიზნით გამოიყენოს დოკუმენტი, თუ ეს ეხება მისი მესაკუთრის წინასწარი თანხმობა.

ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტის მესაკუთრეს უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამისი წილი არქივს, რომელიც სამეწარმეო მიზნით

გამოიყენებს მის დოკუმენტს. წილის ოღენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 24.

იურიდიული პირი, რომელთანაც ინახება ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტი, ვალდებულია გასცეს დოკუმენტის დამოწმებული პირი, ცნობა ან დოკუმენტის ამონაწერი მომსახურების დაღგენილი ვადებისა და ტარიფების შესაბამისად (10.11.2000)

თავი VII. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების განკარგვა

მუხლი 25.

ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლება აქვს თავისუფლად განკარგოს ეროვნულ საარქივო ფონდს მიკუთვნებული თავისი დოკუმენტი, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 26.

ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტის გასხვისებამდე მისმა მესაკუთრემ წინასწარ უნდა აცნობოს კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს გასაყიდი ფასი და გასხვისების სხვა პირობები, ხოლო გასხვისების შემდეგ – დოკუმენტის ახალი მფლობელის ვინაობა.

პირი, რომელიც ვაჭრობს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებით ან ეწევა ამ დოკუმენტებთან დაკავშირებულ სხვა სამეწარმეო საქმიანობას, ვალდებულია წარუდგინოს აღნიშნულ სახელმწიფო ორგანოს ვაჭრობისათვის ან სხვა სამეწარმეო საქმიანობისათვის განკუთვნილი დოკუმენტის მონაცემები.

თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი ყიდის თავის დოკუმენტს, კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს აქვს მისი შესყიდვის უპირატესი უფლება.

ამ მუხლის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ფიზიკური ან იურიდიული პირის დადებული გარიგება ჩაითვლება ბათილად, ხოლო დოკუმენტი შეიძლება ჩამოერთვას მას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 27.

აკრძალულია სახელმწიფო საკუთრების ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტის საზღვარგარეთ გატანა. განსაკუთრებულ შემთხვევაში კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს შეუძლია საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით გასცეს აღნიშნული დოკუმენტის საზღვარგარეთ დროებით გატანის ნებართვა. დასაშვებია ფიზიკური ან იურიდიული პირის კუთვნილი ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტის დროებით გატანა საზღვარგარეთ საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის სებარისის საფუძველზე, თუ საქართველოში რჩება ამ დოკუმენტის პირი.

თავი VIII. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების განაღგურება

მუხლი 28.

აკრძალულია ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტის განადგურება საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის უნებართვოდ. აღნიშნული ორგანო ადგენს დოკუმენტის განადგურების წესს.

თავი IX. საერთაშორისო თანამშრომლობა

მუხლი 29.

საქართველოს საარქივო საქმის განვითარების მიზნით თანამშრომლობს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. თანამშრომლობა ხორციელდება როგორც ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებისა და მათი პირების ურთიერთგაცვლით, ისე უცხოელი მოქალაქეებისა ან იურიდიული პირების, საერთაშოროსო ორგანიზაციების დაშვებით ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებთან ამ კანონით დადგენილი წესით.

თავი X. პასუხისმგებობა ამ კანონის დარღვევისათვის

მუხლი 30.

ამ კანონის დამრღვევი პირი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს კანონი
კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ

(მიღებულია 1996 წლის 23 თებერვალს. 03/21/96, 10/13/98, 12/24/98, 12/24/98, 05/28/99, 10/23/2001, 07/04/2002, 12/28/2002, 06/20/2003 ცვლილებებით და დამატებებით)

მუხლი 17. საბანკო საიდუმლოება

1. არავის არა აქვს უფლება დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას და გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან გამოიყენოს პირადი სარგებლობისათვის. ასეთი ინფორმაცია შეიძლება მიეცეს მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკს, მისი კომპეტენციის ფარგლებში.

2. ცნობები ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშების, ამ ანგარიშებიდან განხორციელებული ოპერაციებისა და ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ შეიძლება მიეცეს შესაბამისი ანგარიშების მფლობელებს და მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. სხვა პირებს ეს ინფორმაცია მიეცემა მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი აქტის საფუძველზე. *(20.06.2003 N2474)*

3. სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებს, აგრეთვე საგადასახადო სამსახურებს ეკრძალებათ სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა ორგანოებისათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციების გამოყენება საჯარო გამოსვლებში.

საქართველოს კანონი
საბიბლიოთეკო საქმის შესახებ

(მიღებულია 1996 წლის 11 ივნისს)

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციის საკითხებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საბიბლიოთეკო ურთიერთობებს საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად.

2. ბიბლიოთეკა არის კულტურულ-საგანმანათლებლო სამეცნიერო-ინფორმაციული დაწესებულება, რომლის მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციაა სრულად და ეფექტურად გამოიყენონ თავისი ფონდები და სხვა საბიბლიოთეკო რესურსები ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 2. საბიბლიოთეკო მომსახურების ძირითადი ამოცანები

საბიბლიოთეკო მომსახურების ძირითადი ამოცანებია:

ა) მკითხველთა სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები); ხელსაყრელი პირობების შექმნა პიროვნების შემეცნებითი განვითარებისათვის;

ბ) შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის მომსახურება, როგორც ადგილზე გაცემით, ისე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთგაცვლის სამუალებით;

გ) ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურება სასკოლო, დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკებით ან მასობრივ ბიბლიოთეკებში სპეციალური საბავშვო განყოფილებებისა და ფონდების შექმნის გზით სასკოლო ბიბლიოთეკების საქმიანობა განიხილება როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელი ნაწილი;

დ) მოხუცთა და ინვალიდთა სპეციალიზებული საბიბლიოთეკო მომსახურება;

ე) მსჯავრდებულთა საბიბლიოთეკო მომსახურება სასჯელის მოხდის ადგილებში.

მუხლი 3. ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები

ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია:

ა) პოლიტიკური და რეგიონალური ნეიტრალიტეტი;

ბ) მკითხველთა თანასწორუფლებიანობა;

გ) ინფორმაციის ხელმისაწედომობა და შეუზღუდველობა;

დ) ოპერატიულობა.

მუხლი 4. სახელმწიფოს როლი საბიბლიოთეკო მომსახურების უზრუნველყოფის საქმეში

1. სახელმწიფო არის ბიბლიოთეკების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებისა და ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტი. იგი არ ერევა ბიბლიოთეკების პროფესიულ საქმიანობაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. სახელმწიფო ამუშავებს და ადგენს საბიბლიოთეკო საქმის განვითარების პროგრამებს, მართავს საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემას, იცავს მოქალაქეთა უფლებებს საბიბლიოთეკო მომსახურების დარგში, აგარებს საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ღონისძიებებს.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს:

ა) ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვასა და ხელშეუხებლობას;

ბ) თავიანთ ტერიტორიებზე ყველა მოქალაქის საბიბლიოთეკო მომსახურებას; გ) საბიბლიოთეკო დოკუმენტებისა და ინფორმაციის მიღებაზე მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების განხორციელებისათვის ყველა საჭირო პირობას;

დ) საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას მისთვის ფინანსური მხარდაჭერით, შესაბამისი საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკის გატარების გზით;

ე) სახელმწიფო ბიბლიოთეკისათვის სტანდარტებისა და ნორმატივების დადგენას;

ვ) საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო სტატისტიკური აღრიცხვის წარმოებას; ზ) ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნებას, გამდიდრებას, რეგისტრაციასა და იაფი საგანგებო რეჟიმით დაცვის კონტროლს;

თ) დადგენილი წესის მიხედვით ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი უფასო სავადებულო ცალების მიღებას;

ი) საბიბლიოთეკო ქსელისათვის ხელისუფლებისა და ნებისმიერი უწყების გამოუქვეყნებელი ყველა ნორმატიული აქტის მიწოდებას, გარდა აკრძალვას დაქვემდებარებული დოკუმენტებისა;

კ) იმ არასახელმწიფო ბიბლიოთეკების მატერიალური სტიმულირებისათვის მხარდაჭერას, რომლებიც მოსახლეობას უფასოდ ესახურებიან;

ლ) სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას კადრების მომზადებასა და გადამზადების, მათი დასაქმების, შრომის ანაზღაურების, სოციალური გარანტიებისა და შეღავათების საქმეში;

მ) კადრების მოსამზადებელ სასწავლებელთა შექმნას, დაფინანსებასა და მართვას;

ნ) ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნთმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგში მეცნიერული და მეთოდური მოღვაწეობისათვის ხელშეწყობას; ო) საბიბლიოთეკო საქმის ინფორმაციულ სრულყოფას.

მუხლი 5. სახელმწიფო ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება

სახელმწიფო ბიბლიოთეკით სარგებლობა ყველასათვის ხელმისაწვდომი და შეუზღუდავია. გამონაკლისია ბიბლიოთეკა, რომლის საქმიანობა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვასთანაა დაკავშირებული. აკრძალული ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლების გაფართოება, შეზღუდვა ან მოხსნა ხდება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 6. საბიბლიოთეკო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

საბიბლიოთეკო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, აფხაზეთისა და აჭარის კონსტიტუციები, ეს კანონი, საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები და აქტები.

თავი II
ბიბლიოთეკისა და მკითხველის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 7. მკითხველის უფლებები

მკითხველი უფლებამოსილია:

ა) მიიღოს ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო დოკუმენტები ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების შესაბამისად;

ბ) მიიღოს სრული ინფორმაცია მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ;

გ) ისარგებლოს ბიბლიოთეკის საძიებო საშუალებებით;

დ) ორიგინალის უქონლობის შემთხვევაში მიიღოს მისთვის საჭირო დოკუმენტი ან მისი ასლი სხვა ბიბლიოთეკიდან ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტის მეშვეობით;

ე) მოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტის ასლის გადაღება ბიბლიოთეკაში დადგენილი ნიხრის მიხედვით;

ვ) ბიბლიოთეკასთან შეთანხმებით გამოაქვეყნოს ან სხვა საშუალებით გააცნოს საზოგადოებას საბიბლიოთეკო დოკუმენტი, თუ კი ის

არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოებასა და სააეტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობას;

ზ) მონაწილეობა მიიღოს ბიბლიოთეკართა და ბიბლიოთეკის მკითხველთა საზოგადოებრიეი გაერთიანებების საქმიანობაში ან ბიბლიოთეკის საჭირბოროტო საკითხების განხილვაში.

მუხლი 8. მკითხველის პასუხისმგებლობა

1. მკითხველი ვალდებულია გაეცნოს და დაიცვას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.

2. მკითხველი, რომელიც დაარღვევს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, აანაზღაურებს ზარალს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებით დადგენილი ნორმის შესაბამისად. მას ეკისრება სხვაგვარი პასუხისმგებლობაც მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 8. ბიბლიოთეკის უფლებები

ა) განაგოს საკუთარი სახსრები საქართველოს კანონმდებლობისა და ბიბლიოთეკის დებულების საფუძველზე;

ბ) აღგილობრივი თვითმმართველობის ან უწყების ხელმძღვანელ ორგანოებში წარადგინოს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების დასაბუთებული პროგრამა;

გ) მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საგამომცემლო და საინფორმაციო პოლიტიკის განსაზღვრაში;

დ) მიიღოს შესაბამისი ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს ან მატერიალურ ზარალს აყენებენ ბიბლიოთეკას;

ე) ითანამშრომლოს უცხოეთის ბიბლიოთეკებთან, გახდეს საერთაშორისო პროფესიულ გაერთიანებათა წევრი;

ვ) ეწეოდეს კანონით განსაზღვრულ სხვა საქმიანობას.

მუხლი 10. ბიბლიოთეკის მოვალეობანი

ბიბლიოთეკა ვალდებულია:

ა) თავისი საქმიანობა წარმართოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) დაიცვას სახელმწიფო სტანდარტები;

გ) სისტემატურად დააკომპლექტოს ფონდები პროფილის შესაბამისი საბიბლიოთეკო დოკუმენტებით და ოპერატიულად უზრუნველყოს მათი ასახვა ბიბლიოთეკის საცნობისაძიებო აშუალებებში;

დ) გაუცვალოს სხვა ბიბლიოთეკებს მეტმეტი საბიბლიოთეკო დოკუმენტები;

ე) უზრუნველყოს მკითხველთა მომსახურების მაღალი დონე მათი ინტერესების შესწავლისა და საბიბლიოთეკო რესურსების კოოპერირების საფუძველზე;

ვ) შეადგინოს და გააცნოს მკითხველს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;

ზ) აწარმოოს კოორდინირებული მუშაობა რეგიონის ბიბლიოთეკებთან საბიბლიოთეკო გეგმაზომიერი გამოყენებისა და მომსახურების ამაღლებისათვის;

თ) აწარმოოს საბიბლიოთეკო სტატისტიკა საქართველოში დადგენილი წესით;

ი) საბიბლიოთეკო-სამეცნიერო გამოკვლევების ხელშეწყობის მიზნით ეწეოდეს დამატებითი საბიბლიოთეკო მონაცემების ობიექტურ აღრიცხვას;

კ) დანერგოს საბიბლიოთეკო ტექნიკური საშუალებები და უახლესი ტექნოლოგია;

ლ) გაითვალისწინოს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და შესაბამისი მეთოდცენტრების რეკომენდაციები.

მუხლი 11.

1. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შრომითი ურთიერთობანი რეგულირდება შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ბიბლიოთეკის თანამშრომლები ექვემდებარებიან პერიოდულ ატესტაციას აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დადგენილი წესით.

თავი III
საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემა

მუხლი 12. საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემა

1. საქართველოს ერთიანი საბიბლიოთეკო სისტემა მოიცავს სახელმწიფო და არასახელმწიფო, ადგილობრივი და საუწყებო ბიბლიოთეკების ქსელებს. სისტემაში შედის: ეროვნული, სამეცნიერო (უნივერსალური და დარგობრივი) სამეცნიერო-ტექნიკური,სამეცნიერო-სასწავლო, მასობრივი, სასკოლო და სპეციალიზირებული ბიბლიოთეკები.

2. საბიბლიოთეკო სისტემაში შემავალი ბიბლიოთეკებიდან,რომლებიც გაერთიანებული არიან ერთ ქსელში, დამფუძნებელმა ან მესაკუთრემ შეიძლება გამოყოს მთავარი ბიბლიოთეკა;

3. საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის მთავარ ბიბლიოთეკას წარმოადგენს საქართველოს-პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, აფხაზეთსა და აჭარაში-რესპუბლიკური ბიბლიოთეკები.

მუხლი 13. სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელი

სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელი იქმნება ტერიტორიული და უწყებრივი პრინციპით.

მუხლი 14. არასახელმწიფო ბიბლიოთეკის უფლებათა გარანტიები

1. სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია არასახელმწიფო ბიბლიოთეკის საქმიანობის თავისუფლება, მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად.

2. არასახელმწიფო ბიბლიოთეკა ხელმძღვანელობს სახელმწიფო საბიბლიოთეკო სისტემაში მოქმედი კანონმდებლობით და სურვილისამებრ მონაწილეობს სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში.

3. სახელმწიფო და არასახელმწიფო ბიბლიოთეკების ერთობლივი საქმიანობის პრინციპები განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 15. ბიბლიოგრაფიულ-ინფორმაციული საბიბლიოთეკო ცენტრი

1. ქალაქის, რაიონის და სოფლის ბიბლიოთეკები თავიანთ სამსახურეო ტერიტორიაზე წარმოადგენენ ინფორმაციის ცენტრებს, რომლებიც ახდენენ დოკუმენტების შერჩევით შეკრებასა და ინფორმირებას.

2. საქართველოში გამოცემული ყველა ნორმატიული სასიათისა და საბიბლიოთეკო დოკუმენტების თაემოყრის, სრულად ასახვისა და ინფორმირების უნქციები ეკისრება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, აგრეთვე სახელმწიფო საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ ცენტრებს, რომლებსაც კულტურის სამინისტროს მიერ მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსი. სახელმწიფო ამ ცენტრებს უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო დოკუმენტების საჭალდებულო ეგზემპლარებით.

მუხლი 16. ბიბლიოთეკა და ეროვნული საინფორმაციო ინფრასტრუქტურა

საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემა წარმოადგენს ეროვნული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ძირითად რგოლს. იგი თანამშრომლობს არქივებთან და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სხვა ორგანოებთან, რომელთაც სხვადასხვა დონის ინფორმაციული მონაცემების ბანკი აქვთ. მათი ურთიერთობების წესი განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო პროგრამებით, აგრეთვე ამ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის დადებული ხელშეკრულებებით.

თავი IV
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 17. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში

1. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა-საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის მთავარი ბიბლიოთეკა-არის საქართველოს პარლა-

მენგის ბიბლიოთეკა და ქვეყნის საბიბლიოთეკო საქმის კოორდინატორი და მეთოდური ცენტრი, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების უნივერსალურ ინფორმაციულ მოთხოვნებს, ორგანიზაციას უწევს საბიბლიოთეკო, ბიბლიოგრაფიულ და სამეცნიერო-ინფორმაციულ საქმიანობას, ხელს უწყობს ეროვნული და მსოფლიო კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განვითარებას.

2. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა არის ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებით ფასეული ობიექტი და მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს. დაუშვებელია მისი საკუთრების ფორმის, პროფილის შეცვლა ან ლიკვიდაცია. გარანტირებულია მისი ფონდების მთლიანობა და გაუსხვისებლობა.

მუხლი 18. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობის რეგულირება

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონით ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ.

თავი V
საბიბლიოთეკო საქმის მართვა

მუხლი 19. საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაცია

1. საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს კულტურის სამინისტრო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად. მისი ფუნქციებია:

ა) ერთიანი სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარება;

ბ) სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის დაფინანსების ნორმატივების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ქსელის ფუნქციონირებისათვის გამოყოფილი წილის განსაზღვრა;

გ) საბიბლიოთეკო საქმესთან დაკავშირებულ საკითხებზე ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მუშაობის კოორდინირება;

დ) საერთაშორისო საბიბლიოთეკო ხელშეკრულებებისა და კონვენციების შესრულების უზრუნველყოფა.

ე) საბიბლიოთეკო კადრების მომზადება-გადამზადების პოლიტიკის განსაზღვრა;

ვ) სახელმწიფო ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისადმი მედამსედველობა;

ზ) საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო სტანდარტების დაცვისადმი კონტროლი;

თ) საბიბლიოთეკო სტატისტიკური მონაცემების ცენტრალიზებული შეგროვება და ანალიზი.

მუხლი 20. საბიბლიოთეკო საქმის მართვა აფხაზეთსა და აჭარაში

საბიბლიოთეკო საქმის მართვა აფხაზეთსა და აჭარაში ხორციელდება ამ კანონისა და მათი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 21. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი საბიბლიოთეკო საქმიანობის მართვაში

1. საბიბლიოთეკო საქმიანობას ადგილებზე მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით;

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პირობების,მოსახლეობის რაოდენობის, მისი განსახლებისა და საინფორმაციო მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 22. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელ პირთა დანიშვნა

1. ქალაქის, რაიონის მთავარი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს ნიშნავენ (ათავისუფლებენ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს კულტურის მინისტრთან შეთანხმებით. ადგილობრივი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს ნიშნავს (ათავისუფლებს) რაიონის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი (გამგე) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით;

2. უწყებათა და არასახელმწიფო ბიბლიოთეკათა ხელმძღვანელებს ნიშნავენ დამფუძნებლები.

მუხლი 23. საზოგადოების მონაწილეობა ბიბლიოთეკის მართვაში

მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ბიბლიოთეკების მართვაში ბიბლიოთეკართა და მკითხველთა საზოგადოებრივ და პროფესიულ გაერთიანებებში მონაწილეობის გზით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VI
ბიბლიოთეკის დაფინანსება

მუხლი 24. სახელმწიფო ბიბლიოთეკის ფინანსური რესურსები და მათი გამოყენება

1. სახელმწიფო ბიბლიოთეკის დაფინანსების წყაროა საბიუჯეტო ასიგნება,სახელმწიფო და ადგილობრივი სუბსიდიები, ბიბლიოთეკის დამფუძნებელთა მიერ შეტანილი თანხები, საქველმოქმედო შემოწირულობანი,აგრეთვე კანონით ნებადართული სხვა შემოსავალი.

2. ბიბლიოთეკა დამოუკიდებლად ანაწილებს და იყენებს ფინანსურ რესურსებს. ფინანსური რესურსების განაწილება-გამოყენების წესი განისაზღვრება ბიბლიოთეკის დებულებით.

3. ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებენ ბიბლიოთეკის დამფუძნებლები და დამფინანსებლები.

მუხლი 25. მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიზნობრივ პროგრამებს აფინანსებს სახელმწიფო, ლოკალური მნიშვნელობა პროგრამებს - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო არ უწყება.

თავი VII
ბიბლიოთეკის ორგანიზაცია

მუხლი 26. ბიბლიოთეკის დაფუძნება

1. ბიბლიოთეკის დაფუძნება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს დამოუკიდებელი დაწესებულების ან იურიდიული პირის ქვედანაყოფის სახით საბიბლიოთეკო ფონდის მინიმუმის, შენობის, ინვენტარის არსებობის შემთხვევაში.

2. უცხო სახელმწიფოს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ბიბლიოთეკის დაფუძნების უფლებასა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

მუხლი 27. ბიბლიოთეკის დამფუძნებელი

ბიბლიოთეკის დამფუძნებელი აფინანსებს ბიბლიოთეკას, აკონტროლებს მის საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ნიშნავს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს. ბიბლიოთეკის დამფუძნებელს არა აქვს უფლება ჩაერიოს ბიბლიოთეკის შემოქმედებით საქმიანობაში, ბიბლიოთეკის წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

მუხლი 28. ბიბლიოთეკის რეგისტრაცია

1. ბიბლიოთეკა უფუნქციონირებას იწყებს მხოლოდ სახელმწიფო რეგისტრაციის შემდეგ.

2. რეგისტრაციას ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ბიბლიოთეკა (განურჩევლად საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა), რომელსაც აქვს ათასზე (ერთი ათასი) მეტი საბიბლიოთეკო დოკუმენტი, შესაბამისი ფართი, საქართველოს კულტურის სამინისტროს შესაბამისი ლიცენზია და რომლის წესდება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

3. ბიბლიოთეკისათვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება ხდება რეგისტრაციის შემდეგ, კანონით დადგენილი წესით.

4. რეგისტრაციაზე უარს განიხილავს სასამართლო.

მუხლი 29. ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ლიკვიდირებული სახელმწიფო ბიბლიოთეკის ქონება სახელმწიფო საბიბლიოთეკო სისტემის საკუთრებაა.

2. ლიკვიდირებული ბიბლიოთეკის ქონების გადაცემის საკითხს, თუ ის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტია, გადაწყვეტს სახელმწიფო.

3. აკრძალულია სახელმწიფო ბიბლიოთეკის პრივატიზაცია.

თავი VIII
საქართველოს საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდი

მუხლი 30. საქართველოს საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდის შემადგენლობა

საქართველოს საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდი შედგება სახელმწიფო და არასახელმწიფო საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდებისაგან.

მუხლი 31. საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდი

საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდი საქართველოს საკუთრებაა. ის წარმოადგენს სახელმწიფო საბიბლიოთეკო სისტემის ბიბლიოთეკებში დაცულ ყველა სახის საბიბლიოთეკო დოკუმენტთა ფონდების ერთიობლიობას. საბიბლიოთეკო დოკუმენტებით სარგებლობა შეუზღუდავია. შეზღუდვა ხდება მხოლოდ სახელმწიფო საიდუმლოებებისა და მოქალაქეთა კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის მიზნით კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 32. აფხაზეთისა და აჭარის საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდი

აფხაზეთისა და აჭარის საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდი წარმოადგენს მათი ბიბლიოთეკების ყველა სახის საბიბლიოთეკო დოკუმენტთა ფონდების ერთობლიობას და არის საქართველოს საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდის შემადგენელი ნაწილი.

მუხლი 33. საბიბლიოთეკო დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარები

უფასო სავალდებულო ეგზემპლარების მიღების უფლების მქონე დაწესებულებათა ნუსხაში შეტანილი ბიბლიოთეკა უფასოდ იღებს და იცავს საქართველოში გამოცემული ყველა დოკუმენტის ეგზემპლარს.

მუხლი 34. საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეძენის უფლება

სახელმწიფო ბიბლიოთეკები თანაბარი მატერიალური ანაზღაურების

პირობებში სარგებლობენ საბიბლიოთეკო დოკუმენტების პირველ რიგში შეძენის უფლებით.

მუხლი 35. მესაკუთრის გარეშე დარჩენილი საბიბლიოთეკო დოკუმენტების გადაცემა

მესაკუთრის გარეშე დარჩენილი საბიბლიოთეკო დოკუმენტები გადაიდის საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო სისტემის განკარგულებაში.

მუხლი 36. საბიბლიოთეკო დოკუმენტების გაცვლისა და გაყიდვის უფლება

ბიბლიოთეკებსა და სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირებს შორის საბიბლიოთეკო დოკუმენტების გადანაწილება - გაყიდვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 37. განსაკუთრებული მნიშვნელობის საბიბლიოთეკო დოკუმენტების დაცვა

1. სახელმწიფო და არასახელმწიფო საბიბლიოთეკო ფონდების განსაკუთრებული მნიშვნელობის ფასეულობანი შეტანილია საქართველოს კულტურულ ფასეულობათა ნუსხაში და განსაკუთრებული დაცვის ობიექტს წარმოადგენს.

2. საეალდებულო ეგზემპლარებით და განსაკუთრებით ფასეული, იშვიათი დოკუმენტებით შედგენილი საბიბლიოთეკო ფონდი ქვეყნის კულტურული საკუთრებაა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გამოცხადდეს ისტორიისა და კულტურის ძეგლად. ამგვარი ფონდის გამოყენების, შენახვისა და დაცვისათვის წესდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი განსაკუთრებული რეჟიმი.

3. თუ ბიბლიოთეკა ვერ უზრუნველყოფს ისტორიისა და კულტურის ძეგლად გამოცხადებული ფონდის დაცვისა და სარგებლობის საჭირო პირობებს, ასეთი ფონდი შეიძლება გადაეცეს სხვა ბიბლიოთეკას ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოს წარდგენით.

4. იმ ბიბლიოთეკის ლიკვიდაცია, რომელიც ისტორიისა და კულტურის ძეგლებად რეგისტრირებულ ფონდებს ფლობს, დასაშვებია მხოლოდ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოს ნებართვით ამ ფონდების შემდგომი დაცვისა და სარგებლობის უზრუნველსაყოფად.

5. მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების მნიშვნელობის ტოლფასოვანი გამოცემები და კოლექციები, მათი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, უფლება აქვთ ისარგებლონ სახელმწიფოს მხარდაჭერით.

მუხლი 38. საბიბლიოთეკო ფასეულობათა გადაადგილება

საბიბლიოთეკო ფონდებში დაცულ ფასეულობათა გადაადგილება ან საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

თავი IX
ბიბლიოთეკების საერთაშორისო თანამშრომლობა

მუხლი 39. ბიბლიოთეკების უფლებამოსილება საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში

1. საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში შემავალი ბიბლიოთეკები უფლებამოსილი არიან გაწევრიანდნენ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებში, ითანამშრომლონ საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებთან და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამებში.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკების წარმომადგენლობას.

საქართველოს კანონი
ნორმატიული აქტების შესახებ

(მიღებულია 1996 წლის 29 ოქტომბერს. 1/26/96, 06/27/97, 06/27/97, 09/30/98, 12/24/98, 12/24/98, 02/05/99, 04/30/99, 04/30/99, 05/28/99, 06/25/99, 07/23/99, 09/08/99, 12/24/99, 06/13/2000, 03/02/2001, 03/30/2001, 06/20/2001, 10/23/2001,12/28/2002, 12/28/2002, 07/23/2003, 08/14/2003,02/17/2004 ოქტომბერს. ცვლილებებით და დამატებებით)

თავი III
ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნებისა და მოქმედების ზოგადი წესები

მუხლი 28

1. საქართველოს კონსტიტუციური კანონის, ორგანული კანონის, კანონის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის, პარლამენტის დადგენილების მომმადების, მიღების, გამოქვეყნებისა და მოქმედების, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების დადების, რატიფიცირების, შესრულების, დენონსირებისა და გაუქმების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ" საქართველოს კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით. პარლამენტის რეგლამენტით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით საქართველოს კანონის პროექტი შეიძლება განხილულ და მიღებულ იქნეს დაჩქარებული წესით. *(17.02.2004 N3350)*

2. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის, ბრძანებულებისა და ბრძანების, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, (24.02.99) საქართველოს მინისტრის, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და „აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

3. საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის, აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საქართველოს კონტროლის პალატის, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, საქართველოს

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციისა და საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციის ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების (გამოცემის), გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს ორგანული კანონით – საქართველოს საარჩევნო კოდექსით, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ", „აუდიტორული საქმიანობის შესახებ", „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", „ენერგეტიკის შესახებ", „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ", „ნავთობისა და გაზის შესახებ", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", „ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობის და რეგულირების წესის შესახებ", „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონებითა და მათი რეგლამენტით თუ დებულებით. *(14.08.2003 N2955)*

4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების (გამოცემის), გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით, ამ კანონით, მათი კონსტიტუციებითა და მათ საფუძველზე მიღებული შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

5. ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების (გამოცემის), გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით, ამ კანონითა და ამ ორგანოთა ნორმატიული აქტებით.

6. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მიერ ბრძანების მომზადების, მიღების (გამოცემის) გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის დებულებით. (13.06.2000)

7. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება ამ კანონით და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულებით.(20.06.2001 N967)

მუხლი 29

ნორმატიული აქტის პროექტში განისაზღვრება:

ა) ნორმატიული აქტები, რომლებიც უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად ამ ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) შემთხვევაში;

ბ) ნორმატიული აქტები, რომელთა მიღება (გამოცემა) საჭიროა ამ ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით, მათი მიღების (გამოცემის) ვადა და მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება. (27.06.97)

მუხლი 30

ნორმატიული აქტის პროექტს უნდა დაერთოს:

ა) განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა). განმარტებით ბარათში უნდა აღინიშნოს აგრეთვე პროექტის ავტორი (ავტორები) და პროექტის წარმდგენი;

ბ) პროექტი სხვა ნორმატიულ აქტებში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა), აგრეთვე პროექტი შესაბამის კანონში იმ დამატებათა შეტანის შესახებ, რომლებითაც განისაზღვრება ამ ნორმატიული აქტის ნორმათა დარღვევისათვის დადგენილი პასუხისმგებლობა;

გ) კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან წარდგენილი პროექტის შესაბამისობის შესახებ, ხოლო საკანონმდებლო აქტის პროექტს - აგრეთვე დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა, მისი არსებობის შემთხვევაში.

დ) შესაბამის ორგანოში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული ლობისტის დასკვნა, ასეთის არსებობის შეთხვევაში. (30.09.98)

მუხლი 31

1. ნორმატიული აქტი შეიცავს ძირითად ნაწილსა და დასკვნით დებულებებს, საჭიროების შემთხვევაში - აგრეთვე გარდამავალ დებულებებს.

2. ნორმატიულ აქტს შეიძლება ჰქონდეს პრეამბულა. მასში გადმოიცემა ამ ნორმატიული აქტის დანიშნულება და პრინციპები, რომლებიც მას უდევს საფუძვლად; თუ აქტი კანონქვემდებარეა, პრეამბულაში მითითებულ უნდა იქნეს, თუ რომელი საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად გამოიცა იგი.

3. ნორმატიული აქტი შეიძლება შეიცავდეს გარდამავალ დებულებებს, თუ განსაზღვრული ვადით დგინდება ძირითადისგან განსხვავებული ნორმები ან თუ ნორმატიული აქტის სრულად ასამოქმედებლად გარკვეული პირობები და დროა საჭირო.

4. ნორმატიული აქტის დასკვნითი დებულებანი შეიცავს იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალს, რომლებიც ძალას კარგავენ მოცემული ნორმატიული აქტის ამოქმედების მომენტიდან, აქტის ძალაში შესვლის

დროსა და მისი მოქმედების ვადას (თუ იგი განსაზღვრული ვადით არის გამოცემული).

5. თუ ნორმატიულ აქტში შევიდა ცვლილება და/ან დამატება, ნორმატიული აქტის სრული ტექსტის ოფიციალურად გამოქვეყნებისას უნდა მიეთითოს ასეთი ცვლილების და/ან დამატების მიღებისა (გამოცემისა) და ძალაში შესვლის თარიღი.

მუხლი 32

1. ნორმატიული აქტი, შინაარსის მიხედვით, შეიძლება დაიყოს კარებად და თავებად, ხოლო კოდექსი - წიგნებადაც. თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს სათაური. კარების, თავების და წიგნების ნუმერაცია უწყვეტია. ნუმერაციისას გამოიყენება რომაული ციფრები.

2. ნორმატიულ აქტში მუხლების ნუმერაცია უწყვეტია. ნუმერაციისას გამოიყენება არაბული ციფრები. თუ მუხლი რამდენიმე აბზაცისგან შედგება, ისინი უწყვეტად არაბული ციფრებით ინომრება და მათ პუნქტები (ხოლო კოდექსში - ნაწილები) ეწოდება. თუ მუხლის რომელიმე პუნქტი (ნაწილი) ქვეპუნქტებადაა დაყოფილი ისინი ანბანურად ინომრება. მუხლს შეიძლება ჰქონდეს სათაური. მუხლის პუნქტი (ნაწილი) და ქვეპუნქტი უსათაუროა.

3. ნორმატიულ აქტში მუხლის (პუნქტის) ამოღების ან/და ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, ნორმატიული აქტის ნუმერაციის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, აქტის გამოქვეყნებისას ამოღებული ან/და ძალადაკარგული მუხლის (პუნქტის) ადგილას მიეთითება ის ნორმატიული აქტი, რომლითაც მუხლი (პუნქტი) ამოღებულად ან/და ძალადაკარგულად იქნა ცნობილი.

4. ნორმატიულ აქტში მუხლის დამატების შემთხვევაში, ნორმატიული აქტის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, მიეთითება წინა მუხლის ნომერი დამატებითი ციფრით (პრიმა მუხლი). (28.05.99)

5. ნორმატიული აქტის რომელიმე დებულების მითითება ხდება შემდეგი წესით: უნდა დასახელდეს ნორმატიული აქტის სახე და სათაური, მუხლი, პუნქტი (ნაწილი), ქვეპუნქტი, ხოლო თუ აუცილებელია - წინადადებაც.

მუხლი 33

1. კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის პროექტს ამზადებს შესაბამისად საკანონმდებლო ინიციატივის ან ნორმატიული აქტის პროექტის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტი ან თვით ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანო. პარლამენტის რეგლამენტის პროექტს, ასევე პროექტს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების ან/და დამატების შეტანის შესახებ ამზადებს და წარადგენს პარლამენტის წევრი, საპარლამენტო ფრაქცია, პარლამენტის კომიტეტი. *(17.02.2004 N3350)*

2. საკანონმდებლო ინიციატივის ან ნორმატიული აქტის პროექტის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტსა და ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანოს (მის სტრუქტურულ ერთეულს) უფლება აქვთ დაუკავშირდნენ ნორმატიული აქტის პროექტი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციასა და დაწესებულებას (მათ შორის უცხოეთის დაწესებულებას), ცალკეულ სპეციალისტსა და სპეციალისტთა ჯგუფს (მათ შორის უცხოელებს).

3. საკანონმდებლო აქტის პროექტი საქართველოს პარლამენტში განხილვამდე საექსპერტო დასკვნისთვის შეიძლება გადაეცეს შესაბამისი დარგის სპეციალისტებს.

4. საქართველოს მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტის პროექტი გადაეცემა იუსტიციის სამინისტროს, რომელიც ორი კვირის ვადაში იძლევა დასკვნას მისი საქართველოს საკანონმდებლო აქტებთან და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებთან შესაბამისობის შესახებ. იუსტიციის სამინისტროს სათანადოდ დასაბუთებული უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში საქართველოს მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტის პროექტი უნდა შეესაბამოს საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო აქტებს და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებს, რის შემდეგაც იგი საჭიროებს იუსტიციის სამინისტროს სათანადო ხელახალ დასკვნას ნორმატიული აქტის პროექტის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე. (27.06.97)

მუხლი 34

1. საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტის განხილვა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის დასკვნის არსებობისას. კომიტეტის უარყოფითი დასკვნა არ შეიძლება იყოს დაბრკოლება პარლამენტის მიერ პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვის დაწყებისათვის.

2. პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტის განხილვისას პრეზიდენტის სახელით გამოსვლის უფლება აქვს მხოლოდ მის მიერ სპეციალურად დანიშნულ პირს, რომელიც არ შეიძლება იყოს პარლამენტის წევრი.

3. საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანონპროექტი, რომლის რიგგარეშე განხილვასაც იგი მოითხოვს, რეგლამენტით დადგენილი წესით დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის კომიტეტს. კომიტეტი ვალდებულია განიხილოს იგი კომიტეტის უახლოეს სხდომაზე და გამოიტანოს დასკვნა. პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს კომიტეტის მიერ დასკვნის გამოტანის შემდეგ უახლოეს პლენარულ სხდომაზე.

4. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო აქტის პროექტის მოგვიანებული შენიშვნებით პარლამენტში დაბრუნების შემთხვევაში პრეზიდენტის წარმოდგენილ ყველა შენიშვნას ერთიანად უნდა ეყაროს კენჭი. დაუშვებელია პარლამენტის მიერ პრეზიდენტის შენიშვნებში ცვლილებების შეტანა.

მუხლი 35

1. მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს აქვს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარდგენის უფლება.

2. საქართველოს პარლამენტი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირების, გაუქმებისა და დენონსირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის დადგენილების ფორმით სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

3. დაუშვებელია პარლამენტში ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების რატიფიცირების საკითხის განხილვა, რომელიც იწვევს ცვლილებებს მოქმედ კანონმდებლობაში, თუ მას თან არ ახლავს კანონპროექტი შესაბამის საკანონმდებლო აქტში ცვლილების შესახებ.

მუხლი 36

1. ნორმატიულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შევიდა ცვლილება ან დამატება.

2. ნორმატიული აქტის ცვლილების ან დამატების მომზადება, მიღება (გამოცემა) და ძალაში შესვლა ხდება იმ ნორმატიული აქტის მომზადების, მიღებისა (გამოცემის) და ამოქმედებისათვის დადგენილი წესით, რომელშიც შედის ეს ცვლილება ან დამატება.

3. ნორმატიულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის თაობაზე ნორმატიული აქტის პროექტში მითითებული უნდა იყოს მონაცემები იმ ნორმატიული აქტის შესახებ, რომელშიც შედის ეს ცვლილება ან დამატება, კერძოდ, ნორმატიული აქტის სათაური, იმ ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს სახელწოდება, რომელშიც აღნიშნული ნორმატიული აქტია გამოქვეყნებული, გამოქვეყნების თარიღი და მუხლი (გვერდი).

4. ნორმატიულ აქტში სიტყვის (სიტყვების) ან რიცხვის (რიცხვების) შეცვლის, ამოღების ან დამატების შემთხვევაში ნორმატიული აქტის პროექტი უნდა შეიცავდეს შესაბამისი პუნქტის (ნაწილის), ქვეპუნქტის სრულ რედაქციას სათანადო ცვლილების ან დამატების გათვალისწინებით. *(28.12.2002 N1904)*

მუხლი 37

1. საქართველოს საკანონმდებლო აქტის მიღების თარიღად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტის მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე.

2. სხეა ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღად ჩაითვლება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მისი ხელმოწერის დღე.

მუხლი 38

1. საქართველოს პარლამენტი მიღებულ კანონპროექტს 5 დღის ვადაში გადასცემს საქართველოს პრეზიდენტს.

2. საქართველოს პრეზიდენტი კანონპროექტის მისთვის გადაცემიდან 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს კონსტიტუციურ კანონს, ორგანულ კანონსა და კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს მისთვის გადაცემიდან 7 დღის ვადაში.

3. თუ პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, ამ ვადის გასვლიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

4. საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტი, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული ხასიათის დადგენილება და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბრძანება უნდა გამოქვეყნდეს ხელმოწერიდან (მიღებიდან) 7 დღის ვადაში, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტი – ხელმოწერიდან (მიღებიდან) მე-2 დღეს, ხოლო ყველა სხვა ნორმატიული აქტი – ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანიდან 7 დღის ვადაში. საქართველოს ნორმატიული აქტები (გარდა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებისა), აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტები არ შეიძლება გამოქვეყნდეს სახელმწიფო რეესტრში შეტანამდე. *(28.12.2002 N1906)*

5. საქართველოს ნორმატიული აქტის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის პირველი გამოქვეყნება „საქართველოს კანონმდებლობის მაცნეში", ხოლო პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებისა - აგრეთვე „საქართველოს პარლამენტის უწყებებში". ნორმატიული აქტის ოფიციალურ გამოქვეყნებამდე არ შეიძლება მისი გამოქვეყნება სხვა რომელიმე ბეჭდით ორგანოში.

6. ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია ნორმატიული აქტის ოფიციალური გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში აცნობოს იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტის გამოქვეყნების თარიღი და გადაუგზავნოს მას გამოქვეყნებული ნორმატიული აქტი. (27.06.97)

მუხლი 39

1. თითოეულ ნორმატიულ აქტს უნდა ჰქონდეს შემდეგი რეკვიზიტები:

ა) ნორმატიული აქტის სახე;

ბ) ნორმატიული აქტის სათაური;

გ) ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი (თუ ნორმატიულ აქტში შეტანილია ცვლილება ან დამატება, მათი შეტანის თარიღიც);

დ) ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი და აქტის მოქმედების ვადა (თუ განსაზღვრული ვადითაა მიღებული);

ე) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა;

ვ) ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, ხოლო ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანის შემდეგ - აგრეთვე სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი.

2. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა (თანამდებობის პირთა) (27.06.97) ნორმატიულ აქტებზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი.

მუხლი 40

საქართველოს ნორმატიული აქტი მიიღება (გამოიცემა) და ქვეყნდება საქართველოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და მის ტერიტორიაზე მდებარე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტები - აგრეთვე აფხაზურ ენაზე. ნორმატიული აქტი შეიძლება გამოქვეყნდეს არასახელმწიფო ენაზეც; ასეთ ტექსტს არა აქვს ოფიციალური ძალა.

მუხლი 41

1. ნორმატიული აქტი, რომლის ძალაში შესვლაც დაკავშირებულია გამოქვეყნებასთან, (27.06.97) ძალაში შედის მხოლოდ იმ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში ოფიციალურად გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც ამ კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით დადგენილია ოფიციალურ ორგანოდ. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ცალკეულ დებულებათა გამოუქვეყნებლობა დასაშვებია მხოლოდ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. დაუშვებელია იმ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის გამოუქვეყნებლობა, რომელიც ზღუდავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ან აძლევს იურიდიულ პასუხისმგებლობას.

2. თუ ადგილობრივ თვითმმართველობას (მმართველობას) ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო არ გააჩნია, მისი ნორმატიული აქტი უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოს რეგლამენტით განსაზღვრული ისეთი წესით, რომელიც მოსახლეობას მისცემს შისი გაცნობის საშუალებას.

მუხლი 42

1. საქართველოს საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ თვითონ საკანონმდებლო აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.

2. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი ძალაში შედის მხოლოდ ოფიციალურ ბეჭდით ორგანოში მისი გამოქვეყნების შემდეგ, დეკრეტში მითითებული მომენტიდან და მოქმედებს მასში აღნიშნულ დრომდე, მაგრამ არა უგვიანეს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებისა, თუ იგი არ იქნა გაუქმებული საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით.

3. საქართველოს პრეზიდენტი დეკრეტს გამოცემიდან 48 საათის განმავლობაში წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. (27.06.97)

მუხლი 43

1. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდით ორგანოში მისი გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე ბრძანებულებით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.

2. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ძალაში შედის მისი სელმოწერის მომენტიდან, თუ იმავე ბრძანებულებით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.

3. საქართველოს პრეზიდენტის, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან, თუ იმავე ბრძანებით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.

4.თუ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე - 18, მე - 20, 21 - ე, 22 - ე, 24 - ე, 25 - ე, 30 - ე, 33 -ე და 41 - ე მუხლებით განსაზღერულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მისი ტექსტი უნდა გადაიცეს საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით, ხელმოწერიდან ერთი დღის განმავლობაში მაინც, ყოველ ორ საათში ერთხელ. პრეზიდენტი ვალდებულია არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიგანოს პარლამენტში დასამტკიცებლად. (27.06.97)

მუხლი 43[1]

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბრძანება ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდით ორგანოში მისი გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე ბრძანებით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი. (24.12.99)

მუხლი 44

1. საქართველოს მინისტრის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, საქა-

რთველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო მედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს, საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის, აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს (თანამდებობის პირის) ნორმატიული აქტი ძალაში შედის ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანიდან მე-10 დღეს, თუ იმავე ნორმატიული აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი. *(23.07.2003 N2621)*

2. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე ნორმატიული აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი. (25.06.99)

მუხლი 45

1. ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე - ნიშნავს, რომ ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, 24 საათიზე.

2. ნორმატიული აქტით შეიძლება დადგინდეს ამ აქტის ცალკეული თავის ან მუხლის ძალაში შესვლის განსაკუთრებული თარიღი.

3. ნორმატიული აქტი, რომელიც აღგენს ან ამძიმებს იურიდიულ პასუხისმგებლობას ანდა განსაზღვრავს მოსაკრებლის ან გარიფის სახეებს, სტრუქტურას, ოღენობას, შემოღებისა და ვადახდის წესს, ძალაში შედის გამოქვეყნებიდან არა უადრეს მე-15 დღისა. *(28.12.2002 N1904)*

4. საკანონმდებლო აქტი, რომელიც აწესებს ან აუქმებს გადასახადს ანდა მრდის ან ამცირებს მის ოღენობას, მიიღება საბიუჯეტო პროცესის პირველ ეტაპზე (მომდევნო წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებამდე) და ძალაში შედის მოქმედენო წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო წლის პირველი მარტისა. *(28.12.2002 N1904)(ამოქმედდეს საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებისთანავე.)*

მუხლი 46

1. ნორმატიული აქტი მოქმედებს უვადოდ, თუ კანონმდებლობით ან თვით ამ აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიძლება მიღებულ (გამოცემულ) იქნეს განსაზღვრული ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალადაკარგულად ჩაითვლება, თუ ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანო ასეთი ნორმატიული აქტის მიღებისთვის (გამოცემისთვის) დადგენილი წესით არ მიიღებს ვადაწყვეტილებას ვადის გაგრძელების შესახებ.

მუხლი 47

1. ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით.

2. ნორმატიულ აქტს, რომელიც აღგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

3. თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ კანონით გაუქმდა ან შემსუბუქდა პასუხისმგებლობა ასეთი სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა.

მუხლი 48

1. საკანონმდებლო აქტს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა მიუხედავად იმისა, მიღებულია (გამოცემულია) თუ არა მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად კანონქვემდებარე აქტი, თუ თვით საკანონმდებლო აქტით ეს არ არის დადგენილი.

2. დაუშვებელია საკანონმდებლო აქტით დადგენილი ნორმის განხორციელებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მის შესასრულებლად მიღებული (გამოცემული) არ არის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტი, თუ იმავე საკანონმდებლო აქტით ეს არ არის დადგენილი.

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გააუქმოს მისდამი ანგარიშვალდებული აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ნორმატიული აქტები.

1. ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს იმ შემთხვევებში, თუ:

ა) გაეიდა ვადა, რომლითაც იგი იქნა მიღებული (გამოცემული);

ბ) მიღებულია (გამოცემულია) (27.06.97) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს;

გ) უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებულია (გამოცემულია) ისეთი გადწყვეტილება, რომელიც საქართველოს კონტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტის მიხედვით იწვევს მისი იურიდიული ძალის დაკარგვას.

2. არ შეიძლება რომელიმე ნორმატიული აქტით უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.

3. იმ კანონის გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ძველი კანონი, არ ნიშნავს ძველი კანონის ამოქმედებას.

4. ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად მიღებული (გამოცემული) ყველა ნორმატიული აქტი ან ნორმატიული აქტის შესაბამისი ნაწილი.

5. იურიდიული ძალა არა აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მიღებულ (გამოცემულ) კანონქვემ-

დებარე ნორმატიულ აქტს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი გამოცხადებული ძალადაკარგულად

6. საკანონმდებლო აქტის მიღების შემთხვევაში ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ყველა კანონქვემდებარე აქტი ან მისი ნაწილი.

მუხლი 51

1. დაუშვებელია ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით, აგრეთვე ნორმატიული აქტის შესასრულებლად სათანადო ზომების მიუღებლობა ან დაბრკოლების შექმნა.

2. თუ ნორმატიული აქტი მიღებულია (გამოცემულია) საკითხზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს ორგანული კანონის თანახმად სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) სხვა ორგანოს (თანამდებობის პირის) უფლებამოსილებაშია, ან მიღებულია ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ან დარღვეულია შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებისა (გამოცემისა) და ამოქმედებისათვის დადგენილი პროცედურა, ნორმატიულ აქტს არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილია.

3. ამ მუხლში აღნიშნულ საკითხებს განიხილავენ და წყვეტენ ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) ზემდგომი ორგანო (თანამდებობის პირი), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო სასამართლოები მათი უფლებამოსილების ფარგლებში.

4. თუ იუსტიციის სამინისტროსათვის ცნობილი გახდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გარემოებანი, იგი ვალდებულია მიმართოს ნორმატიული აქტის მიმღებ (გამომცემ) ორგანოს (თანამდებობის პირს), აგრეთვე ნორმატიული აქტის გაუქმებაზე (შეჩერებაზე) უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) ნორმატიული აქტის (გარდა საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტებისა) გაუქმების (შეჩერების) მოთხოვნით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულებისას საერთო სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფოს. (08.09.99)

მუხლი 52

ამ კანონში მითითებული ვადების ათვლისას, გარდა ნორმატიული აქტის ძალაში შესვლისათვის დადგენილი ვადისა, არ ჩაითვლება საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები.

საქართველოს კანონი
სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ

(მიღებულია 1996 წლის 29 ოქტომბერს. 03/04/98, 03/19/99 ცვლილებებით და დამატებებით)

საქართველოს საინფორმაციო სუვერენიტეტიდან და ინფორმაციის სფეროში საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპებიდან გამომდინარე, ეს კანონი არეგულირებს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევასთან, მის დასაიდუმლოებასა და დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში.

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონში გამოყენებული ცნებები

1. "სახელმწიფო საიდუმლოება" - ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერობების, დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რაც ამ კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას.

2. "საიდუმლოობის ხარისხი" - კატეგორია, რომელიც გამოხატავს ინფორმაციის მნიშვნელობას, მისი გამჟღავნებით ან დაკარგვით გამოწვეულ შესაძლო ზიანს, ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ხარისხს და სახელმწიფოს მიერ მისი დაცვის ღონეს.

3. "სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სისტემა" - სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ორგანოების მიერ გამოყენებული საიდუმლოების დაცვის საშუალებები და მეთოდები, აგრეთვე ამ მიზნით განხორციელებული ღონისძიებები.

4. "დასაიდუმლოება" - ამ კანონით დადგენილი სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებთან დაშვებისა და მათი გავრცელების შეზღუდვები.

5. "განსაიდუმლოება" - ამ კანონით დადგენილ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობებთან დაშვებისა და მათი გავრცელების შეზღუდვების მოხსნა.

6. "სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მქონე" - დოკუმენტი ან სხვა სახის მატერიალური საგანი, რომელიც შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებად აღიარებულ ინფორმაციას.

7. "სახელმწიფო სამდუმლოებასთან დაშვება" - სახელმწიფო ორგანოებისათვის, ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის მიცემული ნებართვა შეასრულოს სამუშაო სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოყენებით.

8. "სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცნობის უფლება" - თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების მქონე პირისათვის მიცემული შესაძლებლობა გაეცნოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალას.

9. "საიდუმლოების გრიფი" - რეკვიზიტი, რომელიც ადასტურებს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის საიდუმლოების ხარისხს.

10. "ინფორმაციის დაცვის საშუალებები" - სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვის ტექნიკური, კრიპტოგრაფიული, პროგრამული და სხვა საშუალებები.

მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ

1. საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ შედგება ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებისაგან.

2. სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოქმედება არ ვრცელდება კომერციული ან საბანკო საიდუმლოებების, საფინანსო, სამეცნიერო-ტექნოლოგიური, საგამომგონებლო და სხვა სახის საიდუმლო ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, თუ ეს ინფორმაცია ამასთანავე სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენს.

მუხლი 3. სახელმწიფო პოლიტიკა სახელმწიფო საიდუმლოების მიმართ

1. სახელმწიფო პოლიტიკას სახელმწიფო საიდუმლოების მიმართ, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის, თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, შეიმუშავებს საქართველოს პარლამენტი.

2. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ ამ პოლიტიკის შესრულებას კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

3. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის საორგანიზაციო ღონისძიებებს, არის სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია.

4. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს და აკონტროლებს მათ შესრულებას.

5. საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების, ორგანიზაციებისა და მილინებაში მყოფ იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავიანთი საქმიანობით დაკავშირებულნი არიან სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან. (19.03.99 N1853 საკანონმდებლო მაცნე N12(19))

მუხლი 4. ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებისა და საიდუმლოების დაცვისათვის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებანი

1. საქართველოს პარლამენტი:

ა) უზრუნველყოფს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვის საკანონმდებლო მოწესრიგებას;

ბ) საპარლამენტო კონტროლს უწევს სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულებას;

გ) განსაზღვრავს პარლამენტის აპარატის იმ თანამდებობის პირთა უფლებამოსილებას, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას პარლამენტში;

დ) გაადწყვეტს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებისა და დაცვის სხვა საკითხებს.

2. საქართველოს პრეზიდენტი:

ა) ამტკიცებს "სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესს";

ბ) ამტკიცებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციის დებულებასა და სტრუქტურას, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციის უფროსს;

გ) ამტკიცებს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხას;

დ) ამტკიცებს იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომელთაც აქვთ სახელმწიფო საიდუმლობებისათვის კონკრეტული ინფორმაციის მიკუთვნების უფლებამოსილება;

ე) ამტკიცებს იმ თანამდებობის პირთა წუსხას, რომელნიც უფლებამოსილნი არიან გასცენ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების ნებართვა;

ვ) განსაზღვრავს სახელმწიფო კანცელარიის იმ თანამდებობის პირთა უფლებამოსილებას,რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას სახელმწიფო კანცელარიაში;

ზ) თაეის კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს ამ კანონის შესაბამისად სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ცნობებისა და დაცვის სხეა საკითხებს.

თ) უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის წინადადებით სახელმწიფო საიდუმლოების გრიფი მოხსნას ნდობის ჯგუფის მიერ წარდგენილ სახელმწიფო საიდუმლოების ხარისხის მქონე ინფორმაციას; (04.03.98 N1853 საკანონმდებლო მაცნე N12(19))

3. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო:

ა) შეიმუშავებს და პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს:

"სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესს; სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მისაკუთვნებელ ცნობათა ნუსხას;

იმ თანამდებობის პირთა სიას, რომელთაც აქეთ სახელმწიფო საიდუმლოებისათვის კონკრეტული ცნობების მიკუთვნების უფლებამოსილება;

იმ თანამდებობის პირთა სიას, რომელნიც უფლებამოსილნი არიან გასცენ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების ნებართვა;

ბ) ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისა და შესრულების ორგანიზაციას.

4. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და მათი ხელმძღვანელები:

ა) უზრუნველყოფენ მათთეის გადაცემული სახელმწიფო საიდუმლოების შემცეელი ინფორმაციის დაცვას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფენ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას მათდამი დაქეემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

გ) სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს წარუდგენენ სახელმწიფო საიდუმლოების დაცეის სისტემის სრულყოფის წინადადებებს.

5. სასამართლო ხელისუფლება:

ა) განიხილავს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებში;

ბ) უზრუნველყოფს საქმეთა განხილეისას სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას;

გ) განსაზღვრავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცეელი ინფორ-

მაციის გარეცელებით ან დაკარგვით მიყენებული ზარალის ოდენობას, ასევე იმ ზარალის ოდენობას, რომელიც ამ ცნობების გაცემით განიცადა ინფორმაციის მფლობელმა;

დ) განსაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების თანამდებობის პირთა უფლებამოსილებას სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში სახელმწიფო საიდუმლობეის დაცეის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 5. სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევა ინფორმაციისა და მის შემცველებზე საკუთრების უფლების განხორციელება

1. სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის ან მისი მატერიალური შემცველის მესაკუთრე თავის საკუთრების უფლებას ასორციელებს ამ კანონით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

2. სახელმწიფო საიდუმლოების დაცეის წესი და პირობები, სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციისა და მისი შემცველის გამოყენებისა და განკარგვის სპეციალური რეჟიმის დადგენის ჩათელით, განისაზღვრება ამ კანონის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით ინფორმაციის ან მისი შემცველის მფლობელსა და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციას შორის.

3. თუ ხელშეკრულებაში აღნიშნული საკუთრების უფლებათა შეზღუდვები სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეულ ინფორმაციაზე და მის შემცველებზე ზარალს აყენებს მათ მესაკუთრეს, ამ ზარალის სრული კომპენსაცია ხდება სახელმწიფო ხარჯზე, იმ შემოსავლის ჩათვლით, რომელიც მესაკუთრემ ვერ მიიღო.

4. თუ სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის ან მისი შემცველის მესაკუთრე უარს ამბობს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ან არღვევს მას, სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ინფორმაცია ან მისი შემცველი შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს და გადავიდეს სახელმწიფო საკუთრებაში. ასეთ შემთხვევაში კომპენსაციის მოცულობას განსაზღრავს სასამართლო.

მუხლი 6. სახელმწიფო საიდუმლოებად ინფორმაციის მიჩნევის, მისი დასაიდუმლოებისა და დაცვის ღონისძიებათა დაფინანსება

1. სახელმწიფო საიდუმლოებად ინფორმაციის მიჩნევის, მისი დასაიდუმლობებისა და დაცვის ღონისძიებები სახელმწიფო ორგანოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში და სახაზინო საწარმოებში ფინანსდება შესაბამისი ბიუჯეტების ხარჯზე.

2. კერძო საკუთრებაში არსებული სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის დაცვის ღონისძიებები ხორციელდება ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საფუძველზე.

3. სახელმწიფო საიდუმლოებად ინფორმაციის მიჩნევის, საქართვე-

ლოს კანონმდებლობის შესაბამისად მისი დასაიდუმლოებისა და დაცვის ღონისძიებები არასახმინო საწარმოში ფინანსდება საწარმოსა და სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულების დამკვეთს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

თავი II
ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევა

მუხლი 7. ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია სახელმწიფო საიდუმლოებად იქნეს მიჩნეული

სახელმწიფო საიდუმლოებას შეიძლება მიეკუთვნოს ძხოლოდ შემდეგი ინფორმაცია:

1. თავდაცვის სფეროში:

ა) რომელიც შეიცავს სტრატეგიულ და ოპერატიულ გეგმებს, სამხედრო ოპერაციების მომმაღებისა და ჩატარების ამსახველ დოკუმენტებს, ჯარების სტრატეგიული და ოპერატიული გადაადგილების, მათი მობილიზაციის, საბრძოლო მმადყოფნისა და სამობილიზაციო რესურსების გამოყენების საკითხები;

ბ) შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის განვითარების მიმსრობრივი პროგრამების აგრეთვე სამეცნიერო - კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების ტექნიკისა და თავდაცვითი ტექნოლოგიების შემუშავებას;

გ) განსაკუთრებით დაცული სამხედრო და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების რეჟიმის, სტრუქტურისა და შემადგენლობის შესახებ.

2. ეკონომიკის სფეროში:

ა) სახალხო მეურნეობის სამობილიზაციო გეგმებისა და სიმძლავრეების, სამხედრო დანიშნულების სტრატეგიული ნედლეულისა და მასალების მარაგისა და მიწოდების მოცულობათა, აგრეთვე სახელმწიფო და სამობილიზაციო რეზერვების განლაგებისა და მოცულობის შესახებ;

ბ) ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ქვეყნის ინფრასტრუქტურის სხვა დარგებისა და ობიექტების დაცვის სისტემისა და რეჟიმის შესახებ, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის;

გ) ოქროს საერთო მარაგში შემავალი მონეტარული ჯგუფის - ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების და სხვა ფასეულობათა - სახელმწიფო მარაგების კონკრეტულ სახეობათა შესახებ, ფულის ნიშნებისა და ფასიანი ქაღალდების დამზადების, შენახვის, დაცვისა და ყალბისმქსნელობის თავიდან აცილებასთან, მიმოქცევასთან, გაცვლასთან ან მიმოქცევიდან ამოღებასთან დაკავშირებული ოპერაციების თაობაზე.

3. საგარეო ურთიერთობათა სფეროში:

ა) საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესახებ, რომელთა წინასწარმა გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ინტერესებს;

ბ) უცხო სახელმწიფოებთან სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის თანამშრომლობის საკითხების შესახებ, თუ ცნობების გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ინტერესებს.

4. დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში:

ა) საბაზვერეო, კონტრსაბაზვერეო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გეგმების, ორგანიზების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების, ფორმების, მეთოდებისა და შედეგების, აგრეთვე კონკრეტული პროგრამების დაფინანსების შესახებ; იმ პირთა ვინაობამე, რომლებიც ზემოაღნიშნულ სფეროებში კონფიდენციალურ საფუძველზე თანამშრომლობენ ან ადრე თანამშრომლობდნენ ასეთი საქმიანობის განმახორციელებელ საქართველოს შესაბამის ორგანოებთან;

ბ) "სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრული სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობის პირთა დაცვის და აღმინისტრაციულ შენობებისა და სამთავრობო რეზიდენციების დაცვის რეჟიმის შესახებ

გ) სამთავრობო და სპეციალური კავშირგაბმულობის სისტემის შესახებ;

დ) სახელმწიფო შიფრების დამუშავებისა და გამოყენების, კრიპტოგრაფიის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ.

მუხლი 8. ინფორმაცია, რომელიც არ მიიჩნევა სახელმწიფო საიდუმლოებად

1. აკრძალულია სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს ნებისმიერი ცნობა, რომლითაც შეიძლება შეილახოს ან შეიზღუდოს ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ზიანი მიადგეს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

2. არ შეიძლება სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს ნორმატიული აქტები, გარდა თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების, დაზვერვისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის აქტებისა, რომლებიც აწესრიგებენ მათ შიდა საქმიანობას უშუალოდ სახელმწიფო თავდაცვისა და უშიშროების თვალსაზრისით, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები; (19.03.99 N1853 საკანონმდებლო მაცნე N12(19))

3. არ შეიძლება სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს რუკები, გარდა სამხედრო დანიშნულების სპეციალური რუკებისა.

4. არ შეიძლება სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სტიქიური უბედურების, კატასტროფებისა და სხვა განსაკუთ-

რებული მოვლენების შესახებ, რომლებიც უკვე მოხდა ან შეიძლება მოხდეს და ემუქრება მოქალაქეთა უსაფრთხოებას;

ბ) გარემოს მდგომარეობისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის, მისი ცხოვრების დონის შესახებ, სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის ჩათვლით, აგრეთვე სოციალურ - დემოგრაფიული მაჩვენებლების, მოსახლეობის განათლებისა და კულტურის შესახებ;

გ) კორუფციის, თანამდებობის პირთა უკანონო ქმედობებისა და კრიმინოგენული სიტუაციის შესახებ;

ე) პრივილეგიების, კომპენსაციებისა და შეღავათების შესახებ, რომლებსაც სახელმწიფო ანიჭებს მოქალაქეებს, თანამდებობის პირებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

ვ) სახელმწიფო სავალუტო ფონდისა ოქროს საერთო მარაგის შესახებ;

ზ) სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა ჯანმრთელობის შესახებ.

მუხლი 9. სახელმწიფო საიდუმლოებად ინფორმაციის მიჩნევის წესი

1. სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნების აუცილებლობის დასაბუთება, ამ ცნობების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ევალება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, აგრეთვე, საწარმოს, დაწესებულებას და ორგანიზაციას, რომელმაც ეს ცნობები შეიმუშავა ან მიიღო განსახილველად და ან შესანახად.

2. სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნების საკითხს წყვეტს სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელი პირი, რომელსაც ეს უფლებამოსილება აქვს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ღ" ქვეპუნქტით.

მუხლი 10. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხა

1. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხას გამოსაქვეყნებლად ამზადებს და ოფიციალურ სახელმწიფო გამოცემებში აქვეყნებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია.

2. ცვლილებები და დამატებები სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხაში ქვეყნდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

3. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია სულ ცოტა 5 წელიწადში ერთხელ ოფიციალურად აქვეყნებს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხას.

4. თუ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხაში შეტანილია ინფორმაცია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან არღვევს ინფორმაციის

სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის დადგენილ წესს, დაინტერესებული პირები უფლებამოსილი არიან კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივრონ ეს გადაწყვეტილება სასამართლოში.

მუხლი 11. საიდუმლოების ხარისხის დადაბლება და სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება

საიდუმლების ხარისხის დადაბლება და მისი სახელმწიფო საიდუმლოებად მიიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება ხდება სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებით ან შეცვლით, ამ გადაწყვეტილების მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში და ფორმდება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციის მიერ საიდუმლო ცნობათა ნუსხაში სათანადო ცვლილების შეტანით.

თავი III
ინფორმაციის დასაიდუმლოება

მუხლი 12. ინფორმაციის დასაიდუმლოების პრინციპები

1. ინფორმაციის დასაიდუმლოება ხორციელდება კანონიერების, დასაბუთებულობის და დროულობის პრინციპების შესაბამისად.

2. ინფორმაციის დასაიდუმლოების კანონიერება განისაზღვრება ამ კანონის მე-7 და მე-8 მუხლით განსაზღვრულ საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ინფორმაციის დასაიდუმლოების დასაბუთებულობა განისაზღვრება კონკრეტული მასალის საექსპორტო შეფასების საფუძველზე სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მოქალაქეთა სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესების გათვალისწინებით.

4. ინფორმაციის დასაიდუმლოების დროულობის პრინციპი განისაზღვრება ამ ინფორმაციის გაერცელების შეზღუდვით მისი მიღების (შეშუშაების) მომენტიდან.

მუხლი 13. ინფორმაციის საიდუმლოების ხარისხი და მისი გრიფი

1. სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის დასაიდუმლოება ხორციელდება შესაბამისი დოკუმენტებისათვის, ნაკეთობისათვის ან ინფორმაციის სხვა მატერიალური შემცველისათვის საიდუმლოობის გრიფის მინიჭებით.

2. საიდუმლოობის გრიფი სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის ყოველი მატერიალური შემცველის აუცილებელი რეკვიზიტია. იგი უნდა აღნიშნავდეს ამ ინფორმაციის საიდუმლოების ხარისხს

("განსაკუთრებული მნიშვნელობის", "სრულიად საიდუმლო", "საიდუმლო"), ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადასა და თანამდებობის პირს, რომელმაც აღნიშნა ეს გრიფი.

3. მონაცემებს, რომლებისთვისაც წესდება "განსაკუთრებული მნიშვნელობის" საიდუმლოების ხარისხი, მიეკუთვნება მონაცემები, რომელთა გაერცელება ან დაკარგვა არსებითად იმოქმედებდა საქართველოს ინტერესებზე თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში, გამოიწვევდა განსაკუთრებით ძნიმე შედეგებს.

4. მონაცემებს, რომლებისთვისაც წესდება საიდუმლოების ხარისხი"სრულიად საიდუმლო", მიეკუთვნება ინფორმაცია, რომლის გაერცელებამ ან დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგები საქართველოს თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებისათვის, აგრეთვე, ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა ინტერესებისათვის.

5. მონაცემებს, რომლებისთვისაც წესდება საიდუმლოობის ხარისხი "საიდუმლო", მიეკუთვნება ინფორმაცია, რომლის გაერცელებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს თავდაცვაზე, სახელმწიფო უშიშროებაზე, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებზე.

6. თუ გრიფის აღნიშვნა უშუალოდ ინფორმაციის მატერიალურ შემცველზე შეუძლებელია, იგი უნდა მიეთითოს თანდართულ დოკუმენტებში.

7. აკრძალულია ამ კანონით გათვალისწინებული საიდუმლოობის გრიფის აღნიშვნა ინფორმაციის შემცველებზე, რომლებიც დაცული სხვა სახის საიდუმლო ან კოფიდენციალური ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენს.

8. თანამდებობის პირთა სია, რომლებსაც უფლება აქვთ ინფორმაციის შემცველზე აღნიშნონ საიდუმლოობის გრიფი, ამტკიცებს იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც ეწევა სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

9. ინფორმაციის დასაიდუმლოების დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ და ინფორმაციის საიდუმლოობის ხარისხის დადაბლების ან მისი სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში ინფორმაციის დასაიდუმლოების განმსორციელებელი თანამდებობის პირები ვალდებული არიან უზრუნველყონ საიდუმლოობის გრიფის შეცვლა ან ინფორმაციის გასაიდუმლოება.

მუხლი 14. ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადა

1. ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადა დამოკიდებულია მისი საიდუმლოობის ხარისხზე. "განსაკუთრებული მნიშვნელობის" ინფორმაციისათვის იგი შეადგენს არა უმეტეს 20 წელს, "სრულიად საიდუმლო" ინფორმაციისათვის - არა უმეტეს 10 წელს, "საიდუმლო" ინფორმაციისათვის - არა უმეტეს 5 წელს.

2. დასაიდუმლოების ვადის ათვლა იწყება ინფორმაციის შემცველზე საიდუმლოობის გრიფის აღნიშვნის თარიღიდან.

3. ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტს, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უფლება აქვს გააგრძელოს დასაიდუმლოების ვადა.

4. ინფორმაციის საიდუმლოობის სარისხის მიუხედავად, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის წლობის ჯგუფის წინადადებით ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადამდე სახელმწიფო საიდუმლოების გრიფი მოხსნას ნდობის ჯგუფის მიერ წარდგენილ სახელმწიფო საიდუმლოების ხარისხის მქონე ინფორმაციას. (04.03.98 N1276 პარლამენტის უწყებანი N 13-14)

მუხლი 15. საიდუმლოების შემცველი ცნობების დასაიდუმლოების წესი

1. ცნობების დასაიდუმლოების, ე.ი. დოკუმენტებზე და სხვა მატერიალურ ობიექტებზე საიდუმლოობის გრიფის დაწესების საფუძველია მათი შესაბამისობა იმ ცნობების ნუსხასთან, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება.

2. თუ შეუძლებელია მიღებული (შემუშაებული) ცნობების მოქმედ ნუსხაში შეგანილ ცნობებთან იდენტიფიკაცია, სახელმწიფო ორგანოს, დაწესებულების, უწყებისა და საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია უბრუნველყოს მიღებული ცნობების წინასწარი დასაიდუმლოება, საიდუმლოობის მოსალოდნელი სარისხის გათვალისწინებით, და ერთი კვირის ვადაში გადაუგზავნოს უშიშროების საბჭოს თავისი წინადადებები. უშიშროების საბჭო ერთი თვის ვადაში ჩაატარებს შემოსული წინადადების საექსპერტო შეფასებას და პრემიერს დასამტკიცებლად წარუდგენს წინადადებას მოქმედ ნუსხაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მუხლი 16. ინფორმაციის დასაბუთებული დასაიდუმლოების გასაჩივრება

1. მოქალაქეები და იურიდიული პირები უფლებამოსილი არიან ინფორმაციის შემცველზე საიდუმლოობის გრიფის აღმნიშნელ თანამდებობის პირს მიმართონ ამ ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ მოტივირებული წინადადებით, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს განხილული. აღნიშნულმა თანამდებობის პირმა მოქალაქეს ან იურიდულ პირს ერთი თვის განმავლობაში უნდა გასცეს დასაბუთებული წერილობითი პასუხი.

2. გადაწყვეტილება ინფორმაციის დასაიდუმლოების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

თავი IV
საიდუმლო ინფორმაციის გასაიდუმლოება

მუხლი 17. საიდუმლო ინფორმაციის გასაიდუმლოების საფუძველი

1. ცნობებისათვის საიდუმლოობის გრიფის მოხსნის საფუძველია:

ა) საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულების აღება იმის თაობაზე, რომ ღიად იქნეს გაცელილი ის ცნობები, რომლებიც აღრე სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენენ;

ბ) ობიექტური გარემოების შეცვლა, რომლის შედეგადაც აღარ არის საჭირო დაცული იქნეს ის ცნობები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა;

გ) დადგენილი ვადის გასვლა.

დ) საქართველოს პრეზიდენტისათვის საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის წარდგინება კონკრეტული ინფორმაციისათვის სახელმწიფო საიდუმლოების გრიფის მოხსნის შესახებ; (04.03.98 N1276 პარლამენტის უწყებანი N 13-14)

2. სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახდენენ დასაიდუმლოებას, ვალდებული არიან ყოველწლიურად გადასინჯონ მონაცემები ცნობების დასაიდუმლოების შესახებ, რათა კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებით შეუსაბამონ ცნობების საიდუმლოობის აუცილებლობა.

მუხლი 18. სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის განსაიდუმლოების წესი

1. სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის განსაიდუმლოება ხდება არა უგვიანეს იმ ვადისა, რა ვადითაც დასაიდუმლოებულ იქნა ცნობები. საიდუმლო ინფორმაციის განსაიდუმლოებას ახორციელებს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტი, თუ ასეთი უფლებამოსილება ამ უკანასკნელს მინიჭებული აქვს სახელმწიფო საიდუმლოების მფლობელი ორგანიზაციის ან მისი სამართალმემკვიდრის მიერ. თუ ასეთი უფლებამოსილება სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტს მინიჭებული არა აქვს ან ეს ორგანიზაცია გაუქმდა, განსაიდუმლოების საკითხს წყვეტს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია.

2. ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის განსაიდუმლოების უფლება აქვს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციას.

3. ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის განსაიდუმლოების წინადადებას ეროვნული უშიშროების საბჭოს წარუდგენს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლო-

ებისათვის მიკუთვნების უფლების მქონე შესაბამისი ორგანო. ეროვნული უშიშროების საბჭო გადაწყვეტილებას იღებს წინადადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

4. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის წინადადებით სახელმწიფო საიდუმლოების გრიფი მოხსნას ნდობის ჯგუფის მიერ წარდგენილ სახელმწიფო საიდუმლოების ნებისმიერი ხარისხის მქონე ინფორმაციას. (04.03.98 N1276 პარლამენტის უწყებანი N 13-14)

მუხლი 19. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ფიზიკური და იურიდიული პირების შეკითხვით მიმათრვის უფლება ინფორმაციის განსაიდუმლოების შესახებ

1. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილი არიან შეკითხვით მიმართონ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, აგრეთვე საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს (მათ შორის სახელმწიფო არქივებს) სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციის განსაიდუმლოების თაობაზე.

2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, აგრეთვე საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები (მათ შორის სახელმწიფო არქივები), რომლებმაც ასეთი შეკითხვა მიიღეს, ვალდებული არიან ერთი თვის ვადაში განიხილონ და მოტივირებული პასუხი გასცენ შეკითხვის არსებით მხარეს. თუ მათ არა აქვთ ამ ცნობების განსაიდუმლოების უფლებამოსილება, შეკითხვის შემოსვლიდან ერთ კვირაში ის გადაეცემა სახელმწიფო ხელისუფლების იმ ორგანოს, რომელსაც აქვს ასეთი უფლება,ან - სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციას. შეკითხვას მოტივირებული პასუხი უნდა გაეცეს ერთი თვის ვადაში.

3. თანამდებობის პირის მიერ შეკითხვის არსებითად განხილვისაგან თავის არიდება იწვევს დისციპლინურ და ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ცნობის მიკუთვნების საფუძვლიანობა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. სასამართლოს მიერ ცნობის დასაიდუმლოების უსაფუძვლობის დადასტურების შემთხვევაში, იგი დაუყოვნებლივ უნდა განსაიდუმლოვდეს.

5. სასამართლოს მიერ ცნობის დასაიდუმლოების უსაფუძვლობის დადასტურების შემთხვევაში, ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის მიყენებული ზარალის სრული კომპენსაცია ხდება სახელმწიფო ხარჯზე, იმ შემოსავლის ჩათვლით, რომელიც მესაკუთრემ ვერ მიიღო, კომპენსაციის ოდენობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს სასამართლო.

თავი V
სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გამგებლობა

მუხლი 20. საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვის გაცემა

1. საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის უფლებას აძლევს საქართველოს უშიშროების სამინისტრო შესაბამისი ნებართვის გაფორმებით.

2. ასეთი ნებართვის გაცემის წესსა და პირობებს განსაზღვრავს "სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესი".

მუხლი 21. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გაცემა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ

1. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს გასცემს სახელმწიფო ხელისუფლების ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "დ" და "ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრული თანამდებობის პირთა სანქციით.

2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელიც მიიღებს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს, მოვალეა შექმნას ყველა პირობა სახელმწიფო საიდუმლოების დასაცავად. თანამდებობის პირები პერსონალურად აგებენ პასუხს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების დაცვის უზრუნველყოფისათვის.

3. სახელმწიფოო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემისას დაცულ უნდა იქნეს ამ კანონის მე-20 მუხლის მოთხოვნები.

თავი VI
სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა

მუხლი 22. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის არსი

1. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა მოიცავს საორგანიზაციო-სამართლებრივ, საინჟინრო-ტექნიკურ, კრიპტოგრაფიულ და ოპერატიულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელთა მიზანია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამეღვანების თავიდან აცილება.

2. ამ ღონისძიებათა განხორციელებას თავისი კომპეტენციის შესაბამისად ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს სახელმწიფო საიდუმლოების მფლობელი.

მუხლი 23. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ძირითადი საორგანიზაციო-სამართლებრივი ღონისძიებები

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით დგინდება:

1. ერთიანი მოთხოვნები სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის მატერიალური შემცველობის დამზადების, გამოყენების, შენახვის, გადაცემის, ტრანსპორგირებისა და აღრიცხვისადმი.

2. თავისი საქმიანობით სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის ნებართვის გაცემის პირობები და წესი.

3. ზემოაღნიშნული საწარმოსა და ორგანიზაციის საქმიანობის განსაკუთრებული რეჟიმი (საიდუმლოების რეჟიმი).

4. სახელმწიფო საიდუმლოებასთან მოქალაქეთა დაშვების სპეციალური წესი.

5. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოქვეყნების, სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემის ან სხვა გზით გაერცელების შეზღუდვა.

6. თავისი საქმიანობით სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიმართ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მიერ სასამართლო, საშედამხედველო, საკონგროლო - სარევიზიო და სხვა უფუნქციების შესრულების სპეციალური წესი.

7. პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის.

მუხლი 24. ერთიანი მოთხოვნების სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის შემცველობისა და მათი შენახვისადმი

ერთიან მოთხოვნებს სახელმწიფო ინფორმაციის შემცველების დამზადების, გამოყენების, დაცულობის უზრუნველყოფის, გადაცემის, ტრანსპორგირებისა და აღრიცხვისადმი ადგენს "სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესი".

მუხლი 25. საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის განსაკუთრებული რეჟიმი

სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობის განსაკუთრებული რეჟიმი (საიდუმლოების რეჟიმი) განისაზღვრება "სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესით".

მუხლი 26. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება

1. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაიშვება საქართველოს ქმედუნარიანი, 18 წლის ასაკს მიღწეული მოქალაქე, რომელსაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცნობა სჭირდება თავისი სამსახურებრივი ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის.

2. გადაწყვეტილებას საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების თაობაზე იღებს იმ სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი, სადაც ხორციელდება სამუშაო ან ინახება ასეთ ინფორმაციასთან დაკავშირებული ცნობების შემცველები და რომლებიც უფლებამოსილია გასცეს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება.

3. სახელმწიფო ხელისუფლების იმ უმაღლეს ორგანოებში, რომელთა დაცვას "სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ახორციელებს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, სამსახურის უფროსის დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტილებას საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების თაობაზე იღებს ამ ორგანოთა ხელმძღვანელები.

4. საქართველოს მოქალაქისათვის საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების უარის თქმა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არსებობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

5. უცხოელ მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება მიეცემა საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებათა ან საქართველოს პრეზიდენტის წერილობითი განკარგულების საფუძველზე.

6. დაშვების გაცემა ითვალისწინებს:

ა) სახელმწიფო საიდუმლოებასთან დასაშვებად პირის შემოწმებას;

ბ) პირის მიერ ვალდებულების აღებას, რომ დაიცავს მისთვის განდობილ სახელმწიფო საიდუმლოებას;

გ) სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გამო პირის წერილობით თანხმობას მის უფლებათა კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე;

დ) სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ნორმების პირისათვის გაცნობას.

7. პირისათვის საჭირო ინფორმაციასთან დაშვების ფორმები დგინდება მისი საიდუმლოების ხარისხის მიხედვით ("განსაკუთრებული მნიშვნელობის", "სრულიად საიდუმლო", "საიდუმლო")

8. გადაწყვეტილება სახელმწიფო საიდუმლოებასთან პირის დაშვების თაობაზე მიიღება მისი შემოწმების დამთავრებიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

მუხლი 27. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვებაზე უარის თქმა

სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება არ გაიცემა, თუ:

1.პირი არ წარმოადგენს დასაბუთებას სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე სამუშაოდ;

2.სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გასაცემად პირის

შემოწმების დროს და ორგანიზაციების მართლსაწინააღმდეგო საქმიანობისათვის ხელშეკრულების ან მოქალაქეთა ისეთ გაერთიანებაში მონაწილეობის ფაქტები, რომლის საქმიანობაც აკრძალულია სასამართლო წესით ან ეწევა კანონით აკრძალულ საქმიანობას, ან თუ გამოელინდა პირისათვის განდობილი სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტები.

3. პირი უარს ამბობს იკისროს ვალდებულება, რომ დაიცავს მისთვის განდობილ სახელმწიფო საიდუმლოებას ან არ არსებობს მისი თანხმობა სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვებასთან დაკავშირებით კანონით გათვალისწინებულ უფლებათა შეზღუდვის თაობაზე.

4. პირი ნასამართლევია კანონით დადგენილი, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის;

5. პირი სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ ან სამედიცინო დასკვნის საფუძველზე არ შეიძლება მისი დაშვება სახელმწიფო საიდუმლოებასთან. ასეთ დაავადებას განსაზღვრავს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად.

6. პირი დაშვების გაფორმების პროცესში შეგნებულად იძლევა არასწორ ცნობებს თავის შესახებ.

მუხლი 28. პირის შემოწმება სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გასაცემად

1. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გასაცემად პირის შემოწმებას ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო ერთი თვის ვადაში ამ კანონით, "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით.

2. შემოწმების დროს დგინდება ამ კანონის 27-ე მუხლის "ა", "ბ" და "დ" პუნქტებით გათვალისწინებულ გარემოებათა არსებობა ან არარსებობა.

3. შემმოწმებელი ორგანოს დასკვნის გათვალისწინება სავალდებულოა თანამდებობის იმ პირთათვის, რომლებიც უფლებამოსილი არიან მიიღონ გადაწყვეტილება სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გაცემის თაობაზე.

მუხლი 29. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების მიღებაზე უარის თქმის გასაჩივრება

1. თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გაცემის თაობაზე, ვალდებულია განმცხადებელს წერილობით აცნობოს უარის მიზეზები და საფუძველი.

2. პირს უფლება აქვს უარი გაასაჩივროს სასამართლოში.

მუხლი 30. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გაუქმება

1. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გაუქმება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნა ან გამოელინდა ამ კანონის 27-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებანი.

2. პირის თხოვნით სახელმწიფო საიდუმლოებასთან მისი დაშვება უქმდება დაშვების გაუქმების თაობაზე მიმართვიდან სამი ღღის ვადაში.

3. გადაწყვეტილებას დაშვების გაუქმების თაობაზე იღებს თანამშრომლობის პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დაშვების გამოცემის თაობაზე. პირს უფლება აქვს უარი გაასაჩიეროს სასამართლოში.

მუხლი 31. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცნობა

1. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცნობა ხდება იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, საღაც ინახება ასეთ ინფორმაციასთან დაკავშირებული ცნობების შემცველები.

2. უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაიშვებიან ამ კანონის 26-ე მუხლის საფუძველზე. მათ მიმართ მოქმედებს ისეთივე წესები, როგორიც საქართველოს მოქალაქეების მიმართ.

მუხლი 32. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვებული პირის ვალდებულებები სახელმწიფო საიდუმლოების დასაცავად

პირი, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაუშვეს, ვალდებულია:

1. არ გაახმაუროს სახელმწიფოთო საიდუმლოება, რომელიც მას გაანდეს ან მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს;

2. შეასრულოს ამ კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად დადგენილი საიდუმლოების რეჟიმის მოთხოვნები;

3. თანამდებობის პირს, რომელმაც იგი სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაუშვა, აცნობოს გარემოებანი, რომლებიც ხელს უშლიან ღაიცვას მისთვის განდობილი სახელმწიფო საიდუმლოება.

მუხლი 33. პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოქვეყნების შეზღუდვა

1. პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოსაქვეყნებლად, გასაერცელებლად ან საზღვარგარეთ გასატანად მასალების მომზადებისას საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და ფიზიკური პირები სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის

დაცვის მიზნით ვალდებული არიან იხელმძღვანელონ ამ კანონის მოთხოვნებით.

2. პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების შედეგებზე მეთვალყურეობას ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია.

3. პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების წინასწარი კონტროლი დაუშვებელია.

მუხლი 34. სახელმწიფო საიდუმლოების სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემის შეზღუდვა

სხვა სახელმწიფოსათვის ინფორმაციის ან ინფორმაციის შემცველის გადაცემა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას ან წინასწარ არის დასაიდუმლოებული ამ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების ან საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული განკარგულების საფუძველზე.

მუხლი 35. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებები

1. ინფორმაციის ტექნიკური დაცვის მიზნით საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელიც ასრულებს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, ვალდებულია გამოიყენოს ინფორმაციის დაცვის, დამუშავების, გადაცემისა და შენახვის დაცული საშუალებები და ტექნიკური მოწყობილობანი, რომლებიც სერტიფიცირებულია ტექნიკური დაცვის ნორმატივების შესაბამისად.

2. საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას უფლება აქვს შექმნას და აწარმოოს სასემწიფო საიდუმლოების ტექნიკური დაცვის უზრუნველმყოფი სისტემები და საშუალებები, შეასრულოს მათი მომსახურებისა და ტექნიკური დაცვის სამუშაოები, აგრეთვე შეწყვიტოს მომსახურება მხოლოდ საქართველოს უშიშროების სამინისტროს ნებართვით.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული სერტიფიკაციისა და ლიცენზირების წესი განისაზღვრება "სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესით".

მუხლი 36. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის კრიპტოგრაფიული ღონისძიებები

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის კრიპტოგრაფიული ღონისძიებები განისაზღვრება "სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნების და დაცვის წესით".

მუხლი 37. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის კონტროლი

1. საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია მუდმივი კონტროლი დააწესოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფაზე.

2. საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაცას, რომელიც ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ხელშეკრულების საფუძველზე გადასცემს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს, უფლება აქვს გააკონტროლოს იმ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მდგომარეობა, რომელიც მან გადასცა.

3. სახელმწიფო ორგანოები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი კონტროლი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხის გადაწყვეტის უფლება,ვალდებული არიან გააკონტროლონ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მდგომარეობა ყველა საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, რომლებიც ასრულებენ შესაბამის სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს ან ინახავენ ასეთი ინფორმაციის შემცველებს.

4. საქართველოს უშიშროების სამინისტრო ვალდებულია გააკონტროლოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მდგომარეობა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანოში, იმ დაწესებულებაში, ორგანიზაციასა და საწარმოში, რომელთაც მიღებული აქვთ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის უფლება.

5. ფიზიკური და არასახელმწიფო იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის კონტროლის უფლება აქვს საქართველოს უშიშროების სამინისტროს, თუ არსებობს დასაბუთებული საფუძველი, რომ აღწილი აქვს ამ კანონის დარღვევის ფაქტებს. საქართველოს უშიშროების სამინისტროს ამგვარი მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

თავი VII

პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 38. პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის დარღვევისათვის

1. პირს, რომელიც დაარღვევს ამ კანონის 32-ე მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას ან არ დაიცავს სხვა სახელმწიფოსათვის სახელმწიფო საიდუმლოების გადაცემის შემღუდებს, დაეკისრება კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

2. თანამდებობის პირსა და სახელმწიფო მოხელეს, რომელიც

ა) დაასაიდუმლებს ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას,

ბ) უსაფუძვლოდ დაასაიდუმლებს ინფორმაციას,

გ) საიდუმლოების გრიფს მიანიჭებს ინფორმაციის შემცველებს, რომლებიც არ ან აღარ წარმოადგენენ სახელმწიფო საიდუმლოებას,

დ) დაარღვევს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გაცემის ამ კანონის 26-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს,

ე) დაარღვევს ამ კანონის მე-19 მუხლის მოთხოვნებს,

ვ) დაარღვევს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას,

ზ) არ დაიცავს ამ კანონის 34-ე მუხლით განსაზღვრულ სხვა სახელმწიფოსათვის სახელმწიფო საიდუმლოების გადაცემის შემზღუდველებს,

თ) არ განახორციელებს კონტროლს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვაზე დაეკისრება კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.

3. თუ პირმა გაახმაურა სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც ამ კანონის შესაბამისად არ უნდა მიკუთვნებოდა სახელმწიფო საიდუმლოებას, მისი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ამ ინფორმაციის საიდუმლოების კანონიერების დადგენის შემდეგ და თუ მისი საიდუმლოება უკანონოდ იქნა მიჩნეული, პირს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

4. სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება იმ პირის მიერ, რომელმაც არ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა, რომ ეს იყო სახელმწიფო საიდუმლოება, დანაშაულად არ ითვლება.

5. თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გახმაურდა სახელმწიფო საიდუმლოება და ამით მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა სახელმწიფო უშიშროებას ან საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებს, ან საფრთხე შეექმნა ადამიანების სიცოცხლეს, კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა დაეკისრება პასუხიმგებელ რედაქტორს (გამოშეებაზე პასუხისმგებელ პირს).

6. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნება,რომლის გახმაურებასაც მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის ან რომელიც აღრე უკვე გამოქვეყნებული იყო, დანაშაულად არ ითვლება.

საქართველოს კანონისაქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ

(მიღებულია 1997 წლის 28 ოქტომბერს)

ამ კანონის მიზანია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში თავმოყრილ იუნიკალური დოკუმენტური მასალების დაცვის, შენახვის და გამოყენების სამართლებრივი რეგულირება. იგი განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობის ეკონომიკურ, სოციალურ და ადმინისტრაციულ საფუძვლებს, ადგენს მის სტატუსს და ფუნქციებს.

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (შემდგომ- "ეროვნული ბიბლიოთეკა") არის საქართველოს ძირითადი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცულია საქართველოს ბეჭდვითი გამოცემები, უცხო სახელმწიფოების სამეცნიერო და უნიერსალური ხასიათის უმნიშვნელოვანესი ბეჭდვითი გამოცემები და სხვა დოკუმენტები, ეროვნული ბიბლიოგრაფიის, ინფორმაციის, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, ბიბლიოთეკების მეთოდური საქმიანობის და კულტურის ცენტრი, აგრეთვე ამ სამუშაოების კოორდინატორი საქართველოს კულტურის სამინისტროსთან ერთად.

2. განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო ეროვნული ბიბლიოთეკა ექვემდებარება საქართველოს პარლამენტს.

მუხლი 2. ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს კანონი "საბიბლიოთეკო საქმის შესახებ", ეს კანონი,საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 3. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი არეგულირებს ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობას, განსაზღვრავს ეროვნული ბიბლიოთეკის ადგილს საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში,მის ძირითად ფუნქციებს, თაიისებურებებს და საქართველოს პარლამენტთან ურთიერთობის საფუძვლებს.

მუხლი 4. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში

1. ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის მთავარი ბიბლიოთეკაა, ორგანიზაციას უწევს საბიბლიოთეკო, ბიბლიოგრაფიულ და სამეცნიერო-ინფორმაციულ საქმიანობას, ხელს უწყობს ეროვნული და მსოფლიო კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განვითარებას.

2. ეროვნული ბიბლიოთეკის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს დებულება. ეროვნული ბიბლიოთეკის დებულებას, სამგაგო განრიგს და შრომის პირობებს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

თავი II
ეროვნული ბიბლიოთეკის სამართლებრივი მდგომარეობა

მუხლი 5. საბიბლიოთეკო საქმიანობის კოორდინაცია

"საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს კულტურის სამინისტრო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად. ეს საქმიანობა მოიცავს:

ა) ერთიანი სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარებას;

ბ) საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების შესრულების უზრუნველყოფას;

გ) საბიბლიოთეკო კადრების მომზადება-გადამზადების პოლიტიკის განსაზღვრას;

დ) საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო სტანდარტების დაცვის კონტროლს;

ე) საბიბლიოთეკო სტატისტიკური მონაცემების ცენტრალიზებულ შეგროვებას და ანალიზს.

მუხლი 6. ეროვნული ბიბლიოთეკა, როგორც სახელმწიფო საკუთრების ობიექტი

1. ეროვნული ბიბლიოთეკა, ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებით ფასეული ობიექტი, არის მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრება. დაუშვებელია მისი საკუთრების ფორმის, სტატუსის შეცვლა ან ლიკვიდაცია, მისი ფონდების მთლიანობა და გაუსხვისებლობა გარანტირებულია.

2. დაუშვებელია ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების პრივატიზაცია.

3. ეროვნული ბიბლიოთეკის შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი მის უვადო სარგებლობაშია და არ ექვემდებარება გასხვისებას.

მუხლი 7. ეროვნული ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება

ეროვნული ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება ყველასათვის ხელმისაწვდომი და შეუზღუდავია,გარდა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული დოკუმენტებით სარგებლობის შეზღუდვისა.

მუხლი 8. ეროვნული ბიბლიოთეკის უფლებამოსილებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა უფლებამოსილია:

ა) განაყოს სახელმწიფო სახსრები საქართველოს კანონმდებლობისა და თავისი დებულების საფუძველზე;

ბ) მონაწილეობდეს სახელმწიფო საგამომცემლო და საინფორმაციო პოლიტიკის განსაზღვრაში;

გ) გაწევრიანდეს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებში, ითანამშრომლოს უცხო სახელმწიფოების ბიბლიოთეკებთან და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამებში;

დ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიიღოს შესაბამისი ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს ან მატერიალურ ზიანს აყენებენ ბიბლიოთეკას;

ე) ეწეოდეს საგამომცემლო საქმიანობას, ჰქონდეს საკუთარი გამომცემლობა და სტამბა;

ვ) ეწეოდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საქმიანობას.

მუხლი 9. ეროვნული ბიბლიოთეკის მოვალეობანი

ეროვნული ბიბლიოთეკის მოვალეობაა:

ა) ეროვნული ბიბლიოთეკის შეძენა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ გამოცემული წიგნებითა და ნაბეჭდი მასალებით, აგრეთვე ისეთი ლიტერატურითა და ნაბეჭდი მასალებით, რომლებიც ეხება საქართველოს ან შეიცავს მის შესახებ რაიმე ინფორმაციას, მათი დაცვა, დამუშავება და სარგებლობის უზრუნველყოფა;

ბ) მსოფლიო კულტურის ფასეულობებით სარგებლობის უზრუნველყოფა;

გ) ძველნაბეჭდ და იშვიათ გამოცემათა სახელმწიფო ფონდის ორგანიზება, დაცვა, დამუშავება და სარგებლობის უზრუნველყოფა;

დ) საქართველოში ნაბეჭდი პროდუქციის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებისა და სტატისტიკის შედგენა და პუბლიკაცია;

ე) საქართველოს სხვა ბიბლიოთეკებიდან ისეთი ლიტერატურის მიღება, დაცვა და დამუშავება, რომლებიც ადგილებზე არ გამოიყენება, მაგრამ აქვს სამეცნიერო,ტექნიკური და კულტურული ღირებულება;

ვ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფმცოდნეობის, წიგნთმცოდნეობისა და ინფორმატიკის განვითარების მიზნით;

ზ) ეროვნული ბიბლიოთეკის დაკომპლექტება სამართლებრივი,

ისტორიული და პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურით, აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა დოკუმენტებით,ნორმატიული აქტებით, მონაცემების ბაზის შექმნა სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ინფორმაციით უზრუნველყოფის მიზნით;

თ) საქართველოს პარლამენტის წევრების, სხვა სახელმწიფო მოხელეთა და იმ პირთა უზრუნველყოფა ინფორმაციით, რომლებიც ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს (მათ შორის, საქართველოს საზღვრებს გარეთ), რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების ბიბლიოთეკების საინფორმაციო რესურსები;

ი) მრავალმხრივი ინფორმაციული ანალიზის ჩაგარება კონკრეტულ პრობლემებზე, რომლებიც დგას საქართველოს პარლამენტის ან აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე

მუხლი 10. ეროვნული ბიბლიოთეკის მართვა

1. ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობას მართავს გენერალური დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

2. ამ კანონისა და თავისი კომპეტენციის შესაბამისად გენერალური დირექტორი პასუხს აგებს ბიბლიოთეკის საქმიანობაზე.

3. გენერალური დირექტორი დებს ხელშეკრულებებს, მათ შორის, შრომითს, გასცემს მინდობილობას, ხსნის ანგარიშს ბანკში, განაგებს სახსრებს, გამოსცემს ბრძანებებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა ბიბლიოთეკის ყველა მუშაკისათვის, აგრეთვე პარლამენტის თავმჯდომარის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დირექტორებს.

მუხლი 11. საქართველოს პარლამენტის გარანტია ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო მომსახურების უზრუნველსაყოფად

1. საქართველოს პარლამენტი არის ეროვნული ბიბლიოთეკის ფუნქციონირების და ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტი, ამასთან, არ ერევა ბიბლიოთეკის პროფესიულ საქმიანობაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფს:

ა) ეროვნული ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვასა და ხელშეუხებლობას;

ბ) ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობის ხელშეწყობას მისი ფინანსური მხარდაჭერით, შესაბამისი საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკის გატარებით;

გ) ეროვნული ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნებას, გამდიდრებას, რეგისტრაციასა და მათი საყანძლო რეჟიმით დაცვის კონტროლს;

დ) დადგენილი ნუსხის მიხედვით ეროვნული ბიბლიოთეკისათვის ნაბეჭდი პროდუქციის უფასო სავალდებულო ეგზემპლარების გამოყოფას;

ე) ეროვნული ბიბლიოთეკისათვის ხელისუფლების ორგანოებისა და ნებისმიერი უწყების ყველა ნორმატიული აქტის მიწოდებას;

ვ) სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას კადრების მომზადებისა და გადამზადების, შრომის ანაზღაურების, სოციალური გარანტიებისა და შელავათების საქმეში;

ზ) ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნთმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგში მეცნიერული და მეთოდური მოღვაწეობის ხელშეწყობას;

თ) ეროვნული ბიბლიოთეკის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებში გაწევრიანებას, უცხო სახელმწიფოების ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობას და საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამებში მონაწილეობას.

3. ეროვნულ ბიბლიოთეკაზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისათვის აუცილებელი დაფინანსება, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა პირობები გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ.

მუხლი 12. ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსება

1. ეროვნული ბიბლიოთეკა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცალკე სტრიქონად გამოყოფით.

2. საბიუჯეტო ასიგნებათა გარდა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსების წყაროა საქველმოქმედო შემოწირულობანი და სხვა ნებადართული შემოსავალი.

3. ეროვნული ბიბლიოთეკა დამოუკიდებლად ანაწილებს და იყენებს არასაბიუჯეტო ფინანსურ რესურსებს თავისი დებულებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი III
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 14. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი
სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ

(მიღებულია 1998 წლის 18 თებერვალს. 10/26/2001 ცვლილებებით და დამატებებით)

მუხლი 2. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საქმიანობის პრინციპები და მეთოდები

1. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საქმიანობის პრინციპები და მეთოდებია:

ა) კანონიერება;

ბ) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვა და პატივისცემა;

გ) საქმიანობის ღია და ფარული ფორმების ერთობლიობა;

დ) საქართველოს პრეზიდენტისადმი დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება;

ე) ერთიანობა და ცენტრალიზაცია.

2.სახელმწიფო უშიშროების სამსახურში აკრძალულია პოლიტიკური პარტიის ან სხვა პოლიტიკური გაერთიანების შექმნა. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომელი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის ან სხვა პოლიტიკური გაერთიანების წევრი.

3. აკრძალულია ადამიანის პირადი ცხოვრების შესახებ, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი, აგრეთვე კანონით დაცული სხვა ინფორმაციის, გამოძიებისა და მოკვლევის მასალების გამჟღავნება,გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომელს ეკრძალება გაფიცვების მოწყობა ან მათში მონაწილეობა, შეთავსებით მუშაობა ანაზღაურებად სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან კერძო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში,გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა.

მუხლი 4. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის,სამეცნიერო-ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის დაცვა სხვა ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან;

ბ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით

სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ორგანოებს დაქვემდებარებულ და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ დანაშაულთა გამოვლენა, თავიდან აცილება, მოკვლევა და წინასწარი გამოძიება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება და მათი შესრულების კონტროლი.

2. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის სისტემაში საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმართავს და ხელმძღვანელობს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო.

3. სახელმწიფო უშიშროების სამსახური კანონით დადგენილი წესითა და ფარგლებში ინფორმაციას აწვდის საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს,ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

4. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საქმიანობის სფერო მკაცრად განსაზღვრულია და მისი შეზღუდვა ან გაფართოება შეიძლება მხოლოდ კანონით.

თავი II
სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მოვალეობები და უფლებები

მუხლი 5. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მოვალეობები

სახელმწიფო უშიშროების სამსახური ვალდებულია:

ა) აწარმოოს კონტრდაზვერვითი საქმიანობა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული დაზვერვითი საქმიანობის თავიდან ასაცილებლად, გამოსაელენად და აღსაკვეთად;

ბ) კანონით დადგენილი წესით განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები (მათ შორის ფარული ვიდეო- და აუდიოჩაწერა, კინო- და ფოტოგადაღება, გარე მეთვალყურეობა, ელექტრონული კონტროლი, კავშირგაბმულობის ტექნიკური არხებიდან (ტელეფონი, ტელეგრაფი, ფაქსი, ტელექსი, რადიოკავშირი და სხვა) ინფორმაციის მოპოვება და ეთერის კონტროლი;

გ) კანონით დადგენილი წესით აწარმოოს მოკვლევა და წინასწარი გამოძიება, დანაშაულში ეჭვმიტანილ ან დამნაშავე პირთა ძებნა და დაკავება, კანონმდებლობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე;

დ) სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სამხედრო ძალებში განახორციელოს კონტრდაზვერვითი საქმიანობა;

ე) პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ორგანიზებულ დანაშაულობასთან, კორუფციასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ღონისძიებებში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ღონისძიებათა შემუშავებასა და რეალიზაციაში, განახორციელოს კონტროლი მათ დაცვაზე იმ ორგანიზაციებსა და საწარმოებში (მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა), სადაც წარმოებს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობა;

ზ) შეამოწმოს პირი სახელმწიფო საიდუმლოებასთან დასაშვებად;

თ) სათანადო უწყებებთან ერთად განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები საქართველოს სახელმწიფო საზღვრის, სასიცოცხლო მნიშვნელობის სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საშუალებების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

ი) გააფრთხილოს სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები იმ დარღვევათა შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საქართველოს უშიშროებას;

კ) აცნობოს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, უმაღლეს სასულმწიფო ორგანოებსა და დაინტერესებულ უწყებებს სახელმწიფოს უშიშროებისათვის მოსალოდნელი საფრთხის შესახებ;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტთან და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურთან კოორდინაციით, განახორციელოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის, სტრატეგიული ობიექტებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უმაღლესი თანამდებობის პირების დაცვის ოპერატიული უზრუნველყოფა.

მ) უზრუნველყოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები განსაკუთრებული დახურული საქალაქთაშორისო სატელეფონო"შაღალი სიხშირის",ასევე რადიო- და სატელეგრაფო კავშირებით;

ნ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს დაკვირვების ელექტრონული საშუალებების (ტელეფონი, მიკროფონი, რადიოკავშირის სპეციალური ტექნიკა და დაკვირვების სხვა საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ელექტრონული ან მექანიკური მოწყობილობით გამომჟღავნდება დაფარული კავშირები ერთ-ერთი მხარის თანხმობის გარეშე) საქართველოში შემოტანის, გატანის, დამზადების და გამოყენების კონტროლი;

ო) სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში განახორციელოს კავშირგაბმულობის და ინფორმატიკის იმ ელექტრონული საშუალებებისადმი კონტროლი, რომლებიც გამოიყენება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის შესაქმნელად, დასამუშავებლად, შესანახად და გასაგზავნად;

პ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეაჩეროს უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის წარმოების უფლების მისაცემად სათანადო ნებართვის გაფორმებისათვის;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე, შესაბამის უწყებებთან ერთად მიიღოს ზომები საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლობების პირადი და ქონებრივი უსაფრთხოების, აგრეთვე საქართველოს საზღვრებს გარეთ საქართველოს დაწესებულებებისა და მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის;

რ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის დავალებით მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ხასიათის ღონისძიებათა უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;

ს) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს უზრუნველყოს სახელმწიფოს სამობილიზაციო-გამწევი პუნქტებისა და ოპერატიულ-მმართველობითი შტაბების უსაფრთხოება და მშვიდყოფნა;

ტ) უზრუნველყოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების სრული სამობილიზაციო მშვიდყოფნა;

უ) უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება და უწყებრივი კავშირი;

ფ) აწარმოოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ქ) მიიღოს და რეგისტრაციაში გაატაროს ინფორმაცია იმ დანაშაულებზე, რომელთა შესახებ საქმის წარმოება სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება, აწარმოოს ასეთ დანაშაულთა ჩამდენი პირების აღრიცხვა;

ღ) კანონით დადგენილი წესით განახორციელოს იმ დანაშაულთა პროფილაქტიკა, რომლებიც კანონით სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება

მუხლი 14. იმ პირის უფლებები და მოვალეობები, რომელიც დახმარებას უწევს სახელმწიფო უშიშროების სამსახურს

1. სახელმწიფო უშიშროების დაცვის მიზნით პირს უფლება აქვს

ნებაყოფილობით ითანამშრომლოს და დახმარება აღმოუჩინოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურს.

2. პირს, რომელიც დახმარებას უწევს სახელმწიფო უშიშროების სამსახურს, უფლება აქვს:

ა) სახელმწიფო უშიშროების სამსახურთან დადოს კონტრაქტი კონფიდენციალური თანამშრომლობის შესახებ;

ბ) სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომლებისაგან მიიღოს განმარტებები თავისი ამოცანების, უფლებებისა და მოვალეობების თაობაზე;

გ) კონსპირაციის მიზნით გამოიყენოს პირადობის დამადასტურებელი დაშიფრული დოკუმენტები;

დ) მიიღოს ანაზღაურება კონტრაქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ ზიანის კომპენსაცია, რაც მიადგა მის ჯანმრთელობას ან ქონებას სახელმწიფო უშიშროების სამსახურისათვის დახმარების გაწევისას.

3. პირი, რომელიც სპეციალური კონტრაქტის საფუძველზე დახმარებას უწევს სახელმწიფო უშიშროების სამსახურს, ვალდებულია:

ა) შეასრულოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის დავალებები მის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად;

ბ) დაიცვას სახელმწიფო უშიშროების სამსახურთან დადებული კონტრაქტის პირობები;

გ) განზრახ არ მიაწოდოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურს ყალბი ან ცილისმწამებლური ინფორმაცია.

4. პირი, რომელიც დახმარებას უწევს სახელმწიფო უშიშროების სამსახურს, ამ სამსახურისათვის განზრახ ყალბი ან ცილისმწამებლური ინფორმაციის მიწოდებისათვის, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სახელმწიფო უშიშროების სამსახურთან თანამშრომლობის დროს, პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით.

5. იმ პირის სოციალური უფლებების დაცვას, რომელიც დახმარებას უწევს სახელმწიფო უშიშროების სამსახურს, განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

6. პირი, რომელიც დახმარებას უწევს სახელმწიფო უშიშროების სამსახურს, სასართველოს კანონმდებლობისა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში დადგენილი წესის შესაბამისად შეიძლება ჩაირიცხოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურში.

მუხლი 15. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებები

1. სახელმწიფო უშიშროების სამსახური ამ კანონით და საქართველოს სხვა კანონებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში ქმნის და იყენებს ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებებს და უზრუნველყოფს მათ დაცვას.

2. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მიერ გამოყენებულმა ოპერატიულ-ტექნიკურმა საშუალებებმა და გამოყენების მეთოდებმა არ უნდა შელახოს პირის პატივი და ღირსება, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, საფრთხეში არ უნდა ჩააგდოს ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა, ზიანი არ უნდა მიაყენოს გარემოს.

3. ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საინფორმაციო უზრუნველყოფა

1. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საინფორმაციო უზრუნველყოფა ხორციელდება საინფორმაციო სისტემების შექმნით და გამოყენებით.

2. საქართველოს უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ საძარცვალდარღვევათა, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებისა და ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ცნობების აღრიცხვის საფუძველსა და წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

3. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საინფორმაციო სისტემებში არსებული კანონით დაცული ცნობების მოქალაქისათვის გაცნობის საფუძველსა და წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ

(მიღებულია 1998 წლის 18 თებერვალს. 2/24/98, 06/22/99, 09/09/99, 06/30/2000, 12/21/2001, 06/20/2003 ცვლილებებით და დამატებებით)

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს კანონმდებლობა რეკლამის შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა რეკლამის შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების,ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი 2. კანონის მიზანი და გამოყენების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს საქართველოს სასაქონლო (სამუშაოთა, მომსახურების) და საფინანსო ბაზრებზე (ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩათვლით) რეკლამის წარმოების,განთავსებისა და გავრცელების დროს წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობებს.

2. კანონის მიზანია რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილება და აღკვეთა.

3. კანონი ვრცელდება საქართველოსა და უცხო ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე,რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრაციის საფუძველზე აწარმოებენ, განათავსებენ და აერცელებენ რეკლამას საქართველოში.

4. კანონი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც,როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქმედება რეკლამის სფეროში იწვევს (შეიძლება გამოიწვიოს) შესაბამის უარყოფით შედეგებს (კონკურენციის შეზღუდვა, სსუა ფიზიკური და იურიდიულ პირთა შეცდომაში შეყვანა) საქართველოს ტერიტორიაზე.

5. კანონი არ ვრცელდება პოლიტიკურ რეკლამაზე.

6. კანონი არ ვრცელდება ფიზიკურ პირთა იმ განცხადებებზე, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობასთან.

7. კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-8 მუხლის მე-8 პუნქტი არ ვრცელდება სასაქონლო ნიშნით გაფორმებულ მოსმარების იმ საგნებსა და ეაჭრობის ხელშემწყობ მოწყობილობებზე, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით. (30.06.2000 N 462 საკანონმდებლო მაცნე N)

მუხლი 3. კანონში გამოყენებული ტერმინები

1. რეკლამა - საქონელზე,მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში- საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას.

2. არასათანადო რეკლამა - არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო, არაეთიკური, აშკარად ყალბი ან სხვა რეკლამა, რომელშიც დარღვეულია მისი შინაარსის, დროის, ადგილის ან გავრცელების წესის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

3. არაკეთილსინდისიერი რეკლამა - რეკლამა, რომელიც შეიცავს რეკლამირებადი საქონლის არაკორექტულ შედარებებს სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქონელთან, კონკურენტის ან მესამე პირის სახელის, ღირსებისა და რეპუტაციის შემლახავ გამოთქმებს, ახდენს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დისკრედიტირებას, რომლებიც არ სარგებლობენ რეკლამირებადი საქონლით, აგრეთვე რომელსაც ფიზიკურ პირთა ნდობის ანდა მათი ცოდნისა და გამოცდილების

უკმარისობის ბოროტად გამოყენებით შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი რეკლამირებადი საქონლის თვისებების შესახებ.

4. არასარწმუნო რეკლამა - რეკლამა, რომელიც შეიცავს სინამდვილესთან შეუსაბამო მონაცემებს რეკლამის დამკვეთის, საქონლის თვისებების, შემადგენლობის, დამზადების ადგილის, წესის, თარიღის, დანიშნულების, სამომხმარებლო თვისებების, გამოყენების პირობების, სერტიფიკატის ნიშნების, სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობის, რაოდენობის, ბაზარზე საქონლის არსებობის, მისი აღნიშნული რაოდენობით მითითებულ ადგილზე და ვადაში შეძენის შესაძლებლობის, რეკლამის გავრცელებისას საქონლის ღირებულების (ფასის), ანაზღაურების დამატებითი პირობების, საქონლის მიგანის, დაბრუნების, შეკეთების, საგარანტიო ვალდებულებების, ვარგისიანობის ვადის, სახელმწიფო სიმბოლიკის (დროშა, გერბი, ჰიმნი) გამოყენების უფლების, ოფიციალური აღიარების (მადლობის, პრიზების, დიპლომებისა და სხვა ჯილდოების მიღება), გამოკვლევისა და გამოცდის შედეგების, საქონელზე მოთხოვნის ფაქტობრივი მოცულობის შესახებ.

5. არაეთიკური რეკლამა - რეკლამა, რომელიც ფიზიკურ პირთა ეროვნების, რასის, პროფესიის, სოციალური კუთვნილების, ასაკის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და შედარებების გამოყენებით არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და მნეობრივ ნორმებს, ხელყოფს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემავალ ხელოვნების ობიექტებს, ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს, ბღალავს სახელმწიფო სიმბოლიკას (დროშა, გერბი, ჰიმნი), საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტას, რელიგიურ სიმბოლოებს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, მათ საქმიანობას, პროფესიას ან საქონელს.

6. აშკარად ყალბი რეკლამა - რეკლამა, რომლის მეშვეობითაც რეკლამის დამკვეთს (რეკლამის მწარმოებელს, რეკლამის გამავრცელებელს) განზრახ შეჰყავს შეცდომაში რეკლამის მომხმარებელი.

7. კონტრრეკლამა - არასათანადო რეკლამის უარყოფის გავრცელება.

8. რეკლამის დამკვეთი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს სარეკლამო ინფორმაციის წყაროს მისი შემდგომი წარმოების, განთავსებისა და გავრცელებისათვის.

9. რეკლამის მწარმოებელი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სარეკლამო ინფორმაციას მზა სახეს აძლევს განთავსებისა და გავრცელებისათვის.

10. რეკლამის გამავრცელებელი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც განათავსებს და/ან ავრცელებს რეკლამას ქონების (მათ შორის, რადიო- და ტელემაუწყებლობის ტექნიკური საშუალებების, კაე-

შირგაბმულობის არხების, საეთერო დროის და სხვა საშუალებების) გამოყენებით.

11. რეკლამის მომხმარებელი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საყურადღებოდ და/ან რომელზე შესაბამისი ბეგაელენის მოსახდენადაც ერცელდება სარეკლამო ინფორმაცია.

12. თამბაქოს ნაწარმის რეკლამა - რეკლამა, რომელიც შეიცავს თამბაქოს ნაწარმის ან თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელი ფირმის სასაქონლო ნიშანს, ლოგოტიპს, თამბაქოს ნაწარმის, მისი კოლოფის, ყუთის, მოხმარების პროცესის ან მასთან დაკავშირებული ქმედების დემონსტრირებას.

13. ალკოჰოლიანი სასმელის რეკლამა - რეკლამა, რომელიც შეიცავს ალკოჰოლიანი სასმელის ან ალკოჰოლიანი სასმელის მწარმოებელი ფირმის სასაქონლო ნიშანს, ლოგოტიპს, ალკოჰოლიანი სასმელის, მისი ტარის, მოხმარების პროცესის ან მასთან დაკავშირებული ქმედების დემონსტრირებას.

14. მაგარი სპირტიანი სასმელის რეკლამა - ალკოჰოლიანი სასმელის რეკლამა, რომლის შემადგენლობაში სპირტის შემცველობა აღემატება 14 პროცენტს.

15. სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეკლამა – რეკლამა, რომელიც შეიცავს იმ პროდუქციის დემონსტრირებას, რომელიც ემსახურება სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მათ შორის, სექსუალური დარღვევების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის განკუთვნილი სამედიცინო ნაწარმისა. *(20.06.2003 N 2442)*

თავი II
ზოგადი და სპეციალური მოთხოვნები რეკლამისადმი

მუხლი 4. ზოგადი მოთხოვნები რეკლამისადმი

1. რეკლამა მისი წარდგენის მომენტშიეე გასაგები უნდა იყოს სპეციალური ცოდნისა და ტექნიკური საშუალებების გამოუყენებლად, როგორც უშუალოდ რეკლამა.

2. რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ერცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხეა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე.

3. უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს

სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას. (30.06.2000 N 462 საკანონმდებლო მაცნე N)

4. ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი. (22.06.99 N 2135 საკანონმდებლო მაცნე N 27(34))

5. რეკლამაში ენობრივი ნორმების დაცვის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

6. დაუშვებელია იმ საქონლის რეკლამირება, რომლის წარმოება და რეალიზაციაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით ან საჭიროებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას), მაგრამ ასეთი ნებართვა არ არის მიღებული; აგრეთვე იმ ეკონომიკური აგენტის რეკლამირება, რომლის საქმიანობაც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას), მაგრამ ასეთი ნებართვა არ არის მიღებული.

7. იმ საქონლის რეკლამას, რომლის სერტიფიცირებაც აუცილებელია, უნდა ახლდეს აღნიშვნა "სერტიფიცირებულია".

8. აკრძალულია არასათანადო რეკლამის განთავსება და გავრცელება. იგი ჩადენილი ქმედების, სამოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და ხასიათის შესაბამისად იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

9. აკრძალულია რეკლამაში ფიზიკური პირის გამოსახულების ან სახელის გამოყენება მისი ნებართვის გარეშე.

10. რეკლამაში განსაკუთრებული უფლებების ობიექტების (ინტელექტუალური საკუთრების) გამოყენება შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

11. რეკლამა არ უნდა უბიძგებდეს მოქალაქეებს ძალადობის, აგრესიისა და ქაოსისაკენ, არ უნდა მოუწოდებდეს მათ საშიში ქმედებისაკენ, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას ან დაემუქროს მის უსაფრთხოებას.

12. აკრძალულია რეკლამის გადასახდელის ღიფერენცირება რეკლამირებად საქონლის სახეების მიხედვით.

13. უცხო ქვეყნიდან საქართველოში გავრცელებული (ტრანსლირებული) რეკლამა, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას რეკლამის შესახებ, უნდა აღიკვეთოს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

14. აკრძალულია სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეკლამირებისას არასრულწლოვანთა გამოსახულების ან ხმის ნებისმიერი ფორმით გამოყენება. *(20.06.2003 N 2442)*

მუხლი 5. რეკლამა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში

1. არასარეკლამო რადიო-, ტელე-, ვიდეო-, აუდიო- და კინოპროდუქ-

ციაში,აგრეთვე ბეჭდვით გამოცემებში აკრძალულია რეკლამის მომხმარებელთა ყურადღების ერთდროული აქცენტირება საქონლის კონკრეტულ მარკაზე (მოდელზე, არტიკულზე), დამამზადებელზე, შემსრულებელზე ან გამყიდველზე, იმ წინასწარი მითითების გარეშე, რომ ეს არის რეკლამა.

2. აკრძალულია ქვემოთ ჩამოთვლილი რადიო- და ტელეგადაცემების რეკლამით შეწყვეტა:

ა) საბავშვო და რელიგიური გადაცემები;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა, საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომები, ოფიციალური სახელმწიფო ღონისძიებები, სახელმწიფო პირთა ოფიციალური გამოსვლები;

გ) გადაცემები, რომელთა ხანგრძლივობა 15 წუთზე ნაკლებია.

3. საგანმანათლებლო გადაცემები რეკლამით შეიძლება შეწყდეს არა უმეტეს 15 წუთში ერთხელ და არა უმეტეს 45 წამით, ხოლო გადაცემები, რომელთა ხანგრძლივობა 1 საათზე ნაკლებია, - არა უმეტეს 3-ჯერ ტრანსლაციის განმავლობაში გადაცემები, რომელთა ხანგრძლივობაა 15 წუთიდან 30 წუთამდე - ერთჯერ, 30 წუთიდან 45 წუთამდე - 2-ჯერ, 45 წუთიდან 1 საათამდე - 3-ჯერ).

4. დაფარეის სახით რეკლამირებისას, მათ შორის, "მოძრავი სტრიქონის" გამოყენებით, მისი ზომა არ უნდა აღემატებოდეს კადრის ფართის 7 პროცენტს.

5. რადიო- და ტელეგადაცემებში რეკლამა დღე-ღამის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს, ხოლო ყოველი ერთი საათი საეთერო დროის განმავლობაში - 20 პროცენტს, გარდა სოციალური რეკლამისა და სპეციალიზებული სარეკლამო რადიო- და ტელეგადაცემებისა, რომლებიც რეგისტრირებულია, როგორც სარეკლამო გადაცემები.

6. აკრძალულია კინო- და ვიდეომომსახურებაში ფილმის დემონსტრირების შეწყვეტა რეკლამით, გარდა სერიებს (ნაწილებს) შორის შესვენებებისა.

7. უფასო საცნობარო სატელეფონო მომსახურებისას რეკლამა აბონენტს შეიძლება მიეწოდოს მხოლოდ მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის შეტყობინების შემდეგ.

8. სატელეფონო, საკომპიუტერო და სხვა ფასიანი საცნობარო მომსახურებისას რეკლამა აბონენტს შეიძლება მიეწოდოს მხოლოდ მისი თანხმობით. ასეთი რეკლამის ღირებულება არ უნდა შევიდეს აბონენტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ღირებულებაში.

9. აკრძალულია ტელექსით ან ფაქსით რეკლამის გავრცელება აბონენტის წინასწარი თანხმობის გარეშე.

მუხლი 6. გარე რეკლამა

1. რეკლამის გავრცელება საქართველოს ქალაქებში, სოფლებში და

სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე შეიძლება პლაკატების, სტენდების, შუქფირნიშების, სტაბილური ტერიტორიული განთავსების სხვა ტექნიკური საშუალებების (გარე რეკლამა) გამოყენების იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-2-8 პუნქტებით.

2. გარე რეკლამა არ უნდა ჰგავდეს საგზაო ნიშნებსა და მაჩვენებლებს; მან არ უნდა გააუარესოს ამ ნიშნების, მაჩვენებლებისა და გზის ხილვადობა, საფრთხე არ უნდა შეუქმნას ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას. შენობა-ნაგებობებზე გავრცელებული რეკლამა არ უნდა აუარესებდეს მათ არქიტექტურულ იერსახეს და კონსტრუქციულად მდგრადი უნდა იყოს. ნებისმიერი სახით გავრცელებული გარე რეკლამა არ უნდა ამახინჯებდეს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემავალ ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს.

3. გარე რეკლამის განთავსებასა და გავრცელებაზე ნებართვას გასცემენ აღგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები წერილობითი ფორმით, რეკლამის შინაარსში ჩაურეველად.

4. აღგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ გარე რეკლამის გავრცელების წესები (რეკლამის ზომის, ფორმისა და მიბანშეწონილობის გათვალისწინებით), რომელიც წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული:

ა) საავტომობილო გზათა მმართველობის სათანადო ორგანოსთან და საგზაო პოლიციის ტერიტორიულ ქვედანაყოფთან _ რეკლამის გავრცელების ტერიტორიის საავტომობილო გზების კუთვნილ ან მის მომიჯნავე ზოლში მდებარეობისას (დასახლებული პუნქტების საზღვრებს გარეთ);

ბ) საგზაო პოლიციის ტერიტორიულ ქვედანაყოფთან - საქალაქო და სასოფლო დასახლებების ტერიტორიებზე;

გ) რკინიგზის მმართველობის სათანადო ორგანოსთან - რეკლამის გავრცელების ტერიტორიის რკინიგზის ტერიტორიის კუთვნილ ზოლში მდებარეობისას;

დ) საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო - საწარმოო საამმართველოსთან ან მისდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებთან რეგიონებში - ბუნების, ისტორიისა და კულტურის დაცვით ზონებში, ნაკრძალებსა და ეროვნულ პარკებში.

5. გარე რეკლამის გავრცელებაზე ნებართვის მისაღებად მოსაკრებლის შემოღების წესი და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონით.

6. გარე რეკლამის გავრცელება ტერიტორიაზე (მათ შორის, კულტურის ძეგლების, სარიგუალო ობიექტების, დაცულ ტერიტორიაზე),

შენობა-ნაგებობებზე (ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე) და სხვა ობიექტებზე, აგრეთვე ამ რეკლამის გავრცელებისათვის გადასახდელის ოდენობა და გადახდის წესი დგინდება მესაკუთრესთან (ან პირთან, რომელსაც აქვს ქონების ფლობის უფლება) დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.ამასთან, აუცილებელია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნებართვის არსებობა.

7. გარე რეკლამაზე მითითებული უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ რეკლამის გამავრცელებელზე გაცემული ნებართვის ნომერი.

8. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის ასლი 5 დღის ვადაში უნდა გადაეცეს საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ადგილობრივ ორგანოს.

მუხლი 7. რეკლამა საგრანსპორტო საშუალებებზე

1. საგრანსპორტო საშუალებებზე რეკლამის გავრცელება ხდება შესაბამისი საგრანსპორტო საშუალების მესაკუთრესთან (ან პირთან, რომელსაც აქვს საგრანსპორტო საშუალების ფლობის უფლება) დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით საგრანსპორტო საშუალებებზე რეკლამის გავრცელების შემღუდვისა და აკრძალვის შემთხვევებს განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანო.

მუხლი 8. ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამა

1. ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამა, გავრცელების წესის მიუხედავად, არ უნდა ქმნიდეს შთაბეჭდილებას, რომ ალკოჰოლის ან თამბაქოს გამოყენება ხელს უწყობს ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივ თუ სპორტულ სარბიელზე წარმატების მიღწევას.

2. რეკლამა არ უნდა ახდენდეს ალკოჰოლის ან თამბაქოს გამოყენებისაგან თავის შეკავების დისკრედიტირებას. ამასთან, იგი არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მათი დადებითი სამკურნალო თვისებების შესახებ.

3. აკრძალულია მაგარი სპირტიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის ნებისმიერი სახით გავრცელება ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გამშვირებზე, ხიდებზე, მოედნებზე (და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე 20 მეტრის ფარგლებში) და საგრანსპორტო საშუალებებზე.

4. აკრძალულია ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის მიმართვა უშუალოდ არასრულწლოვნებისაღმი, აგრეთვე ასეთი რეკლამის ნებისმიერი სახით გავრცელება არასრულწლოვანთათვის გათვალისწინებულ კინო- და ვიდეომომსახურებაში, რადიო- და ტელეგადაცემებში, ბეჭდვით გამოცემებში.

5. აკრძალულია ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის გავრცელება საბავშვო, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებში, კულტურისა და სპორტის ორგანიზაციებში, აგრეთვე მაიჩან 100 მეტრის რადიუსში.

6. ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამა არ უნდა შეიცავდეს ასეთი სასმელებისა და ნაწარმის მოხმარების პროცესის დემონსტრირებას, მოწოდებებს მათი გამოყენების შესახებ, თამბაქოს ნაწარმის კოლოფის, ყუთის და ალკოჰოლიანი სასმელების ტარის გახსნილ მდგომარეობაში დემონსტრირებას, აგრეთვე არ უნდა არღვევდეს საყოველთაოდ აღიარებულ პუმანურ, ეთიკურ და ეთნოფსიქოლოგიაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს.

7. აკრძალულია მაგარი სპირტიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის გაერცელება რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით, გაზეთების კაბადონებზე, ჟურნალების გარეკანზე.

8. თამბაქოს ნაწარმის რეკლამის გავრცელებას (გარდა რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით) უნდა ახლდეს გაფრთხილება თამბაქოს მოწევის მავნებლობის შესახებ. თამბაქოს ნაწარმის რეკლამა, კერძოდ, უნდა შეიცავდეს დიდი შავი ასოებით თეთრ ფონზე გარკვევით დაწერილ ტექსტს: "ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ: მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის". ამ რეკლამაში აგრეთვე უნდა ფიგურირებდეს ერთ-ერთი შემდეგი განცხადებათაგანი: "მოწევა იწვევს კიბოს", "მოწევა იწვევს გულის დაავადებებს" , "მოწევა იწვევს ნაადრევ სიკვდილს", "მოწევა ორსულობის დროს საფრთხეს უქმნის ნაყოფის ჯანმრთელობას", "პასიური მოწევა საშიშია ჯანმრთელობისათვის". ამგვარი ინფორმაცია უნდა ავსებდეს რეკლამის მთელი მოცულობის არანაკლებ 10 პროცენტს.

9. რადიო და ტელევიზიის საშუალებებით თამბაქოს ნაწარმის რეკლამირებისას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინფორმაცია თამბაქოს მოწევის მავნეობის შესახებ უნდა იყოს გახმოვანებული. *(21.12. 2001 N1220)*

მუხლი 8[1]. სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეკლამა

1. აკრძალულია სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეკლამის გავრცელება რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით, გაზეთების კაბადონებსა და ჟურნალების გარეკანზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება სექსუალური ხასიათის სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებებსა და სამედიცინო ნაწარმზე, თუ ეს აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული პროდუქციის რეკლამის განთავსება და გავრცელება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(20.06.2003 N 2442)*

მუხლი 9. სამედიცინო ნაწარმის (მომსახურების) რეკლამა

1. აკრძალულია სამკურნალო საშუალებების, სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობათა და სამედიცინო ტექნიკის რეკლამის გავრცელება, თუ მათ წარმოებაზე და/ან რეალიზაციაზე არ არის გაცემული ნებართვა; აგრეთვე მკურნალობის, პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და რეაბილიტაციის მეთოდების რეკლამის გავრცელება, თუ ასეთ მომსახურებაზე არ არის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ გაცემული სპეციალური ნებართვა, აღნიშნულ სფეროში გამოგონებაზე პატენტის მიღების შემთხვევაშიც კი.

2. აკრძალულია წამლის შესახებ ისეთი რეკლამის გავრცელება,რომელიც არწმუნებს მომხმარებელს, რომ მისი გამოყენებისათვის საჭირო არ არის ექიმის კონსულტაცია, არა აქვს თანმხლები მოვლენები, მისი გამოყენება საგრძნობლად გააუმჯობესებს ჯანმრთელობას, ხოლო გამოუყენებლობა გააუარესებს მას, რომ წამლები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც კვების პროდუქტები, კოსმეტიკური საშუალებები ან მოსმარების სხვა საგანი.

3. აკრძალულია საქართველოში არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების, აგრეთვე იმ სამკურნალწამლო საშუალებების რეკლამის გავრცელება, რომლებიც გაიცემა მხოლოდ ექიმის რეცეპტით და/ან შეიცავს ნარკოტიკულ, ფსიქოტროპულ,შხამშემცველ ან რადიაქტიურ ნივთიერებებს.

4. სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობათა და სამედიცინო ტექნიკის რეკლამის გავრცელება, რომელთა გამოყენება მოითხოვს სპეციალურ მომზადებას, შეიძლება იმ ბეჭდვით გამოცემებში, რომლებიც განკუთვნილია სამედიცინო და ფარმაცევტული დარგის მუშაკებისათვის (ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით).

5.აკრძალულია საავაჭრო ობიექტების აბრებზე დიაბეტისა და სახვა დაავადებების/სნენება.

მუხლი 9 . ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების რეკლამა

აკრძალულია ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტების (ცარდა დამატებითი საკვებისა), საწოერიანი ბოთლებისა და საწყუარების ნებისმიერი სახის რეკლამა. (09.09.99 N 2378 საკანონმდებლო მაცნე N 43(50))

მუხლი 10. იარაღის რეკლამა

აკრძალულია საბრძოლო იარაღის რეკლამის გავრცელება. ყველა სხვა სახის, მათ შორის, სანადირო, სპორტული იარაღის რეკლამის გავრცელება შეიძლება სპეციალური ნებართვის საფუძველზე, რომელსაც გასცემს საქართველოს შინაგან საქმეთა მესაბამისი ორგანო.

მუხლი 11. ფასიანი ქაღალდების რეკლამა

1. ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და განთავსების შესახებ რეკლამის გავრცელების მიზანია ინფორმაციულობა. ფასიანი ქაღალდების შეძენა ნებაყოფლობითია და მიწოდება ხდება მხოლოდ მათი ემისიის პროსპექტის მეშვეობით.

2. ფასიანი ქაღალდების შესახებ რეკლამაში მითითებული უნდა იყოს:

ა) ემიტენტის დასახელება;

ბ) ანდერრაიტერის დასახელება და მისამართი;

გ) განთავსებისათვის პასუხისმგებელი პირების ვინაობა და მისამართი; დ) სად და ვისთან შეუძლია პოტენციურ ინვესტორს შეიძინოს ემისიის პროსპექტი ან გაეცნოს მას;

ე) ლიცენზიის ნომერი და იმ ორგანოს დასახელება, რომელმაც გასცა ლიცენზია.

3. ფასიანი ქაღალდების შესახებ რეკლამის გავრცელებისას დაუშვებელია:

ა) ფასიანი ქაღალდების რეკლამის გავრცელება მათი ემისიის პროსპექტის სახელმწიფო რეგისტრაციამდე;

ბ) ემისიის პროსპექტში აღნიშნულის გარდა რაიმე სხვა ინფორმაციის გავრცელება;

გ) საქმიანობის მომავალი ეფექტიანობის (მომგებიანობის) შესახებ ნებისმიერი გარანტიის, დაპირების ან ვარაუდის განცხადება, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების საკურსო ღირებულების გაბრდის თაობაზე;

დ) ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების გარანტირებული სიდიდის ჩვენება;

ე) ემიტენტის მიერ საკუთარი ფასიანი ქაღალდების თვითკეთრების ნებისმიერი ცდა და გამოვლინება.

მუხლი 12. სოციალური რეკლამა

1. სოციალური რეკლამა წარმოადგენს საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების საგანს, მიმართულია საქველმოქმედო მიზნების მისაღწევად, მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების, აგრეთვე გარემოს დასაცავად. სოციალური რეკლამის განთავსებასა და გავრცელებაზე ნებართვას, რეკლამის ხასიათიდან გამომდინარე, გასცემენ შესაბამისი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

2. სოციალურ რეკლამაში არ უნდა იყოს მოხსენიებული კომერციული ორგანიზაციები და ინდივიდუალური მეწარმეები, მათი საქონლის

კონკრეტული მარკები (მოწელები, არტიკულები),აგრეთვე იმ საქონლის კონკრეტული მარკები (მოწელები, არტიკულები), რომელიც წარმოადგენს არაკომერციული ორგანიზაციების დამხმარე სამეწარმეო საქმიანობის შედეგს.

3. ფიზიკური და იურიდიული პირების სოციალური რეკლამის წარმოებისა და გავრცელებისათვის უსასყიდლო საქმიანობა, აგრეთვე ამ პირთა შიერ საკუთარი ქონების, მათ შორის, ფულადი სახსრების, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ამ მიზნით გადაცემა ითვლება საქველმოქმედო საქმიანობად, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია შეღავათები.

4. რეკლამის გამავრცელებელი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაც მთლიანად ან ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ვალდებულნი არიან უფასოდ განათავსონ სახელმწიფო ორგანოს მიერ წარმოდგენილი სოციალური რეკლამა წლიური სარეკლამო დროის (ბეჭდვითი ფართის) არანაკლებ 5 პროცენტის ფარგლებში.

მუხლი 13. სპონსორობა

ამ კანონის მიხედვით, სპონსორობა არის ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ სხვა ფიზიკური და იურიდიული პირის საქმიანობაში წვლილის შეტანა (ფულადი სახსრების, ქონების, ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგების, მომსახურების გაწევის და გაწეული მომსახურების, სამუშაოს შესრულების სახით) სპონსორის მიერ წარმოებული საქონლის რეკლამის გავრცელების პირობით. სპონსორული შენატანი განისაზღვრება რეკლამის ღირებულებად, ხოლო სპონსორი და დასპონსორებული, შესაბამისად, რეკლამის დამკვეთად და რეკლამის გამავრცელებლად. სპონსორს უფლება არა აქვს ჩაერიოს რეკლამის მწარმოებლისა და გამავრცელებლის საქმიანობაში. სპონსორობის უფლება არა აქვთ იმ პირებს, რომელთა ნაწარმის ან საქმიანობის გავრცელებაც აკრძალულია ამ კანონით.(30.06.2000 N 462 საკანონმდებლო მაცნე N)

მუხლი 14. არასრულწლოვანთა დაცვა რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს

რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს არასრულწლოვანთა გულუბრყვილობისა და გამოუცდელობის ბოროტად გამოყენებისაგან მათი დაცვის მიზნით აკრძალულია:

ა) არასრულწლოვანთათვის შთაგონება - დაარწმუნონ მშობლები ან სხვა პირები რეკლამირებადი საქონლის შეძენაში;

ბ) არასრულწლოვანთა ყურადღების მიპყრობა იმაზე, რომ რეკლამირებადი საქონლის ფლობა უპირატესობას ანიჭებს მათ სხვა არასრულწლოვანთა შიმართ, ხოლო მისი უქონლობა იწვევს საწინააღმდეგო ეფექტს;

გ) რეკლამაში ისეთი ტექსტის, აუდიო- და ვიდეოინფორმაციის მოთავსება, რომლებიც აჩენენებს არასრულწლოვნებს საშიშ ადგილას და ვითარებაში;

დ) არასრულწლოვანთათვის საქონლის გამოსაყენებლად საჭირო ჩვევების აუცილებელი დონის გაუთვალისწინებლობა. ამასთან, თუ საქონლის გამოყენების შედეგები ნაჩვენები ან აღწერილია, რეკლამა უნდა იძლეოდეს ინფორმაციას იმის შესახებ, რისი მიღწევაც რეალურად შესაძლებელია იმ ასაკობრივი ჯგუფის არასრულწლოვანთათვის, რომლისთვისაც განკუთვნილია ეს საქონელი;

ე) არასრულწლოვანთათვის საქონლის ღირებულებაზე (ფასზე) არარეალური(დამახინჯებული) წარმოდგენის შექმნა, კერძოდ, სიტყვების "მხოლოდ", "სულ რაღაც" და მათ მსგავსთა გამოყენებით, აგრეთვე პირდაპირი ან ირიბი მითითებით იმაზე, რომ რეკლამირებადი საქონელი ხელმისაწვდომია ყველა ოჯახის ბიუჯეტისათვის.

თავი III
რეკლამის დამკვეთის, მწარმოებლისა და გამავრცელებლის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 15. სარეკლამო მასალის შენახვის ვადები

რეკლამის დამკვეთი, მწარმოებელი და გამავრცელებელი ვალდებულნი არიან შეინახონ სარეკლამო მასალები ან მათი ასლები, მათში შემდგომში შეტანილი ყველა ცვლილების ჩათვლით, რეკლამის უკანასკნელად გავრცელების დღიდან 2 თვის განმავლობაში, ხოლო თუ სარეკლამო მასალა სადავო გახდა - შესაბამისი ორგანოების მიერ ამ დავის გადაწყვეტამდე.

მუხლი 16. აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისათვის ინფორმაციის წარდგენა

რეკლამის დამკვეთი, მწარმოებელი და გამავრცელებელი ვალდებულნი არიან საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და მის ტერიტორიულ ორგანოებს, რომელთაც ევალებათ რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესრულების კონტროლი,ამ უკანასკნელთა მოთხოვნით, დაუყოვნებლივ ვალებში წარუდგინონ უტყუარი საბუთები, წერილობითი ახსნა-განმარტებები და ინფორმაცია, რომლებიც აუცილებელია ამ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის.

თავი IV
სახელმწიფო კონტროლი რეკლამის სფეროში

მუხლი 17. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფლებამოსილებანი რეკლამის სფეროში

1. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური (შემდგომში-ანტიმონოპოლიური სამსახური) თავისი კომპეტენციის ფარგლებში არეგულირებს სარეკლამო საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე და ახორციელებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დაცვის სახელმწიფო კონტროლს.

2. ანტიმონოპოლიური სამსახური "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 თავის შესაბამისად ახორციელებს გამაფრთხილებელ ღონისძიებებს და აღკვეთს არასათანადო რეკლამას; რეკლამის დამკვეთებს, მწარმოებლებსა და გამავრცელებლებს უგზავნის მიწერილობებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შეწყვეტის თაობაზე და გადაწყვეტილებებს კონტრრეკლამის განხორციელებაზე.

3. ანტიმონოპოლიური სამსახურის უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევს კანონით დადგენილი წესით დააკისრონ ადმინისტრაციული სახდელი.

4. რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის ჯარიმის სახით საქართველოს ბიუჯეტში ჩარიცხული მთელი თანხის 30 პროცენტი გადაირიცხება ანტიმონოპოლიური სამსახურის ანგარიშზე და მოხმარდება ამ სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, სამსახურის მუშაკთა მატერიალურ წახალისებას და სხვა ღონისძიებებს.

5. ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიმართოს შესაბამის ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის აღძრის თაობაზე.

6. ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილია სასამართლოში შეიტანოს სარჩელი, მათ შორის, რეკლამის მომხმარებელთა განუსაზღვრელი წრის სასარგებლოდ, რეკლამის დამკვეთთა, მწარმოებელთა და გამავრცელებელთა მიერ რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გამო და არასათანადო რეკლამასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებათა ბათილად ცნობის თაობაზე.

7. ანტიმონოპოლიურ სამსახურს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია დაიცვას მომხმარებელთა უფლებები და აღკვეთოს არასათანადო რეკლამა, უფლება აქვს დადოს ხელშეკრულებები რეკლამის დამკვეთთან, მწარმოებელთან და გამავრცელებელთან, ამ უკანასკნელთა მიერ სარეკლამო პრაქტიკაში

მიღებული წესების შესრულებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად.

8. ანტიმონოპოლიური სამსახური ახორციელებს სოციალური რეკლამის რეგულირებასა და კონტროლს ამ კანონით დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

მუხლი 18. ინფორმაციის მიღების უფლება

1. ანტიმონოპოლიურ სამსახურს მაკონტროლებელი ფუნქციის განსახორციელებლად უფლება აქვს შეუფერხებლად მიიღოს რეკლამის დამკვეთთა, მწარმოებელთა და გამავრცელებელთაგან ნებისმიერი ინფორმაცია "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 თავით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

2. აკრძალულია იმ მონაცემების გახმაურება, რომლებიც კომერციულ საიდუმლოებას შეიცავს და მიღებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირების მიერ.

3. კომერციული საიდუმლოების შემცველი მონაცემების გახმაურებისას ანტიმონოპოლიურ სამსახურს ევალება მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მონაცემების გამოყენებასთან, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები დაიშვებიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი V
კონტრრეკლამა და პასუხისმგებლობა არასათანადო რეკლამისათვის

მუხლი 19. კონტრრეკლამა

1. ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კონტრრეკლამის განხორციელებაზე ეკონომიკური აგენტის მიერ რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის უარტის აღიარების შემთხვევაში.დარღვევი ვალდებულია გაავრცელოს კონტრრეკლამა ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში და აანაზღაუროს მასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.

2. შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, თუ დამრღვევმა არ გაავრცელა კონტრრეკლამა დადგენილ ვადაში, ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დამრღვევის რეკლამის სრულად ან ნაწილობრივ შეჩერების შესახებ. ამასთან, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის თაობაზე დამრღვევთას

რეკლამის წარმოებაზე, განთავსებასა და გავრცელებაზე დადებული ხელშეკრულების ყველა მონაწილეს.

3. კონგრრეკლამა უნდა გავრცელდეს იმავე საშუალებებით და მათი თანამიმდევრობის, სიერცისა და აღგილის იმავე მახასიათებლების გამოყენებით, როგორც არასათანადო რეკლამა. კონგრრეკლამის შინაარსი უნდა შეუთანხმდეს ანტიმონოპოლიურ სამსახურს. ანტიმონოპოლიური სამსახურის გადაწყვეტილებით შეიძლება კონგრრეკლამის გავრცელების საშუალებათა თანამიმდევრობის, სიერცისა და აღგილის მახასიათებლების შეცვლა.

მუხლი 20. რეკლამის დამკვეთის, მწარმოებლისა და გამავრცელებლის ასუხისმგებლობა

1. რეკლამის დამკვეთი პასუხს აგებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის რეკლამის შესაქმნელად წარდგენილი ინფორმაციის შინაარსზე, თუ არ დამტკიცდა, რომ ეს დარღვევა მოხდა რეკლამის მწარმოებლის ან გამავრცელებლის მიზეზით.

2. რეკლამის მწარმოებელი პასუხს აგებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის იმ ნაწილში, რომელიც ეხება რეკლამის გაფორმებას, წარმოებას ან მომზადებას.

3. რეკლამის გამავრცელებელი პასუხს აგებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის იმ ნაწილში, რომელიც ეხება რეკლამის გაერცელების დროს, აღგილს ან საშუალებებს.

მუხლი 21. პასუხისმგებლობა რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის

1. რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს (რეკლამის დამკვეთებს, მწარმოებლებსა და გამავრცელებლებს) ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელნი არიან აღგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

3. პირებს, რომელთა უფლებები და ინტერესები დარღვეულია არასათანადო რეკლამის შედეგად, უფლება აქვთ დადგენილი წესით, სარჩელით მიმართონ სასამართლოს ჯანმრთელობისა და ქონებისათვის, სახელის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის თაობაზე და მოითხოვონ არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა.

4. პასუხისმგებლობის დაკისრება რეკლამის დამკვეთს, მწარმოებელსა და გამავრცელებელს არ ათავისუფლებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისაგან და

კონტრრეკლამის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების შესრულებისაგან.

5. რეკლამის დამკვეთს, მწარმოებელსა და გამავრცელებელს უფლება აქვთ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს მიმართონ განცხადებით ანტიმონოპოლიური სამსახურის გადაწყვეტილების სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ.

6. აღნიშნული განცხადების სასამართლოში შეტანა არ აჩერებს ანტიმონოპოლიური სამსახურის გადაწყვეტილების შესრულებას, თუ სასამართლომ არ გამოიტანა გადაწყვეტილება მისი შეჩერების შესახებ.

თავი VI
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 22. გარდამავალი დებულებანი

1. 2001 წლის 31 დეკემბრამდე აკრძალულია მაგარი სპირტიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის გავრცელება გაზეთების კაბადონებზე, ჟურნალების გარეკანზე, აგრეთვე რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით 06.00 საათიდან 23.00 საათამდე. რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით თამბაქოს ნაწარმის რეკლამის ხანგრძლივობა ამ მუხლით განსაზღვრულ დროში,ყოველი ერთი საათი საეთერო დროის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს. ასეთ რეკლამას დაპირებისთანავე უნდა ახლდეს ანტირეკლამა (გაფრთხილება თამბაქოს მოწევის მავნებლობის შესახებ).

2. ამ კანონის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის სიტყვები "(გარდა რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით)" მოქმედებს 2001 წლის 31 დეკემბრამდე.

3. ამ კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილების ძალაში შესვლის დღიდან.

4. დაევალოთ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, გაატარონ ღონისძიებანი კანონის ამოქმედებიდან ორი თვის ვადაში ამ კანონის მოთხოვნებთან გარე რეკლამის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

5. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, ამ კანონის ამოქმედებიდან ოთხი თვის ვადაში წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს ტერიტორიაზე ტელე- და რადიოგრანსლაციის შესახებ.

6. შეჩერდეს უცხო ქვეყნის ტელე-რადიომაუწყებლობის საქართველოში გრანსლაციის დროს რეკლამის ჩანაცვლება "საქართველოს ტერიტორიაზე ტელე- და რადიოგრანსლაციის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამდე. (24.12.98 N 1775 საკანონმდებლო მაცნე N 1(8))

მუხლი 23. კანონის ამოქმედება და გასაუქმებელი ნორმატიული აქტები

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტი ამოქმედდეს 2003 წლის 1 აპრილიდან. *(21.12.2001 N1220)*

3. ამ კანონის ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 10 მარტის N60 ბრძანებულება "არაკეთილსინდისიერი რეკლამისაგან მომხმარებელთა დაცვის შესახებ";

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 27 მარტის N 160 დადგენილება "არაკეთილსინდისიერი რეკლამისაგან მომხმარებელთა დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ".

საქართველოს კანონი
საქართველოს საპატენტო კანონი

(მიღებულია 1999 წლის 5 თებერვალს)

მუხლი 7

1. გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე, რომლებიც შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გასაიდუმლოებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის თვალსაზრისით, პატენტი გაიცემა მხოლოდ მათი განსაიდუმლოების შემდეგ, ამ კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. გასაიდუმლოება დასაშვებია ორი წლის ვადით, რაც პატენტის მოქმედების ვადის განმავლობაში შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი ორი წლით.

3. საიდუმლო გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის სამართლებრივი დაცვისა და გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი III
პატენტუნარიანობა

მუხლი 12

1. პატენტით შეიძლება დაცულ იქნეს ისეთი გამოგონება, რომელიც პატენტუნარიანია და აკმაყოფილებს სიახლის, საგამომგონებლო დონისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს.

2. გამოგონება ახალია, თუ იგი ცნობილი არ არის ტექნიკის არსებული დონით.

3. გამოგონებას აქვს საგამომგონებლო დონე, თუ განაცხადის შეტანის თარიღისათვის ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღისათვის, იგი სპეციალისტისათვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან.

4. გამოგონების სამრეწველო გამოყენებადობა ნიშნავს მისი დამზადების ან მისით სარგებლობის შესაძლებლობას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და საქმიანობის სხვა სფეროებში.

5. ტექნიკის არსებულ დონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომელიც საყოველთაოდ გახდა ცნობილი წერილობით, ზეპირი აღწერით, საჯარო გამოყენებით ან სხვა გზით განაცხადის შეტანის თარიღამდე ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე.

6. გამოგონების სიახლის დადგენისას ტექნიკის დონეს, სხვა საინფორმაციო წყაროს გარდა, მიეკუთვნება "საქპატენტში" გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე შეტანილი ყველა განაცხადი, თუ მათ აქვთ უფრო

აღრინდელი პრიორიტეტი. სიახლე დგინდება მხოლოდ ერთი საინფორმაციო წყაროს განხილვის საფუძველზე.

7. საგამომგონებლო დონის დადგენისას ტექნიკის დონეს არ მიეკუთვნება "საქპატენტში" განსახილველად წარდგენილი განაცხადები გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე.

8. ტექნიკის არსებული დონით ცნობილი ნივთიერებები და ნარევები შეიძლება მიჩნეულ იქნეს პატენტუნარიანად, თუ ისინი გამოიყენება აქამდე უცნობი დანიშნულებით.

მუხლი 13

1. პატენტით შეიძლება დაცულ იქნეს ისეთი სასარგებლო მოდელი, რომელიც წარმოადგენს ეკოლოგიურად უსაფრთხო მოწყობილობას, ნივთიერებას ან ხერხს და რომელიც აკმაყოფილებს სიახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს.

2. სასარგებლო მოდელი ახალია, თუ იგი ცნობილი არ არის ტექნიკის არსებული დონით.

3. სასარგებლო მოდელის სამრეწველო გამოყენებადობა ნიშნავს მისი დამზადების ან მისით სარგებლობის შესაძლებლობას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და საქმიანობის სხვა სფეროებში.

4. ტექნიკის არსებულ დონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომელიც საყოველთაოდ გახდა ცნობილი წერილობით, ზეპირი აღწერით, ავრეთვე, საქართველოში გამოყენებით და რომელიც შეეხება იმავე დანიშნულების მოწყობილობებს, ნივთიერებებსა და ხერხებს განაცხადის შეტანის თარიღამდე ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე.

5. სასარგებლო მოდელის სიახლის დადგენისას, ტექნიკის დონეს სხვა საინფორმაციო წყაროს გარდა, მიეკუთვნება "საქპატენტში" გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე შეტანილი ყველა განაცხადი, თუ მათ აქვთ უფრო აღრინდელი პრიორიტეტი. სიახლე დგინდება მხოლოდ ერთი საინფორმაციო წყაროს განხილვის საფუძველზე.

მუხლი 14

1. პატენტით შეიძლება დაცულ იქნეს ისეთი სამრეწველო ნიმუში, რომელიც წარმოადგენს ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციულ გარეგან სახეს და რომელიც აკმაყოფილებს სიახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს.

2. სამრეწველო ნიმუში ახალია, თუ მისი არსებითი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ნაკეთობის ესთეტიკურ თავისებურებებს, საყოველთაოდ არ არის ცნობილი წერილობით, ზეპირი აღწერით, საჯარო გამოყენებით ან სხვა გზით "საქპატენტში" განაცხადის შეტანის თარიღამდე ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე.

3. სამრეწველო ნიმუშის სიახლის დადგენისას მხედველობაში მიიღება "საქპატენტში" შეტანილი ყველა განაცხადი, თუ მათ აქვთ უფრო ადრინდელი პრიორიტეტი.

4. სამრეწველო ნიმუში სამრეწველოდ გამოყენებადია, თუ შესაძლებელია მისი მრავალჯერადი დამზადება.

მუხლი 15

ინფორმაციის გახსნა გამოგონების, სასარგებლო მოდელის, ან სამრეწველო ნიმუშის ავტორის მიერ (ან სხვა პირის მიერ, რომელსაც განაცხადის შეტანის თარიღისათვის პატენტის მიღების უფლება აქვს, ან მესამე პირის მიერ, რომლისთვისაც ეს ინფორმაცია ავტორისაგან პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ხელმისაწვდომი გახდა), რაც სხვა შემთხვევაში იმოქმედებდა განაცხადში წარმოდგენილი ობიექტის პატენტუნარიანობაზე, არ მოახდენს გავლენას:

ა) გამოგონების პატენტუნარიანობაზე, თუ ინფორმაცია გახსნილია 12 თვის განმავლობაში მასზე განაცხადის შეტანის თარიღამდე ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე;

ბ) სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის პატენტუნარიანობაზე, თუ ინფორმაცია გახსნილია 6 თვის განმავლობაში მათზე განაცხადის შეტანის თარიღამდე ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე.

მუხლი 16

გამოგონებად ან სასარგებლო მოდელად არ მიიჩნევა:

ა) აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია, ან მათემატიკური მეთოდი;

ბ) მხატვრული კონსტრუირების შედეგი;

გ) ალგორითმები და პროგრამები გამომთვლელი მანქანებისათვის;

დ) აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა, ენის გრამატიკული სისტემა, აგრეთვე, გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდები, თამაშობების, გათამაშების წესები;

ე) მეურნეობრიობის ორგანიზაციისა და მართვის მეთოდი;

ვ) ნაგებობათა, შენობათა, ტერიტორიათა დაგეგმარების პროექტი და სქემა;

ზ) ინფორმაციის წარდგენა,

თუ განაცხადში წარმოდგენილია ამ მუხლის "ა–ზ" ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ობიექტები.

მუხლი 17

პატენტი არ გაიცემა:

ა) გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა ან სამრეწველო ნიმუშზე, რომელიც იწვევს არაჰუმანურ, ამორალურ და/ან ანტისაზოგადოებრივ ქმედებას;

ბ) გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე, რომელიც ეხება ადამიანებისა და ცხოველებისათვის გათვალისწინებული მკურნალობის ქირურგიულ, თერაპიულ და დიაგნოსტიკურ ხერხებს. ეს წესი არ ვრცელდება მოწყობილობებზე, ნივთიერებებზე, რომლებიც გამოიყენება აღნიშნულ ხერხებში;

გ) გამოგონებაზე, რომელიც ეხება მცენარეთა და ცხოველთა ჯიშებს, აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა ჯიშის გამოყვანის უპირატესად ბიოლოგიურ ხერხებს. ეს წესი არ ვრცელდება მიკრობიოლოგიურ ხერხებსა და ამ ხერხებით მიღებულ პროდუქტებზე;

დ) სასარგებლო მოდელზე, რომელიც ეხება მცენარეთა და ცხოველთა ჯიშებს, აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა ჯიშის გამოყვანის უპირატესად ბიოლოგიურ ხერხებს, მიკროორგანიზმთა შტამებს, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურებს, ბიოტექნოლოგიისა და გენური ინჟინერიის ობიექტებს, ქიმიური ხერხით მიღებულ ნივთიერებებს;

ე) სამრეწველო ნიმუშზე, რომელიც ეხება:

ე.ა) შენობათა ან სხვა უძრავ ნაგებობათა გარეგან სახეს, გარდა მცირე არქიტექტურული ფორმებისა;

ე.ბ) თხევადი, აირისებრი, ფხვიერი და სხვა არამდგრადი ფორმის მქონე ობიექტებს;

ე.გ) ნაკეთობებს, რომელთა გარეგანი სახე განპირობებულია არსებითი ნიშნების მხოლოდ ტექნიკური ან ფუნქციური დანიშნულებით;

ე.დ) უშუალოდ ნაბეჭდ პროდუქციას.

საქართველოს კანონი
საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ

(მიღებულია 1999 წლის 22 ივნისს. 09/09/99, 12/05/2000, 10/10/2002 ცვლილებებით და დამატებებით)

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია, დაიცვას საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენების დროს (საავტორო უფლებები), აგრეთვე ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლება, დაკავშირებული შემსრულებლებთან, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლებთან და მაუწყებლობის ორგანიზაციებთან (მომიჯნავე უფლებები).

მუხლი 2. საერთაშორისო ხელშეკრულებები

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო, დადგენილია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებათა წესები.

მუხლი 3. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი ვრცელდება:

ა) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებზეც საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა მფლობელია საქართველოს მოქალაქე, საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული იურიდიული პირი;

ბ) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებიც პირველად გამოიცა საქართველოს ტერიტორიაზე. ნაწარმოები, ფონოგრამა და ვიდეოგრამა ასევე ჩაითვლება საქართველოში პირველად გამოცემულად, თუ საბჭოთა კავშირის გარეთ პირველი გამოცემიდან ოცდაათი დღის განმავლობაში ისინი გამოიცა საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) შესრულებაზე, რომელიც პირველად განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე; შესრულებაზე, რომელიც ჩაწერილია ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე, რომლის დაცვაც ხდება ამ მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად; შესრულებაზე, რომელიც არ არის ჩაწერილი ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე, მაგრამ ჩართულია მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემაში, რომლის დაცვაც ხდება ამ მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

დ) იმ მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებიც არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაფუძნებული იურიდიული პირები და პროგრამებს გადასცემენ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული გადამცემების მეშვეობით;

ე) არქიტექტურულ ნაწარმოებებზე, რომლებიც განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე, ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც ჩართულია შემადგენელ ნაწილად საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ არქიტექტურულ ნაწარმოებში, მიუხედავად მათი ავტორების მოქალაქეობისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა;

ვ) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამაზე, ვიდეოგრამასა და მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებიც დაცულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

მუხლი 4. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „ავტორი“ – ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალური შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები;

ბ) „აუდიოვიზუალური ნაწარმოები“ – ნაწარმოები, რომელიც შედგება თანამიმდევრული გამოსახულებებისაგან ხმის თანხლებით ან/და უამისოდ, ქმნის მოძრაობის შთაბეჭდილებას და შეიძლება აღქმულ იქნეს მხედველობით ან/და სმენით. აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს მიეკუთვნება კინემატოგრაფიული და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც გამოსახულია კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით (ტელე-, ვიდეო-, დიაფილმები და სხვა);

გ) „აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელი (პროდიუსერი)“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა და იკისრა პასუხისმგებლობა ასეთი ნაწარმოების დამზადებისათვის; თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებ-ლად მიიჩნევა ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი ან დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ნაწარმოებზე;

დ) „გამოქვეყნება“ – ავტორის ან საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელის თანხმობით განხორციელებული მოქმედება, რომლის შედეგადაც პირველად ხდება ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის საზოგადოებისათვის გაცნობა გამოცემის, საჯარო ჩვენების, საჯარო შესრულების, საჯარო გადაცემისა და სხვა გზით;

ე) „გამოცემა“ – ავტორის ან საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელის თანხმობით ნაწარმოების, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის ეგზემპლარების სამოქალაქო ბრუნვაში გაშვება გაყიდვის ან გა-

ქირავების, ანდა ნაწარმოების, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის ეგზემპლარებზე საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით, იმ რაოდენობით, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნილებებს. ნაწარმოები, ფონოგრამა და ვიდეოგრამა ასეჯე ჩაითვლება გამოცემულად, თუ ისინი ხელმისაწვდომია ინფორმაციის ელექტრონულ სისტემათა მეშვეობით;

ვ) „გაქირავება“ – ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ორიგინალის ან ასლის ხელმისაწვდომობა დროის განსაზღვრულ პერიოდში სარგებლობისათვის მოგების მიღების მიზნით;

ზ) „ვიდეოგრამა“ – გამოსახულებათა თანამიმდევრობის ჩანაწერი რაიმე ობიექტური ფორმით, ხმის თანხლებით ან უამისოდ;

თ) „ვიდეოგრამის დამამზადებელი (პროდიუსერი)“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა და იკისრა პასუხისმგებლობა გამოსახულებათა თანამიმდევრობის პირველი ჩანაწერის ხმის თანხლებით ან უამისოდ განხორციელებისათვის; თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, ვიდეოგრამის დამამზადებლად მიიჩნევა ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი ან/და დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ვიდეოგრამაზე ან/და მის ფუძლარზე;

ი) „კაბელით გადაცემა“ – ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გადაცემა კაბელით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით ან სხვა ანალოგიური მოწყობილობით. („კაბელით ხელახალი გადაცემა“ წარმოადგენს ერთდროულ, შეუცვლელ და შეუკვეცავ ხელახალ გადაცემას მიკროტალღური სისტემის მეშვეობით საზოგადოების მიერ მისთვის განკუთვნილი ტელე- და რადიოპროგრამების საწყისი გადაცემის მისაღებად საღენით ან საჰაერო გზით, საკელიტური კავშირის ჩათვლით.);

კ) „კომპიუტერული პროგრამა“ – ინსტრუქციათა ერთობლიობა სიტყვების, კოდების, სქემების ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით, რომელიც საშუალებას იძლევა აამოქმედოს კომპიუტერი განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. ტერმინი მოიცავს კომპიუტერული პროგრამის დიზაინის მოსამზადებელ მასალას;

ლ) „მაუწყებლობა“ – ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გადაცემა უმავთულო კავშირგაბმულობით, მათ შორის, თანამგზავრის მეშვეობით. („თანამგზავრი“ ნიშნავს ყველა თანამგზავრს, რომელიც მუშაობს სიხშირეთა იმ დიაპაზონში, რომელიც ტელესაკომუნიკაციო წესების მიხედვით განკუთვნილია საზოგადოებისათვის მისაწოდებელი სამაუწყებლო სიგნალებისათვის. „თანამგზავრის მეშვეობით გადაცემა“ გულისხმობს პროგრამების მაგარებელი სიგნალების მიღებას მაუწყებლობის ორგანიზაციის კონტროლისა და პასუხისმგებლობის პირობებში. საზოგადოებისათვის განკუთვნილი პროგრამები მიიღება კაშირის

უწყვეტი ჯაჭვის სახით – ზევით სატელიტისა და ქვევით დედამიწის მიმართულებით. თუ პროგრამის მატარებელი სიგნალები დაშიფრულია, სატელიტური კავშირი ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებლობის ორგანიზაცია თანახმაა უზრუნველყოს საზოგადოებისათვის გაშიფერის საშუალებათა მიწოდება.);

მ) „მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა" – პროგრამა, რომელიც შექმნილია თვით საეთერო ან საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ, ან მისი შეკვეთითა და მისივე სახსრებით სხვა ორგანიზაციის მიერ. პროგრამა, რომელიც მხოლოდ ხელახლა გადაიცა კაბელით საკაბელო ორგანიზაციის მეშვეობით, არ წარმოადგენს ამ საკაბელო ორგანიზაციის გადაცემას;

ნ) „მონაცემთა ბაზა" – სისტემური ან მეთოდური წესით განლაგებული ნაწარმოებების, დამოუკიდებელი ინფორმაციის, მონაცემებისა და სხვა მასალის კრებული, რომელიც ინდივიდუალურად ხელმისაწვდომია ელექტრონული ან სხვა საშუალებით. ტერმინი არ მოიცავს კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც გამოიყენება ელექტრონული საშუალებით ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზის შექმნისა და გამოყენების დროს;

ო) „რეპროდუცირება" – ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მათ შორის, ხმისა და ვიდეოჩანაწერის ფორმით. რეპროდუცირებად ასევე ჩაითვლება ჩაწერა დროებითი ან მუდმივი შენახვისათვის, ელექტრონული (ციფრულის ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით, გარდა გამოცემისა;

პ) „რეპროგრაფიული გამრავლება (ასლის გადაღება)" – წერილობითი ან გრაფიკული ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის ფაქსიმილური რეპროდუცირება გადიდებული თუ შემცირებული ზომით, ფოტოკოპირების ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. რეპროგრაფიულ გამრავლებად არ ჩაითვლება ჩაწერა ელექტრონული (ციფრულის ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით;

ჟ) „საჯარო გადაცემა (გადაცემა საყოველთაო გაცნობისათვის)" – ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის გამოსახულების ან/და ხმის გადაცემა ეთერში, კაბელით ან სხვა საშუალებით ისე, რომ გადაცემის გამოსახულება ან/და ხმა შეიძლება აღქმულ იქნეს იმ პირთა მიერ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს, ადგილზე (ადგილებზე), რომლის (რომელთა) დაშორებაც გადაცემის ადგილიდან ისეთია, რომ ასეთი გადაცემის გარეშე გამოსახულება ან/და ხმა არ შეიძლება აღქმულ იქნეს მითითებულ ადგილზე (ადგილებზე);

რ) „საჯარო შესრულება" – ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის წარმოდგენა დეკ-

ლამაციის, თამაშობის, სიმღერის, ცეკვის ან სხვა სახით, უშუალოდ (ცოცხალი შესრულება) ან ნებისმიერი მოწყობილობის მეშვეობით, აღჭურვილზე (აღჭურვილებზე), სადაც საჯარო შესრულება შეიძლება აღქმულ იქნეს საჯარო გადაცემის აუცილებლობის გარეშე და სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს. აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო შესრულებად ითვლება ნაწარმოების გამოსახულებათა ჩვენება თანამიმდევრობით;

ს) „საჯარო ჩვენება“ – ნაწარმოების, შესრულების, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის დემონსტრირება, უშუალოდ ან ეკრანზე ფირის, სლაიდის, კადრის მეშვეობით ან სხვაგვარად, აღჭურვილზე (აღჭურვილებზე), სადაც საჯარო ჩვენება შეიძლება აღქმულ იქნეს საჯარო გადაცემის აუცილებლობის გარეშე და სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს. აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო ჩვენებად ითვლება ნაწარმოების გამოსახულებათა ჩვენება თანამიმდევრობის გარეშე;

ტ) „ტექნიკური საშუალება“ – მოწყობილობა ან მისი კომპონენტი, რომელიც განკუთვნილია საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ნებისმიერი დარღვევის თავიდან ასაცილებლად ან აღსაკვეთად;

უ) „უფლების მართვის ინფორმაცია“ – ინფორმაცია, რომელშიც მითითებულია ავტორი, ნაწარმოები, შემსრულებელი, შესრულება, ფონოგრამა, ფონოგრამის დამამზადებელი, ვიდეოგრამა, ვიდეოგრამის დამამზადებელი, მაუწყებლობის ორგანიზაცია, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა, მონაცემთა ბაზა, მონაცემთა ბაზის დამამზადებელი და ამ კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების მფლობელი, ანდა ინფორმაცია ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოყენების ვადებისა და პირობების შესახებ, ციფრები და კოდები, რომლებშიც ასახულია ეს ინფორმაცია, როდესაც ამ ინფორმაციის შემადგენელი ნაწილები ერთვის ნაწარმოებს, ჩაწერილ შესრულებას, ფონოგრამას, ვიდეოგრამას ან მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემას ან ჩნდება ნაწარმოების, ჩაწერილი შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის საზოგადოებისათვის გაცნობის დროს;

ფ) „ფონოგრამა“ – შესრულების ან სხვა ხმების მხოლოდ ხმოვანი ჩანაწერი. ტერმინი არ მოიცავს გამოსახულებებთან ერთად ჩაწერილი ბგერების ჩანაწერს, როგორიცაა აუდიოვიზუალური ნაწარმოების მუსიკალური ფონი;

ქ) „ფონოგრამის დამამზადებელი“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა და იკისრა პასუხისმგებლობა

შესრულების ან სხვა ხმების პირველი ხმოვანი ჩანაწერის განხორციელებისათვის; თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, ფონოგრამის დამამზადებლად მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი ან/და დასახელებაც სათანადო წესით აღნიმნულია ფონოგრამაზე ან/და მის ფუტლარზე;

ღ) „ჩაწერა" – ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით გამოსახულების ან/და ხმის ფიქსაცია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მათი არაერთჯერადი აღქმის, რეპროდუცირებისა და გადაცემის საშუალებას იძლევა;

ყ) „შემსრულებელი" – მსახიობი (თეატრისა, კინოსი და ა.შ.), მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე ან სხვა პირი, რომელიც თამაშობს როლს, კითხულობს, მღერის, ახდენს დეკლამირებას, უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე ან სხვაგვარად ასრულებს ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებს, მათ შორის, საესტრადო, საცირკო, თოჯინურ ან ფოლკლორულ ნომერს.

თავი II
საავტორო უფლებები

მუხლი 5. საავტორო უფლების ობიექტები

1. საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩეველად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

2. საავტორო უფლება ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს რაიმე ობიექტური ფორმით.

3. საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორციშესხმულია ნაწარმოებში.

მუხლი 6. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები

1. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებია:

ა) ლიტერატურული ნაწარმოები (წიგნი, ბროშურა, სტატია, კომპიუტერული პროგრამა და სხვა);

ბ) დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, ქორეოგრაფიის ან პანტომიმის ნაწარმოები და სხვა სასცენო ნაწარმოები;

გ) მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით ან უტექსტოდ;

დ) აუდიოვიზუალური ნაწარმოები (კინო-, ტელე-, ვიდეოფილმი და სხვა);

ე) სკულპტურის, ფერწერის, გრაფიკის, ლითოგრაფიის, სახეითი ხელოვნებისა და სხვა მსგავსი ნაწარმოები;

ვ) დეკორატიულ-გამოყენებითი ან მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოები;

ზ) თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოები;

თ) არქიტექტურული, ქალაქმშენებლობის ან საბაღე-საპარკო ხელოვნების ნაწარმოები;

ი) ფოტოგრაფიული ნაწარმოები ან ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით შექმნილი ნაწარმოები. აუდიოვიზუალური ნაწარმოების ცალკეული გამოსახულება არ ითვლება ფოტოგრაფიულ ნაწარმოებად;

კ) რუკა, გეგმა, ესკიზი, ილუსტრაცია და სხვა მსგავსი ნაწარმოები, რომელიც მიეკუთვნება გეოლოგიას, გეოგრაფიას, კარტოგრაფიას ან სხვა დარგებს (10.10.2002 N 1693)

ლ) გადამუშავებული ნაწარმოები, კერძოდ, თარგმანი, მხატვრული ნაწარმოების პწკარედი, ადაპტაცია, ეკრანიზაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, კომპილაცია, მუსიკალური არანჟირება და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა სხვაგვარი გადამუშაება;

მ) შედგენილი ნაწარმოები, კერძოდ, კრებული (ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა) და სხვა ნაწარმოები, რომელიც მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს;

ნ) სხვა ნაწარმოებები.

2. გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა დაცვა ხორციელდება მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა საავტორო უფლების ობიექტებს ის ნაწარმოებები, რომლებსაც ემყარებიან ან შეიცავენ ისინი.

3. გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებთა დაცვა ხორციელდება ორიგინალური ნაწარმოების თანაბრად.

4. კომპიუტერული პროგრამის დაცვა ვრცელდება ყველა სახის კომპიუტერულ პროგრამაზე (ოპერაციული სისტემების ჩათვლით), რომელიც შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი ენით და ფორმით, საწყისი ტექსტისა და ობიექტური კოდის ჩათვლით.

მუხლი 7. საავტორო უფლების დამოუკიდებლობა საკუთრების უფლებისაგან

1. საავტორო უფლება არ არის დამოკიდებული იმ მატერიალური ობიექტის საკუთრების უფლებაზე, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები.

2. მატერიალური ობიექტის საკუთრების ან მფლობელობის კანონიერად მათ თავისთავად არ იწვევს ამ ობიექტში გამოხატულ ნაწარმოებებზე საავტორო უფლების გადაცემას, გარდა ამ კანონის მე-18 მუხლით ნათქვამისა წინებული შემთხვევისა.

მუხლი 8. ნაწარმოებები, რომლებზედაც არ ვრცელდება საავტორო უფლება

1. საავტორო უფლება არ ვრცელდება შემდეგ ნაწარმოებებზე:

ა) ოფიციალურ დოკუმენტებზე (კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის სხვა ტექსტები), აგრეთვე მათ ოფიციალურ თარგმანებზე;

ბ) სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე (დროშა, გერბი, ჰიმნი, ჯილდოები, ფულის ნიშნები, სახელმწიფოს სხვა ოფიციალური ნიშნები და სიმბოლოები);

გ) ინფორმაციებზე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში აღნიშნულ ნაწარმოებთა სხვისი სახელით გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია ავტორის სახელის უფლების დაცვა.

მუხლი 9. საავტორო უფლების წარმოშობა

1. საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა.

2. საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმალობათა დაცვა.

3. საავტორო უფლების მფლობელს უფლება აქვს ნაწარმოები რეგისტრაციაში გაატაროს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" რეესტრში. რეგისტრაციის შემდეგ რეგისტრანტს ეძლევა სერტიფიკატი, რომელიც თავისთავად არ წარმოშობს ავტორობის პრეზუმფციას. (05.12.2000)

4. განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელს თავისი უფლების განცხადებისათვის შეუძლია გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან:

ა) ლათინური ასო C წრეწირში: ©;

ბ) განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელის სახელი (დასახელება);

გ) ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი.

მუხლი 10. ავტორობის პრეზუმფცია

1. პირი, რომელიც სათანადო წესით აღნიშნულია, როგორც ავტორი, ნაწარმოების ორიგინალზე ან ასლზე, მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. ეს დებულება გამოიყენება ასევე ნაწარმოების ფსევდონიმით გამოქვეყნებისას, თუ ავტორი ამ ფსეუდონიმით საყოველთაოდ ცნობილია.

2. როდესაც ნაწარმოები ქვეყნდება ფსევდონიმით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორი ამ ფსევდონიმით საყოველთაოდ ცნობილია) ან ანონიმურად, გამომცემელი, რომლის სახელი ან დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ნაწარმოებზე, ითვლება ავტორის წარმომადგენლად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. მას, როგორც წარმომადგენელს, უფლება აქვს დაიცვას ავტორის უფლებები და უზრუნველყოს მათი განხორციელება. ეს დებულება გამოიყენება მანამ, სანამ ასეთი ნაწარმოების ავტორი არ გაამჟღავნებს თავის ვინაობას.

მუხლი 11. თანაავტორობა

1. საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ერთობლივი შრომის შედეგად შექმნა ორმა ან მეტმა პირმა (თანაავტორობა), ერთობლივად ეკუთვნის თანაავტორებს, იმის მიუხედავად, ეს ნაწარმოები წარმოადგენს ერთ განუყოფელ მთლიანობას თუ შედგება ნაწილებისაგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. თანაავტორთა ურთიერთობა შეიძლება განისაზღვროს მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. არც ერთ თანაავტორს არა აქვს უფლება, აკრძალოს ნაწარმოების გამოყენება საამისოდ საკმაო საფუძვლების არსებობის გარეშე.

3. თანაავტორებს შეუძლიათ გამოაქვეყნონ ნაწარმოები ერთობლივი, საზიარო წესეფლობით.

4. ყოველ თანაავტორს აქვს უფლება, გამოიყენოს ნაწარმოების ის ნაწილი, რომელიც მის მიერ არის შექმნილი და რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოების ნაწილი ჩაითვლება დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონედ, თუ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაწარმოების სხვა ნაწილების გარეშეც.

მუხლი 12. შედგენილი ნაწარმოების ავტორის (შემდგენლის) უფლებები

1. შედგენილი ნაწარმოების ავტორს (შემდგენელს) ეკუთვნის საავტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე, რაც მისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს.

2. შემდგენელმა უნდა დაიცვას შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორების საავტორო უფლება.

3. შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორებს უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი ნაწარმოებები შედგენილი ნაწარმოებისაგან დამოუკიდებლად, თუ საავტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. შემდგენლის საავტორო უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს, განახორციელონ იმავე მასალის შერჩევა და განლაგება თავიანთ შედგენილ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

მუხლი 13. გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის უფლებები

1. გადამუშავებული ნაწარმოების ავტორს ეკუთვნის საავტორო უფლება მის მიერ განხორციელებულ გადამუშავებაზე.

2. გადამუშავებული ნაწარმოების ავტორმა უნდა დაიცვას ამ ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება.

3. გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს, გადაამუშაონ იგივე ნაწარმოები.

მუხლი 14. გამომცემლის განსაკუთრებული უფლებები

1. ენციკლოპედიების, ენციკლოპედიური ლექსიკონების, მეცნიერული ნაშრომების, პერიოდული და ერთმანეთის გამგრძელებელი კრებულების, გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების გამომცემლებს ეკუთვნით ამ გამოცემებში შესულ ნაწარმოებთა გამოყენების განსაკუთრებული უფლება. გამომცემელს უფლება აქვს, ასეთ ნაწარმოებთა ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი ან მოითხოვოს მისი მითითება. დაუშვებელია გაზეთში, ჟურნალში ან სხვა პერიოდულ გამოცემაში შესული ნაწარმოების გამოყენება სხვა პირის მიერ ამ გაზეთის, ჟურნალის ან პერიოდული გამოცემის გამომცემლის ან ასეთი ნაწარმოების ავტორის თანხმობის გარეშე, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში გამოქვეყნებული ექსკლუზიური მასალის სხვა საინფორმაციო საშუალების მიერ გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია იმ საინფორმაციო საშუალების დამოწმება, რომელშიც ეს მასალა პირველად გამოქვეყნდა. (09.09.99. №2388 საკანონმდებლო მაცნე №43(59))

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ გამოცემებში შესულ ნაწარმოებ-თა ავტორები ინარჩუნებენ თავიანთი ნაწარმოებების გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას, თუ საავტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 15. საავტორო უფლება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე

1. აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორები (თანაავტორები) არიან: დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი, ავტორი ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია სპეციალურად ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისათვის.

2. აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის თაობაზე ხელშეკრულების დადება იწვევს ავტორთა (თანაავტორთა) მიერ ამ ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლების გადაცემას აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლისათვის, ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლების პირობით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ავტორი მუსიკა-

ლური ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია სპეციალურად აუდიოვიზუალური ნაწარმოებისათვის, ინარჩუნებს უფლებას, მიიღოს ჰონორარი ასეთი მუსიკალური ნაწარმოების გამოყენებისათვის, აუდიოვიზუალური ნაწარმოების ყოველი საჯარო შესრულებისა და საჯარო ჩვენების დროს. ამ უფლების განხორციელება შესაძლებელია ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მეშვეობით.

3. აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელს უფლება აქვს, ასეთი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი ან მოითხოვოს მისი მითითება.

4. ავტორი აღრე შექმნილი ნაწარმოებისა, რომელიც გადამუშავებულია ან ჩართულია შემადგენელ ნაწილად აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში, აგრეთვე აეტორი ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის პროცესში, ინარჩუნებენ საავტორო უფლებას დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე თავიანთ ნაწარმოებებზე. მათ უფლება აქვთ დამოუკიდებლად ისარგებლონ ამ ნაწარმოებებით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, იმ პირობით, რომ ასეთი სარგებლობა ხელს არ შეუშლის აუდიოვიზუალური ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას.

მუხლი 16. საავტორო უფლება სამსახურებრივ ნაწარმოებზე

1. საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც შექმნილია სამუშაოს მიმცემის უშუალო სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით (სამსახურებრივი ნაწარმოები), ეკუთვნის სამსახურებრივი საწარმოების ავტორს.

2. სამსახურებრივი ნაწარმოების ისეთი გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რომელიც შეპირობებულია დავალების შინაარსითა და მიზნით, ეკუთვნის პირს, რომელთანაც ავტორს აქვს შრომითი ურთიერთობა (სამუშაოს მიმცემი), თუ მას და ავტორს შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. კომპიუტერულ პროგრამასთან დაკავშირებით სამუშაოს მიმცემი სარგებლობს შექმნილი კომპიუტერული პროგრამის გამოყენების განსაკუთრებული ქონებრივი უფლებებით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. ავტორის მიერ სამუშაოს მიმცემისათვის ნაწარმოების გადაცემიდან 5 წლის შემდეგ მისი გამოყენების განსაკუთრებული უფლება გადადის ავტორზე, თუ მას და სამუშაოს მიმცემს შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. თუ სამუშაოს მიმცემი ნაწარმოების გადაცემიდან 3 წლის განმავლობაში არ გამოიყენებს ნაწარმოებს, მისი გამოყენების განსაკუთრებული უფლება გადადის ავტორზე. ეს დებულება გამოიყენება იმ შემთხვე-

ვამიც, როდესაც ნაწარმოების გამოყენება საპატიო მიზეზის გარეშე შეწყვეტილია 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. აღნიშნული ვადა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

6. სამუშაოს მიმცემს უფლება აქვს სამსახურებრივი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი (დასახელება) ან მოითხოვოს ასეთი მითითება.

7. სამსახურებრივი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას საავტორო გასამრჯელოს (ჰონორარის) ოდენობა და გადახდის წესი შეიძლება განისაზღვროს ავტორსა და სამუშაოს მიმცემს შორის ხელშეკრულებით.

8. ეს მუხლი არ ვრცელდება გადამუშავებულ სამსახურებრივ ნაწარმოებზე.

მუხლი 17. ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები

1. ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებია:

ა) აღიარებულ იქნეს ნაწარმოების ავტორად და მოითხოვოს ასეთი აღიარება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან/და ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით, ავტორის სახელის მითითების მოთხოვნის უფლების ჩათვლით (ავტორობის უფლება);

ბ) მიუთითოს ფსევდონიმი სახელის ნაცვლად და მოითხოვოს ასეთი მითითება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან/და ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით, აგრეთვე უარი თქვას სახელის აღნიშვნაზე (სახელის უფლება);

გ) პირველად გამოაქვეყნოს ნაწარმოები;

დ) ნება დართოს სხვა პირებს, შეიგანონ ცვლილებები როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში, აგრეთვე წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას (ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება);

ე) დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია (რეპუტაციის პატივისცემის უფლება);

ვ) ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა);

ზ) მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა (ნაწარმოების გამო-ხმობის უფლება). ამ შემთხვევაში ავტორი ვალდებულია საჯაროდ განაცხადოს გამოხმობის შესახებ. ნაწარმოების გამოხმობის უფლება არ ვრცელდება სამსახურებრივ ნაწარმოებზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების განხორციელება ხდება ავტორის ხარჯზე. ავტორმა ნაწარმო-

ების მოსარგებლეს უნდა აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, მიუღებელი მოგების ჩათვლით. ავტორს აგრეთვე უფლება აქვს, სამოქალაქო ბრუნვიდან თავისი ხარჯებით ამოიღოს გავრცელების მიზნით ადრე დამზადებული ნაწარმოების ეგზემპლარები.

3. პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ამ უფლებების დათმობის შემთხვევაშიც.

4. დაუშვებელია პირადი არაქონებრივი უფლებების გასხვისება ავტორის სიცოცხლეში. მათი განხორციელება ავტორის გარდაცვალების შემდეგ ხდება ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 18. ნაწარმოების ავტორის ქონებრივი უფლებები

1. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება.

2. ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) ნაწარმოების რეპროდუცირება (რეპროდუცირების უფლება);

ბ) ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების სამოგადოებაში გაერცელება გაყიდვის ან გაქირავების, ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით (გავრცელების უფლება);

გ) ნაწარმოების ეგზემპლართა იმპორტირება გავრცელების მიზნით, იმ ეგზემპლართა ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობით (იმპორტის უფლება);

დ) ნაწარმოების საჯარო ჩვენება (საჯარო ჩვენების უფლება). ეს უფლება არ გამოიყენება, თუ საჯარო ჩვენება არის სამოქალაქო ბრუნვაში გაშვებული ნაწარმოების კანონიერი შესყიდვის შედეგი;

ე) ნაწარმოების საჯარო შესრულება (საჯარო შესრულების უფლება);

ვ) ნაწარმოების საჯარო გადაცემა, ეთერში ან კაბელით პირველი ან/და შემდგომი გადაცემის ჩათვლით (საჯარო გადაცემის უფლება);

ზ) ნაწარმოების თარგმნა (თარგმნის უფლება);

თ) ნაწარმოების გადამუშავება (გადამუშავების უფლება).

3. ავტორს ან განსაკუთრებული საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს მიიღოს საავტორო პონორარი მისი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის (პონორარის უფლება).

4. თუ მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოების ეგზემპლარები იყიდება, მაშინ დაშვებულია მათი შემდგომი გავრცელება ავტორის თანხმობისა და მისთვის საავტორო პონორარის გადახდის გარეშე.

5. ნოტებით გამოხატული მუსიკალური ნაწარმოების, აუდიოვიზუალური ნაწარმოების, კომპიუტერული პროგრამის, მონაცემთა ბაზის,

ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების ავტორებს ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელებს ეკუთვნით აღნიშნულ ნაწარმოებთა ორიგინალის ან ასლების გაქირავებით გაერცელების განსაკუთრებული უფლება, ამ ორიგინალზე ან ასლებზე საკუთრების უფლების მიუხედავად.

6. არქიტექტურული, ქალაქმშენებლობისა და საბაღე-საპარკო პროექტების გამოყენების განსაკუთრებული უფლება მოიცავს ასეთი პროექტების განხორციელების უფლებას.

7. საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშების წესი ეგზემპლარის ნებისმიერი გამოყენებისათვის დგინდება საავტორო ხელშეკრულებით, აგრეთვე მოსარგებლეებსა და ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას შორის ხელშეკრულებით.

8. პირს, რომელიც საავტორო უფლების ვადის გასვლის შემდეგ პირველად გამოაქვეყნებს ადრე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებს, ამ ნაწარმოებზე წარმოეშობა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქონებრივი უფლებები.

9. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ქონებრივ უფლებათა შეზღუდვები განისაზღვრება ამ კანონის 21–28-ე მუხლებით, იმ პირობით, რომ ასეთი შეზღუდვები ხელს არ შეუშლის ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ შელახავს ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 19. ქონებრივი უფლებები კომპიუტერულ პროგრამებზე და მონაცემთა ბაზებზე

1. კომპიუტერული პროგრამის ავტორი ამ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ უფლებებთან ერთად სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) კომპიუტერული პროგრამის რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ. თუ ასეთი რეპროდუცირება ესაჭიროება კომპიუტერული პროგრამის ჩატვირთვას, ჩვენებას, მუშაობას, გადაცემას (ტრანსმისიას) ან შენახვას, აუცილებელია ავტორის თანხმობა;

ბ) კომპიუტერული პროგრამის თარგმნა, ადაპტირება, სისტემატიზება ან სხვაგვარი ცვლილება და მიღებული შედეგების რეპროდუცირება იმ პირის უფლებების დაცვით, რომელიც ცვლის კომპიუტერულ პროგრამას;

გ) კომპიუტერული პროგრამის ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გაერცელება ნებისმიერი ფორმით, გაქირავების ჩათვლით. საქართველოში ავტორის მიერ ან მისი თანხმობით პროგრამის ასლების პირველი რეალიზაციით ამოიწურება საქართველოს ფარგლებში ასეთი ასლების გავრცელების კონტროლის უფლება, გარდა უფლებისა –

გააკონტროლოს პროგრამის ორიგინალის ან ასლების შექმნა გაქირაება.

2. მონაცემთა ბაზის ავტორი ამ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ უფლებებთან ერთად სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) მონაცემთა ბაზის დროებითი ან მუდმივი რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ;

ბ) მონაცემთა ბაზის თარგმნა, ადაპტირება, სისტემატიზება ან სხვაგვარი ცვლილება და მიღებული შედეგების რეპროდუცირება, საჯარო გადაცემა, ჩვენება ან შესრულება;

გ) მონაცემთა ბაზის ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გაერცელება ნებისმიერი ფორმით. საქართველოში ავტორის მიერ ან მისი თანხმობით ბაზის ასლების პირველი რეალიზაციით ამოიწურება საქართველოს ფარგლებში ასეთი ასლების გაყიდვის კონტროლის უფლება;

დ) ნებისმიერი გადაცემა, ჩვენება ან შესრულება საზოგადოების წინაშე, დიალოგური, პირდაპირი ტრანსლაციის ჩათვლით.

მუხლი 20. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლებები

1. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს მოსთხოვოს ნაწარმოების მესაკუთრეს, მისცეს საშუალება განახორციელოს თავისი ნაწარმოების რეპროდუცირება (დაშვების უფლება). ამასთან, მესაკუთრეს არ შეიძლება მოეთხოვოს ნაწარმოების მიტანა ავტორთან.

2. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ორიგინალის პირველად გასხვისების შემდეგ მისი საჯაროდ გაყიდვის (აუქციონის, საბისტრო სალონის, სახვითი ხელოვნების გალერეის, მაღაზიის ან სხვა საშუალებით) ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ავტორს ან მის მემკვიდრეებს უფლება აქვთ მიიღონ გამყიდველისაგან პონორარი გასაყიდი ფასის 5 პროცენტის ოდენობით. ამ უფლების განხორციელება შესაძლებელია ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მეშვეობით. გამყიდველები ვალდებულნი არიან აღნიშნულ ორგანიზაციას მისი მოთხოვნით მიაწოდონ ინფორმაცია გაყიდვების შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გასხვისება ავტორის სიცოცხლეში. იგი კანონით ან ანდერძით გადაეცემა მხოლოდ მემკვიდრეებზე საავტორო უფლების მოქმედების ვადით.

თავი III

ქონებრივი უფლებების შეზღუდვა

მუხლი 21. ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისათვის

1. დაშვებულია მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ გამოიყენება:

ა) არქიტექტურული ნაწარმოებების შენობა - ნაგებობათა ფორმით რეპროდუცირებისას;

ბ) ელექტრონული მონაცემთა ბაზების რეპროდუცირებისას;

გ) კომპიუტერული პროგრამების რეპროდუცირებისას, გარდა ამ კანონის 28-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) წიგნების (მთლიანად), ნოტებისა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების რეპროგრაფიული გამრავლებისას;

ე) აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების რეპროდუცირებისას.

3. ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისათვის რეპროდუცირებისას აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული წესისაგან განსხვავებით, უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი ჰონორარი.

4. ჰონორარი გადაიხდება პირადი სარგებლობისათვის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელ მოწყობილობათა (აუდიო- და ვიდეომაგნიტოფონებისა და სხვა მოწყობილობათა) და მატერიალურ მატარებელთა (ფონო- და ვიდეოფირების, კასეტების, ლაზერული ფირფიტების, კომპაქტფირფიტებისა და სხვა მატერიალურ მატარებელთა) მწარმოებლებისა და იმპორტიორების მიერ.

5. ჰონორარის შეგროვებასა და განაწილებას ახორციელებს იმ ორგანიზაციათაგან ერთ-ერთი, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ავტორთა, შემსრულებელთა და ფონოგრამების დამამზადებელთა ქონებრივ უფლებებს, ამ ორგანიზაციათა შორის შეთანხმების შესაბამისად. თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ჰონორარი ნაწილდება შემდეგნაირად: 40 პროცენტი – ავტორებს, 30 პროცენტი – შემსრულებლებს, 30 პროცენტი – ფონოგრამების დამამზადებლებს. აღნიშნულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, მათ შორის, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან მოითხოვონ ინფორმაცია ამ მუხლის მე-4

პუნქტში მითითებულ მოწყობილობათა და მატერიალურ მატარებელთა წარმოებისა და იმპორტის შესახებ.

6. ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება, ერთი მხრივ, აღნიშნულ მწარმოებლებსა და იმპორტიორებს და, მეორე მხრივ, ერთ-ერთ იმ ორგანიზაციას შორის შეთანხმებით, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ავტორთა, შემსრულებელთა და ფონოგრამების დამამზადებელთა ქონებრივ უფლებებს. თუ მსარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, ჰონორარის ოდენობას განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი. (5.12.2000)

7. ჰონორარი ნაწილდება იმ ნაწარმოებთა ავტორებსა და საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელებს შორის, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებში და რომლებიც, სავარაუდოა, რომ რეპროდუცირებას ახდენდნენ პირადი სარგებლობისათვის.

8. ჰონორარი არ გადაიხდევინება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მოწყობილობებსა და მატერიალურ მატარებლებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენს:

ა) ექსპორტის საგანს;

ბ) პროფესიულ მოწყობილობას, რომელიც არ არის განკუთვნილი საშინაო გამოყენებისათვის.

9. ჰონორარი აგრეთვე არ გადაიხდევინება ფიზიკურ პირთა მიერ აღნიშნული მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების პირადი მიზნით იმპორტირების შემთხვევაში.

მუხლი 22. ნაწარმოების რეპროგრაფიული გამრავლება ბიბლიოთეკების, არქივებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ

დაშვებულია რეპროგრაფიული გამრავლება პირდაპირი და არაპირდაპირი მოგების მიუღებლად, ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, მაგრამ გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითებით, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში – იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით. ასეთი რეპროგრაფიული გამრავლება დაიშვება:

ა) ერთეულ ეგზემპლარად, მართლზომიერად გამოცემული ნაწარმოებების განადგურებულ, დაკარგულ ან სარგებლობისათვის გამოუსადეგარ ეგზემპლართა შესაცვლელად ბიბლიოთეკებისა და არქივების მიერ; სხვა ბიბლიოთეკების ფონდებიდან დაკარგულ, განადგურებულ ან სარგებლობისათვის გამოუსადეგარ ეგზემპლართა შესაცვლელად ამ ბიბლიოთეკებისათვის გადაცემის მიზნით, თუ ასეთი ეგზემპლარების შეძენა ჩვეულებრივ პირობებში სხვა გზით შეუძლებელია;

ბ) ერთეულ ეგზემპლარად, მართლზომიერად გამოცემული ცალკეული სტატიებისა და სხვა მცირე მოცულობის ნაწარმოებების ან წერილობითი ნაწარმოების მოკლე ნაწყვეტებისა (კომპიუტერული პროგრამების გარდა) ბიბლიოთეკებისა და არქივების მიერ, ფიზიკურ პირთა მოთხოვნით, სასწავლო, სამეცნიერო ან პირადი მიზნით;

გ) მართლზომიერად გამოცემული ცალკეული სტატიებისა და სხვა მცირე მოცულობის ნაწარმოებების ან წერილობითი ნაწარმოების მოკლე ნაწყვეტებისა (კომპიუტერული პროგრამების გარდა) საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, მეცადინეობისათვის.

მუხლი 23. ნაწარმოების გამოყენება ავტორის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე

დაშვებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, მაგრამ გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითებით:

ა) მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოებების ორიგინალიდან ან თარგმანიდან ციტირება სამეცნიერო, კელეეითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით, გაზეთებიდან და ჟურნალებიდან მოკლე ნაწყვეტების ბეჭდვითი მიმოსილეისათვის რეპროდუცირების ჩათელით;

ბ) მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოებებიდან მოკლე ნაწყვეტების გამოყენება ილუსტრაციის სახით, გამოცემებში, რადიო- და ტელეგადაცემებში, სასწაელო ხასიათის ფონო- და ვიდეოჩანაწერებში, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით;

გ) მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებზე პერიოდულ გამოცემებში მართლზომიერად გამოქვეყნებული სტატიების ან ეთერში გადაცემული მსგავსი ნაწარმოებების რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა სპეციალურად არ არის აკრძალული ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის მიერ. ამასთან, ავტორს უნარჩუნდება ასეთი ნაწარმოების კრებულში გამოქვეყნების უფლება;

დ) მიმდინარე მოვლენების პროცესში დანახული ან მოსმენილი ნაწარმოების რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში ფოტოგრაფირების, ეთერში ან კაბელით გადაცემის გზით, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით;

ე) საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების, სიტყვის, ლექციის, მიმართვის, ქადაგების და მსგავსი ნაწარმოებების, მათ შორის,

სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვების რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა პერიოდული გამოცემების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით. ამასთან, ავტორს უსარჩელდება ასეთი ნაწარმოებთა ცალკე კრებულად ან წიგნად გამოცემის განსაკუთრებული უფლება;

ე) მართლზომიერად გამოქვეყნებული, რელიეფური წერტილოვანი შრიფტით ან სხვა სპეციალური საშუალებით უსინათლოთათვის შექმნილი ნაწარმოების რეპროდუცირება მოგების მიღების მიზნის გარეშე, გარდა იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი გამოყენების ასეთი საშუალებებისათვის.

მუხლი 24. თავისუფალი დასწრებისათვის ღია ადგილებში მუდმივად განლაგებული ნაწარმოების გამოყენება

დაშვებულია თავისუფალი დასწრებისათვის ღია ადგილებში მუდმივად განლაგებულ არქიტექტურულ, ფოტოგრაფიულ, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ნაწარმოების გამოსახულება წარმოადგენს ასეთი რეპროდუცირების ან საჯარო გადაცემის ძირითად ობიექტს ანდა გამოიყენება მოგების მიღების მიზნით.

მუხლი 25. მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულება ცერემონიების დროს

დაშვებულია მართლზომიერად გამოქვეყნებული მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულება ოფიციალური, სამგლოვიარო და რელიგიური ცერემონიების დროს ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ასეთი ცერემონიის სასიათით.

მუხლი 26. ნაწარმოების რეპროდუცირება სასამართლო წარმოებისათვის

დაშვებულია ნაწარმოების რეპროდუცირება ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, სასამართლო წარმოებისათვის, ხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით.

მუხლი 27. საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ ნაწარმოების მოკლევადიანი ჩაწერა

საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაცია უფლებამოსილია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის დამატებითი ჰონორარის გადახდის გარეშე, მოკლევადიანი სარეკლამისათ-

ეის ჩაწეროს ის ნაწარმოები, რომლის ეთერში გადაცემის უფლებაც მიიღო ამ ორგანიზაციამ, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ჩანაწერის დამზადება საკუთარი მოწყობილობის მეშვეობით, საკუთარი გადაცემისათვის;

ბ) ჩანაწერის განადგურება დამზადებიდან 6 თვის შემდეგ, თუ უფრო ხანგრძლივი ვადა არ იყო შეთანხმებული ჩაწერილი ნაწარმოების ავტორთან. ავტორის თანხმობის გარეშე ოფიციალურ არქივში შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ დოკუმენტური ხასიათის ჩანაწერი.

მუხლი 28. კომპიუტერული პროგრამისა და მონაცემთა ბაზის მფლობელთა უფლებების შეზღუდვები

1. პირი, რომელიც მართლზომიერად ფლობს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის ეგზემპლარს, უფლებამოსილია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე:

ა) შეიტანოს კომპიუტერულ პროგრამაში ან მონაცემთა ბაზაში ცვლილებები, რომლებიც აუცილებელია მომხმარებლის ტექნიკურ საშუალებათა ფუნქციონირებისათვის, აგრეთვე განახორციელოს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, ჩაწერა და კომპიუტერის მესხიერებაში შენახვა (ერთი კომპიუტერისათვის ან ქსელის ერთი მომხმარებლისათვის), აშკარა შეცდომების გასწორება, თუ საავტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) დაამზადოს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის სარეზერვო ეგზემპლარი იმ პირობით, რომ იგი განკუთვნილია მხოლოდ არქივისათვის და მართლზომიერი მფლობელის დაკარგული, განადგურებული ან სარგებლობისათვის გამოუსადეგარი ეგზემპლარის შესაცვლელად.

2. კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის სარეზერვო ეგზემპლარი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესებისაგან განსხვავებული მიზნით და უნდა განადგურდეს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის მფლობელობის უფლების შეწყვეტისთანავე.

მუხლი 29. კომპიუტერული პროგრამის თავისუფალი გამოყენება (დეკომპილირება)

პირი, რომელიც მართლზომიერად ფლობს კომპიუტერული პროგრამის ეგზემპლარს, უფლებამოსილია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე განახორციელოს კომპიუტერული პროგრამის დეკომპილაცია (კლავაწარმოოს და გარდაქმნას ობიექტური კოდი საწყის ტექსტში), აგრეთვე დაავალოს დეკომპილირება სხვა პირებს იმ შემთხვევა-

ში, როცა ეს აუცილებელია მის მიერ დამოუკიდებლად შექმნილ კომპიუტერულ პროგრამასა და სხვა პროგრამებს შორის ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ეს მოქმედებები განახორციელა პირმა, რომელსაც ჰქონდა პროგრამის ეგზემპლარის გამოყენების უფლება, ან მისი სახელით სხვა პირმა, რომელსაც ჰქონდა შესაბამისი ნებართვა;

ბ) ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად საჭირო ინფორმაცია სხვა წყაროებიდან ადრე არ ყოფილა ხელმისაწვდომი მისთვის;

გ) ეს მოქმედებები ეხება დეკომპილირებული პროგრამის იმ ნაწილებს, რომლებიც აუცილებელია ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად;

დ) დეკომპილირების შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება მხოლოდ დამოუკიდებლად შექმნილ კომპიუტერულ პროგრამასა და სხვა პროგრამებს შორის ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად. ეს ინფორმაცია არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამოყენებულ იქნეს ახალი კომპიუტერული პროგრამის შესამუშავებლად, რომელიც არსებითად მსგავსია დეკომპილირებული პროგრამისა, ან სხვა ისეთი მოქმედების განსახორციელებლად, რომელიც არღვევს საავტორო უფლებას.

მუხლი 30. მონაცემთა ბაზის თავისუფალი გამოყენება

მონაცემთა ბაზის ორიგინალის ან ასლის მართლზომიერ მოსარგებლეს შეუძლია მონაცემთა ბაზის ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობის გარეშე განახორციელოს ამ კანონის მე-19 მუხლით განსაზღვრული მოქმედებები, როცა ეს აუცილებელია ბაზაში შეღწევისათვის და მისი ნორმალური გამოყენებისათვის. თუ მართლზომიერ მოსარგებლეს აქვს მონაცემთა ბაზის ნაწილის გამოყენების უფლება, აღნიშნული უფლება ვრცელდება მხოლოდ ამ ნაწილზე.

თავი IV

საავტორო უფლების მოქმედების ვადა

მუხლი 31. საავტორო უფლების წარმოშობა და მისი მოქმედების ხანგრძლივობა

1. საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ 70 წლის განმავლობაში, გარდა ამ კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ამ მუხლით და ამავე კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული ვადების ათვლა იწყება იმ წლიწადის შემდგომი წლის პირველი იანვრიდან, როდესაც დადგა იურიდიული ფაქტი, რომელიც აღნიშნული ვადის ათვლის დაწყების საფუძველს წარმოადგენდა.

მუხლი 32. საავტორო უფლებათა მოქმედების ვადები

1. საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ფსევდონიმით ან ანონიმურად გამოქვეყნდა, მოქმედებს 70 წლის განმავლობაში მისი მართლზომიერად გამოქვეყნების თარიღიდან. თუ ამ ვადაში ავტორი გაამჟღავნებს თავის ვინაობას ან თუ მისი ვინაობა ეჭვს არ იწვევს, გამოიყენება ამ კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

2. საავტორო უფლება თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებზე მოქმედებს თითოეული თანაავტორის სიცოცხლეში და უკანასკნელი თანაავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში.

3. თუ ნაწარმოები ქვეყნდება ტომებად, ნაწილებად, გამოშვებებად ან ეპიზოდებად, სოლო საავტორო უფლების დაცვის ვადა აითვლება მართლზომიერი გამოქვეყნების თარიღიდან, ეს ვადა გამოითვლება თითოეული ასეთი ნაწარმოებისათვის.

4. საავტორო უფლება ამ კანონის მე-12 და მე-13 მუხლებში აღნიშნულ ნაწარმოებებზე მოქმედებს 70 წლის განმავლობაში მათი მართლზომიერი გამოქვეყნების თარიღიდან, ხოლო თუ ნაწარმოები არ გამოქვეყნებულა – მისი შექმნის თარიღიდან.

5. საავტორო უფლება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე მოქმედებს ამ კანონის მე-15 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ავტორთაგან (თანაავტორთაგან) უკანასკნელის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში.

6. იმ პირის ქონებრივი საავტორო უფლება, რომელმაც მართლზომიერად გამოაქვეყნა ადრე გამოუქვეყნებელი ნაწარმოები (ამ კანონის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტი), მოქმედებს 25 წლის განმავლობაში მისი მართლზომიერი გამოქვეყნების თარიღიდან.

მუხლი 33. უვადო საავტორო უფლებები

1. ნაწარმოებთან დაკავშირებული ავტორობის უფლების, სახელის უფლების, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლების დაცვა ხორციელდება უვადოდ.

2. საავტორო უფლების ვადის გასვლის შემდეგ დაუშვებელია სხვა ავტორის მიერ ნაწარმოების სახელწოდების გამოყენება იმავე ჟანრის ნაწარმოებისათვის, თუ ასეთმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ავტორთა აღრევა, რამაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

3. დაუშვებელია ნაწარმოების გამოქვეყნება ისეთი ფსევდონიმით, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ადრე გამოქვეყნებული სხვა ნაწარმოების ავტორთან გაიგივება, რამაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

მუხლი 34. ვადაგასული საავტორო უფლების გამოყენება

1. ნაწარმოები, რომელზედაც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია, შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა საავტორო

ჰონორარის გადახდის გარეშე. ამასთან, დაცული უნდა იყოს აეტორობის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლებები. ეს წესი ერცელდება იმ ნაწარმოებებზეაც, რომელიც არ იყო დაცული საქართველოს ტერიტორიაზე.

2. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს სპეციალური ანარიცხები საქართველოს ტერიტორიაზე იმ ნაწარმოების გამოყენებისათვის, რომელზედაც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია. ასეთი ანარიცხებიდან მიღებული შემოსავალი გადაეცემა აეტორთა პროფესიულ ფონდებს და ორგანიზაციებს, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ აეტორთა ქონებრივ უფლებებს. ანარიცხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ნაწარმოების გამოყენების შედეგად მიღებული მოგების 3 პროცენტს.

თავი V
საავტორო უფლების გადაცემა

მუხლი 35. საავტორო უფლების გადაცემის საფუძვლები

1. საავტორო უფლება გადაეცემა კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობის წესით.

2. კანონით მემკვიდრეებზე საავტორო უფლების მოქმედების ვადის ფარგლებში გადადის ამ კანონის მე-18 მუხლში აღნიშნული ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლებები, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. აეტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებები მემკვიდრეობით არ გადადის. მემკვიდრეებს უფლება აქვთ კანონმხორციელებს აღნიშნულ პირად უფლებათა დაცვა. მათი ეს უფლებამოსილება ვადით არ იზღუდება.

4. თუ აეტორის მიერ მის სიცოცხლეში სხვა რამ არ იყო განსაზღვრული, მისი პირადი უფლებებიდან მემკვიდრეობით გადადის უფლება, სება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა აეტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა). აღნიშნული უფლება მემკვიდრეებზე გადადის საავტორო უფლების მოქმედების ვადით.

5. ავტორს უფლება აქვს მიუთითოს პირი, რომელსაც ის ანდერძით ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული უფლებების დამცველად. ეს პირი თავის მოვალეობას ასრულებს აეტორის გარდაცვალებამდე.

6. თუ მემკვიდრეები არ არსებობენ ან არაჯეროვნად ახორციელებენ ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ უფლებებს, ამ უფლებების დაცვას აწარმოებს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი. (5.12.2000.)

მუხლი 36. ავტორის ქონებრივი უფლების გადაცემა

1. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს შეუძლია თავისი ქონებრივი უფლებები გადასცეს უფლებამონაცელეს. უფლებამონაცელეზე გადადის ნაწარმოების გამოყენების ყველა განსაკუთრებული უფლება, რომელიც გათვალისწინებულია ამ კანონის მე-18 მუხლით.

2. განსაზღვრული სახით ნაწარმოების გამოყენების ნებართვა გაიცემა განსაკუთრებული ან ჩვეულებრივი ლიცენზიის გაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 37. განსაკუთრებული ლიცენზია

1. განსაკუთრებულ უფლებათა გადაცემის საავტორო ხელშეკრულების მიხედვით (განსაკუთრებული ლიცენზია), ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს ნაწარმოები განსაზღვრული სახით და ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში, გადასცემს მხოლოდ ლიცენზიატს და მასვე აძლევს უფლებას, აკრძალოს ნაწარმოების ამგვარი გამოყენება სხვა პირთა (მათ შორის, ავტორის) მიერ.

2. ნაწარმოების სხვა პირთა მიერ გამოყენების აკრძალვის უფლება შეიძლება განახორციელოს ავტორმა, თუ ლიცენზიატი არ აწარმოებს ამ უფლების დაცვას.

მუხლი 38. ჩვეულებრივი ლიცენზია

1. ჩვეულებრივე უფლებათა გადაცემის საავტორო ხელშეკრულების მიხედვით (ჩვეულებრივი ლიცენზია), ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი ნებას რთავს ლიცენზიატს, გამოიყენოს ნაწარმოები იმ პირთა თანაბრად, რომლებმაც მიიღეს ასეთი ნაწარმოების იმავე სახით გამოყენების უფლება.

2. საავტორო ხელშეკრულებით გადაცემული უფლება ჩაითვლება ჩვეულებრივე უფლებად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 39. ნაწარმოების გამოყენება განსაკუთრებული ლიცენზიის გადაცემის შემდეგ

ნაწარმოების გამოყენებაზე განსაკუთრებულ უფლებათა გადაცემის (განსაკუთრებული ლიცენზია) შემთხვევაშიც კი ავტორს ამ ნაწარმოების გამოყენების უფლება უნარჩუნდება თავის ნაწარმოებთა მხოლოდ სრული კრებულის გამოქვეყნებისას, თუ განსაკუთრებულ უფლებათა გადაცემის შეღებად ნაწარმოების გამოქვეყნებიდან გავიდა 5 წელი. ამასთან, ავტორს არა აქვს უფლება, გამოიყენოს ასეთი ნაწარმოები სრული კრებულისაგან დამოუკიდებლად.

მუხლი 40. საავტორო ხელშეკრულება

1. საავტორო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს: გამოსაყენებელი ნაწარმოების ზუსტ აღწერას (მოცულობა, ჟანრი, სახელწოდე-

ბა), ნაწარმოების გამოყენების კონკრეტულ სახეს, უფლების გადაცემის ვადას და ტერიტორიას, ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის წესს ან ჰონორარის ოდენობას ნაწარმოების გამოყენების ყოველი სახისათვის, მისი გადახდის წესსა და ვადას, აგრეთვე სხვა პირობებს, რომლებსაც მხარეები არსებითად მიიჩნევენ.

2. ნაწარმოების ყველა იმ სახით გამოყენების უფლება, რომელიც საავტორო ხელშეკრულებით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, ეკუთვნის ავტორს.

3. თუ საავტორო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული ნაწარმოების გამოყენების კონკრეტული სახე (საავტორო ხელშეკრულებით გადაცემული კონკრეტული უფლებები), ხელშეკრულება ითვლება დადებულად ნაწარმოების ისეთ გამოყენებაზე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლად მხარეთა იმ განზრახვის შესრულებისათვის, რომელიც მათ ჰქონდათ ხელშეკრულების დადებისას.

4. თუ საავტორო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული უფლების გადაცემის ვადა, ხელშეკრულება შეიძლება გააუქმოს ავტორმა მისი დადებიდან 3 წლის შემდეგ. მოსარგებლეს ამის თაობაზე უნდა ეცნობოს წერილობით, ხელშეკრულების გაუქმებამდე 6 თვით ადრე.

5. თუ საავტორო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული უფლების გადაცემის ტერიტორია, ხელშეკრულებით გადაცემული უფლება მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

6. საავტორო ხელშეკრულებაში ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

7. თუ გამოცემის ან ნაწარმოების სხვაგვარი რეპროდუცირების საავტორო ხელშეკრულებაში ჰონორარი განისაზღვრება ფიქსირებული თანხით, ხელშეკრულებით დადგენილი უნდა იყოს ნაწარმოების მაქსიმალური ტირაჟი.

8. საავტორო ხელშეკრულებით გადაცემული უფლებები შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცეს სხვა პირებს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

მუხლი 41. საავტორო ხელშეკრულების ბათილობა

1. ბათილია საავტორო ხელშეკრულების ის პირობა, რომელიც ბღუდავს ავტორის უფლებას, შექმნას მომავალში ნაწარმოები განსაზღვრულ თემაზე ან განსაზღვრულ დარგში.

2. საავტორო ხელშეკრულების საგანი არ შეიძლება იყოს იმ ნაწარმოებზე უფლების გადაცემა, რომელიც შეიძლება მომავალში შექმნას ავტორმა.

მუხლი 42. საავტორო ხელშეკრულების ფორმა

საავტორო ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებში ნაწარმოების გამოყენების საავტორო ხელშეკრუ-

ლება შეიძლება დაიდოს მეპირადაც. მეპირად შეიძლება დაიდოს აგრეთვე მეპირი ნაწარმოების ტელევიზიით ან რადიოთი ერთჯერადი გადაცემის ხელშეკრულება.

მუხლი 43. ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულება

1. ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულების მიხედვით ავტორი კისრულობს ვალდებულებას, შექმნას ნაწარმოები ხელშეკრულების პირობების მიხედვით და გადასცეს იგი შემკვეთს, ხოლო შემკვეთი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს ნაწარმოები და გადაუხადოს ავტორს ჰონორარი.

2. ავტორი ვალდებულია პირადად შექმნას ნაწარმოები, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ნაწარმოების შექმნაში სხვა პირის (პირების) ჩართვა დასაშვებია მხოლოდ შემკვეთის თანხმობით.

3. შემკვეთი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დადგომისთანავე დაათვალიეროს ნაწარმოები და წერილობით შეატყობინოს ავტორს ნაწარმოების მოწონების ანდა ხელშეკრულების პირობების საფუძველზე მისი დაწუნების ან მასში შესწორებათა შეტანის აუცილებლობის შესახებ.

4. თუ ავტორს ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება, ნაწარმოები შემკვეთის მიერ მოწონებულად ითვლება.

5. ავტორისათვის ავანსის გადახდის წესი, ვადა და ავანსის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით.

მუხლი 44. მიანის ანაზღაურების ვალდებულება

მსარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა საავტორო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს მიყენებული მიანი, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით.

თავი VI

საავტორო უფლებათა მომიჯნავე უფლებები

მუხლი 45. მომიჯნავე უფლებები

1. ამ თავით გათვალისწინებული საავტორო უფლებათა მომიჯნავე უფლებების დაცვა არ აბრკოლებს საავტორო უფლებათა დაცვას.

2. მომიჯნავე უფლებები ხორციელდება საავტორო უფლებათა პატივისცემის გზით. ამ თავის არც ერთი დებულება არ განიმარტება, როგორც საავტორო უფლებათა დაცვის შელახვა.

მუხლი 46. მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები

1. მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები არიან: შემსრულებლები, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლები და მაუწყებლობის ორგანიზაციები.

2. ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლები და მაუწყებლობის ორგანიზაციები ამ თავით გათვალისწინებულ უფლებებს ახორციელებენ ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი ანდა ეთერში ან კაბელით გადაცემული ნაწარმოების აეტორსა და შემსრულებელთან დადებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

3. შემსრულებელი ამ თავით გათვალისწინებულ უფლებებს ახორციელებს შესრულებული ნაწარმოების აეტორის უფლებათა დაცვის პირობით.

4. მომიჯნავე უფლებათა წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის რაიმე ფორმალობათა დაცვა. ფონოგრამის დამამზადებელს ან შემსრულებელს თავისი უფლების განცხადებისათვის შეუძლია გამოიყენოს მომიჯნავე უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ფონოგრამის ყოველ ეგზემპლარზე ან/და მის უტლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან:

ა) ლათინური ასო P წრეწირში: P ;

ბ) განსაკუთრებული მომიჯნავე უფლების მფლობელის სახელი (დასახელება);

გ) ფონოგრამის პირველი გამოცემის წელი.

მუხლი 47. შემსრულებლის უფლებები

1. შემსრულებელს თავის შესრულებაზე აქვს შემდეგი პირადი და ქონებრივი უფლებები:

ა) სახელის უფლება;

ბ) უფლება, დაიცვას შესრულება ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს შემსრულებლის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია (რეპუტაციის პატივისცემის უფლება);

გ) უფლება, გამოიყენოს შესრულება ნებისმიერი ფორმით, შესრულების ყოველი ფორმით გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლების ჩათვლით.

2. შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) იმ შესრულების ჩაწერა, რომელიც ადრე არ იყო ჩაწერილი;

ბ) შესრულების ჩანაწერის რეპროდუცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესრულება ჩაწერილია შემსრულებლის თანხმობით და რეპროდუცირება ხორციელდება იმავე მიზნით, რისთვისაც მოხდა მისი ჩაწერა;

გ) შესრულების გადაცემა ეთერში ან კაბელით, ანდა შესრულების სხვაგვარი საჯარო გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება შემსრულებლის თანხმობით ადრე ჩაწერილი ან ეთერში ადრე გადაცემული შესრულების გადაცემა;

ღ) შესრულების ჩანაწერის გადაცემა ეთერში ან კაბელით, თუ თავდაპირველად ამ შესრულების ჩაწერა არ მომხდარა მოგების მიღების მიზნით;

ე) იმ გამოქვეყნებული ფონოგრამის ან ვიდეოგრამის გაქირავება, რომელზედაც ჩაწერილია შესრულება შემსრულებლის მონაწილეობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნებართვა გაიცემა შემსრულებლის მიერ, ხოლო შემსრულებელთა კოლექტივის შესრულებაზე ნებართვა – ასეთი კოლექტივის ხელმძღვანელის მიერ, მოსარგებლესთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე.

4. შესრულებასა და მაუწყებლობის ორგანიზაციას შორის ხელშეკრულების დადება შესრულების ეთერში ან კაბელით გადაცემის თაობაზე იწვევს შემსრულებლის მიერ შესრულების ჩაწერის, მისი შემდგომი გადაცემისა და ჩანაწერის რეპროდუცირების უფლების გადაცემას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ასეთი გამოყენების შემთხვევაში შესრულებისათვის გადასახდელი ჰონორარის ოდენობა განისაზღვრება აღნიშნული ხელშეკრულებით.

5. შემსრულებელსა და აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელს შორის ხელშეკრულების დადება აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის თაობაზე იწვევს შემსრულებლის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა გადაცემას, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შემსრულებლის მიერ ასეთი უფლებების გადაცემა შემოიფარგლება აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოყენებით და, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არ შეიცავს აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში დაფიქსირებული ხმისა და გამოსახულების ცალ-ცალკე გამოყენების უფლებას.

6. შემსრულებელსა და ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებელს შორის ხელშეკრულების დადება შესრულების ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერის თაობაზე იწვევს შემსრულებლის მიერ ფონოგრამის ან ვიდეოგრამის გაქირავების უფლების გადაცემას. ამასთან, შემსრულებელს უნარჩუნდება ასეთი ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარების გაქირავებისათვის ჰონორარის მიღების უფლება.

7. იმ შესრულებაზე, რომელიც შემსრულებლის მიერ შექმნილია სამსახურებრივი მოვალეობის ან სამუშაოს მიმცემის დავალების შესრულების წესით, შემსრულებელს ეკუთვნის სახელის უფლება. ასეთი შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ეკუთვნის პირს, რომელთანაც შემსრულებელს აქვს შრომითი ურთიერთობა, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემსრულებლის განსაკუთრებული უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

მუხლი 48. ფონოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებები

1. ფონოგრამის დამამზადებელს ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება, გამოიყენოს ფონოგრამა ნებისმიერი ფორმით, ფონოგრამის ყოველი ფორმით გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლების ჩათვლით.

2. ფონოგრამის გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) ფონოგრამის რეპროდუცირება;

ბ) ფონოგრამის ეგზემპლართა პირველი გავრცელება;

გ) ფონოგრამის ეგზემპლართა გაქირავება;

დ) ფონოგრამის ეგზემპლართა გავრცელება საზოგადოებაში გაყიდვის ან გაქირავების, ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით;

ე) ფონოგრამის ეგზემპლართა იმპორტირება გავრცელების მიზნით, იმ ეგზემპლართა ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ფონოგრამის დამამზადებლის თანხმობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფონოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

მუხლი 49. ვიდეოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებები

1. ვიდეოგრამის დამამზადებელს ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება, გამოიყენოს ვიდეოგრამა ნებისმიერი ფორმით, ვიდეოგრამის ყოველი ფორმით გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლების ჩათვლით.

2. ვიდეოგრამის გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) ვიდეოგრამის რეპროდუცირება;

ბ) ვიდეოგრამის ეგზემპლართა პირველი გავრცელება;

გ) ვიდეოგრამის ეგზემპლართა გაქირავება;

დ) ვიდეოგრამის ეგზემპლართა გავრცელება საზოგადოებაში გაყიდვის ან გაქირავების, ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით;

ე) ვიდეოგრამის ეგზემპლართა იმპორტირება გავრცელების მიზნით, იმ ეგზემპლართა ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ვიდეოგრამის დამამზადებლის თანხმობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვიდეოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

მუხლი 50. მაუწყებლობის ორგანიზაციის განსაკუთრებული უფლებები

1. მაუწყებლობის ორგანიზაციას ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება, გამოიყენოს თავისი გადაცემა ნებისმიერი ფორმით, გადაცემის ყოველი ფორმით გამოყენებისათვის ანაზღაურების მიღების უფლების ჩათვლით.

2. გადაცემის გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) გადაცემის ჩაწერა;

ბ) გადაცემის ჩანაწერის რეპროდუცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაცემა ჩაწერილია მაუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობით და რეპროდუცირება ხორციელდება იმავე მიზნით, რისთვისაც მოხდა მისი ჩაწერა;

გ) გადაცემის ერთდროულად გადაცემა ეთერში და კაბელით შესაბამისად საეთერო და საკაბელო მაუწყებლობის სხვა ორგანიზაციის მიერ;

დ) გადაცემის გადაცემა ეთერში ან კაბელით;

ე) გადაცემის საჯარო გადაცემა აღგილებში, სადაც შესვლა ფასიანია.

ვ) გადაცემის ჩანაწერის გავრცელება საზოგადოებაში გაყიდვის ან გაქირავების, ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით.

მუხლი 51. მომიჯნავე უფლებათა ობიექტების თავისუფალი გამოყენება

1. ამ კანონით გათვალისწინებულ მომიჯნავე უფლებათა შემზღუდველი ხელს არ უშლის შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ ლახავს შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებს.

2. დაშვებულია შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემისა და მათი ჩანაწერების გამოყენება შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობისა და მათთვის ჰონორარის გადახდის გარეშე, შემდეგ შემთხვევებში:

ა) შესრულებიდან, ფონოგრამიდან, ვიდეოგრამიდან, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან ციტირებისას, სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის – მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით;

ბ) შესრულებიდან, ფონოგრამიდან, ვიდეოგრამიდან, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან მოკლე ნაწყვეტების ილუსტრაციის სახით გამოყენებისას სწავლებისათვის ან მეცნიერული გამოკვლევებისათვის

– მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით;

გ) შესრულებიდან, ფონოგრამიდან, ვიდეოგრამიდან, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან მოკლე ნაწყვეტების ჩართვისას მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში.

3. დაშვებულია ფიზიკურ პირთა მიერ შესრულების, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემისა და მათი ჩანაწერების გამოყენება, აგრეთვე პირადი სარგებლობისათვის ფონოგრამის ან ვიდეოგრამის რეპროდუცირება შემსრულებლის, მაუწყებლობის ორგანიზაციის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლის თანხმობის გარეშე. ასეთი რეპროდუცირება ამ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული წესით ხორციელდება ჰონორარის გადახდის პირობით.

მუხლი 52. მოგების მიღების მიზნებით დამზადებული ფონოგრამის გამოყენება

1. დაშვებულია მოგების მიღების მიზნით დამზადებული ფონოგრამის დამამზადებლის და ასეთ ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების შემსრულებლის თანხმობის გარეშე, მაგრამ ჰონორარის გადახდით:

ა) ფონოგრამის საჯარო შესრულება;

ბ) ფონოგრამის გადაცემა ეთერში ან კაბელით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჰონორარის შეგროვებასა და განაწილებას ახორციელებს იმ ორგანიზაციათაგან ერთი ერთი, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ შემსრულებელთა და ფონოგრამის დამამზადებელთა უფლებებს, ამ ორგანიზაციათა შორის შეთანხმების შესაბამისად.

3. ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება, ერთი მხრივ, ფონოგრამებით მოსარგებლეთა და, მეორე მხრივ, ერთ-ერთ იმ ორგანიზაციას შორის შეთანხმებით, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ფონოგრამების დამამზადებელთა და შემსრულებელთა უფლებებს. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, ჰონორარის ოდენობას განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“. ჰონორარის ოდენობა დგინდება ფონოგრამის გამოყენების ყოველი ფორმისათვის. (5.12.2000)

4. ფონოგრამებით მოსარგებლეებმა ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციებს უნდა წარუდგინონ პროგრამები (გეგმები), რომლებიც შეიცავს ზუსტ ცნობებს ფონოგრამების გამოყენების ოდენობის შესახებ, აგრეთვე სხვა ცნობები და საბუთები, რომლებიც აუცილებელია ჰონორარის შეგროვებისა და განაწილებისათვის.

მუხლი 53. საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ შესრულების ან გადაცემის ჩაწერა მოკლევადიანი სარგებლობისათვის

საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციას უფლება აქვს შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობის გარეშე განახორციელოს შესრულების ან გადაცემის ჩაწერა მოკლევადიანი სარგებლობისათვის და ასეთი ჩანაწერის რეპროდუცირება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) წინასწარი თანხმობის მიღება ამ შესრულების ან პროგრამის გადაცემაზე;

ბ) მოკლევადიანი ჩანაწერის დამზადება და რეპროდუცირება საკუთარი მოწყობილობით, საკუთარი გადაცემისათვის;

გ) მოკლევადიანი ჩანაწერის განადგურება იმ პირობით, რომელიც გათვალისწინებულია მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა მოკლევადიანი ჩანაწერებისათვის.

თავი VII

სპეციალური დებულებები მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების შესახებ

მუხლი 54. მონაცემთა ბაზის დამამზადებელი

1. მონაცემთა ბაზის დამამზადებელი, რომელიც ადასტურებს, რომ მან განახორციელა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი კაპიტალდაბანდება მონაცემთა ბაზის შემცველობის შეძენის, დაზუსტების ან წარმოდგენის მსრივ, სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, არ დაუშვას მისი მთლიანი შემცველობის ან ხარისხობრივად ან/და რაოდენობრივად შეფასებული მნიშვნელოვანი ნაწილის ამოღება ან/და ხელახალი გამოყენება.

2. ამ თავის მიზნებისათვის, ამოღება გულისხმობს მონაცემთა ბაზის მთლიანი შემცველობის ან მნიშვნელოვანი ნაწილის მუდმივად ან დროებით გადატანას სხვა მატერიალურ მატარებელზე ნებისმიერი საშუალებითა თუ ფორმით, ხოლო ხელახალი გამოყენება გულისხმობს მონაცემთა ბაზის მთლიანი შემცველობის ან მნიშვნელოვანი ნაწილის გაცნობას საზოგადოებისათვის ასლების გაქირავებით, დიალოგური ანდა გადაცემის პირდაპირი ან სხვა ფორმით. მონაცემთა ბაზის ეგზემპლარების გაყიდვის შემდეგ დაშვებულია მათი შემდგომი გაყიდვა მონაცემთა ბაზის დამამზადებლის თანხმობის გარეშე.

3. დაუშვებელია მონაცემთა ბაზის შემცველობის უმნიშვნელო ნაწილების განმეორებითი ან სისტემატური ამოღება ან/და ხელახალი გამოყენება, თუ ასეთი მოქმედება ხელს უშლის მის ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ ლახავს მონაცემთა ბაზის დამამზადებლის კანონიერ ინტერესებს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

5. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული უფლებები ძალაშია, მიუხედავად იმისა, დაცულია თუ არა საავტორო უფლებით ეს მონაცემთა ბაზა და მისაღებია თუ არა მისი შინაარსი. მონაცემთა ბაზის დაცვა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული უფლებების შესაბამისად არ უნდა ლახავდეს მასთან დაკავშირებულ საავტორო უფლებებს.

მუხლი 55. მონაცემთა ბაზის კანონიერი მოსარგებლის უფლებები და მოვალეობები

1. გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზის დამამზადებელს უფლება არ აქვს აუკრძალოს მონაცემთა ბაზის კანონიერ მოსარგებლეს მონაცემთა ბაზის შემცველობის ხარისხობრივად ან/და რაოდენობრივად შეუფასებული უმნიშვნელო ნაწილების ამოღება ან/და ხელახალი გამოყენება ნებისმიერი მიზნით. თუ კანონიერ მომხმარებელს აქვს მონაცემთა ბაზის ნაწილის ამოღების ან/და ხელახალი გამოყენების უფლება, ეს პუნქტი ვრცელდება მხოლოდ ამ ნაწილზე.

2. გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზის კანონიერი მოსარგებლის მოქმედება უსაფუძვლოდ არ უნდა ლახავდეს მონაცემთა ბაზის დამამზადებლის კანონიერ ინტერესებს.

3. გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზის კანონიერმა მოსარგებლემ არ უნდა შელახოს საავტორო ან მომიჯნავე უფლებათა მფლობელის უფლებები მონაცემთა ბაზაში არსებულ ნაწარმოებთან ან მომიჯნავე უფლების ობიექტთან დაკავშირებით.

მუხლი 56. მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების შეზღუდვა

მონაცემთა ბაზის კანონიერი მოსარგებლე უფლებამოსილია მისი დამამზადებლის ნებართვის გარეშე:

ა) ამოიღოს პირადი სარგებლობისათვის არაელექტრონული მონაცემთა ბაზის შემცველობის მნიშვნელოვანი ნაწილი;

ბ) ამოიღოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მასალის საილუსტრაციოდ მონაცემთა ბაზის შემცველობის მნიშვნელოვანი ნაწილი, წყაროს მითითებით და დასახული არაკომერციული მიზნით განსაზღვრული მოცულობით;

გ) ამოიღოს და ხელახლა გამოიყენოს მონაცემთა ბაზის შემცველობის მნიშვნელოვანი ნაწილი საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის და ადმინისტრაციული თუ სასამართლო-საპროცესო მიზნებისათვის.

თავი VIII

მომიჯნავე უფლებათა მოქმედების ვადა

მუხლი 57. მომიჯნავე უფლებათა მოქმედების ვადები

1. ამ კანონის 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემსრულებლის უფლება მოქმედებს 50 წლის განმავლობაში პირველი შესრულებიდან. თუ ამ ვადაში შესრულების ჩანაწერი მართლზომიერად გამოიცა ან საჯაროდ გადაიცა, ეს ვადა გრძელდება პირველი ასეთი გამოცემიდან ან საჯარო გადაცემიდან 50 წლის განმავლობაში.

2. შემსრულებლის სახელის უფლება და რეპუტაციის პატივისცემის უფლება დაცულია უვადოდ. ეს უფლებები მემკვიდრეობით არ გადადის. შემსრულებლის პირად უფლებათა დაცვა მისი გარდაცვალების შემდეგ ხორციელდება იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორების პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისათვის.

3. ამ კანონის 48-49-ე მუხლებით გათვალისწინებული ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლის უფლება მოქმედებს 50 წლის განმავლობაში ფონოგრამის ან ვიდეოგრამის პირველი ჩაწერიდან. თუ ამ ვადაში ფონოგრამა ან ვიდეოგრამა მართლზომიერად გამოიცა ან საჯაროდ გადაიცა, ეს ვადა გრძელდება პირველი ასეთი გამოცემიდან ან საჯარო გადაცემიდან 50 წლის განმავლობაში.

4. ამ კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული საეთერო (საკაბელო) მაუწყებლობის ორგანიზაციის უფლება მოქმედებს 50 წლის განმავლობაში ასეთი ორგანიზაციის მიერ ეთერში (კაბელით) პროგრამის პირველად გადაცემის შემდეგ.

5. ამ კანონის 54-ე მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლება მოქმედებს 15 წლის განმავლობაში მონაცემთა ბაზის დამზადებიდან. თუ ამ ვადაში მონაცემთა ბაზა გამოქვეყნდა, თხუთმეტი წელი აითვლება გამოქვეყნებიდან.

6. ამ კანონის 54-ე მუხლით განსაზღვრული მონაცემთა ბაზის შემცველობის ხარისხობრივად ან/და რაოდენობრივად შეფასებული ცვლილება, კერძოდ, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება, გამომდინარე გაუქმებიდან ან შესწორებიდან, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, რომ განხორციელდა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი კაპიტალ-დაბანდება, შესაძლებლობას იძლევა ასეთი დაბანდების შედეგად შეცვლილ მონაცემთა ბაზას მიეცეს დაცვის საკუთარი ვადა.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული ვადების ათვლა იწყება იმ წლის-წაღის შემდგომი წლის პირველი იანვრიდან, როდესაც დადგა იურიდიული ფაქტი, რომელიც აღნიშნული ვადის ათვლის დაწყების საფუძველია.

8. ამ თავით გათვალისწინებული უფლებები იმ ვადების დარჩენილი დროის ფარგლებში, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის პირველ,

მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებში, გადადის შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის მემკვიდრეებზე, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - მის უფლებამონაცვლეებზე.

თავი IX

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვა

მუხლი 58. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევა

1. ამ კანონით გათვალისწინებულ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევად ითვლება სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევისათვის იურიდიული პირი პასუხს აგებს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ ასრულებს ამ კანონის მოთხოვნებს, ითვლება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დამრღვევად.

3. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევად ჩაითვლება აგრეთვე:

ა) უფლების მართვის ელექტრონული ინფორმაციის შეცვლა ან წაშლა უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე;

ბ) ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოქვეყნება ნებისმიერი საშუალებით, როდესაც პირმა იცოდა ან სათანადო საფუძველი ჰქონდა სცოდნოდა, რომ უფლების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია შეცვლილი ან წაშლილი იქნა უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე.

მუხლი 59. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვა

1. განსაკუთრებულ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ დამრღვევისაგან:

ა) უფლების აღიარება;

ბ) უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედებათა აკრძალვა, რომლებიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს;

გ) მიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით;

დ) მიანის ანაზღაურების ნაცვლად იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც დამრღვევმა მიიღო საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის შედეგად;

ე) მიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო;

ვ) მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვა ზომების მიღება, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ", ,,დ" და ,,ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზომები გამოიყენება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების არჩევით.

3. ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დარღვევის არსი, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებისათვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, აგრეთვე ის სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შეეძლო მიეღო ავტორს ან საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელს ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის მართლზომიერად გამოყენების შედეგად. ზიანის ანაზღაურებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასამართლო ხარჯები, წარმომადგენლისა და ადვოკატისათვის გადასახდელი თანხის ჩათვლით.

მუხლი 60. კონტრაფაქციული ეგზემპლარები

1.ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარები, რომელთა დამზადება ან გავრცელება იწვევს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევას, ითვლება კონტრაფაქციულ ეგზემპლარებად.

2.კონტრაფაქციულად ითვლება აგრეთვე იმ ნაწარმოების, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის ეგზემპლარები, რომლებიც დაცულია საქართველოში ამ კანონის შესაბამისად და რომლებიც საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების თანხმობის გარეშე იმპორტირებულია საქართველოში იმ სახელმწიფოდან, სადაც ისინი არასდროს ყოფილა დაცული ან სადაც მათი დაცვა შეწყვეტილია.

3. სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარების, აგრეთვე მათი რეპროდუცირებისათვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობების ჩამო-რთმევის შესახებ. ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარები შეიძლება გადაეცეს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს მათი მოთხოვნით.

4. ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარები, რომლებიც არ იქნა გამოთხოვილი საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების მიერ, აგრეთვე მათი რეპროდუცირებისათვის საჭირო მასალები და მოწყობილობები ექვემდებარება განადგურებას სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

5. ჩამორთმევას არ ექვემდებარება მესამე პირების მიერ მართლზომიერად შეძენილი ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარები.

მუხლი 61. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებები

1. საქმის არსებითად განსილვამდე სასამართლოს ან მოსამართლეს ერთპიროვნულად შეუძლია გამოიტანოს განჩინება, რომელიც უკრძა-

ლაეს მოპასუხეს ან პირს, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია საავტორო და მომიჯნავე უფლებები, განსაზღვრულ მოქმედებათა შესრულებას, როგორიცაა დამზადება, რეპროდუცირება, გაყიდვა, გაქირავება, იმპორტი და ამ კანონით გათვალისწინებული ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება, აგრეთვე იმ ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ტრანსპორტირება, შენახვა და ფლობა გავრცელების მიზნით, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის კონტრაფაქციული ეგზემპლარია.

2. საქმის არსებითად განხილვამდე სასამართლოს ან მოსამართლეს ერთპიროვნულად შეუძლია გამოიტანოს განჩინება ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ყველა იმ ეგზემპლარზე ყადაღის დადებისა და ამოღების შესახებ, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის კონტრაფაქციული ეგზემპლარია, აგრეთვე იმ მასალებისა და მოწყობილობების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია მათი დამზადებისა და რეპროდუცირებისათვის.

3. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის შესახებ საქმეთა მონაცემების არსებობისას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მოკვლევის ორგანო, გამომძიებელი ან სასამართლო ვალდებულია მიიღოს ზომები წაყენებული ან შემდგომში შესაძლო სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად, შემდეგი ნივთების ძიების და მათზე ყადაღის დადების მიზნით:

ა) ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ეგზემპლარები, რომელთა მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ისინი კონტრაფაქციული ეგზემპლარებია;

ბ) მასალები და მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია კონტრაფაქციული ეგზემპლარების დამზადებისა და რეპროდუცირებისათვის;

გ) დოკუმენტები, ანგარიშები და სხვა ნივთები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად სასამართლო განხილვისას.

მუხლი 62. სახელმწიფო პოლიტიკა საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში

1. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას და კანონით მინიჭებული სხვა ფუნქციების განხორციელებას უმრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი". მისი სტატუსი და უფლებამოსილება დგინდება საქართველოს კანონმდებლობისა და შესაბამისი დებულების საფუძველზე.

2. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი" უფლებამოსილია:

ა) უზრუნველყოს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონმდებლობის სფეროში და

საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს წინადადებები მისი განვითარების შესახებ;

ბ) წარმოადგინოს საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებში;

გ) რეგისტრაციაში გაატაროს ნაწარმოებები ამ კანონით დადგენილი წესით. (5.12.2000)

თავი X

ქონებრივ უფლებათა მართვა კოლექტიურ საფუძველზე

მუხლი 63. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის შექმნა

1. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორებს, შემსრულებლებს, ფონოგრამებისა და ვიდეოგრამების დამამზადებლებს და საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელებს უფლება აქვთ თავიანთი ქონებრივი უფლებების განხორციელების მიზნით შექმნან ორგანიზაციები, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ქონებრივ უფლებებს.

2. ორგანიზაცია, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, იქმნება ნებაყოფლობით, უშუალოდ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების მიერ, არასამეწარმეო იურიდიული პირის – კავშირის (ასოციაციის) ფორმით. დადგენილი წესით რეგისტრაციის შემდეგ მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელსაც შეაქვს იგი საავტორო უფლებათა მართვის ორგანიზაციების რეესტრში. ორგანიზაციას უფლება არა აქვს განასორციელოს სამეწარმეო საქმიანობა და გამოიყენოს ის ნაწარმოები ან მომიჯნავე უფლების ობიექტი, რომელიც მას გადაცემული აქვს სამართავად კოლექტიურ საფუძველზე. აღნიშნული ორგანიზაცია მოქმედებს იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც მას მინიჭებული აქვს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებისაგან, წესდების საფუძველზე.

3. იმ ორგანიზაციის წესდება, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც შეესაბამება ამ კანონის მოთხოვნებს. ორგანიზაციის საქმიანობაზე ხელმძღვანელობას ახორციელებენ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელები, რომელთა ქონებრივ უფლებებსაც მართავს ეს ორგანიზაცია. გადაწყვეტილებებს ჰონორარის ოდენობისა და მოსარგებლეებისათვის ლიცენზიების გაცემის პირობების, შეგროვებული ჰონორარის განაწილებისა და გადახდის წესის, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე იღებენ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელები კოლეგიურად, საერთო კრებაზე.

4. დაშვებულია შექმნა ცალკეული ორგანიზაციებისა უფლებების ან უფლებათა მფლობელების სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით, ანდა ორგანიზაციებისა, რომლებიც მართავენ უფლებათა ერთი კატეგორიის მფლობელთა სხვადასხვა უფლებებს.

5. იმ ორგანიზაციის მიმართ, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, არ გამოიყენება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები.

მუხლი 64. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის საქმიანობა

1. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის უფლებამოსილება ორგანიზაციას გადაეცემა ნებაყოფლობით, უშუალოდ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების მიერ, ამ ორგანიზაციაში მათი წევრობის შესახებ წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, აგრეთვე ანალოგიურ უცხოურ ორგანიზაციასთან ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულება არ წარმოადგენს საავტორო ხელშეკრულებას და ამ კანონის მე-40 მუხლი მასზე არ ვრცელდება.

2. ნებისმიერ ავტორს, მომიჯნავე უფლების მფლობელს, მათ მემკვიდრეებს, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელებს უფლება აქვთ სამართავად გადასცენ თავიანთი ქონებრივი უფლებები ასეთ ორგანიზაციას, ხოლო ორგანიზაცია ვალდებულია იკისროს ამ უფლებათა მართვა კოლექტიურ საფუძველზე, თუ ასეთი კატეგორიის უფლებათა მართვა განეკუთვნება ამ ორგანიზაციის საწესდებო საქმიანობას.

3. ამ მუხლის თანახმად მიღებული უფლებების შესაბამისად, ორგანიზაცია, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, მოსარგებლეებზე გასცემს ლიცენზიებს ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის შესაბამისი ფორმით გამოყენებისათვის. ლიცენზიების პირობები ანალოგიური უნდა იყოს ერთი კატეგორიის ყველა მოსარგებლისათვის. ორგანიზაციას უფლება არა აქვს უარი უთხრას მოსარგებლეებს ლიცენზიის გაცემაზე საამისოდ საკმარისი საფუძვლის არსებობის გარეშე.

4. ორგანიზაცია, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, უფლებამოსილია ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის მოსარგებლეებისაგან მოითხოვოს ყველა იმ დოკუმენტის წარდგენა, რომელიც შეიცავს ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოყენების შესახებ ზუსტ ცნობებს, რომლებიც აუცილებელია ჰონორარის შეგროვებისა და განაწილებისათვის.

მუხლი 65. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის უფლებები

ორგანიზაციას, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებ-

რიე უფლებებს, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების სახელით და მათ მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე უფლება აქვს:

ა) მოსარგებლეებთან შეათანხმოს ჰონორარის ოდენობა და ლიცენზიის სხვა პირობები;

ბ) გასცეს ლიცენზიები იმ უფლებათა გამოყენების შესახებ, რომლებსაც ის მართავს;

გ) მოსარგებლეებთან შეათანხმოს ჰონორარის ოდენობა, როდესაც იგი ჰონორარს აგროვებს ლიცენზიის გაცემის გარეშე ამ კანონის 51-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებითა და 21-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

დ) შეაგროვოს ლიცენზიით გათვალისწინებული ჰონორარი ან/და ჰონორარი, რომელიც განსაზღვრულია ამ მუხლის ,,გ" ქვეპუნქტით;

ე) გაანაწილოს და გადაუსადოს შესაბამისი ჰონორარი საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს;

ვ) განახორციელოს იურიდიული ქმედებანი, რომლებიც საჭიროა მისთვის სამართავად გადაცემული უფლებების დასაცავად;

ზ) განახორციელოს სხვა საქმიანობა საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 66. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მოვალეობები

1. იმ ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, უნდა განხორციელდეს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა იმ მფლობელების ინტერესების შესაბამისად, რომლებსაც ეს ორგანიზაცია წარმოადგენს. ამ მიზნით ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) შეგროვებული ჰონორარი გამოიყენოს მხოლოდ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებისათვის გასანაწილებლად და გადასახდელად. ამასთან, ორგანიზაციას უფლება აქვს ჰონორარიდან გამოქვითოს მის შეგროვებაზე, განაწილებასა და გადახდაზე დახარჯული თანხები და მის მიერ ამ უფლებების მფლობელთა გადაწყვეტილებით შექმნილ სპეციალურ ფონდებში გადარიცხული თანხები;

ბ) გაანაწილოს და გადაიხადოს ჰონორარი ამ მუხლის ,,ა" ქვეპუნქტში აღნიშნული თანხების გამოქვითვის შემდეგ, ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ფაქტობრივი გამოყენების პროპორციულად;

გ) ჰონორარის გადახდის დროს წარუდგინოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს ანგარიშები, რომლებიც უნდა შეიცავდეს ცნობებს მათი უფლებების გამოყენების შესახებ.

2. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს, რომლებმაც არ გადასცეს ორგანიზაციას ჰონორარის შეგროვებასთან დაკავში-

რებული უფლებები, უფლება აქვთ მოსთხოვონ ორგანიზაციას ჰონორარის გადახდა განხორციელებული განაწილების შესაბამისად და მათი ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამორიცხეა იმ ლიცენზიებიდან, რომლებსაც ეს ორგანიზაცია გასცემს მოსარგებლეებზე.

თავი XI
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 67. ამ კანონის ნორმათა გავრცელება ადრე წარმოშობილ ურთიერთობებზე

1. ეს კანონი ვრცელდება იმ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ.

2. იმ ნაწარმოებზე, რომელზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული საავტორო უფლების დაცვის 70-წლიანი ვადა, ვრცელდება ამ კანონის 31-32-ე მუხლებით გათვალისწინებული საავტორო უფლების მოქმედების ვადები.

3. იმ შესრულებაზე, რომელზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული 50 წელი მისი პირველი შესრულებიდან, ვრცელდება ამ კანონის 57-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემსრულებლის უფლების მოქმედების ვადა.

4. იმ ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული 50 წელი მათი პირველი მართლზომიერი გამოქვეყნებიდან ან შექმნიდან, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში ისინი არ ყოფილა გამოქვეყნებული, ვრცელდება ამ კანონის 57-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მომიჯნავე უფლების მოქმედების ვადა.

5. მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული 50 წელი მათი პირველი მართლზომიერი გამოქვეყნებიდან ან შექმნიდან, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში ისინი არ ყოფილა გამოქვეყნებული, ვრცელდება ამ კანონის 57-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მომიჯნავე უფლების მოქმედების ვადა.

თავი XII
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 68. ძალადაკარგული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონს.

მუხლი 69. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ

(მიღებულია 1999წლის 22 იუნისს)

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი აწესრიგებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის – ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის რეგისტრაციასთან, გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ინტეგრალური მიკროსქემა (შემდგომში – იმს) – ელექტრონული ფუნქციის შემსრულებელი ნაკეთობა დასრულებული ან შუალედური ფორმით, რომლის ელემენტები, რომელთაგან ერთი მაინც აქტიურია, და მათ შორის არსებული ზოგიერთი ან ყველა ურთიერთშეერთება განუყოფლადაა ფორმირებული ნაკეთობის მასალის მოცულობაში ან/და ზედაპირზე;

ბ) ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია (შემდგომში – ტოპოლოგია) – იმს-ის ელემენტთა, რომელთაგან ერთი მაინც აქტიურია, და მათ შორის არსებული ზოგიერთი ან ყველა ურთიერთშეერთების რაიმე სახით გამოსახული სამგანზომილებიანი განლაგება, ან იმს-ის წარმოებისათვის მომზადებული სამგანზომილებიანი განლაგება;

გ) მოწმობა ტოპოლოგიაზე (შემდგომში – მოწმობა) – ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული, ტოპოლოგიის მფლობელის სახელზე გაცემული და მისი განსაკუთრებული უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) განაცხადი – ტოპოლოგიის რეგისტრაციისათვის აუცილებელი საბუთების ერთობლიობა, რომელიც ფორმდება დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ე) "საქპატენტი" – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში სამართლებრივად უშრუნველყოფს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებს;

ვ) სააპელაციო პალატა – "საქპატენტთან" არსებული, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავის განმხილველი ორგანო.

მუხლი 3. განსაკუთრებული უფლების წარმოქმნა

1. ტოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლება წარმოიქმნება "საქპატენტში" მისი რეგისტრაციით.

2. რეგისტრირებული ტოპოლოგიის მფლობელის სახელზე გაიცემა მოწმობა.

მუხლი 4. განსაკუთრებული უფლების მოქმედების ვადა

ტოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლების მოქმედების ვადა შეადგენს 10 წელს "საქპატენტში" ტოპოლოგიის რეგისტრაციის თარიღიდან.

მუხლი 5. ტოპოლოგიის ორიგინალობა

1. ამ კანონის თანახმად რეგისტრირდება ორიგინალური ტოპოლოგია.

2. ტოპოლოგია ორიგინალურია, თუ ის შეიქმნა ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგად და არ იყო საყოველთაოდ ცნობილი შექმნის თარიღისათვის.

3. ტოპოლოგია, რომელიც შედგება მისი შექმნის თარიღისათვის ცნობილი ელემენტებისაგან, ითვლება ორიგინალურად, თუ წარმოადგენს ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგს და მთლიანობაში არ არის ცნობილი.

4. ტოპოლოგია ორიგინალურად ითვლება საპირისპიროს დამტკიცებამდე.

5. ტოპოლოგიის გამოყენება ტოპოლოგიის ავტორის მიერ (ან სხვა პირის მიერ, რომელსაც განაცხადის შეტანის თარიღისათვის მოწმობის მიღების უფლება აქვს), ან მესამე პირის მიერ, რომლისთვისაც აღნიშნული ტოპოლოგია ავტორისაგან პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით გახდა ხელმისაწვდომი, განაცხადის მიწოდების თარიღამდე 2 წლის განმავლობაში არ მოქმედებს ტოპოლოგიის ორიგინალობაზე. სხვა შემთხვევაში ტოპოლოგია არ მიიჩნევა ორიგინალურად.

მუხლი 6. ტოპოლოგიის ავტორი (თანაავტორი)

1. ტოპოლოგიის ავტორად (შემდგომში – ავტორი) მიიჩნევა ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგადაც შეიქმნა ტოპოლოგია.

2. თუ ტოპოლოგია შექმნილია რამდენიმე ფიზიკური პირის ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად, თითოეული მათგანი მიიჩნევა თანაავტორად.

3. ავტორს უფლება აქვს მოითხოვოს მოწმობაში მისი სახელის მითითება.

მუხლი 7. მოწმობის მიღების უფლება

1. მოწმობის მიღების უფლება აქვს ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს.

2. რამდენიმე პირის შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილ ტოპოლოგიაზე მოწმობის მიღების უფლება აქვს როგორც ყველა ავტორს ერთობლივად, ისე თითოეულ მათგანს დანარჩენი ავტორების მიერ მოწმობის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ან სპეციალური დავალებით შემუშავებულ ტოპოლოგიაზე მოწმობის მიღების უფლება ეკუთვნის სამუშაოს მიმცემს, თუ მას და მუშაკს შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. თუ მოწმობის მიღების უფლება სამუშაოს მიმცემს ეკუთვნის, მუშაკს უფლება აქვს, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სამუშაოს მიმცემისაგან მოითხოვოს დამატებითი ფარდი გასამრჯელო.

5. თუ ტოპოლოგია შექმნილია სახელმწიფო დაკვეთით ან ორგანიზაციათა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისას, მოწმობის მიღების უფლება განისაზღვრება შესაბამისად დაკვეთის ან ხელშეკრულების პირობით.

მუხლი 8. განსაკუთრებული უფლების ფარგლები და დარღვევა

1. ტოპოლოგიის მფლობელს აქვს განსაკუთრებული უფლება, თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ტოპოლოგია ან აკრძალოს მისი გამოყენება. ამასთან, განსაკუთრებული უფლება არ ვრცელდება ტოპოლოგიის ან მის საფუძველზე შექმნილი იმს-ის განხორციელების იდეაზე, ხერხზე, სისტემაზე, ტექნოლოგიაზე ან კოდირებულ ინფორმაციაზე.

2. ტოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლების დარღვევად მიიჩნევა შემდეგ ქმედებათა უნებართვო განხორციელება:

ა) მთლიანად ტოპოლოგიის ან მისი ნაწილის (გარდა იმ ნაწილისა, რომელიც არ არის ორიგინალური) ასლის გადაღება მის საფუძველზე იმს-ის შექმნის ან სხვა მიზნით;

ბ) ტოპოლოგიის ან მის საფუძველზე შექმნილი იმს-ის გამოყენება, იმპორტირება, გასაყიდად შეთავაზება, გაყიდვა ან სამეურნეო ბრუნვაში სხვაგვარად ჩართვა.

მუხლი 9. გამაფრთხილებელი აღნიშვნა

ტოპოლოგიის მფლობელს შეუძლია იმს-ზე ან მის შემცველ ნაკეთობაზე გამოსახოს სპეციალური გამაფრთხილებელი აღნიშვნა, რომელიც მოიცავს:

ა) წრეში ჩასმულ ასო "T"-ს;

ბ) ტოპოლოგიის რეგისტრაციის თარიღს;

გ) ტოპოლოგიის მფლობელის დასახელებას.

მუხლი 10. გამოყენება, რომელიც განსაკუთრებული უფლების დარღვევად არ მიიჩნევა

1. ტოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლების დარღვევად არ მიიჩნევა:

ა) ტოპოლოგიის, მის საფუძველზე შექმნილი იმს-ის ან ამ იმს-ის შემცველი ნაკეთობის გამოყენება პირადი მიზნებისათვის მოგების მიღების გარეშე, აგრეთვე ანალიზის, კვლევის ან სწავლების მიზნით;

ბ) ტოპოლოგიის მფლობელის მიერ ან მისი თანხმობით გაერცელებული ტოპოლოგიის საფუძველზე შექმნილი იმს-ის ან ამ იმს-ის შემცველი ნაკეთობის შემდგომი გავრცელება;

გ) ნებისმიერი ქმედება უნებართვოდ გამოერებული ტოპოლოგიის საფუძველზე შექმნილი იმს-ის მიმართ, აგრეთვე ამ იმს-ის შემცველი ნაკეთობის მიმართ, იმ შემთხვევებში, როდესაც პირმა ასეთ ქმედებათა განხორციელებისას არ იცოდა და იმს-ის ან ნაკეთობის შეძენისას არც შეიძლებოდა გარემოებათა გამო სცოდნოდა უნებართვოდ გამეორებული ტოპოლოგიის შესახებ. მას შემდეგ, რაც აღნიშნული პირი მიიღებს დასაბუთებულ შეტყობინებას ტოპოლოგიის უნებართვო გამოყენების შესახებ, მას შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი ქმედება არსებული მარაგის ან შეკვეთილი პროდუქციის მიმართ. ამასთან, იგი ვალდებულია ტოპოლოგიის მფლობელს აუნაზღაუროს გონივრული გასაშრჯელო, რომელიც გადახდილი იქნებოდა ასეთი ტოპოლოგიის გამოყენებაზე ლიცენზიის ნებაყოფლობით შეძენის შემთხვევაში.

2. ამ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ ქმედებათა განხორციელება არ მიიჩნევა ტოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლების დარღვევად შემდეგ შემთხვევებში:

ა) სხვა პირის მიერ ოფიციალურ ბიულეტენში რეგისტრირებული ტოპოლოგიის გამოქვეყნებამდე დამოუკიდებლად შემუშავებული იდენტური ორიგინალური ტოპოლოგიის გამოყენება;

ბ) სხვა პირის მიერ გაუმჯობესებული ტოპოლოგიის შექმნა ცნობილი ტოპოლოგიის გამოკვლევის საფუძველზე, თუ ახლად შექმნილი ტოპოლოგია აკმაყოფილებს ორიგინალობის მოთხოვნებს.

მუხლი 11. განაცხადი და მისი განსახილველად წარდგენა

1. განაცხადის "საქპატენტში" შეტანა ხდება უშუალოდ ავტორის ან მისი უფლებამონაცვლის (შემდგომში – განმცხადებლის) ან მათი წარმომადგენლის მიერ.

2. უცხო ქვეყნის პირები ან მათი წარმომადგენლები "საქპატენტთან" ურთიერთობას წარმართავენ "საქართველოს საპატენტო კანონის" 65-ე მუხლის შესაბამისად.

3. განაცხადი უნდა ეხებოდეს მხოლოდ ერთ ტოპოლოგიას.

4. განაცხადი უნდა შეიცავდეს:

ა) დადგენილი წესით შედგენილ განცხადებას ტოპოლოგიის რეგისტრაციის თაობაზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს: განმცხადებლის სრული სახელი (სახელწოდება), მისამართი და მიმოწერის მისამართი, ან წარმომადგენლის სრული სახელი და მისამართი, თუ განაცხადის შეტანა ხდება წარმომადგენლის მიერ;

ბ) ტოპოლოგიის სრულად ამსახველ მასალებს, რეფერატის ჩათვლით;

გ) განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასურის გადახდის დამადასტურებელ საბუთს;

დ) განმცხადებლის მიერ წარმომადგენლის სახელზე გაცემულ მინდობილობას, თუ განაცხადის შეტანა ხდება წარმომადგენლის მიერ.

5. განაცხადი "საქპატენტში" შეტანილად ითვლება იმ დღიდან, როდესაც წარდგენილია განცხადება ტოპოლოგიის რეგისტრაციის თაობაზე და ტოპოლოგიის სრულად ამსახველი მასალები, რეფერატის ჩათვლით.

მუხლი 12. განაცხადის განხილვა, გამოქვეყნება, მოწმობის გაცემა

1. "საქპატენტი" ატარებს განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, რის შედეგადაც გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება მოწმობის გაცემის თაობაზე.

2. "საქპატენტი" განაცხადის შეტანის თარიღს ადასტურებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასურის გადახდის შემთხვევაში.

3. თუ დადასტურდა, რომ განაცხადი აკმაყოფილებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, "საქპატენტი" იღებს გადაწყვეტილებას ტოპოლოგიის რეგისტრაციის შესახებ.

4. ტოპოლოგიის რეგისტრაციაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დადგენილი საფასურის გადახდის შემთხვევაში, "საქპატენტი" აწარმოებს ტოპოლოგიის რეგისტრაციას "ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიების რეესტრში", გასცემს მოწმობას და აქვეყნებს მონაცემებს "საქპატენტის" ოფიციალურ ბიულეტენში.

5. მონაცემების გამოქვეყნებამდე განმცხადებელს უფლება აქვს "საქპატენტის" მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით შეავსოს, დააზუსტოს და შეასწოროს განაცხადის მასალები.

6. განაცხადის განხილვისას "საქპატენტს" შეუძლია განმცხადებლისაგან მოითხოვოს დამატებითი მასალების წარდგენა და განაცხადში ცვლილებების შეტანა, რომელთა გარეშეც შეუძლებელია მისი განხილვა.

7. განაცხადის ექსპერტიზასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურები განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. საფასური

1. განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის, ტოპოლოგიის რეგისტრაციის, მოწმობის გაცემის, მონაცემების გამოქვეყნების, ძალაში შესანარჩუნებელი წლიური და სხვა იურიდიულად მნიშვნელოვანი ქმედებებისათვის გადაიხდება საფასური, რომლის ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. დასაშვებია საფასურის გადასინჯვა საერთაშორისო ნორმების, ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებისა და ინფლაციის გათვალისწინებით.

მუხლი 14. უფლებათა გადაცემა

1. ტოპოლოგიის მფლობელს შეუძლია ტოპოლოგიაზე გასაკეთებელ-ბული უფლებების გადაცემა.

2. ტოპოლოგიის მფლობელს უფლება აქვს გასცეს სხვა პირზე ლიცენ-ზია ტოპოლოგიის გამოყენებაზე. ლიცენზიის გაცემა და რეგისტრაცია ხორციელდება "საქართველოს საპატენტო კანონის" 59-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად.

3. დასაშვებია იძულებითი ლიცენზიის გაცემა ტოპოლოგიის გამოყენებაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი გამოყენება ნაკარნახევია სახელმწიფო არაკომერციული ინტერესებით ან განპირო-ბებულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღსაკვეთად მიმართული სასამართლო ან აღმინისტრაციული აქტით.

მუხლი 15. დავა

1. ტოპოლოგიის მფლობელს ან დაინტერესებულ პირს უფლება აქვს "საპატენტის" ან სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება გაასაჩივროს "საქართველოს საპატენტო კანონის" 68–69-ე მუხლების შესაბამისად.

2. ტოპოლოგიის მფლობელს განსაკუთრებული უფლებების დარღ-ვევასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს:

ა) იმ ქმედებათა შეწყვეტა, რომლებიც არღვევენ უფლებებს ან ქმნიან მათი დარღვევის საფრთხეს;

ბ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათ-ვლით;

გ) კომერციული მიზნით გამოყენებული ტოპოლოგიის საეუძველზე შექმნილი იმს-ის ჩამორთმევა ან განადგურება.

მუხლი 16. კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობა

უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირები სარგებლობენ ამ კანონით გათვალისწინებული უფლებებით საერთაშორისო ხელშეკრუ-ლებებისა და შეთანხმებების შესაბამისად ან ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე.

მუხლი 17. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 1999 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს კანონი
კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ

(მიღებულია 1999 წლის 23 ივლისს. 06/28/2000, 12/13/2000, 05/23/2001, 05/07/2002, 03/28/2003, 08/12/2003, 08/26/2993 ცვლილებებით და დამატებებით)

ეს კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ საფუძვლებს, კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებისა და საშუალებების ფლობის, მომსახურებისა და სარგებლობის სფეროში განსაზღვრავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს.

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შეტყობინება – ინფორმაციის ერთობლიობა, რომელსაც შეიცავს პროტოკოლი – ინფორმაციის გაცვლის (შესახვის) ფორმა და წესი და რომელიც კავშირგაბმულობის პროცესში გადაიცემა როგორც ერთი მთლიანობა;

ბ) საფოსტო გზავნილება – წერილობითი კორესპონდენცია, ფულადი გზავნილება, ამანათი, ბანდეროლი, ხელმოწერით პერიოდული გამოცემები;

გ) მაგისტრალური კავშირგაბმულობის ქსელი – ტექნოლოგიურად ურთიერთშეთანხმებული კავშირგაბმულობის საქალაქთაშორისო ქსელი, რომელიც შესაბამისი მოწყობილობებით, მართვის საშუალებებითა და კავშირგაბმულობის საგნებით (საჯარო და რადიო სარელეო) იქმნება აღმინისტრაციულ ცენტრებს შორის;

დ) აღგილობრივი კავშირგაბმულობის ქსელი – კონკრეტული აღმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული კავშირგაბმულობის ქსელი;

ე) კავშირგაბმულობისა და ფოსტის საშუალებები – კავშირგაბმულობის შეტყობინების ან საფოსტო გზავნილების ფორმირების, დამუშავების, გადაცემის ან მიღების მიზნით გამოყენებული ბუნებრივი და ტექნიკური საშუალებები;

ვ) ელექტროკავშირი (ტელეკომუნიკაცია) – კავშირგაბმულობის სფეროს ერთ–ერთი მიმართულება, რომელიც მოიცავს საჯარო, რადიო, რადიოსარელეო (სატელეფონო, მონაცემთა გადაცემის, სპეციალური დანიშნულების) და ტელერადიომაუწყებლობის ქსელებსა და საშუალებებს;

ო) ელექტროკავშირგაბმულობის ქსელი – ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სატელეფონო, სატელეგრაფო და მონაცემთა გადაცემას, დოკუმენტურ შეტყობინებას, ინფორმაციის ერთი ან რამდენიმე სახეობის გადაცემებს, აგრეთვე ტელე- და რადიომაუწყებლობას;

ს) ფოსტის ქსელი – ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საფოსტო გზავნილებების მიღებას, დამუშავებას, გადაზიდვასა და დატარებას, აგრეთვე ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს პერიოდული გამოცემების ექსპედირებასა და გავრცელებას;

ტ) ინფორმატიზაცია – მაქსიმალურად ხელსაყრელი ორგანიზაციული, სოციალურ–ეკონომიკური და სამეცნიერო–ტექნიკური პირობების შექმნის პროცესი, მოქალაქეების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების ინფორმაციული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და მათი უფლებების რეალიზაციისათვის საინფორმაციო რესურსების ფორმირებისა და გამოყენების საფუძველზე.

ჭ) ტელერადიომაუწყებლობა – ტელე- ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა საღგურების, საკაბელო ქსელის ან სიხშირული სპექტრის გამოყენებით ტელე- ან რადიოპროგრამების გავრცელება; *(7.05.2002 N 1388)*

მუხლი 2. კავშირგაბმულობისა და ფოსტის დანიშნულება

1. კავშირგაბმულობა და ფოსტა წარმოადგენს საქართველოს ეროვნული მეურნეობის ინფრასტრუქტურის შემადგენელ ერთიან კომპლექსს, რომელიც უზრუნველყოფს კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურებაზე ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

2. კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ქსელებისა და საშუალებების ერთიანობა ქმნის საზოგადოების ინფორმატიზაციის ტექნიკურ ბაზას.

3. კავშირგაბმულობისა და ფოსტის დანიშნულებაა კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელსაწყოსობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ფინანსირებების შექმნა. (13.12.2000).

თავი IV
კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ეკონომიკური საქმიანობის საფუძვლები

მუხლი 15. საიდუმლოების დაცვა კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში

1. საფოსტო მიმოწერა და კავშირგაბმულობის ქსელებით გადაცემული შეტყობინება არის მომხმარებლის საიდუმლო და მისი დაცვა

გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც კანონით განსაზღვრული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში დასაქმებული ყველა სამეურნეო სუბიექტი ვალდებულია დაიცვას გადაცემული ინფორმაციის საიდუმლოება. კავშირგაბმულობისა და ფოსტის მუშაკები და სხვა პირები, რომლებიც დაარღვევენ ინფორმაციის საიდუმლოებას, პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საფოსტო გზავნილებისა და კავშირგაბმულობის ქსელებით გადაცემული შეტყობინების შესახებ ინფორმაცია შეიძლება ეცნობოს მხოლოდ გამგზავნსა და მიმღებს ან მათ კანონიერ წარმომადგენელს.

4. საფოსტო გზავნილებისა და მათი გადასამიღი საშუალებების, დოკუმენტური კორესპონდენციების დროებითი შეჩერება, დათვალიერება, ამოღება და მათ შესახებ ცნობების მიღება დასაშვებია კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე საიდუმლოებათა სხვა შემზღუდველი დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის პრინციპები

1. საქართველოს ტერიტორიაზე საფოსტო გზავნილებისა და საგრანზიტო ფოსტის მოძრაობის თავისუფლება და დაცვა გარანტირებულია.

2. სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სათანადო დაწესებულებებთან შეთანხმებით აღგენს იმ გზავნილებათა ნუსხას, რომელთა საფოსტო კავშირის ქსელებით სახელმწიფოში შემოტანა ან სახელმწიფოდან გატანა აკრძალული ან შეზღუდულია (რაოდენობით, ვადებით ან სხვა პირობებით).

თავი V

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისია

მუხლი 28. კომისიის სხდომები. ინფორმაციის კონფიდენციალობა

1. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა. კომისიის სხდომა საჯაროა. კომისიის დადგენილება და გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. კომისიის ყველა დადგენილება, გადაწყვეტილება, კომისიის თავმჯდომარის ბრძანება, სხდომის საოქმო ჩანაწერი და სხვა დოკუმენტი საჯარო ინფორმაციაა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(26.08.2003 N 3066)*

2. კომისიაში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის

წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კომისია ვალდებულია დაინტერესებულ მხარეს აცნობოს კომისიის სხდომის ჩატარების შესახებ და მისცეს მას სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა. ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მიზნით კომისია უფლებამოსილია გამართოს დახურული სხდომა. კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე მიღებული დადგენილება და გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს.

თავი VI

ლიცენზირება, სერტიფიცირება და მეტროლოგიური ნორმების დაცვა კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში

მუხლი 35. სალიცენზიო რეესტრი

1. კომისია აწარმოებს სალიცენზიო რეესტრს. სალიცენზიო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს:

ა) მონაცემები ლიცენზიის მფლობელის შესახებ;

ბ) ლიცენზიის ნომერი და გაცემის თარიღი;

გ) ლიცენზიაში მითითებული საქმიანობა.

2. ნებისმიერ პირს უფლება აქვს გაეცნოს სალიცენზიო რეესტრში არსებულ მონაცემებს.

3. კომისიის წარდგინებით სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრში 10-დღიან ვადაში შეიტანება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები.

მუხლი 36. ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის სახეები და ლიცენზიის მოქმედების ვადა

1. ლიცენზია გაიცემა 10 წლის ვადით. თუ ლიცენზიის მფლობელს ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში არ დაურღვევია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, კომისიის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნები, მას კომისიის გადაწყვეტილებით ლიცენზიის მოქმედების ვადა უგრძელდება 10 წლით. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს და ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ლიცენზიის გაგრძელების მოსურნე სათანადო დადგენილ სალიცენზიო გადასახდელის საწყის ოდენობას. ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის გადახდის ვადას განსაზღვრავს კომისია. *(7.05.2002 N 1388)*

2. კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ლიცენზირებას ექვემდებარება:

ა) საფოსტო კავშირით მომსახურება:

ა.ა. ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო გზავნილებების მიღებით, გაგზავნით, გადამიდვით და დატარებით მომსახურება;

ბ) აღგილობრივი, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირებით, საკაბელო ტელერადიომაუწყებლობით, მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის ქსელით მომსახურება:

ბ.ა. აღგილობრივი სატელეფონო კავშირის სისტემით და ქსელით მომსახურება;

ბ.ბ. საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირებით მომსახურება;

ბ.გ. საკაბელო ტელერადიოსამაუწყებლო ქსელით მომსახურება;

ბ.დ. მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის საკაბელო ქსელით მომსახურება;

ბ.ე. ქსელის შიგნით და საერთაშორისო მაგისტრალების სიმეტრიული, კოაქსიალური და ბოჭკოვან-ოპტიკური მაგისტრალებით მომსახურება;

გ) თანამგზავრული ან/და საერთაშორისო სისტემებით მომსახურება:

გ.ა. ტელერადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისგელა სადგურებით მომსახურება;

გ.ბ. საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირებით მომსახურება თანამგზავრული სისტემის გამოყენებით;

გ.გ. მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის ქსელით მომსახურება თანამგზავრული სისტემის გამოყენებით;

დ) სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობა:

დ.ა. მოძრავი და ფიქსირებული რადიოსატელეფონო კავშირით საქმიანობა;

დ.ბ. მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის ქსელით მომსახურება რადიოსაშვების გამოყენებით;

დ.გ. პერსონალური რადიოგამოძახებითი კავშირით მომსახურება;

დ.დ. ფიქსური სატელეფონო კავშირით მომსახურება;

დ.ე. საეთერო ტელერადიომაუწყებლობა;

დ.ვ. მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის მიწისზედა ქსელით მომსახურება სიხშირეების გამოყენებით;

დ.ზ. პეიჯინგური სისტემით მომსახურება;

დ.თ. თრანქული სისტემით მომსახურება;

დ.ი. საჰაერო, სამღვარო და სახმელეთო სანავიგაციო სისტემებით მომსახურება.

3. კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე, გარდა ტელერადიომაუწყებლობისა, ღიცენზია გაიცემა კომერციული კონკურსის საფუძველზე.

4. კომერციული კონკურსის პირობაა კომისიისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობა, საინვესტიციო

ვალდებულება და სალიცენზიო გადასახდელის მაქსიმალური ოდენობის გადახდა.

5. კომისია განსაზღვრავს ტექნიკურ სტანდარტებს, საინფორმაციო ვალდებულების ოდენობას და განხორციელების ვადას, სალიცენზიო გადასახდელის საწყის ოდენობას კონკრეტულ სიხშირულ დიაპაზონში დაკავებული ბოლის სიგანისა და სიხშირული დიაპაზონის ტექნიკურ ეფექტიანობის გათვალისწინებით, კავშირის სახეობის სპეციფიკურობის, ქსელში გადამცემი საბაზრების რაოდენობის, გადამცემის გამოსასხივებელი სიმძლავრის, ქვეყნის კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის რაოდენობისა და ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით. *(13.12.2000) (7.05.2002 N 1388)*

მუხლი 36[1]. ლიცენზიის მიღების საფუძველი

1. ლიცენზიის მაძიებელი ლიცენზიის მისაღებად განცხადებით მიმართავს კომისიას.

2. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) ინდივიდუალური მეწარმისათვის - სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები;

ბ) იურიდიული პირისათვის - საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი;

გ) ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი.

3. განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

4. თუ ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის განხორციელება საჭიროებს სამშენებლო-საპროექტო სამუშაოების ჩატარებას და მეცნიერებას ახლენს საერთო სარგებლობის კავშირგაბმულობის ქსელის ან სხვა ოპერატორის ქსელის ფუნქციონირებაზე, აღამიანის ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივ გარემოზე, ლიცენზიის მაძიებელმა კომისიას ამ მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარუდგინოს სამშენებლო-ტექნიკური დოკუმენტაცია კომისიის მიერ დადგენილი წესით.(13.12.2000)

მუხლი 36[2]. ლიცენზიის კონკურსის საფუძველზე გაცემის წესი

1. სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე და კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე

ლიცენზიის გასაცემად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

2. კონკურსის გამოცხადების საფუძველი შეიძლება იყოს თავისუფალი რესურსის არსებობა ან ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიისათვის შესაბამისი განცხადების წარდგენა.

3. კონკურსის გამოცხადების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) გასაცემი ლიცენზიის ზუსტი დასახელება;

ბ) კონკურსის პირობები;

გ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა და გადახდის წესი;

დ) განცხადებათა მიღების დაწყებისა და დამთავრების, კონკურსის ჩატარების ვადები.

4. კომისია კონკურსის ჩატარების თარიღამდე სულ ცოტა 2 თვით ადრე უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას:

ა) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;

ბ) ინტერნეტის ქსელით.

5. გასავრცელებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს.

6. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვს იმ პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ამოწურავდა რესურსის სახეობის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება.

7. ლიცენზიის მაძიებელმა კომისიას ამ კანონის 36^1 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარუდგინოს სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში აღნიშნული თანხა უბრუნდება ლიცენზიის მაძიებელს კომისიისათვის განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს კონკურსის პირობების შესაბამისად. კომისია არ მიიღებს ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, თუ მის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ პუნქტში მითითებული დოკუმენტაცია, რაც ლიცენზიის მაძიებელს განემარტება განცხადების წარდგენისთანავე. დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებისა და დოკუმენტაციის საფოსტო გზავნილების სახით მიწოდება კომისიისათვის.

8. კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებათა მიღება მთავრდება კონკურსის პირობებით განსაზღვრულ დღეს და საათზე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადება არ მიიღება. განცხადების რეგისტრაციის თარიღი ითვლება მისი მიღების თარიღად.

9. კონკურსში მონაწილეს უფლება აქვს განცხადებაზე მიღების პერიოდში თქვას უარი კონკურსში მონაწილეობაზე. ამ შემთხვევაში კომისია ახდენს განცხადების გამოთხოვის რეგისტრაციას.

10. კონკურსში მონაწილის განცხადება არ მიიღება, თუ დარღვეულია ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები.

11. კონკურსის წესით ლიცენზიის გასაცემად კომისიის მიერ დაფიქსირებულ დღეს და საათზე იკრიბება ლიცენზიის ყველა მაძიებელი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

12. კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს კომისიის სხდომას.

13. კომისიის სხდომაზე დგინდება საჭირო დოკუმენტაციის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა.

14. კონკურსი ითვლება არშემდგარად და ფორმდება საბოლოო ოქმი, თუ:

ა) განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება;

ბ) წარდგენილი განცხადებებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს.

15. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

16. კომისიის სხდომა საჯაროა. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ინტერნეტის ქსელით.

17. კონკურსის შედეგების შესახებ კომისიის გადაწყვეტილების ასლი ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს. (13.12.2000)

თავი VI[1].

ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზირება

მუხლი 45[3]. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის სახეები

1. კომისია გასცემს ლიცენზიებს საერთო, სპეციალიმებულ და საგრანზიგო ტელერადიომაუწყებლობაზე.

2.საერთო, სპეციალიზებული და საგრანზიგო ტელერადიომაუწყებლობა ხორციელდება ტელერადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების, საკაბელო ქსელის ან სიხშირული სპექტრის გამოყენებით.

მუხლი 45[4]. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის წესი

1. კომისიის გადაწყვეტილება ტელერადიოსამაუწყებლო თანამგზავრული მიწისზედა სადგურებისა და საკაბელო ქსელის გამოყენებით ტელერადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ მიიღება

კომისიისათვის განცხადების წარდგენიდან 45 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო სიხშირული სპექტრის გამოყენებით ტელერადიომაუწყებლობაზე ლიცენზია გაიცემა კონკურსის საფუძველზე.

2. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირისათვის – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;

ბ) იურიდიული პირისათვის – საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები დამფუძნებლების შესახებ;

გ) ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

დ) სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმა;

ე) ტელერადიომაუწყებლობის გავრცელების საეარაუდო გეოგრაფიული ზონა;

ვ) ტელერადიომაუწყებლობის საეარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში;

ზ) ტელერადიოპროგრამების გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებები;

თ) ლიცენზიის მიღების შემთხვევაში განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია.

3. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ კანონის 36^1 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ უნდა გაიაროს ექსპერტიზა ამ კანონის 38-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი წესებით;

ბ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის – აგრეთვე პირადობის მოწმობის ასლი;

გ) საღებავების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

მუხლი 45^5. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის კონკურსის საფუძველზე გაცემის წესი

1. კომისია რადიოკავშირის საერთაშორისო რეგლამენტის შესაბამისად ადგენს მაუწყებლობის სიხშირეთა განაწილების გეგმას, რომლის საფუძველზედაც ხდება თავისუფალი სიხშირული რესურსის განსაზღვრა.

2. კომისია შეისწავლის საზოგადოებრივ აზრს და მისი გათვალის-

წინებით განსაზღვრავს ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს.

3. კომისია მაუწყებლობის სიხშირეთა განაწილების გეგმას და ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს აქვეყნებს ყოველი წლის 1 ოქტომბრამდე.

4. მაუწყებლობის სიხშირეთა განაწილების გეგმისა და ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების გამოქვეყნების შემდეგ კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის გამოცხადების შესახებ.

5. კონკურსის გამოცხადების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) გასაცემი ლიცენზიის ზუსტი დასახელება;

ბ) ტელერადიომაუწყებლობის სახე, თემატიკა, მინიმალური ხანგრძლივობა და გავრცელების გეოგრაფიული ზონა;

გ) ტექნიკური პარამეტრები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი პროექტი;

დ) გამარჯვებულისათვის თითოეული ასპექტის მიხედვით მისანიჭებელი ქულების რაოდენობა;

ე) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა და გადახდის წესი;

ვ) განცხადებათა მიღების დაწყებისა და დამთავრების, კონკურსის ჩატარების თარიღები.

6. კომისია კონკურსის ჩატარების თარიღამდე სულ ცოტა 2 თვით ადრე უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას:

ა) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;

ბ) ინტერნეტის ქსელით.

7. გაერცელებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს.

8. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვს ამ კანონის 45^2 მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტს.

9. კომისია კონკურსს ატარებს საჯარო სხდომაზე.

10. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება შემდეგი ასპექტების მიხედვით:

ა) ტექნიკური;

ბ) ფინანსური;

გ) პროგრამირების, მათ შორის, აღგილობრივი წარმოების პროდუქციის ოდენობა.

11. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვს პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ამოწურავი რესურსის სახეობის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება ლიცენზიით განსაზღვრულ სამოქმედო ზონაში.

12. ლიცენზიის მაძიებელმა კომისიას ამ კანონის 45^4 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარუდგინოს

სალიცენზიო გაღასახღელის საწყისი ოღენობის 10%-ის გაღახღის დამაღასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხაღების წარღგენიღან 10 სამუშაო ღღის ვაღაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალღებულია ღარჩენილი თანხა გაღაიხაღოს კონკურსის პირობების შესაბამისად. კომისია არ მიიღებს წარმოებაში ლიცენზიის მაძიებლის განცხაღებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, თუ მის მიერ არასრულყოფილაღაა წარმოღგენილი ამ კანონის 45^4 მუხლის მე-2 პუნქტში და 45^5 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული მონაცემები და ღოკუმენტაცია, რის თაობაზეც ლიცენზიის მაძიებელს განემარტება განცხაღების წარღგენისთანავე. ღაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხაღებისა და ღოკუმენტაციის კომისიისათვის საფოსტო გზავნილების სახით მიწოღება.

13. კონკურსში მონაწილეობაზე განცხაღებების მიღება მთავრღება კონკურსის პირობებით ღაწგენილ ღღეს ღა საათზე. ამ ვაღის გასვლის შემღეგ განცხაღებები არ მიიღება. განცხაღების მიღების თარიღაღ ითვლება მისი რეგისტრაციის თარიღი.

14. კონკურსში მონაწილეს უფლება აქვს განცხაღებების მიღების პერიოღში თქვას უარი კონკურსში მონაწილეობაზე. ამ შემთხვევაში კომისია ახღენს განცხაღების გამოთხოვის რეგისტრაციას.

15. კომისია წარმოღგენილ განცხაღებებს აფასებს ამ მუხლის მე-10 პუნქტში აღნიშნული თითოეული ასპექტის მისაღვით. ტექნიკური ასპექტის შეფასებისას კომისია პრიორიტეტს ანიჭებს ლიცენზიის მაძიებლის მიერ თანამეღროვე ტექნოლოგიების გამოყენების პირობას; ფინანსური ასპექტის შეფასებისას კომისია ხელმძღვანელობს სამაფწყებლო საქმიანობის ღოკუმენტურაღ ღასაბუთებული ღაფინანსების ეგემით; პროგრამირების ასპექტის შეფასებისას კომისია ითვაღისწინებს სამაფწყებლო კონცეფციის მის მიერ გამოცხაღებულ პრიორიტეტებთან შესაბამისობას ღა მასში აღგილობრივი წარმოების პროღუქციის ოღენობას.

16. კომისია გამარჯვებულს თითოეული ასპექტის მიხეღვით ანიჭებს შესაბამის ქულას. გამარჯვებულაღ ცხაღღება კონკურსის ის მონაწილე, რომელიც ღააგროვებს ქულების მაქსიმალურ რაოღენობას, ხოლო თუ რამღენიმე მონაწილის ქულების ოღენობა თანაბარია, – ის პირი, რომელიც გაღაიხღის სალიცენზიო გაღასახღელის მაქსიმალურ ოღენობას.

მუხლი 45^6. ლიცენზიის მაძიებლის განცხაღების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი

კომისია წარმოებაში არ მიიღებს ლიცენზიის მაძიებლის განცხაღებას, თუ:

ა) ლიცენზიის მაძიებლის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;

ბ) განცხადება წარმოადგინა ამ კანონის 45^2 მუხლით გათვალისწინებულმა სუბიექტმა.

თავი IX
კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურება

მუხლი 50. მომსახურების საფუძვლები

1. მომხმარებელს აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებით და საშუალებებით მომსახურების სახეობაზე. ოპერატორსა და მომხმარებელს შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში ურთიერთობა რეგულირდება ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სამინისტროს უფლება აქვს გარკვეული სახის შეტყობინებისა და საფოსტო გზავნილების მიღებასა და გადაცემაზე დააწესოს აკრძალვები ან დროებითი შეზღუდვები.

მუხლი 51. მომსახურების ხარისხი და მომხმარებელთა უფლებების დაცვა

1. კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში მომსახურების გაწევის წესებს აწესებს კომისია. *(7.05.2002 N 1388)*

2. აკრძალულია მომსახურების გაწევა კავშირგაბმულობისა და ფოსტის იმ ქსელებითა და საშუალებებით, რომელთა შესაბამისობა დაწესებულ მოთხოვნებთან არ არის დადასტურებული სერტიფიკატით.

3. კავშირგაბმულობის ოპერატორი ვალდებულია მომსახურების გაწევის თვის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე მიაწოდოს მომხმარებელს ანგარიში გასულ საანგარიშო თვეს მის ან/და სხვა ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურების სახის, საფასურის, მისი გადახდის ვადისა და საბანკო ანგარიშის (ანგარიშების) მითითებით, მომხმარებლის ტექნიკური საშუალების განთავსების მისამართზე. ანგარიშის ტიპურ ფორმას აწესებს კომისია საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით.

4. კავშირგაბმულობის ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს მომხმარებელი დავალიანების შესახებ უფასო საინფორმაციო მომსახურებით, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – შესაბამისი ანგარიშით.

5. კავშირგაბმულობის ოპერატორთან მომხმარებლის ანგარიშსწორება ხორციელდება მიღებული ანგარიშის საფუძველზე, საბანკო ქსელის მეშვეობით, არა უგვიანეს შესაბამისი თვის ბოლო რიცხვისა.

6. მომხმარებლისათვის მომსახურების შეზღუდვა ან შეწყვეტა ხდება კავშირგაბმულობის ოპერატორსა და მომხმარებელს შორის მომსახუ-

რების გაწყვეის შესახებ ხელშეკრულებისა და კავშირგაბმულობის ოპერატორებს შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, მომხმარებლის წინასწარი გაფრთხილებიდან (სატელეფონო შეტყობინებიდან) არა უადრეს 3 სამუშაო დღისა. მომსახურების შეზღუდვა ან შეწყვეტა ხდება მხოლოდ ამ მომსახურების განმახორციელებელი კავშირგაბმულობის ოპერატორის მიერ. *(26.08.2003 N 3066)*

მუხლი 52. კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ურთიერთობის ენა

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში სამსახურებრივ საქმეთა წარმოების, ოპერატიული მართვისა და მომსახურების პროცესში ურთიერთობის ენა არის საქართველოს სახელმწიფო ენა – ქართული, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური.

მუხლი 53. პასუხისმგებლობა კანონმდებლობის დარღვევისათვის

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების დებულებათა დარღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ეკისრებათ ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ

(მიღებულია 2001 წლის 22 ივნისს)

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს კანონმდებლობა მუზეუმების შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა მუზეუმების შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „კულტურის შესახებ" და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონებისა და ამ კანონისაგან, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისაგან.

მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. ამ კანონის ძირითადი მიზნებია საქართველოს სამუზეუმო საქმიანობის სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება და საქართველოს სამუზეუმო ფონდის დაცვა.

2. ამ კანონის ძირითადი ამოცანებია:

ა) სამუზეუმო საქმიანობისა და მუზეუმებით სარგებლობის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა;

ბ) სამუზეუმო საქმიანობაში სახელმწიფო გარანტიების უზრუნველყოფა;

გ) საქართველოს მუზეუმების სისტემის მართვისა და დაფინანსების პრინციპების განსაზღვრა;

დ) მუზეუმების კატეგორიების განსაზღვრა;

ე) სამუზეუმო საქმიანობაში არასახელმწიფო სექტორის ლეგიტიმაცია;

ვ) სამუზეუმო საქმიანობაში მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ძირითადი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა.

მუხლი 3. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მუზეუმებზე, განურჩევლად მათი კუთვნილებისა.

მუხლი 4. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მუზეუმი – კანონით დადგენილი წესით შექმნილი (დაფუძნებული) ან/და რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომლის მიზანია საგანმანათლებლო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, დაცვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია;

ბ) ისტორიული მუზეუმი – მუზეუმი, სადაც დაცულია საზოგადოებისა

და სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებასთან, აგრეთვე ცალკეული მხარის ისტორიასთან დაკავშირებული მასალები;

გ) საბუნებისმეტყველო მუზეუმი – მუზეუმი, სადაც დაცულია ბუნების მოვლენების, აღამიანისა და ბუნების ურთიერთმოქმედების ამსახველი მასალები, აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებასთან დაკავშირებული მასალები;

დ) მემორიალური მუზეუმი – მუზეუმი, სადაც დაცულია ისტორიულ პირთან დაკავშირებული მასალები ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული მოვლენის ამსახველი მასალები;

ე) ხელოვნების მუზეუმი – მუზეუმი, სადაც დაცულია ხელოვნების სხვადასხვა დარგის ისტორიისა და თანამედროვე ხელოვნების ამსახველი მასალები;

ვ) ლიტერატურული მუზეუმი – მუზეუმი, სადაც დაცულია ლიტერატურის ისტორიისა და თანამედროვე ლიტერატურის ამსახველი მასალები;

ზ) მუზეუმის ფონდი – მუზეუმში დაცული ექსპონატებისა და კოლექციების ერთობლიობა;

თ) სამუზეუმო ნივთი – მუზეუმის ფონდში დაცული კულტურული ფასეულობა, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლი, კულტურის უძრავი ძეგლის ფრაგმენტული ნაწილი ან კულტურის ძეგლის ნიშნის მქონე ანტიკვარული საგანი;

ი) სამუზეუმო ექსპონატი – დადგენილი წესით აღრიცხული სამუზეუმო ნივთი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამუზეუმო ექსპონატის სტატუსი;

კ) სამუზეუმო კოლექცია – რაიმე საერთო ნიშნით ერთმანეთთან დაკავშირებული ნივთების ერთობლიობა, რომელიც შეადგენს მუზეუმის ფონდის ნაწილს;

ლ) სამუზეუმო საქმიანობა – მუზეუმთან დაკავშირებული საკანონმდებლო და საფინანსო-ეკონომიკური, შეგროვებითი, საფონდო, სარესტავრაციო, სამეცნიერო-კვლევითი, კულტურულ-საგანმანათლებლო და საექსპოზიციო საქმიანობა;

მ) საქართველოს მუზეუმების სისტემა – საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და არასახელმწიფო მუზეუმების ერთობლიობა;

ნ) საქართველოს სამუზეუმო ფონდი – საქართველოს მუზეუმებში დაცული ფონდების ერთობლიობა;

ო) საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო ნაწილი – სახელმწიფო და აღგილობრივ მუზეუმებში აღრიცხული და დაცული სამუზეუმო ექსპონატებისა და კოლექციების ერთობლიობა;

პ) საქართველოს სამუზეუმო ფონდის არასახელმწიფო ნაწილი – არასახელმწიფო და შერეული საკუთრების ფორმის მუზეუმების საკუთრებაში არსებული, აღრიცხული და დაცული სამუზეუმო ექსპონატებისა და კოლექციების ერთობლიობა;

ქ) მუზეუმის საინვენტარო წიგნი – დადგენილი წესით შედგენილი სააღრიცხვო დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია ძირითადი მონაცემები თითოეულ სამუზეუმო ექსპონატსა და კოლექციაზე;

რ) სამუზეუმო ექსპოზიცია – გარკვეული სისტემით ექსპონირებული მუზეუმის ფონდის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია დამთვალიერებლისათვის.

თავი II

სამუზეუმო საქმიანობის ორგანიზება

მუხლი 5. სამუზეუმო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება

1. სამუზეუმო საქმიანობისა და მუზეუმების უფლებების დაცვის გარანტი, განურჩევლად მათი კუთვნილებისა, არის სახელმწიფო.

2. სამუზეუმო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებასა და კონტროლს ახორციელებენ საქართველოს კულტურის სამინისტრო, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო (შემდგომში – საბჭო), საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

მუხლი 6. მუზეუმის კატეგორიები

თავისი მნიშვნელობისა და სამოღვაწეო არეალის მიხედვით მუზეუმები, განურჩევლად მათი კუთვნილებისა, იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ა) სახელმწიფო (ეროვნული);

ბ) ადგილობრივი.

მუხლი 7. მუზეუმისათვის კატეგორიის მინიჭება

1. მუზეუმს სახელმწიფო (ეროვნულ) კატეგორიას საქართველოს კულტურის სამინისტროს წარდგინებით და საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი.

2. მუზეუმს ადგილობრივ კატეგორიას ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს წარდგინებით ან მუზეუმის მესაკუთრის განცხადებით ანიჭებს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

მუხლი 8. მუზეუმის ტიპები

მუზეუმი თავისი საქმიანობის მიმართულებით შეიძლება იყოს:

ა) ისტორიული;

ბ) საბუნებისმეტყველო;

გ) მემორიალური;

დ) ხელოვნების;

ე) ლიტერატურული.

მუხლი 9. მუზეუმის შექმნა (დაფუძნება) და მუზეუმის შემქმნელის (დამფუძნებლის) უფლებები

1. მუზეუმი იქმნება სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებით და საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. არასახელმწიფო და შერეული საკუთრების ფორმის მუზეუმები ფუძნდება ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. მუზეუმის შემქმნელის (დამფუძნებლის) უფლებები განისაზღვრება მის მიერ შექმნილი (დაფუძნებული) მუზეუმის დებულებით (წესდებით) ან/და მუზეუმის შემქმნელსა (დამფუძნებელსა) და საქართველოს კულტურის სამინისტროს შორის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულების ფორმას ადგენს და ამტკიცებს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

მუხლი 10. მუზეუმის რეგისტრაცია და მუზეუმების სახელმწიფო რეესტრში აღრიცხვა

1. მუზეუმი ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის შესაბამისად იურიდიული პირის სტატუსს იძენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირების მომენტიდან.

2. საქართველოში არსებულ და ახალშექმნილ მუზეუმებს საქართველოს კულტურის სამინისტრო აღრიცხავს მუზეუმების სახელმწიფო რეესტრში.

3. აღნიშნულობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები აღრიცხავენ მათ ტერიტორიაზე არსებულ მუზეუმებს.

მუხლი 11. მუზეუმის შექმნისათვის (დაფუძნებისათვის) საჭირო პირობები

1. სახელმწიფო მუზეუმის შექმნისათვის (დაფუძნებისათვის) აუცილებელია ფართობი, მუზეუმში დაცული ექსპონატების შესანახად ვარგისი შენობა, სამუზეუმო ექსპოზიციისა და საქმიანობისათვის საჭირო სახსრები.

2. მუზეუმის შემქმნელი (დამფუძნებელი) წერილობით აცნობებს საქართველოს კულტურის სამინისტროს მუზეუმის შექმნის (დაფუძნების) მიზანს, მის ტიპს, სახელწოდებასა და ადგილმდებარეობას.

მუხლი 12. სახელმწიფო და არასახელმწიფო მუზეუმების რეორგანიზაცია

1. სახელმწიფო მუზეუმის რეორგანიზაცია ხორციელდება შემქმნელის (დამფუძნებლის) გადაწყვეტილებით და საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. რეორგანიზაციით სახელმწიფო მუზეუმისთვის საქმიანობის მიმართულების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

3. არასახელმწიფო მუზეუმის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. სახელმწიფო და არასახელმწიფო მუზეუმების ლიკვიდაცია

1. სახელმწიფო მუზეუმის ლიკვიდაცია ხორციელდება შემქმნელის (დამფუძნებლის) გადაწყვეტილებით და საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ლიკვიდირებული სახელმწიფო მუზეუმის ფონდი გადაეცემა მხოლოდ სახელმწიფო მუზეუმს.

3. ლიკვიდირებული ადგილობრივი მუზეუმის ფონდი გადაეცემა ადგილობრივ ან სახელმწიფო მუზეუმს.

4. ლიკვიდირებული სახელმწიფო მუზეუმის ქონება, გარდა მისი ფონდისა, გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. არასახელმწიფო მუზეუმის ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ლიკვიდირებული არასახელმწიფო მუზეუმის გასაყიდად გამოტანილ ფასეულობათა შესყიდვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ სახელმწიფო მუზეუმები.

მუხლი 14. სახელმწიფო ორგანოთა უფლება-მოვალეობები სამუზეუმო საქმიანობის მართვაში

1. საქართველოს კულტურის სამინისტრო და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ სამუზეუმო საქმიანობის მართვას.

2. საქართველოს კულტურის სამინისტროს ფუნქციებია:

ა) სახელმწიფო სამუზეუმო პოლიტიკის გატარება;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან მუშაობის კოორდინაცია სამუზეუმო საქმიანობის მართვაში;

გ) სახელმწიფო მუზეუმების დაფინანსება დაღგენილი წესით;

დ) სამუზეუმო საქმიანობის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა ან/და კანონპროექტების შემუშავება;

ე) საინფორმაციო ბანკის შექმნა;

ვ) მუზეუმის ფონდის მდგომარეობისა და აღრიცხვის შემოწმება;

ზ) საქართველოს კულტურისათვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი და სარესტავრაციო პროგრამების დაფინანსება დადგენილი წესით;

თ) სამუზეუმო საქმის სპეციალისტებისა და რესტავრატორების მომზადებისათვის ხელის შეწყობა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება;

ი) სამუზეუმო საქმიანობაში საერთაშორისო კონვენციების, ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულების კონტროლი;

კ) სახელმწიფო მუზეუმის ფონდების შესავსებად სამუზეუმო ნივთების შესყიდვა;

ლ) სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება.

3. სამუზეუმო ნივთებისა და კოლექციების მდგომარეობის, დაცულობისა და აღრიცხვიანობის, აგრეთვე ზოგადი სამუზეუმო წესების დაცვის შემოწმების მიზნით საქართველოს კულტურის სამინისტრო დადგენილი წესით აკონტროლებს არასახელმწიფო მუზეუმებს.

4. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია კანონით დადგენილ უფლებამოსილებათა ფარგლებში მართავს მის დაქვემდებარებაში მყოფ მუზეუმებს და უზრუნველყოფს მათ გამართულ საქმიანობას.

5. სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დახმარებას უწევენ არასახელმწიფო მუზეუმებს.

მუხლი 15. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა უფლება-მოვალეობები სამუზეუმო საქმიანობის მართვაში

ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები:

ა) აფინანსებენ და აკონტროლებენ მათ დაქვემდებარებაში მყოფ მუზეუმებს;

ბ) საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი მუზეუმების დირექტორებს;

გ) კოორდინაციას უწევენ მათ ტერიტორიაზე არსებული მუზეუმების საქმიანობას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დახმარებას უწევენ არასახელმწიფო მუზეუმებს.

მუხლი 16. მუზეუმით სარგებლობა

1. მუზეუმში ექსპონირებული ნივთებისა და კოლექციების სანახავად დაიშვება ყველა მოქალაქე.

2. მუზეუმის ექსპოზიცია ღია უნდა იყოს ყველა კატეგორიის დამთვალიერებლისათვის მოსასერხებელ საათებში.

3. მუზეუმის საცავებში (დეპოზიტარიუმებში) დაცული სამუზეუმო ექსპონატებით სარგებლობის წესი განისაზღვრება მუზეუმის დებულებით (წესდებით).

4. მუზეუმის მესაკუთრეს ან მფლობელს უფლება აქვს შეზღუდოს მუზეუმის ფონდში დაცულ ექსპონატებთან დაშვება მათი დაცულობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის, რესტავრაციის ან საცავებში (დეპოზიტარიუმებში) მოთავსების გამო.

თავი III

სახელმწიფო და არასახელმწიფო მუზეუმების უფლება-მოვალეობები

მუხლი 17. სახელმწიფო და არასახელმწიფო მუზეუმების უფლებები

1. სახელმწიფო მუზეუმს, მიუხედავად მისი დაქვემდებარებისა, უფლება აქვს:

ა) განახორციელოს მუზეუმში დაცული ექსპონატების პირველი პუბლიკაცია;

ბ) საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით მისცეს თანხმობა სხვადასხვა სახის ბეჭდვით პროდუქციაზე, აგრეთვე სუვენირებსა და ფართო მოხმარების საგნებზე სამუზეუმო ექსპონატების, მუზეუმის შენობის და მის ტერიტორიაზე არსებული სხვა ობიექტების სიმბოლოებად გამოყენებაზე;

გ) დაამშვიდოს მუზეუმის ფონდში დაცული ექსპონატების ასლები და გამოიყენოს ისინი დაღგენილი წესით;

დ) საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით განახორციელოს მუზეუმისათვის აუცილებელი ეკონომიკური საქმიანობა.

2. არასახელმწიფო მუზეუმს უფლება აქვს:

ა) თავისი კუთვნილი სამუზეუმო ექსპონატის კატალოგში შეტანისას ან სხვა სახით პუბლიკაციისას მოითხოვოს მესაკუთრის ვინაობის მითითება;

ბ) მოითხოვოს თავისი კუთვნილი სამუზეუმო ექსპონატის რესტავრაცია სახელმწიფო სარესტავრაციო დაწესებულების მიერ, სათანადო ანაზღაურებით;

გ) საჭიროების შემთხვევაში თავისი კუთვნილი ექსპონატი შესანახად გადასცეს სახელმწიფო მუზეუმს სათანადო დოკუმენტაციის გაფორმებით;

დ) მოითხოვოს თავის საკუთრებაში არსებული, სახელმწიფო რესტრში შეტანილი სამუზეუმო ექსპონატის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა.

მუხლი 18. სახელმწიფო მუზეუმის მოვალეობები

სახელმწიფო მუზეუმი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) სამუზეუმო ექსპონატების ყოველმხრივი დაცვა:

ბ) მუზეუმის ფონდის აღრიცხვა და სისტემატიზაცია;

გ) სამუზეუმო ექსპონატების პუბლიკაცია;

დ) სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება;

ე) სამუზეუმო ექსპოზიციების და მუზეუმის ფონდების ბაზაზე მასობრივი სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება.

მუხლი 19. არასახელმწიფო მუზეუმის მოვალეობები

1. არასახელმწიფო მუზეუმი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს თავისი კუთვნილი სამუზეუმო ექსპონატების ყოველმხრივი დაცვა;

ბ) უზრუნველყოს სამუზეუმო ექსპონატებთან სამუზეუმო საქმის სპეციალისტების დაშვება მათი მდგომარეობის შემოწმების მიზნით;

გ) სახელმწიფო რეესტრში შესაბანად წარმოადგინოს სრული ინფორმაცია სამუზეუმო ექსპონატის შესახებ;

დ) დადგენილ ვადებში აცნობოს საქართველოს კულტურის სამინისტროს სამუზეუმო ექსპონატის გასხვისება;

ე) უზრუნველყოს სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება.

2. მუზეუმის ფონდში შეტანილი ექსპონატის გადაცემისას ან რაიმე სხვა ფორმით გასხვისებისას ექსპონატის მიმღები კისრულობს მოვალეობას პატრონობასთან დაკავშირებულ ყველა ვალდებულებას, რომელიც ჰქონდა ექსპონატის მესაკუთრეს.

თავი IV

სამუზეუმო ექსპონატის დაცვის უზრუნველყოფა

მუხლი 20. სამუზეუმო ექსპონატის დაცვა

1. სამუზეუმო ექსპონატის დაცვა ხორციელდება „საქართველოს სამუზეუმო ფონდის აღრიცხვისა და დაცვის შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

2. სამუზეუმო ექსპონატი უნდა ინახებოდეს და გამოიფინებოდეს სათანადოდ აღჭურვილ შენობაში, სამუზეუმო საცავში ტემპერატურის, ტენიანობის თუ სხვა აუცილებელი რეჟიმის დაცვით.

მუხლი 21. სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია

1. სამუზეუმო ექსპონატის რესტავრაცია ხორციელდება იმ მუზეუმში, რომელშიც არსებობს სარესტაერაციო განყოფილება, ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებულ სპეციალურ სარესტაერაციო ცენტრებში.

2. სამუზეუმო ექსპონატის რესტაერაციის უფლება აქვთ მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატის მქონე რესტაერატორებს.

მუხლი 22. სამუზეუმო ექსპონატის აღრიცხვა

1. სამუზეუმო ექსპონატი აღირიცხება დადგენილი წესით.

2.სამუზეუმო ექსპონატი არ ექვემდებარება საბუღალტრო აღრიცხვას.

3. მუზეუმის ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტაციაა:

ა) ძირითად შემოსულობათა საინვენტარო წიგნი;

ბ) მუზეუმის საინვენტარო წიგნი;

გ) სამეცნიერო-დამხმარე წიგნი;

დ) დროებით შემოსულობათა საინვენტარო წიგნი;

ე) ძვირფასეულობის შემცველი სამუზეუმო ექსპონატის აღრიცხვის სპეციალური წიგნი;

ვ) სამუზეუმო ექსპონატის მიღება-ჩაბარების აქტი;

ზ) სამუზეუმო ექსპონატის სამეცნიერო პასპორტი.

4. მუზეუმის ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმებს ამტკიცებს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

5. მუზეუმის ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის განაღგურება ან გაყალბება ისჯება კანონით.

6. მუზეუმის ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის გარდა მუზეუმში არსებობს დამატებით სამუშაოთა დოკუმენტაცია, მათ შორის:

ა) სამუზეუმო ნივთის შესყიდვის დეტალური აღრიცხვის დოკუმენტი;

ბ) სამეცნიერო მასალა – კატალოგები, ბიბლიოგრაფია, სამეცნიერო-კვლევითი მასალა და სხვა;

გ) საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია სამუზეუმო სამუშაოთა წარმართვის შესახებ.

თავი V
საქართველოს სამუზეუმო ფონდი

მუხლი 23. საქართველოს სამუზეუმო ფონდი

1. საქართველოს სამუზეუმო ფონდი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია.

2. საქართველოს სამუზეუმო ფონდზე საკუთრების უფლება განისაზღვრება ამ კანონით.

მუხლი 24. სამუზეუმო ნივთისა და კოლექციის აღრიცხვა საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრში და მათი რეესტრიდან ამორიცხვა

1. სამუზეუმო ნივთი და კოლექცია ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო აღრიცხვას (სახელმწიფო რეესტრში შეტანას), განურჩევლად მათი საკუთრებისა.

2. საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრი არის საქართველოს სამუზეუმო ფონდის სააღრიცხვო დოკუმენტი.

3. სამუზეუმო ნივთსა და კოლექციას საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრში აღრიცხავს საქართველოს კულტურის სამინისტრო საბჭოს დასკვნის საფუძველზე.

4. სამუზეუმო ნივთისა და კოლექციის საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრიდან ამორიცხვა ხორციელდება დადგენილი წესით, საქართველოს კულტურის სამინისტროს დასკვნის საფუძველზე.

5. სამუზეუმო ნივთი ან კოლექცია საქართველოს სამუზეუმო ფონდში ჩარიცხულად ითვლება საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრში შეტანისთანავე.

6. საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრის ფორმის შედგენის, შენახვისა და გამოყენების წესს ადგენს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

7. საქართველოს სამუზეუმო ფონდში შეტანილ ნივთთან და კოლექციასთან დაკავშირებული ყველა ცვლილება აღნიშნული უნდა იყოს საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრში.

მუხლი 25. საქართველოს სამუზეუმო ფონდში შეტანილი ნივთის საზღვარგარეთ გატანა და საქართველოში შემოტანა

საქართველოს სამუზეუმო ფონდში შეტანილი ნივთის საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის წესს არეგულირებს საქართველოს კანონი „კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ".

მუხლი 26. სამუზეუმო ნივთისა და კოლექციის გასხვისება

1. საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო ნაწილში შესული სამუზეუმო ნივთი და კოლექცია გასხვისებას არ ექვემდებარება.

2. დასაშვებია სახელმწიფო მუზეუმებს შორის სამუზეუმო ექსპონატების გაცვლა მუზეუმის ფონდის შევსების მიზნით.

3. საქართველოს სამუზეუმო ფონდში შეტანილი კოლექცია განუყოფელია.

4. საქართველოს სამუზეუმო ფონდის არასახელმწიფო ნაწილში ჩარიცხული სამუზეუმო ნივთისა და კოლექციის ყიდვა-გაყიდვისას, ანდერძით გადაცემისას ან რაიმე სხვა ფორმით გასხვისებისას ნივთისა და კოლექციის მიმღები კისრულობს მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ ყველა ვალდებულებას. ასეთი სამუზეუმო ნივთი ან კოლექცია, თუ იგი სახელმწიფოს მიერ შეგანილია დაცვით სიებსა და საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრში, საქართველოდან გატანას არ ექვემდებარება.

5. სამუზეუმო ნივთისა და კოლექციის გაყიდვის შემთხვევაში სახელმწიფო მუზეუმს აქვს შესყიდვის უპირატესი უფლება.

თავი VI
მუზეუმის ქონება

მუხლი 27. მუზეუმის ქონება

1. მუზეუმის ქონებას შეადგენს მუზეუმში დაცული ექსპონატები, მისი შენობები და სხვა უძრავი ობიექტები, მიწის ნაკვეთი, მოძრავი ქონება და ფინანსური რესურსები.

2. სახელმწიფო მუზეუმი სარგებლობს და მართავს თავის კუთვნილ უძრავ ქონებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სახელმწიფო მუზეუმის გასახლება მის მიერ დაკავებული შენობიდან აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას სთავაზობენ საქმიანობისათვის უკეთეს შენობას.

4. არასახელმწიფო მუზეუმის ქონებით (გარდა სამუზეუმო ექსპონატებისა) სარგებლობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 28. მუზეუმის დაფინანსება

1. მუზეუმი ფინანსდება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

ბ) მუზეუმის მესაკუთრის სახსრებიდან;

გ) სპეციალურად შექმნილი ფონდებიდან;

დ) საერთაშორისო ორგანიზაციების ფონდებისა და პროგრამების გრანტებიდან;

ე) შემოწირულობებიდან;

ვ) უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გადაცემული სახსრებიდან;

ზ) ყველა იმ შემოსავლიდან, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

2. სახელმწიფო მუზეუმი, მისი კატეგორიის შესაბამისად, ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა სახსრები ადგილობრივი მუზეუმის დასაფინანსებლად.

3. სამუზეუმო საქმიანობაში საგადასახადო და სხვა სახის შეღავათები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 29. სამუზეუმო ნივთებისა და კოლექციების დაზღვევა

სამუზეუმო ნივთებისა და კოლექციების დაზღვევა სრულდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VII

პასუხისმგებლობა სამუზეუმო საქმიანობაში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 30. პასუხისმგებლობა სამუზეუმო საქმიანობაში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის

პასუხისმგებლობა სამუზეუმო საქმიანობაში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი VIII

საქართველოს მუზეუმების უფლებამოსილებანი საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში

მუხლი 31. საქართველოს მუზეუმების უფლებამოსილებანი საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში

1. საქართველოს მუზეუმები უფლებამოსილნი არიან გაწევრიანდნენ საერთაშორისო სამუზეუმო ორგანიზაციებში, ითანამშრომლონ უცხო ქვეყნის მუზეუმებთან და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო სამუზეუმო პროგრამებში.

2. საქართველოს მუზეუმების საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, ამ კანონის და ამ მუზეუმების დებულებების (წესდებების) შესაბამისად.

თავი IX

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 32. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები

ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს საქართველოს კულტურის მინისტრის შემდეგი ბრძანებები:

ა) „სახელმწიფო (ეროვნული) მუზეუმების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე;

ბ) „ადგილობრივი მუზეუმების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე;

გ) „არასახელმწიფო მუზეუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე;"

დ) „საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრის ფორმის შეღების, შენახვისა და გამოყენების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე;

ე) „საქართველოს სამუზეუმო ფონდის აღრიცხვისა და დაცვის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

ვ) „საქართველოს სამუზეუმო ფონდის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

მუხლი 33. სახელმწიფო ორგანოების მიერ შექმნილი მუზეუმების რეორგანიზაცია

სახელმწიფო ორგანოების მიერ შექმნილი მუზეუმები 2002 წლის 1 იანვრამდე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად.

მუხლი 34. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2001 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს კანონი
მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ

(მიღებულია 2001 წლის 28 სექტემბერს)

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს კანონმდებლობა მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის სფეროში

საქართველოს კანონმდებლობა მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციისაგან, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი 2. კანონის მიზანი

კანონის მიზანია არასრულწლოვანთა დაცვა იმ მავნე ზეგავლენისაგან, რომელიც დაკავშირებულია კინო-, ვიდეო-, ტელეფილმების ჩვენებასა (შემდგომში – ფილმები) და საბეჭდ პროდუქციასთან, ალკოჰოლური სასმელების და თამბაქოს მოხმარება-გასაღებასა და აზარტულ თამაშობებში მონაწილეობასთან.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მავნე ზეგავლენა – იმ ფილმების ჩვენებით, ნაბეჭდი პროდუქციის, ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს მოხმარება-გასაღებით, აზარტულ თამაშობებში მონაწილეობით მიღებული ზემოქმედება, რომელმაც შეიძლება გიანი მიაყენოს არასრულწლოვანის ფსიქიკურ ან/და ფიზიკურ ჯანმრთელობას, მის მორალურ და სოციალურ განვითარებას;

ბ) აზარტული თამაში – თამაში, რომლის შედეგია ფულის, საკუთრების, საკუთრების უფლების წაგება ან მოგება, რაც დამოკიდებულია შემთხვევითობაზე;

გ) აზარტული სათამაშო დაწესებულება – დაწესებულება, სადაც იმართება აზარტული თამაში;

დ) აზარტული სათამაშო ავტომატი – მექანიკური ან ელექტრონული მექანიზმი, რომლითაც თამაშის შედეგია ფულის წაგება ან მოგება;

ე) კოდირებული სატელევიზიო არხი – სატელევიზიო არხი, რომლის პროგრამის მაგნარებელი სიგნალები დაშიფრულია და კაეშირი ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებლობის ორგანიზაცია თანახმაა უზრუნველყოს საზოგადოებისათვის გაშიფრვის საშუალებათა მიწოდება;

ვ) ძალადობის ამსახველი სცენა – კადრი, რომელშიც ასახულია

განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა, თვითმკვლელობა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, წამება, დასახიჩრება.

თავი II

არასრულწლოვანთა დაცვა ალკოჰოლური სასმელების, ლუდისა და თამბაქოსაგან

მუხლი 4. არასრულწლოვანთა დაცვა ალკოჰოლური სასმელების, ლუდისა და თამბაქოსაგან

1. აკრძალულია:

ა) არასრულწლოვანთათვის ალკოჰოლური სასმელების, ლუდისა და თამბაქოს მიყიდვა;

ბ) არასრულწლოვანთა მიერ ალკოჰოლური სასმელების, ლუდისა და თამბაქოს რეალიზაცია;

გ) ალკოჰოლური სასმელების, ლუდისა და თამბაქოს რეალიზაცია საგანმანათლებლო, სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში და მათ ტერიტორიაზე.

2. შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვის შესახებ მიუთითონ თვალსაჩინო ადგილას.

თავი III

არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმების ჩვენებისა და ნაბეჭდი პროდუქციის გავრცელების შეზღუდვა

მუხლი 5. არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენს ფილმების ჩვენების შეზღუდვა

1. შეზღუდულია არასრულწლოვანთათვის ისეთი ფილმების ჩვენება, რომლებიც მავნე ზეგავლენას ახდენენ მათ ჯანმრთელობაზე, გონებრივ და სულიერ განვითარებაზე.

2. არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენად შეიძლება ჩაითვალოს ფილმი, თუ ის შეიცავს სექსუალური ურთიერთობის, ძალადობის, ნარკოტიკების დამშვიდებისა და უკანონო მოხმარების ამსახველ სცენებს.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული აკრძალვები არ ვრცელდება ფილმებზე, თუ მათი ჩვენება ხდება საქართველოს განათლების სამინისტროს ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებართვით.

4. საქართველოს განათლების ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიძლება სექსუალური ურთიერთობის ამსახველი სცენების შემცველი ისეთი ფილმების ჩვენების ნება დართოს, რომლებიც სამეცნიერო, საგანმანათლებლო ან საინფორმაციო ხასიათისაა, სექსუალური ურთიერთობის ამსახველი დეტალები

კი მოცემულია მხოლოდ იმ სახით, რომელიც აუცილებელია საგანმანათლებლო და საინფორმაციო საკითხების ილუსტრირებისათვის.

მუხლი 6. ფილმების კატეგორიები და მათი აღმნიშვნელი ნიშნები

1. მაენე მეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის მიზნით კანონი აღგენს ფილმების შემდეგ კატეგორიებსა და მათ აღმნიშვნელ ნიშნებს:

ა) ფილმი, რომლის ჩვენება შეზღუდულია 18 წლის ასაკამდე - რიცხვი „18“ წრეწირში;

ბ) ფილმი, რომლის ჩვენება შეზღუდულია 15 წლის ასაკამდე - რიცხვი „15“ წრეწირში ;

გ) ფილმი, რომლის ჩვენება შეზღუდულია 12 წლის ასაკამდე - რიცხვი „12“ წრეწირში;

დ) ფილმი, რომლის ჩვენება არ იზღუდება - ლათინური ასო „U“ წრეწირში.

2. ფილმებისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი კატეგორიების მისანიჭებელი კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

3. ტელეეთერით დემონსტრირებისას ფილმის კატეგორიის აღმნიშვნელი ნიშანი თავსდება ეკრანის კუთხეში ფილმის დემონსტრირების დაწყებიდან, აგრეთვე რეკლამით შეწყვეტილი ფილმის ჩვენების განახლებიდან არანაკლებ 5 წუთის განმავლობაში და მისი დიამეტრი არ უნდა იყოს ეკრანის დიაგონალის 8%-ზე ნაკლები.

4. ფილმის კატეგორიის აღმნიშვნელი ნიშანი არ უნდა იყოს აუცილებელი და ვიდეოკასეტის ყდის ფართობის 1 %-ზე ნაკლები.

5. „ტრანსლაციაზღერო ტელეეთერის შესახებ“ ევროპულ კონვენციასთან შეერთებულ ქვეყანაში გადაღებულ ფილმზე ვრცელდება ამ სასჯელმწიფოს მიერ მინიჭებული კატეგორია, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოში დადგენილ ფილმების კატეგორიებსა და კრიტერიუმებს.

მუხლი 7. არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმების ტელედემონსტრირება

1. ამ კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეზღუდულია:

ა) „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კატეგორიის ფილმების ტელედემონსტრირება 7-დან 24 საათამდე;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კატეგორიის ფილმების ტელედემონსტრირება 7-დან 23 საათამდე;

გ) „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კატეგორიის ფილმების ტელედემონსტრირება 8-დან 22 საათამდე.

2. მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კატეგორიის ფილმების ტელედემონსტრირება შეუზღუდაეია.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება კოდირებულ სატელეეთერო არხებზე.

მუხლი 8. დაწესებულების დირექციისა და ფილმის ჩვენების ორგანიზატორის უფლება

1. ფილმის ჩვენებისას შესაბამისი დაწესებულების დირექცია ან ფილმის ჩვენების ორგანიზატორი ვალდებულია:

ა) ამ კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად მიუთითოს აფიშაზე ფილმის კატეგორია;

ბ) არ დაუშვას მე-6 მუხლის:

ბ.ა) „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფილმის ჩვენებაზე 18 წლამდე ასაკის მაყურებელი;

ბ.ბ) „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფილმის ჩვენებაზე 15 წლამდე ასაკის მაყურებელი;

ბ.გ) „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფილმის ჩვენებაზე 12 წლამდე ასაკის მაყურებელი;

ბ.დ) შესაბამის სახელმწიფო ორგანოს მოთხოვნის შესაბამისად წარუდგინოს ამ კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტში განსაზღვრული ფილმის კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ფილმის ჩვენებამდე შესაბამისი დაწესებულების დირექციას ან ფილმის ჩვენების ორგანიზატორს უფლება აქვს შეამოწმოს დაწესებულებაში შემსვლელთა ასაკი აღიარების უფლებათა დაცვის სრული გარანტიით.

3. დაუშვებელია ამ კანონის მიზნების განსასორციელებლად ფილმების კოსფისკაცია.

მუხლი 9. ფილმის დემონსტრირება, გაყიდვა ან გაქირავება.

1. ამ კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად აკრძალულია მაენე მეგაენელების მომხდენი ფილმების არასრულწლოვანთათვის მიყიდვა ან სარეალიზაციოდ გადაცემა.

2. ფილმის დემონსტრირება, გაყიდვა ან გაქირავება დასაშვებია მხოლოდ ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული კატეგორიების აღმნიშვნელი ნიშნებით, შეფუთული სახით.

3. აკრძალულია არასრულწლოვნებზე მაენე მეგაენელების მომხდენი ფილმებით გარე ვაჭრობა (ვაჭრობა დროებითი საღგომიდან, ავტომანქანიდან, შენობის გარეთ გასლაგებული დასხლიდან).

მუხლი 10. არასრულწლოვანთა დაცვა რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს

არასრულწლოვანთა დაცვა რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს რეგულირდება საქართველოს კანონით „რეკლამის შესახებ“.

მუხლი 11. მაენე მეგაენელების მომხდენი ნაბეჭდი პროდუქციის არასრულწლოვანთათვის მიწოდება

1. აკრძალულია არასრულწლოვანთათვის ისეთი ჟურნალ-გაზეთებისა და მსგავსი სახის ნაბეჭდი პროდუქციის მიყიდვა და სარეალიზაციოდ გადაცემა, რომელიც შეიცავს მათზე მაენე ზეგავლენის მომხდენი სექსუალური ურთიერთობის ამსახველ მასალას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნაბეჭდი პროდუქციის განმსაზღვრელი კრიტერიუმები დადგენილია საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

3. არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ნაბეჭდი პროდუქციის მიყიდვა სრულწლოვან მოქალაქეთათვის დასაშვებია მხოლოდ შეფუთული სახით და გარეკანზე წარწერით: „აკრძალულია 18 წლამდე."

4. აკრძალულია არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ნაბეჭდი პროდუქციით გარე ვაჭრობა (ვაჭრობა დროებითი საღგომიდან, ავტომანქანიდან, შენობის გარეთ განლაგებული დახლიდან).

5. ამ მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული აკრძალვები არ ვრცელდება საქართველოს განათლების სამინისტროს ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებართვით დაბეჭდილ პროდუქციაზე.

6. საქართველოს განათლების ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიძლება ნება დართოს სექსუალური ურთიერთობის ამსახველი მასალების შემცველ ისეთ ნაბეჭდ პროდუქციაზე, რომელშიც მოთავსებული მასალები სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საინფორმაციო ხასიათისაა, სექსუალური ურთიერთობის ამსახველი დეტალები კი მოცემულია მხოლოდ იმ სახით, რომელიც აუცილებელია საგანმანათლებლო და საინფორმაციო საკითხების ილუსტრირებისათვის.

მუხლი 12. არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმებისა და ნაბეჭდი პროდუქციის რეესტრი

1. საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია იმ ფილმებისა და ნაბეჭდი პროდუქციის შესახებ, რომლებსაც შეიძლება მავნე ზეგავლენა მოახდინონ არასრულწლოვნებზე. ამ მიზნით საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი ქმნის არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმებისა და ნაბეჭდი პროდუქციის რეესტრს.

2. საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწვდის მოქალაქეებს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ინფორმაციას და ინფორმაციას არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმებისა და ნაბეჭდი პროდუქციის განმსაზღვრელი კრიტერიუმების შესახებ.

თავი IV

აზარტულ სათამაშო დაწესებულებებში არასრულწლოვანთა დაშვებისა და მუშაობის, აგრეთვე აზარტულ სათამაშო აეგომატებთან მათი დაშვების აკრძალვა

მუხლი 13. აზარტულ სათამაშო დაწესებულებებში არასრულწლოვანთა დაშვებისა და მუშაობის, აგრეთვე აზარტულ სათამაშო აეგომატებთან მათი დაშვების აკრძალვა

1. აკრძალულია აზარტულ სათამაშო დაწესებულებსა და აზარტულ სათამაშო აეგომატებთან არასრულწლოვანთა დაშვება.

2. აკრძალულია აზარტულ სათამაშო დაწესებულებებში არასრულწლოვანთა მუშაობა.

მუხლი 14. აზარტულ სათამაშო დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და აზარტული სათამაშო აეგომატების მფლობელთა უფლება-მოვალეობა

1. აზარტულ სათამაშო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და აზარტული სათამაშო აეგომატების მფლობელებს უფლება აქვთ შეამოწმონ დაწესებულებაში შესულთა, მათ შორის, მოთამაშეთა ასაკი აღამიანის უფლებათა დაცვის სრული გარანტიით.

2. აზარტულ სათამაშო დაწესებულებათა ხელმძღვანელები და აზარტული სათამაშო აეგომატების მფლობელები ვალდებულნი არიან მე-13 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვის შესახებ მიუთითონ თვალსაჩინო ადგილას.

თავი V

რესტორანში, ბარსა და ღამის კლუბში არასრულწლოვანთა დაშვების შეზღუდვა და მუშაობის აკრძალვა

მუხლი 15. რესტორანში, ბარსა და ღამის კლუბში არასრულწლოვანთა დაშვების შეზღუდვა და მუშაობის აკრძალვა

აკრძალულია:

ა) ბარსა და ღამის კლუბში არასრულწლოვანთა დაშვება 23-დან 8 საათამდე;

ბ) რესტორანში, ბარსა და ღამის კლუბში არასრულწლოვანთა მუშაობა.

მუხლი 16. ბარისა და ღამის კლუბის ხელმძღვანელთა უფლება

ბარისა და ღამის კლუბის ხელმძღვანელებს უფლება აქვთ შეამოწმონ ბარსა და ღამის კლუბში შემსელელთა ასაკი აღამიანის უფლებათა დაცვის სრული გარანტიით.

თავი VI

პასუხისმგებლობა ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის

მუხლი 17. პასუხისმგებლობა ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის

1. ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის გათვალისწინებულია სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის, მე-6, მე-7, მე-8 მუხლების, მე-9 მუხლის მე-2-3 პუნქტების, მე-11 მუხლის მე-2-4 პუნქტებისა და მე-13, მე-14, მე-15 მუხლების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევებს განიხილავს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი და გამოაქვს სათანადო გადაწყვეტილება.

3. მშობელს ან არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ქონებრივი ან/და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

თავი VII

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 18. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

1. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს ამ კანონის მიღებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს კანონპროექტი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ.

2. საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტმა ამ კანონის მიღებიდან 3 თვის ვადაში დაამტკიცოს:

ა) დებულება არასრულწლოვნებზე მაენე მეგავლენის მომხდენი ფილმებისა და ნაბეჭდი პროდუქციის რეესტრის წარმოების შესახებ.

ბ) არასრულწლოვნებზე მაენე მეგავლენის მომხდენი ფილმებისა და ნაბეჭდი პროდუქციის განმსაზღვრელი კრიტერიუმები.

მუხლი 19 კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2002 წლის 1 იანვრიდან.

(მიღებულია 2002 წლის 4 ივლისს)

მუხლი 16. კონფიდენციალობა

1. ინფორმაცია საკრედიტო კავშირის წევრის ანაბრისა და სასესხო ოპერაციის შესახებ საკრედიტო კავშირის არაწევრი პირებისათვის კონფიდენციალურია. იგი მათზე გაიცემა მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით.

2. საზედამხედველო ფუნქციის განსახორციელებლად ეროვნულ ბანკს უფლება აქვს მიიღოს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული და საკრედიტო კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი.

SUMMARY

The scientific work "Informatin Law" presented by Ms Mariam Tsatsanashvili, doctor of Law, professor at Tbilisi state University, is an educational and analytical book. It is intended to provide the students and postgraduates with the knowledge in the new field of law. It is also popular with investigators, judges, legislators and the people engaged in producing and applying information technologies.

In this book the author systematized the problems of informational relations: concept of information, informational society and entire informational space (legal and philosophical analyses), the role and the place of information technologies as the object of law, the rights and obligations of the subjects of law in the process of receiving, working, preserving and spreading of information, open and public information In exchanging relations, marketable qualities of information (its value in the process of owning, using and desposing), mass media, personal data as the guarantee of inviolability of private life, secret and confidential information, informational culture and informational securily.

The above mentioned problems are reviewed theoretically by considering international practice and condilion of informational relations in today's Georgia.

Both methods general (historical, systemic analyses and syntheses) and specific (allowing, delegating, recommending, sanctioning), as a means of ensuring of peculiarities of informational activities are used in this book.

The author reviews legal problems together with informational policy and organizational-technical measures and expresses her opinion that informational rights and freedoms are fragmented not only in international acts but in the constitutions of the democratic countries as well. According to the recent technique and technologies these rights and freedoms should be supplemented with the rights to receiving and spreading of information and protect them from bad influence. Since the right to live is inviolable, informational inviolability is considered a person's natural right. In view of this thesis the author offers a new group of constitutional norms of human rights and freedoms.

From the aspects of civil law the author draws her attantion to the prob-

lems of informational documenting and electronic signature, also to the peculiarities of rights and obligations of receiving, working, spreading of information with respect to the tradithional institutions of owning, using and disposing. The thesis goes that in the process of civil regulation there is no mechanism of legal protection of data but only guarantee of confidentiality of data. This thesis is proved by analyses of practical application of "know-how", "know-know", "copyright", "patent", "license", "Sui generis" (as an Idea) and other institutions.

In the separate chapter of the book the legal regulation of relations rising in the process of applying and spreading of mass media is considered. This regulation is based on two principles:

1) Freedom of receiving and spreading of information

2) Protection of others' rights in the process of information circulation.

In this book the constitutional regulations of press and mass media are compared with those of the USA and according to them the constitutional regulations of Georgia's mass media are also reviewed.

The author's attention is directed to using of the social institutions (ethic codes of journalists, journalists councils of self-regulation) for preventive inspection of libel and assault and battery till the law suit. Absence of these institutions in Georgia gives way to censure and tabloid and is dangerous for democratic development of freedom of speech.

Legal regulation of personal data is a guarantee of the constitutional right to private inviolability. As for the legal problems according to the permissible rate of interference in private life, privarcy, the author reveals freedom of the former and obligations of the latter respectively. On the basis legislative analyses of other countries (France, Austria, Great Britain, Finland, Belgium, Japan, Germany, Estonia) on protecting of personal data, the author offers basic principles of making the similar bill in Georgia concerning the formation of the national organ and special measures for protection in the process of collecting, working, and spreading of data (requirement of Euconvention 108).

In chapter "Legal regulation of secret and confidential information" the author reviews the right to limited access to the information and characterizes the criteria and mechanisms of defence of state security, and principles of restricting and disclosing (organisational, legal, engineering-technical, cryptographic and operative arrangements). She also expresses her opinion about terminological accuracy (on the example of the instruction to article 24

of Euroatomagreements-July 21.1958) and considers that the rates of secrecy determine the regimes of confidentiality and imply the limits of access right. Here she also reviews contents of commercial, banking, professional and official information, their intersection points and legal regulation of limited access to them by proposing of working up the relative norms in legislature of Georgia.

Forms of influence are characterized by analysing of criminal aspects of informational war, informational terror and informational crimes (illegal access to computer information, programming damaging software, infringement of exploitation rules of computer system or computer network). The object of crime, the subjects of crime (hackers, injured party), aim and couse of crime (self-interest, encroachement on financial and monetary policy of government, interest of invention, hooliganism, vengeance), place of encroachment (taking into account transborder problems) as indespensable condition for qualifying of crime, also the meaning of value, and actuality of information as the main thing for determining the losses caused by computer crime. The author expresses her ideas on methods and tactics of investigation of computer crime and also about rules of arbitration and court consideration.

In chapter "Informational culture and Informational security" the author formulates the aims of informational policy, principles and system of virtual reality, the methods of revealing informational danger taking into account informational, phsychological environment. The models of influence on the state security of Georgia (including informational security) without military interference are analysed in this chapter together with issueof security informatronal systems. On the basis of internatronal practice (Internet as entire standards of infrastructure). The author offers to work up organisatronal, technical arrangments and normative base ensuring security of Georgia. In her monography the author offers her readers to cooperate with her on evry disputable issue, to hold seminars, lectures and workshops as she considers that informatronal age is just getting start as dynamic age with contradictions. And informatron law in such situation is the way of combining informational technologies with the institutions of law. It is also the way regulating of the influence on the hottest sphere of the planet – infosphere and modern society.

ZUSAMMENFASSUNG

Die vom Professor der Staatlichen Universität Tbilissi Dr. M.Zazanaschwili verfasste Arbeit – "Informationsrecht" trägt wissenschaftlich-analytischen Charakter und ist für die Studenten und Doktoranden bestimmt. Dieses Werk könnte auch für die Kripobeamten, Richter und für die Personen interessant sein, die sich mit den gesetzgeberischen Problemen und Fragen der Informationstechnologien beschäftigen.

In der Arbeit werden folgende Probleme systematisiert: Begriff der Information, Informationsgesellschaft, gesamter Informationsraum (phylosophisch–rechtliche Analyse); die Rolle und Stellung der Information in Rechtsverhältnissen, Informationssysteme und -technolgien als Rechtsobjekte; Rechte und Pflichte der Subjekte des Informationsrechtes im Prozess der Informationsgewinnung, -verarbeitung, -speicherung, -verbreitung; Offene und Öffentliche Information; Warencharakter der Information (Informationswert im Besitz, Ausnützungs- und Verwaltungsprozess); Masseninformation; Personalien als Garantie der Unantastbarkeit des Privatlebens; geheime und konfidentielle Information; Informationskultur und Informationssicherheit. Die obenerwähnten Probleme sind im Lichte der internationallen Praxis und der Informationsverhältnisse in Georgien theoretisch behandelt. Für methodologische Grundlage der Forschung wird die Synthese der allgemeinen (historische, systematische Analyse und Synthese) und konkreten (Genehmigung, Delegierung, Empfehlung und Sanktionierung) Methoden erklärt.

Neben der Informationspolitik und organisatorisch-technischen Maânahmen erörtert der Autor die informationsrechtliche Problematik. Ihrer Meinung nach, in den internationallen Dokumenten und auch in den Verfassungen demokratischer Länder tragen Informationsrechte und -freiheien fragmentären Charakter; es soll noch Garantie für die Informationsempfangs- , Verarbeitungsfreiheit und Garantie für den Schutz gegen Ihre negativen Auswirkungen geleistet werden, denn die Unantastbarkeit des Privatlebens genauso wie die Informationsunantastbarkeit sind die natürliche Rechte eines Menschen. In Hinsicht auf diese Thesen werden in dieser Arbeit neue Gruppen von Verfassungsnormen der Menschenrechte angeboten.

Unter den Aspekten des Zivilrechts werden hier die Probleme der Informationsdokumentierung und elektronischer Unterschrift, aber auch die Eigenartigkeiten der Rechte und Pflichte des Informationsgewinns und -verarbeitung, -speicherung und -verbreitung erörtet. Es wird betont, dass bei der zivilrechtilichen Regulierung die rechtlichen Schutzmechanismen der Information nicht geschaffen werden, sondern die Vertraulichkeit der Daten gewährleistet wird. Diese These wird durch die Analyse der praktischen Verwendung von "know-how", "know-know", "Copyright", "Patent", "Lizenzierung", "Sui generis" und andere Institutionen bestätigt.

In der Arbeit widmet der Autor ein ganzes Kapitel der rechtlichen Regulierung der im Gebrauchs- und Verarbeitungsprozess der Masseninformation entstandenen Verhältnisse, die nach zwei Prinzipien geleistet wird: 1. Die Freiheit des Informationsempfangs und -verbreitung, 2. Schutz der Rechte der anderen Personen im Zirkulationsprozess der Information. Es werden die Verfassungsnormen kontinentalen Europas und der USA über Presse und Masseninformation verglichen und dabei werden auch die entsprechenden Verfassungsnormen Georgiens (aber auch das Gesetz über "Presse und andere Mittel von Massenmedien" von 1991) charakterisiert. Besondere Aufmerksamkeit wird der Benützung der gesellschaftlichen Institutionen (ethische Normen und Selbstregulierungsrate der Journalisten) als Prävention vor der Klageerhebung auf Verleumdung und Beleidigung geschenkt. Da die obenerwähnten Institutionen in Georgien noch nicht existieren, besteht durch Zensur und Regenbogenpresse die Gefahr für demokratische Entwicklung der Pressefreiheit.

Die rechtliche Regulierung der personenbezogenen Daten ist die Garantie für verfassungsmääiges Recht der Unantastbarkeit des Privatlebens. In dieser Schrift werden die rechtlichen Probleme des Schutzes einer Person hinsichtlich des Einmischungsgrades ins Privatleben (darunter "privarcy") erörtet. Auf Grund der Gesetzgebungsanalyse anderer Länder (Frankreich, Österreich, Groâbritannien, Finnland, Belgien, Japan, Deutschland, Estland) über den Schutz personenbezogener Daten hat der Autor die Grundprinzipien der Erarbeitung ähnliches Gesetzentwurfs in Georgien dargestellt, die spezielle Schutzmaßnahmen im Prozess der Informationssammlung, -verarbeitung und -verbreitung und Bildung des Nationalorgans (die Vorderung der Konvention Nr. 108 des Europarats) anbetreffen.

Um die beschränkte Zulassung zur Information handelt es sich in dem Kapitel, das der Problematik der rechtlichen Regulierung der geheimen und konfidentiellen Information gewidmet ist und wo die Kriterien und Mechanismen der Bewahrung des Staatsgeheimnisses und Prinzipien der Informationsgeheimhaltung und -herausgebens charakterisiert werden (organisatorisch-rechtliche, ingenieur-technische, kryptographische und ortographische Maânahmen). Es wird die Meinung zur terminologischen Präzisierung (s. die Vereinbarung von 21.07.1958 EUROATOM Artikel Nr.24) geäuâert, dass die Geheimnisgrade Vertraulichkeitsregimes bestimmen und darunter die Grenzen des beschränkten Zugangs meinen. Dabei wird auch der Inhalt der kommerziellen, beruflichen, dienstlichen und Bankinformation, ihre Schnittpunkte und dabei die rechtliche Reglamentierung der beschränkten Zulassung erörtert, indem die Bearbeitung der entsprechenden Normen in der georgischen Gesetzgebung vorgeschlagen wird.

Die Einwirkungsformen auf den Informationsraum werden nach der kriminalistischen und strafrechtlichen Analyse des Informationskrieges, -terrors und -verbrechens (der illegale Zugang zur Computerinformation, Schaffung der Virenprogramme, die Verletzung der Expluatationsnormen des Computersystems oder seines Netzes – nach dem Strafgesetzbuch Georgiens) beschrieben. In der Arbeit werden die Objekte und Subjekte der verbrecherischen Beeinträchtigung (beschädigte Partei, Hacker), ihre Ziele, Motive (Habsucht, die Verletzung finanzieller und Kreditpolitik der Reglerung, Interesse an Erfindung, grober Unfug, Rache), Tatort, als unentbehrliche Bedingung, auch die Bedeutung des Informationswerts und seiner Aktualität bei der Bestimmung des durch Computerkriminalität zugefügten Schadens charakterisiert. Dabei werden die Meinungen über Untersuchungsmethodik und -taktik der Computerkriminalität, aber auch die über die gerichtlichen und arbiträren Regeln geäuâert.

Durch die Berücksichtigung der virtuellen Wirklichkeit, der Methoden der Auffindung der Informationsgefahren und der Informationspsychologischen Umgebung formuliert der Verfasser Ziele, Prinzipien und das System der Informationspolitik in dem der Informationskultur und -sicherheit gewidmeten Kapitel. Im Vordergrund werden die Modelle der waffenlosen Gefärdung der staatlichen Sicherheit Georgiens (darunter wird auch Informationssicherheit gemeint) gestellt. In demselben Kapitel werden die Probleme der Sicherheit der Informationssysteme erörtert. Aufgrund der Analyse der internationalen Praxis (darunter des Internets als des Standards

der gemeinsamen Infrastruktur) werden die Vorschläge der organisatorisch-technischen Maânahmen und normativer Basis der Gewährleistung der Sicherheit in Georgien verarbeitet.

Der Autor ist bereit alle Streitfragen mit den Lesern im Rahmen der Seminare, Vorlesungen und gemeinsamer Projekte zu erörtern, denn Sie meint, daâ das Informationsjahrhundert als dynamisches, gegensätzliches Jahrhundert erst jetzt beginnt. Das Informationsrecht bringt aber in diesem Kontext Informationstechnologien mit Rechtsinstitutionen im Einklang und wird sogar zum Regelungsmittel für den Informationsraum und für seine Wirkungsformen auf die moderne Gesellschaft.

РЕЗЮМЕ

Работа доктора юридических наук, профессора ТГУ Мариам Георгиевны Цаканашвили «Информационное право» носит учебный, научный, аналитический характер и преследует целью приобретение студентами и аспирантами глубоких знаний в новой области права. Она также представляет интерес для следователей, судей, законотворческих работников и лиц, занятых в области производства и использования информационных технологий.

В работе М. Цаканашвили систематизированы вопросы информационных отношений: понятие информации, информационное общество и единое информационное пространство (философско-правовой анализ); роль и место информации в правовых отношениях, информационные системы и технологии как объекты права; права и обязанности субъектов информационных отношений при получении, обработке, хранении и распространении информации; информация в обменных отношениях, товарные свойства информации (стоимость информации); право массовой информации; персональные данные как гарантия неприкосновенности личной жизни; секретная и конфиденциальная информация; информационная культура и информационная безопасность. Все вопросы рассматриваются автором с учетом международной практики и состояния информационных отношений в Грузии; использованы общие (исторический, системный анализ и синтез) и конкретные (разрешительный, делегирующий, рекомендательный, санкционирующий) методы как способ и средство обеспечения особенностей информационной деятельности.

Рассматривая проблематику правовой информации на основе информационной политики и организационно-технологических мероприятий, автор высказывает мнение, что информационные права и свободы как в международных актах, так и в конституциях демократических стран носят фрагментарный характер. На фоне развития техники и технологии они должны быть дополнены соответствующими правами в информационной сфере и гарантиями защиты от вредной воздействии информации. Как неприкосновенность жизни, так и информационная неприкосновенность являются естественным правом человека. На основании этого тезиса, в системе других прав человека, предложена новая группа конституционных прав и свобод граждан (техноинформационные права).

Из аспектов гражданского права автор заостряет внимание на проблемах документирования информации и электронно-цифровой подписи, а также на особенностях получения, обработки, хранения и распространения информации о имеющихся традиционных институтах

собственности и исключительных правах. Высказано мнение, что при регулировании информационных отношений гражданско-правовыми нормами не создается механизм правовой защиты собственности информации, однако при этом обеспечивается конфиденциальность данных. Этот тезис рассмотрен на основе анализа практического применения норм «Ноу-хау», «Ноу-ноу», «Copiright», «Патент», «Лицензирование», «Sui generis» (на уровне идеи) и других институтов.

Отдельная глава работы посвящена вопросу регулирования правовых взаимоотношений, складывающихся в процессе использования массовой информации. Она построена на двух принципах: свобода получения и распространения информации; защита других прав в процессе циркуляции информации. Сопоставлены положения конституционных прав прессы и массовой информации Европы и США, и на их фоне охарактеризованы соответствующие положения законодательства Грузии. Внимание заострено на общественных институтах (кодекс этики журналистов, советы саморегулирования журналистов), как средство профилактики злоупотребления правами журналиста и внесудебного урегулирования спора. Отсутствие последних в Грузии, создает опасность для демократического развития свободы слова и почву для жёлтой прессы.

Правовое регулирование персональных данных – гарантия конституционных прав неприкосновенности частной жизни. При вмешательстве в частную жизнь (концепция "privarcy") правовые проблемы персональной защиты свободы одного лица выявляют соответствующие обязательства второго. На основе анализа законодательства ряда государств (Франция, Австрия, Бельгия, Япония, Германия, Эстония), автор излагает основные принципы создания аналогичного законопроекта, касающегося специальных мероприятий по сбору, обработке и распространению персональной информации и созданию национального органа защиты данных (требование 108-ой Конвенции Евросоюза).

Тезис об ограниченном доступе к информации раскрыт в отдельной главе о правовом регулировании секретной и конфиденциальной информации, в которой рассмотрены критерии и механизмы защиты государственной тайны, принципы засекречивания и рассекречивания (организационно-правовые, инженерные, технические, криптографические и оперативные мероприятия). Высказано мнение о терминологических точностях (на примере инструкции пункта 24, соглашения по Евроатому – 1958г, 21 июля): степень секретности определяет режим конфиденциальности и подразумевает пределы прав ограниченного доступа. Здесь же рассмотрена сущность коммерческой, банковской, профессиональной, служебной информации, точки их пересечения и правовая регламентация ограниченного доступа к ним с предложением разработки соответствующих норм в законодательстве Грузии.

В работе даны характеристики криминологических аспектов воздействия на информационное пространство: информационная война, информационный террор и другие информационные нарушения (неправомерный доступ к компьютерной информации; создание, использование и распространение вредных программ для ЭВМ; нарушение правил эксплуатации ЭВМ, системы ЭВМ или их сети – в соответствии с Уголовным кодексом Грузии). Автором исследованы предмет и субъекты (хакеры, пострадавшая сторона), цель, мотив (алчность, финансовый прорыв, прорыв денежно-кредитной политики государства, корысть, хулиганские побуждения, соображения, интерес, чувство мести и т.д.), место (с учетом транснациональныхных проблем) правонарушения, стоимость информации при определении причиненного вреда, как обязательное условие квалификации компьютерных преступлений. Высказаны предложения о методике и тактике расследования компьютерных преступлений, а также о правилах судебных и арбитражных разбирательств.

В главе "Информационная культура и информационная безопасность" автор формирует цели, принципы и систему информационной политики,с учетом виртуальной реальности и методов обнаружения информационных угроз. В частности, темой обсуждения является невооруженное вмешательство в систему информационной безопасности Грузии. В этой же главе рассмотрен вопрос безопасности информационных систем. На основе анализа международной практики (в том числе открытые стандарты интернета), предложено создание и совершенствование соответствующей нормативно-правовой базы информационной безопасности Грузии, с учетом организационно-технических мероприятий.

Автор предлагает сотрудничество по всем спорным вопросам в виде семинаров, лекций, разработке совместных проектов и проведения совместных исследований, так как, по его мнению, только сейчас начинается информационный век, динамичный и противоречивый. В такой ситуации, как говорят эксперты, информационное право – путь взаимодействия информационных технологий с институтами права, упорядочения отношений инфосферы и ее влияния на современный социум.

სარეკომენდაციო ლიტერატურა


1. ინნკირველი გივი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბილისი, 2003წ.
2. ინტელექტუალური საკუთრება, წიგნი I, დ. გაბუნიას რედაქტორობით, თბილისი 2001 წ.
3. ჯორბენაძე სანდრო, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი 1998 წ.
4. მელქაძე ო. ინფორმაცია კონტროლის სტრატეგია და ტაქტიკა, თბილისი 1981წ.
5. სამოქალაქო სამართლის კომენტარები. წიგნი I, წიგნი II, თბილისი 1999წ.; წიგნი III, წიგნი IV, თბილისი 2001წ.; წიგნი V, თბილისი 2000წ.
6. კაცმანი ალექსანდრე. კომპიუტერული დანაშაული. აეტორეფერატი ი/მ კანდიდატი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თბილისი, 2004 წ.
7. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, რომან შენგელიას რედაქტორობით, თბილისი 2001 წ.
8. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის კომენტარები, ლადო ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი 2003 წ.
9. ცაცანაშვილი მარიამ, ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი 1999 წ.
10. Бачило И.Л, Лопатин В.Н, Федотов М.А. Информационное право, Санкт-Петербург, 2001
11. Рассолов М.М. Информационное право, 1999
12. Копылов В.А. Информационное право, 2003
13. Фрейд З. Психология бессознательного, М., 1990
14. Черри К. Человек и информация, М., 1972
15. Дружинин Г.В, Сергеев И.В. Качество информации, М., 1990
16. Юзвишин И.И. Информационная, М., 1996
17. Алексеев С.С. Право на пороге нового тысячелетия, М., 2000
18. Болякин В.И. Куда идёшь, Человек? Основы эволюциологии (информационный подход), М.,1998
19. Бородакий Ю.В, Лободинский Ю.Г. Информационные технологии. Методы, процессы, системы, М. 2001
20. Герасименко В.А, Малюк А.А. Основы защиты информации, М. 1997
21. Теория и практика обеспечения информационной безопасности/под.ред. П.Д. Зегжды, М.,1996
22. Шевердяев С. Информационные отношения и система информационного законодательства, М.,1999
23. Понятия чести, достоинства и деловой репутации/под.ред. А.Симонова и М.Горбаневского, М.,2004
24. Профессиональная этика журналиста. составитель Ю.В. Казаков, М.2003

25. Международное информационное право. автор-составитель Т.М. Смыслова, М.2002
26. Правовое регулирование хозяйственной деятельности СМИ. автор-составитель Н.Д. Гобения, М., 2003
27. Введение в правовую информатику. Справочные правовые системы, «Консультант Плюс» М., 1999
28. Проблемы обеспечения прав граждан на доступ правовой информации. /Изд. Государственной Думы, М. 1999
29. Лопатин В.Н. Защита права на неприкосновенность частной жизни//Журнал российского права, №1, 1999
30. Люшер Ф. Конституционная защита прав и свобод личности, М. 1993
31. Петрухин И.Л. Личные тайны (человек и власть), М., 1998
32. Энтин М.П. Международные гарантии прав человека. Опыт Совета Европы, М., 1997
33. Законы и практика средств массовой информации в Европе, Америке и Австралии, М., 1998
34. Законы и практика массовой информации в странах СНГ и Балтии, М., 1999
35. Кин Дж. Средства массовой информации и демократия, М , 1994
36. Общественная экспертиза анатомии свободы слова 2000, М., 2000
37. Правовое регулирование концентрации и прозрачности СМИ, М., 2000
38. Правовые вопросы лицензирования телерадиовещания, М. 2000
39. Честь, достоинство и репутация. Журналистика и юриспруденция в конфликте (результаты исследования и материалы конференции), М. 1998
40. Бачило И.Л. Институты интеллектуальной собственности и информация/Интелектуальная собственность: современные правовые проблемы. Проблемно-тематический сборник, с.56-81, М., 1998
41. Бачило И.Л. Правовое обеспечение интеллектуальной собственности. //Учебно-методическое пособие, М., 2000
42. Концепция обеспечения безопасности личности общества, государства//Белая книга российских спецслужб. Международная неправительственная научно-исследовательская и образовательная организация «РАУ-корпорация» М., 1996
43. Лопатин В.Н. Информационное общество и правовое государство; Изд Гос. Думы РФ, М. 1997
44. Лопатин В.А, Цыганков В.Д. Психотронное оружие и безопасность России. М.,1999
45. Полдников Э.А. Нации, национализм, национальные интересы. М., 1994
46. Почепцов Г.Г. Информационные войны, М-Киев, 2000
47. Тер-Акопов А.А. Безопасность человека. М., 1996
48. Угрозы и вызовы в сфере информационной безопасности. Материалы парламентских слушаний, Июль, М. 1996
49. Утин А.П. Американская стратегия для XXI века. М., 2000
50. Цыганко В.Н, Смолян Г.Л, Черешкин Д.С. Информационное оружие, как геополитический фактор и инструмент силовой политики, М. 1997.
51. Лопатин В.Н. Защита права на банковскую тайну//Юридический консультант, №6-10,1998
52. Лопатин В.Н. Правовая охрана и защита коммерческой тайны//Законодательство №11.1998
53. Лукашов А.И. Мухин Г.Н. Конфиденциальная информация и коммерческая тайна. Правовое регулирование и организация защиты. Минск, 1998
54. Власов А.А. Проблемы судебной защиты чести, достоинства и деловой репутации. М., 2000
55. Психоэкология России. Проблемы безопасности информационного пространства и психосферы страны. СПБ. 1997
56. Чалдини Р. Психология влияния.Изд. 3-е, Междунар. СПБ. 2000

57. Горбатов В.С, Полинская О.Ю. Мировая практика криминализации компьютерных преступлений. М.,1998
58. Гутман Барбара, Бэгнилл Роберт, Политика безопасности при работе в Интернете- техническое руководство. М., 1997
59. «Компьютерная преступность, состояние, тенденции и превентивные меры ее профилактики» Сборник материалов международной научно-практической конференции 1999 года, СПБ.1999
60. Куцпиренко С.П. Панфилова Е.И. Уголовно-процессуальные способы изъятия компьютерной информации по делам об экономических преступлениях. Учебное пособие. СПБ Санкт-Петербургскийюридический институт Генеральной Прокуратуры РФ. 2001
61. Preserving media independence regulatory frameworks. Compiled by Cress J. Hamelinh UNESCO Publishing 1999
62. Hardy II.E. The History of the Net. Masters. Thesis School Communications Crand Valley. State University Auendale. 1993
63. Gerald R. Ferrera, et al. Cyberlaw: Your rights in Cyberspace. South-Western Pub. 1st edition Internet Law Books at Amazon.com. July 24, 2001
64. J. Dianne Brinson, Mark F. Radcliffe. Internet Law and Business Hand
65. Abbo Junker, Martina Benecke Computerrecht. Nomos 2003
66. IT-und Computerrecht. DTV, Mchn. 1999
67. Marly, Jochen. Computerrecht und e-commerce. DTV, Mchn. 2
68. Roßnagel (Hrsg.). Allianz von Medienrecht und Informationstechnik? Institut für Europäisches Medienrecht. 2001
69. Rihbinder, Manfred. Ethik als Schranke der Programmfreiheit im Medienrecht. UFITA 2002
70. Schumacher, Christian. Medienberichterstattung und Schutz der Persönlichkeitsrechte. ÖSGRUM 2001
71. Marian Paschke,"Medienrecht", Berlin, 2001

ავტორის შესახებ

მარიამ ცაცანაშვილი



დავიბადე თბილისში. იურიდიული განათლება საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მივიღე (1980-85 წწ.).

ჩემთვის დიდი პატივი იყო თსუ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრაზე ასისტენტად მუშაობის დაწყება, სადაც საფუძველი ჩაეყარა და მომზადდა ჩემი საკანდიდატო დისერტაცია „საქართველოს გასაბჭოების იურიდიულ პოლიტიკური შედეგები 1921-22 წწ.“

1991 წელს მომენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, მოგვიანებით 1994 წელს – დოცენტის წოდება. სტუდენტებთან სასწავლო-პედაგოგიური კონტაქტი სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კურსის წაკითხვით დავიწყე და კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა თანადგომით შევძელი სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის ორტომეულის გამოცემა (1995-96 წწ), აგრეთვე თეზისები საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიაში (1994 წ). მონაწილეობა მივიღე სასწავლო კურსის პროგრამებისა და მეთოდური მითითებების საკურსო თემატიკის შემუშავებაში. შემდეგ, 12-მდე ნაშრომი დაიბეჭდა სამართლის ისტორიის საკითხებზე. ეს იყო მთელი კათედრის ძალისხმევა დამოუკიდებლობის პერიოდში სტუდენტთა და ასპირანტებისათვის განათლების ქართული ბაზის შესაქმნელად, რომელსაც საფუძველი სხვებთან ერთად, ამ კათედრის ცნობილმა მეცნიერებმა ჩაუყარეს (იროდიონ და ივანე სურგულაძეები, ისიდორე დოლიძე, მიხეილ კეკელია, ვახტანგ აბაშიძე და სხვები), მრავალი მათგანი ჩემი მასწავლებელი იყო. ყველა ჩემს ნაშრომს მათი შთაგონებით ვაკონიწებდი, მათი თვალით ვუყურებდი.

1995 წლიდან სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად სახელმწიფო სამსახურში მოღვაწეობაც დავიწყე: ვიყავი საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის რეფერენტი, მრჩეველი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე, სახელმწიფო კანცელარიის იურიდიული სამსახურის უფროსი. 2001 წლიდან კი საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის საკლასო ჩინით. ურთულეს პერიოდში გამოცდილ სპეციალისტებთან მუშაობამ და სამართლის ისტორიის მეცნიერების წყალობით შეძენილმა სისტემური მიდგომის უნარმა, არამარტო

კანონშემოქმედებითი საქმიანობობისა და ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ურთულესი ეტაპი დამაძლევინა, არამედ საფუძველი ჩაეყარა ჩემს სადოქტორო დისერტაციასაც სრულიად ახალგაზრდა ნოვაციურ დარგში – ინფორმაციულ სამართალში.

1999 წ. აკადემიკოს გივი ინწკირველის კონსულტაციით დავიცავი სადოქტორო დისერტაცია თემაზე: ინფორმაცია, როგორც სამართლებრივი რეგულირების ობიექტი, ხოლო 2001 წელს მომენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. ამავე თემაზე 15-მდე სტატია გამოვაქვეყნე სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის შემოთავაზებით, მოვსინჯე ლექციების კურსის ნაკითხვა ინფორმაციულ სამართალში ამავე უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე (2000-2002 წწ.). სტუდენტთა მხრიდან უდიდესმა ინტერესმა, კიდევ ერთხელ დამარწმუნა ამ საგნის სწავლების აუცილებლობაში. ინფორმაციული სამართლის სხვადასხვა პრობლემებზე ჩემი შერჩეული თემატიკით და რეკომენდაციით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში 20-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა კონფერენციებში და გაიარა სტაჟირება. არ ვიცი, ისინი შემდეგშიც გააგრძელებენ თუ არა ამ სფეროში სამეცნიერო მოღვაწეობას, მაგრამ აქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება, დარწმუნებული ვარ, მათ ნამდვილად უდიდეს წარმატებას მოუტანს კანონშემოქმედებით, მმართველობით, სასამართლო ხელისუფლებასა თუ კერძო სექტორში მუშაობისას.

2001 წელს გამოვიდა მონოგრაფია „რელიგია და სახელმწიფო“, რომელიც სამართლის ისტორიასა და ინფორმაციული სამართლის სფეროში მიღებული მეთოდური ცოდნის შედეგია, და კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროცესში სინდისისა და რწმენის კონსტიტუციური უფლების საკანონმდებლო გარანტიათა შემუშავების დასაბუთებისათვის შეიქმნა. ამავე წელს გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრად ამირჩიეს. მეხუთე წელია თსუ იურიდიულ მეცნიერებათა სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი ვარ. 2001 წლიდან კი საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს იურიდიული კონსულტანტი.

ასეთი გამოცდილებით ვიწყებ ახალი სასწავლო კურსის „ინფორმაციული სამართლის“ წაკითხვას და ამ სფეროში წარმატებული სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დამსახურებაცაა და ჩემი სტუდენტებთან მუშაობის 18-წლიანი გამოცდილების შედეგიც.



სამეცნიერო-ანალიტიკური და
იურიდიულ-საკონსულტაციო ცენტრი
მეტამაძს-ჯორჯია


ტელ./ფაქსი: (+995 32) 25 38 10
e-mail: mar@mmg.ge
http://www.mmg.ge

ტრეინინგ-ცენტრი — ინფორმაციული სამართლისკვლევა, ანალიზი, ცოდნის ლოკალიზება

ა დ ვ ო კ ა ტ ი — იურიდიულ და ფიზიკურ პირთა იურიდიული კონსულტაცია, დოკუმენტების შედგენა, წარმომადგენლობა გარიგებებში, უფლებათა დაცვა ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, სისხლის სამართლის საქმეებზე

ა უ დ ი ტ ი — საქმიანობის დაგეგმვა და შეფასება, ხელშეკრულებათა ექსპერტიზა, კონსალტინგი

ა რ ბ ი ტ რ ა ჟ ი — ინტელექტუალური საკუთრების, ინფორმაციული ურთიერთობების და სხვა სახის სამოქალაქო დავები



შენიშვნებისთვის